ივ. ჯავახიშვილი.

ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა.

წიგნი I

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა

(V—XVIII ს.ს.)

„დიდ არს ძალი სიყვარულისაჲ რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცა“.
(არსენი ამარტოლი ქ-ბი II. 109).

ძველი ქართული

საისტორიო მწერლობა

(V—XVIII ს.ს.)

„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ, რომელისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხჳსა განქიქებად“.

(არსენი ამარცოლი ქკბი II, 109).

ჩემს ძვირფასს მასწავლებელს

პროფესორს აკადემიკოსს ნიკო მარრს

ვუძღვნი ამ წიგნს.

წინასიტყვაობა.

წინამდებარე თხზულება „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“, რომლის პირველი წიგნი ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის მიმოხილვას შეეხება, სამ წიგნად არის განზრახული და საისტორიო მეცნიერების შესავლადაა განკუთვნილი. ეს პირველი წიგნი მის ავტორს ამასთანავე „ქართველ ერის ისტორიის“ შესავლადაც მიაჩნია.

მეორე წიგნი ორ ნაწილედ იქმნება. პირველს ნაწილში საქართველოს და ქართველთა ისტორიის დანარჩენი წყაროები იქმნება განხილული, ხოლო მეორე ნაწილში-კი უცხოეთის საისტორიო მწერლობის განვითარების მიმოხილვა მოთავსდება. ამ მიმოხილვაში ჩვენი მეზობლების ბერძენ-ბიზანთიელთა, სომეხთა და სპარსთა საისტორიო მწერლობის განხილვას განსაკუთრებული ადგილი ექმნება დათმობილი.

მესამე წიგნში გამორკვეული იქმნება „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ თანამედროვე მეცნიერებისდა მიხედვით.

პირველი წიგნი, ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის მიმოხილვის შემცველი, იწერებოდა თანდათანობით და „ჟამითი-ჟამად“. ჯერ ცალცალკე მონოგრაფიული გამოკვლევები მქონდა დაწერილი ამა-თუ იმ ქართულ საისტორიო წყაროების შესახებ, მერე როდესაც „ქართველ ერის ისტორიის“ დაწერა განვიზრახე, მაშინვე შევუდექი მთელ ქართულ საისტორიო მწერლობის დალაგებულ შესწავლას მიზნის, წყაროების და მეთოდების მხრივ. მაგრამ მას შემდეგაც, როდესაც წინამდებარე გამოკვლევის დედააზრი და თვით გეგმაც სრულებით ნათლად წარმომიდგა, მისი განხორციელება რასაკვირველია ერთბაშად არ შეიძლებოდა და არამცირედი ხანი და ჟამი იყო საჭირო, სანამ ეს დიდი განზრახული გამოკვლევა დამთავრებული იქმნებოდა.

პირველი გამოკვლევა, რომელიც ამ წიგნში ნაწილედადაა მოთავსებული, დაწერილია ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს 1898 წ. ქ. კჲონიგსბერგში და ეხება წ'ა ნინოს მატბერდისეულს ც'ა-ს. 1901 წ. ბერლინშია დაწერილი გამოკვლევა ევსტათი მცხეთელისა და აბო ტფილელის მარტვილობათა შესახებ. 1902—1903 წ. პეტერბურგში შევუდექი გიორგი მთაწმიდელის, გიორგი ხუცეს-მონაზონის და არსენი კათოლიკოზის საისტორიო თხზულებათა შესწავლას. სტუდენტობის დროსვე დაწყებული კვლევა დავით აღმაშენე-

სამი ისტ. ხრ.
სამი ხრ.
პ ქ~ნკა, ან ქ~კა = ე. თაყაიშვილი. სამი ისტორიული ხრონიკა.

საქ. სამოთხე
ს~ქს სამოთხე = მ. საბინინი. საქართველოს სამოთხე.

СМОМПК=Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ Кавказа.

TP = Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи.

ქ~ცა=ქართლის ცხორება, ქართლის ცხოვრება.

ქ~ბი, ქ~კბი=თ. ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. წიგნი I და II.

ქ~კსა=ქრონიკონსა.

ქ~ლ ერის ისტორია=ივ. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია.

ჩუბ., ან ჩუბ. გამ.=დ. ჩუბინაშვილის გამოცემა.

ც~ა, ც~აჲ=ცხორება, ცხორებაჲ.

ც~ჲ გ~ჲ მთაწმ~დელსაჲ=ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისა. იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი. საეკ. მუზეუმის გამოცემა, დამატება.

ც~ჲ გ~გლ ხნძ~თლსაჲ=შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისა ხანძთისა... და სხვა. ნ. მარრის გამოცემა TP. წიგნი VII.

ც~ჲ ი~ე და ეფთჳმესი=ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი... და სხვა. იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი, საეკლ. მუზეუმის გამოცემა.

ც~ა მფ~სა დ~თსი
ც~ა მ~თ მფ~სა დ~თსი =ცხორება მეფეთ მეფისა დავითისი.

ც~ა მ~ფთა = ლეონტი მროველი. ცხორება მეფეთა.

ც~ჲ სრ~პნ ზა~რზმსა=ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისა სერაპიონისი, მ. ჯანაშვილის გამოცემა. იხ. მისი ქართული მწერლობა.

წ~ა = წმიდა.

ჭიჭ., ან ჭიჭ. გამ.=ზ. ჭიჭინაძის გამოცემა.

XB. = Христіанскій Востокъ.

ჯან. = მ. ჯანაშვილის გამოცემა.

* რიცხვის ნიშნის წინ ხელთნაწერის გვერდსა ნიშნავს, ხოლო შემდეგ მიმდევნო „გვ."=მ~მ დ~ფლს ქ~ცის ე. თაყაიშვილის გამოცემას. როდესაც რიცხვის დიდს ნიშანს გვერდით პატარა ტანის რიცხვის ნიშნები უზის, მაშინ დიდი ნიშნები ამა თუ იმ თხზულების გვერდს ჰნიშნავს, ხოლო პატარა ტანის სტრიქონს.

შესავალი.

„ალგვიწერია... რაჲ იგი ვისწავეთ... თჳთ მებრ მათ საქმეთაგან რომელნი იგი დუმილით წამებენ და კმამაღლად ქადაგებენ ღვაწლთა და შრომათა მათთა".

(გიორგი მთაწმიდელი).

ამ წიგნის მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ჩემი წადილი იყო, შეძლებისდა გვარად გამომერკვია, როგორც თვითოეულ მემატიანისა და ისტორიკოსის პიროვნება, — თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო, — ისე აგრეთვე შემეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწადდა მას, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე ყოველთვის ვცდილობდი, გამეგო რადარა და რამდენად სანდო წყაროები ჰქონდა თვითოეულს მათგანს და რა გზით და რა საშუალებით სურდათ და შესძლეს თავიანთ მიზნის განხორციელება?

ჩვენს ახალს საისტორიო მწერლობაში ქართულ საისტორიო წყაროების კრიტიკულს შესწავლას ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევენ. ერთად-ერთი საკითხი, რომელიც საჭირბოროტოდ ითვლებოდა, ქ~ცის საკითხია და აქაც ამ კრებულის შესწავლას უცხოელ მკვლევართა უსაფუძვლო კრიტიკა შეუწყობდა ხოლმე ხელს და ქართველ ისტორიკოსთა მიძინებულს აზრს აღვიძებდა. მაგრამ ამ საკითხის კვლევაც კარგა ხანია უკვე მიყუჩდა. ალბად ან საგანი საკმაოდ გამორკვეულად მიაჩნიათ, ან მოშურნეობა ამ საკითხისადმი განელდა და მკვლევართა ცნობისმოყვარეობას აღარ იზიდავს. ქვემოთ მკითხველი თვით დარწმუნდება, რამდენი რამ იყო გამოსარკვევი და ჯერაც გამოსარკვევია ქ~ცის საკითხში.

ამასგარდა ქ~ცის განხილვის დროსაც უფრო გარეგანი კრიტიკა იყო გამეფებული, ვიდრე წყაროების არსებითი და ყოველმხრივი შესწავლა. მკვლევართ განსაკუთრებით ის აწუხებდათ, თუ ვინ და როდის შეადგინა თვით კრებული და უცხოელ კრიტიკოსთა აზრისდა საწინააღმდეგოდ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ ქ~ცის თვითოეული ნაწილი თანამედროვეს მიერ არის დაწერილი.

სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ და არცა ჰქონდათ, რომ თვითოეულ ძველ საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა-კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნობა და მედასეობა, მის წყაროების თვისება, ჟამთააღმწერელის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა, მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ, რომ მემატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამხუდარი არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო-თანადამხუდარი და თვითმხილველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს.

თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერელის თვალთასაზრისი წოდება, და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლიერს დაღს ასვამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომელობაზე მოქმედობს, რომ „მაცდურ სოფელის“ მოძულე ბერი-მემატიანე თავისუფალ აზროვნობის და ყოფა-ცხოვრების მიმდევარ საზოგადოებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნელობას ვერ გამოიჩენდა, მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მემატიანეც მეფეთა საძრახისს საქციელს, ან სათაკილო ამბების აღწერილობას თავის ნაწარმოებში არ შეიტანდა, ხოლო მეფესა მოწინააღმდეგე აზნაურთადმი სიძულვილსა ვერ შეიკავებდა და სხვა.

დამახასიათებელია, რომ ჩვენს მწერლობაში ეხლაც წყაროების დასახელების დროს წინანდებურად მარტივად „ქართლის ცხოვრება“-ს იხსენიებენ. ეს მავნე და შეუწყნარებელი ჩვეულება უნდა მოისპოს: ქ͠ცა სხვადასხვა დროისა და ღირსებისა, სხვადასხვა ავტორის საისტორიო თხზულებათა კრებულია და მკითხველმაც უნდა იცოდეს, რომელს მემატიანეს აქვს სახელდობრ ესა-თუ-ის ცნობა მოყვანილი, რომ ამისდა მიხედვით გაითვალისწინოს თანამედროვეს ეკუთვნის ის ცნობა თუ არა, მემატიანეა მისი ავტორი, ისტორიკოსი, თუ უბრალო კომპილატორი? ამიერითგან მაინც ყოველ ამონაწერისა, ან მოყვანილი ცნობის შესახებ უნდა აღნიშნული იყოს, რომელ ქართველს ისტორიკოსს თუ ჟამთააღმწერელს ეკუთვნის სახელდობრ იგი და რომელ თხზულებითგან არის ამოღებული. მარტივად ქ͠ცის დასახელება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ ესა-თუ-ის ცნობა მარტო შევსებულ-გადაკეთებულს ქ͠ცა-ში მოიპოვება, ან ქ͠ცის გაგრძელებაში, ან კიდევ ქ͠ცის გადაკეთებულ-შევსებულს გაგრძელებაში, მაგრამ ამისთანა შემთხვევაშიაც წინანდებურად ქ͠ცა-კი არ უნდა იყოს მარტივად მოხსენებული, არამედ ნიშანდობლივ აღნიშნული უნდა იყოს, სახელდობრ რომლითგან არის ცნობა ამოღებული.

თანამედროვე ქართულ საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ ნაკლად ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ ქ͠ცისა და სიგელ-გუჯრებით იყო და არის

განსაკუთრებით გატაცებული და ქართულ საისტორიო წყაროების სხვა დარგებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს: ამის გამოა რომ აქამდის თითქმის სრულებით ხელუხლებელი დევს, მაინცდამაინც სრულიად შეუსწავლელი იყო ისეთი საყურადღებო, შინაარსიანი და დიდმნიშვნელოვანი დარგი, როგორიც არის ქართველ მერტჳლთა და წმიდათა ცხორებანი. ამის გამოვე სრულებით უყურადღებოდ იყო მიტოვებული ქართული საეკლესიო ისტორია და საქართველოს სამოქალაქო ისტორიისათვის და ქართულ საზოგადოებრივ აზრის განვითარების შესასწავლადაც გამოსადეგი მრავალი ძვირფასი და საგულისხმიერო ცნობები.

ჯერ ერთი რომ ამგვარი ცალმხრივობა ქართულ საისტორიო მეცნიერებისათვის მავნებელია, ქართულ საისტორიო მწერლობის მთელი განვითარებაც ხომ არავითარ უფლებას არ გვაძლევს, მარტჳლობანი და წმიდათა ცხორებანი ქართულ საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლისა და განხილვის დროს სრულებით უგულებელ ვყოთ და მარტო სამოქალაქო საისტორიო დარგის კვლევა-ძიებას შევალიოთ ჩვენი მთელი დრო და ძალა. წინამდებარე წიგნში საკმაო მაგალითებია, რომელნიც ცხადჰყოფენ, რომ ქართული სამოქალაქო საისტორიო დარგი ქართულ საეკლესიო მწერლობისაგან განვითარდა და წარმოიშვა. ამას სხვათა შორის ის გარემოებაც ხმამაღლა ჰღაღადებს, რომ ძველ ქართულ მწერლობაში სამოქალაქო საისტორიო დარგის თხზულებების აღმნიშვნელ სახელად და ტერმინად საეკლესიო საისტორიო დარგსავით იგივე „ცხორება“ იხმარებოდა.

ამის გამო, ვისაც ქართული საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლა ჰსურს, არც შეუძლიან და არც უფლება აქვს ქართულ საეკლესიო საისტორიო ძეგლებს, ქართველ მარტჳლთა და წმიდათა ცხორებებს გვერდი აუხვიოს და განუხილველი დასტოვოს.

სწორედ ამიტომ არის, რომ ამ წიგნში ქართულ საისტორიო მწერლობის შესწავლა მარტჳლობათა და წმიდათა ცხორებათა განხილვით იწყობა და თვითოეული წამება, ან ცხორება იმგვარისავე გულმოდგინეობით და ზედმიწევნით არის გამოკვლეული, როგორც სამოქალაქო ისტორიის დარგის რომელიმე ნაწარმოები. მკითხველი თვით დაინახავს, თუ ქართულ საისტორიო მწერლობის რაოდენი ძვირფასი მარგალიტი და შვენება აქამდის შეუმჩნეველი რჩებოდა და თვით დარწმუნდება, რომ ქართულ სამოქალაქო ისტორიის ასეთ ძეგლების როგორიც დავით აღმაშენებელის და თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებია ნამდვილ ღირსება-მნიშვნელობის გათვალისწინება შეუძლებელია, თუ-კი თავდაპირველად ბასილ ზარზმელის, მეტადრე-კი გიორგი მთაწმიდელის, გიორგი ხუცეს-მონაზონისა და ეფრემ მცირეს საეკლესიო საისტორიო თხზულებები გულდასმით შესწავლილი არ გვექმნება.

ამას გარდა ასეთ საყურადღებო და საგულისხმიერო საკითხების შესახებ, როგორიც არის ქართულ საისტორიო თხრობის წესი, მეთოდები და ტერმინები, თითქმის არა გვეცოდინებოდა რა, ქართულ საეკლესიო საისტორიო მწერლობისათვის რომ ზურგი შეგვექცია და მხოლოდ სამოქალაქო მატიანეები და საისტორიო თხზულებები შეგვესწავლა. სასურველია, რომ ამიერითგან მაინც ჩვენმა თანამედროვე საისტორიო მეცნიერებამ ეს ნაკლიც თავითგან აიცილოს და მარტვილთა და წმიდათა ცხორებებს შესაფერისი ყურადღება მიაქციოს.

ამ წიგნში განხილულია მთელი ქართული საისტორიო მწერლობა უძველეს დროითგან, მე-V-ე საუკ.-თგან მოყოლებული, მე-XVIII-ე საუკუნის დასასრულამდე. უძველესი თხზულება წ˝ა შუშანიკის მარტვილობაა, ხოლო უკანასკნელი იოანე მდივანბეგ ხერხეულიძის ნაწარმოებია. თეიმურაზ ბატონიშვილის, ნიკოლოზ დადიანის და სხვათა ნაშრომების განხილვა ამ წიგნში იმიტომ არ არის შეტანილი, რომ ისინი მე-XIX-ე საუკუნეს ეკუთვნიან და უკვე რუსული გავლენა ემჩნევათ. ამის გამო უკეთესი იყო მათი განხილვა იქ შემეტანა, სადაც თანამედროვე ქართულ საისტორიო მწერლობაზე იქმნება საუბარი.

ქართულ მრავალსაუკუნოვან საისტორიო მწერლობას მოეპოვება საისტორიო მწერლობის ყოველი დარგის ნაწარმოები უმარტივეს: ლიტონად აღწერილ თხზულებათაგან მოყოლებული, რომლებშიაც მხოლოდ ამბავია მოთხრობილი, ისეთ ურთულეს და უწარჩინებულეს საისტორიო ნაწარმოებათამდე როგორიც არის გიორგი მერჩულის, ბასილ ზარზმელის, გიორგი მთაწმიდელის. გიორგი ხუცეს-მონაზონის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლის და თამარ-მეფის ისტორიკოსებისა და ვახუშტ ბატონიშვილის ქმნილებანი.*)

ქართულ საისტორიო მწერლობაში სხვადასხვა სახის საისტორიო თხზულებები მოიპოვებოდა და თვითოეულისათვის შესაფერისი სახელი არსებობდა. უძველეს სახედ იყო „მარტჳლობაჲ“ (იოანე საბანისძე 3_9, 12_{13}), რომელიც ბერძნულ სიტყვითგან (მარტჳროს) არის ნაწარმოები. მისი ქართული შესატყვისი სახელია „წამებაჲ“ (ც˝ა კონსტ.-კახაჲსი, აქვე 19_{23}, 20_{39}, სტ. მტბევარი 43_{27}, ეფრემ მცირე 105_2).

თითქმის იმავე დროითგან მოყოლებული, როდესაც შემოვიდა წამება-მარტჳლობაჲ, იხმარება ტერმინი „ცხორებაჲ“ (კონსტ.-კახაჲსი, აქვე 20_{36}, 38, ბ. ზარზმელი 61_{10}, გ. მთაწმიდელი 73_5, გ. ხუცეს-მონაზონი 84_{20}, ეფრემ მცირე 105). შემდეგ ცხორებაჲ (ცხორება და ცხოვრება) ძველ ქართულ მწერლობაში საისტორიო თხზულებათა საზოგადო სახელად იქცა და სა-

*) სადაც **ამ შესავალში** საგანგებოდ აღნიშნული არ არის, რომ ამათუიმ გამოცემის გვერდია დასახელებული, და ავტორების სახელები და რიცხვი ამოყვანილი ან მხოლოდ რიცხვია, ამისთანა შემთხვევებში დიდი ტანის რიცხვი ამ წიგნის გვერდებს აღნიშნავს, ხოლო პატარა ტანისა სტრიქონს.

მოქალაქო ისტორიის ძეგლების აღსანიშნავადაც იხმარებოდა, როგორც მაგ. ლეონტი მროველის ნაწარმოებს ჰქვიან „ცხორება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ (112_{22-23}). სუმბატმა თავის ნაწარმოებს დაარქვა „ცხორება... ბაგრატონიანთა“ (134_{28}). დავით აღმაშენებლის ისტორიას სათაურად აქვს „ცხორება მეფეთ მეფისა დავითისი“ (152_{10}). ცნობილს ქართულ საისტორიო კრებულს ჯერ „ქართველთა ცხორება“ ეწოდებოდა, მერე „ცხორება ქართლისა“ ($263_{20-21, 36}$), შემდეგ „ქართლის ცხოვრება“. ს. ჩხეიძემაც თავის ნაშრომს უწოდა „ცხოვრება მეფეთა“ ($323_{13,20}$).

სიტყვა „ცხორება“ ანუ „ცხოვრება“ რომ ქართულში ერთ დროს საისტორიო თხზულებათა საზოგადო სახელი იყო და ისტორიასა ჰნიშნავდა იქიდანაც ჩანს, რომ ბერძნული საისტორიო წყარო ჩვეულებრივ მარტივად იწოდებოდა „ცხორება ბერძენთა“ (ლ. მროველი 125_{37}, სწავლულნი კაცნი 278_{35}), სომხური საისტორიო წყარო — „ცხორება სომხითისა“-ად (ლ. მროველი 125_{33}, 275_{33}, 278_{5}; ქ~ცის გადაკეთებული გაგრძელება, აქვე 312_{7},), ხოლო სპარსულ საისტორიო წყაროებს ეძახდენ „ცხორება სპარსთა“-ს (ლ. მროველი 126_{1-2}, ჯუანშერი 131_{12-22}, სწავლულნი კაცნი 275_{33}, 276_{3}, $278_{14, 22-23}$).

საისტორიო ნაწარმოებების ერთ-ერთ სახელად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი „მატიანჱ“. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მაგ. თავისს თხზულებაში მოხსენებული აქვს „ძველი მატიანე ქართლისა“ (140_{2}). ეფრემ მცირე იხსენიებს ამ ტერმინს „მატიანჱ“, „წმიდათა მატიანეები“ (105_{3-5}). სწორედ ეფრემის სიტყვებითგან ჩანს, რომ ძველად ამ სახელით დაბალხარისხოვანი, მხოლოდ მოვლენათა მარტივად აღმნუსხველი საისტორიო თხზულებები იწოდებოდა. ხოლო ასეთი სახელები, როგორც „მატიანე მოსახსენებელი სულთა“, „მატიანენი საადაპონი“ გვაფიქრებინებენ, რომ „მატიანე“-ს ნუსხის მსგავსად შედგენილს, საისტორიო ცნობების მარტივად აღმწერს ნაწარმოებს ეძახდენ.

მარტო ბატონიშვილს ვახუშტს აქვს მატიანე საზოგადო შემკრებელობითი მნიშვნელობით ნახმარი ისტორიისა და ჟამთააღმწერელობის მაგიერ. მეცნიერი ბატონიშვილი მაგ. ამბობს: „მატიანე“ ერთის მხრით „განიყოფების ორად: საეკლესიოდ და სამოქალაქოდ“-ო (284_{15-16}), მეორეს მხრით „მატიანე განიყოფების... ადგილის აღწერად, ნათესავთა მეტყველებად, წლის მრიცხველობად და მოქმედების აღწერად“-ო (284_{19-21}), „ჩვენ ქართველთა მატიანე შეიპყრობს სამსა ამას ნაწილსა მატიანისასა“, ხოლო „ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს“-ო ($285_{1-2,3}$). ამ შემთხვევებში მატიანეს საზოგადო მნიშვნელობა აქვს და ტერმინ „ისტორია“-ს მაგიერ არის ნახმარი.

ეფრემ მცირეს დასახელებული აქვს „ხრონოღრაფი“-ც, მაგრამ მას სახელდობრ ბერძნული, ანტიოქიას აღწერილი ხრონოღრაფი აქვს მოხსენებული

და სხვაგან ეს სიტყვა არსადა გვხდება. ამის გამო არა სჩანს მიღებული იყო ეს ტერმინი ქართულს მწერლობაში, თუ მარტო შესაფერის ბერძნულ თხზულებათა აღსანიშნავად იხმარებოდა.

აგებულობისდა მიხედვით ბერძნულს ხრონოღრაფიას უნდა უდრიდეს ქართული „ჟამთააღმწერელობა“, რომელიც მე-XIV-ე საუკ. ერთ ქართველ ისტორიკოსის თხზულებაში იხსენიება (197_{7}). თითქოს ხრონოღრაფის შემდგენელს უნდა ნიშნავდეს ტერმინი „ჟამთააღმწერელი“-ც (197_{8}, 207_{6}). მაგრამ ამ ორსავე ტერმინს, წარსულში, როგორც ეტყობა, უფრო ფართო მნიშვნელობაც ჰქონია და ჟამთააღმწერელობა ისტორიკოსობას ჰნიშნავდა, ჟამთააღმწერელი-კი ისტორიკოსსაც: იოსებ ფლავიოსი ქართულს მწერლობაში მაგ. ჟამთააღმწერელად იწოდება (207_{6}).

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ნამდვილ საისტორიო თხზულების სახელად „ცხორება“ იხმარებოდა. თამარ მეფის ისტორიკოსმა ქართულ მწერლობაში ამის მაგიერ ტერმინი „ისტორია“ შემოიღო ($166_{6,13}$). მას ამას გარდა „ისტორიათა-აღმწერლობა“-ც აქვს ნახმარი (185_{28-29}): რაც მნიშვნელობით ისტორიოგრაფიას უნდა უდრიდეს. ახლად შემოღებული ტერმინი ძველს ქართულს მწერლობაში, როგორც სჩანს, ვერ შეუთვისებიათ და შემდეგ აღარსად გვხვდება.

ზემომოყვანილს ტერმინებს გარდა მიღებული იყო აგრეთვე სიტყვა „ჰამბავი“, რომელიც სხვათა შორის ეფრემ მცირეს აქვს საისტორიო თხზულებათა სახელების ნუსხაში შეტანილი ($105_{2,22}$). არსენი კათოლიკოზიც ლეონტი მროველის თხზულებას უწოდებს „ჰამბავი მეფეთა“-ს (107_{23}). თვით ლეონტი მროველს თავის შრომის მხოლოდ ერთი თავისათვის დაურქმევია სახელად „ამბავი ქართლისა“ (112_{28}). ეს ტერმინიც შედარებით იშვიათად გვხდება და მხოლოდ ქართულ საისტორიო მწერლობის განახლების და აღორძინების ხანაში მოიპოვება კიდევ, სახელდობრ ფაფუნა ორბელიანმა თავის საისტორიო თხზულებას სათაურად გაუკეთა „ამბავნი ქართლისანი“ ($328_{3,6-7}$).

საისტორიო თხზულებათა ნუსხაში ეფრემ მცირეს დასასრულ მოხსენებული აქვს „მოთხრობაჲ“-ც (105_{2-3}). იმავე ქართველს მეცნიერს შენახული აქვს სახელი „საეკლესიო მოთხრობა“ (105_{9}, $109_{18-19,20}$). ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსს დიმიტრი I მეფობისათვის წყაროდ ჰქონია „იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა“ ერთი ნაწარმოები, რომელსაც თურმე „შესხმა-მითხრობა“ ეწოდებოდა (181_{11}). არსებობდა-ამას გარდა ტერმინი „თხრობაჲ“ (105_{12}). უკანასკნელი სახელი ეწოდება ამა თუ იმ ამბავის მარტივს მოკლე აღწერილობას, ხოლო პირველი-კი უფრო რთულისა და გრძელ აღწერილობის ტერმინად იხმარებოდა. მაგალითად მარტჳლთა და წმიდათა უძველესი, მარტივად შედგენილი ცხორებანი „თხრობის სახედ ოდენ აღიწერნეს“-ო, ამბობს ეფრემი (105_{12}). ბატონიშვილს ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ სა-

ქართველის ისტორიის შესასწავლელად და გამოსარკვევად საისტორიო წყაროდ სხვათა შორის „ხსოვნა-მოთხრობანი“-ც გამოდგება (292_{16}).

მაგრამ უფრო ხშირად „თხრობა“ და „მოთხრობა“ ქართულ საისტორიო მწერლობაში თვით აღწერას, ამბავის გარდმოცემას ეძახდნენ და ამის გამო „თხრობანი“ და „მოთხრობანი“ ყოველ საისტორიო თხზულების შინაგანს შემადგენელობას ეკუთვნოდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მაგ. ამბობს: „ამად რა თხრობად მოვიწიე“ თვით ელლინთა გამოჩენილი მწერლები ვაების ღირსად ჩავთვალეთ (159_{5}—$_{6}$), ან კიდევ: უმიროსმა „ტროადელთა და აქილევლიანი შეამკვნა თხრობანი, თუ ვითარ აღამემნონ და პრიამოს, ანუ აქილევი და ეკტორ, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუეთნეს“-ო.. (159_{9}—$_{10}$). იმავე ისტორიკოსს თავის თხზულების პირველისა და უდიდეს ნაწილის ბოლოში დაძენილი აქვს: აი ამგვარის მეფე დავითის „მიმოსვლათა .. და ღვაწლთა და ძლევათა... პყრობათა და ახუმათა... მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი“-ო (160_{15}—$_{17}$).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ერთგან ამტკიცებს, საისტორიო ამბავის მოთხრობის რიტორული ხელოვნებით შემკობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ისტორიკოსს „ნივთნი საქმეთანი“ აქვს „კმად მისათხრობლად“-ო (159_{13}—$_{14}$). თამარ მეფის ისტორიკოსიც ამბობს, თუ ადამიანის ენამ თამარის მეფობისა „თვითეულისა კელუოს მოთხრობად“-ო, თხზულება ფრიადი სიგრძისა გამო მოსაწყენი იქმნებაო (188_{4}).

ბატონიშვილს ვახუშტს თავის ისტორიის წყაროებს შორის მოხსენებული აქვს „ქორონიკონები... პოვნილნი წიგნებთა შინა“ (308_{9}—$_{10}$), „საეკლესიოებთა (sic) წიგნთა შინა ქორონიკონები“ რომ არის შენახული (292_{14}—$_{15}$). აქ ცხადია ეგრეთწოდებული მატიანეები, კვკლოსები და ქრონოლოგიური მინაწერებია ნაგულისხმევი.

საფიქრებელია, რომ მთელ საისტორიო მწერლობის ორ მთავარ დარგად დაყოფა საქართველოში უკვე ძველს დროს, მაინცდამაინც გიორგი მთაწმიდელის და ეფრემ მცირეს უნდა სცოდნოდათ, მაგრამ ამის შესახებ ჯერ ცნობები აღმოჩენილი არ არის. მხოლოდ ვახუშტს მოეპოვება გარკვეული აზრი საისტორიო მწერლობის მთავარ დარგების შესახებ, რომ საისტორიო მწერლობა ჯერ ეს ერთი „განიყოფების ორად: საეკლესიოდ და სამოქალაქოდ“, ხოლო ა[illegible]ავე განიყოფების ოთხ ნაწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთა მეტყველებად, წლის მრიცხველებად და მოქმედების აღწერად“ (2[illegible] — [illegible] 19—21).

ქართული საისტორიო მწერლობის მონოგრაფიულმა შესწავლებამ ბევრი საყურადღებო და საგულისხმიერო საკითხი აღგვიძრა და წამოგვიყენა, მაგრამ ამ წიგნის ისედაც მოჭარბებული სისქე ნებას არ გვაძლევს ყველა სათითაოდ

განვიხილოთ: უნებლიედ უნდა შესავალი შევამოკლოთ და მარტო უმთავრეს საკითხებს შევეხოთ, იმათაც მხოლოდ საზოგადოდ და სულ მოკლედ.

მონოგრაფიულმა შესავლამ დაგვარწმუნა, რომ ქართველი ისტორიკები საისტორიო მწერლობას მოწიწებით და თავიანთ მოვალეობას პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით ეპყრობოდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ საისტორიო თხზულებაში ყველაფრის და ყოველგვარ ცნობების შეტანა-კი არ შეიძლებოდა, ყველაფერი არ იყო „ღირს კსენებისა“ (გ. ხუცეს-მონაზონი 87_{4}); არამედ მხოლოდ ისეთ ამბების აღნუსხვა მიაჩნდათ სასურველად, რომელნიც შემატიანეს „მოსაკსენებლად არა უჯერო“-დ ეჩვენებოდა (გიორგი ხუცესმონ. 87_{12}) თანაც იყო „ღირს კსენებისა და შუენიერებაჲ აღწერისა“ (გ. ხუცეს-მონაზონი 87_{4}).

სხვათა შორის დამახასიათებელია, რომ ხალხური საგვარეულო თქმულებებიც ძველ ისტორიკოსთა შეხედულობით საისტორიო მწერლობის ღირსად არ ითვლებოდნენ: „არიან ზღაპარ და ცუდ, ამისთჳს უჯერო არს“ მათ ცნობებით სარგებლობაო (ჟამთააღმწერელი 209_{20-21}). თვით განათლებული დავით აღმაშენებელის ისტორიკოსიც-კი აღტაცებული იყო, რომ დიდებულმა მეფემ „საეშმაკონი (თუ საამიკონი?) სიმღერანი და სახიობანი და განცხრომანი... მოსპობილიყო ლაშქართა შინა მისთა“ (ც~ა მ~ფსა დ~ვთსი *553, გვ. 321).

ქართველ ისტორიკოსებს შეგნებული ჰქონიათ, რომ საისტორიო ნაწარმოებში „არა საკადრებელ არს თხრობა... უშვერისა რასმე“ (ჟამთააღმწერელი 198_{4}).

მაგრამ ამგვარი მოკრძალეობის და მორიდებისდა მიუხედავად ქართველ ისტორიკოსებს საისტორიო თხზულების უმთავრესი დანიშნულება არ დავიწყებიათ და ნათლად შეგნებული ჰქონდათ, რომ „ჟამთააღმწერელობა ჭეშმარიტების მეტყუელება არს, არა თვალახმა ვისიმე“ (ჟამთააღმწერელი 198_{8-9}) და მოთხრობილის სრული სიმართლე და მიუდგომელობა ისტორიის უკეთილშობილესი და ძვირფასი თვისება არის. ამიტომ მათ ახსოვდათ, რომ ყოველი საისტორიო „წიგნი.. შეამცნებარე არს კეთილის მოქმედთა და ბოროტის მოქმედთა“ (იქვე 198_{6-7}) და თვითოეულ მოღვაწეს პირუთვნელი სურათი უნდა ყოფილიყო დახატული.

ძველ ქართულ საისტორიო თხზულებების კერძობითმა, დაწვრილებითმა შესწავლამ და განხილვამ დაგვარწმუნა, რომ როგორც პოეზიაში საგანგებო დარგი არსებობდა და არსებობს, რომელშიაც პოეტურ შემოქმედების შინაგანი და გარეგანი მხარე და კანონები, პოეტური ხატოვანებათა, მიმსგავსებულ-ალეგორიათა, ლექსთწყობისა და რიტმ-რითმის წესების გამორკვეული, რომელთაც მისდევდენ და ხელმძღვანელობდენ, ისე ქართულ საისტორიო მწერლობაშიც ისტორიკოსს ყველაფრის მოთხრობა-კი არ შეეძლო, რაც იცოდა და ენაზე მოა-

დგებოდა, არც თუ ისე შეეძლო თვითოეულს მათგანს აღწერა ისტორიული თხზულება, ვის როგორც მოუნდებოდა, არამედ ქართულ საისტორიო მწერლობაშიაც გარკვეული, მტკიცე თეორიული მოძღვრება ყოფილა, თუ როგორ და რა გზით უნდა დაწერილიყო კარგი და სამაგალითო საისტორიო თხზულება.

ყოველი განათლებული ისტორიკოსი მოვალე იყო, რომ მოთხრობის უეჭველობაზე ეზრუნა და სანდო წყაროებით ესარგებლა, შესაფერისადაც ჰქონოდა დასაბუთებული. ამ ჩვენ აზრის სიმართლე იმდენად ცხადი იქმნება ყველასათვის, ვინც ამ წიგნში ბასილ ზარზმელისა, განსაკუთრებით-კი გიორგი მთაწმიდელისა, ეფრემ მცირეს და სხვათა შესახებ მონოგრაფიულს გამოკვლევას გადიკითხავს (მეტადრე გვ. 64—67, 76—79, 108—110 და სხვას).

ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული ყურადღება იყო მიქცეული და ნათლად ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ რა მნიშვნელობა აქვს საისტორიო მოთხრობის უეჭველობისათვის, როდესაც მოთხრობილი თვით აღმწერელის „თუალთა-ხილული“ (ცა კახაჲსი, იქვე 20_{29}), ან „თვალთხილული“ (ს. ჩხეიძე 323_{15}, 324_{18}), „ხილული“ (ბ. ზარზმელი 66_{32}) იყო, როცა ისტორიკოსი ან მისი მოამბე ნაამბობის „თვალით მხილველი“ (გ. ხუცეს-მონაზონი $87_{36—37}$), „თვალთა მხილველნი“ (სწავლულნი კაცნი 276_{6}, $277_{4—5}$), „თჳთ-მხილველი“ იყო (ბასილი ზარზმელი 67_{2}, გიორგი მთაწმ. 76_{34}, შეად. დავით აღმ. ისტორ. $153_{21—23}$, თამარ მეფის ისტ. $179_{26—33}$,) ქ'ცის გაგრძელება აქვე $280_{34—35}$, პ. ორბელიანი 329_{13}) ანუ „მნახავი“ (ს. ჩხეიძე 323_{15}, 324_{25}) და სწორედ იმ აღწერილ შემთხვევის „თანადახუთომილი“, „თანადახდომილი“ (ეფრემ მცირე $105_{24, 28}$) ანუ „თანადამხუდარი“ (ჟამთააღმწერელი 205_{14} და ქ'ცის გაგრძელება აქვე 276_{6-7}, 277_{5}, 280_{35}—281_{1}) გამოდგებოდა.

ამას გარდა ქართულმა საისტორიო მწერლობამ თვითმხილველ და თანადამხუდარ მოამბეების პირადს თვისებებსაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და ისე იყო მიღებული, რომ თვითოეული ამ მომთხრობელთაგანი უეჭველად „პირი უტყუელი“ (ბ. ზარზმელი 67_{5}) და ყველანი „სარწმუნონი კაცნი“ (იქვე 67_{5}, გიორგი მერჩული 53_{29}, 56_{5}, ბას. ზარზმელი 66_{28}, 67_{6}, 10, გიორგი მთაწმ. $76_{33—34}$, გიორგი ხუცესმონ. 87_{20}, პ. ორბელიანი 330_{31-32}, 331_{9}, ომან ხერხეულიძე 336_{39}) ყოფილიყვნენ, რომელნიც „უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან“ (გიორგი მთაწმ. 76_{35}, $77_{17—18}$), თანაც „ბრძენთა და გონიერთა კაცნთა“ სახელი სამართლიანად მოხვეჭილი ჰქონდათ (თამარ მეფის ისტორიკოსი $180_{15—16}$) და თავიანთ ნაამბობის სიმართლეს ისტორიკოსს ფიცით დაარწმუნებდენ (ბარ. ზარზმელი $67_{11—15}$, გ. მთაწმ. $77_{31—34}$).

ქართულ მწერლობის დაწვრილებითმა შესწავლამ დაგვანახვა, რომ ჩვენ საისტორიო მწერლობას უკვე მე-VIII-ე ს. დიდი წარმატება ეტყობა, ხოლო მე-X—XII-ე ს.ს.-ში უკვე მაღალხარისხოვან განვითარებამდე მიაღწია.. ამ აზრის სიმართლეს ის გარემოებაც ნათელ ჰყოფს, რომ ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში, როგორც მონოგრაფიულ შესწავლითა მტკიცდება, სამწერლობო ტეხნიკა დიდად განვითარებული ყოფილა და უეჭველია ამისთვისაც შესაფერისი თეორიული მოძღვრება უნდა ყოფილიყო შემუშავებული.

საქართველოში რომ საისტორიო სამწერლობო ტეხნიკის შესახებაც თეორიული მოძღვრება უნდა ყოფილიყო, ამას ქართული კარგად შემუშავებული საისტორიო-სამწერლობო ტერმინოლოგია ამტკიცებს. ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ საისტორიო ნაწარმოების თვითოეული სახისათვის თავისი სახელი არსებობდა. ეს მაინცდამაინც არც გასაკვირველია. უფრო საყურადღებოა, რომ საისტორიო ნაწარმოების სხეულის თვითოეული ნაწილისათვისა და საისტორიო-სამწერლობო შემოქმედების თითქმის თვითოეულ საფეხურისათვის განსაკუთრებული ტერმინები მოიპოვებოდა. საისტორიო ძეგლების მონოგრაფიულმა შესწავლამ სხვათა შორის ის სიკეთეც გვიყო, რომ ქართული საისტორიო ტერმინოლოგია შეგვძინა.

საგულისხმიეროა, რომ ძველი ქართული ცოტად-თუ-ბევრად თვალსაჩინო საისტორიო თხზულებები წინდაწინვე შემუშავებულ გეგმისდა მიხედვით ყოფილა დაწერილი. უკვე იოანე საბანის ძის შრომა აბო ტფილელის მარტჳლობა ამგვარად არის შედგენილი და თვით ავტორს თავის თხზულებისათვის, როგორც ეხლაც საზოგადო თხზულებებშიაც მიღებულია, ჯერ გეგმა წარუძღვანებია, ხოლო შემდეგ თვით ნაწარმოები მისდევს. თავისი ნაშრომი ავტორს თავებადაც-კი დაუყვია და თვითოეულ თავს ამ გეგმაშიაც საკუთარი სათაური აქვს გაკეთებული. მთელი მარტჳლობა ოთხ „თავად“ ანუ „საკითხავად“ აქვს გაყოფილი. ჯერ სწერია: „საკითხავნი წმიდისა ჰაბოჲსნი თავნი ოთხნი (დ)“ და ამგვარად აღნიშნულია, რომ მთელი თხზულება ოთხ ნაწილისაგან შესდგება. მერე ზის: „ა (პირველი) თავი“ და ამ თავის სათაურია მოყვანილი, შემდეგ ამნაირადვე დანარჩენი თავებია აღნუსხული (12—14).

იოანე საბანის ძის თხზულების პირველი თავი შესავალია, უკანასკნელი დასკვნაა, მეორე და მესამე თავები თვით ამბავისა და მარტჳლობის აღწერილობას შეიცავს. ამ გვარად აქაც ავტორის წინასწარი გეგმა მოსჩანს. იოანე საბანის ძის სამაგალითო ნაწარმოები ამტკიცებს, რომ ქართულ საისტორიო მწერლობას უკვე მე-VIII-ე საუკუნეში ტეხნიკის მხრივ თვალსაჩინო წარმატება ეტყობა და მარტივ, აღწერილობითი კილოთი მოთხრობილ ნაწარმოებებს გარდა წინასწარ შედგენილ გეგმაზე აგებული და შეთხზული შრომებიც მოიპოვებოდა.

იოანე საბანის ძის შესანიშნავს თხზულებაში უკვე ემჩნევა იმის ჩანასახი, რასაც შემდეგში ეწოდებოდა „წესი თხრობისა“ (ბ. ზარზმელი 68_{3-4}, 70_{5}), ის სამწერლობო გეგმა და თხრობის წესრიგი, რომელიც მერე, IX—XIV სს. დაწინაურებულს საისტორიო ნაწარმოებებს, თუმც იოანე საბანის ძის თხზულებასავით გულუბრყვილოდ გეგმა წინ აღარ უძღოდა, მაგრამ რომლის არსებობა ყველს თხზულებაში ცხადად საგრძნობი და სახილავი იყო და ამის წყალობით თვითოეულს თვალსაჩინო ისტორიულს ამბავს წინდაწინვე თავისი ადგილი და „რიგი“ ჰქონდა განკუთვნილი ისე, რომ ავტორს შეეძლო ეთქვა ესა და ეს ცნობა „ზემორ“, ან „ქვემორე რიგსა მისსა ზედა დავგიწერია“-ო (სწავ. კაცნი 275_{37}).

გეგმით, თხრობის წეს-რიგით იდებოდა ის „საზღვარი სიტყვსაჲ“ (ბ. ზარზმელი 68_{35}) და „სიტყუათა სარბიელი“ (გ. ხუცეს-მონაზონი $86_{7,29}$; 89_{13}), რომელიც საისტორიო ნაშრომს გარკვეულს შინაარსს აძლევდა და მოთხრობილის ასპარეზს შემოუფარგლავდა ხოლმე. თხრობის წესი ამასთანავე საისტორიო თხზულების შინაარსის თვით მიმდინარეობასაც არკვევდა. ამ წესით იყო განსაზღვრული „გზა სიტყუისა“ (გ. ხუცეს-მონაზონი $89_{5,9}$), რომლისაგან გადახვევა, „წიაღსლვაჲ“ (ბ. ზარზმელი 69_{5}) და „მცირედ გარდაბიჯება“-ც-კი (ჟამთააღმწერელი $211_{30-31, 33-34}$) მხოლოდ განსაკუთრებულ, საპატიო მიზეზის გამო შეიძლებოდა. კარგსა და დახელოვნებულს ისტორიკოსს განზრახულ გეგმისაებრ უნდა განეხორციელებინა დაწყობილი საქმე, უნდა ყოფილიყო „უმარჯულო და უმარცხულო მავალი გზებისა“ (თამარ მეფ. ისტორიკოსი 187_{29-30}) იმიტომ, რომ ხშირი და უმიზეზო „გზისა გარდაქცეულობაჲ“ (თამარ მეფ. ისტორიკოსი 187_{30}) ისტორიკოსისათვის სააუგოდ ითვლებოდა (187_{30}): მას მტკიცედ უნდა „ეპყრა წესი თხრობისა“, მაინცდამაინც ბასილ ზარზმელის სიტყვები „ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა“-ო (70_{5}) მუდამ უნდა ხსომებოდა.

ხოლო თუ რომელისამე აზრის ცხოველმყოფელობისათვის, რომ რომელიმე აზრი ან გარემოება „უმეტეს გამოცხადდეს“ (ბ. ზარზმელი 69_{27-29}), საისტორიო მოთხრობის პირდაპირ მიმდინარეობის ცოტაოდენად შეცვლა, „გზისა მცირედ გარდაბიჯება“ და „წიაღსლვაჲ“ აუცილებლად საჭირო იყო ხოლმე, მაშინ ისტორიკოსი მოვალე იყო ეს გარემოება შემდეგში არც თითონ დავიწყებოდა და შესაფერ ადგილას მკითხველისათვისაც გაეხსენებინა. ამიტომაც არის, რომ ბ. ზარზმელი ამგვარს შემთხვევებში ამბობდა ხოლმე: „ხოლო აწ კუალად აღვიდინ სიტყუაჲ ჩუენი პირველდაწყებულთა სიტყუათა“, ან არა და „გბულგებოის... კუალად ქცევად საზღვართავე თჳსთა სიტყუასა“-ო (69_{36-38}). გ. ხუცეს-მონაზონიც ყოველთვის უმატებდა ხოლმე, ეხლა-კი „მე სარბიელსავე სიტყუათა ჩემთასა ვიდოდი“-ო (86_{27-31}). რაკი შეწყვეტილს მოთხრობას „ზემოდატევებული ამბავი“ ეწოდებოდა, ხო-

ლო ის, რაც ისტორიკოსს კიდევ მოსათხრობად დარჩა, იყო „ნეშტი თხრობისაჲ“, ამიტომ როდესაც შეწყვეტილს მოთხრობას განაახლებდნენ ხოლმე, ასე ამბობდნენ: ეხლა-კი „ზემოდატევებული ამბავი აღმართმაბიჯებელთა კვალად ვიწყოთ“-ო (ჟამთააღმწერელი 211_{25}—$_{26}$), „ამიერ კუალად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისაჲ და პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ“-ო (ბ. ზარზმელი 69_{35}—$_{36}$, 69_{32}).

მე-XIV-ე საუკუნის ქართველს ჟამთააღმწერელსაც-კი ეს სამეთოდოლოგიო მოთხოვნილება მტკიცედ აქვს დაცული და შესატყვისს შემთხვევებში ამბობდა ხოლმე: „ხოლო ჩუენ, გზისა მცირედ გარდამაბიჯებელნი, კვალად მოგზაურ ვიქმენით“, „ხოლო ჩუენ პირველი გზა აღვლოთ მცირედ კერძო გადამაბიჯებელთა“-ო (211_{30}—$_{31}$, $_{33}$—$_{34}$ აგრეთვე $_{25}$—$_{30}$).

ზემომოყვანილ მაგალითიბის და ტერმინების შინაარსი და მნიშვნელობა რომ სრულის სისწორით შევიგნოთ, უნდა ვიცოდეთ, თუ რა მნიშვნელობით იხმარებოდა ძველად ტერმინი „სიტყუაჲ“. ძველ ქართულში მას უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მას შემდეგში, დროთა განმავლობაში მიენიჭა. „სიტყუაჲ“ ეწოდებოდა ლაპარაკს, თხრობას, გამოთქმულს აზრს, საუბარს. ხოლო იმას, რასაც ჩვენ ეხლა სიტყვას ვუწოდებთ, მაშინ „ლექსი“ ეწოდებოდა, „ლექსი სიტყჳსაჲ“ (ბ. ზარზმელი 69_{6}). წ-ა ნინოზე შატბერდისეულს ცხოვრებაში მაგ. ნათქვამია, „იწყო სიტყუად (ე. ი. ლაპარაკი) წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“-ო (33_{21}). ბ. ზარზმელი თავის თხზულებაში ამბობს: „იწყებს სიტყუაჲ (ე. ი. მოთხრობა) დასაბამსა ცხორებისა“ სერაპიონისასა-ო (67_{37}). იოანე საბანის ძეც აბო ტფილელის დღესასწაულზე ეკლესიაში მყოფ მლოცველებს ასე სთხოვდა, გულდასმით მოისმინეთ ჩემი ნალაპარაკევი, „რათა არა ცუდად დავშურეთ—მე სიტყჳთა (ე. ი. ლაპარაკით). ხოლო თქვენ სმენითა“-ო (3_{16}—$_{17}$).

ამისდა გვარად „საზღვარი სიტყჳსაჲ“ — მოთხრობის საზღვარს, „სიტყუათა სარბიელი“ — მოთხრობის ასპარეზს, „გზა სიტყუისა“ მოთხრობის გზას, ან მიმართულებასა ნიშნავდა. როდესაც ბ. ზარზმელი ამბობს: „სხუად იცვალების ლექსი სიტყჳსა“ (69_{29}), ამით მას უნდოდა ეთქვა, რომ ჩემი მოთხრობის სიტყვა ეხლა შეიცვლება და სხვა საგანს შეეხებაო. აგრეთვე როდესაც თამარ მეფის ისტორიკოსი აცხადებს, რა წამს თამრის დიდებულ საქმეთა აღწერამდე მოვიწიე, მაშინვე „უკმოსა და უგონებოსა მსგავსი ვიპოვები უმეტრებითა ლექსთა მეტყუელებად“-ო (185), ეს იმასა ნიშნავს, რომ ჩემს თავს ისე ვგრძნობ, თითქოს უმეცრებით მხოლოდ სიტყვებს ვამბობდეო.

მაგრამ ეფრემ მცირეს თხზულებებითგანა სჩანს, რომ ამ ტერმინს „სიტყუაჲ“ XI ს. უკვე ის მნიშვნელობაც მინიჭებული ჰქონია, როგორადაც იგი თანამედროვე საუბარსა და მწერლობაში ჩვეულებრივ იხმარება. როდესაც მაგ. ეფრემ მცირე საწინასწარმეტყველო წიგნთა თარგმანს იწონებს და აქებს, იქ

„სიტყუაჲ სიტყჳსა ნაცვალ შედარებულის ბრძნულისა“-თ (94$_{4}$); ამ შემთხვევაში „სიტყუაჲ“ იმნაირადვე უნდა გავიგოთ, როგორც ეხლა გვესმის: იმდენად ზედმიწევნით არის ნათარგმნი რომ ლექსის თვითოეული ბერძნული სიტყვა არის ქართულად გარდმოცემული.

გარგად არის შენახული აგრეთვე საისტორიო თხზულებათა ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინები. ყოველს საისტორიო ნაწარმოებს აქვს სათაური „ზედწარწერილი“ (ეფრემ მცირე 93$_{22}$), „შესავალი თხრობისა“ (არსენი კათოლიკოზი 108$_{14}$), რომელიც ლათინურს „exordium“-ს უდრის, „დასაბამი“, „დასაბამი თხრობისა“ (ი. ზარზმელი 68$_{31}$) ან ცხორებისა; „თხრობაჲ“ (=narratio-ს) და „დასასრული“, „დასასრული თხრობისა“ (ი. ზარზმელი 68$_{36}$, 69$_{20}$).

საისტორიო თხზულების შინაარსი შესდგებოდა ან თხრობათა, ან მოთხრობისა, ან სიტყუათაგან ან სხვადასხვა „ამბავი“-საგან (ჟამთააღმწერელი 211$_{25-26}$). გიორგი ხუცეს-მონაზონი ამბობს: „სანატრელ იყო უკეთუმცა ამას ჰორსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობაჲ ჩემი“-თ (89$_{10-11}$).

თვით შინაარსის და მოთხრობის უკვე აღწერილს ნაწილს ეწოდებოდა „პირველდაწყებული სიტყუაჲ“ (ბ. ზარზმელი 69$_{32-33, 36}$), ან მარტივად „პირველი სიტყუაჲ“ (გ. მერჩულე 58$_{2}$; გ. ხუცეს-მონაზონი 86$_{28}$). ხოლო ჯერ მოსათხრობს ნაწილს „წინამდებარე სიტყუაჲ“ (მ˜ქცე ქ˜ჲ 144$_{13}$, დავით აღმ. ისტორიკოსი 156$_{13}$, თამარ მეფ. ისტორიკოსი 168$_{9,12}$), ან კიდევ „ქუემორე სიტყუა“ (ჟამთააღმწერელი 194$_{9, 19-20, 26-27}$, 195$_{23-24}$) ერქვა. „ქვემორე სიტყუა“-ს გარდა რასაკვირველია არსებობდა ტერმინი „ზემორე სიტყვაც“ და „ზემოხსენებული“-ც (ჟამთააღმწერელი 211$_{32}$).

რაკი ისტორიკოსების თავიანთ თხზულების გეგმა წინდაწინვე შედგენილი და გათვალისწინებული ჰქონდათ, ამიტომ სათანადო ადგილას მათ შეეძლოთ ეთქვათ: ესადაეს გარემოება, ესადაეს ამბები თავის დროს „წინამდებარემან სიტყუამან ცხად-ყოს“-ო (დავით აღმ. ისტორიკოსი 156$_{13}$), „ქვემორე სიტყვამან ცხადყოს“-ო (ჟამთააღმწერელი 194$_{19-20, 26-27}$, 195$_{19}$), „ქვემორე სიტყვამან საცნაურ ყოს“-ო (იგივე 194$_{9}$), „ზემორ (ესადაეს) აღვჳწეროა და შემდგომად (ესადაეს) ვაჴსენოთ“-ო (იგივე 211$_{30}$).

ბევრი სხვადასხვა სიტყვა იხმარებოდა ძველ ქართულ მწერლობაში საისტორიო თხრულების შემოქმედების გამოსახატავად და აღსანიშნავად. ჩვეულებრივ და სხვებზე უფრო ხშირად მიღებული იყო ტერმინი „აღწერაჲ“, „აღწერა“. მაგ. კონსტანტინე-კახაჲს მარტჳლობის ავტორი თავის თავზე ამბობს: „აღვსწერე ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტინე[ჲ]სი“-ო (203$_{9-40}$). არსენი კათოლიკოზიც აცხადებს, რომ „განყოფაჲ სომეხთა ქართლისაგან... აღვწერე წიგნსა ამას შინა“-ო (261$_{9}$).

არსებობდა „წიგნი ქართლის მოქცევისაჲ გრიგოლ დიაკონის მიერ აღწერილი“ (39_{7}). გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ავტორი გიორგი მერჩულე იყო „აღმწერელი“ (48_{3}) „წიგნისა“. გიორგი მთაწმიდელიც თავის თავზე ამბობს: „აღვჳწერეთ... რაჲ იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან“-ო (76_{33-34}), იოანე და ეფთჳმეს „ცხორებაჲ“ იყო „აღწერილი გიორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა“ (73_{5-7}). ზოგჯერ „აღწერა“-ს მაგიერ ამბობდნენ: „მისცა აღწერასა“-ო (დავით აღმ. ისტორიკოსი 159_{13}).

ამისდა გვარად არის წარმომდგარი ტერმინი „აღმწერელი ჰამბავისა“ (ეფრემ მცირე 105_{22}) და თვით საისტორიო მწერლობის მოღვაწეობის აღმნიშვნელი „ისტორიათა აღმწერელობა“ (თამარ მეფ. ისტორიკოსი 185_{28-29}). ტერმინი „აღწერა“ ჩვეულებრივად საისტორიო-სამწერლობო შემოქმედების აღსანიშნავად და ყველა ისტორიკოსები ხმარობდნენ (იხ. კიდევ გ. ხუცეს-მონაზონი 86_{1}, დავით აღმ. ისტორიკოსი 159_{2}, ჟამთააღმწერელი 211_{20}, სწავლულნი კაცნი 275_{33}, 280_{35}).

ამავე მნიშვნელობით იხმარებოდა სიტყვა „მოთხრობა“-ც. თამარ მეფის ისტორიკოსი მაგ. თავის თავზე ამბობს: დიდებულ მეფის „ქებულთა საქმეთა... მომთხრობელად მოწევნული“ (170_{27-29}) ჩემს თავს უძლურად ვგრძნობო. იგივე ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ გიორგი III-ის მეფობის ყველა ამბები რომ ისტორიკოსმა დაწვრილებით „კელყოს მოთხრობად, საწყინომცა იქმნას აღწერილი (მისი) განგრძობითა“-ო (188_{4-5}). საგულისხმიეროა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „დავიწყოთ მოთხრობათ“-ს მაგიერ ამბობს „მივსცეთ თხრობასა“-ო (161_{27}).

მოთხრობის გარდა „მითხრობა“-საც ხმარობდნენ ხოლმე. მაგ. გ. ხუცეს-მონაზონი ამბობს, გიორგი მთაწმიდელის ხახულში მოსვლისა, სწავლისა და განათლების შესახებ „სულ მცირედ და მოკლედ მიგითხრა“-ო (86_{11-12}).

მაგრამ უფრო ხშირად ტერმინს „მოთხრობა“-ს მაშინ ხმარობდნენ ხოლმე, როდესაც ამა-თუ-იმ საისტორიო ნაწარმოების შესახებ სხვები მსჯელობდნენ ხოლმე. არსენ კათოლიკოზს შატბერდისეულ წ~ა ნინოს ცხორებისა და ლ. მროველის თხზულების დათავსების დროს აღნიშნული აქვს, რომ ამ ორ შრომაში ქართლის მოქცევისა და წ~ა ნინოს თავგადასავლის ამბები „რომელნიმე თჳთ მის წმიდისაგან (ე. ი. ნინოსგან) მოთხრობილად, სხუაჲ იაკობ მღვდლისაგან, სხუაჲ აბიათარისაგან, სხუა კუალად სიდონიაჲსაგან“ არის გამოყვანილიო (37_{15-16}). ვახტანგ მეფის „სწავლულნი კაცნი“ ამბობენ: კონსტანტინე მეფე ბაგრატის ძე იყო და კეთილად იმეფა, „ვითარცა ცხოვრება მისი მოგვითხრობს“-ო (279_{6-7}).

აღწერისა და მოთხრობის გარდა საისტორიო-სამწერლობო მოქმედების აღსანიშნავად ხმარობდენ ხოლმე აგრეთვე ტერმინების „წარმოთქმა“, „წარმოჩენა“, „უწყებაჲ“ და „კსენება“. თვითოეულს მათგანს საზოგადო სა-

რით მნიშვნელოვანებას გარდა თავის კერძო და განსაკუთრებული ელფერიც აქვს და განსაკუთრებულ აზრის გამომხატველიცაა.

„წარმოთქმა“-ს ამბავის გარდმოცემის მნიშვნელობა აქვს. მაგ. გ. ხუცეს-მონაზონს იქ, სადაც თავდება გიორგი მთაწმიდელის პაექრობის ამბავი ანტიოქიის სამღვდელოებასთან, ნათქვამი აქვს: „აქამომდე არს პატრიარქისა მიმართ სიტყჳსგებისა და სიყვარულისა მისისა მიმართ წარმოთქმა“-ო ($86_{14—16}$). სხვაგანაც იმავე ავტორს არა ერთხელ აღნიშნული აქვს: მოსათხრობი ამბავი „წარმოვთქუ ფრიად მოკლედ და სულ მცირედ“-ო ($87_{10—11}$). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ამტკიცებს, არისტოტელმა „ალექსანდრესნი (მაკედონელისა) წარმოთქუნა მჴნეკაცებანი და ძლევანი“ ($159_{10—11}$). თუ მკითხველი დავით აღმაშენებლის „საღმრთოთა და საერთა სათნოებათა“ სიდიადეს გაითვალისწინებს, მან იქმნებ დიდებულ მეფის „ჴორციელნი საქმენი წარმოთქმულნი... არარად პოვნეს“-ო, ამბობს მისივე ისტორიკოსი ($161_{14—15}$).

„წარმოჩენა“ ისტორიულ ამბავის შეძლებისაებრ მკაფიოდ გარდმოცემას უნდა ნიშნავდეს. დავით აღმაშენებლის ცხოვრების აღმწერს ერთგან ნათქვამი აქვს: ზემოთქმული „მცირედითა... სიტყჳთა წარმოგვიჩენია დიდთა და მოსათხრობად შეუძლებელთა საქმეთაგან“-ო ($161_{23—25}$). ნიკოლოზ კათოლიკოზიც ამბობს: „თჳთეულადცა უკვე წარმოვაჩინე შემსგავსებულებანი ნათესავ-ტომობისა თჳთოეულისა“-ო ($158_{24—25}$).

ეს სიტყვა ბატონიშვილს ვახუშტისაც აქვს ნახმარი, მაგრამ განსაკუთრებულ ტერმინად. ის სახელდობრ თარიღების „წარმოჩენა“-ზე (287_{25}, 288_{2}) გამორკვევაზე ლაპარაკობს.

„უწყებაჲ“ შედარებით იშვიათად იხმარება. გიორგი მთაწმიდელს თავის თხზულების სათაურში აღნიშნული აქვს, რომ მის საისტორიო შრომაში აღწერილია იოანე და ეფთჳმეს ცხოვრება და ამასთანავე მოიპოვება „უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“ (73_{6}). ჩვეულებრივ ამ ტერმინს თვით ისტორიკოსები ხმარობდნენ, როდესაც ისინი მკითხველს მიჰმართავდნენ ხოლმე. გიორგი ხუცეს-მონაზონი მაგ. ამბობს: გიორგი მთაწმიდელი ეროვნებით ქართველი იყო, მამით მესხი, ხოლო „თჳთ აღმოცენდა იგი ქუეყანასა თრიალეთისასა, ვითარცა პირმან საქმისამან გაუწყოს“-ო ($86_{20—21}$). საზოგადოდ გიორგი ხუცეს-მონაზონი ცდილობდა მოკლედ დაეწერა თავის ნაწარმოები და ამიტომ ხშირად ამბების მხოლოდ „მცირედი უწყებაჲ“ მოჰყავდა (87_{13}). თამარ მეფის ისტორიკოსიც აცხადებს, თამარის „მკჳრცხლ-მოქმედებანი“ და სამკვდრო გამჭრიახობა „წინამდებარისაგან ეუწყენ მსმენელთა“-ო (168_{9}).

ტერმინს „ჴსენება“-ს უწყებასავით უფრო თვით ისტორიკოსები ხმარობდნენ და ამა თუ იმ საისტორიო ცნობის აღნიშვნას, აღნუსხვას ეწოდებოდა. გ.

ხუცეს-მონაზონი მაგ. ამბობს: „ესე ამისთჳს ვაკსენეთ რათა სცნათ“ შემდეგი გარემოებათა (86$_{26}$). თამარ მეფის მაღალ ზნეობისა და სათნოების დასამტკიცებლად „ერთი ოდენ (მაგალითი) ვაკსენოთ“-ო, ამბობს მისი ისტორიკოსი (189$_{12}$). ჟამთააღმწერელსაც ერთგან ნათქვამი აქვს: „ზემორ“ სარგისის მოღვაწეობა გვქონდა აღწერილი, ხოლო „შემდგომად ვაკსენოთ“ მისი შვილი ბექა (211$_{20}$).

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ მხოლოდ თამარ მეფის ისტორიკოსს, ისიც ერთხელ, ნახმარი აქვს საისტორიო მოთხრობის აღწერის აღსანიშნავად „გარდავსცე ისტორიასა“-ო (179$_{29}$). თავის თავზე მას ნათქვამი აქვს: „აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ... მასმიან, გარდავსცე ისტორიას“-ო.

იმ საზოგადოდ მიღებულსა და ჩვეულებრივს ტერმინს („აღმწერელი“) გარდა, რომელიც ძველად ისტორიკოსისა და მემატიანეს სახელად იხმარებოდა, კიდევ შემდეგი ტერმინები გვხდება:

იოანე საბანის ძეს ნახმარი აქვს „გამომთქმელი“ (12$_{1}$).

თამარ მეფის ისტორიკოსის სიტყვით ტერმინი „მომთხრობელი“-ც (170$_{25}$) ისტორიკოსს უნდა ნიშნავდეს და ამას ერთი ქვემომოყვანილი ორნაწილედი რთული ტერმინიც ცხად-ჰყოფს.

მე-XIV-ე საუკ. ისტორიკოსს ისტორიკოსის აღსანიშნავად „ჟამთააღმწერელი“ (197$_{8}$) აქვს მოხსენებული.

იმავე ავტორს კიდევ ორი ტერმინები მოეპოვება: ერთია „მრავალმომთხრობელი“ (197$_{30}$), რომელიც ბერძნულს პოლჳისტორს უდრის. მაშასადამე აქაც, ამ ორნაწილედს სიტყვაშიც, „მომთხრობელი“ ბერძნულს „ჰისტორ“-ს ეთანასწორება. მეორეა „ყოველთააღმწერელი“ (197$_{30-31}$), რომელიც იქმნებ ბერძნულს „პოლჳგრაფოს“-ს უდრიდეს.

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში მოხსენებულია ტერმინი „სიტყჳს-მოქმედი“ (170$_{32}$,—171$_{1}$, 182$_{32}$—183$_{14}$). ეს სიტყვა ბერძნული „ლოგოპოიოს“-ის თარგმანი და შესატყვისობა უნდა იყოს, რაც ისტორიკოსს ნიშნავდა.

დასასრულ ბატონიშვილი ვახუშტის თხზულება ამტკიცებს, რომ მის დროს იხმარებოდა აგრეთვე ტერმინი „მემატიანე“ (289$_{28}$), როგორც საზოგადო სახელი ისტორიკოსებისა და ჟამთააღმწერელთა აღსანიშნავად.

რაკი ყოველი საისტორიო ნაწარმოები იყო „სიტყჳს-მიერი გამოხატვაჲ ვრცელისა... ცხორებისაჲ“ (ბ. ზარზმელი 67$_{23}$—$_{24}$) ერთი რომელისამე მოღვაწისა, ან „მოქალაქეთა“ ერთ რომელისამე ჯგუფისა, ან და მთელ ქვეყნისა და სამეფოსი, ამიტომ ისტორიის დაწერა სხვადასხვა გვარად შეიძლებოდა: ვრცლადაც ისე, რომ საისტორიო თხზულებაში „ყოველივე სახე ცხორებისა“ (გ. ხუცეს-მონაზონი 85$_{29}$—$_{30}$) სრულად აღწერილი ყოფილიყო, ან მოკლედ ისე, რომ მხოლოდ ცხოვრების უმთავრესი მოვლენა ყოფი-

ლიყო წარმოჩენილი. ამისდა მიხედვით საისტორიო და სხვა ძეგლები სხვა-დასხვა თვისებისა და ზომისა იყვნენ. თეორიულად ეს საკითხი გამოჩენილს ქართველს მეცნიერს ეფრემ მცირესა აქვს გასაოცარის ზედმიწევნითა და სამაგალითო „გამოწვლილვით" განხილული და თვითოეული მოვლენისათვისაც შესატყვისი ტერმინი აქვს მოყვანილი. ეფრემ მცირეს შესახებ ქვემოთმოყვანილს მონოგრაფიულს გამოკვლევაში მისი დიდი ღვაწლი ამ მხრივ და ყველა მისი ტერმინებიც შეძლებისაებრ ვრცლად არის განხილული და ამიტომ აქ ამაზე მეტს აღარას ვიტყვი: უკეთესია თვით მკითხველმა გულდასმით გადიკითხოს შესატყვისი ფურცლები და ეფრემ მცირეს დიდ სამეცნიერო ნიჭით დასტკბეს (იხ. 97_{10-23}, 103_{27}—104_{8}, 104_{36}—108_{19}).

ყოველ საისტორიო ნაწარმოების უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ „ცხორების" ამბავი და მოღვაწის „საქმენი" სინამდვილით აღწერილი ყოფილიყო. ამიტომ თვითოეული ისტორიკოსის თავიდათავი საზრუნავი „საქმენი" იყო. მას „ნივთნი საქმეთანი" უნდა ჰქონოდა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 159_{13}) ანუ, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, მას „ნივთად თხრობათა საქმენი" (იგივე 159_{20}) უნდა ჰქონოდა „კმად მისათხრობლად" (იგივე 159_{14}).

როდესაც ისტორიის აღმწერელს სანდო და საკმარისი მასალა და „ნივთი თხრობათა" შეგროვილი ჰქონდა იმ გზით და მეთოდებით, რომლის შესახებაც ზევით იყო უკვე საუბარი, მას შეეძლო თვისი მოთხრობის აღწერა დაეწყო: ყოველი ცნობა რომელიც მას მოეპოვებოდა და „უწყებული" (გ. ხუცეს-მონაზონი 87_{20-21}) გაეთვალისწინებინა, ყველა ცნობები და მასალები „ვითარცა ჯაჭვ ოქროსა ერთობით შეთხზული" (იგივე 87_{22}) ერთი ერთმანერთზე გადაება და ასე „ერთობით" შეერთებინა „თხრობაჲ" (იგივე 87_{21}).

საისტორიო თხზულების მოთხრობა უნდა რასაკვირველია „შემდგომითი შემდგომად" (ც˜ჲ კოსტანტინე კახჲსი, აქვე 20_{30}, ბ. ზარზმელი $68_{27-28, 38}$), დალაგებით ყოფილიყო აღწერილი, რომ ავტორს „მრავალკეცი თანაღრეულობა ჰამბავსა" (არსენი კათოლიკოზი 107_{38},—108_{1}) არ შეჰპაროდა და „იგივე-და-ერთი პირი" ერთი და იგივე ამბავი ან ცნობა სხვადასხვა ადგილას „შეუწყობლად და განბნეულად" (იგივე 107_{22}) გამეორებული არ ყოფილიყო.

საგულისხმიეროა რომ ქართველი ისტორიკოსები საისტორიო ნაწარმოების გარეგან მხარესაც ჯეროვანს ყურადღებას აქცევდნენ.

ეფრემ მცირეს და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებათა განხილვამ დაგვარწმუნა სახელდობრ, რომ ქართულ საისტორიო მწერლობის მოძღვრებისდა თანახმად ნამდვილ ღირსეულ ისტორიკოსისათვის სააუგო იყო, თუ რომ მისი თხზულება „სოფლურითა" და „ლიტონითა სიტყვთა აღწერილი" იქმნებოდა. მას არ შეეძლო თავის ნაწარმოების გარეგან მხარესთვის არავითარი ყურადღება არ მიექცია, „სიტყუათათჳს არამოღუაწე-ქმნილი" ყოფილიყო, ამბავი „სიმარტივისა შინა" აეწერა. არა,

ყოველს ისტორიკოსს შესაფერისი ხელოვნება უნდა გამოეჩინა (ეფრემ მცირე (105—106). როგორც საისტორიო თხზულებაში „უშვერისა რასმე“ მოთხრობა „არა საკადრებელ“ იყო (ჟამთააღმწერელი 198_{4}), ისევე განათლებულმა ქართველმა ისტორიკოსმა კარგად იცოდა, რომ სამაგალითო საისტორიო ნაწარმოების „სოფლურითა და უშვერითა სიტყუთა“ (ეფრემ მცირე 105_{15}) აღწერა არ შეიძლებოდა.

სამაგალითოდ მიჩნეული ყოფილა, თუ ისტორიკოსი თავის თხზულებას დასწერდა „კელოვნებითა რიტორობისათა“ და „ჯეროვანად რიტორობისა“. მაგრამ მოთხრობის ამგვარი შეფერადება სათანადოდ მხოლოდ მაშინ ითვლებოდა, როდესაც ისტორიკოსს „ნივთნი საქმეთანი“ ჰქონდა „კმად მისათხრობელად“ (დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი 159—160 და ეფრემ მცირე, 105—107, არსენი კათალიკოზი 107—108) და მხოლოდ „საქმისა შესატყვსსა აღმკულობას“ (თამარ მეფის ისტორიკოსი 179_{27-28}) კადრულობდა. ტყუილ-უბრალოდ სიტყვების რახა-რუხი და გაზვიადებული, ტლანქი მოქარგულობა ქართულ მწერლობაში დაგმობილი ყოფილა და არცა გვხვდება.

გარკვეული შეხედულება გაბატონებული ყოფილა თურმე ქართულ მწერლობაში აგრეთვე სამაგალითო საისტორიო თხზულების სიგრძე-რაოდენობის შესახებ. უკვე კონსტინე-კახაჲს ც̃ისა და წამების აღმწერელის სიტყვებიდან სჩანს, რამდენად ამ მხრივ ძნელი და რთული მოთხოვნილება ყოფილა წამოყენებული. ყოველი კარგი საისტორიო ნაწარმოები ავტორს ისე უნდა დაეწერა, რომ საისტორიო მოთხრობა „არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითა“ (21_{5-6}). რადგან ქართველ ისტორიკოსებს მუდამ ხსომებიათ, რომ თუ ისტორიკოსმა „თვითოეულისა კელყო მოთხრობად, საწყინომცა იქმნას აღწერილი განგრძობითა“ (თამარ მეფ. ისტ. 188_{4-5}), ამიტომ ქართველ ისტორიკოსებს თავიანთ თხზულების „წიგნისა განგრძობისა“. განსაკუთრებით „ფრიადი განგრძობისა“ ჰშინებიათ (გიორგი მერჩული 54_{26}—55_{11}) და ცდილობდნენ, რომ მათი ნაშრომი ადვილი წასაკითხავი ყოფილიყო და „ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა“ არ გამხდარიყო (გიორგი მერჩ. 55_{16}). წერის დროს იმაზეც ფიქრობდნენ „რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა“-ო (გ. მთაწმიდელი 80_{19-20}).

ამის გამო, რომ ქართველს მემატიანეებს და ისტორიკოსებს მუდამ აღნიშნული აქვთ, ჩვენს თხზულებაში ყველაფერი-კი არ არის დაწვრილებით აღნუსხული, არამედ „მრავლისაგან მცირედი აღიწერა“-ო (ც̃ჲ კონსტ.-კახაჲსი 21_{5}). მატიანე ქართლისაჲს შემდგენელი აცხადებს, რომ თვითოეულად აღწერის მაგიერ „მცირედ წარმოვთქჳ“-ო (148_{27}), ხოლო დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი ამბობს: „მცირედი მრავლისაგან... მივსცეთ თხრობასა“-ო, „მცირედი მრავლისაგან გვითქუამს“-ო (დავით აღმ. ისტ. 161_{26-27}, 162_{16}),

„მცირედითა, ყოვლად კნინითა სიტყვთა წარმოგვიჩენია“ ჩვენი აზრით (იქვე 161_{23}—$_{24}$). ისეთი ისტორიკოსებიც-კი, რომელთაც საკმაოდ მოზრდილი თხზულება აქვთ დაწერილი, იმათაც ნათქვამი აქვთ, რომ „შეუძლებელ არს მოთხრობად თჳთეულისა“ (ჟამთააღმწერელი 213_{6}) იმიტომ, რომ „თჳთეულად წარმოთქმა გრძელ არს“, საამისოდ-კი „არა არს ჟამი მოთხრობად“ (იგივე $212_{35, 37}$).

თუმცა ყველა ქართველი ისტორიკოსები, მათ შორის ქ˜ცის კრებულში შეტანილნიც, როგორც ნათლად დავრწმუნდით, ცდილან, რომ მათი თხზულება მეტად გრძელი და მოსაწყენი არ გამოსულიყო, მაგრამ ბატონიშვილმა ვახუშტიმა ზოგი მათგანი მაინც დაიწუნა: მოქმედების აღწერილობა „გავრცელებული“ა და მოთხრობა შევამოკლე, რომ ისტორია „მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელად იყოს“-ო (287_{14}—$_{15}$).

ცოტაოდენი ცნობები თხზულებათა წერის გარეგან ტეხნიკის შესახებაც მოიპოვება. გარეგნულად ყოველი საისტორიო თხზულებაც უპირველესად „წიგნი“ იყო. მაგ. მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შატბერდისეულს ხელთნაწერში წიგნად იწოდება, ანდერძში სახელდობრ სწერია: „წიგნი ქართლისა მოქცევისა ესე“-ო (34_{16}—17). იაკობ დიაკონის მიერ შედგენილ თხზულების შესახებ ნათქვამია: მცირე, მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისა“-ო (39_{17}—$_{18}$). გიორგი მერჩულის ნაწარმოებიც „წიგნად“ იწოდება (48_{4}) და თვით ავტორიც ერთგან ამბობს გრიგოლის იერუსალიმელ მოწაფეების ეპისტოლე „შთავწერე წიგნსა ამას შინა... შეუცვალებელად“-ო (54_{4}—$_{5}$), ხოლო მეორეგან გვამცნებს, რომ დიდ იაკობ მიჯნაძოროელის შესახებ ჩემს თხზულებაში ცნობები იმიტომ ვერ შევიტანე, რაკი, „წიგნისა ამის განგრძობისა“ მეშინოდაო (55_{4}—$_{5}$). ქ˜ცაში შეტანილ ქართულ საისტორიო თხზულებათა შესახებაც ანა დ˜ფლის ხელთნაწერშიაცა და მ˜მ დ˜ფლს ხელთნაწერშიაც ნათქვამია: „ბუებრძანა ...ამათ წიგნთა აღწერა“-ო (266_{30}), „იწერებიან... ესე წიგნნი“-ო[1] (266_{32}).

თვითეულს „წიგნს“ ჩვეულებრივ თავისი „ანდერძი“ უნდა ჰქონოდა ხოლმე, რომელშიაც ცნობები იყო მოთავსებული თხზულებისა და ავტორის შესახებ. გიორგი მთაწმიდელის სიტყვებითგან მაგ. მტკიცდება, რომ ვისაც სჭირდებოდა ცნობები იოანე მთაწმიდელის განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ შვილის წინაშე, მას უნდა გადაეკითხა თვით უფთჳმეს „მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი“ (81_{11}—$_{12}$). გიორგი ხუცესმონაზონის თხზულებითგანაც სჩანს, რომ გიორგი მთაწმიდელის ყოველს შრომას თავისი „ანდერძი“ ჰქონია (ც˜ჲ გ˜ი მთწ˜მდლისჲ 311).

დასასრულ საგულისხმიეროა, რომ ზოგს საეკლესიოდ დაწერილს ქართულს წიგნებში უკვე მე-XI-ე საუკ.-ში „წიგნის ბოლოსა“ დართული ყო-

---

[1]) „წიგნი“ ბევრ სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა, მაგრამ ამის შესახებ ამ თხზულების მეორე წიგნში იქმნება ლაპარაკი.

ფილა „თითოეულისა წიგნისა ზანდუკი“. ვინც-კი მოინდომებდა, რომ წინასწარ გაეგო „ძალი თითოეულისა წიგნისაჲ, თუ რაჲ სწერია“ მასში, აიღებდა გადიკითხავდა „ზანდუკს“ და იქ „პოოს აღრიცხულად და განმარტებულად“ თვითოეული თხზულების შინაარსით (იქვე). მაშასადამე სიტყვა „ზანდუკი“ ეხლანდელს სარჩევს უდრის.

რაკი იმ საკითხების გამორკვევას მოვრჩით, რომელნიც ძველ ქართულ ისტორიათაღმწერელობის მეთოდოლოგიურს, ტერმინოლოგიურსა და ტეხნიკურს დარგებს ეხება, ეხლა მოკლე საზოგადო მიმოხილვაღა დაგვრჩა ქართულ საისტორიო მწერლობის დასახასიათებლად.

როგორც საეკლესიო საისტორიო დარგითგან, ისე სამოქალაქოთგან ჩვენამდის რასაკვირველია მხოლოდ მცირედმა ნაწილმა მოაღწია. უეჭველია მომავალში, როდესაც კერძო პირთა ხელში მყოფი ხელთნაწერები ქართულ მუზეუმებსა და წიგნსაცავებში იქმნება შეკრებული და ყველა ხელთნაწერები დაწვრილებით შესწავლილი და აღწერილი იქმნება, არა ერთი და ორი ახალი ძეგლი აღმოჩნდება, მაგრამ მომეტებული მათგანი დროთა განმავლობაში მაინც სამუდამოდ დაკარგულად უნდა ჩაითვალოს.

სამწუხაროა, რომ იმათგანაც რაც შეგვრჩა და მუზეუმებში ინახება, ჯერ კიდევ ცოტა არის გამოცემული. პრ. ნ. მარრის სამაგალითოდ გამოცემულ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას გარდა სხვა არც ერთ მარტვილობისა და ცხოვრების ღირსეული სამეცნიერო გამოცემა ჯერ არ მოგვეპოვება. სირცხვილი ქართულ თანამედროვე საისტორიო მეცნიერებას რომ მ. საბინინის უვარგის გამოცემისა („საქარ. სამოთხე“) და ორიოდე სხვა მდარე ღირსების გამოცემის გარდა ქართველ მარტვილთა და წმიდათა ცხოვრებათა ერთი ხეირიანი მეცნიერული გამოცემა არ მოგვეპოვება.

სამოქალაქო საისტორიო ძეგლების გამოცემა შედარებით უკეთესს მდგომარეობაშია წინათ მ. ბროსსეს, დ. ჩუბინაშვილის და ეხლა ე. თაყაიშვილის გამოცემათა წყალობით. განსაკუთრებით მ˜მ დ˜ვლ ქ˜ცისა, შატბერდისეულ და ჭელიშისეულ წ˜ა ნინოს ცხოვრებათა, სუმბატის თხზულებისა, მესხურ დავითნის მატიანისა და ქ˜ცის გადაკეთებულ გაგრძელების ტექსტების გამოცემით ე. თაყაიშვილმა თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებას დიდი სამსახური გაუწია და ყოველს მკითხველს და მკვლევარს საშუალება მისცა ქართულ საისტორიო წყაროების შესწავლას შესდგომოდა.

მაგრამ ყველა ეს გამოცემებიც შეიძლება მხოლოდ წინასწარ გამოცემად ჩაითვალოს და აუცილებლად საჭიროა ქართველ ისტორიკოსთა თხზულებების მეცნიერულად აღდგენილი ტექსტები გამოიცეს.

როდესაც მკითხველი ისტორიკოსთა თხზულებების ქვემომოყვანილს განხილვას ჩაუკვირდება, შეამჩნევს, რომ ყველა ისტორიკოსები, რომელთა ნაშრომებიც-კი ქ˜ცის კრებულშია შეტანილი, მეფეთა პოლიტიკის მომხრენი და დიდე-

ბულ აზნაურთა მოძღუენი იყვნენ. ძნელი დასაჯერებელია, რომ მეფეთა მოწინააღმდეგე ჯგუფში ერთი-ორი ისტორიკოსი მაინც არა ყოფილიყო, ძნელი დასაჯერებელია, რომ ძლიერს ერისთავთ-ერისთავს ლიპარიტს, მეფე ბაგრატის მძლავრ ქმასა და მეტოქეს (იხ. ქ~ლ ერის ისტორია II, 436—446) თავისი მემატიანე არა ჰყოლოდა. საფიქრებელია მხოლოდ, რომ ამგვარი საისტორიო თხზულებები ქ~ცის კრებულში იმიტომ არ იყო შეტანილი, რაკი მიმართულება და შინაარსი ქ~ცის საერთო მიმართულებას არ უდგებოდა. ამგვარად ვგონებ დიდი შეცდომა არ მოგვივა თუ ვიფიქრეთ, რომ ქ~ცის წყალობით ქართულ საისტორიო წყაროები ცოტა არ იყოს ცალმხრივად არის შერჩეული და შენახული. ამისგამო ჩვენ მარტო მეფეთა პოლიტიკის მომხრე ისტორიკოსების ცნობები გვაქვს, მათ მოწინააღმდეგეთა მოთხრობა და საბუთიანობა-კი შენახული არ არის. სრულ საისტორიო ჭეშმარიტების გამოსარკვევად კი რასაკვირველია ემჯობინებოდა, რომ ორთავე მხარეს მოთხრობა, მსჯელობა და საბუთიანობა გვცოდნოდა. ძველ ხანასთვის მე-IX—XI-ე სს.—სათვის ამ დანაკლისს ცოტად თუ ბევრად წ~ათა ცხორებანი ავსებენ.

მონოგრაფიულ განხილვითგანა სჩანს აგრეთვე, რომ ქართული საისტორიო მწერლობა მას შემდგომ, რაც მე-VIII-ე საუკუნეში წარმატება დაეტყო, აღარ შეჩერებულა და იოანე საბანის ძისგან მოყოლებული თანდათან შეუფერხებლივ წინაურდებოდა. უკვე მე-X-ე საუკუნეში ქართულად საუცხოვოდ დაწერილი საეკლესიო—საისტორიო თხზულებები მოიპოვებოდა, ხოლო მე-XI—XII-ე ს. ს. ასეთი სამაგალითო ძეგლები იყო შექმნილი, როგორიცაა მაგ. გიორგი მთაწმიდელის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსების შრომანი. მე-XIII-ე საუკუნის ძეგლები ცოტაა შენახული, მაგრამ რამაც ჩვენამდის მოაღწია ქართულ საისტორიო მწერლობის უკვე ჩამოქვეითების მომასწავებელია. მაინც მე-XIV-ე საუკ.-ში ქართული ჟამთააღმწერლობა ჯერ კიდევ საკმაო ძალა შესწევდა რომ წინაპრების ტრადიციისათვის არ ეღალატნა და ქართულ საისტორიო მწერლობის ძველი წესი და მეთოდები პირნათლად დაეცვა.

მე-XV—XVI-ე საუკუნოების მწერლობა-კი საქართველოს დაქვეითების უტყუარი სურათია: დახელოვნებულ საისტორიო თხზულებების მაგიერ ყოვლად უმწეო მატიანეები იყო, რომლის მსგავსი ძველად სრულებით არ მოიპოვება. იქნება ამგვარი მატიანეები ძველადაც ყოფილიყო, მაგრამ რაკი მაშინ ამასთანავე სხვაც, საუცხოვოდ აღწერილი საისტორიო ნაწარმოებნიც საკმაოდ მოიძებნებოდა, ამიტომ მატიანეებს ყურადღებას არ აქცევდენ და არც შენახულა. მე-XV—XVI-ე ს. ს.-ში-კი, როგორც სჩანს, ეს გულუბრყვილო მატიანეები ერთად-ერთი ძეგლი-და იყო. ქართულ საისტორიო მწერლობის ამაზე საშინელი დაცემა და ჩამოქვეითება წარმოუდგენელია.

მე-XVII-ე საუკუნის მეორე ნახევრიდგან ქართულ ისტორითააღმწერლობა კვლავ გამოცოცხლდა და თანდათან ისე აღორძინდა, რომ მე-XVIII-ე საუკუ-

ნეში მან თუმცა იმ უაღრეს განვითარებას ვეღარ მიაღწია, როგორც მე-XI—XII-ე ს.ს.-ის ქართველი გამოჩენილი მეცნიერი ისტორიკოსები ბრწყინავდნენ, მაგრამ მაინც ისეთი დიდი საქმის განხორციელება შესძლო, როგორც ქ`ცის შეკრებაა და გადაკეთებულ გაგრძელების შედგენაა, ისეთი შინაარსიანი ძეგლიც დაგვიტოვა, როგორიცაა მაგ. პ. ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“ და ეგოდენ დიდებული მეცნიერი ისტორიკოსი, ბატონიშვილი ვახუშტი წარმოშვა, რომელსაც ძველს დროს მხოლოდ ეფრემ მცირე თუ შეედრება.

მკითხველი, რომელიც ქვემომოყვანილს მონოგრაფიულს გამოკვლევებს გულდასმით გადიკითხავს, შეამჩნევს, რომ პირველ ხანაში მე-XIV-ე საუკ.-მდე ქართულ საისტორიო მწერლობაში სამაგალითოდ ძველი ბერძნული და ელლინური საისტორიო მწერლობა ყოფილა მიჩნეული და ელლინურ მწერლობის ცოდნა ქართველ ისტორიკოსებს ცხადად ეტყობათ. ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებში ელლინურ მწერლობიდგან მოყვანილი ცნობები უფრო მეტია, ამასთანავე უფრო ხელმიწვდომით და უფრო დაწვრილებითაც არის გადმოცემული, ვიდრე მოსალოდნელი იყო, და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ელლინური მწერლობის ცოდნა საქართველოში საზოგადოდ საკმაოდ საფუძვლიანი უნდა ყოფილიყო. მაინცდამაინც საგულისხმიერო და მეტად დამახასიათებელია, რომ ელლინურ საისტორიო მწერლობის ცოდნა ქართველებს გარდა ძველს მახლობელ აღმოსავლეთში თითქმის არავის ემჩნევა და არც არაბულმა, არც სპარსულმა, არც სომხურმა ძველმა საისტორიო მწერლობამ თითქმის არაფერი იცოდა ელლინურ ისტორიათაღმწერელობისა. უეჭველია ქართულ საისტორიო მწერლობისა და ბერძნულ-ელლინურ მწერლობის მჭიდრო კავშირი აქაც იმ ცხოველ-მყოფელ ელლინურობის ანუ ელლინიზმის შედეგი უნდა იყოს, რომლის შესახებაც „ქართველ ერის ისტორია“-ში გვქონდა ლაპარაკი (II, 647—648). რაკი ქართულად ბერძნულიდგან ნათარგმნი საისტორიო თხზულებებიც აღმოჩნდა, ამიტომ ეს საკითხი უფრო ვრცლად ამ შრომის მე-II-ე წიგნში იქნება განხილული.

მე-XVII—XVIII-ე საუკ.-ის ქართულ საისტორიო მწერლობაში სპარსულ საისტორიო წყაროებითაც სარგებლობდნენ, მაგრამ მხოლოდ საქართველოს შესახებ ცნობების ამოსაკრებად. სპარსულ ჟამთააღმწერელობის გავლენა ქართულს თითქმის სრულიად არა ატყვია.

საგულისხმიეროა, რომ ქართულ საისტორიო მწერლობის განახლებასა და აღორძინებას წინამორბედსავით ქართული ისტორიული პოემები უძღოდნენ წინ და საქართველოში ისტორიული ცნობისმოყვარეობის გამოღვიძებას მოასწავებდნენ.

ვინც გ. მერჩულის, ბ. ზარზმელის, გ. მთაწმიდელის, გ. ხუცეს-მონაზონის, ეფრემ მცირეს, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებს კარგად ჩაუკვირდება, იმისთვის ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის მაღალხარისხოვანი განვითარება და ღირსებანი ცხადი

იქმნება. ზევით ცხოველ-ყოფელ ელლინურობის (ანუ ელლინიზმის) არსებობის შესახებ გვქონდა საუბარი და უეჭველია მასაც ქართულ საისტორიო მწერლობის წარმატებისა და დაწინაურებისათვის უნდა შეეწყო ხელი. მაგრამ ეს ელლინურობა საქართველოში მე-XII-ე საუკ. ში გაძლიერდა, როდესაც ქართულ მწერლობამ განვითარების უკვე მაღალ საფეხურამდე მიაღწია და მისი გავლენაც მარტო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსებს და ჟამთააღმწერელს ეტყობა.

საისტორიო მწერლობის მაღალხარისხოვანს განვითარებას საქართველოში იმ ფილოლოგიურმა სკოლამ და გაწვრთნამ შეუწყო ხელი, რომელიც მთარგმნელობითმა, შემსწორებლობითმა და მთარგმანებლობითმა მოღვაწეობამ შექმნა, როდესაც ბერძნებთან ცილობისა და ბრძოლის ხანაში ქართველმა მეცნიერმა ბერებმა თავიანთი დიადი შრომის განახორციელება შესძლეს.

აქ, ამ მუშაობაში, საღმრთო წერილის ქართულ თარგმანების ბერძნულ დედნებთან შედარებისა და შეცდომების შესწორების დროს, აქ, ქართულ ძველ საეკლესიო დღესასწაულებისა და ჩვეულებათა სხვაობის მიზეზების გამორკვევის დროს და იმ ხანაში, როდესაც ქართველ მეცნიერ-ისტორიკოსებს სამშობლოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა და ყოველგვარ უფლებათა კანონიერ საბუთებისა და საფუძვლის კვლევა-ძიება მოუხდათ, სწორედ ამ ფილოლოგიურ-საისტორიო მუშაობაში და ამ ხანაში მიეჩვიენენ ქართველი მეცნიერნი იმ მეთოდოლოგიურ სიფაქიზესა და სიმკაცრეს, რომელიც ასე განმაცვიფრებელია ქართულ X—XII ს.ს.-ის საისტორიო მწერლობისათვის.

შემთხვევითი მოვლენა-კი არ არის, რომ ორივე საუკეთესო ქართველი მთარგმნელი-ფილოლოგოსები იმავე დროს საუკეთესო ქართველი მეცნიერი ისტორიკოსები და მეთოდოლოგიურ საკითხების უებრო მკვლევარნი იყვნენ! არა, ქართული საისტორიო მწერლობის გასაოცარი განვითარება იმ საუცხოვო ფილოლოგიურ სკოლისა და გაწვრთნის შედეგი იყო, რომელიც მის ქურუმებს წინასწარ შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდათ. ეფრემ მცირეს შესახებ ქვემომოყვანილს გამოკვლევაში (92$_{30}$—108$_{19}$) მკითხველი საკმაო ცნობებს იპოვის, რომელნიც ეფრემ მცირეს გასაოცარს მეცნიერულ — ფილოლოგიურს ნიჭსა და დაკვირვებას ცხად-ჰყოფენ მისი მსჯელობა დედნებისა, ხელთნაწერებისა და გადამწერთა შესახებ, სალიტერატურო და საისტორიო ნაწარმოებების სხვადასხვა დარგებზე, მთარგმნელობითი, შემსწორებლობითი და მთარგმანებლობითი მუშაობისა და მოღვაწეობის მეთოდების შესახებ, დასასრულ მისი ნიშანდობლივი, ნამდვილ მეცნიერული ტერმინოლოგია სწორედ რომ განმაცვიფრებელია. შეუძლებელია თანამედროვე მეცნიერმაც-კი გულის სასიამოვნო ძგერით არ გადაიკითხოს ეფრემ მცირეს ღრმააზროვანი მსჯელობა ზემოჩამოთვლილ საკითხების შესახებ, რომლის თვითოეულს წინადადებაში სწორუპოვარი მეცნიერი მოსჩანს.

ქართულ საისტორიო მწერლობისა და აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით: იოანე საბანის ძეს, რომელმაც თავისი შრომა გა-

რკვეულ გეგმაზე ააგო და ცხოვრების კერძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და თავის თანამედროვეებსაც დანახვა (13—19), ბასილ ზარზმელს, რომელსაც თხრობის წესისა და მეთოდების შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება (67—70), განსაკუთრებით-კი გიორგი მთაწმიდელს რომელმაც საისტორიო მწერლობის მეთოდები ჩვენში უაღრესად განავითარა და მისაბაძავი მაგალითი შექმნა (76—80), გიორგი ხუცეს-მონაზონს, რომელმაც ღვაწლის შედარებითი დაფასება პირველად შემოიღო ქართული მწერლობა (88) და რასაკვირველია ეფრემ მცირეს ვითარცა საისტორიო მწერლობის მეთოდების და ტეხნიკის საუკეთესო თეორეტიკოსსა (104—111) და ჩვენში ანალოგიის მეთოდის შემომღებს (111$_{3}$—$_{32}$), აგრეთვე დავით აღმაშენებლის შესანიშნავს ისტორიკოსსაც, რომელმაც ისტორიული შედარება სამოთხრობო მეთოდად აქცია (163—164$_{25}$) და ნათლად შეიგნო, რომ სახელმწიფო მოღვაწის მოქმედების ნაყოფიერება მარტო მის პირადს ნიჭსა და მხნეობაზე-კი არ იყო დამოკიდებული, არამედ მის ქვეყნისა და ერის კულტურულ მდგომარეობასა და პირობებზე (164$_{27}$—165$_{10}$), დასასრულ ქართველს დიდებულს მეცნიერს ისტორიკოსს ბატონიშვილს ვახუშტს, რომლის კრიტიკული და ისტორიული მეთოდები და თეორიული მსჯელობა საქართველოს სახელმწიფო და სოციალურ ცხოვრების უმთავრეს ხანებისა და დამახასიათებელ თვისებების შესახებ სწორედ რომ განმაცვიფრებელია.

ვერავითარი მოკლე მიმოხილვა ვერ აგრძნობინებს ადამიანს ვახუშტის დიდს ღვაწლს ქართულ ისტორიათაღმწერლობისა და საისტორიო მეცნიერების წინაშე: მკითხველი თვით უნდა ჩაუკვირდეს მის ღრმააზროვანს მსჯელობას, გულდასმით გადაიკითხოს ქვემომოყვანილი მონოგრაფიული გამოკვლევა ბატონიშვილ ვახუშტის შესახებ და მის გასაოცარ, ნამდვილ მეცნიერულ აზროვნობით დასტკბეს. ქართულ მწერლობას საკმაოდ ჰყავს ღვთიური ნიჭით აღბეჭდილნი ისტორიკოსები, მაგრამ მათ შორის შეუდარებელი ბრწყინვალებით მოსილია გიორგი მთაწმიდელის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსისა და განსაკუთრებით ეფრემ მცირეს და ბატონიშვილ ვახუშტის სახელები.

ვისაც ჰსურს ქართულ საისტორიო მწერლობის მაღალხარისხოვანი განვითარება ნათლად წარმოიდგინოს, ის უნდა დააკვირდეს ქართველ ისტორიკოსთა შეხედულობას ადამიანისა და კაცთა ნათესავის სულიერ-გონებრივ ბუნებისა და თვისებებზე. ეს შეხედულება ყოველთვის ერთგვარი არ ყოფილა, არამედ დროთა განმავლობაში განვითარებულა და გაღრმავებულა კიდეც.

საგულისხმიეროა, რომ გიორგი ხუცეს-მონაზონი საშუალო საუკუნოებში კარგად ცნობილს აზრს იმეორებდა და ფიქრობდა, რომ ადამიანის „ბუნებაჲ იგი ლბილი და ჩჩვლი... ვითარცა ცვლი საბეჭდავსა ეგრეთ მიიღებს სწავლულებასა“ (ც˜ჲ გ˜ი მოწ˜მდ˜ლსჲ 327) და ამის წყალობით აღმზრდელსა და მასწავლებელს შეეძლო უმაწვილი ვითარცა „ორღანოდ შემწყნა-

რებულად სწავლათა თჳსთა მოეპოვა“ და სურვილისაებრ საითკენაც უნდოდა იქით მიემართა მისი გონება-მისწრაფება (იქვე 328).

თუ გიორგი ხუცეს-მონაზონის როგორც ეტყობა აღზრდის ყოვლად-შემძლებლობა სწამდა და დარწმუნებული იყო, რომ აღმზრდელი ადამიანის გონებას ნებისაებრ ადვილად მოჰქმნიდა და სურვილისაებრ მოარჯულებდა, დავით აღმაშენებლისა და მეტადრე თამარ მეფის ისტორიკოსებმა უკვე იცოდნენ, რომ ადამიანს თან სდევს მემკვიდრეობით თანდაყოლილი თვისებები, რომელიც მას „გუარისაგან მოაქუნდა გონებითა“ (ქ῀ლ ერის ისტორია II, 508_{11-12}), „გვარისაგან მოაქვნდა“ (აქვე $174_{10,\ 20-21}$).

ეს თანდაყოლილი საგვარეულო მიდრეკილება და თვისებანი, რომელსაც თამარ მეფის ისტორიკოსი „თანაშთამომავლობა“-ს ეძახის ($174_{9-10,\ 15-16}$), კეთილ ან ბოროტ ზნის სახით ადამიანის ბუნებას გარკვეულს მიმართულებას აძლევდა და აიძულებდა „მამულ-პაპურ კუალთა სლვა“-დ (დავით აღმაშ. ისტორიკოსი, ქ῀ლ ერის ისტორია II, 508_{9}).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსმაც და თამარ მეფისმაც კარგად იცოდნენ, რომ „თანაშთამომავლობას“ და თანდაყოლილ მიდრეკილების შეცვლა და გასწორება ხშირად ვერას გზით ვერა ხერხდებოდა იმიტომ, რომ ზოგჯერ თანაშთამომავლობა არავითარ საშუალებას არ ემორჩილებოდა და ყოველგვარ საწინააღმდეგო აღმზრდელობითსა და გამასწორებელს ღონისძიებაზე უძლიერესი იყო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ თუმცა დიდებულმა მეფემ სცადა ლიპარიტ ამირა მოერჯულებინა და მეფის საწინააღმდეგო მოქმედება მოეშლევინებინა, ამისათვის „ინება გაწურთა მისი“, თანაც შეძლებისაებრ განურისხველობით ცდილობდა მის ფიცხელ გულის მოხიბლვას, მაგრამ ყველაფერი, ყოველგვარი ცდა ამაო იყო და ფუჭად ჩაურაო. მას „ორგულობა და სიძულილი პატრონთა გუარისაგან მოაქუნდა გონებითა“ და ამიტომ, როგორც „კუდი ძაღლისა არა განემართების“ და „არცა კირჩხიბი (კიბო) მართლად ვალს“ ისე ლიპარიტიც ვერ გასწორდებოდაო (ქ῀ლ ერის ისტორია II, 508). თამარ მეფის ისტორიკოსიც დემნას განდგომილებას თანაშთამომავლობის შედეგად სთვლიდა (174_{14-19}), ხოლო ამირსპასალარ ზაქარია მკარგრძელის განთქმული გულადობა და სამკედრო სიქველე „გუარისაგანცა მოაქვნდა, რამეთუ იყო ნათესავი არტაქსერქსი მკარგრძელისა“-თ (174_{19-21}).

ზემოაღნიშნულ ორ ქართველ ისტორიკოსის აზრი თანაშთამომავლობის შესახებ იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ ცოტა არ იყოს ეწინააღმდეგება საეკლესიო-სარწმუნოებრივს შეხედულებას ადამიანის ნების სრულს თავისუფლებაზე. ქრისტიანთა ეკლესია იოანე ოქროპირის პირით უარჰყოფდა „წინაჲთ-განჩინებულება“-სა და ამტკიცებდა, რომ „მრავალნი კაცთაგანნი იტყჳნ ვითარმედ არს კაცსა ზედა წინაჲთვე განჩინებული ღმრთისაგან კეთილი და ბოროტი და თჳთ ვერას შემძლებელ არს საქმედ თჳნიერ რომელი ღმერთი-

მან უბრძანოსო პირველითგანვე და განაჩინოს“-ო, მაგრამ ეს აზრი სრულებით შემცდარია და თანაც ღვთის უგუნურს გმობას შეიცავსო (იხ. თქუმული იოანე ოქროპირისაჲ X.B. წ. II, ნაწ. III, 276). ყოველი ადამიანის ნება სრულებით თავისუფალია და თავისუფლადვე ირჩევს იგი კეთილს და ბოროტს გზასაო (იქვე გვ. 276—277).

„თანაშთამომავლობა“ ადამიანის ნების სრულს თავისუფლებას საგრძნობლად ზღუდავდა და „წინაჲთგანჩინებულები“-საკენ ჰხრიდა საზოგადოებრივს აზრს.

ადამიანისა ნების და მოქმედების თავისუფლების გარდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მსჯელობა მეორე დიდმნიშვნელოვან საკითხს, სახელმწიფო მოღვაწის ძლიერების და ნაყოფიერების აზრს დასტრიალებდა, როდესაც ისტორიკოსი ამტკიცებდა, რომ თვითოეული სახელმწიფო მოღვაწე, თვით უძლიერესი გვირგვინოსანიც-კი, ყოვლად შემძლებელი არ არის და მისი მოქმედების ნაყოფიერება ქვეყნისა და ხალხის თანამედროვე მდგომარეობითა და საზოგადოებრივ პირობებით არის შეზღუდული (164_{30}—165_{10}).

თუ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსები თვითოეულ ადამიანის თანდაყოლილს თვისებებს და „თანაშთამომავლობას“ ეხებოდნენ, ნიკოლოზ კათოლიკოზი უფრო შორს მიდიოდა და უფრო რთული საკითხის გამორკვევას ცდილობდა: მას უნდოდა ცხად-ეყო „საზღუარი ტომობისა“ (158_{23}) და „შემსგავსებულებაჲ ნათესავ-ტომობისა“ (158_{24}—$_{25}$), ეროვნებათა თანდაყოლილი თვისებები და „ბუნება“. ნიკოლოზ კათოლიკოზი ამტკიცებდა, რომ როგორც კაცთა შორის თვითოეულს დაბადებითგანვე რომელიმე განსაკუთრებული ნიჭი და „კელოვნებანი“ აქვს თანდაყოლილი, „ესრესახედვე უკვე იხილვების ნათესავთაცა (ე. ი. ეროვნებათა) შორის“ და „რომელიმე ნათესავნი ესევითარნი არიან ბუნებით, ხოლო რომელნიმე ეგევითარნი“-ო (158_{9}—$_{11}$), თვითოეულს ეროვნებას „ბუნებით“ თანდაყოლილი აქვს „ესევითარი“, ან „ეგევითარი“ მიდრეკილება და ნიჭიო და ამ ბუნებით შემოფარგლულია „საზღვარი ტომობისა“ და მისი სამოქმედო ასპარეზიო. საგულისხმიეროა, რომ ეს ფრიად საყურადღებო საკითხი თანამედროვე მეცნიერებაშიც საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის და მისი უარისმყოფელნიც მოიპოვებიან, მაგრამ მომხრენიც ჯერ არ გამოლეულან.

ბევრი სხვაც დიდმნიშვნელოვანი და საგულისხმიერო საკითხი იბადება კიდევ ქართულ საისტორიო მწერლობის მონოგრაფიულ განხილვის შემდგომ, მაგრამ გიორგი ხუცეს-მონაზონისავით მეც „ნავთსადგურსა დუმილისასა მეგულების შესლვა“: ვგონებ დროცაა ქართველ ისტორიკოსთა საუცხოვო გამაფრთხილებელი მცნება გავიხსენოთ, რომ თუკი ისტორიკოსმა „თვითოეულისა კელჳს მოთხრობად, საწყინომცა იქმნას აღწერილი განგრძობითა“.

მარტჳლობანი და წმიდათა ცხორებანი.

მთელი ქართული საისტორიო მწერლობა, რომელმაც-კი ჩვენამდის მოაღწია, წარმოიშობა მარტჳლობათა და წმიდათა ცხორებათაგან; არც კვინკლოსებს, არც მატიანეებს ამ მხრივ მნიშვნელობა არა ჰქონიათ. სამოქალაქო და სამხედრო ისტორიაც რომ საქართველოში ზემოაღნიშნულ მწერლობის ნიადაგზე აღმოცენდა, ამას ქვემოდ დავინახავთ. ხოლო ამის დამამტკიცებელ უცხადეს საბუთად თვით ის სიტყვა „ცხორებაჲ“, „ცხორება“ არის, რომელიც ძველ ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივ იხმარებოდა ხოლმე სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოებების საზოგადო სახელად.

ყველგან საქრისტიანო ქვეყნებში საეკლესიო საისტორიო მწერლობის უძველეს დარგად მარტჳლობა შეიქმნა, ხოლო შემდეგ წმიდათა ცხორებათა წერასაც მიჰყვეს ხელი. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ქრისტიანობა თავდაპირველად აკრძალულ და დევნულ სარწმუნოებად ითვლებოდა და ამ ხანაში ქრისტიანეთა განსაკუთრებულ ყურადღებასა და პატივისცემას ის თავგანწირული პირები იპყრობდნენ, რომელთაც თავის რწმენის სიმტკიცე სისხლის დანთხევითა და სიკვდილით აღბეჭდეს. იმთავითვე თვითოეული ეკლესია სცდილობდა დანარჩენ ეკლესიების მრევლისათვის შეეტყობინებინა, თუ რამ საყურადღებო მარტჳლობა მოხდებოდა მის სამრევლოში; ეს ცხადად სჩანს პოლიკარპეს († 155 წ.) და ლიონელ აღმსარებელთა მარტჳლობათაგან († 177): ერთიცა და მეორე თხზულებაც ეპისტოლეს სახით არის ნაწერი, პირველი სმირნის ეკლესიის მიერ ფილომელიის სამწყსოს მიმართ, ხოლო უკანასკნელი—გალლიითგან ქ. ვიენნით და ლუგდუნით (ლიონის) გაგზავნილია ასიისა და ფრიგიის ქრისტიანეთა მიმართ, და ამ ორსავე წერილში მოთხრობილია მარტჳლობის ამბავი (იხ. **R. Knopf**-ის გამოცემა **Ausgewählte Märtyreracten, 1901** წ., გვ. 1 და 20).

წ˜ა პოლიკარპეს მარტჳლობითგან და ეპისკოპოს კჳპრიანეს მე-XII ეპისტოლითგან სჩანს, რომ ქრისტიანთა ეკლესიაში წესად ყოფილა მიღებული და ხსოვნა მარტჳლთა მათ აღსასრულის დღეს დიდებით უდღესასწაულნიათ (S. Thasci Caecili Cypriani opera, Epistulae, Vindobonae, გვ. 503). იმ დღეს ეკლესია-

ში კითხულობდნენ ხოლმე მარტჳლის თავგადასავალს. ამით აიხსნება, რომ ბევრი მარტჳლობა ქადაგების სახით არის დაწერილი და ეკლესიაში მდგომ მსმენელთადმი არის მიმართული.

როდესაც ქრისტიანობის დევნა მოისპო და ეს აღსარება ჯერ ნებადართულ, ხოლო შემდეგ სახელმწიფო სარწმუნოებადაც-კი გამოცხადებულ იქმნა, მარტჳლობაც მოისპო და იშვიათ შემთხვევად გარდაიქცა. სამაგიეროდ მე-V-ე საუკუნითგან მოყოლებული წმიდათა თაყვანისცემა იკიდებს თანდათან ფეხსა და ამისდა მიხედვით მარტჳლობის მაგიერ წ҃ათა ცხორებათა აღწერელობა აღორძინდა.

შემდეგ, როცა საქრისტიანო მოძღვრების დოგმატიკა დასრულდა და ერთი, გარკვეული, ყველასათვის სავალდებულო აღსარება შემუშავებულ იქმნა, რომელიც მართლმადიდებელ აღსარებად იყო მიჩნეული, მაშინ ყველა ძველი, წინადროინდელი საეკლესიო ყოფა-ცხოვრების გამომსახველი საბუთები უნდა გადაეკეთებინათ, რომ იქითგან ისეთი ადგილები, რომელნიც გარკვეული „მართლმადიდებლობის“ მოძღვრებას, ან შემდეგ დროს დამყარებულ საეკლესიო იერარქიულ წესწყობილებას არ ეთანხმებოდა, ან ზოგჯერ ეწინააღმდეგებოდა კიდეც, ამოეშალათ. ძველდროინდელი თხზულებები მერმინდელ საეკლესიო მოღვაწეებს ქრისტიანობის უტყუარ ისტორიის უცოდინარობის გამო ან მწვალებელთა მიერ დამახინჯებულად, ან არა და უვიცად დაწერილად მიაჩნდათ. ამის გამო შემდეგდროინდელმა მწერლებმა უძველეს თხზულებების „ღვარძლისაგან“ განწმენდასა და თვით ნაწარმოების გადაკეთებასაც მიჰყვეს ხელი. ასე გაჩნდა ხელმეორედ დაწერილი და გადასწორებული მარტჳლთა და წმიდათა ცხორებანი. გადაკეთების დროს ავტორები თანამედროვე საეკლესიო მოთხოვნილებისდა მიხედვით უმთავრეს ყურადღებას ისტორიულს ამბავს კი არ აქცევდნენ, არამედ სასწაულთმოქმედების მოთხრობას. ამგვარ ცნობებით ავსებდნენ ახლად „შესწორებულს“ თხზულებებს. ბიზანტიაში ამნაირ გადამკეთებლობის მოღვაწეობით განთქმული იყო ვინმე სჳმეონი, მეტაფრასტად სახელდებული და იოანე ქსიფილინოსი, რომელნიც ცხოვრობდნენ მე-XI-ე საუკ. (ამის შესახებ უფრო ვრცლად იხ. ქვევით „ეფრემ მცირე“).

წ҃ა შუშანიკის მარტჳლობითგანა სჩანს, რომ ქართულ ეკლესიასაც ჩვეულებადა ჰქონია და ამა-თუ-იმ საყურადღებო მარტჳლობის შესახებ თავის სამწყსოსა და მეზობლებისათვის ცნობები უგზავნია. შუშანიკის მარტჳლობას წერილის სახე აქვს და ამგვარად იწყობა: „მერვესა წელსა ურმიზდ*) მეფისასა (III, პეროზად წოდებული, მაშასადამე 464—5 წ.) კარად სამეფოდ წარემარ-

*) იმ ხელთნაწერში, რომლითაც მ. საბინინს ეს მარტჳლობა გამოუცია, ეს ადგილი დამახინჯებული ყოფილა და ამ სახელის მაგიერ „საქართველოს სამოთხე“-ში დაბეჭდილი აქვს „მიერ“. ასეა ჩვეულებრივ დამახინჯებული ეს სიტყვა სხვა ხელთნაწერებშიაც. მაგრამ აქ თავდაპირველს დედანში სპარსთა მეფის „ურმიზდ“-ის სახელი წერებულა. ამას ამტკიცებს ჯუანშერის თხზულება „ც҃ა მეფისა ვახტანგ გურგასარისა“, სადაც ამ ადგილას „ურმიზდი“ არის აღნიშნული (*404—405, გვ. 188).

თა ვასქენ პიტიახში ძე არშუშასი: პირველ იგიცა ქრისტეანე იყო და ნაშობი მამისა და დედისა ქრისტეანეთა და ცოლად იყო ასული ვარდანისი სომეხთა სპასპეტისა. რომელისათჳსცა ესე მივსწერ თქუენდა“ (საქარ. სამოთხე გვ. 182). შემდეგ მიმწერი თავის ვინაობას ამჟღავნებს და ამბობს „მე ხუცესი დედოფლისა“ გარო (იქვე 183).

* ხოლო სამუელ ქართლისა კათალიკოზის წერილითგანა სჩანს, რომ საქართველოს ეკლესიასაც წესადა ჰქონია მარტჳლთა დღესწლის აღწერილობის დადება და მოხსენება. თავის წერილში იგი სხვათა შორის ამბობს: „მნებავს, რათა დაიწეროს სანატრელისა ამისცა (აბო ტფილელის) მარტჳლობაჲ ვითარცა პირველთა მათ ქრისტჱს მოწამეთაჲ და დაიდვას იგიცა წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შინა მოსახსენებელად ყოველთა, ვინ იყვნენ შემდგომად ჩვენსა“ (აბოს ც˝ა 4). დაწერილს მარტჳლობას წლისთავის წირვაზე კითხულობდნენ ხოლმე. ამიტომ ბევრი ქართული მარტჳლობა ქადაგების სახით არის დაწერილი და საყდარში მდგომ მლოცველთადმი არის მიმართული. მაგალითად აბო ტფილელის მარტვილობის ავტორი ამბობს: „საყუარელნო, ნუ გეწყინებინ სმენად სიტყუათა ამათ, რათა არა ცუდად დავშურეთ—მე სიტყჳთა და თქვენ სმენითა“ (იქვე, 7). „აწ მოვედით ქრისტჱს მორწმუნენო და ვდღესასწაულობდეთ კსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისასა“-ო (იქვე 35). არჩილის მარტჳლობაც ეკლესიაში წასაკითხავად ყოფილა დაწერილი: „მოდით მორწმუნენო, ამბობს ავტორი, განვაწყოთ ხორო შემასხმელთა და მედღესასწაულეთა“ (საქართველოს სამოთხე 255), არჩილი „ჩუენთჳს ჰყოფს მეოხებასა წინაშე მეუფისა, რომელნი აღვასრულებთ სურვილით დღესასწაულსა ამას“ (იქვე 289). დავით და კონსტანტინეს მარტჳლობაც ეკლესიაში ყოფილა წაკითხული, რაც მტკიცდება ავტორის შემდეგ სიტყვებით: „თქუენ სამწყსონო ქრისტესნო და მოსურნენო აღსრულებად წმიდისა ამის დღესასწაულისა წმიდათა მოწამეთასა, წადიერად მოსრულნი გულსმოდგინედ მიუპყრენით გონებანი და სასმენელნი თქუენნი, რათა არა ცალიერნი, არამედ სათნოებითა ტვირთულთა აღტვირთულნი წარხვიდეთ სახიდ თქუენდა“ (იქვე 324). ამგვარივე ხასიათისაა დასასრულ რაჟდენის მარტჳლობაც: „იხილეთ რასა ვიტყვი, მორწმუნენო, ანუ რა არს დღეს მიზეზი სიტყვსა ჩემისა და თქუენისა აქა შემოკრებისა, არამედ საჩინო იგი მნათობი, თუალი და დასაბამი მოწამეთა, წმიდა იგი სამგზის სანატრელი მოწამე რაჟდენ“ (იქვე 170).*)

ქართულ მარტვილობის უძველეს ძეგლად, ჯერ-ჯერობით მაინც, უნდა შუშანიკისა და ევსტათე მცხეთელის მარტჳლობა ჩაითვალოს: შუშანიკის მარტჳლობა

*) რაჟდენის სხვა მარტჳლობა ერთ მე-XVIII-ე საუკ. სჳნაქსარისდა მიხედვით (საეკლ. მუზ. № 903) შემოკლებით დაბეჭდილია მ. ჯანაშვილის მიერ (Опис. рукоп. церковн. Музея, III წ. გვ. 152—156).

მე-V-ე საუკ. მეორე ნახევარშია დაწერილი, ევსტათე მცხეთელისა-კი მე-VI-ე საუკ. მეორე ნახევარში,—მაშასადამე იმ დროის თხზულებები, როცა ქრისტიანობა საქართველოში უკვე სახელმწიფო სარწმუნოებად იყო აღიარებული და მართოდენ მაზდეიანობითა და სპარსთა მძლავრობით იჯაბნებოდა. სდევნიდნენ თუ არა საქართველოშიც ქრისტიანებს მაშინ, როცა ეს აღსარება ჯერ ნებადართული არ იყო, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ სინას მთის ხელნაწერში № 4 წმიდა ნინოს შემოკლებულ ცხორებაში შემდეგი ფრიად საყურადღებო წინადადება შემხვდა: (გვ. 98,b) თუესა იანვარსა*) იდ (14)... (გვ. 99,a) „ამასვე დღესა მიცვალებაჲ წმიდისა ნინო მოციქულისაჲ და ქართველთა განმანათლებელისაჲ: რომელმან ფრიადნი მოღვაწებანი და ურიცხუნი საწაულნი აღასრულნა და მრავალგზის წამებანი მირიან ულმრთოჲსა კელმწიფისაგან“... ამ ცნობით ისე გამოდის, ვითომც მირიანს ვიდრე გაქრისტიანდებოდა წ~ა ნინო დიდხანს ეწამებინოს; მაგრამ რაკი უძველესს, მეტაფრასტულ წ~ა ნინოს ცხორებაში და რუფინუსსაც ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოვება, ხოლო იმ შემოკლებულ ცხორებას, რომლითგანაც ზემომოყვანილი ნაწყვეტია ამოღებული, სხვაფრივ ძველი სახე არა აქვს, არამედ მერმინდელ გადაკეთების კვალი ატყვია, ამიტომ საკითხი საეჭვოდ ხდება. შეიძლებოდა ამ ხანის ძეგლად მიგვეჩნია აგრეთვე „წამებაჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ“ (TP. წ. V) თხზულებაში რომ რაიმე, მცირეოდენი მაინც, ქრონოლოგიური ცნობა მოიპოვებოდეს, მაგრამ სამწუხაროდ იგი ყოველგვარ ქრონოლოგიურ ცნობას მოკლებულია. ამ მხრივ უფრო მდიდარია შუშანიკისა და ევსტათე მცხეთელის მარტვილობანი, რომელთა დროს შესახებ თვით თხზულებაში გარკვეული ცნობები მოიპოვება. სამწუხაროდ ეს ორი ნაწარმოები არც ერთს ძველს ხელთნაწერში შენახული არ არის, განსაკუთრებით ევსტათე მცხეთელის მარტვილობა, რომლის უძველესი პირი მოიპოვება მხოლოდ მე-XVIII-ე საუკ. ხელთნაწერში და საკუთარი სახელები ისეა დამახინჯებული, რომ მათი აღდგენა ძლივს-ძლიობით შეიძლება. „წამება წ~ს შუშანიკისი“ შენახულია უფრო ძველს ხელთნაწერში, რომელიც XIII-ს. ეკუთვნის (საეკ. მუზ. ხელთნ. № 94 გვ. 735—748, ის. თ. ჟორდანიას Опис. рук. Церк. Музея I, 107), მაგრამ საუბედუროდ სწორედ ამ თხზულებას ამ ხელთნაწერში მეორე ნახევარი აკლია. ამიტომ რაკი წ~ა შუშანიკისა და ევსტათე მცხეთელის მარტვილობას ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ხოლო საბინინის გამოცემა შეცდომებით არის სავსე; ეს ორი თხზულება უეჭველად ხელმეორედ უნდა გამოიცეს, მაგრამ ისე რომ დამახინჯებული დედანი მეცნიერულად აღდგენილი იყოს.**).

---

*) ქარაგმებსა ვხსნი.

**) ევსტათი მცხეთელის მარტვლობა ამგვარად აღდგენილი გამოსაცემად დამზადებული მაქვს.

უძველეს-დროინდელ მარტჳლობათა და წ̃ათა ცხოვრებათა უმეტეს ნაწილს საქართველოშიაც იგივე ხვედრი არგუნა ბედმა, რა ბედიც ეწია მათ ბიზანტიაში და დანარჩენ სქრისტიანო ქვეყნებში: მერმინდელ განათლებულ საეკლესიო მწერლების მოთხოვნილებასა და გემოვნებას ვერ აკმაყოფილებდენ და ამის გამო შესაფერისად გადაკეთებულ და შესწორებულ იქმნენ, ზოგიერთი ნაწარმოები არა ერთხელ, არამედ მრავალგზის. ესეც—კია რომ ზოგიერთ მარტჳლისა და წმინდანის „ცხორების“ ხელმეორედ დაწერა იმიტომ იყო საჭირო, რომ ძველი უკვე დაკარგულად ითვლებოდა; მაგ. არჩილ მეფის მარტჳლობის უცნობი ავტორი აცხადებს: არჩილის „ღირსებისთა ქებათა ვერვინ მკადრე ქმნილ არს, თჳნიერ მის ჟამისა წმიდისა ეპისკოპოზისა ლეონტი მროველისა, რომელსაცა მისი სანატრელი ცხორებაჲ და ღუაწლი ვრცლად აღუწერია, ვითარცა მოგვითხრობს მატიანე ქართველთა ცხოვრებისა, არამედ იგი ჟამთა მომყოვრებითა ვიდრე ჩუენამდე არა მოწევნულა, არცა გჳხილავს“-ო. (მ. ჯანაშვილის ქართული მწერლობის გვ. 258). იოსებ ამბა ალავერდელის ცხორების ხელმეორედ დამწერიც აცხადებს, საქართველოს მრავალჯერ აოხრების დროს „მიფარულ იქმნა ცხორებაცა ამის ნეტარისა და არღარა სადა იპოვა ჟამთა ჩუენთა“ და იმიტომ მივყავ ხელი წერასაო (საქ. სამოთხე 218).

უმეტეს შემთხვევაში მაინც „ცხორება“, ან მარტჳლობა საქართველოში ხელმეორედ დაწერილია ჯერ კიდევ იმ დროს, როცა პირველი, უძველესი დედანი არსებობდა, როგორც მაგალითად ათსამმეტ ასურელ მამათა ცხორებანი: ამ თხზულებათა ავტორებს როგორც სჩანს ძველი ცხორება, ან მარტჳლობა აღარ აკმაყოფილებდა. ასეთს ხელმეორედ დაწირლსა და გადაკეთებულ ცხორებათა ჯგუფს ქართულს მწერლობაში ეკუთვნიან ათსამმეტ ასურელ მამათა თითქმის ყველა ცხორებანი. თვით ავტორები არა მალავენ, რომ როცა ისინი თავ-თავიანთ თხზულებას სწერდნენ მათ ხელთა ჰქონდათ ძველად დაწერილი ცხორებანი, მაგ. შიო მღვიმელის ცხორების ხელმეორედ აღწერის დროს (იხ. საქარ. სამოთხე, 227), აგრეთვე ამბა ალავერდელის (იხ. იქვე 216), დავით გარესჯელის (იქვე 266) და სხვათა მცხორებათა და მარტჳლობათა გადაკეთების დროს.

რა მიზეზი უნდა ყოფილიყო, რამ აიძულა საეკლესიო მწერლები ზემოაღნიშნულ მამათა ცხორებანი ხელმეორედ დაეწერათ? ამის შესახებ თუმცა თვით თხზულებებში პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ ზოგიერთი ცნობებისდა მიხედვით ამ საკითხის დაახლოვებით გადაწყვეტა მაინც შეიძლება. უმთავრეს მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ თავდაპირველი და ძველი მარტჳლობანი და ცხორებანი თავის მარტივისა და ბუნებრივ ენითა და გულუბრყვილო მოთხრობის კილოთი რიტორულ მჭევრმეტყველებასა და ფილოსოფიურ მსჯელობას მიჩვეულს მკითხველებს აღარ მოსწონდათ. როგორც იოანე ზედა-

ზნელის არსენი კათალიკოზის მიერ გადაკეთებული ცხორებითგანა სჩანს, ამ დროს სწორედ სადვთისმეტყველო ფილოსოფიით ყოფილან გატაცებულნი და ზოგჯერ თვით მონასტრის წინამძღვარნი ცდილობდნენ, რომ მათი მონასტრის დამაარსებელთა ცხორება ხელახლად და ხელოვნებით რომელისამე იმდროინდელი გამოჩენილი საეკლესიო ისტორიკოსის მიერ ყოფილიყო აღწერილი. სწორედ ამგვარად და ამ მიზეზის გამო „განაახლა*) და განავრცო წმიდამან [მამამან] ჩუენმან ქრისტეს მიერ არსენი კათალიკოზმან“ (იხ. ანა დაფ˜სი ქ˜ცის ხელთანაწერის დამატება, რვეული „და“ (31), გვ. 3). თვით „ც˜ა“-ს წინუძღვის შესავალი, რომელშიაც ავტორს თავისი შემდეგი საპასუხო წერილი ჩაურთავს: „წიგნი**) ვედრებისა შენისა აღმოვიკითხე ძმაო მიქაელ და თხოვისა შენისა წადიერება გულისკმა [ვ]ყავ და ფრიად მთნდა სწავლის-მოყუარება შენი რამეთუ გნებავს რათამცა დიდისა იოვანე ზედაძნელისა (sic) ცხორება აღვწერე და მიუძღუანე თქუენსა მას უდაბნოსა. პირველად რათა არა სიღრმესა შინა დაფარული იყუნეს სათნოებანი და [ღვაწლნი] წმიდისა მის მამისა და მოძღურისანი და მერმე მათ გამო რათა სარგებელი ვპოოთ: და ქარტთა იგი წულილი რომელ წარმოგუძღუანა ჩუენდა [წარვიკითხეთ] რომელთაგანი საქმეთა მამისა ჩუენისა ზედაძნელისანი და ზოგრამე (sic) გამოვიკითხეთ მისთუის და მისთა მათ მოწაფეთა მათთა (sic) მათ შინა ადგილთა თუჲს[თა?]. ვითარცა ვინ მარცულეულნი ოქრო წარსცის ვინმე კელოვანთა რათა შექმნენ იგინი ჭურჭლად შუენიერად ერთად შეკრებილთა... ხოლო მე ვითარ გიხილე კეთილი იგი სტუმარი. რომელი მოვიდა ჩემდა. მივრბიოდე (sic) და აღვიყვანე იგი ქორსა ჩემსა და მინდა განძღემად შიმშილი მისი რომელსა ეძიებდ: და ვითარ აღვიხილე საუნჯე ჩემი. ვპოვე იგი ნაკლულევანად. მცირედ მეცნიერებისა ჩემისაგან და რამეთუ ენა ბრკუინვალ (sic) გარ და ვერ-მეტყუელ ვინაჲ ვიწყე წმიდისა მისთუის თხრობად სათნოებათა მისთა: არამედ განვიზრახე რათა ვემსგავსო ფუტკარსა შრომის მოყუარესა და სამოთხეთა მშვენიერთა. წიგნთა მიერ. მოვიწილნე ყუავილნი რათა განუმზადო ჭამადი ტკბილი წადიერთაო“ (იქვე, 31 რვეულის გვერდი 4—5). არსენი კათალიკოზის ამ საპასუხო წერილითგან სჩანს, რომ იოანე ზედაზნელის „უდაბნოს“ წინამძღვარს მიქაელს არსენისათვის უთხოვნია მათი მონასტრის დამაარსებელის იოანე ზედაზნელის ახალი „ც˜ა“ დაეწერა, თანაც მიქაელს „ქარტა წულილიც“: რომელშიაც აღწერილი ყოფილა „საქმენი მამისა ჩუენისა ზედაძნელისანი“,

---

*) ხელთნაწერში შეცდომით სწერია „განახლდა“.

**) ყოველ სიტყვის შემდგომ ხელთნაწერში:. ზის, მაგრამ ჩვენ არ ვიცავთ. თ. ჟორდანიას სიტყვით არსენი კათალიკოზის მიერ დაწერილი ი˜ე ზედაზნელის ც˜ა საეკლესიო მუზეუმის № 160 ხელთნაწერშია შენახული (ქ-ბი I, 79 შენ. 159), მაგრამ არ ვიცი, ამ ანა და˜ფს ხელთნაწერისას უდგება თუ არა.

მიურთმევია, რომ იმ მასალით ესარგებლა. როგორც თვით ც˜ის სათაურიც ამტკიცებს არსენი კათალიკოზის თხზულება პირველი ც˜ის „განახლება“ და „განვრცელება“ უნდა ყოფილიყო, მაშასადამე იმ დროს ი˜ე ზედაზნელის ძველად დაწერილი ც˜ა ჯერ კიდევ არსებობდა. ყურადღების ღირსია, რომ არსენი კათალიკოზის ნაწარმოებს წინუძღვის შემდეგი საგულისხმიერო ცნობა: „შემდგომად ოთხას ოცის წლისა გამოიკითხა და გამოიძია წმიდამან მამამან ჩუენმან არსენი ქართლისა კათალიკოზმან. რომელიმე წიგნთაგან აღმოვიკითხეთ და რომელიმე მათგან სმენილ იყო საქმეთაგან მათთა: და აღვწერეთ ცხორება და მოქალაქობა წმიდათა მათ მამათა საცნობელად ჩვენ მორწმუნეთა“-ო (იქვე, 31 რვეულის 2 გვ.). სამწუხაროდ იოანე ზედაზნელის ც˜ას ამ ხელთანაწერში ბოლო აკლია და არ ვიცით, თუ რა წელს არის იგი დაწერილი, რომ ამგვარად ათსამმეტ ასურელ მამათა მოღვაწეობის თარიღი გამოგვერკვია. ამის გამო უკეთესი იქნებოდა იოანე ზედაზნელის საქართველოში მოსვლის თარიღზე დაგვემყარებინა გამოანგარიშება, მაგრამ აქაც ერთი დიდი დაბრკოლება არსებობს. შატბერდისეულსა და ჭელიძისეულის „მქ˜ცჲ ქ˜ჲ“-ში იოანე ზედაზნელის მოსვლა მოხსენებულია ფარსმან მეფის დროს, ხოლო ჭელიძისეული ამასთანავე უმატებს: „ქართლისა მოქცევითგან მეორასესა წელსა“-ო (ე. თაყაიშვილის Описаніе II, вып. 4, გვ. 723), ესე იგი მე-VI-ე საუკ. პირველს ნახევარში. მაგრამ რამდენად შეიძლება ამ შემთხვევაში მკვლევარი ენდოს მატიანეს? „მქ˜ცჲ ქ˜ჲ“-ში ბევრი ქრონოლოგიური შეცდომა მოიპოვება და აქაც სხვა-და-სხვა ეჭვი იბადება: 1) თუ იოანე ზედაზნელი მართლაც მე-VI-ე საუკ. ნახევარში მოვიდა საქართველოში, მაშინ ქართლის მეფედ, თუ ეს პირველს მეოთხედში მოხდა, გურგენი იყო და არა ფარსმანი (იხილე ქ˜ლ ერის ისტორია I, 194), ხოლო თუ მეორე მეოთხედში იმ დროს მეფობა უკვე მოსპობილი იყო (იქვე 196). 2) იგივე „მქ˜ცჲ ქ˜ჲ“ ვასქენ პიტიახშს და შუშანიკს ბაკურ მეფის დროს ასახელებს (Описаніе II, вып. 4, გვ. 723), რომელიც ამ მატიანეს ცნობისდა მიხედვით მეოთხე მეფე იყო ვახტანგ გორგასარის შემდგომ; ხოლო შუშანიკსა და ვასქენს იოანე ზედაზნელის საქართველოში მოსვლის შემდგომაც-კი იხსენიებს, ესე იგი მე-VI-ე საუკ. მეორე ნახევარში. მაგრამ შუშანიკის მარტვილობითგანაც და სხვა წყაროებითგანაც დანამდვილებით ვიცით, რომ ვასქენი და შუშანიკი ვახტანგ გურგასარის დროს ცხოვრობდენ და ვასქენი სპარსთა მეფესთან 464—5 წელს წავიდა (იხილე აქვე გვ. 2 და ქ˜ლ ერის ისტორია I, 188). ამ შემთხვევაში მაშასადამე „მქ˜ცჲ ქ˜ჲ“ ერთი საუკუნით სცდება. შესაძლებელია რასაკვირველია იოანე ზედაზნელის მოღვაწეობის ხანას განსაზღვრის დროსაც შეცდომა მოსვლოდეს. ყურადღების ღირსია, რომ ჯუანშერიც ამ შემთხვევაში „მქ˜ცჲ ქ˜ჲ“-ს მისდევს და იოანე ზედაზნელის მოღვაწეობას ფარსმან მეორის მეფობას უკავშირებს, რომლის შესახებ

ჯუანშერსაც ნათქვამი აქვს: „მეფობითგან მირიან მეფისა ვიდრე მეფობადმდე მეორისა ფარსმანისა გარდაკდის წელ[ნ]ი“ ორას[ნ]ი*)“-ო (ანა დ˜ფსი ქ˜ცა, 19 (ი˜თ) რვეულის 2 გვ.).

ზემოაღნიშნულ ყველა მოსაზრებათა გამო ცხადია, რომ არც „მ˜ქცჲ ქ˜ჲ“-ს, არც ჯუანშერს უკვე დანამდვილებით აღარა სცოდნიათ იოანე ზედაზნელისა და შუშანიკის მოღვაწეობის დრო. თუ რომ იოანე ზედაზნელის ქართლად მოსვლის თარიღი თვით ძველს „ცხორებაში“ არ იყო აღნიშნული, შესაძლებელია თვით არსენი კათალიკოზსაც, რომელიც თურმე იოანე ზედაზნელის 420 წლის შემდგომ შესდგომია თავის თხუზულების წერას, დანამდვილებით არა სცოდნოდა, არამედ მასაც იმგვარივე ცნობა ჰქონდა ამის შესახებ, რანაირიც „მქ˜ცჲ ქ˜ჲ“-ში არის. მაინცა-და-მაინც ცხადია, რომ არსენი კათალიკოზს ან მე-IX-ე საუკ. მეორე ნახევარში, ან მე-X-ე პირველს ნახევარში უნდა ეცხოვრა. ხოლო თუ შიო მღვიმელის „განახლებული“ ც˜ის ცნობა, რომ იოანე ზედაზნელი სჳმეონ მესვეტის მოწაფე იყო და არსენი კათალიკოზს იოანე ზედაზნელის ც˜ა 420 წ. შემდგომ „განუახლებია“, მართალი გამოდგა, მაშინ უეჭველია არსენს მე-X-ე საუკ. შუა რიცხვებში უნდა დაეწერა თავისი თხზულება.

ამის გამო იმ ზეპირს ცნობებს, რომელიც 420 წ. შემდგომ ავტორს „სმენილი“ ჰქონია ათსამმეტ ასურელ მამათა შესახებ, რასაკვირველია ისტორიისათვის თითქმის არავითარი ფასი არა აქვს.

[illegible] ძველ ც˜ათა და მარტჳლობათა გადამკეთებელნი, „გამაახლებელნი“ და „გამავრცელებელნი“ უმეტეს შემთხვევაში იმდენად ისტორიულს ამბებს არ აქცევდნენ ყურადღებას, რამდენადაც ფილოსოფიურსა და საღვთისმეტყველო აზრებისა და მჭევრმეტყველებას. აი მაგ. როგორ იწყობს თავის თხზულებას არსენი კათალიკოზი: „მიზეზნი არიან აღმძვრელი**) სიტყჳსა და სიტყუა არს მიმთხრობელ მიზეზთა. რომლისათჳს პირველ მოვლენან საკრძნობელთა და მიართონ მიმღებელსა და მიმღებელმან მისცის განმკითხველსა და განმკითხველმან დამმარხველსა და ესრეთ გამოსახული მოიქცის და დაებუჩოს***) (?დაებურის?) ნესტუსა ენისა ოჳსისა და განგებულ ოხრინ. რათა კუალად სასმენელთა სხუთა მისცემდეს თჳთ თანაზიარებითა სმენისათა“ და სხვა (ანა დ˜ფლ ქ˜ცის დამატება, 31 რვეულის 3 გვ.). რაკი ამგვარს „განახლებულს“ თხზულებებში ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო მჭერმეტყველება ხშირად მოჭარბებული არის ხოლმე, ამიტომ ძველს ისტორიულს ცნობებს მცირედი ადგილი-და

*) მ˜მ დ˜ფს ქ˜ცა-შია „წელნი:--ს˜ნ:—“(*463, გვ. 188), თავდაპირველად უეჭველია დედანში ასე იქმნებოდა: „ს-ნი“ ესე იგი „წელნი ორასნი“.

**) ხელთნაწერში—აღმრეველი სწერია.

***) ხელთ დაებერო.

უკავია. ამასთანავე ყოველ ამნაირ „განვრცელებულ“ ნაწარმოების კუთვნილებას და აუცილებელ სამკაულს სასწაულთ-მოქმედებაც შეადგენს.

მაგრამ მარტო მწერმეტყველების გულისათვის არ შეუდგებოდნენ ხოლმე ძველ ც̃ისა და მარტჳლობის „განახლებასა“ და „გადაკაზმას“. ხშირად ძველი თხზულების დედანი შეიცავდა ისეთს უტყუარს ცნობებს იმდროინდელ საეკლესიო და დოგმატიურ საკითხების შესახებ, რომელნიც შემდეგდროინდელ მკაცრ მართლმადიდებლობას ეწინააღმდეგებოდა და ამის გამო არ მოსწონდათ. ამგვარს შემთხვევაში ყოველთვის „მწვალებლობის ღვარძლი“ ელანდებოდათ ხოლმე და ამ „ღვარძლის“ მოსასპობად საჭიროდ მიაჩნდათ ძველი თხზულების „განახლება“, რომ „განახლებულს“ წინანდელი ნაწარმოები მოესპო. უეჭველია ათსამმეტ ასურელ მამათა თავდაპირველს „ცხოვრება“-შიც ისეთი რამეც უნდა ყოფილიყო, რის კვალის წარხოცა შემდეგში აუცილებელ საჭიროებად იყო ცნობილი. ათსამმეტ ასურელ მამათა „განახლებულ“ ცხოვრებებშიც-კი ნათლად არის აღნიშნული ის მიზანი, რომლის განსახორციელებლადაც ისინი საქართველოში მოსულან. მაგალითად აი რას ეუბნება იოანე ზედაზნელი თავის მოწაფეებს: „ახალ-ნერგ არს ქუეყანა ესე (საქართველო) და მოქენე არს მორწყუვასა სწავლათა მიერ და განპოხებასა სარწმუნოებისა ძირთასა ქადაგებისა მიერ და მოძღურებისა .. ამისთჳსცა ჯერ არს რათა წარვიდეს თჳთოეული თქუენ[გან]ი და განამტკიცნეს სარწმუნოებითა მართლითა რომელთა მიუღებიეს ნათლისაღება, ხოლო რომელნი მერმეცა უმეცრებასა და ურწმუნოებასა შინა არიან“-ო (საქართ. სამოთხე 199). მაშასადამე ათსამმეტ ასურელ მამების სამოქმედო მიზანი ქართველთა შორის სარწმუნოების განმტკიცება იყო და წარმართა ქართველთა შორის ქრისტიანობის ქადაგება და გავრცელება. |იგივე აზრი გამეორებულია შიო მღვიმელის ც̃აშიც (იქვე 223). ამ ცხად და გარკვეულ მიზნისდა მიუხედავად გასაოცარია, რომ „განახლებულ“ ცხორებათა მიხედვით ათსამმეტი ასურელი მამები ქადაგებისა და მოციქულებრივ მოღვაწეობის მაგიერ უდაბნოებს აარსებენ და იქ მარტომყოფელობას მისდევენ. მათ ქადაგებრივ და განმამტკიცებელ მოღვაწეობის შესახებ ან სრულებით არაფერია ნათქვამი ან ძალიან ცოტა რამ. ამის გამო საფიქრებელია რომ „განმაახლებელთ“ ამ შემთხვევაში ძველ ცხოვრებათაგან ასეთი ცნობები გამოუტოვებიათ იმიტომ, რომ ალბად იქ მკაცრ მართლმადიდებლობის დამცველ მერმინდელ ქართველ საეკლესიო წრეებისათვის სასიამოვნო არა იყო რა. ამ მხრივ ერთი საგულისხმიერო ცნობა მოიპოვება აბმა ალავერდელის მერმინდელს მოკლე ცხოვრებაშიაც-კი. იქ ნათქვამია: როდესაც ასურელი მამები მოვიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში, „ჯერეთ ურწმუნოებაჲ არასადა დაცხრომილ იყო, არამედ კნინღა და სძლევდაცა“ (საქართ. სამოთხე 217) და სწორედ იმიტომაც მოვიდნენ ისინი, რომ „ესმოდათ სიკნინე სარწმუნოებისა ჩუენისა და სრულიადი მიდრეკილება“-ო (იქვე). ამგვარი ცნობები

ალბად სათაკილოდ მიაჩნდათ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებს და „განახლებულ“ ცხორებებში იქნებ იმიტომ იყოს ასურელ მამათა მოციქულებრივი და განმამტკიცებლობითი მოღვაწეობა დაჩრდილული. ამის გამო იმედია რომ ასურელ მამათა ძველს ცხორებებში, თუ ოდესმე აღმოჩნდა კიდევ, ქართული საეკლესიო ისტორიისათვის საყურადღებო ცნობებს ვიპოვით.

რასაკვირველია ხელმეორედ დაწერილი, „განახლებული“ და „განვრცელებული“ მარტვილობანი და ცხორებანიც ისტორიკოსისათვის ძვირფასი წყაროა ქართული საზოგადოებრივ აზრისა და სალიტერატურო გემოვნების ისტორიის შესასწავლელად. მოვიყვან ამ აზრის დამამტკიცებელს ერთს საგულისხმიერო მაგალითს. თავდაპირველად ბერ-მონაზონნი საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებაში დემოკრატიულ აზრების მიმდევარნი და განმახორციელებელნი იყვნენ: ჩამომავლობასა და წოდებრივობას უარჰყოფდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ დავით გარესჯელის ხელმეორედ დაწერილს ც˜აშიაც-კი ავტორი ამტკიცებს, ვითომც ძველ ც˜ის აღმწერელს იმიტომ არ მოეხსენებინოს დავით გარესჯელის მშობელთა ვინაობა, „რამეთუ პირველნი იგი მოღუაწენი, უცხოობათა აღმარჩეველნი უფროს ყოვლისა პატივისა, განაშორებდიან თავთა თჳსთა ყოველთავე მსოფლიოთა დიდებათაგან“. ხოლო რათგან „საეჭუელ არს ღმერთ-შემოსილიცა ამის მამაკაცისა თჳს საჩინოთა და პატიოსანთა მშობელთაგან ყოფაჲ და ამის ძლით სადამე ვითარ ჰგავს არა ენება ცხად ქმნა მშობელთა თჳსთა სიმდიდრისა თჳს გარდამატებულისა, არამედ უფროსღა ჯერ იჩინა ყოვლითურთ დაფარვა საჩინოებისა მათისა და არა გამოცხადება“-ო (საქართ. სამოთხე 267). მაშასადამე ავტორის სამართლიანის აზრით *) თავდაპირველად მონაზონები არამცთუ თავიანთ გვარიშვილობითა და წოდებრივობით არ ამაყობდნენ, არამედ პირიქით თავიანთ ჩამომავლობასა და წოდებრივობას მალავდნენ იმიტომ, რომ ეს გარემოება არავითარ ღირსებად არ მიაჩნდათ. თანდათან წოდებრივმა და საპატრონყმო აზროვნობამ მონასტრებშიაც-კი გზა გაიკვლია და ეკლესიაშიც გაბატონდა. ამის საუცხოვო დამამტკიცებელია ის არჩილ მეფის ხელმეორედ დაწერილი „ც˜ა“, რომელიც გამოსცა ბ. მ. ჯანაშვილმა (იხ. ქართული მწერლობა, ტფილისი 1900 წ., წ. I, გვ. 253—292). ამ ც˜ის დამწერი სხვათა შორის ამბობს:.. „გასმიესთ ყოველსა ქუეყანასა შინა დიდნი იგი წმიდანი. მოწამეთა საჩინონი ბრწყინვალებანი. ვითარ იგი დიდებულ არიან და ქებულ ანგელოზთა და კაცთა მიერ. არამედ მე ესრეთ ვჰგონებ ვითარმედ ესე (არჩილი) მათ ყოველთა შორის უმეტესითა საჩინოებითა ბრწყინავს: რამეთუ არა სადა სმენილ არს თჳთმპყრობელთა მე-

*) რასაკვირველია მე იმის თქმა-კი არა მსურს, რომ კერძოდ ამ შემთხვევაში, დავით გარესჯელის მშობელთა მოუხსენებლობის მიზეზის განმარტების დროს, ავტორი მართალი იყოს, არამედ მის საზოგადო აზრის შესახებ ვამბობ.

ფეთა მოწამეობაჲ ვითარ ჩუენი ესე მოწამე სამგზის-სანატრელი არჩილი: დაღაცათუ დიდნი არიან და საჩინონი სხუანი მოწამენი სასწაულთა და საკჳრველებათა მიერ... არამედ სხუაჲ არს სისხლი მეფისა და სხუაჲ მკედრისა, სხუაჲ მთავრისა და სხუაჲ მონისა: არამედ რომელი იგი არს აღმწონელი და ყოვლისა გამომეძიებელი თუალ-უხუვითა მით განკითხვათა მსჯავრითა. მან უწყის ესე ყოველი“-ო! (გვ. 260—261).

ამგვარი მასალები ქართული საზოგადოებრივ და საეკლესიო აზრების ისტორიის შესასწავლელად „განახლებულ“ ცხორებებში საკმაოდ მოიპოვება და მათი ჯეროვანი გამოცემა და შესწავლა აუცილებლად საჭიროა. მაგრამ მაინც სრულებით ცხადია, რომ ისინი ვერას დროს თავდაპირველი დედნების მაგიერებას ვერ გაგვიწევენ, ვერც იმ დანაკლისს აგვინაზღაურებენ, რომელიც საისტორიო მეცნიერებას ძველ მარტჳლობათა და ცხორებათა დაკარგვით მოუვიდა, იმიტომ რომ უძველეს ხანის ისტორიის აღსადგენად ჩვენთვის სწორედ თავდაპირველს საისტორიო ცნობებსა და მოთხრობას, იმდროინდელს რწმენასა და აზროვნობასა აქვს მნიშვნელობა. თავდაპირველ, თანამედროვეთა მიერ დაწერილ ცხორება-მარტჳლობათა და გადაკეთებულ, „გარდაკაზმულ“ ცხორება-მარტჳლობათა ერთიერთმანერთთან შედარება ნათლად ამტკიცებს, რომ თანამედროვენი ჩვეულებრივ სასწაულთ მოქმედების მოთხრობასაც ისე არ ეტანებიან, როგორც მერმინდელი გადამკეთებელი „გარდამკაზმელნი“. სამწუხაროდ ქართველ წმიდათა და მარტჳლთა ცხორებანი არც თავდაპირველი, არც გადაკეთებული ჯერ არც ხელნაწერებშია შესწავლილი, არც გამოცემულია ხეირიანად, რომ მათი ჯეროვანი სამეცნიერო კვლევა შესაძლებელი იყოს. ეხლაც წინანდებურად ძველ ცხორება-მარტჳლობათა ერთად-ერთ გამოცემად საბინინის „საქართველოს სამოთხე“ არის.

ᲘᲝᲐᲜᲔ ᲫᲔ ᲡᲐᲑᲐᲜᲘᲡᲘ.

ქართულ საეკლესიო - საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული და თვალსაჩინო ადგილი იოანე საბანის ძეს უკავია. მან გარკვეული მიმართულება შექმნა მწერლობასა და ცხოვრებაში და თვით თხზულებაც ჩვეულებრივი მოთხრობის სახით-კი არა აქვს დაწერილი, არამედ გარკვეულს, წინდაწინვე აღნიშნულს გეგმაზე არის აგებული. მარტო ეს გარემოებაც-კი, სხვა რომ არა იყოს რა, გვიჩვენებს, რომ იოანე ძე საბანისი ჩვეულებრივი მწერალი არ ყოფილა და თავის დროს მისაბაძავ, სამაგალითო ისტორიკოსად უნდა ყოფილიყო და იყო კიდეც.

მართლაც აბო ტფილელის მარტჳლობის „გამომთქმელი“ იოანე ძე საბანისი მე-VIII-ე საუკ. ცნობილი მწერალი ყოფილა: მისი „ღმრთივ-მიმადლებული მეცნიერებაჲ საღმრთოთა წიგნთაჲ“*) და „წადიერებაჲ ღმრთის მსახურებისათჳს“ კარგად სცოდნია თვით სამოელ ქართლისა კათალიკოზსაც. მისი თხზულებაც საკმაოდ ამტკიცებს, რამდენად ნიჭიერი და საეკლესიო მწერლობაში დახელოვნებული ისტორიკოსი ყოფილა იგი. იოანე საბანის ძეს „მარტჳლობა“ გარკვეულს გეგმაზე აქვს აგებული, თავებად დაუყვია და თვითოეულს თავში განსაღვრული დედააზრი გამოუთქვამს.

„საკითხავნი წმიდისა ჰაბოჲსნი თავნი დ (4).

ა (1) თავი. ღმრთის მსახურთა და მარტჳლთ-მოყუარეთა კრებულისათჳს თხრობაჲ და მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამისა ჴსენებაჲ.

ბ (2) თავი. ქართლად შემოსლვაჲ და ნათლის ღებაჲ ნეტარისა ჰაბოჲსი.

გ (3) თავი. მარტჳლობაჲ წმიდისა ჰაბოჲსი.

დ (4) თავი. ქებაჲ სანატრელისა წმიდისა ჰაბოჲსი“ („წმიდა მოწამე აბო ტფილელი“, საეკლ. მუზ. გამოცემა № 3, გვ. 6).

პირველი თავი შესავალია, რომელშიაც მიმართვაა მკითხველისა და მსმენელისადმი, განსაკუთრებით-კი ავტორის საზოგადო მოსაზრება და გულისნადების მოთავსებული. მეორე და მესამე თავში აბო ტფილელის თავგადასავალია მოთხრობილი. მეოთხე აბოს ქებას შეიცავს. ეტყობა, ვიდრე თხზულების წერას შეუდგებოდა ავტორს ყველაფერი წინდაწინვე მოუფიქრნია და გამოურკვევია. ამიტომაც არის რომ იოანე საბანის ძის აზრთა მიმდინარეობა და მოთხრობა დალაგებული და მკაფიოა.

თავის აზრის ცხოველმყოფელობისათვის იგი აქა-იქ პოეტურ შედარებასა და სურათს მიჰმართავს ხოლმე, მაგრამ, როგორც განსაკუთლებულ უნარითა და გემოვნებით აღჭურვილს მწერალს შეჰშვენის, იგი თავის შედარებას არ აზვიადებს, არამედ მარტივად და გულწრფელად აფერადებს ხოლმე თავის მოთხრობას. ამგვარი თვისება საეკლესიო მწერლებს მაინცა-და-მაინც ხშირად არ მოეპოვებოდათ ხოლმე: საღმრთო წერილის მონური თაყვანისცემა და მიმბაძველობა, ყოველგვარ პოეტურ სილამაზის უარყოფა და საეკლესიო მწერლობის ზეპირად ცოდნის გამოჩენის სურვილი საეკლესიო მწერალს ხშირად პირად ნიჭს უხშავდა, მის შემოქმედებას ჰბორკავდა და მის ნაწარმოებს უფერულობისა და უპირადობის ელფერს სდებდა ხოლმე. მხოლოდ განსაკუთრებულ ღვთაებრივ ნიჭით დაჯილდოვებული მწერალი თუ შესძლებდა ამგვარ შემზღუდველ პირობათა ძლევას და თავის ადამიანურ გრძნობა-აზროვნობის გამომჟღავ-

*) უეჭველია იოანე საბინის ძეს აბო ტფილელის მარტჳლობას გარდა სხვა თხზულებებიც ექმნებოდა. როდესაც ქართული ხელთნაწერები საფუძვლიანად იქმნება შესწავლილი, მაშინ იმედია ეს საკითხიც ცოტადაც მაინც გამოირკვევა.

ნებას. ამ იშვიათ პიროვნებათა გუნდს ეკუთვნოდა სწორედ აბო ტფილელის მარტვილობის გამომთქმელიც იოანე ძე საბანისი.

მაგრამ მას ერთი სხვა თვისებაც ამშვენებს, რომელიც მის ცხოველს, პოეტურს სურათებს მომხიბლავ ძალას ანიჭებს და აღრმავებს: ავტორი ჭკვით უხვად დაჯილდოვებული მწერალია. ცხოვრებაში ღრმად ჩახედული აკვირდება იგი და ითვალისწინებს იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრების თვითოეულს მოვლენას. მას მშვენივრად ესმის ამ მოვლენათა აზრი და მნიშვნელობა და გარკვადაც უხსნის და უთვალისწინებს თანამოძმეთ თავის ღრმა დაკვირვებასა და აზრს. იოანე საბანის ძეს განუენებულ მსჯელობის უნარიც შესწევს და ცდილობს თანაც თავისი მსმენელი და მკითხველიც გაიტაცოს, დააფიქროს და თვითშემეცნებისა და დაკვირვების სურვილი აღუძრას: „აწ... მომიპყრენით, ამბობს ავტორი, საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა თქუენისანი და გონებათა თქუენთანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ ჩემთა“ (იქვე 6). ამგვარი გულდასმითი ყურადღება იმიტომ არის საჭირო, რომ „არა თუ ხოლო ჩემდა მარტოჲსა საძიებელი არს სმენად საწადელი ესე მარტჳლობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთაჲ ჯერ არს თქუენდა დაკვრვებად ჩემთანა“ (იქვე 7)!

რა მოხდა მერე ისეთი განსაკუთრებული, რომ იოანე ძე საბანისი ასე გულმოდგინედ არწმუნებს ყველას, თქვენ მოვალენი ხართ ჩემთან ერთად აბო ტფილელის მარტჳლობას ჩაუკვირდეთო? იმდროინდელ საქართველოში მარტჳლობა იშვიათი შემთხვევა არ იყო. თვით ავტორიც ამბობს, რომ აბოს უწინარესაც ჩვენი ეკლესია, რომელიც „წოდებულ არს დედად წმიდათა“, არა ერთხელ მოსწრებია აღგილობრივ მკჳდრთა და უცხოელთა მარტჳლობას (იქვე 14). ამისდა მიუხედავად ავტორი მაინც ამტკიცებს, რომ ამ აბოს მარტჳლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა და აზრი აქვს. სწორედ აქა სჩანს იოანე საბანის ძის ნიჭი და ჭკუა, რომ მან შესძლო ის, რაც ვერ შესძლეს ევსტათე მცხეთელის, რაჟდენისა და სხვათა მარტჳლობათა გამომთქმელებმა: ცხოვრების კერძო მოვლენაში მან საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და დაინახა. მან შეიძლო ამის შეგნება პირადად და თანაც სხვებსაც დაანახვა და შეაგნებინა!..

აბო ტფილელი ჩვენი ავტორის გულითადი მეგობარი ყოფილა. ეს ცხადადა სჩანს „ქების“ იმ ადგილითგან, სადაც იოანე საბანის ძე ამბობს: „მნებავს ქებად შენდა ყოვლად-ქებულო ქრისტჱს მორწმუნეო... რამეთუ სანატრელითა მით ქრისტჱს-მიერითა სიყვარულითა შემიყუარე მე ვიდრე იყავ-და სოფელსა ამას ჩუენსა“-ო (იქვე 36). ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ავტორი, ვითარცა მარტჳლის დაახლოვებული პირი და მეგობარი, აბოს წარსულ ცხოვრებას და მოწამის პირადს თვისებებს და სათნოებას დაგვისურათებდა, აბო ტფილელის პირადს თვისებებს განსაკუთრებულს ყურადღებას მიაქცევდა. მაგ-

რამ ნამდვილად-კი იოანე საბანის ძე აბოს ცხოვრებაზე ძალიან ცოტას ლაპარაკობს: იქაც-კი, სადაც აბოს „ქართლად შემოსვლაა“ აღწერილი, ავტორს განსაკუთრებით ქართლის მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე აქვს საუბარი.

მოსალოდნელი იყო, რომ იოანე საბანის ძე სხვებსავით აბოს აღმსარებლობითი მოღვაწეობით იქმნებოდა გატაცებული. ევსტათე მცხეთელის მარტვილობის გამომთქმელს ევსტათეს აღმსარებლობითი სიტყვისათვის თავის თხზულების ორი მესამედი დაუთმია, თუმცა ეს სიტყვა შინაარსის მხრივ არაფერს განსაკუთრებულს და ახალს არ შეიცავს*): იგი იმასვე იმეორებს, რასაც საზოგადოდ ყველა მარტვილნი ამბობდნენ ხოლმე ამისთანა შემთხვევებში. აბოს მარტვილობის გამომთქმელს-კი მოწამის მხოლოდ ორიოდე წინადადება მოჰყავს იმიტომ, რომ მისთვის აბოს სიტყვა არც საჭირო იყო.

იოანე საბანის ძე სულ სხვა აზრითა და წადილით იყო გატაცებული; მთელს თავის ყურადღებას იგი იმ გარემოებას აქცევდა, რომ მე-VIII-ე საუკუნეში, სარკინოზთა და მათ სარწმუნოების, მაჰმადიანობის, ბატონობისა და ქართველ ქრისტიანეთა მონობისა და უძლურების დროს, ტომით სარკინოზმავე აბომ თავისი სარწმუნოება უარჰყო და ქრისტიანობას თავი შესწირა. იოანე საბანის ძე სწორედ ამ შემთხვევასა და გარემოებას აკვირდებოდა და მხოლოდ იმას არკვევდა, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ გარემოებას ქართული ეკლესიისა და ერისათვის.

არაბთა ბატონობა მძიმე ტვირთი იყო საქართველოს მკვიდრთათვის საზოგადოდ და განსაკუთრებით-კი ეკლესიისათვის. იოანე საბანის ძეს საუცხოვოდ აქვს დასურათებული ჩვენ წინაპართა მაშინდელი გაჭირვებული მდგომარეობა: „რომელ ესე ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა, სასტიკებისაგან და სივერაგისა მანქანებითა მით საცთურისაჲთა ზედამდგომელთა მათ ჩუენთა, მფლობელთა (ე. ი. არაბთა) ამის ჟამისათა, ზაკულებითა მოძლურებისა თჳთ თავით თჳსით შჯულისდებისაჲთა განდგომილთა ქრისტჱსგან, მრავალნი შეაცთუნნეს და გარდარიკნეს გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებასა ქრისტჱს სახარებისასა შეეცოდნეს: რომელნი ხუთას წლისა ჟამთა და უწინარესღა შჯულ-ყოფილ წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა, მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი, გარდაგულარძნეს—რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკუვარებით: და სხუანი, რომელ ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“-ო (იქვე 7—8).

---

*) ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში მეტად საყურადღებო ცნობებია სახარებითგანა და ძველ აღთქმითგან, მაგრამ რასაკვირველია ეს ევსტათეს ღვაწლად ვერ ჩაეთვლება.

მაშასადამე ბრძოლა ქართველთა წინააღმდეგ არაბებს ერთსა-და-იმავე დროს სხვა-და-სხვა მხრით დაუწყიათ: ეკონომიურად ქართველნი მათ მძიმე ხარკის დადებით დაუუძლურებიათ, ხოლო საჩუქრებითა და მოტყუებით მათ ქართულ ეკლესიის მრავალი გადუბირებიათ და მაჰმადიანობა გაუვრცელებიათ. სადაც ეს ხერხი არ გასდიოდათ, იქ ტანჯვა და საპყრობილე მოქმედობდა (იქვე 29, 37). მორწმუნენიც-კი ჩვენი ავტორის მოსწრებული და პოეტურ სიტყვით ირყეოდნენ „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“. ქართული ეკლესია და ჩვენი ეროვნული თვითშემეცნება დიდს განსაცდელში ჩავარდა. მაჰმადიანთა ზნე-ჩვეულება თანდათან ფეხს იკიდებდა და ვრცელდებოდა ჩვენს საზოგადოებაში: „აღვერიენით“-ო, ამბობს აღშფოთებით იოანე საბანის ძე, ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყვარესა, თესლსა ურწმუნოსა ძისა ღმრთისასა, სარწმუნოებისა ჩუენისა მაგინებელთა რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვმონებდით გულის თქუმასა გულთა ჩუენთასა მიბაძვებითა მათითა“-ო (იქვე 38).

ასეთს დროს და გარემოებაში მიიღო ქრისტიანობა აბო ტფილელმა, ასეთს დროს, „ესე ვითარსა ჟამსა“ (იქვე 8) მან შუბლი მარტჳლობის გვირგვინით დაიმშვენა! ყოველგან ქართლში ყოყმანი და რყევა იყო და აბოს ხომ, ვითარცა მებატონე ხალხის შვილს, უფრო მეტი საფუძველიც და ზნეობრივი უფლებაც ჰქონდა ქრისტიანობისათვის თავი დაენებებინა. უეჭველია მას, მამეული სჯულის წიაღში რომ დაბრუნებულიყო, მოძმენი დიდ სასყიდლით და წყალობით დააჯილდოვებდნენ. მაგრამ აბო ტფილელმა ყველაფერი უარ-ჰყო და თავის ახალ რწმენის სიმტკიცე საკუთარ სისხლით აღბეჭდა. ამიტომ არც გასაკვირველია, რომ გულწრფელად განცვიფრებული იოანე საბანის ძე მოწამეს ეუბნება: „შენ-თვს ფრიად დამიკჳრდების ჩუენ წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას ოდენ მეფობისა ისმაიტელთა დიდებ[ის]ასა შენ ნებ-სით სიამდლჱ ქრისტჱს თვს აღირჩიე და მახჳლითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე“-ო (იქვე 37).

აბოს მატჳლობის გამომთქმელს აღნიშნული აქვს, რომ ტფილელ მოწამესთან ერთად ქრისტიანობისათვის შეპყრობილი იყო ერთი სხვა კაციც, რომელმაც,—თუმცა მას მშობლებიც ქრისტიანენი ჰყავდნენ,—მაინც ვერ გაუძლო ტანჯვას და „დაეცა, რამეთუ შიშისაგან სიკუდილისა საწუთროჲ ესე შეიყუარა და საუკუნოჲ იგი წარწყმიდა“! (იქვე 37). ამ შემთხვევის გახსენებაზე იოანე საბანის ძე კითხულობს: „ვინაჲ, ანუ ვისგან ისწავე ქრისტჱს თჳს ესე-ოდენი ცნობაჲ? რომელმან საკჳრველებამან აღგიყვანა შენ დიდებასა სასუფევ-ლისასა?.. გაქვნდეს შენცა ერთი თანაპყრობილთაგანი, ნაშობი ქრისტეანე-თაჲ, რომელი განდრეკილ იყო ქრისტჱსგან და მიდევნებულ შჯულსა უცხოსა“! (იქვე 37). აი ამ გზით აბო ტფილელის მარტჳლობა, რომელიც ერთის შეხედვით ადამიანს თითქოს ჩვეულებრივ შემთხვევად ეჩვენებოდა, იოანე საბანის

ძემ თავის ცხოველი ნიჭისა და ღრმა ჭკუის წყალობით იმდროინდელს ქართველს საზოგადოებას ცოცხლად დაუსურათა და არა-ჩვეულებრივ, განსაკუთრებულ მოვლენად წარმოუდგინა.

მაგრამ ჩვენმა მწერალმა ეს არ იკმარა. მან თავის თანამოძმეებს დაანახვა, რა მნიშვნელობა და აზრი ჰქონდა ქართულ ეკლესიისა და საზოგადოებისათვის აბოს მარტვილობას. მან, როგორც უკვე ნათქვამი იყო, ცხოვრების ყოველდღიურს, კერძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანებით აღსავსე თვისება და გარემოება შეჰნიშნა. თავის „ქება“-ში იოანე საბანის ძე აბოს ეუბნება: შენ „მახვლითა პყრობილი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე“-ო (იქვე 37). მერე განა ეს გარემოება სარკინოზთა „მახვლით პყრობილ შჯულის“ საუცხოვო დამარღვეველი საბუთი არ იყო? თვით სარკინოზმავე აბომ სარკინოზთა სარწმუნოების პატრონობის დროს თავის მამეულის „მახვლით პყრობილს ჯულს“ უარჰყოფდა და განა ამას მაინც ქართველ ქრისტიანეთათვის, რომელთა წინაპარნი „ხუთას წლის ჟამთა და უწინარესცა წმიდითა მადლითა ნათლვის ღებისაჲთა“ აღბეჭდილ იყვნენ და ამისდა მიუხედავად მაინც „მახვლითა პყრობილის შჯულს“ ემხრობოდნენ, თვალები არ უნდა აეხილა? განა ამას მაინც არ უნდა დაენახვებინა ქრისტიანობის უარისმყოფელთათვის მათი შეცდომა, ხოლო არაბთა შიშით თავზარდაცემულნი გაემხნევებინა? თვით სარკინოზივე, „უმეცარი სარწმუნოებისა ჩუენისა, უცხოჲ უცხოჲთა შჯულითა მოსული“ ქრისტიან ქართველებს ამის მაგალითს აძლევდა! ასე ფიქრობდა იოანე ძე საბანისი.

ჩვენი ავტორი ამბობს: „შენ (აბო) აღმსარებელთა მათ თანა განეწესე“-ო (იქვე 37). იოანე საბანის ძის აზრით აბო ტფილელს ქართულ ეკლესიისაგან აღმსარებელის სახელი ეკუთვნის იმიტომ, რომ მისმა მარტვილობამ ქართველი ქრისტიანები გამოაფხიზლა, ანუ როგორც ავტორი ამბობს, ამის გამო „სიყუარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა“-ო (იქვე 38). თავის „ქება“-ში ჩვენს ავტორს ამგვარი მიმართვა აქვს აბოსადმი: „შენ, ახალი იგი ქრისტჱს მორწმუნჱ, მოძღუარ ჩუენდა იქმენ: სწავლულნი უფროჲს გულისხმიერ ჰყვენ, შერყეულნი უფროჲს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ-“ო! (იქვე 40). მაშასადამე აბო ტფილელის მარტვილობა, რომელიც იოანე საბანის ძის მადლიანმა კალამმა ქართველ საზოგადოებას განსაკუთრებულ, საგულისხმიერო შემთხვევად წარმოუდგინა, ამასთანავე ისტორიულ და სამარადისო-მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ქცეულიყო: ეს მოვლენა ქართველთა მიძინებულ სარწმუნოებრივ გრძნობის გამოფხიზლებისა და გაცხოველების მიზეზად უნდა გამხდარიყო.

მაგრამ ამ განახლებულ გრძნობას მარტო სარწმუნოებრივი ხასიათი არ უნდა ჰქონოდა: მას ეროვნული თვითშემეცნებაც უნდა თანდაჰყოლოდა!

აი რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იოანე საბანის ძის აზრით ჩვენ მაშინდელ საზოგადოებისათვის აბო ტფილელის მარტჳლობას. მართალია, „აქა ესე რა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა, სხჳთ მოსრულთა, ჩუენ შორის ჟამად-ჟამად მოწამედ გამოჩინებულთა“ (იქვე 14) და თვით ქრისტიანობასაც საქართველოში უკვე ხანგრძლივი წარსული და ხუთასი წლის ისტორია ჰქონდა, მაგრამ ქართული ეკლესიის მოწამეებსა და მარტჳლთ სამშობლოში მაშინ ჯერ თურმე ძალიან მცირედი მნიშვნელობა და პატივისცემა ჰქონიათ, თანამოძმე მოწამე ჯერ კიდევ მოკლებული ყოფილა ისეთს ღირსებასა და პატივს, როგორიც კარგა ხანია მსოფლიო ეკლესიის მარტჳლებსა და წმინდანებს ქართველთა შორის მოხვეჭილი ჰქონდათ. ერთი სიტყვით მაშინ საქართველოში ეროვნულს გრძნობას სარწმუნოებაში ჯერ კიდევ ფეხი მტკიცედ მოკიდებული არა ჰქონდა. წინად მიძინებულმა და მიბნედილმა ეროვნულმა მიმართულებამ ის-ის იყო კვლავ გამოცოცხლება დაიწყო. ვგონებ სულ ერთი საუკუნის ამბავი იყო ეს. ვითარცა ნორჩ მცენარესათვის ამ მიმართულების გამაგრებისა და გაფურჩქვნისათვის ჯერ კიდევ კარგი ხელისშემწყობა იყო საჭირო. იოანე საბანის ძემ სწორედ ამას მიაქცია ყურადღება და ეცადა აბო ტფილელის მარტჳლობით ესარგებლნა, რომ საქართველოში საეკლესიო—ეროვნული გრძნობა და მიმართულება გაეძლიერებინა. „აწ საყუარელნო, ემუდარებოდა და აგონებდა იოანე საბანის ძე თავის თანამოძმეებს, „ჯერ არს ჩუენდაცა ამიერითგან უმეტჱსადღა შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მოწამეთა, რათა ხილულისა ამისგან ახლისა მოწამისა პირველთაჲცა მათი გურწმენეს“ (იქვე 35). ჩვენს ავტორს აღნიშნული აქვს ის სასწაულები, რომელნიც აბოს მოწამებრივ სიკვდილის დროს მოხდა და ცდილობს დაარწმუნოს ყველანი, რომ აბო ნამდვილი, მსოფლიო ეკლესიის სხვა მარტჳლების თანასწორი მოწამეა. უფალმა აბოს სიკვდილის შემდგომ იმიტომ „აჩუენა სასწაული საკჳრველი, რათა უწყოდიან ყოველთა, რამეთუ ჭეშმარიტად ქრისტჱს მოწამჱ არს“ (იქვე 33) და „რათა ყოველთა ჰრწმენეს, რამეთუ (აბო) ჭეშმარიტად იესუ ქრისტჱს ძისა ღმრთისა მარტჳლი არს“ (იქვე 34).

ეხლა „სარწმუნოებითა შეთხზული იგი გჳრგჳნი მარტჳლთა თჳსთაჲ დაადგა თავსა ზედა ეკლესიისასა“ (იქვე 8). ქართული ეკლესია ჩვენი ავტორის აზრით მარტო აღარ იყო: სხვა ერებსავით მასაც ჰყვანდნენ ძლიერი მფარველნი, რომელნიც ზეციერ მამის წინაშე თავის მშობელ ეკლესიისათვის მარად შეოხ და მვედრებელ იყვნენ. თვით განგებამ ქართველთა ეკლესიას კიდევ ერთი ამგვარი მფარველი მიანიჭა: „აწ მოვედით ქრისტჱს მორწმუნენო, ამბობს იოანე საბანის ძე, და ვდღესასწაულობდეთ ჴსენებასა ახლისა ამის წმიდისა მოწამისა, რომელი ყოველსა ამას სოფელსა ჩუენსა ქართლისასა მეოხ ჩუენდა ქრისტემან მოგუანიჭა“ (იქვე 35).

ქართველებს ეხლა მაინც უნდა შეეგნოთ, რომ „ჯერ არს... ამიერით-
გან უმეტჱსადღა შეწყნარებად პირველთა მათ სანატრელთა მოწამეთა",
თანამოძმე მარტვილებისათვის შესაფერისი პატივი ეცათ. ეხლა მაინც უნდა
გამსჭვალულიყვნენ იმ აზრით, რომ „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუ-
ნოებაჲ ესე ღრმთისა მიერ მოიპოვეს, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ
მკვდართა, ვითარცა წამებს უფალი და იტყჳს: «მოვიდოდიან აღმოსავალით
და დასავალით და ინაკიდ დგმიდენ წიაღთა აბრაჰამისთა, ისაკისთა და იაკო-
ბისთა» (იქვე 14). ჩვენს ავტორს შეეძლო ლუკა მახარებლისაგანაც მოეყვანა
იგივე სიტყვები და აზრი ბოლომდის განეგრძო, სადაც ნათქვამია: „აჰა ესე-
რა არიან უკანასკნელნი რომელნი იყუნეს პირველ და არიან პირველნი რო-
მელნი იყუნენ უკანასკნელ' (ლუკა XIII, 30). მაგრამ იოანე საბანის ძემ ისიც
იგმარა, რომ ქართულ ეკლესიას თვით ქართველთა თვალში ბერძენთა ეკლე-
სიის თანასწორი მნიშვნელობა და პატივი ჰქონოდა. მეტის თქმა და ნატვრა
მას აზრადაც არ მოსვლია იმიტომ, რომ მეტისათვის ამაზე უკეთესი საბუ-
თები და კულტურულ-სახელმწიფოებრივი მდგომარეობა იყო საჭირო. ის, რის
თქმაც ფიქრად არ მოსვლია ჩვენს ავტორს, ორი საუკუნის შემდგომ სახელო-
ვანმა გიორგი მთაწმინდელმა საქვეყნოდ გამოაცხადა და დროის შესაფერისად
დაასაბუთა კიდეც.

როგორც ვხედავთ იოანე საბანის ძე ჩვენ იმდროინდელ საზოგადოე-
ბაში ნორჩ ეროვნულ-საეკლესიო მიმართულების პირველი ნიჭით აღ-
სავსე მოციქული და მქადაგებელი იყო.

ყურადღების ღირსია, რომ რაჟდენისა და ევსტათე მცხეთელის თვით
მოწამებრივი ღვაწლი აბოს ამგვარისავე ღვაწლისაგან არაფრით განსხვავდება:
აბოსავით რაჟდენიცა და ევსტათეც უცხოელები იყვნენ და ქართლში გაბატო-
ნებულ ეროვნებას ეკუთვნოდნენ. ამასთანავე ისინიც თავდაპირველად უცხო რჯუ-
ლის აღმსარებელნი იყვნენ და ქართულ ეკლესიის წევრებად ისეთს დროს
იქცნენ, როდესაც მათი გაბატონებულნი თანამოძმენი საქართველოში ქრისტია-
ნობას სდევნიდნენ. დასასრულ, აბოსავით იმათაც რწმენის სიმტკიცე გამოიჩი-
ნეს და მარტვილობის გვირგვინი ისეთს დროს დაიდგეს, როდესაც თვით ქარ-
თველ ქრისტიანეთა შორისაც-კი რყევა იყო. მაგრამ ვერც რაჟდენის მარტვ-
ლობის ავტორმა, ვერც ევსტათე მცხეთელის ც̃ის აღმწერმა ვერ შენიშნეს ის
გარემოება, რაც იოანე საბანის ძემ შენიშნა. მათ თავიანთ თხზულებაში აღწე-
რილი აქვთ მხოლოდ თვით შემთხვევა ისე, როგორც იგი მოხდა. არც საქარ-
თველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობა, არც საზოგადოებრივი
ვითარება მათ არ აუწერიათ. მათი ნაწარმოები მხოლოდ თვით ამბავის მარ-
ტივი მოთხრობაა. იოანე საბანის ძის თხზულება-კი უკვე საისტორიო ნაწარ-
მოებია. მისი „გამომთქმელი" ავტორი რთულ საისტორიო მეთოდით სარ-
გებლობს: მას ჯერ იმდროინდელი პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ეკონომიური

და სარწმუნოებრივი მდგომარეობა აქვს აღწერილი, შემდეგ თვით ამბავია მოთხრობილი და ამ მოვლენის მნიშვნელობა არის გამორკვეული მაშინდელ პირობებისდა მიხედვით. ხოლო ამგვარი საისტორიო თხრობის წესი ქართული მაშინდელ საისტორიო მწერლობის დიდ მეთოდოლოგიურ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

თავისდა თავად ცხადია, რომ ის გარემოება, რაკი რაჟდენისა და ევსტათე მცხეთელის მარტვილობათა ავტორებმა თავიანთ თხზულების დაწერა იოანე საბანისძისათვის ვერ შეძლეს, მათ ნაკლად ვერ ჩაეთვლება. ჩვენ იმისაც მადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ მათ თვით ისტორიული შემთხვევა კარგად და უტყუარად აქვთ აღწერილი. ხოლო ყოველდღიურ ცხოვრებაში საზოგადო-მნიშვნელოვან გარემოების შემჩნევა ადვილი საქმე არ არის: ეხლაც-კი უმეტესობას ამისი ძალა და უნარი არ შესწევს, მით უმეტეს ეს თვისება VI—VII ს. მწერლებს ვერ მოეთხოვებათ. მაგრამ სამაგიეროდ ამით უფრო ნათლადა სჩანს, რამდენად ნიჭიერი ყოფილა თვით იოანე საბანის ძე, ან რა ღვაწლი მიუძღვის მას ქართულ ეროვნულ თვითშემეცნებისა და საისტორიო მწერლობის წინაშე.

პირველად აბო ტფილელის მარტვილობა მ. საბინინმა დაბეჭდა „საქართ. სამოთხე“-ში, მეორედ პ. კარბელაშვილმა „წმიდა მოწამე აბო ტფილელი“ 1899 წ. (საეკლესიო მუზეუმის გამოცემა № 3). გერმანული თარგმანი ეკუთვნის K. Schultze-ს Das Martyrium des heiligen Abo von Tiflis (Texte vnd Untersuchungen, N. Folge XIII, 4).

ႺႾႭႰႤႡႠჂ ႣႠ ႼႠႫႤႡႠჂ ႩႭႱႲႠႬႲႨႬႤ—ႩႠႾႠჂႱႨ.

„ცხოვრება[ჲ] და წამება[ჲ] წმიდისა მოწამისა კონსტანტინე ქართუელისა]ჲ] რომელი იწამა ბაბილოვნელთა მეფისა ჯაფარის მიერ“,— აგმვარ სათაურით არის ცნობილი ერთი თხზულება, რომლის დამწერის ვინაობის შესახებ არაფერი მოიპოვება. თვით ავტორის სიტყვებითგან სჩანს მხოლოდ, რომ იგი კონსტანტინეს თანამედროვე ყოფილა. აი რას ამბობს იგი სახელდობრ: კონსტანტინე იყო დღეთა ჩუენთა მეფობასა ღმრთისმსახურისა თეოდორა დედოფლისა რომელი იგი მეფობდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრე იგი ყრმაა-და იყო ძე მისი მიხაილ“ (ს˝ქს სამოთხე 364). თეოდორა დედოფალი მართლაც 842 წ. შემდგომ თავის მცირეწლოვან შვილის მიხაელის თანამედროვე და მზრუნველი იყო (იხ. А. А Васильевъ. Византія и Арабы. Политическія отношенія... за время Аморійской династіи; С.П.-Б. 1900 წ. გვ. 153). ავტორს ამასთანავე აღნიშნული აქვს,

რომ თეოდორამ „განწმიდა საბერძნეთი ყოველი საცთურისა მისგან, რომელი იყო დღეთა ქმრისა მისისათა ხატის ურწმუნოებისა და განამტკიცა ღუაწლი ბერძენთა და მრავალი ჭალაკნი აღაშენნა რომელნი მოოხრებულ იყუნეს აგარიანთა მიერ“ (საქ. სამოთხე 364). ხატების თაყვანისცემა 843 წ. საეკლესიო კრებამ აღადგინა. ხოლო რაკი „ცხორებისა და წამებისა“ დამწერს აღნიშნული აქვს, რომ მის მიერ მოთხრობილი ამბები მიხეილ კეისრის მცირეწლოვანობის დროს მოხდა, ამიტომ ცხადია, რომ მას, ამ ამბების თანამედროვეს, თავისი თხზულება დაახლოვებით 853—856 წ.-ში (**H. Gelzer. Abris der Byzantinischen Keisergeschichte**, კ. კრუმბახერის **Geschichte d. Byzant. Litteratur**, 2 გამოცემა, გვ. 971) უნდა დაეწერა.

საყურადღებოა, რომ ავტორს თავისი დრო ქართველ მთავართა მეფობისდა მიხედვით კი არა აქვს განსაზღვრული როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ბიზანტიის დედოფლის მეფობისდა გვარად. თუმცა ესეც-კია, რომ კონსტანტინეს მოწამებრივ სიკვდილის თარიღად მას შემდეგი ცნობაც აქვს: ეს მოხდა „პარასკევსა ი (10) ნოემბერსა მეფობასა ბაგრატ კურაპალატის[ს]აო“ (ს̃ქს სამოთხე 368). რაკი ავტორს მაინცა-და-მაინც ისედაც არ ეტყობა რომ კონსტანტინე ქართველის შეპყრობისა და წამების გარემოებას ზედმიწევნით სცოდნოდეს და მის მოთხრობის ენას იმ გვარად ცხოველი კილო არ ატყვია, როგორიც საქმის მცოდნე თანამედროვეს შეეფერება, ამიტომ უნებლიედ ეჭვი გვებადება, ამ თხუზულების დამწერი საბერძნეთში მყოფი რომელიმე ბერი ხომ არ იყო? მაგრამ ამ საკითხის გამოსარკვევად ჯერჯერობით საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება.

„ც̃ის“ ავტორს თავის ნაწარმოების შესავალში აღნიშნული აქვს, როგორ გაჩნდა სასულიერო საისტორიო მწერლობა და როგორ შეიცვალა სახე. ყველამ იცისო, ამბობს იგი, „განცხადებულ არს ყოველთათჳს ვითარმედ არავინ ჰყო აღწერა იგი წიგნთა, გარნა მადლითა სულისა წმიდისათა; რამეთუ დიდმან მან მოსე პირუელად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა რომელ არა სადა ეხილა, არამედ უწყებითა სულისა წმიდისათა აღწერა იგი ვითარცა თუალითა-ხილული და ამისა შემდგომად აღწერნა სხუანიცა წიგნნი... შემდგომითი შემდგომად ვიდრე აღსრულებადმდე მისისად“ (იქვე 363). მოსეს შემდგომ „აღიწერნეს თქ[უ]მულნი იგი წინა[ჲ]სწარმეტყუელთანი“, მერე „აღწერნეს ოთხნი ესე ევანგელნი... და ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი“-ო (იქვე). რაკი ქრისტიანობის პირველ ქადაგების დროს „მეფენი მის ჟამისანი“ (იქვე 364) წინააღმდეგობას უწევდნენ, სდევნიდნენ და აწამებდნენ, „მაშინ აღ-ვინმე-დგეს კაცნი მორწმუნეთაგანნი, იწყეს აღწერად ცხორებაჲ წმიდათა მოწამეთა“ (იქვე 364). ჩვენი ავტორიც ამ უკანასკნელთა მსგავსად იქცევა და „ამისვე მიზეზისათჳს მეცა არა-ღირსმან ვინებე მიბაძუებად (sic) პირუელთა მათ და აღვსწერე ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა კონსტანტინესი“-ო (იქვე).

თვით თხზულება „ც̃ა და წამებაჲ“ პატარა ნაწარმოებია და არც ცნობებით არის მდიდარი. ამას თითქოს თვით ავტორიცა გრძნობდა და მკითხველს ამცნებს, რომ მან თავისი თხზულება განზრახ დასწერა ასე მოკლედ: „ესე მრავლისაგან მცირედ[ი] აღიწერა სიმხნეთაგან წმიდისა კონსტანტინჱსი რათა იყოს თქ[უ]მული ესე შემოკლებულ და სრულ, რათა არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებათა, არცა ნამეტნავ განგრძობითა“-ო (იქვე 368). მაშასადამე მას სდომნია რომ მისი ნაწარმოები ადვილი და სასიამოვნო საკითხავი ყოფილიყო და ამისდა გვარად თვით თხზულების რაოდენობაც განსაზღვრა. მაგრამ ამით ავტორმა მარტო ერთს თავის წადილს მიაღწია და მისი ნაწარმოები მართლაც რომ „შემოკლებული“ გამოვიდა და არამცთუ იგი არ არის „ნამეტნავი განგრძობითა“, არამედ სწორედ რომ „ნაკლულევანებითა“ მკვლევარისათვის „შემაწუხებელია“, მაინცდა-მაინც „სრულ“-ად იგი რასაკვირველია ვერ ჩაითვლება.

„ც̃ა“ და უწყების მთავარი მოქმედი პირი კონსტანტინე ქართველია: იგი იყო „ქუეყანისა ქართლისასა, სანახებსა ზენა-სოფლისასა“, მას „ეწოდა კახაჲ*) მამ[ე]ულსა მის[სა] ქუეყანისა“ (იქვე 364). მართლაც მიქაელ მოდრეკილის განთქმულს საგალობელთა კრებულშიაც „კონსტანტი“ (შემოკლებული სახელია) „კახად“ იწოდება (პ. ინგოროყვა. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, წ. I, გვ. რპთ). მაშასადამე მას ნათლობის სახელად საქრისტიანო კონსტანტინე რქმევია, ხოლო შინაურობაში და ჩვეულებრივ მას ალბად ძველს ქართულს, წარმართულს სახელს კახას ეძახდნენ.

კახაჲ თურმე „იყო წარჩინებული ფრიად დიდად ყოვლსა ქუეყანასა ქართლისასა, ფრიადი სიმდიდრე აქუნდა და მრავალი საშუებელი ამის სოფლისა,

*) მ. საბინინის გამოცემაში (იქნებ თვით ხელთნაწერებშიაც) დედანი დამახინჯებულია და დაბეჭდილია: „ეწოდა **კაცი** მამულისა მის ქუეყანისო“, მაგრამ ხუცურად დაწერილს დედანში თავდაპირველად იქნებოდა — „**ႩႠႾႠჂ**“. რაკი ხუცურში „ც“ და „ხ“ (**Ⴚ, Ⴞ**) ერთიერთმანერთს მიაგვანან, ამის გამო შეცდომა წარმოსდგა და „კახაჲ“ „კაცა“-დ იქცა. ვსარგებლობ შემთხვევით რომ შევასწორო ჩემი შეცდომა, რომელიც უნებლიედ ჩავიდინე ჩემს წერილში „**Къ вопросу о времени построенія груз. храма въ Атени**“ და სხვა (**Христ. Востокъ Т. I, B, III**, გვ. 283 შენ. 1), სადაც მე უარვყავი გერმანელ მეცნიერის მარკვარტის მიერ გაკვრით ნათქვამი, დაუსაბუთებელი სიტყვა, რომ წ̃ა კონსტანტინე და კახა ერთიდაიგივე პირი არის. რაკი საბინინის გამოცემაში კონსტანტინეს ც̃ა—ში ამგვარი ცნობა არ მოიპოვებოდა, ამიტომ მარკვირტის აზრი უარვყავი, მაგრამ ერთი წლის შემდგომ გამოსულმა ბ. პ. ინგოროყვას შრომამ „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“ (წ. I, გვ. რპთ), სადაც ერთი საგალობელია მოთავსებული „**კონსტანტი კახაჲსაჲ** ქართველისა მოწამისაჲ“, დამარწმუნა, რომ საბინინის „სქს სამოთხე“-ში დედანი გარყვნილია და იქაც „კაცის“ მაგიერ „კახაჲ“ უნდა იყოს დაბეჭდილი. ამგვარად **ირკვევა, რომ კონსტანტინე იგივე „კახაჲ“ არის**

და განთქმული იყო სახელი მისი ქუეყანათა შორეულთა ვიდრემდის მეფემდე (ე. ი. ბიზანტიისა) მსმენელ იყო მისთჳს“ო (იქვე 364). ამასთანავე კახაჲ თავის კეთილმორწმუნობით, მონაზონთა და ეკლესიის მოწესეთადმი სიყვარულით და სტუმართ-მოყვარეობით ყოფილა ცნობილი. დიდძალს ქონებასა და შეძლებას მისი კეთილი გული არ გაუცივებია და გაჭირვებულთა და ტვირთმძიმეთა დახმარება სასიამოვნო მოვალეობად ჰქონდა მიჩნეული. ამიტომაც იყო რომ „მრავალნი მოივლტოდეს მისა შორით ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თჳსთაგან, ხოლო ნეტარებითა დიდითა გარდახადის თანანადები იგი მათი“ო, ამბობს მისი ც̃ის აღმწერი (იქვე 364). კახაჲ იერუსალიმსა და პალესტინის სხვა ადგილებშიაც გამგზავრებულა წ̃ა ადგილთა მოლოცვისათვის (იქვე 365). იქ მან „საფასე დიდძალი მისცა ეკლესიათა, გლახაკთა და მჴედრთა იერუსალიმისათა და მერმე გამოვიდა იერუსალიმით და მოვლნა ყოველნი მონასტერნი უდაბნოსანი და მჴედრნი იორდანისანი და მრავალი განსუენებაჲ და ნუგეშინისცემაჲ მიმადლა მათ“ (იქვე). საქართველოში დაბრუნების შემდგომაც მას იმ ადგილებისათვის შესაწევარი არ მოუსპია და „წარსცის ერთსა მსახურსა მისთაგანსა სამი ბევრი (=30000) ვეცხლი, რომელიმე მისგანი წმიდათა ადგილთათჳს და რომელნიმე უდაბნოთათჳს და რომელნიმე გლახაკთათჳს რომელნი მჴედრ იყვნეს იერუსალიმს“ (იქვე 365). ამის მეტი ჩვენმა აგტორმა არა იცის-რა კახაჲს შესახებ; ან იქნებ იცოდა, მაგრამ მოთხრობა საჭიროდ არ მიაჩნდა. ამის გამო კახაჲს დახასიათება მეტად მკრთალი და სუსტია. კახაჲს ხანგრძლივს, 85 წლის სიცოცხლეში მცოდნე პირს და დახელოვნებულს ისტორიკოსს ბევრი რამ საგულისხმიერო შეეძლო შეენიშნა და ეამბნა შთამომავლობისათვის.

როდესაც კახაჲ უკვე მოხუცებული იყო და „იქმნა ნეტარი იგი ოთხმეოცდახუთის წლისა... აღდგა დევნულებაჲ დიდი ქრისტიანეთა ზედა ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და იყვნეს წამებანი დიდნი და მრავალნი ქრისტიანეთაგანნი... აღუწოდეს სჯულისათჳს ქრისტჱსისა“ (იქვე 365). ეს ის დრო იყო, როდესაც ბუღა თურქი არაბთა ძლიერ ლაშქრითურთ ურჩ ტფილისის ამირას დასამორჩილებლად და დასასჯელად წამოვიდა და სომხეთი და ქართლი აათხრა (იხ. ქ̃ლ ერის ისტორია II, 374—377).

სხვათა შორის მაშინ კახაც „შეიპყრეს ჴელად ვითარცა წინამძღვარი და წარჩინებული ყოვლისა ქუეყანისა ქართლისაჲ და პირ[ველ]ი ნათესავთა მისთა და შებორკილეს იგი და ეგრეთ წარიყუანეს ქალაქად ტფილისად და შეაყუენეს იგი საპყრობილესა“ (ს̃ქს სამოთხე 365). დატყუევებული კახაჲ ტფილისში წარადგინეს „წინაშე მძლავრისა მის, რომელსა სახელი ერქუა ბუღა. აყუედრებდა იგი მას და ეტყოდა: „ანუ არა უწყოდი შენ, რამეთუ [ვერ] განრინებად იყავ სივლტოლითა შენითა ჴელთაგან ჩემთა, რამეთუ არავინ არს განდგომილთაგანი, რომელსაცა არა ვსძლევ, და არცა რომელი განემზადების

წყობად ჩემდა და არა ვერეოდით. რამეთუ აჰა ესე რა მოგუეცნა თქუენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად ჴელთა ჩუენთა“-ო (იქვე 366).

მოხუცებული კახაჲ ტფილისში დიდხანს არ გაუჩერებიათ, არამედ „შემდგომად მცირედთა დღეთა შეკრეს იგი ფიცხელითა საკრველითა რკინისათა და წარსცეს იგი ქუეყანად ბაბილოვნისა ქალაქსა რომელსა ჰრქჳან სამარიაჲ. მიჰგუარეს იგი მეფესა მას ისმაიტელთასა რომელსა სახელი ერქუა ჯაფარ ძე აბრაჰამისი“ (იქვე 366). ეს ჯაფარ ხალიფა ტახტზე ასვლისთანავე მუტევაკკილად იწოდებოდა და ხალიფობდა 847—861 წ. (A. Müller Der Jslam im Morgen=und Abendland, 1885 წ. წ., I, გვ. 523). სამარიაში არაბთა მთავარი კახას გამაჰმადიანებას ცდილობდა და ეუბნებოდა:“ უარ ჰყავ ცთომა იგი შენი ქრისტჱს ღმრთისათჳს. რამეთუ გონიერად გხედავ შენ [და] ვითარ იგი აწ ლიტონსა კაცსა, დედაკაცისაგან შობილსა, ღმერთად აღიარებ? დასცხერ ამიერითგან, რამეთუ ვერ შემძლებელ არს სიტყუად ვითარმცა ძე ესუა ღმერთსა“-ო (იქვე).

რადგანაც ამგვარმა საბუთებმაც კახაჲს მტკიცე რწმენა ვერ შეარყია, ხალიფამ იგი საპყრობილეში დააბრუნა და იქ მიუგზავნა „ორნი იგი ერისთავნი, რომელნი ტყუეობითვე მიეყუანნეს სომხითით და უარისყოფითა ქრისტჱსითა პატივცემულ იყუნეს“ არაბთა მთავრის მიერ. ეს ორი მიგზავნილი გამაჰმადიანებული ქრისტიანე ცდილობდნენ მოხუცი კახაჲ თავიანთ პატრონის სურვილზე დაეყოლიებინათ: „ჩუენცა ქრისტეანენი ვიყუენით“-ო, ამბობდნენ იგინი, „არამედ ვერ შეუძლეთ წინაღმდგომად ბრძანებასა მეფისასა, ამისთჳსცა მოვიგეთ პატივი. ხოლო საუკუნესა მას ცხორებისაჲ ვინ უწყის რაჲ უმჯობეს არს“-ო! (იქვე 367). რაკი ყოველგვარმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და კახაჲ ქრისტიანობაზე უარის თქმას არ აპირებდა, ამიტომ არაბთა მეფის ბრძანებისაებრ მას თავი მოჰკვეთეს. ეს მომხდარა „თთუესა ნოემბერსა ათსა... დღე იყო პარასკევი, დასაბამითგანნი წელიწადნი იყუნეს ექუს ათას ოთხას ორმეოცდა ათშვდმეტნი*), ხოლო ზედაწერილსა ისმაიტელთასა ორას ოცდათორმეტსა“ (იქვე 363, შეად. დ. ბაქრაძის საქ. ისტორია 218).

6457 დასაბამითგანნი წელნი ქართულ წელთაღრიცხვით **853** წ. ქ. შ. (**6457—5604**) უდრის. კახაჲს შეპყრობის შესახებ სხვა ცნობებიც მოიპოვება, ქართულიცა და სომხურიც (იხ. ქ~ლ ერის ისტორია II, 376). ატენის სიონის კედლის წარწერაში აღნიშნულია, რომ კახაჲ და ძჱ მისი თარკუჯი დაიჭირა ბუღა თურქის კელქვეითმა სარდალმა 853 წელს 26 აგვისტოს (იქვე). ეხლა კახაჲს ც~ისა და წამების აღმწერი გვამცნებს, რომ

*) ასე აქვს შიომღვიმის მონასტრის ხელთნაწერისდა მიხედვით დაბეჭდილი დ. ბაქრაძეს (საქ. ისტორია 218). საბინინს აქ ან დაბეჭვდის დროს შეცდომა უნდა მოსვლოდეს, ან მის ხელთნაწერში ყოფილა შეცდომა. მას დაბეჭდილი აქვს: 6357 დასაბამითგანი და 227 მაჰმადიანთა წელთაღრიცხვით (ს~ქს სამოთხე 368).

კახა მოუკლავთ 10 ნოემბერს 853 წელს. ეს ორი თარიღი საუცხოვოდ უდგება ერთიერთმანერთს: 26 აგვისტოთგან 10 ნოემბრამდის სწორედ ის დრო არის, რაც მოუნდებოდა ჯერ შეპყრობილ კახაჲს ქართლითგან ტფილისში მიყვანას, შემდეგ სამარიამდე მგზავრობას და იქ მის საქმის გამოძიებასა და გარჩევას. მაჰმადიანთა წელთაღრიცხვით ზემოყვანილი თარიღში-კი ცხადი შეცდომაა იმიტომ, რომ არც 232 და არც 227 წ. ჰიჯრ. 853 წ. ქ. შ. არ უდრის და უეჭველია თავდაპირველს დედანში ამ ადგილას 239 წ. ეწერებოდა იმგვარადვე, როგორც ატენის სიონის წარწერაშია, (იხ. ქ̃ლ ერის ისტორია II, 376).

„ც̃ის“ ქრონოლოგიურმა და კრიტიკულმა განხილვამ მაშასადამე დაგვარწმუნა, რომ ეს თხზულება უტყუარს ცნობებს შეიცავს და ნდობის ღირსია. მაგრამ მის დამწერს თავისი სამოქმედო ასპარეზი მეტად ვიწროდ შემოუფარგლავს: არც კახაჲს ხანგრძლივი ცხოვრება და მოღვაწეობა, არც არაბთა ამირას ბუღა თურქის საშინელი შემოსევა, არც ის ბრძოლა, რომელიც მოხდა არაბებსა და ქართველებს შორის, დასასრულ არც ის გარემოება, რომელმაც კახაჲ არაბების ხელში ჩაუგდო და ის ბრალი, რომელსაც არაბები მას სდებდნენ,—მას ოდნავაც აღწერილი არა აქვს. ვინაიდგან თანამედროვეს მას ბევრი რამ საგულისხმიერო უნდა სცოდნოდა და სწორედ სამწუხაროა, რომ ავტორი ეგოდენ სიტყვაძვირი გამოდგა. ამისდა მიუხედავად მისი ნაწარმოები ჩვენთვის უმნიშვნელო არ არის და ამიტომ სასურველია რომ იგი ხელმეორედ ჯეროვანად გამოიცეს.

ქართულ საეკლესიო ისტორიის ორი მთავარი საკითხი.

მას შემდგომ რაც ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის უსიამოვნობა ჩამოვარდა და განხეთქილება მოხდა, იმთავითგანვე მოყოლებული მე-XIII-ე საუკ. დამდეგამდე სომხებსა და ქართველებს შორის პაექრობა არ შეწყვეტილა. ორივე მოპირდაპირენი ცდილობდენ დაემტკიცებინათ, რომ ისინი და მათი თანამოაზრენი მართალნი არიან, ჭეშმარიტი მართლმადიდებელნი და ძველ მოძღვრების უცვლელად შემნახველნი. ხშირად მომხდარა კიდეც, რომ მეფეებს ქართველ-სომეხთა სამღვდელოებისა და სჯულის-მეცნიერთა კრებები მოუწვევიათ საკამათო საგანზე მოსალაპარაკებლად, იქნებ ღმერთმა ქმნას და შეთანხმება მოხერხდესო. მაგრამ თვითოეული მხარე თავისას გაიძახოდა, თავისას აქებდა და ადიდებდა, ხოლო ყოველ ღონესა ხმარობდა, რომ მოწინააღმ-

დებე გაამტყუნებინა და საჯაროდ შეარცხვინა. ბრძოლა მეტად გამწვავებული იყო და ორივე მხარე ჯეროვანად უნდა ყოფილიყო საჭირო ცნობებით აღჭურვილი, რომ თავის თავისთვის და მშობელ ეკლესიისათვის სირცხვილი არ ეჭმეინა. პაექრობამ ორი უმთავრესი საკითხი წამოაყენა: ერთი იყო ქართულ-სომხურ ეკლესიების განხეთქილების შესახებ, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი და ვინ იყო დამნაშავე და მტყუანი; მეორე საკითხი საქართველოში ქრისტიანობის პირველს ქადაგებასა და გავრცელებას შეეხებოდა, თუ პირველად ვინ იქადაგა სახარება საქართველოში, სადაგან იყო ის მქადაგებელი, მაშასადამე რა მიმართულების აღსარება უნდა ყოფილიყო იმ თავითვე დამკვიდრებული? ეს ისეთი საკითხებია, რომლის ცოდნა ერთნაირად ესაჭიროებოდა სამღვდელოებასაცა და ხალხსაც, იმიტომ რომ ეს საკითხები საკამათოდ იქცა თვით სომხურ-ქართულ საზოგადოებაშიაც. რაკი ამ ორსავე ამბის შემდგომ დიდი ხანი იყო გასული, ამიტომ თუ ადამიანი განსაკუთრებით არ შეისწავლიდა ქრისტიანობის გავრცელებისა და ეკლესიათა განხეთქილების შესახებ ცნობებს, სხვაფრივ შეუძლებელი იყო ვისმე დანამდვილებით რამე სცოდნოდა. სწორედ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იყო დაწერილი არსენი კათალიკოზის თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხითისა“ და წ~ა ნინოს ცხორება.

არსენი კათალიკოზი.

მას შემდგომ რაც ქართველთა და სომეხთა ეკლესიებს შორის მტრობა ჩამოვარდა და განხეთქილება მოხდა, მოპირდაპირე სამღვდელოებისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო სცოდნოდა, როგორ გაიყვნენ ეკლესიები, რომელს მხარეს ედვა დანაშაულობა და ვინ იყო მართალი და ვინ არის ჭეშმარიტ მართლმადიდებლობის შეუბღალველად შემნახავი? თუმცა თვით განხეთქილება ორისავე ერის ეკლესიის მიერ უკვე მეშვიდე საუკუნის დამდეგითგან მოყოლებული იყო დაკანონებული, მაგრამ მაინც თამარ მეფის უკანასკნელ წლებამდის, როგორც უკვე აღნიშნული იყო, კამათი და პაექრობა ქართველ-სომეხ სამღვდელოებას შორის არ შეწყვეტილა, ამ ეკლესიათა შეთანხმების მსურველნი არ გამოლეულან და მათი თაოსნობით დრო-გამოშვებით ღვთისმეტყველებისა და საეკლესიო ისტორიის მეცნიერი პირები იკრიბებოდნენ, რომ მოპირდაპირე მხარესათვის თავისი სიმართლე დაემტკიცებინათ და შეთანხმებაზე დაეყოლიებინათ. ხოლო ამ გვარ პაექრობისათვის ორისავე ერის წარმომადგენელნი ღირსეულად უნდა ყოფილიყვნენ მომზადებულნი.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მით უფრო ძნელი უნდა ყოფილიყო სამღვდელოებისათვის ზეპირად ზედმიწევნით სცოდნოდა ყველაფერი, რაც კი წინ უძღოდა ეკლესიათა განხეთქილებას, დაეხსომებინა, თუ როგორ და რა მიზეზით ჩამოვარდა ქართველ-სომეხთა შორის სარწმუნოებრივი უთანხმოება, რომელიც სრულის დაშორებით და განცალკევებით დაბოლოვდა? ორივე მოპირდაპირე მხარე რომ შესაფერისად მომზადებული მისულიყო საპაექროდ, ამისთვის უნდა ყოფილიყო დაწერილი ერთი თხუზულება მაინც, სადაც კამათისათვის საჭირო და გამოსადეგი ყველა ცნობები იქნებოდა შეკრებილი, რომ მსურველს წაეკითხა და დაესწავლა. სწორედ ასეთს მოთხოვნილებას უნდა გამოეწვია სომხურს მწერლობაში უხტანესის ისტორია **«Պատմութիւն բաժանման Վրաց ՚ի Հայոց,“** ხოლო ქართულს მწერლობაში არსენი კათალიკოზის „განყოფისათჳს ქართლისა და სომხითისა“ (ქ~ბი I, დამატება I). რომელი არსენი კათალიკოზია ამ თხზულების დამწერი პირველი, მეორე, თუ მესამე ამის შესახებ თვით თხზულებაში პირდაპირი ცნობა არ მოიპოვება, მაგრამ ვგონებ რომ უფრო პირველი უნდა იყოს.

თავის თხზულებას არსენი კათალიკოზი „მრწამს“-ით იწყობს და ეს დასაწყისი საუცხოვოდ ახასიათებს მის მკაცრს მართლმადიდებლობითს, ქალკიდონისებურს მიმართულებას. მრწამსს ზედ მისდევს შემდეგი საგულისხმიერო წინადადება: „გულისკმა უყავთ, განყოფაჲ სომეხთა ქართლისაგან უეჭველად აღვწერე წიგნსა ამას შინაჲ“ (ქ~ბი I, 314). ავტორი მაშასადამე ამცნებს თავის მკითხველებს, რომ მისი ნაწარმოები ჭეშმარიტ ცნობებზე დამყარებული, „უეჭველად“ არის აღწერილი. სამწუხაროდ ავტორი არ ასახელებს თავის წყაროებს, რომ გაგვეგო, მართლაც ასეთის ნდობის ღირსი იყო თუ არა?

ზემომოყვანილი წინადადება სხვაფრივაც ყურადღების ღირსია: ავტორი აცხადებს, რომ მას თავის წიგნში აუწერია „განყოფაჲ სომეხთა ქართლისაგან“. მაშასადამე ავტორს იმთავითვე გადაწყვეტილი აქვს, თუ ვინ გადუხვია გზას: სომხები განშორდნენ, ჩამოეცალნენ ქართველებს*). ყურადღების ღირსია, რომ მე-VI-ე საუკ. დასასრულს და მე-VII-ე საუკ. დამდეგს, როცა კირიონ ქართლისა კათალიკოზსა და აბრაამ სომხეთის კათალიკოზს შორის გამწვავებული კამათი იყო სარწმუნოებაზე, აბრაამი რიხით ამტკიცებდა, ქართველებმა უღალატეს ჭეშმარიტს სარწმუნოებას, ქართველები განშორდნენ სომხებსა და მართლმადიდებლობასაო. ერთი სიტყვით სომეხთა მღვდელმთავარს იერიში მოჰქონდა. ქართლის კათალიკოზი მხოლოდ თავს იცავდა, ბრალს უარჰყოფდა. არსენი კათალიკოზის დროს-კი,

---

*) დამახასიათებელია, რომ თავის მხრივ უხტანესმაც თავის თხზულებას უწოდა სახელად „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“.

როგორცა სჩანს, ქართველთა ეკლესიას მიმართულება შეუცვლია: ქართველები-კი არ განშორდნენ სომხებს, პირიქით მაშინ მოხდა „განყოფაჲ სომეხთა ქართლისაგან“, სწორედ სომხებმა უღალატეს მართლმადიდებლობასო. არსენს ეს მტკიცედა სწამს იმიტომ, რომ მეოთხე საუკუნითგან მოყოლებული „იყვნენ სომეხნი ნაწილად ბერძენთა სჯულსა ზედა მათსა მტკიცედ, ვითარცა ასწავა მათ წმიდამან გრიგოლი პართელმან“ (ქ˜ბი I, 314). გრიგოლ პართელმა სომხეთში ქრისტიანობა კესარიითგან შემოიტანა და მან თავის სამწყსოს უანდერძა, კესარიასთან კავშირი არას დროს არ შესწყვეტოთო (იქვე 319). არსენი კათალიკოზის სიტყვით გრიგოლმა „ბერძული“ სჯული იქადაგა სომხეთში, ის ჭეშმარიტი სჯული, რომელიც „ვითარცა ერთითა პირითა“ ექვსისავე მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ იყო აღიარებული (იქვე 313). საბერძნეთი ისევ იმავ „რჯულზე“ სდგას; ამავე რჯულს განყოფამდის სომხებიც იცავდნენო; მაგრამ სპარსეთის მეფეებმა გადასწყვიტეს სომხები და ბერძნები ერთიერთმანერთს დაეშორებინათ, რომ პოლიტიკურად სომხებს საბერძნეთისადმი მიდრეკილება არა ჰქონოდათ. თავის წადილის განსახორციელებლად პეროზმა (458—484) არსენი კათალიკოზის სიტყვით სომხებს შეუთვალა „ანუ გამოირჩიეთ ყოველთა ასურთაგან სჯული, თჳნიერ მელქთაჲსა, რომელნი არიან სჯულითა ბერძენ, ანუ დაუტევეთ ქუეყანაჲ“-ო (იქვე 315). მაშასადამე სომხებს შეეძლოთ თვითოეული აღსარება მიეღოთ იმ აღსარებას გარდა, რომელსაც ბერძნები მისდევდნენ, რომ ამგვარად სომხებსა და ბიზანტიელებს შორის სულიერი და სარწმუნოებრივი ერთობა და კავშირი შეწყვეტილიყო და ამრიგად სომხეთი პოლიტიკურადაც ბიზანტიის მომხრე და შემაყურებელი არა ყოფილიყო.

ხანგრძლივ თათბირს შემდგომ სომეხთა სამღვდელოებამ „ითხოვეს სჯული იაკობთა... და მათ გარყუნეს სომხითისა შრომილი წმიდისა გრიგოლისი მრავლითა ღვაწლითა და ცრემლითა მისითა მორწყული“-ო (იქვე 316). ხოლო რაკი სომხებმა მიიღეს „ასურთა სჯული“, „სჯული იაკობთა“, ამით მათ რასაკვირველია თითონვე „განდგეს მართლისა და ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა“, „განეშორეს სჯულითა ბერძენთა და იერუსალემსა“ (იქვე 317), რათგან გრიგოლ განმანათლებელმა სომხებს ბერძენთა სჯული“ უქადაგა და არა „ასურთაო.“ რომ სწორ გზას ქართველებმა-კი არა, არამედ სომხებმა გადუხვიეს, ეს იმითაც მტკიცდებაო, რომ მარტო ქართველები კი არა, „ქართლი ყოველი და მეოთხედი სომხითისა განეყენნეს ჴელთდასხმასა მღვდლობისასა სომეხთაგან; არამედ ჭერნი და სივნიელნი ჟამ ერთ განეყენნეს და კუალად შეერინნეს“-ო (იქვე 323). საქმე იმდენად გამწვავდა, რომ შიგ სომხეთის ეკლესიაშიც-კი განხეთქილება მოხდა და თვითოეული ნაწილი თავისთვის ცალკე კათალიკოზს ირჩევდაო (იქვე 328).

ან კი რა გასაკვირველია? რომ სომხები მართლმადიდებლობას უღალატებდნენ, ეს წინდაწინვე უკვე გრიგოლ განმანათლებელმა იწინასწარმეტყველა და „აქა უკუნ აღესრულა ჩუენება იგი წმიდისა გრიგოლისი, რომელი აუწყა მას სულმან წმიდამან, ვითარმედ რომელნიმე ცხოვართაგანნი იკუნიქცეს და მგელ იქმნეს და ზედამოეტევნეს ცხოვართა, და ბძარნეს უწყალოდ. ეგრეთვე აღესრულა ჩუენებაჲ წმიდისა საჭაკისი... რამეთუ აკოცასა თანა მეფობისა არშაკთასა აიღო მღვდელობაჲცა წმინდისა გრიგოლის ნათესავისა“ო (იქვე 322). ამგვარად ჩვენი ისტორიკოსი სომეხ-ქართველთა განხეთქილების მიზეზად სპარსეთის მეფეების პოლიტიკასა სთვლის. ამ მხრივ მისი შეხედულება ყურადღების ღირსია. საგულისხმიეროა, რომ სომეხ ისტორიკოსის ლაზარე ფარპელის სიტყვითაც სპარსეთის მეფეები წინადაც თურმე პოლიტიკურ მოსაზრებით ალბანელებს, სომხებს და ქართველებს ძალას ატანდენ ბერძნულ ქრისტიანობისათვის ეღალატნათ (ვენეტიკის 1891 წ. გამ., გვ. 149—158).

არსენი კათალიკოზის სიტყვით სომხებს მარტო სარწმუნოების მოძღვრების შებღალვა-კი არა ედვათ ცოდვად, არამედ მათ ვითომც ეკლესიის დამოუკიდებლობა, ავტოკეფალიაც უკანონოდა ჰქონდათ მითვისებული და ამით გრიგოლ განმანათლებლის ანდერძი დაარღვიესო: „გარდააქციეს აღთქმაჲ იგი რომელი დაუდვა წმინდამან გრიგოლი კესარია ეკლესიისა უკუნისადმდე არა განშორებად მისგან კელდასხმაჲ ეპისკოპოზისა სომხითისაჲ და რამეთუ სომხითმან ბრძანება მოიღო სპარსთა მეფისაგან კელდასხმაჲ ეპისკოპოზებისა თავით თჳსით“ო (ქ˜ბი I, 319 შედ. გვ. 324). მაშასადამე სომეხთა ეკლესიის დამოუკიდებლობა, ვითარცა სომხეთის განმანათლებლის ანდერძის წინააღმდეგი, უკანონო იყოო.

უფრო მძიმე და მიუტევებელ ცოდვად არსენი კათალიკოზი მანაზკერტის სომეხთა საეკლესიო კრების დადგენილებასა სთვლიდა, რომელმაც ზიარებაში წყალნარევ ღვინის ხმარება დააკანონა (იქვე 323).

საზოგადოდ არსენი კათალიკოზი დარწმუნებულია, რომ სწორედ სომხებმა უღალატეს „ბერძენთა სჯულს“, მართლმადიდებლობას, რომელიც „ასწავლა მათ წმიდამან გრიგოლ პართელმან“ და მწვალებლობას, „ასურთა სჯულს“ მიემხრნენ. ჩვენი ისტორიკოსის სიტყვები იმდროინდელ სარწმუნოებრივ-ეროვნულ მიმართულებას საუცხოვოდ ახასიათებენ: მართლმადიდებლობას იგი „ბერძენთა“ სჯულს ეძახის, მწვალებლობა „ასურთა“ სჯულად მიაჩნია; მაშასადამე სარწმუნოების დოგმატიურ განსხვავებას უკვე ეროვნება სდებდა ელფერსა და სახელს, ეროვნულ გრძნობას ქრისტიანობაშიც თავი წამოყოფილი ჰქონდა.

ამას გარდა შესანიშნავი ისიც არის, რომ არსენი კათალიკოზი თავის თხზულებაში საქართველოს განმანათლებელს წ˜ა ნინოს არსად იხსენიებს, სდუმს იგი აგრეთვე გრიგოლ პართელის საქართველოში

ქადაგების შესახებ, რაც მე-VII-ე საუკ. დამდეგს აბრაამ სომეხთა კათალიკოზს და კირიონს ქართლისა კათალიკოზს უტყუარ ამბად მიაჩნდათ. გრიგოლ პართელი მხოლოდ ერთგან არის გაკვრით მოხსენებული და ეს ადგილიც ქართველების იმდროინდელ სომხებისადმი საპასუხო წერილთგან არის ამოღებული (ქ~ბი I, 319); სხვაგან არსენი კათალიკოზი გრიგოლ პართელს მხოლოდ სომხეთის განმანათლებლადა სთვლის (იქვე I, 314, 316, 319 და სხვაგან). ყურადღების ღირსია, რომ თავის დროზე კირიონ კათალიკოზიც დარწმუნებული ყოფილა, ვითომც გრიგოლი საქართველოს განმანათლებელიც ყოფილიყოს და ამ ცნობით ცდილობდა სომეხთა სამღვდელოების იერიში უკუეგდო (იხ ჩემი **„История церковнаго разрыва между Грузіей и Арменіей въ началѣ VII-в. Изв. Акад. Наукъ** 1908 წ., გვ. 520—521). არსენი კათალიკოზის დროს უკვე ეს ცნობა უარყოფილი ყოფილა და საქართველოს საკუთარი განმანათლებელი გამოსჩენია.

არსენი კათალიკოზის თხზულება მას შემდგომ, რაც „განყოფის“-დროინდელი მიწერ-მოწერა აღმოჩნდა, განყოფის ისტორიის შესასწავლად მცირედი მნიშვნელობა-ღა აქვს. მხოლოდ განყოფის შემდეგ-დროინდელ ხანის შესახებ ბევრი ცნობები მოიპოვება არსენის ნაწარმოებში. მაგრამ ამ ნაწილის ღირსების გამოსარკვევად განსაკუთრებული შესწავლაა საჭირო. ხოლო ამ თხზულებას ჩვენთვის ეხლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ქართველთა თვალთსაზრისის გამომხატველს ნაწარმოებს. არსენი კათალიკოზის ამ თხზულების ქართული ტექსტი გამოსცა თ. ჟორდანიამ (ქ~ბი I, დამატება I).

წ~ა ნინოს ცხორება.

წ~ა ნინოს უძველესი ცხორება, რომელზედაც ეხლა მსჯელობა გვექმნება, შატბერდისეულს კრებულშია შენახული. ხოლო რაკი ამ თხზულების აღმწერი თვით ხელთნაწერში მოხსენებული არ არის, ამიტომ მას შატბერდისეულს წ~ა ნინოს ცხორებას ვეძახი. რასაკვირველია საქართველოს განმანათლებელის ცხორება იმ დროს (X-ს) არ არის დაწერილი, როდესაც შატბერდისეული კრებული შეუდგენიათ: ამ დროს იგი მხოლოდ გადაკეთებული უნდა იყოს.

რომ ცნობები წ~ა ნინოს შესახებ საქართველოში (ბიზანტიაში უკვე თანამედროვე ისტორიკოსს რუფინუსსა აქვს აღწერილი) წინადაც ჰქონიათ, ამას სინას მთის მონასტრის ორს სჳნაქსარში შენახული წ~ა ნინოს ცხორება ამ-

ტკიცებს: ერთში საქართველო ბართლომე მოციქულის წილხდომილად ითვლება,—მაშასადამე ასურულ-სომხურ საეკლესიო გარდმოცემას ემხრობოდა,—ხოლო მეორეში გრიგოლ განმანათლებლის სამოციქულო ასპარეზად არის აღიარებული,—მაშასადამე ბერძნულ-სომხურ საეკლესიო გარდმოცემას მისდევს. ამას გარდა, რომ შატბერდისეულ წ̃ა ნინოს ცხორებაზე უწინარეს ქართველთა განმანათლებელის უფრო ძველი ცხორება არსებობდა, ამას „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანეც ამტკიცებს: იქ შეტანილი ცნობები წ̃ა ნინოს შესახებ შატბერდისეულ ცი̃საგან განსხვავდება და უფრო პირვანდელი ხასიათიც აქვს.

ქართველ-სომეხთა მერმინდელ გაცხარებულ საეკლესიო პაექრობისა და მტრობის დროს არც ერთი (ბართლომეს წილხდომილობის შესახებ) გარდმოცემა და არც მეორე (გრიგოლ განმანათლებელზე) აღარ გამოდგებოდა, პირიქით მავნებელი და საშიშარიც იყო, იმიტომ რომ სომეხთა სამღვდელოებას ეს ცნობები ქართველ სამღვდელოებისა და ეკლესიის საწინააღმდეგოდ შეეძლო გამოეყენებინა. სხვათრივაც ქართული საეკლესიო წრეებისათვის მაინც-და-მაინც სასურველი არ უნდა ყოფილიყო, რომ საქართველოს მოქცევის ისტორიაში ზემოდასახელებულ გარდმოცემათა კვალი შერჩენილიყო: ასურელებიცა და სომხებიც უკვე მწვალებლებად ითვლებოდნენ და რაც უნდა იყოს ქართველ სამღვდელოებისათვის სასიამოვნო არ იყო, საისტორიო თხზულებებში ცნობები შენახული ყოფილიყო, რომ მწვალებელ სომხებს და ქართველებს ერთისა და იმავე მქადაგებლის მოძღვრება მოუსმენიათ, ერთისა-და-იმავე მქადაგებლის მიერ არის ამ ორისავე ეკლესიის საფუძველი დადებული.

შატბერდისეული წ̃ა ნინოს ც̃ა ალბად სწორედ ამ ნაკლს ასწორებდა და ავსებდა, სწორედ ამ მიზნით იყო დაწერილი. იქაც დაწვრილებით არის მოთხრობილი საქართველოს გაქრისტიანების ამბავი, მაგრამ მთავარ მოქმედ მოღვაწედ ბართლომე მოციქული-კი არ არის, არც გრიგოლ განმანათლებელია მოხსენებული, თითქოს ავტორმა ამ ორის შესახებ არც-კი იცოდეს რამე,—არამედ მართოდენ წ̃ა ნინო. „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანეს პირიქით ერთი ისეთი ცნობა მოჰყავს, რომლითაც იგი ქართულ ეკლესიის სამოციქულო წილხდომილობას პირდაპირ უარჰყოფს. ახლად გაქრისტიანებულს სამწყსოს იგი ნინოსთან ამგვარად ალაპარაკებს: „გვისწავიეს შენ მიერ ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყუელნი პირველ მოსლვადმდჱ მისა ღმრთისა ქუეყანად და მერმე მოციქულნი ათორმეტნი და კუალად სამეოცდაათორმეტნი. და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან გარნა შენ" (ე. თაყაიშვილის გამოც. „წ̃ა ნინოს ახალი ვარიანტი, გვ. 2; Опис. II, გვ. 734 შატბერდისეული და ჭელიშისეული ხელთნ.). ცხადია, რომ ამ სტრიქონების დამწერს ან ბართლომე და ანდრია მოციქულის შესახებ არაფერი უნდა სცოდნოდა, ან არა და ცნობა ყალბად მიაჩნდა და უარჰყოფდა. ერთი სიტყვით

ქართული ეკლესიის დამფუძნებლად ავტორს მოციქული-კი არა, არამედ მოციქულთა სწორი მიაჩნია.

საყურადღებოა, რომ მე-VII-ე საუკუნის დამდეგს ქართულ ეკლესიის მხნე დარაჯსაც კირიონ კათოლიკოზსაც რუფინუსის მოთხრობა იბერიის გაქრისტიანების შესახებ არა სცოდნია და ამის გამო ისიც სამშობლო ქვეყნისა და ეკლესიის განმანათლებლად მოციქულს-კი არა სთვლიდა, არც წ~ა ნინოს, არამედ მარტო წ~ა გრიგოლს იხსენიებდა. საგულისხმიეროა, რომ თავის მხრივ იოანე საბანის ძე ამტკიცებს, 500 წელიწადზე მეტი ხანიცაა რაც ქართველთა შორის ქრისტიანობა გავრცელდაო. მაშასადამე მისი აზრით საქართველო მეორე საუკუნეში გაქრისტიანებულა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და შატბერდისეულ-ჭელიშისეული წ~ა ნინოს ც~ანი-კი გრიგოლ განმანათლებელზე არას ამბობენ, ალბად მათი ავტორები გრიგოლს მხოლოდ სომხეთის მოციქულად სთვლიდნენ და მის ღვაწლს ქართულ ეკლესიის წინაშე უარჰყოფდნენ. შატბერდისეული წ~ა ნინოს ც~ის აზრით საქართველოს თავისი საკუთარი მოციქული ჰყავდა, რომელსაც გრიგოლ განმანათლებელთან არავითარი კავშირი არა ჰქონდა. წ~ა ნინო თუ სომხეთში იყო, ისიც მხოლოდ შემთხვევით, იმიტომ რომ თავის ამხანაგებითურთ რომის მთავრობის დევნულებას გამოექცა და საქართველოსაკენ გზაც ხომ სომხეთზე მიდიოდა: ღმერთს გარდა წ~ა ნინო არავისგან ყოფილა დამოკიდებული და თვით საქართველოშიაც იგი „მოავლინა ღმერთმან“-ო (იქვე 2 და Опис. II, 734).

ჩამომავლობით ქართველთა განმანათლებელი გაბადუკიელია, მისი მშობლები ალბად ბერძნებად არიან ნაგულისხმევნი: მამა ვითომც სახელოვანი ჭრომაელი სარდალი იყო, დედა—იერუსალემის პატრიარქის და ბრძანდებოდა. განათლება ნინომ იერუსალემშივე მიიღო და შემდეგ ქრისტიანობა ელენე დედოფალსაც უქადაგა. ერთი სიტყვით წ~ა ნინო განთქმული და დიდებული ადამიანია, თვით კონსტანტინე კეისარი და მისი დედა მოლოცვის წერილებსაცკი უგზავნიან. რაკი იგი იერუსალემში აღიზარდა და იქვე განისწავლა და გაიწვრთნა, მაშასადამე მას სახარების მოძღვრება საქართველოში იერუსალემით მოუტანია. ხოლო სამღვდელოება, რომელსაც უნდა ხალხი მოენათლა, კონსტანტინეპოლით მოიწვია. ასე აქვს მოთხრობილი და ამგვარად გვიამბობს შატბერდისეულ-ჭელიშისეული წ~ა ნინოს ც~ბა. მაშასადამე გრიგოლ განმანათლებელს და სომხეთს საქართველოს გაქრისტიანებაში წილი არ უდევს, ისევ იერუსალემსა და კონსტანტინეპოლს თუ, თორემ სხვაფრივ ღვთისა და წ~ა ნინოს გარდა ამ მოქცევაში და საქმეში სხვას არავის მიუძღვის რაიმე ღვაწლი. ეს დედა აზრი აქვს მთელს ნაწარმოებს.

მაგრამ მემატიანე მაინც იმდენად დახელოვნებული არა ყოფილა, რომ ზოგიერთი ისეთი ცნობები, რომელიც წინანდელს წ~ა ნინოს ც~ა-ში ყოფი-

ლა და მის ახალ აზრებს ცოტა არ იყოს ეწინააღმდეგებოდა, შეუმჩნეველი არ გამოჰპარვოდა და ამოუშლელი არ დარჩენოდა. წ~ა ნინოს ც~ის განწმენდა სავსებით და ხეირიანად ვერ მოუხერხებია. მაგ. თუმცა შატბერდისეულსა და ჭელიშისეულს ც~ა-ში ნათქვამია, რომ მოციქულთა-სწორი ქალწული კაპადუკიელი იყო, მაგრამ ცხორებაში იგი ყოველთვის უცხო ენას ლაპარაკობს. შემდეგ ც~აში შერჩენილია ცნობა, რომ ნინოს დედა-კი არა ზრდიდა, არამედ ვიღაც დვინელი სომეხი დედაკაცი, თუმცა ნინოს დედა იმავე ქალაქში ცხოვრობდა. სწორედ ამ დვინელმა სომეხმა უამბო ახალგაზრდა ნინოს, ვითომც იესოს კვართი ჩრდილოეთ ქვეყანაშია შენახული, იმისგანვე შეისწავლა ნინომ სომხური ენა. საკვირველი ის არის, რომ არამც თუ თითონ ქალწული, მცხეთელი და სხვა ქართველი მეცხვარეებიც-კი ერთმანეთს ვითომც სომხურად ელაპარაკებოდნენ: „მწყემსნიცა იყვნეს ადგილსა მასვე და კმილავდეს რაჲ საკმილავსა ღამისასა სამწყსოსა ზედა მათსა და ხადოდეს იგინი შემწედ და მფარველად თჳსად ღ~თისა მათსა... და აღუთქმიდეს მას შესაწირავთა... და ამას იტყოდეს იგინი ენითა სომხურითა... ჰკითხე ერთსა მწყემსთა მათთაგანსა, ამბობს ნინო, და ვთქუ ენითა სომხურითა ვითარმედ «რომლისა სოფლისანი ხართ»? ხოლო მან მომიგო და მრქუა მე ვითარმედ «ვართ ჩუენ დაბით ელარბინით და საფურცლით და ქინძარელნი, რაბატელნი და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი“ო (ახალი ვარიანტი 15—16; შეად. ლეონტი მროველი, ც~ა მ~ფთა *211—212, გვ. 67).

ამას გარდა თუმცა შატბერდისეულს წ~ა ნინოს ც~ა-ში გრიგოლ განმანათლებელზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი, მაგრამ იქ მაინც ისეთი ცნობებია შერჩენილი, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ წ~ა ნინოს წინანდელს ც~ა-ში იმაზეც უნდა ყოფილიყო საუბარი. შატბერდისეულს ც~აში მაგ. საქართველოს განმანათლებელი რიფსიმესა და გაიანეს მეგობრად ითვლება, მათთან ერთად იგიც სომხეთში მიილტვის და სომეხთა მეფის თრდატის ზვარში იმალება, სადაც რიფსიმე და გაიანე დაიჭირეს, ნინო-კი მტარვალებს ხელითგან გაუსხლტა და საქართველოში გაიქცა. ერთი სიტყვით აქ ისეთი ცნობებია, რომელიც გრიგოლ განმანათლებლის ცხორებაშია შენახული. მაშასადამე შატბერდისეულ წ~ა ნინოს ც~ა-ში შემთხვევით შენახულია ისეთი ცნობები, რომელიც ნინოს იმდროინდელს ც~ა-ში იყო, როდესაც ქართულ-სომხურ ეკლესიათა შორის ერთობა და სიყვარული სუფევდა. მემატიანე ეტყობა იმდენად დახელოვნებული ვერა ყოფილა, რომ ნინოს ც~ა თავითგან ბოლომდის გაეწმინდა ყველა ამგვარ ცნობებითგან.

როდესაც შატბერდისეულ წ~ა ნინოს ც~ის შემთხზველი თავის მუშაობას შეუდგა და ნინო საქართველოს ერთად-ერთ მოციქულად და ქრისტიანობის მქადაგებელად გამოიყვანა, გრიგოლ განმანათლებელზე-კი ცალი სიტყვაც-კი არ წამოსცდენია, მას თავის მოქმედებისა და სიტყვების სიმართლისა და ჭეშ-

მარიტების დასამტკიცებლად ჰრომაელი ისტორიკოსის რუფინუსის (ან მის ბერძენ მთარგმნელ ისტორიკოსის) აღწერილობა შეეძლო მოეყვანა: იგი ქართლის მოქცევის თანამედროვე იყო, მთელი ეს ამბავი თვით იმდროინდელ მეფისაგან ჰქონდა გაგონილი და სწორედ რუფინუსის მოთხრობაში არც გრიგოლ განმანათლებელზე, არც რიფსიმე-გაიანეზე, არც საზოგადოდ სომხეთზეა რაიმე ნათქვამი. ცხადია მაშასადამე, რომ წ̃ა ნინო საქართველოს პირველი, მართო-დენ ღვთის განგებით მოვლენილი მოციქულთა-სწორი მქადაგებელი ყოფილა. ამის გამო ყველა ცნობები, რომელიც-კი წ̃ა ნინოს წინანდელ ც̃აში მოიპოვებოდა გრიგოლ განმანათლებლისა და რიფსიმე-გაიანეს შესახებ, ყალბი და შეთხზულია, ასე შეეძლო და უნდა ეფიქრა ჩვენს მემატიანეს.

მაგრამ ქართველი იმდროინდელი საზოგადოება, რომელსაც თავის სამშობლოს გაქრისტიანების შესახებ წინანდელი ცნობები ჰქონდა შეთვისებული, ახალს ცნობებს ნინოს მოღვაწეობის შესახებ ისე ადვილად ვერ დაიჯერებდა, ამისთვის საჭირო იყო შეურყეველი საბუთები. სწორედ ამგვარი დაურღვეველი საბუთები მოჰყავს მემატიანეს თავის თხზულების ეჭვ-მიუტანელობისა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. წ̃ა ნინოს ც̃ა უსახელო ნაწარმოებია: შემთხზველის სახელი აღნიშნული არ არის. შეუძლებელიც იყო რომ ავტორი დასახელებული ყოფილიყო, რათგან თვით თხზულება წ̃ა ნინოს ანდერძია, მისივე ნაამბობი სიტყვა-სიტყვით ჩაწერილია: მაშინ „მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს“ო (ახალი ვარიანტი 3 და Опис. II, 735). მართლაც წ̃ა ნინოს ც̃ა ისეა დაწერილი, რომ მოსაუბრედ და მოამბედ თვითვე ნინოა გამოყვანილი (იქვე 4—28 და Опис. II, 735—759). დანარჩენი ცნობებიც ქართველთა გაქრისტიანების შესახებ თანამედროვეთა და ნინოს თანამშრომელთა აღწერილად არის გამოყვანილი. ერთი სიტყვით ამ თხზულების შემდგენლის წადილია მკითხველი დაარწმუნოს, რომ ქართლის მოქცევის ამბავი და წ̃ა ნინოს ც̃ა ჭეშმარიტ და შეურყეველ ცნობებს შეიცავს და თვით მონაწილეთა მიერ აღწერილ თხზულებათა კრებულია მხოლოდ. ასეთ წყაროებისა და ცნობებისათვის-კი შეუძლებელია ქართველ იმდროინდელს საზოგადოებას არ დაეჯერებინა, ან უყურადღებოდ დაეტოვებინა.

1898 წელს ჩემს პირველს სამეცნიერო შრომაში დაწვრილებითი კრიტიკული განხილვის შემდგომ დავრწმუნდი, რომ ყველა ეს ვითომცდა თვით ნინოს და მის თანამშრომელების მიერ ნაამბობი და ჩაწერილი მოთხრობები მარტო ყალბ-სათაურიან ანუ ფსევდოეპიგრაფიულ თხზულებებად-კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ თვით შინაარსიც, რამდენადაც იქ ახალი ცნობები მოიპოვება ნინოს დედმამისა, მის აღზრდისა და უმეტეს ნაწილად მოღვაწეობის შესახებ, ნდობის ღირსი არ არის, რათგან ყველა ეს ცნო-

ბები მერეა შეთხზული და ყალბია. (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქულისა და წ~ა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში", მოამბე 1900 წ. № V და VI). ყურადღების ღირსია, რომ ახალ აზრების გასავრცელებლად ასეთს ხერხს ხშირად ხმარობდნენ ხოლმე: ვიცით მაგ. რომ მართლმადიდებელნი და მწვალებელნი განსაკუთრებით სხვა-და-სხვა მოციქულების „მიმოსვლისა და ქადაგების წიგნებს" ადგენდნენ, თავიანთ სახელს შემდგენელნი განზრახ მალავდნენ და ამ თხზულებების აღმწერელად მოციქულთა მოწაფეებს ასახელებდნენ. ვიცით აგრეთვე, რომ გრიგოლ სომეხთა განმანათლებლის ცხოვრების შემდგენელიც ამავე მიზნით განზრახ აცხადებს, ვითომც მას გრიგოლი თავის თვალით ენახოს და თავის ყურით მოესმინოს მისი ქადაგება, ვითომც იგი თრდატ მეფის მდივანი ყოფილიყოს და ყველაფერი დაწვრილებით აღეწეროს.

ეჭვიანი და ურწმუნო მკითხველს შეეძლო უნებლიედ ეკითხნა, თუ ეს ყველაფერი მართალია და ჭეშმარიტი, მაშ აქამდისინ სად-ღა იყო ასეთი ძვირფასი განძი, რატომ აქამდისინ არა ვიცოდით რა ამის მსგავსი წ~ა ნინოს და ქართლის მოქცევის შესახებო. მაგრამ ასეთ კითხვისათვისაც პასუხი მზად იყო, ძეგლის ბოლოს ხელთნაწერში შემდეგი ცნობა მოიპოვება: „წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ ესე რომლითა ღმერთმან ნათელი გამოაბრწყინვა დასაბამი წმიდათა ეკლესიათა გამობრწყინვებისაჲ... ვითარცა ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული შემდგომად მრავალთა ჟამთა და წელთა ვპოვეთ"-ო (ახალი ვარიანტი 74 და Опис. II, 805).

ეს წინადადება ცოტა არ იყოს ბუნდოვანია, ამიტომ არც გასაკვირველია, რომ მკვლევართა შორის მის შინაარსის შესახებ თანხმობა არ სუფევს. ე. თაყაიშვილს ისე ესმის, „რომ ის სხვა-და-სხვა თქმულებანი თანამედროვე პირთა, რომელთაგანაც შესდგებოდა ქართლის მოქცევა... უცნობი და გაფანტული ყოფილა აქა-იქ და კარგი ხნის შემდეგ ერთად შეუკრებიათ და ის სახე მიუციათ, რომელიც ეხლა ქართლის მოქცევასა აქვს"-ო (სამი ისტ. ხრონიკა, გვ. XCIII). თ. ჟორდანია ამ აზრს უარჰყოფს და ამტკიცებს: „ყოვლად უსაბუთო იქმნება ვიფიქროთ, ვითომ „ქართლის მოქცევა", ანუ წ~ა ნინოჲს ცხოვრება ქართველებს დაჰკარგოდათ და მხოლოდ მეათე საუკუნეში ეპოვნათ; ქართველნი დიდად აფასებდნენ ქართველთა წმიდათა ცხოვრებას და წ~ა ნინოს ცხოვრებას ხომ უმეტეს. ამისთანა სასიქადულო სხვა რაღა მოეპოვებოდათ, რომ ეს დაეკარგათ?.. წ~ა ნინოს ცხოვრება, შატბერდის კრებულში დაცული, საკითხავი არ არის, არამედ თვით მატიანეა, რომელშიაც აღწერილია მოკლე საქართველოს ისტორია... თვით წ~ა ნინოჲს ცხოვრება აღწერილია პირველის პირით. რასაკვირველია ამგვარად დაწერილს წიგნს საეკლესიო ამბიონიდან ხალხს ვერ წაუკითხავდნენ... და ამის გამო მისი ცალები ბევრი არ იქმნებოდა; იმავე მიზეზით მისივე სრულიად დაკარგვაც შესაძლებელი იქმნებოდა და მართლაც შატბერდის კრებული ზემო აღნიშნულ წარწერაში მოგვითხრობს, რომ მატიანე,

ანუ „წიგნი ქართლის მოქცევისაჲ... ვპოვეთო“ (ქ~ბი I, 117—118). მაშასადამე მაინც-და-მაინც ისევ ის გამოვიდა, რასაც ბ. ჟორდანია ასეთის გულის წყრომით უარჰყოფდა: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დაკარგული ყოფილა და „ამისთანა სასიქადულო“ თხზულებების დაკარგვაც საქართველოში თურმე შესაძლებელი ყოფილა.

როგორც ზემოდ იყო მოყვანილი, ბ. თაყაიშვილს ისე ესმის, ვითომც ავტორს უნდოდა ეთქვა, ცალკ-ცალკე ნაწერები ვიპოვნე და ერთად შევაგროვეო. იქნებ სწორედ ასეც მოხდა, მაგრამ ზემომოყვანილ წინადადებაში ასეთი არაფერია ნათქვამი. იქ ნათლად არის აღნიშნული მთელი თხზულება და არა მისი რომელიმე ნაწილი: „წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ ესე... ვპოვეთო“, სწორედ ეს წიგნიო. ცხადია, თუ რა მიზნით არის ეს ზღა[illegible] შეთხზული, ან რა ფასი აქვს ასეთს განცხადებას: დაიჯერეთ, უველაფერი თვით წ~ა ნინოს ნაამბობია, ჩვენ ხელიც არ გვიხლია, მთელი ეს თხზულება სწორედ ასე ვიპოვეო. ეს ყოველა ყალბ-მქნელის ჩვეულებრივი ხერხია ხოლმე. ხოლო რომ ც~ა ნინოს მარტვილობა ც~ა უწინარეს „მრავალთა ჟამთა“, ე. ი. სამოციქულოთა ჟამთა შედგენილი არ არის, არამედ მე IX-ე საუკ.-ზე არა-უადრეს, ეს დიდი ხანია უკვე გამორკვეულია (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქ. და წ~ა ნინოს მოღვაწეობა, მოამბე 1900 წ. № V გვ. 69). ამიტომ ამ ნაწარმოების პოვნა არც საჭირო იქმნებოდა, იგი თანამედროვე თხზულება იყო.

მაგრამ ეს წინადადება შეიძლება იგავითაც აიხსნას და იქნებ იგავით გამოთქმული ამბავი ცოტად მაინც ზნეობრივად ავტორს ნებას აძლევდა ეთქვა „ვპოვეთო“. თუ თვით წ~ა ნინოს ცხოვრება, მისი ღვაწლი ისე ვიგულისხმეთ როგორც ამ თხზულებაშია დასურათებული, ვითარცა საქართველოს ერთად-ერთი ნებითა ღვთისათა მოვლენილის მოციქულისა, მაშინ ამ ბუნდოვან წინადადებაში შეიძლება გადაკვრით გამოთქმული იყოს წ~ა ნინოს მოღვაწეობის ხსოვნისა და თაყვანისცემის ნამდვილი ბედ-იღბალი. იგი იყო „ვითარცა ტალანტი წინამძღვართაგან დაფარული“. აქ იგივე შედარებაა მოყვანილი, რომელიც სახარებაშია ნახმარი მონებისა და ტალანტის შესახებ (მათე XXV, 14—29). როგორც იქ ერთმა მონამ დაჰფარა, „დაფლა ქუეყანასა ვეცხლი იგი უფლისა“ (§ 18) და არ გამოიყენა, ისე ქართველთა წინანდელმა „წინამძღვრებმა“ ვერ გამოიყენეს ცნობები წ~ა ნინოს შესახებ, რომ იგი საქართველოს ერთად-ერთი მოციქული, სომხეთის განმანათლებელისაგან სრულებით დამოუკიდებელი ქრისტიანობის მქადაგებელი იყო. ამიტომაც წ~ა ნინოს ც~ა იყო ვითარცა ტალანტი დაფარული. როდესაც ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის ერთობა და სიყვარული სუფევდა, როდესაც ამ ორ ეკლესიაში ეროვნული მიმართულება ჯერ გაბატონებული არ იყო, წ~ა ნინოს ალბად ქართველ სხვა წმინდანებსავით, როგორც იოანე საბანის ძისაგან ვიცით, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ და შესაფერისად თაყვანს არ სცემ-

დნენ. წ͠ა ნინოს შატბერდისეულს ც͠ასაც ეტყობა, რომ ქართველთა განმანათლებლის წ͠ა ნინოს განსაკუთრებული პატივი და თაყვანისცემა მაშინაც-კი ჯერ კიდევ მტკიცედ გაბატონებული არა ყოფილა და ამ ცნობების ავტორი მირიან მეფის ყალბს ანდერძში მეფეს შემდეგს ალთქმას ადებინებს: „მიიღე“-ო, ანდერძად უტოვებს მირიანი თავის თანამეცხედრეს, სამარხვოსა წ͠ისა ნინოჲსსა ჟამთა შეცვალებისათჳს, რაჲთა არა შეირყიოს უკუნისადმდე ადგილი იგი, რამეთუ არა მეფეთა-საჯდომი არს, მწირ არს ადგილი იგი. ეგრევე ვჰვედრებ მთავარებისკოპოსსა, რაჲთა დადვას დიდებაჲ მის ადგილისაჲ, რამეთუ ღირს არს პატივისცემისაჲ“-ო (ახალი ვარიანტი 73 და ОПИС. II, 804).

რომ ცნობები წ͠ა ნინოს მოღვაწეობის შესახებ ქართველ ძველ წინამძღვართათვის მართლაც „ვითარცა ტალანტი დაფარული“ იყო თუნდაც იქიდგანა სჩანს, რომ კირიონ კათოლიკოზსაც-კი სომეხთა კათალიკოზთან გაცხარებულ პაექრობის დროს წ͠ა ნინო ერთხელაც არ მოჰგონებია და თავის მოწინააღმდეგესათვის არ უთქვამს: ჩვენ საკუთარი განმანათლებელი გვყავდა, რომელმაც ნებითა ღვთისათა სახარების ქადაგება იერუსალემით და საბერძნეთითგან მოგვიტანაო. პირიქით კირიონი აბრაამ კათოლიკოზს თითონ უკრავს კვერს და ადასტურებს: მართალია ჩვენ, ქართველებსა და სომხებს, ერთი განმანათლებელი, გრიგოლ პართელი, გვყავდა, მაგრამ მის მოძღვრების ნამდვილი დამცველნი თქვენ-კი არა, ჩვენა ვართო. ამ გაცხარებულ მიწერ-მოწერის დროს ერთხელაც-კი წ͠ა ნინოს მოციქულებრივი მოღვაწეობა საქართველოში არ გახსენებია!.. ვითომც კირიონმა წ͠ა ნინოს შესახებ არა იცოდა რა? არა მგონია. საფიქრებელია უფრო იმიტომ, რომ წ͠ა ნინო მაშინდელს გადაკეთებულ ც͠აში, როგორც ეტყობა, მხოლოდ რიფსიმე და გაიანეს ამხანაგად ყოფილა გამოყვანილი, მისი დამოუკიდებელი მოღვაწეობა-კი სრულებით დაჩრდილული ყოფილა. ამასთანავე იმიტომ, რომ მაშინ კირიონს ფიქრადაც არ მოუვიდოდა მშობელ ეკლესიისათვის საკუთარი, დამოუკიდებელი მოციქული მოეძებნა: გრიგოლ განმანათლებელის საწინააღმდეგოდ არაფერი ჰქონდა, გრიგოლი მაშინდელ შეხედულობისდა მიხედვით კირიონს სომხეთის წმინდანად-კი არ მიაჩნდა, არამედ მხოლოდ მსოფლიო, განსაკუთრებით კესარიის წმინდანად და მქადაგებლად სთვლიდა.

ხოლო სამუდამო განხეთქილების შემდგომ, როდესაც ქართულმა და სომხურმა ეკლესიებმა ეროვნული მიმართულება შეისისხლხორცეს და მეტოქეობა უფრო-და-უფრო გამწვავდა, მაშინ ქართველმა სამღვდელოებამ და მეცნიერებმა თავის ეკლესიის დაარსებისა და ქართველთა მოქცევის ისტორიის გამოძიება და შესწავლა დაიწყეს. სწორედ ასეთს დროს მიაქციეს მათ წ͠ა ნინოს მოციქულებრივ მოღვაწეობას და მაშინ დარწმუნდნენ, რომ ქართულ ეკლესიას თავისი საკუთარი მოციქული ჰყავდა. ეს იყო

„ვითარც ტალანტი წინამძღუართაგან დაფარული" შემდგომად მრავალთა „ჟამთა და წელთა" ნაპოვნი.

აი რა მიზანი ჰქონდა, როგორ და რა მეთოდებით არის დაწერილი წ῀ა ნინოს შატბერდისეული ც῀ა. რასაკვირველია მცირეოდენ ცნობებს გარდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქულისა და წ῀ა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში), ამ ნაწარმოებს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ისტორიის გამორკვევისათვის თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. იგი მხოლოდ იმ ხანას აზროვნობისა და სულიერ მისწრაფებათა მიმართულებას გვისურათებს, როდესაც იგი იყო შეთხზული.

ხელოვნების მხრივაც იგი მდარე ღირსების ნაწარმოებია. უკვე არსენ კათალიკოზმა (XII ს.) შენიშნა, რომ წ῀ა ნინოს შატბერდისეული ც῀აში მრავალმეტყველებაა მოჭარბებული, ანუ როგორც იგი სამართლიანად ამბობს, იქ მკითხველი ჰხვდება „მრავალკეცსა და მასვე თანაალრეულობასა ჰამბავსასა", მოთხრობა არეულია და ერთი-და-იგივე შემთხვევა გამოყვანილია „რომელნიმე თჳთ მის წმიდისაგან (ნინოს) მოთხრობილად სხუათა იაკობ-მღდლისაგან, სხუათა აბიათარისაგან, სხუათა კჳალად სიდონიაჲსაგან, გარნა წინა უკანა და უკანა წინ იგივე და ერთპირი"-ო (ც῀ა წ῀ა ნინოსი არსენი კათალიკოზისა, საეკლ. მუზეუმის ჯამ. № 10, გვ. 51—52). ერთი სიტყვით არსენი კათოლიკოზის აზრით წ῀ა ნინოს შატბერდისეული ც῀ა ისე უშნოდ და უხეიროდ არის დაწერილი, რომ „მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უკარ. ამის პირისათჳს დათვარულად მდებარე იყო"-ო (იქვე). მკაცრი, მაგრამ სრულებით სამართლიანი მსჯელობაა და საგსებით მისადებია ეხლაც, ვითარცა ამ თხზულების საისტორიო და სამწერლობო თვისებათა დამახასიათებელი.

რასაკვირველია წ῀ა ნინოს შატბერდისეულს ც῀ის შემდგენელს სხვა-და-სხვა წერილობითი წყაროები უნდა ჰქონოდა, ეს თვით ც῀ა-შიც არის აღნიშნული. უმთავრესი წყაროები სამწუხაროდ ჯერაც ცნობილი არ არის. ერთ-ერთ წვრილ წყაროებად, როგორც სამართლიანად აღნიშნა დეკ. კ. კეკელიძემ, უნდა ყოფილიყო: 1) თხრობა აღმართვისათვის პატიოსნისა ჯუარისა კონსტანტინე კეისრის დროს და 2) კჳრილე ალექსანდრიელის ეპისტოლე კონსტანტი კეისრის მიმართ გამოცხადებისათვის პატიოსნისა ჯუარისა იერუსალიმს (იხ. **Іерусалимскій Канонарь VII в.** ტფილისი 1912, გვ. 239—245). წ῀ა ნინოს შატბერდისეული ც῀ა ამ X ს. ხელთნაწერის მიხედვით პირველად ე. თაყაიშვილმა გამოსცა (წ῀ა ნინოს ახალი ვარიანტი, ტფილისი). არქ. ამბროსი ხელაჲამ აღმოაჩინა ამავე თხზულების მეორე XVII ს. ხელთნაწერი ჭელიშის მონასტერში (იხ. ძველი საქართველო, ტ. I, ტფილისი 1909 წ.). ე. თაყაიშვილმა ორივე ტექსტი (შატბ. ხელმეორედ, ჭელიშ. პირველად) ერთად გამოსცა თავის **Описаніе**-ს II ტ. (გვ. 727—813). ამ თხზულების რუსული

თარგმანი ეკუთვნის ე. თაყაიშვილს (СМОМПК, Опис. XVIII, გვ. 1—116), ინგლისური ვორდროპს.

შატბ-ჭელიშისეული ხელთნაწერების ც̃ის ტექსტები ბევრგან თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთი მეორისაგან და მათი შედარებითი შესწავლა და თავდაპირველ დედნის მეცნიერულად აღდგენა მეტად საყურადღებოა და ამის შესახებ ლაპარაკი იქმნება „ისტორიის მიზანისა და მეთოდების“ იმ წიგნში, რომელიც თანამედროვე საისტორიო სამეცნიერო მეთოდოლოგიას შეეხება.

მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე.

უძველეს სამოქალაქო საისტორიო ნაწარმოად ჯერ-ჯერობით ის მატიანე უნდა ჩაითვალოს, რომელიც შატბერდისეულს ხელთნაწერში წ̃ა ნინოს ც̃ას წინუძღვის და სათაურად აქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ამის გამო მას ჩვენ მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს ვუწოდებთ. რასაკვირველია ეს თხზულება პირველი ქართული მატიანე არ უნდა ყოფილიყო და უძველესად იგი მხოლოდ იმიტომ ითვლება, რომ ამაზე უწინარესი ამგვარი თხზულებები ჯერ აღმოჩენილი არ არის, ან იქნებ ჩვენამდის არ მოუღწევია.

არც დრო, როდესაც უნდა შედგენილი იყოს იგი, არც შემდგენელის სახელი თვით თხზულებაში აღნიშნული არ არის და არც სხვა რომელსამე თხზულებაში მოიპოვება ამის შესახებ ცნობები. ვიცით მხოლოდ რომ იგი შეტანილია მე-X-ე საუკ. განთქმულს შატბერდისეულს კრებულში და ეს გარემოება ამტკიცებს, რომ თვით მატიანე მეათე საუკუნეზე ცოტა ადრე მაინც უნდა ყოფილიყო შედგენილი. ამ დასკვნას ის გარემოება უფრო ადასტურებს, რომ მე-X-ე საუკ. შატბერდისეულ კრებულის მწერლებსაც ამ მატიანეს შემდგენელის სახელი აღარა სცოდნიათ. ამასთანავე ამ აზრის სიმართლეს ისიც ამტკიცებს, რომ ჩვენს უცნობს მემატიანეს ჯერ კიდევ წ̃ა ნინოს ძველ ცხორებით უსარგებლია და შატბერდისეული ც̃ითგან არც ერთი ცნობა არა აქვს ამოღებული (იხ. ივ. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქულისა და წ̃ა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, მოამბე 1900 წ. № V, გვ. 19 და 21).

არქ. ამბროსი ხელაძას მიერ აღმოჩენილი ჭელიშისეული ხელთნაწერი, რომელშიაც ეს მატიანეც აღმოჩნდა, საშუალებას გვაძლევს ამ ნაწარმოების განხილვა უფრო მკვიდრს ნიადაგზე დავამყაროთ. წინად ჭელიშისეული ხელთნაწერის შესახებ მხოლოდ არქ. ა. ხელაძას მოკლე მოხსენება მოიპოვებოდა, რომელიც „ძველი საქართველოჲ“-ში (I ტ. 1909 წ.) არის დაბეჭდილი. ეხლა

ბ. ე. თაყაიშვილის მიერ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს შატბერდისეულიცა და ჭელიშისეული ტექსტიც ერთად არის გამოცემული (Опис. II, 708--727). შატბერდისეულთან შედარებით ჭელიშისეული დედანი უფრო სრულია და ძვირფას ცნობებსაც შეიცავს ჩვენ მატიანის წყაროების შესახებ, რაც შატბერდისეულს ხელთნაწერში სრულებით გამოტოვებულია.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი ცნობა: მცხეთის სამი ჯვარის შესახებ აქ „სწერია მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა გრიგოლ დიაკონისა მიერ აღწერილსა"-ო (ძველი საქართველო I, გვ. 7 და Опис. II, 714). მაშასადამე ყოფილა „მცირე, მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისაჲ", რომლის ავტორადაც თურმე ვიღაც გრიგოლ დიაკონი ითვლებოდა. ეხლა არც ამგვარი თხზულება, არც ამგვარი მემატიანე ცნობილნი არ არიან. წ~ა ნინოს შატბერდისეულსა და ჭელიშისეულს ც~აში თხრობა მცხეთის პატიოსნისა და ცხოველმყოფელის ჯვარის შესახებ თუმცა მოიპოვება, მაგრამ იგი სულ სხვაა, ამასთანავე იგი არის „აღწერილი იაკობ მღვდლისა და იოანე მთავარ-ეპისკოპოსის" მიერ (Опис. II, 787) და არა გრიგოლ დიაკონის მიერ. როგორც ეტყობა გრიგოლ დიაკონის შედგენილი „მცირე, მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისა"-ჲ შატბერდისეულ და ჭელიშისეულ ხელთნაწერებში შენახულ ვრცლად აღწერილ ქართლის მოქცევის წიგნის შემთხვეულს წყაროდ უნდა ჰქონოდა. ამიტომ გრიგოლ დიაკონის ნაწარმოები შატბერდისეული მატიანეზე უძველესი ყოფილა.

საყურადღებოა აგრეთვე ჭელიშისეულს ხელთნაწერში შენახული მეორე ცნობაც. იქ, სადაც მატიანეს მოთხრობა კავკასიაში სპარსთა გაბატონებისა და ქართლში მეფობის გაუქმების ამბებს შეიცავს, ჭელიშისეულს ხელთნაწერში უფრო მეტი ცნობები მოიპოვება და, როგორც აღნიშნულია, მემატიანეს ამისთვის შესაფერისი წყაროებიც ჰქონია, იქ სახელდობრ ნათქვამია: „ესე აღწერილი გამოკრებულად არს"-ო (ძველი საქართველო I, 12 და Опис. II, 724). მაშასადამე იმ წყაროებში, საიდგანაც მემატიანეს თავისი ცნობები „გამოკრებულად" ამოუღია, უფრო მეტი და ვრცელი ცნობები ყოფილა, ამასთანავე საგულისხმიეროც. მაშასადამე ჩვენს მემატიანეს ისეთ მცირე და შემოკლებულ წყაროს გარდა, როგორიც გრიგოლ დიაკონის ნაწარმოები ყოფილა, რომლის ცნობები მას უნდა შეევსო და გაევრცელებინა, ხელთ ჰქონია სხვა ვრცელი და შინაარსიანი წყაროებიც, რომელთაგან მას შემოკლებით ამოუღია და ამოუკრეფია საჭირო მასალები. ეს ორივე გარემოება ამტკიცებს, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანე საქართველოს სამოქალაქო ისტორიის ერთად-ერთი და უძველესი ძეგლი არ არის, და უფლებას გვაძლევს ვიმედოვნებდეთ, რომ ოდესმე ეს ძვირფასი და საგულისხმიერო წყაროებიც აღმოჩნდება და ჩვენ უფრო კარგსა და საყურადღებო ცნობებს შევიძენთ, ვიდრე ეხლა გვაქვს „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს მატიანეს წყალობით.

თუმცა მატიანეში აღნიშნული არა არის, მაგრამ ცხადია, რომ მემატიანეს ერთ-ერთ წყაროდ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის აპოკრიფიული ისტორიაც უნდა ჰქონოდა. არა სჩანს მხოლოდ რა წყაროების მიხედვით აქვს მას შედგენილი ქართველ მეფეთა ნუსხა.

ჯერ კიდევ თვით ამ მატიანეს პირველმა გამომცემელმა ე. თაყაიშვილმა შენიშნა, „რომ ხრონიკის ხასიათი თავიდან ბოლომდის ერთგვარი არ არის;... ხრონიკა... აღნიშნავს რა რომელიმე პირის მეფობას თუ ერისთობას ყოველთვის უჩვენებს ერთ ორ უმთავრესს ისტორიულ ფაქტს მის მეფობაში მომხდარს და იხსენიებს ვინ იყო მთავარ-ეპისკოპოსი ანუ კათალიკოსი; ეს სისტემა მტკიცედ არის გატარებული თავიდან დაწყებული სტეფანოს II დრომდის (639—663), ხოლო სტეფანოს II შემდეგ ეს წესი უცებ იცვლება და შემოკლებულ ცნობების მაგიერ ერისთავების შესახებ მხოლოდ სია არის მოყვანილი ცამეტთა დიდი ერისთავთა; არც ერთი ღირსსახსოვარი ფაქტი მათი ერისთაობის დროისა აღნიშნული არ არის; არ არის აგრეთვე ნაჩვენები, თუ რომელი კათალიკოსი რომელ ერისთავის დროს იყო, არამედ ერისთავების სიის შემდეგ სიითვე არის წარმოდგენილი 27 კათალიკოსი" (ე. თაყაიშვილი. სამი ისტორიული ხრონიკა, გვ. XCIII—XCIV).

ამ დაკვირვებამ ე. თაყაიშვილი იმ დასკვნამდე მიიყვანა, „რომ ეს სია მერმეა მიმატებული და წინეთ-კი ქართლის მოქცევის ხრონიკა სტეფანოს II დრომდის ყოფილა მოყვანილი" (იქვე გვ. XCIV და XCV), ესე იგი მე-VII-ე საუკუნეში შედგენილად მიაჩნია.

რომ ეს მატიანე მე-X-ე საუკუნეზე უწინარეს უნდა იყოს შედგენილი ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, მაგრამ ე. თაყაიშვილი სცდება, როდესაც ამ მატიანის შეთხზვის თარიღად მე-VII-ე საუკუნეს აღიარებს, თუმცა-კი სრულებით ცხადია, რომ ერისთავებისა და კათალიკოზების სია ბოლოში შემდეგ უნდა იყოს მიმატებული.

ეს მატიანე შეუძლებელია მე-IX-ე საუკუნეზე უწინარეს იყოს შედგენილი იმიტომ, რომ, როგორც განსვენებულმა პროფ. ბოლოტოვმა სამართლიანად აღნიშნა, იქ ერთი მსხვილი ქრონოლოგიური შეცდომა მოიპოვება და სასანელთა მეფეების დედაქალაქად ბაღდადია დასახელებული (სამი ისტ. ხრ. გვ. 26 და Опис. II, 725), რომელიც იმ დროს ჯერ არ არსებობდა, რათგან მის აგებას მხოლოდ 762 წელს შეუდგნენ (იხ. Христіанское Чтеніе, 1898 წ. № 4, გვ. 255). ეს გარემოება მემატიანეს აღარა სცოდნია, ხოლო მას რომ მე-VIII-ე საუკუნეშიაც-კი ეცხოვრა, უნდა სცოდნოდა, როდის ააგეს ქ. ბაღდადი, როგორც ეს იცის მაგალითად იოანე საბანის ძემ (წმიდა მოწამე აბო ტფილელი, გვ. 15). ამის გამო ჭკუაზე უფრო ახლო იქმნება ვიფიქროთ რომ მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე მე-IX-ე საუკუნეშია შედგენილი. ამ ჩვენს დასკვნას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მემატიანეს, როგორც

უკვე აღნიშნული იყო, შუშანიკისა და ვასქენისა (ვგონებ აგრეთვე ათსამეტ ასურელ მამათა, შესახებ მძიმე ქრონოლოგიური შეცდომა მოსვლია (იხ. აქვე გვ. 7). ასეთი შეცდომა მე-VII—მე-VIII საუკ. მწერალს არ მოუვიდოდა.

რა მიზანი ჰქონდა მემატიანეს, როდესაც თავის თხზულებასა სწერდა თვით ნაწარმოებში არ არის აღნიშნული, მაგრამ როგორც ეტყობა მას განზრახვა ჰქონია საქართველოს სამეფოს საზოგადო მატიანე დაეწერა უძველეს დროითგან, წარმართობის ხანითგან, მოყოლებული. ამასთანავე მას ჰსურდა აეწერა „ქართლის მოქცევა“-ც, ქართველთა გაქრისტიანება და ქრისტიანობის ხანის უმთავრესი მოვლენანი აღენუსხა. მემატიანეს უმთავრესი ყურადღება უძველეს და ძველ ხანისათვის მიუქცევია. იქნებ ამ შემთხვევაში ჩვენს ავტორს თაყოსნობა გამოუჩენია?

საყურადღებოა, რომ თავის თხზულებას მემატიანე ალექსანდრე მაკედონელის შემოსევით იწყობს. ვითომც როდესაც ალექსანდრე მაკედონელი კავკასიაში შემოსულა, ქართველებს იქ ჯერ კიდევ ბინადრობა არ ჰქონიათ. ძლევამოსილმა მაკედონელმა მეფემ „იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნთურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით ოთხ ქალაქად და დაბნები მათი: სარკინე ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაკჱ და ციხენი მათნი ციხჱ დიდი სარკინისაჲ, უფლის ციხჱ, კასპისა, ურბნისისა და ოძრაკისა[ჲ]“ (სამი ხრ. 1-2 და Опис. II, 708). მკვიდრ მოსახლე ბუნთურქებს მატიანეს სიტყვით კიდევ ერთი ტომი მიჰმატებია: „მოვიდეს ნათესავნი მბრძოლნი ქალდეველთაგან გამოსხმულნი ჰონნი და ითხოვეს ბუნთურქთა უფლისაგან ქუეყანაჲ ხარკითა და დასხდეს იგინი ზანავს“-ო (იქვე 3 და Опис. II, 708).

სწორედ ეს ორი ერი, ბუნთურქნი და ჰონნი მოსახლეობდნენო მერმინდელ საქართველოს მიწა-წყალზე, როდესაც ალექსანდრე მაკედონელი ვითომც კავკასიაში შემოსულა და მტკვრის მიდამოები დაუმორჩილებია. მას თანჰყოლია „აზოჲ ძჱ არან ქართლისა მეფისაჲ“ (იქვე 4 და Опис. II, 709) და როდესაც ალექსანდრემ წასვლა დააპირა, „მას მიუბოძა მცხეთაჲ საჯდომად და სამზღვარი დაუდვა მას ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთაჲ ცხოვლისა“-ო (იქვე).

ერთი სიტყვით მემატიანეს აზრით ქართველები იმ დროს კავკასიაში ჯერ არა ყოფილან. ქართლის მეფის ძე აზოჲ ვითომც ალექსანდრე მაკედონელს მოჰყვა. ალექსანდრემ მისცა აზოს დასამკვიდრებლად მცხეთა და მერმანდელ ქართლის მთელი მიწა-წყალი. ამის შემდგომ „ესე აზოჲ წარვიდა არან ქართლად მამისა თჳსისა და წარმოიყვანა რვაჲ სახლი და ათნი სახლნი მამამძუძეთანი და დაჯდა ძუელ მცხეთას ...და ესე იყო პირველი მეფჱ მცხეთას შინა აზოჲ ძჱ არან ქართველთა მეფისაჲ“-ო (იქვე 4—5, Опис. II, 709). ამ გვარად გაჩნდა კავკასიაში პირველად ქართველთა

მოსახლეობა. მაშასადამე ჩვენს მემატიანეს თავდაპირველი ქართლი სადღაც სამხრეთით ეგულება, იქა ყოფილა ქართველ ერის სამშობლო. რაკი ჩვენი ავტორის სიტყვით აზოჲს ახალ სამფლობელოს სამხრეთით სომხითი ჰსაზღვრავდა, ქართველთა თავდაპირველი სამშობლო ქართლი სომხითზე უფრო სამხრეთით უნდა ყოფილიყო. ამნაირი წარმოდგენა ჰქონია ჩვენს მემატიანეს ქართველთა უძველეს ისტორიის შესახებ.

რაზე იყო ამგვარი შეხედულება და ეს ცნობები დამყარებული, მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანითგან არა სჩანს. არც საზოგადოდ ქართველთა ჩამომავლობისა და უძველეს ისტორიის შესახებ, არც აზოჲს წინადროის ქართველებზე, არც იმის შესახებ, თუ რა დაემართათ თავდაპირველ „ქართლში“ მცხოვრებ დანარჩენ ქართველებს, რომელნიც აზოჲს არ გამოჰყვნენ და მეფე არიანთან დარჩნენ,—ყველა ამაების შესახებ მატიანეში არაფერია ნათქვამი, ერთი სიტყვაც-კი არ მოიპოვება. მაგრამ მეტად საგულისხმიერო და საყურადღებოა ერთი გარემოება: მემატიანეს სცოდნია, რომ ეხლანდელი საქართველო და ამიერ-კავკასია ჩვენი ერის თავდაპირველი სამშობლო არ არის, რომ ქართველები წინად კავკასიის სამხრეთით მოსახლეობდნენ და მხოლოდ შემდეგ წამოვიდნენ და დასახლდნენ ამიერ-კავკასიაში. თანამედროვე მეცნიერებაში ეს აზრი განმტკიცებულია (იხ. ქ̃ლ ერის ისტორია I, 66—69) და თუ ეს გარემოება ჩვენს ისტორიკოსს სცოდნია, უეჭველია მას რაღაც ძველი საყურადღებო საისტორიო წყაროები უნდა ჰქონოდა, რომელშიაც ალბად გაცილებით მეტი ცნობები იქნებოდა, ვიდრე მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეშია შენახული. ჩვენს მემატიანეს როგორც ეტყობა განზრახვა ჰქონია დაეწერა ქართველთა ისტორია მხოლოდ კავკასიაში დასახლების ხანითგან მოყოლებული.

ყურადღების ღირსია აგრეთვე, რომ ჩვენ ისტორიკოსის მატიანე მეტად ვიწროდ არის შემოფარგლული და მისი საისტორიო მოთხრობა მხოლოდ ქართლს ეხება: არც მთელ დისავლეთ საქართველოს შესახებ, არც კახეთის შესახებ იქ არა არის რა ნათქვამი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანე შინაარსის მხრივ მეტად ღარიბი და ერთფეროვანი საისტორიო ნაწარმოებია: წარმართობის ხანისათვის მემატიანეს მეფეთა და ღვთაებათა სახელების მეტი თითქმის არაფერი აქვს მოყვანილი, ქრისტიანობის დროისათვის ისევ მეფეებისავე და კათოლიკოზების სახელებია ჩამოთვლილი. იშვიათად თუ აქა-იქ რომელისამე ეკლესიის აგებისა ან სხვა რაიმე შესანიშნავი ამბავია მოთხრობილი. თვით ცნობებშიაც მემატიანეს მსხვილი შეცდომები შეჰპარვია: ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა კავკასიაში მას უტყუარ ამბად მიაჩნია, ორმეფობა ბავშვურად აქვს წარმოდგენილი (იხილე ქ̃ლ ერის ისტორიის I, 182—183), შუშანიკისა და ვასქენ ქართლისა პიტიახშის დროის განსაზღვრაში ერთი საუკუნით

სცდება (იქვე I, 188 და ამავე წიგნში გვ. 6—7), ქართლში სპარსთა მიერ მეფობის მოსპობის დროის შესახებ შეცდომა მოსვლია (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია , 196), ქ. ბაღდადიც შეცდომით ისეთ დროს აქვს მოხსენებული, როდესაც იგი ჯერ არ არსებობდა, მეფეთა ნუსხაც, როგორც უცხოელ ისტორიკოსთა ცნობებიდგან სჩანს, სრული და სწორე არ არის და სხვა. ამიტომ მკვლევარი მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანეს ცნობებს დიდის სიფრთხილით უნდა მოეპყრას და მხოლოდ თვითოეულ ცნობის ღირსება-ნაკლულევანებათა აწონ-დაწონის შემდგომ ისარგებლოს. ასეთ მკაცრ კრიტიკულ განხილვის შემდგომაც ამ მატიანეში აღმოჩნდა და შემდეგშიც აღმოჩნდება ზოგიერთი ძვირფასი საისტორიო ცნობები, როგორც მაგ. ქართველთა სამხრეთით მოსვლა და გადმოსახლება ამიერკავკასიაში, ცნობები წ˜ა ნინოსა (ივ. ჯავახიშვილი. ანდრია მოციქულისა და წ˜ა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, მოამბე 1900 წ. № V) და ქართველთა გაქრისტიანებაზე (ქ˜ლ ერის ისტორია I, 241), მეფობის მოსპობის შესახებ აღმოსავლეთს საქართველოში და სპარსთა ბატონობის დახასიათება (იქვე I, 197), ჰერაკლე კეისრისა და ჯიბღუ ხაკანის ლაშქრობის შესახებ კავკასიაში და ტფილისის აღება (იქვე I, 216—218) და სხვა. მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე პირველად გამოსცა ე. თაყაიშვილმა 1890 წ. თავის წიგნში „სამი ისტორიული ხრონიკა (გვ. 1—39), რომელმაც ამ თხზულებას ვრცელი წინასიტყვაობა უძღვნა (გვ. I—CII). ნაწყვეტ-ნაწყვეტ შენიშვნებითურთ სხვა-და-სხვა ადგილას დაბეჭდილი აქვს თ. ჟორდანიასაც ქრონიკების I წ., იმავე ე. თაყაიშვილმა ეს მატიანე ხელმეორედ გამოსცა, ორისავე ხელთნაწერის ტექსტები, შატბერდისეულისა და ჭელიშისეულისაც (Опис. II, 708—727). ამ მატიანეს რუსული თარგმანი ეკუთვნის ე. თაყაიშვილსვე და დაბეჭდილია СМОМПК (Вып. XVIII).

სტეფანე მტბევარი ეპისკოპოზი.

სტეფანე მტბევარს ეკუთვნის ერთი თხზულება, რომელსაც ეწოდება: „წამება წმიდისა მოწამისა გობრონისა, რომელი განიყუანეს ყუელის ციხით.“ თვით ავტორი აცხადებს: ეს ნაწარმოები „მე სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსმან დავსწერე ბრძანებითა აშოტ ერისთავთ-ერისთავისათა“-ო (საქ. სამოთხე 393). ეს „წამება“ მ. საბინინის მიერ არის გამოცემული, რომელმაც გობრონის მოწამებრივ სიკვდილის თარიღად 920 წ. დასდო (იქვე 400, შენ. 1). მაშასადამე ამის ახლო ხანებში უნდა ყოფილიყო ვითომც ეს თხზულება დაწერილი. მაგრამ აქ ბ. საბინინს ცხადი შეცდომა მოსვლია, იმიტომ

რომ გობრონი შეიპყრო და აწამა 914 წ. სომხეთში და საქართველოში მოსულმა არაბთა ამირამ აბულ კასიმმა იუსუფმა აბუსაჯის ძემ (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია II, 384—385).

ხოლო რომ თვით თხზულებაც შეუძლებელია 920 წელსაც-კი ყოფილიყო შედგენილი იმითაც მტკიცდება, რომ თვით ავტორი სტეფანე მტბევარი გვამცნებს, ეს წამება დავწერე „ბრძანებითა აშოტ ერისთავთ-ერისთავისათა“-ო (საქ. სამოთხე 393). ცნობილია, რომ აშოტ ერისთავთ-ერისთავი მეტისახელად კუხი, რომელმაც ტბეთის საეპისკოპოსო საყდარი დააარსა და პირველ ეპისკოპოსად სწორედ ეს სტეფანე დანიშნა, გარდაიცვალა 918 წელს (სუმბატ ც˜ა და უწ˜ყება 61 და ქ˜ლ ერის ისტორია II, ბაგრატიონიანთა შთამომავლობითი შტო). ამგვარად სრულებით ცხადია, რომ სტეფანე მტბევარს თავისი თხზულება 914—918 წლებში უნდა დაეწერა. სტეფანე მტბევარს თავის თხზულებაში აღწერილი აქვს ამირა აბულკასიმის სომხეთში შემოსევა, სომხეთის აოხრება და აღმოსავლეთ საქართველოს დარბევა, რომლის დროსაც გობრონი შეპყრობილ იქმნა და აწამეს.

შესავალში ავტორი ამბობს, რომ „ჩუეულება აქვს განგებასა ღმრთისა[სა]... სწავლად დაბადებულთა მისთასა“-ო, როგორც მაგ. „იოსებ და ყოველნი მამათმთავარნი თჳთეულად გამოიცადნეს“-ო (საქ. სამოთხე 393). მაგრამ შემდეგ ღვთაებამ საწურთნელი და ჭკუის მასწავლებელი საშუალება შესცვალა და მას შემდგომ რაც „წყლით-რღუნა აღიბეჭდა და ცეცხლით-მოწუა ზეკარდამო დაეცა“, „მიერითგან მახჳლი განეწესა ღმრთისა მიერ შურის საგებელად უკეთურებათა კაცთასა, ვითარცა ისაია იტყჳს „უკეთუ ისმინოთ ჩემი, კეთილსა ქუეყანისასა სჭამდეთ, ხოლო უკეთუ არა ისმინოთ, მახჳლმან შეგჭამენ თქუენ“-ო (იქვე 394). მაშასადამე უცხო და გარეშე მტრის შემოსევა, ომიანობა და ქვეყნის დაწიოკება სტეფანე მტბევარის (და სხვა საშუალო საუკუნოების საეკლესიო და საერო მემატიანეთა*) აზრით ღვთის რისხვა იყო ხოლმე და შურის გება კაცთა უკეთურების გამო.

ამგვარ შემთხვევათა მოთხრობა სტეფანეს საჭიროდ მიაჩნია, რომ ამ გზით „ორივე სახე კეთილისა და ბოროტისა ნათესავთა მომავალთა მიეთხრას“. რაკი წარსული ეცოდინებოდათ „მოხსენებითა პირველთა მათ საქმეთათა“, მაშინ „მოსრული და მომავალი სამართალი ღმრთისა მეცნიერთათჳს კრძალული“ იქმნებოდა და ამის წყალობით „სხუათა შემთხუევათა გამოცდილ იპოვნენ“-ო (იქვე 394). ამასთანავე როდესაც „ჭეშმარიტნი თაყუანისმცემელნი“ დაინახავდნენ, თუ რა არის ღვთის რისხვა, „ნაყოფი

---

*) ამგვარივე აზრია გამოთქმული კონსტანტინე—კახაის ც˜ა-ში (საქ. სამოთხე 366).

იგი სიმართლისა" მაშინ ისინი განსაცდელშიც მოთმინებით „წყალობისა ღმრთისა მოსავ" იქმნებიანო. ხოლო „ოდეს ესმას ცრუთა სიმართლისა სასჯელი", მათაც „შეეშინოს და დაუტეოს უკეთურებაჲ და სინანულად მოისწრაფოს"-ო (იქვე 394). ამგვარს კეთილს ნაყოფს გამოიღებდა სტეფანეს აზრით „მოხსენება პირუელთა მათ საქმეთა".

იმდროინდელი ისტორიული სურათი სტეფანე მტბევარს თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც ცხოვლად და მკაფიოდ აქვს დახატული. სომხეთს და შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოსაც შემოესია „მეფე სარკინოზი სახელით აბულყასიმ ძე აბუსაჯისი ამირისა და უფალი სპარსეთისა, რომელსა ჰმონებდა სამ[ე]ოცი ქალაქი დიდ-დიდი და შჳდნი მეფენი მორჩილებდეს ძლიერნი" (იქვე 395). მტრის შემოსევა ყოველთვის საზარალოა, მაგრამ განრისხებულ არაბ ამირების ხომ ნამდვილი ღვთის რისხვა იყო იმიტომ, რომ როცა ისინი მოვიდოდნენ, „არს ჩუეულება მათი პირველად ხარკნი იგი თანანადებნი ძებნნეს, ძღუენი და ნიჭნი კაეტთა*) მათთა თჳს, რამეთუ მოხარკე მისსა იყუნეს, მერე წინა-ყამისა ბეგარანი სთხოვნეს... და ესრეთ მანქანებითა დააცალიერებენ საფასეთა მათთაგან, რათა ადვილად მძლე ექმნას"-ო (იქვე 395).

დიდ ლაშქითურთ ამირა მიადგა ქ. დჳნს „და ოხრა გულისწყრომისა მისისა მოასწავებდა ოხრებასა სომხითისასა"-ო (იქვე). სომეხთა მეფე სმბატი აფხაზეთის მთებში შეიხიზნა. არაბთა ლაშქარიც დაიძრა, ეხლა-კი საქართველოში გადმოვიდა და მიადგა „ციხესა მას ყუელისასა გურგენ ერისთავთ-ერისთჳსა" (იქვე). მსწრაფლ ციხის გარემოდგმა დაიწყეს: „მოადგეს ციხესა მას ყუელისასა, გარეშე ადგეს კარვები იგი მათი ვითარცა თოვლი, რომელნი ხუთისა სოფლისა საზღუართა და ოდენ ეტივნეს იწროებითა. და საბელი იგი კარვებისა მათისა განეთხზა ურთიერთას, რამეთუ ესე იყო ჩუეულებაჲ დადგრომისა მათისაჲ"-ო (იქვე 396).

ყუელის ციხეში შეხიზნულები „იყუნეს აზნაურნი წარჩინებულნი", რომელნიც მოდგმულს მტერს ებრძოდნენ. ხოლო დანარჩენი მცხოვრებნი იგლტოდნენ მტრისაგან და „ურიცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყუნეს, რომელნი ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა და მწუანილოვანსა ქუეყანისასა" (იქვე), მხოლოდ არტაანის საზღვარზე „თივისა მკრებელნი და მსხუერტელნი უანობირისა მათისანი... შიმშილისაგან შიშსა სიკუდილისასა შეურაცხჰყოფდეს" და სამუშაოდ გადიოდნენ ხოლმე. მაგრამ არაბთა ლაშქარი, თუ მოახელთებდა მათ, იჭერდა და ჰხოცავდა (იქვე). სასტიკი და გამწვავებული ბრძოლა იყო ყუელის „ციხოვანთა" და არაბთა გარემოდგმულ ლაშქარს შორის.

*) წინამძღოლთა.

არაბებს დიდძალი საომარი იარაღი და მასალა ჰქონდათ თანმოტანილი: „აქუნდა ასეული ტკრთი აქლემისა ისარი ოდენ და ეგრეთვე ჭოროლი“, ამასთანავე იბრძოდნენ აგრეთვე „ფილეკავნებითა მრავლითა“ (იქვე).

ოცდა რვა დღეს გასტანა უჯელის ციხის გარემოცვამ, რომელიც ისე დამთავრდა, რომ გობრონი და 200-მდე მეციხოვნე კაცი შეიპყრეს არაბებმა (იქვე). ამირამ გობრონს გამაჭმადიანება ურჩია, რომ ამ გზით სიკვდილს გადარჩომოდა, მაგრამ სტეფანე მტბევარის სიტყვით გობრონს შემდეგი საგულისხმიერო პასუხი მიუცია: „გევედრები, კელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატევებად ქრისტეანობისა, რომლითა აღმზარდეს მე მშობელთა ჩემთა... მრავალ არიან შენ ქუეშე ქრისტეანენი და მეცა არა დავალიო მონებაჲ კელმწიფებასა შენსა ყოვლითა სახითა რომლითა გენებოს შენ“-ო, იძულებით-კი, იცოდე, მე ქრისტიანობის დამტევებელი არა ვარო (იქვე 399). რაკი გობრონმა თავის სიტყვას არ უღალატა და ვერას გზით მას ქრისტიანობაზე უარი ვერ ათქმევინეს, ამირას ბრძანებისაებრ გობრონს „წარკუეთეს თავი მისი“ 914 წელს „თთუესა ნოემბერსა იზ (17) დღესა“ (იქვე 400).

აბულყასიმს ვერც სომეხთა მეფე სმბატი გადურჩა: როდესაც იგი „შემდგომად მარტჳლობისა წმიდისა გობრონისა“ თავის სამეფოში დაბრუნდა და კაპოეტის ციხეში შეიხიზნა, ამირა იმ ციხეს მიადგა, აიღო და „მეფე იგი მრავლისა ტანჯჳსა შემდგომად მოკლა და თავმოკუეთილი ჩამოჰკიდა ძელსა საშუალსა ქალაქსა დჳნისასა“ (იქვე 397).

ჩვენ განზრახ გადაუშალეთ მკითხველს იმდროინდელ პოლიტიკურ ვითარების საზარელი სურათი, რომელმაც იმსხვერპლა მრავალი სული ქართველი და სომეხი. მეტად დამახასიათებელია სტეფანე მტბევარის აზროვნებისათვის, რომ იგი სულ სხვა-და-სხვა გვარად მსჯელობს ამ ორ კაცის (გობრონისა და სმბატის) სიკვდილის შესახებ. თუ გობრონი მისთვის მოწამე და ქრისტეს სარწმუნოების მამაცი, თავგანწირული აღმსაარებელია, სომეხთა მეფის სიკვდილი და სომეხთა ერის დაწიოკება და ხოცვა-ჟლეტა მისი სიტყვით მოხდა „მიშუებითა ღმრთისათა“ (იქვე 395) ვითარცა ღვთაების სამართლიანი შურისგება და მსჯავრი. ამგვარი ღვთის რისხვა სტეფანე მტბევარის აზრით სომხებს იმიტომ დაატყდათ, რომ „მიწა იგი სომხითისა ამპარტავან და მკჳდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაარ, ლაღ და ცოდვისმოყუარე, ამპარტავან უწყალო, უყუარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტჱსი, რომელთათჳს ქრისტე ცუდად მოკუდაჲ“ (იქვე 394). ამ სიძულვილითა და მრისხანებით აღსავსე სიტყვებს წინუძღვის და მისდევს ის დედააზრი, რომელიც სტეფანე მტბევარის მსჯელობასა და გრძნობას საფუძვლად უდევს. სომხეთს ასეთი საშინელი უბედურება იმიტომ დაატყდა თავს, რომ სომხებმა „მოციქულ-

თა მიერ ქადაგებული მართლმადიდებლობისა სარწმუნოებაჲ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა განაგდეს და მოძღუართა მიერ წმიდათა, კრებათა ღმრთივსულიერთა, განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხჰყუეს“-ო (იქვე). თუ აბულყასიმის შემოსევის დროს სომხეთში „ოთხმეოცდაშჳდი ჴევი მოოხრდა პირისაგან უფლისა... ამისთჳს, რამეთუ არა იპოვა ამათ (ე. ი. სომეხთა) ხელთა შინა საყდარი მართლმადიდებელთა ეპისკოპოსთა, არცა მონასტერი მართლმადიდებელთა მორწმუნეთა მონაზონთა“-ო (იქვე 394—395). აშკარად ცხადია, რომ სტეფანე მტბევარს სარწმუნოებრივი სიძულვილი ალაპარაკებდა ასე, თუმცა მარტო ამით არ უნდა იყოს მისი გრძნობა გამოწვეული.

სტეფანე მტბევარი გრძნობდა, რომ მის მსჯელობას, ვითომც არაბმაჰმადიანთა შემოსევა მოხდა „მიშუებითა ღმრთისათა“, შეიძლება ეჭვი დაებადნა მათ შორის, „რომელთა არა იციან სწავლა წიგნისა, არცა ძალი ღმრთისა“, იმის შესახებ, „თუ ვითარ ამათ ნათესავთა უქრისტოთა (მაჰმადიან არაბებს), უსჯულოთა ესეოდენი მძლავრობაჲ მძლავრობისა და ფართოებაჲ შუებისა დაუპყრიეს“, ან როგორ მოხდა რომ არაბ-მაჰმადიანთა მძლეობა ქრისტეანებზე „სულგრძელებასა ღმრთისა[სა] თავს უდებიეს დათმენად“? (იქვე 297).

მაგრამ ამგვარ ეჭვს იგი თავის აზრით იმ მოსაზრებით აქარწყლებს, რომ სომხები მწვალებელნი იყვნენ (იქვე 397 - 398). მას აყიწყდებოდა, რომ იმავე ამირას შემოსევისაგან მარტო სომხები-კი არ დაზარებულან, არამედ ქართველნიც, რომელნიც მართლმადიდებელნი იყვნენ.

სტეფანე მტბევარის თხზულება იმ ხანას ეხება, როდესაც საქართველოში დაუცხრომელი ბრძოლა იყო გაერთიანებისათვის. ამ დროს ქართველთა და სომეხთა შორის მეტოქეობა და მტრობაც ჩამოვარდა (იხ. ქ~ლ ერის ისტორია II, 383—385). ამიტომაც არის, რომ სტეფანე მტბევარის ვნებათაღელვით აღსავსე გრძნობას სომხებისადმი და სარწმუნოებრივს სიძულვილსაც ცოტა არ იყოს ეროვნულ-პოლიტიკური ელფერიც ადევს.

იმას გარდა რომ ჩვენს ისტორიკოსს საქართველოს და სომხეთის პოლიტიკურ ვითარებისა და აბულყასიმის შემოსევის ცხოველი და უტყუარი სურათი აქვს დახატული, მისი თხზულება საყურადღებოა აგრეთვე ვითარცა ქართველ სამღვდელოებისა და მესხეთის მმართველი წრეების გრძნობების დამახასიათებელი ძეგლი. სტეფანე მტბევარის ნაწარმოები უხეიროდ დაბეჭდილია მხოლოდ ერთხელ მ. საბინინის „საქ. სამოთხე“-ში (გვ. 393—400).

გიორგი მერჩულე.

გიორგი მერჩულის კალამს ეკუთვნის ერთი ფრიად საყურადღებო და ძვირფასი საისტორიო თხზულება. იგი ყოფილა „აღმწერელი“ (ც˝ჲ გ˝გლ ხნ˝ძსჲ ვ˝) „წიგნისა“, რომელსაც სათაურად აქვს „შრომაჲ და მოღვაწეობაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა აღმაშჱნებელისაჲ და მისთანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ“. თვით ავტორი გრიგოლ ხანძთელის თანამედროვე არ იყო და, როგორც მას თითონაც აღნიშნული აქვს, მას თავისი ნაწარმოები „ცხორებაჲ“ დაუწერია გრიგოლის „გარდაცვალებითგან“ „შემდგომად ოთხმოცდა ათისა წლისა“ (იქვე ვ). ხოლო რაკი გიორგი მერჩულისავე ცნობით ხანძთელი მამა 861 წელს მომკვდარა „ქრონიკონსა ოთხმოცდა ერთსა“ (იქვე), ჩვენს ავტორს მაშასადამე თავისი შრომა უნდა დაემთავრებინა 951 წელს. მაშინ გრიგოლ ხანძთელის უმთავრესი თანამედროვენი და თანამოღვაწენი „დიდი სერაპიონი“, „შატბერდისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი“ ილარიონ პარეხელი, გიორგი მაწყუერელი და სტეფანე მტბევარი და „სხუანი მსგავსი მათნი“ გარდაცვლილი იყვნენ, „მათ ნეტართა დაიძინეს“ (იქვე ნგ). მაგრამ ავტორი მოსწრებია მათ და მათი უმცროსი თანამედროვე ყოფილა. წინად იმედიც ჰქონია კიდეც, რომ გრიგოლ ხანძთელის „ცხორებას“ ერთ-ერთი მათგანი მაინც დაუტოვებდა შთამომავლობას: „ვგონებდ ცხოვრებისა ამისა დაწყებად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩვენთა“-ო (იქვე). მხოლოდ როცა გიორგი მერჩულე დარწმუნდა, რომ გრიგოლის უმახლობლესი თანამოღვაწენი ისე გადაიცვალნენ, რომ თავიანთ დიდებულ მოძღვრის თავგადასავალი და „მოქალაქობა“ არ აღწერეს, „მაშინღა“ გადაუწყვეტია „კელყოფად და აღწერად ცხორებაჲ და სასწაულნი“ (იქვე). გიორგი მერჩულს ეხმარებოდნენ ხანძთის იმდროინდელი წინამძღვარი და მისი ძმა იოვანე (იქვე ვ). პირველი ალბად როგორც სულიერი მამა და გამამხნევებელი, მეორე იქნებ ცნობების შეკრებითაც.

გიორგი მერჩულს მიზნად ჰქონდა აეწერა „შრომაჲ და მოღუაწეობაჲ“ მარტო გრიგოლ ხანძთელისა კი არა, არამედ „მისთანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ“-ცა, რომელნიც იყვნენ „მოყუასნი და მოწაფენი მისნი (იქვე ბ). ამის გამო ამ თხზულებაში ჩვენ ხელთ გვაქვს კლარჯეთის თითქმის ყველა მონასტრების, დამფუძნებელთა და აღმაშენებელთა, წინამძღვართა და მოღვაწეთა თავგადასავალი და ცხოვრება. ხოლო რაკი სამონასტრო „მოქალაქობა“ ამ მხარეში პირველად გრიგოლმა დაამყარა და მონას-

ტერთა დაფუძნებისა კლარჯეთისა, შავშეთისა და ტაოს დასახლება და აშენება მოჰყვა, ამიტომ გიორგი მერჩულის თხზულებაში ჩვენ შეგვიძლიან ამ სამონასტრო მოძრაობის ისტორია, თვისება და რაოდენობა, მისი ღირსება და შედეგი შევისწავლოთ დასაწყისითგან მოყოლებული.

ჩვენი ავტორი მეტად მარტივს დანიშნულებას აძლევს თავის თხზულებას და ალბად სხვა ამგვარ თხზულებებსაც. „ცხორება“-ს დანიშნულება უნდა ყოფილიყო „ნათესავით ნათესავამდე უკუნისამდე მითხრობად ყოველთა, რაჲთამცა ერი დაბადებადი აქებდა უფალსა კსენებისა მათისა დღესასწაულსა“-ო (იქვე ბ). მაშასადამე „ცხორებაჲ“ დღესასწაულის დროს ეკლესიაში საკითხავ წიგნად ყოფილა განკუთვნილი, რომ ეკლესიაში მყოფ მომავალ თაობას მოსმენის დროს ქება აღევლინა უფლისადმი.

მერჩულს თავის ნაწრმოებისათვის შესავალიც მეტად მოკლე და მარტივი უძღვნია, რომელშიაც ნათქვამია: თუმცა ადამიანი მოწადინებული უნდა იყოს, რომ „ბრძენთაგან სრულთა კრძალულებით სიბრძნისა-მეტყველება“ მოისმინოს, ხოლო „სულელთა“ მოეთხოვება „დუმილით ბრძენთა სმენა,“ მაგრამ ეხლა ისეთი დრო დაგვიდგა, რომ „აწ სულელნი სიბრძნის-მეტყველებენ“-ო, ბრძენნი-კი სდუმანო (იქვე. ა). მეც „ვერ ძალმიც მოუკლებლად ლოცვაჲ და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ“-ო, ამბობს გიორგი მერჩული, „ნაკლულევანებაჲ ჩემი არა მითვლობს დუმილად“ (იქვე ა) და „უმჯობესად შემირაცხიეს, რაჲთა ვიტყოდი ღირსად ცხორებასა ღმერთშემოსილთა კაცთასა“-ო (იქვე ბ). ამგვარად აქვს დასაბუთებული თავისი შესავალი ჩვენს ავტორს, ასეთი მცირე-მნიშვნელოვან მოსაზრებით იცავს ცხორებათა წერის კანონიერებას. იგი სწუხს ამასთანავე, რომ მრავალ ქართველ მეუდაბნოეთა მოღვაწეობა „აღუწერილობით“ (იქვე, ბ 7) და სასწაულთ-მოქმედებანი მათი „ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასა“ (იქვე ბ 11—12).

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მონაზონთა შორის ბევრნი იყვნენ ისეთნი, რომელთაც სამწერლობო მოღვაწეობა, განსაკუთრებით ღვთისმეტყველებასა და ასკეტიკას გარეშე, ბერ-მონაზონისათვის შეუფერებელ ხელობად მიაჩნდათ: ამისთანა მწერლებს დიდების-მოყვარეობა და სახელის მოხვეჭის სურვილი აქვთ აშლილიო. სხვათა შორის ამიტომაც არის, რომ ბერს თავისით, მოძღვრისა და მამასახლისის დაუკითხავად და ნება-დაურთველად, იშვიათად თუ რამე საეკლესიო-საისტორიო თხზულება დაეწეროს. მაგრამ გიორგი მერჩული მაინც მეტად სუსტ მოსაზრებით ამართლებს თავის „აღმწერილობითს“ მოღვაწეობას და ამ მხრივ მისი მოსაზრება და საბუთიანობა წინადროინდელ და შემდეგდროინდელ ქართველ ისტორიკოსთა შეხედულებისაგან (იხ. აქვე გვ. 20, 44—45, 63—64, და 75—76) არსებითად განსხვავდება და ძალიანაც ჩამოუვარდება.

გიორგი მერჩულის თხზულება თავითგან ბოლომდის მონაზონურის ცხოვრების აღტაცებითა და ამაყ გრძნობით არის გამსჭვალული.

ჩვენის ისტორიკოსისთვის, როგორც სხვა მის თანამედროვე საეკლესიო მწერალთათვის, ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტება იყო, რომ ქვეყანაზე მღვდელობა ყველაფერზე მაღლა სდგას, „უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და კორციელთა“ო (ც̃ჲ გ̃ლ ხნ̃ძთისჲ დ). მღვდელი შუამავალია ჩვეულებრივ მომაკვდავ ადამიანთა და ღვთაებას შორის, იმიტომ რომ მღვდელობა „ქრისტჱს ნაცვლობაჲ არს“ (იქვე). მხოლოდ მის ხელმძღვანელობით შეუძლიათ ადამიანებს ზეციერ მამის წყალობა დაიმსახურონ. და სხვაფრივ „აწ არაჲ ვინაჲ არს კაცთა ცხორებაჲ თჳნიერ მღვდელობისა“ო (იქვე დ). ამას გარდა რაც უნდა „ახალი რაჲმე კეთილი წესი ერის-კაცმან“ მოიგონოს (იქვე, მზ), ან „იხილოს რაჲ-მე კეთილი წესი“ იერუსალიმსა და სხვა წმიდა ადგილებში, ისეთი წესიც-კი „რომელ ქრისტიანობასა შეჰნოდის და ჩუენ შორის არა იყოს“ ან არა და „წიგნთაგან წმიდათა გულისხმა ყოს“ (იქვე), მაინც იგი „თავით თჳსით ერსა უსწავლელსა“ არ უნდა „ასწავებდეს“ (იქვე), არამედ უნდა გაჩუმებული ყოფილიყო, „უმჯობეს დუმილი არს“ო (იქვე), უკეთესი იყო რომ თავის ქერქში მჯდარიყო. მაგრამ თუ მაინც-და-მაინც არ დაიშლიდა და თავს ვერ შეიკავებდა, „დუმილი ვერ ძალ ედვას,“ მაშინ „აუწყოს თჳსსა ეპისკოპოსსა და თუ ჯერ იყოს, მან ასწავოს, თჳსით ქადაგებდეს“ო (იქვე). ხოლო ვინც თითონ, უეპისკოპოსოდ თანამოძმეთ აუწყებდა და შემოიღებდა ახალს რასმეს, თუნდაც კეთილს, იგი უფლის „წინააღმდგომთა თანა“ დაისჯოსო (იქვე, მზ—მთ). ამგვარად პირადი ცხოველი გრძნობა და თაოსნობა მრევლს უნდა დახშული ჰქონოდა, იგი მარტო ეკლესიის მსახურთა ხელმძღვანელობის მიმდევარი, მათ ბრძანებათა მორჩილი აღმასრულებელი უნდა ყოფილიყო. ისინი იყვნენ „თავსმდებნი“ რომ „შჯული და წესი“, რომელიც მათის წინამძღვრობით „აწ ქუეყანასა ჩუენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს და ღმერთი დაჯერებულ არს“ (იქვე, მზ), რომ ამ გზით მორწმუნეს შეეძლო საუკუნო ცხონებამდის მიეღწია.

ამ გვარად გიორგი მერჩულის შეხედულობით კაცთა ცხონების საიდუმლოება ეკლესიას და მის მსახურთ ებარა. თვით ეკლესია, რომელიც თავდაპირველად ცხოველი იყო და მორწმუნეთა კრებულისაგან შესდგებოდა, გიორგი მერჩულისა და მის თანამედროვე თანამოაზრეთა შეხედულებით გაქვავდა და შენობად იქცა; ხოლო ის, რაც იესოს მიერ ეკლესია-კრებულის შესახებ იყო ნათქვამი, ეკლესიას-შენობას მიაკუთნეს. ამ მხრივ ყურადღების ღირსია და დამახასიათებელი ერთი ლოცვა, რომელიც ჩვენი ავტორის აზრით გრიგოლს ხანძთელს უნდა ეთქვას: „ქრისტე ღმერთო... შენ თჳთ... იშჱნე თავისა თჳსისა სახლი სიწმიდისაჲ შესავედრებელად ერთა მორწმუნეთა და რამეთუ წმიდასა ეკლესიასა სახელსდევ გუამად შენად და წმიდასა შენსა სახელსა ზედა და სახელსა წმიდათა შენთასა... აღაშჱნენ და დაამტკიცენ წმიდანი ეკლესიანი. ამისთჳს უწოდე ეკლესიად წმიდათა ყოველთა, რაჲთა

შემდგომად სიკუდილისა მათისა ნაცვლად მათა ეკლესიანი აქუნდენ სიმტკიცედ და სიქადულად შენთა სამწყსოთა“-ო (იქვე იე).

გიორგი მერჩულის თხუზულებას ამასთანავე ნათლად ეტყობა, თუ როგორ მედიდურად უცქეროდა იგი „მსოფლიოთა“ ეკლესიის მსახურებს და მხოლოდ მონასტრებში მცხოვრებ ბერებს მიაჩნდა განსაკუთრებულ თაყვანისცემის ღირსად. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, რომ ჩვენი ისტორიკოსი და მისი სიტყვით თვით გრიგოლ ხანძთელიც-კი ეპისკოპოსობას „კორციელ დიდებად“ სთვლიდენ (იქვე ე). ავტორი გვამცნებს, რომ გრიგოლს ორჯერ ეხვეწებოდნენ ეპისკოპოსად კურთხეულიყო, მაგრამ მან არც მოინდომა და თანაც განუმარტა ყველას, „ვითარმედ მსოფლიოთა მათ წმიდათა საყდართა არა უმრწემეს არიან წმიდანი უდაბნოთა ეკლესიანი“-ო (იქვე მ), არამედ პირიქით მადლის ძლიერებით მონასტრები პირველს ადგილზე აყენებენ.

გიორგი მერჩულსაც დიდის გულმოდგინეობითა და სიხარულით მოთხრობილი აქვს, თუ რამდენად გავლენიანი იყო ხანძთელი არქიმანდრიტი, თუ როგორ ემორჩილებოდნენ მას ყველანი, ეპისკოპოზებიცა და მთავრებიც-კი. მაგრამ მარტო გრიგოლი-კი არა, გიორგი მერჩული მოგვითხრობს განსაკუთრებულ აღტაცებით, რა თავისუფლად გრძნობდენ თავს და დამოუკიდებლად იქცეოდნენ სახელმწიფო მთავრობის წინაშე მაშინდელი ბერ-მონაზონები. „ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა კელმწიფებასა ქუეშე არიან“-ო, ამბობდა გრიგოლიო (იქვე კე). და საბან იშხნელიც ხომ ამ მცნებას მტკიცედ იცავდა, იმდენად მტკიცედ, რომ როცა კურაპალატმა იგი წერილით თავისთან მიიწვია, არც თითონ წავიდა, არც პასუხს აღირსა. გაგზავნილს შეეძლო კურაპალატისათვის მოეხსენებინა მხოლოდ: „არა ჰნებავს კაცსა მას... მოსლვაჲ აქა“-ო (იქვე კთ-ლ). ხოლო როდესაც გრიგოლის დახმარებით კურაპალატმა ურჩი ბერი თავის სურვილზე დაიყოლია და მოსულს საბანს უსაყვედურა: „ჯერ არს კელმწიფეთა მორჩილებაჲ“-ო, ბერმა პირში მიახალა: „დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტე ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტე ყოველთა დაბადებულთაჲ. შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტე საუკუნოჲ მეუფე... უფროჲს შენსა ჯერ არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ «ვერვის კელეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“-ო (იქვე ლ). ამაზე შორს წასვლა შეუძლებელია. გიორგი მერჩული აღტაცებული შეჰხარის ამ სურათს, მას მოსწონს მონაზონის სრული თავისუფლება ქვეყნის ბატონ-პატრონებისაგან, მისი მამაცი, დამოუკიდებელი და უშიშარი ქცევა, ძლიერი სიტყვა და გავლენა. ჩვენი ავტორი გვისურათებს სწორედ ამგვარ მონაზონთა ბატონობის ხანას საქართველოში.

ხანძთელ მამის სიკვდილის 90 წლის შემდგომ, თითქმის ორასის წლის წინად მომხდარ ამბების მომთხრობელს გიორგი მერჩულს, ამასთანავე ვითარ-

ცა მონაზონების ბატონობის აღფრთოვანებულს მოტრფიალეს, რასაკვირველია ადვილად შეეძლო გადაექარბებინა და გაეზვიადებინა, ხოლო მონაზონთა სურათისათვის იდეალური შუქი მიეფინა.

ყურადღების ღირსია, რომ გიორგი მერჩული, გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები სხვებსავით გონება-დახშულს, მხოლოდ წირვა-ლოცვით გართულსა და სხვა არაფრისათვის მზრუნველ მონაზონთა წრეს არ ეკუთნოდა. იგი სულ სხვა მიმართულების კაცი იყო: მას გულში უღვიოდა ბუნების მშვენიერების ტრფიალება, იგი აღტაცებით შეჰხაროდა ბუნების ლამაზს და მომხიბლავს სურათებს. ამ მხრივ გიორგი მერჩულსა და ყველა გრიგოლ ხანძთელის მიმდევრებს საუცხოვოდ ახასიათებს ის ფსალმუნი, რომელიც ჩვენი ავტორის ცნობით კლარჯეთის განთქმულს არქიმანდრიტს ხანძთის აშენების დროს ლოცვის მაგიერ უნდა წარმოეთქვას: უფალო „ველნი შენნი აღივსნენ სიპოხითა, განჰპოხო შენ შუენიერებაჲ უდაბნოჲსაჲ და სიხარული ბორცვთა შეიმოსონ და ღელეთა განამრავლონ იფქლი ღმრთის-მსახურებისაჲ, ღაღადებდენ და გალობდენ“-ო (იქვე ი).

სავმარისია ადამიანმა გადაიკითხოს ჩვენის ისტორიკოსის თხზულების ის ადგილები, სადაც მას შატბერდისა, ხანძთისა და დანარჩენ მონასტრების მიდამოები აქვს აღწერილი, რომ შეიტყოს, რამდენად ძვირფასი მას ბუნება, რამდენად ფაქიზი და ნაზი ესტეტიკური გემოვნების პატრონი ყოფილა იგი. მისი აღწერა ბუნების „ქებაჲ“ და შესხმაა, აი მაგალითად თუნდ „ქებაჲ ხანძთისაჲ“ გრიგოლის მიერ წარმოთქმული ხანძთის აღწერა: „კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერის შეზავებითა ყოვლით კერძო და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარჱ, შუენიერი, გრილი და ჰამოჲ და მაღნართა სიმრავლჱ ურიცხჳ“... (იქვე იზ). ან კიდევ კლარჯეთის უდაბნოთა აღწერა: „დაღაცათუ ფრიად განვამრავლო სიტყუაჲ ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა უდაბნოთა სიკეთესა უწყებად შენდა“-ო, ეუბნებოდა მერჩულის სიტყვით გრიგოლ ხანძთელი დემეტრე აფხაზთა მეფეს, „ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზავებულ მზისგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხჱ შესწუავს მათ და არც გარდარეული სიცივჱ შეაურვებს მყოფთა მისთა, არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა უნოტიო, უხორშაკოჲ, უშიწოჲ, მწუხარჱ, რამეთუ კაცთა ნახჳნი ფერკთანი არაოდეს თიკიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შუშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქჳშასა მათ შინა, ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლჱ წყალთა ჰამოთაჲ, ბუნების მხიარულებაჲ მიცემულ არს ღმრთისაგან“-ო. (იქვე კდ).

თუ ბუნების სიმშვენიერის სიყვარული გიორგი მერჩულისათვის შეეძლო ჩაენერგა იმ მიმართულებას, რომელიც თვით გრიგოლ ხანძთელისაგან მომდი-

ნარეობდა, მაინც უეჭველია რომ ჩვენი ისტორიკოსი პირადადაც დიდ პოეტურ ნიჭით იყო დაჯილდოვებული, სხვებსავით მას მარტო საეკლესიო და სამონასტრო ცხოვრებით არა აქვს დახშული მხედველობა. რაც უნდა აგვიწეროს მან, ყველაფერი ხორცშესხმული გამოდის, სურათი ცხოველი და მრავალ-ფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება იყო. ამ მხრივ იგი ნამდვილი მხატვარია. მისი აღწერილობა თვალ-წარმტაც სიმკვირცხლით, მშვენიერის ხატოვანობითა და ფერადებით არის აღსავსე, მოთხრობა ბუნებრივად მიმდინარეობს და მკითხველის ყურადღებას შინაარსიანობით ჰხიბლავს. მარტივი მკაფიო და ცხოველის ენით დაწერილი, მშვენიერის, კეთილშობილურის კილოთი გამსჭვალული მთლად პოეტურ თხზულების შთაბეჭდილებას ახდენს.

სწორედ გასაოცარია რა გვარის ხელოვნებითა ჰყავს მას მრავალი იმდროინდელი საეკლესიო მოღვაწე დასურათებული, სხვა-და-სხვა თვისებისა და ხასიათის პატრონნი თვითეულის შესახებ მას სიტყვა მეტად მოკლედ აქვს მოჭრილი და მათის მოღვაწეობის მხოლოდ არსებითი და დამახასიათებელი მხარე აქვს აღნიშნული გიორგი მერჩული ამ მხრივ სწორედ რომ ხელოვანია და ვერც ერთი სხვა ქართველი ისტორიკოსი ვერ შეედრება.

რასაკვირველია გიორგი მერჩულს, რომელსაც მისივე სიტყვით „ცხორებაჲ“ ხანძთელ მამის გარდაცვალების 90 წლის შემდგომ შეუდგენია, არ შეეძლო თავისი თხზულება დაეწერა ვითარცა თანამედროვესა და თვითმხილველს „თანადამხდურს“. იგი ამ გარემოებას არცა მალავს და თითონვე აღნიშნული აქვს, რომ მის ნაწარმოებში შეტანილია მხოლოდ „თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის მოწაფეთაგან“ გრიგოლ ხანძთელისა (იქვე ბ). მაგრამ ჩვენს ისტორიკოსს ალბად ესმოდა, რომ მოწაფეთა მარტო საკმარისი არ იყო, რომ ნაამბობი სწორე და უტყუარი ყოფილიყო, ამიტომ იგი განსაკუთრებით აცხადებს, რომ თავის ნაწარმოებში მას მოთავსებული აქვს „ჭეშმარიტად თხრობილი“ (იქვე). ხოლო როცა მერჩული გრიგოლ ხანძთელის სასწაულთ მოქმედების აღწერას იწყობს, იგი იქვე დასძენს, ცნობები ამის შესახებ „ვისწავენ სარწმუნოთაგან კაცთა“-ო (იქვე ნგ).

ზეპირ და თანამედროვეთა ნაამბობს გარდა გიორგი მერჩულს უსარგებლნია წერილობითი საბუთებითაც, მაგ. უეჭველია, რომ ხანძთელი მამის მიერ დადებულ საეკლესიო და სამონასტრო წესის შესახებ ცნობები მას ამოღებული აქვს გრიგოლის შედგენილ „განგებისაგან“, ტიბიკონითგან. ავტორს აღნიშნული აქვს, რომ უადგილობის გამო „განგებაჲ ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას, არამედ თითო სიტყუაჲ ყოვლისაგან“-ო (იქვე კ). ერთს ალაგას მერჩულს მოხსენებული აქვს, რომ „აწ არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი სჯულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი“-ო (იქვე ლთ). მას მოყვანილი აქვს გრიგოლის იერუსალიმელ მოწაფეთა წერილიც, მოძღვრო-

სადმი გამოგზავნილი, თავით ბოლომდის დედნითგან სიტყვა-სიტყვით გადმოღებული: „იყვნეს ვინამე“-ო, ამბობს გიორგი მერჩულე, „იერუსალჱმს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი... რომელთაგან მოწერილი იყო ესჱ ეპისტოლჱ მამისა გრიგოლის წინაშე. . ხოლო მე აწ შთავწერე წიგნსა ამას შინა მოწერილი ესე მათი შეუცვალებელად ყოველი ესრეთ“-ო (იქვე ჲგ).

გიორგი მერჩულე უმთავრესად გრიგოლ ხანძთელზე მოგვითხრობს, ხოლო მის მოწაფეთა და თანამშრომელთა შესახებ ცნობებს რასაკვირველია უმ-ფრო მცირედი ადგილი უკავია: საკუთრივ მოწაფეთა მოღვაწეობა აწერილია მხოლოდ 8 გვერდზე, მე (45) გვერდითგან მოყოლებული ნგ (53) მდე, მაგრამ ამაზე წინადაც ავტორს მრავალი ცნობები აქვს შექსოვილი თვით გრიგოლ ხანძთელის თავგადასავალისა და მოქალაქობის აღწერილობაში, დაახლოვებით კიდევ ცხრა გვერდზედ (გვ. იჲ, იზ, კბ, კე, ლე, მა-მდ). ამგვარად თვით ხანძთელ მამის მთელ ცხორებას უკავია 82 გვერდი, ხოლო აქედან მარტო 17 გვერდი ეხება მის მოწაფეებსა და თანამოღვაწეებს. ამისდა მიუხედავად ამ 17 გვერდზედ ავტორმა მოათავსა მრავალი ძვირფასი ცნობა იმდროინდელ შესანიშნავ ქართველ საეკლესიო მოღვაწეებსა და სასულიერო მწერლებზე. ჩვენის ავტორის დიდს და დაუფასებელ ღირსებას ის თვისება შეადგენს, რომ მრავალმეტყველებას ერიდება და თვითეული პიროვნების დამახასიათებელ თვისების დასახელება და მათი უფრო საყურადღებო და თვალსაჩინო ნამოქმედარის ნათლად და მკაფიოდ ჩამოთვლა შეუძლიან; მან სიტყვის თუმცა მოკლედ, მაგრამ ამასთანავე მეტად მკაფიოდ მოჭრა იცის ამ მხრივ გიორგი მერჩულე უებრო მწერალია.

რასაკვირველია ჩვენს „ალმწერელს“ გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა შესახებ გაცილებით უფრო მეტის მოთხრობა შეეძლო, ვიდრე მას აქვს ნაამბი. რადგან უმეტესი ნაწილი მათგანი მისი თანამედროვენი იყვნენ, ბევრს იგი უეჭველია პირადადაც იცნობდა. მაგრამ იგი მათ შესახებ ცნობებს განზრახ ამოკლებდა, თხზულება ისედაც ვრცელი გამოუვიდა და შიშობდა მეტის მეტად არ გამიგძელდესო. აი მაგ. რას ამბობს გიორგი მერჩულე ერთგან: „ესე მცირედი ვაკსენე სამთა მათ წმიდათა, თეოდორჱსი და ქრისტეფორჱსი და საბან იშხნელისა ცხორებაჲ. ამით რამეთუ ფრიად განგრძობაჲ იქნებოდა საქმეთა მათთა სრულიად აღწერითა ჭეშმარიტად“-ო (იქვე ლზ). ჩვენს ისტორიკოსს მოთხრობის გაჭიანურებისა ეშინოდა და როცაკი შეიძლებოდა ამბავს ამოკლებდა, „არამედ რაჲსაღა განვაგრძობ სიტყუათა“-ო (იქვე ლე), საქმე ასე გათავდაო. იმათ გარდა, რომელთა შესახებაც ჩვენს ისტორიკოსს თავის ნაწარმოებში მოკლე ცხორებანი აქვს შეტანილი, მას ბევრ სხვა მოღვაწეზე და განთქმულ კაცის შესახებ შეეძლო საგულისხმიერო რამე ეამბნა მკითხველისათვის, მაგრამ იმავე მიზეზით იძულებული ყოფილა თავის თხზულებისათვის უფრო ვიწრო ფარგალი შემოევლო. ხანძთელ მამის პირო-

გრაფი მოწმობს, რომ „შატბერდისა მამათა შორის ფრიად იყვნეს შემდგომითი შემდგომად მონაზონებისა სიმკნითა რჩეული და რომელნიმე წინაჲსწარმეტყუელებისა მადლითა ბრწყინვალე... რომელთა შორის ჟამთა ჩუენთა ბრწყინვიდა კჳესა მას მიძნაძორისასა დიდი იაკობ... არამედ წიგნისა ამის განგრძობისათჳს მათ ყოველთა თანაწარვკედ“-ო (იქვე ნგ, ამგვარივე ცნობა იხ. იქვე მდ, თავი მ). მაგრამ უყურადღების ღირსია, რომ გიორგი მერჩული მარტო მოწაფეთა ცხოვრების აღწერის დროს-კი არა, არამედ თვით გრიგოლის მოღვაწეობის დასურათების დროსაც სცდილობს რაც შეიძლება მოკლედა სწეროს. ამგვარი სურვილი მას იმიტომა ჰქონდა, რომ მისი თხზულება ადვილი მოსასმენი ყოფილიყო; სწორედ იმიტომაც ეშინოდა მას „წიგნის განგრძობისა“, რომ მოთხრობა მეტის მეტად არ გაჭიანურებულიყო და ამისა გამო მოსაწყენი არ გამხდარიყო. ესტეტიურის მოსაზრებით ხელმძღვანელობდა მაშასადამე ჩვენი ისტორიკოსი ამისთანა შემთხვევებში. გრიგოლ ხანძთელის სამონასტრო ტიბიკონის შესახებ იგი მაგ. ამბობს, „არა არს აწ თითოეულად ყოვლისათჳს სიტყუაჲ, რამეთუ შემოკლებულ არს ჟამი ესე და გონებაჲ ისწრაფის რაჲთა არა იყოს ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა“-ო (იქვე კ).

გიორგი მერჩულს გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში „სასწაულთა აღწერაც“ შეუტანია. იმ დროს სასწაულთმოქმედება წმიდანობის აუცილებელ და დამახასიათებელ თვისებად ითვლებოდა. ჩვენს ავტორსაც ეგონა, რომ „ქრისტემან შეამკვნა სასწაულითა... ვითარცა მამაჲ გრიგოლ ეგრეთვე მოწაფენი მისნი“ (იქვე ნბ). ამიტომაც არის, რომ მერჩული 53 (ნგ) გვერდითგან მოყოლებული 69 (ჲთ)-მდე 16 გვერდს მხოლოდ სასწაულთ-მოქმედებას ანდომებს. მაგრამ, ჩვეულებრივ, გამოჩენილ მოღვაწის განათლებულ თანამედროვეთა ყურადღებას მისი ნაშრომისა და ნამოქმედარის სიდიადე იპყრობდა ხოლმე და არა საწყალთმოქმედება. გრიგოლსაც იმდენად თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღოდა ქართველ ეკლესიის წინაშე საზოგადოდ და განსაკუთრებით შავშეთ-კლარჯეთის ცხოვრებას მისმა დაუღალავმა შრომამ და მოქმედებამ ისეთი ღრმა კვალი დააჩნია, რომ ამაზე მეტი რაღა იყო საჭირო, რომ განცვიფრებული თანამედროვენი თაყვანის მცემლებად ექციოს. ხანძთელ მამის სულიერს სიდიადეს ძლიერი აღმაშენებლობითი და შემოქმედებითი ნიჭი შეადგენდა და არა სასწაულმოქმედება. მხოლოდ შემდეგი თაობანი, რომელთაც არ შეეძლოთ გაეთვალისწინებიათ, თუ რაღა ჰქონოდა ამა თუ იმ მოღვაწის სახელს ეგოდენი პატივისცემა მოხვეჭილი, მეტ ყურადღებას უფრო სასწაულთმოქმედების ამბებს აქცევდნენ. ამით აიხსნება, რომ თანამედროვეს და ნიჭიერ ქართველ ისტორიკოსის მიერ დაწერილს „ცხორებაში“ სასწაულთა შესახებ ცნობები ჩვეულებრივ ძალიან იშვიათად მოიპოვება ხოლმე და მხოლოდ შემდეგში მერმინდელი მწერლები ძველად აღწერილს ცხორების

სასწაულთმოქმედების შესახებ მოთხრობებს უმატებდნენ ხოლმე. როგორც ეტყობა თავის დროზე არც გიორგი მერჩულს მიუქცევია გრიგოლ ხანძთელის სასწაულთმოქმედებისათვის დიდი ყურადღება. იგი თითონ აცხადებს: „მივედ სასწაულთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა, რომელნიცა ვისწავენ სარწმუნოთაგან კაცთა. ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეცრებისა გზითა“-ო (იქვე ნგ); ყველა სასწაულები ვერ ჩაუწერია, იმიტომ რომ არ ვიცოდით. რომ სდომნოდა, სასწაულების შესახებ ცნობების შეკრება მისთვის უფრო ადვილი იქნებოდ, ვიდრე გრიგოლ ხანძთელის ცხორების შესახებ.

როგორც ზემოდ აღნიშნული იყო 53-ე გვერდითგან 50 თავითგან მოყოლებული იწყობა სასწაულების აღწერა და 69 გვერდამდე განუწყვეტლივ მოთხრობა სულ ამ საგანს ეხება. მაგრამ ამ 16 გვერდზე მოთავსებულ სასწაულთაგანის უმეტესი ნაწილი უეჭველია გიორგი მერჩულის აღწერილი არ უნდა იყოს, არამედ შემოუტანია გრიგოლ ხანძთელის „ცხორების“ შემავსებელს ბაგრატ ერისთავთა ერისთავს, ადარნერსე კურაპალატის ძეს, „რომელმან ნეტარისა მამისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე განაახლა სასწაულთა მათ გამოკუებულთა შერთვითა“-ო (იქვე ჲთ). სიტყვა „შერთვა“ ამტკიცებს, რომ „განმაახლებელს“ ცნობები გიორგი მერჩულის მიერ გამოტოვებულ სასწაულებზე ბოლოში-კი არ მიუკერებია, არამედ შეუტანია შიგ იქ, სადაც თვით „ცხორების“ ავტორს სასწაულთა შესახებ ჰქონია ლაპარაკი. გიორგი მერჩულს სასწაულები ბოლოში არა ჰქონდა მოქცეული, სასწაულებზე ლაპარაკის შემდგომ მას 70—80 გვერდ. ხანძთელ მამის უკანასკნელი დღენი აქვს დაწვრილებით აწერილი.

თვით გიორგი მერჩულისაგან ვიცით, რომ მისი შრომა დამთავრებული იყო 951 წელს. როდის-ღა უნდა „განეახლებინა“ ეს ნაწარმოები ბაგრატ ერისთავთა ერისთავს, ნერსე კურაპალატის ძეს? ამის განსაზღვრაც შეიძლება, მხოლოდ დაახლოვებით. სუმბატის ისტორიითგან ჩვენ ვიცით, რომ ბაგრატ ერისთავთა ერისთავი გარდაიცვალა 966 წელს (3 ქ'რკა 63). მაშასადამე შეუძლებელია ეს „განახლება“ ამ წლის შემდგომ მომხდარიყო, ეს არის უკანასკნელი საზღვარი termiuns post quem non ხოლო რაკი ბაგრატის მამა ადარნერსე წოდებულია კურაპალატად, ამ ცნობის საშუალებით შეგვიძლიან პირველი საზღვარიც termiuns ante quem non გამოვარკვიოთ. ბაგრატონიანთა მემატიანეს სუმბატის თხუზულებაში სახელდობრ ნათქვამია, რომ ადარნერსე მხოლოდ „შემდგომად მამისა ძმათა კურაპალატ იქმნა“-ო (ც'ა და უწ'ყება 62). ხოლო იმავ ისტორიაში ადარნერსეს „მამის ძმის“ სუმბატ კურაპალატის სიკვდილი ნაჩვენებია 958 წელს (იქვე 63). მაშასადამე მხოლოდ 958 წლის შემდგომ შეეძლო ადანერსეს კურაპალატობა მიეღო. ამ რიგად ადარნერსე კურაპალატის ძეს ბაგრატ კურაპალატს გიორგი მერჩულის თხზულება შეეძლო მხოლოდ 958—966 წლეებში „განეახლებია“. იქნებ ამ დროს ხანძთელ

მამის ცხოვრების „აღმწერი“ ჯერ ცოცხალი ყოფილიყო კიდეც. სიტყვა „განაახლა“ მეტად დიდმნიშვნელოვანია და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის მცირედს ნამოქმედარს სრულებით არ შეჰშვენის: მას მხოლოდ გამოტოვებულ სასწაულთა აღწერა „შეურთავს“. თვით ავტორი გიორგი მერჩული, თითონაც არ მალავდა, რომ მან ყველა სასწაულების აღწერა ვერ შეიტანა თავის თხზულებაში „უმეცრების გზითა“-ო. იქნება ეს წინადადება მას სწორედ მაშინ ჩაერთვას, როცა ბაგრატმა „გამოკუებულთა“ სასწაულთა ჩართვა განიზრახა და იქნებ თვით მერჩულისავე დახმარებით განახორციელა კიდეც. ყურადღების ღირსია, რომ გიორგი მერჩულს ცნობა თავის „აღმწერელობა“-ზე „ცხორების“ ბოლოში, 80 გვერდზე მოუქცევია (გვ. პ), ცნობა ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის „განახლების“ შესახებ-კი მესამე პირით ნაამბობია 69 (ჲთ) გვერდზე.

ერთი სიტყვით მოთხრობილ სასწაულთა შორის ერთი წილი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა ყოფილა. მაგრამ მათი გამოყოფა გიორგი მერჩულის შეგროვებულ სასწაულთაგან ეხლა რასაკვირველია ძნელია, მეტადრე, თუ ზემოაღნიშნულმა „განმაახლებელმა“ თავისი წვლილი მართლაც ავტორისავე დახმარებით შეიტანა „ცხორება“-ში. მაინცა-და-მაინც ცხადია, რომ თვით გიორგი მერჩულის თხზულება თავდება 81 გვერდზე 84 თავით და თავი 85 და 86 მერმინდელ გადამწერთა დამატება უნდა იყოს.

ჩვენს ისტორიკოსს მიზნადა ჰქონდა აეწერა გრიგოლ ხანძთელისა და მის მოწაფეთა ცხოვრება და მოქალაქობა. რომ მოთხრობის მიმდინარეობა არ დარღვეულიყო, ერთად-ერთი საშუალება იყო ავტორს თვითოეულ მათგანის თავგადასავალი ცალკ-ცალკე ეამბნა. მაგრამ მაშინ „აღმწერელს“ ერთისა და იმავე შემთხვევის, ხოლო განსაკუთრებით გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის აღწერა რამდენჯერმე მოუხდებოდა. ამას გარდა მაშინ თვით სამონასტრო ცხოვრების დაფუძნებისა და აღორძინების სურათი გაოხრებულ ტაო-კლარჯეთშავშეთში იმდენად ცხოველი და ფართო არ გამოვიდოდა, როგორიც იყო ნამდვილად. ამ მხრივ გიორგი მერჩულის სურვილი, რომ ხანძთელ მამისა და მის აღზრდილთა ცხოვრება ერთად აეწერა, ბევრის მხრით არის საქებური. თუმცა ესეც-კია, რომ ამ გვარ გეგმისა და უადგილობის გამო ჩვენი ისტორიკოსი იძულებული იყო გრიგოლ ხანძთელს გარდა სხვებზე მოკლედ მოეჭრა სიტყვა, ან არა და სრულებითაც არა ეთქვა-რა.

რასაკვირველია რაკი ავტორს ჰსურდა თვითოეული მოწაფის ყველა საყურადღებო თვისება და ღვაწლი მოკლედ მაინც უეჭველად ერთგან აღენიშნა, იგი იძულებული უნდა ყოფილიყო მოთხრობის პირდაპირი მიმდინარეობა დროგამოშვებით შეეწყვიტა ხოლმე, სწორ გზისაგან გადაეხვია, რომ ამა-თუ-იმ გრიგოლის მოწაფის შესახებ ეამბნა და, როცა ამბავს დაამთავრებდა, ისევ შეჩერებულ მოთხრობას დაჰბრუნებოდა. ამისთანა შემთხვევაში როცა ჩვენი ის-

ტორიკოსი შეწყვეტილ თხზულების მთავარ საგანს უბრუნდება ხოლმე, იგი სწერს: „არამედ აწ კუალად პირველსავე სიტყუასა მივიდეთ“-ო (იქვე, ლა), ან არადა „არამედ აწ კუალად ნეშტი იგი პირველი განვაახლოთ“-ო (იქვე, ლდ).

გიორგი მერჩულს თავის თხზულებაში თითქმის ორას, მაინც-და-მაინც ას ოთხმოცდა ათი წლის წინად მომხდარი ამბები აქვს მოთხრობილი და რასაკვირველია ამგვარს არათანამედროვესაგან დაწერილ საისტორიო წყაროს თვითოეული ცნობა მკვლევარმა ყოველ მხრივ უნდა აწონ-დასწონოს, რომ ამ რიგად მისი ეჭვმიუტანელობა და სიმართლე გამოარკვიოს. ასეთმა გულდასმითმა განხილვამ დამარწმუნა, რომ მერჩულის ნაწარმოები, რამდენადაც სხვა წყაროებითგან ცნობილს პირებსა და მოღვაწეებს შეეხება, საზოგადოდ სანდო თხზულებაა და ნამდვილს უტყუარს ცნობებს შეიცავს.

ჩვენს ისტორიკოსს მხოლოდ ერთს ალაგას, თხზულების დასასრულში აქვს მოყვანილი თარიღი, მაგრამ სამაგიეროდ იგი უმთავრესს ცნობას ეხება და ამასთანავე მრავალი თანამედროვე როგორც სახელმწიფო მთავრობის, ისე საეკლესიო გამგეობის მაღალნი პირნი არიან ჩამოთვლილნი. მართალია ყველანი სწორედ იმ დროსა ცხოვრობდნენ და ამით მოყვანილს თარიღს შეურყეველი სიმტკიცე ენიჭება. ამ თარიღის საშუალებით შეიძლება დანარჩენ ზოგიერ ქრონოლოგიურ ცნობების გამორკვევაც.

ყველა მაგალითების მოყვანა, როდესაც გიორგი მერჩულისა თხზულება ჭეშმარიტს ცნობებს გვაძლევს, რასაკვირველია, შორს წაგვიყვანდა და არც შეიძლება. დავასახელებ მხოლოდ ორიოდე ამგვარს შემთხვევას: ჩვენი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ გრიგოლი „სახლსა შინა სამეუფოსა ლადისა ნერსე ერისთვისა აღზრდილ იყო კელითა კეთილად-მსახურისა დედოფლისა ნერსესს ცოლისაჲთა რომელსაცა ეშჳლა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“-ო (იქვე, ბ). იოანე საბანის ძის თხზულებითგან ჩვენ ვიცით, რომ ქართლში მართლაც იყო ნერსე ერისთავი, რომელიც სჩანს 772—786 წლებში (ც´ა აბო ტფლ´სა 15). ხოლო მერჩულს აღნიშნული აქვს, რომ 861 წელს, როდესაც ხანძთელი მამა გარდაიცვალა, იგი 101 წლისა ყოფილა, ას მეორეში მდგარა, მაშასადამე გრიგოლი 759—760 წ. დაბადებულა. ამგვარად გიორგი მერჩულის ცნობა ქრონოლოგიურად სავსებით უდგება იოანე საბანის ძის ცნობებს და ნერსე ერისთავს 772—786 წ. განმგებლობაში შეეძლო აღეზარდა 759—760 წ. დაბადებული ცოლის ძმისწული.*)

გიორგი მერჩული ამტკიცებს აგრეთვე, რომ როცა გრიგოლ ხანძთელი კლარჯეთში და ტაოში სამონასტრო აღმაშენებლობას დაიწყო, „არცა მსოფლიო-

---

*) გ´ი მერჩული სცდება მხოლოდ, როდესაც ამბობს, ვითომც ნერსე უშვილო ყოფილიყოს; მას, როგორც სჩანს აბო ტფილელის მარტვილობითგან, შვილები ჰყოლია (გვ. 18).

ნი ერის-კაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა, რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“-ო (იქვე, ია). ეს ცნობა მტკიცდება მეორე ქართველ ისტორიკოსის სუმბატ დავითის ძის მოწმობითაც, რომელსაც მოთხრობილი აქვს, რომ აშოტ კურაპალატის შავშეთ-კლარჯეთში დასახლებისას, დაახლოვებით იმავე დროს როდესაც გრიგოლი თავის მოღვაწეობას შეუდგა, „კევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჴრდა... და კუალად შემდგომად მისსა სლვამან სატლობისამან მოაოჴრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“-ო (3 ქ̃კა, 52).

შემდეგ „ცხორება“-ში ნათქვამია, რომ „აშოტ კურაპალატმან... აღაშენა ციხჱ არტანუჯისაჲ (გვ. ნვ). სუმბატიც ადასტურებს ამ ცნობას, რომ აშოტმა „პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასარს ვახტანგს ციხედ აეშენა, სახელით არტანუჯი, და აოხრებულ იყო... იგი განაახლა აშოტ და აღაშენა აგრეთვე ციხედ და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი“-ო (3 ქ̃რკა 53).

გიორგი მერჩულს 33 (ლგ) გვერდზე დასახელებული ჰყავს ბევრი იმდროინდელი კლარჯეთისა და შავშეთის მონასტრების „მაშენებელი“ და მფარველი. ყველა დასახელებული პირები როგორც ეს სჩანს სუმბატ დავითის ძის თხზულებითგან მართლაც იმ ხანებში ცხოვრობდნენ (ც̃ა და უ̃წყბა 56—60). ჩვენს ავტორს აგრეთვე მრავალი საეკლესიო მოღვაწე ჰყავს მოხსენებული, უმეტესი მათგანი აქამდისინ სხვა წყაროებითგან ცნობილი არ იყვნენ; საყურადღებოა მხოლოდ, რომ გიორგი მერჩულს მოჰყავს იერუსალიმელ ქართველ მონაზონთა ებისტოლე გრიგოლისადმი, რომელშიაც მოხსენებულია „მაკარი“ ბერი (ც̃ა გვ. ჲგ), რომელიც მართლაც მოღვაწეობდა იმ დროს იერუსალიმში და მისი 864 წელს სინას მთის ქართველთა მონასტრისათვის დაწერილი უშველებელი საუცხოვო და ჯერ-ჯერობით უძველესი თარიღიანი ხელთნაწერი ეხლაც ინახება სინას მთის წ̃ა ეკატერინეს მონასტრის წიგნსაცავში (იხ. ნ. მარის **Григорій Мерчулъ** გვ. **XVIII. ТР.** წიგნი **VII**).

მკლევარი უფრო ფრთხილად უნდა მოეპყრას „სასწაულთა“ აღწერილობას, რაკი იქ გულუბრყვილობა „შეთხუზულის“ აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და ეჭვს იქ ადგილი არ ჰქონდა ხოლმე. თუმცა თვით გიორგი მერჩული როგორც სჩანს ცდილა, რომ „სასწაულები“-ს შესახებ ცნობები ნდობის ღირს მომთხრობელთაგან „სარწმუნოთაგან კაცთა“ შეეკრიბა. ზოგი ერთი მათგანი მართლაც სრულებით უტყუარი ამბავი უნდა იყოს და არაფერს სასწაულებრივს, კაცმა რომ სთქვას, არ შეიცავს. ისეთია მაგ. მოთხრობა აშოტ კურაპალატის საყვარლის შესა-

ხებ (გვ. ნვ-ნზ, § ნე) და მცირედის გამონაკლისით და არსებითად აგრეთვე ამბავი ადარნერსეს აშოტის ძის საყვარლის შესახებ (იქვე ნზ-ჲ § ნვ). მაგრამ „განმაახლებელი“ ბაგრატ კურაპალატი ალბად ასეთის სითრთხილით არ ეკიდებოდა თავის მოვალეობას და ცდილა ბევრი „სასწაულები“ შეეტანა გიორგი მერჩულის თხზულებაში. საბედნიეროდ სასწაულთა უმეტესი ნაწილი, რომელიც გადამეტებულის ცრუმორწმუნოებით არის გამსჭვალული, მაინც-და მაინც ისტორიისათვის არაფერს საყურადღებოს არ წარმოადგენს, როგორც მაგალითად „მჯდომის“ შესახებ (იქვე ჲგ, დედაკაცის შესახებ, „რომლის ჴელნი და ფერჴნი მტერისაგან მიხუმილ იყუნეს“ (იქვე, ნდ § ნბ), „სისხლის დინებითა გუემული“ დედაკაცის შესახებ (იქვე ნდ—ნე, § ნგ), „საშინელ ვეშაპის“ შესახებ (იქვე ჲე—ჲვ, § ჲვ) და სხვები.

ყურადღების ღირსია მხოლოდ ცქირის თავზე გადამხდარი „სასწაული“ (იქვე ჲვ—ჲთ, § ჲზ და ჲთ), რომელიც არაფერს სასწაულებრივს არ შეიცავს და ისტორიისათვის საგულისხმიერო ცნობებით არის სავსე, მაგრამ მხოლოდ ერთი ქრონოლოგიური დაბრკოლება არსებობს. „ცხორება“-ში ნათქვამია, რომ ცქირი იყო „ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაილის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატისა წინაშე“ (იქვე ჲვ). რომელი აშოტი კურაპალატია აქ ნაგულისხმევი? რაკი ცქირი გრიგოლ ხანძთელის დროს ყოფილა, მაშასადამე მთელი ეს ამბავი შეიძლება მომხდარიყო 861 წლამდე, როდესაც კლარჯეთის განთქმული არქიმანდრიტი გარდაიცვალა. ხოლო ამ ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მხოლოდ ერთი აშოტ კურაპალატი დიდად სახელდებული. მაგრამ ის მოკლულ იქმნა 826 წელს. ამ გვარად ცქირის ამბავი შესაძლებელი იყო მომხდარიყო 826 წლამდე. სწორედ აქ იბადება დაბრკოლება: ტფილისის ამირას, რომელსაც ვიტომც უნდა აღეზარდა ცქირი, ერქვა საჰაკ ისმაილის ძე. იგი ცნობილია სხვა წყაროებითაგანაც: „მატიანე ქართლისაჲ“-თგან, სადაც ნათქვამია, რომ იგი „დაჯდა ამირად ტფილისსა“ ხალიდ იაზიდის ძის შემდგომ. ამ დროს კი აშოტ დიდი კურაპალატი უკვე დიდის ხნის მკვდარი იყო (*443, გვ. 220). არაბულ წყაროებშიც იგი, ისხაკ იბნ ისმაილად წოდებული, მოხსენებულია ხალიფა ვასიყის (842—47) დროს (Ghazarian. Armenien unter der arabischen Herrschaft 50). მხედართ-მთავარმა ბუღამ მოჰკლა იგი ხალიფას ურჩობისათვის 852—3 წ. (ქ´ლ ერის ისტორია II, 374—377). ისხაკ იბნ ისმაილის წინ ამირად ყოფილა ხალიდ იაზიდის ძე, ხალიდ იბნ იაზიდი (იქვე 372), რომელიც პირველად დაუნიშნავთ ხალიფა ალ-მამუნის (813—833 წ.), ხოლო მეორედ მუტასიმის (833—842 წ.) დროს (Ghazarian. op. c. 50 და იქვე 373). მაშასადამე შეუძლებელია, რომ ამირას საჰაკ ისმაელის ძეს აშოტ კურაპალატისათვის მოციქულები ეგზავნა. გ´გლ ხანძთელის ცხორებაში უეჭველია შეცდომა უნდა იყოს. ან ამირას სახელია არეული, ან კურაპალატისა. თუ ამირას სახელი სწორედ

არის მოყვანილი, მაშინ კურაპალატად ბაგრატი იყო († 876) აშოტის ძე (ქ˜ლი ერის ისტორია II, 373). ხოლო თუ ცქირის ამბავი მართლა აშოტ კურაპალატის დროს მოხდა მაშინ ამირას სახელის არეული და საჯაკ ისმაელის ძის მაგიერ უნდა ყოფილიყო დასახელებული ან ალი შუაბის ძე (იქვე II, 369), ან ხალიდ ია'ზიდის ძე (იქვე 373). სხვაფრივ მთელი მოთხრობა ცქირის შესახებ ნამდვილ უტყუარ ამბის შთაბეჭდილებას ახდენს.

გიორგი მერჩულის თხზულება ხელმეორედ იპოვნა და დედანი პირველად და საუცხოვოდ გამოსცა ნ. მარრმა (ТР. წ. VII).

ბასილი ზარზმელი წინამძღვარი.

ბასილ ზარზმელს დაუწერია „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ ღმრთშემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი“ (ც˜ჲ გვ. 43). ავტორი ყოფილა „ძმისწული სერაპიონისი“ და ზარზმის მონასტერში მისულა „შედგომად ჟამთა მიცვალებისა“ ბიძისასა (იქვე). მაშინ უნახავს ბასილს სერაპიონ ზარზმელის „ყოველივე ნამუშაკევი“, რომელიც „ყოვლად არწყონვალედ და კეთილად“ ყოფილა მოწყობილი (იქვე). ბასილი ზარზმაში დარჩენილა და „ბრძანებითა უფალთათა“ თავის ბიძის გვამი ძველ საფლავითგან ამოუღია, ახალ შემზადებულ ქვის ლარნაკში ჩაუსვენებია „საჩინოსა შტოსა ახლისა ეკლესიისასა“ და ზედ ჯუარი აუმართავს (იქვე 44). შემდეგ ბასილს მიუღია ზარზმის მონასტრის წინამძღვრობა (იქვე 44—45) და ალბად იგი არის მოხსენებული ზარზმის ეკლესიის ჩრდილოეთის კედლის წარწერაში (E. Такайшвили. Археологическія экскурсіи, вып. I, 16—17).

ამგვარად ცხადია, რომ ბასილი სერაპიონის უმცროსი თანამედროვე ყოფილა. ჩვენ ავტორის თხზულებითგან არა სჩანს, რომ იგი სერაპიონის სიცოცხლის დროს ზარზმაში ყოფილიყოს და თავის ბიძის მოღვაწეობისა და მოქმედების თვითმხილველი ყოფილიყოს. ამიტომაც არის, რომ თვით ბასილის სიტყვით იგი მოგვითხრობს ამბებს „შეკრებულთა ცხორებისა მისისათა“ (იქვე 3). რამდენად ნაკლებად სცოდნია ბასილს თავის ბიძის სერაპიონის შთამომავლობა თუნდაც იმითა მტკიცდება, რომ მას სერაპიონის დედის, ხოლო თავის ბიძის ცოლის, სახელიც-კი დავიწყებული ჰქონია: „სახელსა დედისა მისისასა უმეცარ ვართ... ჟამთა დაფარვისათჳს“-ო (იქვე 4). სერაპიონის მამა ადრე დაქვრივებულა, თითონაც მალე გარდაცვლილა და სერაპიონი და მისი ორი მცირეწლოვანი ძმა ობლად დარჩენილან. ალბად ამით თუ აიხსნება ამგვარი გულმავიწყობა.

ბასილი ზარზმელი არსად ამბობს თავის თხზულებაში, თუ როდის დასწერა მან სერაპიონის „ცხორება“. არსად არის აღნიშნული რაიმე თარიღიც. ამიტომ ამ საკითხის გამორკვევა მხოლოდ დაახლოვებით შეიძლება. ჩვენი ავტორი ასახელებს იმ პირს, რომელსაც მისთვის სერაპიონის სასწაულთმოქმედება აუწერია: „მოგუეთხრა ესე არა თუ უჩინოთა ვიეთმე მიერ კაცთა, არამედ ფრიადცა საჩინოთა და ბრწყინვალეთა, ვიტყჳთ უკუე გიორგის ეპისკოპოსსა მაწყუერელსა, რომელი აღიზარდა... განთქმულსა მას უდაბნოსა ოპიზას“-ო (იქვე 27). „ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკანასკნელ ეხილვნეს, მომითხრეს პირმან მან უტყუველმან, გიორგის ვიტყჳ მაწყუერელსა“-ო, კვლავ ამბობს შეორეგან ჩვენი ავტორი (იქვე 41). ეს გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი მოხსენებული ჰყავს გიორგი მერჩულესაც: გრიგოლ ხანძთელის სხვა მახლობელ მოწაფეთა და მამათა შორის, რომელთაც შეეძლოთ ხანძთელი არქიმანდრიტის ცხოვრება ღირსეულად აღეწერათ, იგი გიორგი მაწყვერელსაც სთვლიდა (ც˝ჲ გ˝გლ ხნძ˝თსჲ. ნგ). ხოლო როცა გიორგი მერჩული თავისი თხზულების წერას შესდგომია, მაშინ გიორგი მაწყვერელი უკვე მკვდარი ყოფილა.

ჩვენ ვიცით, როდის დაამთავრა გიორგი მერჩულემა თავისი თხზულება— 951 წელს. ხოლო როდის დაიწყო წერა, ეს გამოურკვეული არ არის. ცხადია, მხოლოდ რომ ამოდენა „ცხორების“ დაწერა ადვილი საქმე არ იყო და ერთბაშად არ შეიძლებოდა. მაინც-და-მაინც 951 წელს გიორგი მაწყვერელი ეპისკოპოსი უკვე მკვდარი ყოფილა. მაშასადამე ბასილ ზარზმელს ცნობები სერაპიონ ზარზმელის შესახებ 951 წ. კარგა ხნით ადრე უნდა ჰქონდეს შეკრებილი. ხოლო თვით „ცხორება“ მაშასადამე უნდა დაახლოვებით იმავე დროს ყოფილიყო დაწერილი, როდესაც გიორგი მერჩულს დაუმთავრებია თავისი შესანიშნავი ნაწარმოები,—მეათე საუკუნის პირველ ნახევრის დამლევს.

თუ ოდესმე აღმოჩნდა მიქელ პარეხელის „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ,“ და სასწაულნი, რომელიც ბასილის სიტყვით „შემდგომად სიკვდილისა მისოსა აღწერნეს მოწაფეთა მისთა“ (ც˝ჲ სრ˝პნსი 6), მაშინ უფრო დაახლოვებით შეიძლება განისაზღვროს სერაპიონ ზარზმელის „ცხორების“ შედგენის თარიღი იმიტომ, რომ როცა ავტორი ამ „ცხორება“-სა სწერდა, მიქელ პარეხელის „ცხორება“ უკვე დაწერილი ყოფილა.

მაგრამ სერაპიონის „ცხორება“ ხელუხლებელივ იმ სახით არ არის შენახული, როგორც იგი დაუწერია ავტორს. ამ თხზულების გამოქვეყნებულს ტექსტს ცხადად ეტყობა, რომ ვიღაც უცნობს ბასილის ნაწარმოებისათვის ხელი შეუხია. 43-ე (*275-ე) გვერდზე სახელდობრ ნათქვამია: „ესე მქამომდე იყავნ. ხოლო ჩუენ შემდგომად ამისა სხუაჲცა მოვიკსენოთ და ეგრეთ დავიბეჭდოთ სიტყუასა (sic), რამეთუ თჳთ დასწერს ბა-

სილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისა აღწერა, და იტყჳს, ვითარმედ „მე ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისი, უნარჩევესი ყოველთა მოწესეთა, შემდგომად ჟამთა მიცვალებისა მისისათაჲ მოვიწიე ზედა წმიდისა სამარხვოსა მისსა“-ო და სხვა (იქვე 43). სიტყვები „ოჳთ დასწერს ბასილი, რომელმან ცხორებაჲ ესე წმიდისა აღწერა“ უეჭველია ეკუთვნის ვიღაც უცნობს, რომელიც შეიძლება უბრალო გადამწერიც იყოს,—და მაშინ იქნება ამ ადგილს გარდა ზარზმელ ისტორიკოსის თხზულებაში სხვაგან არსად იყოს შეტანილი ცვლილება,—ან არადა ეგებ აქ გადამკეთებელი ლაპარაკობდეს, რომელსაც შეიძლება ბასილის ნაწარმოები აქა-იქ შეემოკლებინოს. რაკი ეს უცნობი თავის ვინაობას არ ამჟღავნებს და „ცხორების“ აღმწერელად მარტო ბასილსა სთვლიდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ მას თხზულებისათვის მხოლოდ ოდნავ შეუხია ხელი. თუმცა ამ საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვან საკითხის საბოლოოდ გამორკვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ რომ ბასილის თხზულების სრული დედანი აღმოჩნდა. რაკი საკითხი ჯერ-ჯერობით სათუოდ რჩება, ამიტომ ჩვენ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ზოგიერთი მოსაზრებათაგანი, რომელიც ქვემოდ ბასილის შესახებ, ვითარცა ისტორიკოსზე, არის გამოთქმული, შემდეგში, თუ რომ სერაპიონის „ცხორების“ თავდაპირველი დედანი აღმოჩნდა და ბასილის თხზულების გადაკეთებულობა დამტკიცდა, შეიძლება იმ უცნობს გადამკეთებელს ეხებოდეს.

ბასილ ზარზმელისათვის ცხადია, რომ გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწეთა ცხორების აღწერა სათანადო საქმეა: „ქებისა და ბრწყინვალე შესხმისა ღირს არიან მოუძარენი ღუთისანი და აღმასრულებელნი საღუთოთა მცნებათა მისთანი“-ო, ამბობს იგი (ცჲ 1); იმიტომ რომ თვით მეუფე ღმერთი „სასყიდლად შრომათა“ დაჰპირდა მათ, „სახელები თქუენი აღწერილ არს ცათა შინა“-ო (იქვე). მით უმეტეს, როგორც სჩანს, ჩვენს ავტორს საჭიროდ მიაჩნდა, რომ მათი სახელი და ცხორება აღწერილი ყოფილიყო „ქუეყანასა ზედა“. ბასილი ამასთანავე დარწმუნებულია, რომ თვითოეულს ხანას თავისი მოღვაწეები ჰყავდა: „პირველად“ იყვნენ „მოციქულნი“, შემდეგ „მწყემსნი და მოძღვარნი და მამანი დაეწესნეს“ და „შემდგომითი შემდგომად“ მათ მსგავსთა, „აღმოშვა“-ს განგება ადამიანთა ნათესავს „არა დააკლებს-“ო (იქვე 2).

მაგრამ ამ შეხედულებას მაშინ თურმე ყველა არ ეთანხმებოდა. პირიქით ისეთებიც იყვნენ, რომელნიც პირდაპირ ამტკიცებდნენ: „ჟამთა ამათ ჩუენთა არღარა ვის კელეწიფების მსგავსებაჲ პირველთა მამათა, რამეთუ განგებითა რაჲთმე საღმრთოჲთა მიფარულ არს“ (იქვე 3) პირვანდელი მადლიო. ბასილი ზარზმელს ამგვარი აზრი შემცდარად მიაჩნდა: არა, „ჟამთაცა ჩუენთა იხილვნეს ახალნი მნათობნი და მოძღუარნი და მასწავლებელნი, ვითარცა ძუელსა შინა ელია და იოანე და შემდგომად

პავლე თებელი და დიდი ანტონი, მაკარი, ეფთჳმი, საბა და გერასიმე და, რად გჳამს თჳთოეულად წარმოთქუმა, ყოველნი მსგავსნი და მობაძავნი მათნი, რომელთა ჴლჳეს მოსწრაფებით იწროჲ და საჭირველი გზაჲ, მიმყვანებელი ზეცისა ქალაქად, რომლისა ხუროთ-მოძღვარ და შემოქმედ ღმერთი არს“-ო (იქვე 2—3).

სხვათა შორის პირველ წმიდა მამათა „ყოველითურთ მსგავს იქმნა ზეცისა ჩინებისა ღირსი ყოვლად-წმიდაჲ მამაჲ და მოძღუარი ნეტარი სერაპიონ“-ო (იქვე 3). მსმენელო, „შენ ისმინე გულმოდგინედ“ და დარწმუნდები, რომ ჩემი აზრი სწორე არისო (იქვე). შემდეგში მართლაც ავტორი ცდილობს დაუმტკიცოს მსმენელს, რომ სერაპიონი წმინდანია, სასწაულებრივის მადლით დაჯილდოვებული. ამით აიხსნება იქნებ აგრედვე, რომ ბასილს ასეთის გულმოდგინებით მოთხრობილი აქვს თავის ბიძის სასწაულთ-მოქმედებაც.

ბასილი ზარზმელის აზრით სერაპიონის „ცხორებისა“ და მოქალაქობის, საქმეთა, შრომათა და სწავლათა აღწერილობის მოსმენას მიბაძვის სურვილი, „ძალისაებრი ბაძვა“ უნდა აღეძრა (იქვე 3).

სერაპიონ ზარზმელის ცხორებაც ეკლესიაში წასაკითხავად ყოფილა დაწერილი. ავტორს თავის მოთხრობასა და „მოკსენება“-ში ჩაურთავს ამგვარი ეკლესიაში მდგომ მონაზონთადმი მიმართვა: „ჵ ეპისკოპოსნო და სამღდელო კრებულნო... მღდელნო და მამანო უდაბნო[ჲ]სა დიდისა ზარზმისანო... გუეს-მოდინ სწავლანი და სალუთონი საქმენი და შრომანი მისნი... აწ გულის მოდგინედ ყისმინოთ... გამოხატვაჲ .. ცხორებისა მისისა და აწინდელისა აქა შემოკრებისაჲ“-ო (იქვე 3 იხ. აგრედვე 33). ეს თხზულება მაშასადამე საყდარში წასაკითხავად არის დაწერილი სერაპიონის ხსენების დღეს 29 ოქტომბერს.

როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ბასილი ზარზმაში სერაპიონის სიკვდილის შემდგომ მოსულა. მაშასადამე თავის ბიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას არ შესწრებია და მის თავგადასავალისა და მოქალაქობის აღსაწერად თავდაპირველად უეჭველია მასალები და ცნობები უნდა შეეკრიბა. თვით თხზულებითგანაც სჩანს, რომ მის ავტორს მომთხრობელიც ჰყოლია და მასალაც ჰქონია ხელთა.

მართალია ისეთი ადგილებიც არის, სადაც ბასილი შეიძლება ნახულსა და გაგონილს თვით მოგვითხრობდეს. საკუთრივ ბასილს, ვითარცა ძმისწულს, შეიძლება ეკუთვნოდეს ცნობები სერაპიონის ჩამომავლობაზე, მის მშობლებსა, ძმებზე, მის პატარაობასა და ჭაბუკობაზე (ანუ 4—5 გვ.) ეს ამბები ჩვენს ავტორს იქნებ მამისაგან ჰქონდეს გაგონილი. მასვე შეეძლო აეწერა ყველაფერი, რაც სერაპიონის გარდაცვალების შემდგომ მოხდა ზარზმის მონასტერში, ის რაც 41—43

გვერდებზეა ნაამბობი. დასასრულ პირადად მას ეკუთვნის ცნობები სერაპიონის ნეშთის ახალ ეკლესიაში გადასვენების შესახებ (გვ. 43—44) აქ ავტორი თავის თავს თვითონ ასახელებს და მოსაუბრესავით ლაპარაკობს: „მე ბასილი, ძმისწული წმიდისა სერაპიონისი,... შემდგომად ჟამთა მიცვალებისა მისისათაჲ მოვიწიე ზედა წმიდასა სამარხვოსა მისსა და ვიხილე ყოვლად ბრწყინვალედ და კეთილად ყოველივე ნამუშაკევი მათი და განვიშჳ და განვიხარე... კელვყავ და შევჰმზადე ლარნაკი ქვისა და აღვაღე საფლავსა მისსა... დავსხენით ლარნაკსა შინა ახალსა და აღვმართენით მას ზედა ჯუარი“-ო... (იქვე, 43—44).

ყურადღების ღირსია, რომ იქ სადაც ბასილს ახალ ეკლესიის აშენების ამბავი აქვს მოთხრობილი, მას თავის ცნობების დამამტკიცებელი წარწერა მოჰყავს და ქანდაკებასაც ასახელებს, რომელიც ეკლესიის კედელზე ყოფილა გამოყვანილი (იქვე 43).

ცნობები მიქელ პარეხელის შესახებ (გვ. 5—6) ბასილ ზარზმელს უეჭველია მიქელის ცხორებითგან ექნება ამოღებული, რომელიც უკვე დამთავრებული ყოფილა, როდესაც ჩვენი ავტორი თავის თხზულების წერას შესდგომია (იქვე 6). შესაძლებელია იქითგანვე იყოს ამოკრეფილი ზოგიერთი ცნობები მაინც სერაპიონის მოწაფეობისა და მის პარეხით ზარზმად წარგზავნის ხანას შესახებ (ესე იგი გვ. 6—9).

ხოლო იმ ადგილითგან, სადაც სამონასტრო ადგილის ძებნაზეა ლაპარაკი, ბასილს, როგორც სჩანს, თვით მონაწილეს პირით აქვს ნაამბობი, სერაპიონის თანამხლებ ერთ-ერთ ძმათაგანის მოთხრობილია. ეს ცხადად ეტყობა თვით მოთხრობასაც. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ სამონასტრო ადგილის ძებნის აღწერილობა ჯერ სასაუბრო კილოთი იწყობა, როგორც მაგ.: „აღდგა წმიდაჲ იგი და ძმა მისი იოანე და ერთი ძმათა მათგანი, რომელთა რიცხჳ ექუს იყო და წარემართნეს ჭაბუკსა მას თანა სამნი იგი და სამნი დაეტევნეს ადგილსა მას. ხოლო იწყეს სლვად .. და ვითარ ვლეს, მიიწინეს შესაკრებელსა ორთა მათ წყალთასა“. (იქვე 16). მხოლოდ იმ ადგილითგან მოყოლებული, სადაც ნათქვამია, თუ როგორ მოვიდნენ „საძმოდე“, მოთხრობა უცებ პირველი პირით არის აღწერილი,—მაგალითად მოვიყვან ზოგიერთს ადგილებს: „ვითარცა მოვიწიენით ადგილსა მას (საძმოს)... ჩუენ გუენება, რამეთუ გარეშემოწერით შემოვლოთ სიმგრგულე მათ ადგილთა“-ო (იქვე 16)... „აღვჰჴევით პირსა მის მდინარისასა და მოვიწიენით კევსა“ (იქვე)... „განსმენილიყო მოსულა ჩუენი... და გუკითხვიდა კაცი კაცი იგი“... (იქვე 17)... გვკჳრდა ჩუენ ფრიად და ვკითხეთ კაცსა მის.. ვითარცა შთავედით პირსა მას ტბისასა, ვჰკითხეთ კაცსა ჟამი დღისა, ხოლო-მან მომიგო“-ო... (იქვე 18). ერთი სიტყვით აქ ბასილი ზარზმელი სერაპიონის ერთ-ერთ თანამგზავარ-ბერის ნაამბობს სწერს. როგორც სჩანს

იმ დროს იგი ჭაბუკი იქმნებოდა და ბასილის დროსაც ცოცხალი ყოფილა. ამგვარი ხასიათი აქვს მოთხრობის მე-16-ე გვერდითგან მოყოლებული მე-24-ე გვერდამდე, სადაც ბასილ ზარზმელს კვლავ შესაუბრე კილოთი აქვს ყველაფერი აწერილი.

მე-24-ე გვერდზე იწყობა ზარზმის პირველ ეკლესიის აგების ამბავი და 27 გვერდამდე მხოლოდ ამ საგანზეა ლაპარაკი, ამასთანავე ისე დაწვრილებით და ზედმიწევნით არის ყველაფერი მოთხრობილი, რომ აქაც უეჭველია ბასილს დამსწრე და მონაწილე მამისაგან ექმნება გაგონილი, მაგრამ არა სჩანს ვისგან?

ცნობები გიორგი ჩარჩანელისა და მის დიად მოღვაწეობის შესახებ, რომელმაც ზარზმის მონასტრის აგებასა და აყვავებას ხელი შეუწყო, განსაკუთრებით-კი სერაპიონის სასწაულთმოქმედებაზე ბასილ ზარზმელისათვის მოუთხრია გიორგი ეპისკოპოსსა მაწყუერელსა (იქვე 27). აქ ზარზმელი ისტორიკოსი კვლავ თვით მომთხრობელს ალაპარაკებს და პირველის პირითა სწერს: „იტყოდა ღმერთ-შემოსილი იგი (გიორგი მაწყუერელი), ვითარმედ „ვიყავ რაჲ უდაბნოსა ოპიზისასა..., და მიერ აღვედ დიდისა მამისა მიქაელისასა და ვიყავ რაჲ წინაშე მისსა, მაშინ წარავლინა მიქაელ ორნი მოწაფენი მისთაგანნი“-ო (იქვე 27—28). მე-27-ე გვერდითგან მოყოლებული 41 გვერდამდის გიორგი მაწყვერელის ნაამბობია და ბასილ ზარზმელსაც აქ თვითონ აღნიშნული აქვს: „ყოველნი ესე სასწაულნი და საქმენი, რომელნი იგი პირველ ეპისკოპოსობისა და უკანასკნელ ეხილვნეს, მომითხრნეს პირმან მან უტყუელმან, გიორგის მიტეკ მაწყუერელსა“-ო (იქვე 41).

გიორგი მაწყვერელს გარდა ბასილ ზარზმელისათვის ბევრს სხვებსაც უამბნიათ სერაპიონის სასწაული-მოქმედება, მაგრამ ავტორს ყველას ნათქვამი და გაგონილი არ შეუტანია თავის თხზულებაში იმიტომ, რომ „კაცობრივისა ენისა მიერ შეუძლებელ არს წარმოთქმა და აღწერა ყოველთა მათ სასწაულთა, რომელნი იგი სარწმუნოთა კაცთა მიერ ფიცით მოგვითხრნეს ჩუენ“-ო (იქვე 36).

დასასრულ სერაპიონის ზოგიერთს სასწაულ-მოქმედების აღწერა ისტორიკოსს შეეძლო ვითარცა თანამედროვესა და მხილველს: ეს იყო „ჩუენთა ამათ ჟამთა ხილული და სმენილი“-ო (იქვე), —ის, რაც ზარზმის დიდებულ აღმაშენებლის სიკვდილის შემდგომ, მის საფლავთან მომხდარა.

ბასილის თხზულების ზემომოყვანილ განხილვითგან მტკიცდება, რომ ავტორს უსარგებლნია 1) თანამედროვე წერილობითი ნაშთებით, 2) სერაპიონის თანამგზავრთა, თანამშრომელთა და მახლობელ პირთა გარდმოცემითა და ნაამბობით და 3) იმ ცნობებით, რომელიც ავტორმა ვითარცა თანამედროვემ იცოდა.

ყურადღების ღირსია, რომ მას აღნიშნული აქვს; ჩემი მომთხრობელი გიორგი მაწყვერელი „ყოველთავე თჳთმხილველ ქმნილ იყო“-ო (იქვე 41). ალბად ბასილ ზარზმელს ესმოდა, რომ საისტორიო თხზულებისათვის „თჳთმხილველი“ მოამბე იყო საჭირო. ამასთანავე ავტორი ამტკიცებს, რომ ეს „თჳთმხილველი“ ყოფილა „პირი უტყუელი“ (იქვე 41) და დანარჩენი მომთხრობელთაც „სარწმუნოთა კაცთა“ სახელი ჰქონიათ დამსახურებული (იქვე 36). მაშასადამე ზარზმელს მემატიანეს სცოდნია, რომ მარტო „თჳთმხილველობა“ საკმარისი არ იყო, რომ თჳთმხილველსაც შეეძლო თავისი მსმენელი შეეცდინა, და ამის თავითგან ასაცილებლად საჭირო იყო მოამბე „უტყუელი“ და „სარწმუნო კაცი“ ყოფილიყო მაგრამ, როგორც სჩანს, ბასილ ზარზმელს ზოგჯერ არც ეს მიაჩნდა საკმარისად, მეტადრე როცა მოთხრობა არა-ჩვეულებრივს რასმეს, სასწაულებრივს ამბავს, შეიცავდა, ამისთანა შემთხვევაში მას მომთხრობელთათვის უთხოვნია თავიანთი ნათქვამი ფიცით დაემტკიცებინათ და იმათაც ეს თხოვნა აუსრულებიათ: „ფიცით მოგვეთხრნეს“-ო (იქვე 36).

ერთი სიტყვით, ბასილ ზარზმელს თავის თხზულებისათვის კარგი და სანდო წყაროები შეუკრებია და მეთოდების მხრივაც მას როგორც ისტორიკოსს თავისი მოვალეობა ჩინებულადა ჰქონია გათვალისწინებული.

ბასილ ზარზმელს გარკვეული თხრობის გეგმა ჰქონია. მას ამბავი ქრონოლოგიურად-კი არა აქვს დალაგებული, არამედ მხოლოდ შინაარსისდა მიხედვით. ავტორს მიზნად არ დაუსახნია სერაპიონის მთელი თავგადასავალი და მოღვაწეობა აღენუსხა. მას აზრადა ჰქონდა მხოლოდ „მცირე... სიტყვსმიერი გამოხატვაჲ ვრცელისა... ცხორებისა მისისა“ (იქვე 3). „ვიტყო-დით ზოგს რასმე შეკრებულთა ცხორებისა მისისათა“-ო (იქვე 3). მაშასადამე ბასილის შრომა შეიცავს მხოლოდ დიდ სურათის პატარა მონახაზს, დიდის მოვლენის მოკლე აღწერას. ამიტომ ავტორს უნდა სერაპიონის მოქალაქობის მხოლოდ ზოგიერთ თვისებებისათვის მიექცია ყურადღება და დაესურათებინა. ბასილი ზარზმელი სწორედ ასეც მოქცეულა. მისი თხზულება ეხება რამდენსამე საკითხს და ავტორი ყოველთვის ჯერ აცხადებს, რის გამორკვევა, დაწერა და დამტკიცება ჰსურს, ხოლო შემდეგ მოჰყავს ხოლმე აღნიშნულ აზრის დამასურათებელი და დამამტკიცებელი ცნობები და ამბები.

თვით თხზულება ამის გამო შეიძლება დაიყოს რამდენადმე ნაწილად, რომელსაც თვითოეულს სათაურის მაგვარად წინ უძღვის დედააზრის მაუწყებელი წინადადება. მაგალითად, შესავლის შემდგომ ბასილი აცხადებს: „იწყებს სიტყუაჲ დასაბამსა ცხორებისა მისისასა“-ო (იქვე 4), მოთხრობა ზარზმელ მამის ცხოვრების პირველ წლების აღწერილობას შეეხე-

ბათ. მართლაც ქვემოდ ავტორს სერაპიონის დედ-მამისა და მის პატარაობის ამბავი აქვს მოთხრობილი (გვ. 4—5). შემდეგ ბასილს კიდევ აღნიშნული აქვს: „აწ ჟამ არს ჩუენდა, რაჲთა დიდთა მათთჳს უდაბნოთა და მონასტერთა მოვიჴსენოთ, თუ ვინა იქმნა შენებაჲ მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იყო"-ო (იქვე 5) და ამ წინადადებას მართლაც მოსდევს მოთხრობა სერაპიონის გამგზავრებისა, სამონასტრო ადგილის საძებნელად ზარზმაში მისვლის შესახებ (იქვე. 5—9). მერე ავტორი ამბობს: „ხოლო აქა წარვმართოთ სიტყუაჲ და განცხადებულად წარმოუჩინოთ სიყვარულსა თქუენსა, თუ ვითარ იყო ადგილისა მის წარმართებაჲ, ანუ ვინ იყო კაცი იგი, რომელმან ყოვლივე... კეთილად წარუმართა მათ"-ო? ამის შემდგომ ნათქვამია, ვინ იყო გიორგი ჩორჩანელი, და ვრცლად არის მოთხრობილი, თუ როგორ შეუწყო მან ხელი სერაპიონს და ყოველი მხრივ დაეხმარა სამონასტრო ადგილის დათმობითაც და შენობის აგების დროსაც (იქვე 9—27). მერე ბასილ ზარზმელს კვლავ აღნიშნული აქვს: „აქა სხუ[ა] ცვალების ლექსი სიტყვსა უსაკუთრესად თქუმად სასწაულთა წმიდისა ამის კაცისათა და რათა ცხორებაჲცა ღუთის-მსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხადდეს"-ო (იქვე 27). მართლაც ავტორის ქვემომოთხრობილი სერაპიონის სასწაულთ-მოქმედების აღწერილობასა და გიორგი ჩორჩანელის შესახებ ამბავს შეიცავს (იქვე 27—33). შემდეგ ბასილი აცხადებს: „აწ ჟამ არს, რაჲთა . . გესმოდის... დასაბამი და აღსასრული ნეტარისა ამის ცხორებისა"-ო (იქვე 33) და მერე აღწერილია სერაპიონის უკანასკნელი დღენი და წამები, სიკვდილი და დასაფლავება (იქვე 33—36). ამის შემდგომ ნათქვამია: „სიმრავლე სასწაულთა მისთა (ე. ი. სერაპიონისა) ვერცა თუ გონებათაგან მისაწთომელ არს, გარნა კერძო რაჲმე და მცირედი მოვიკსენოთ"-ო (იქვე 36). ამ განცხადებას ზარზმელი მამის სასწაულთ-მოქმედების აღწერილობა მისდევს (გვ. 36—41). დასასრულ ბასილი ისევ ეკლესიის აშენებას უბრუნდება: „აწ კუალად აღვედინ სიტყუაჲ ჩუენი პირველ-დაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი შემდგომად ეკლესიად"-ო (იქვე 41). მართლაც ავტორს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ დაამთავრეს ახალი ტაძრის აგება (იქვე 41—43), და ამით ათავებს იმ ამბავს, რომლის აღწერა მან 27 გვერდზე შესწყვიტა.

ამ რიგად ცხადია, რომ ბასილ ზარზმელს „ცხორების" გარკვეული გეგმა ჰქონდა, რომელსაც იგი წერის დროს მისდევდა. მას ეს გარემოება თვითონაც აღნიშნული აქვს. საალმწერლო გეგმას ჰრქმევია „წესი თხრობისა" (იქვე 16). ხოლო მოთხრობის გეგმით განსაზღვრულს მიმდინარეობას „საზღვარი სიტყჳსაჲ", ანუ თხრობისა (იქვე. 29). ყოველ მოთხრობას აქვს „დასაბამი" (იქვე 4) და „დასასრული თხრობისა" (იქვე 5). ისტორიკოსი ცდილობს რომ განზრახულ გეგმას, ანუ „წესს" არ გადაუხვიოს და მკითხველს ყველაფერი დალაგებით, „შემდგომითი შემდგომად" (იქვე 41)

უამბობს. ხოლო როდესაც სხვაფრივ შეუძლებელი იყო და ავტორი უძულებული ხდებოდა თხრობის პირდაპირი მიმდინარეობა შეეწყვიტა და გადაეხვია, ამისთანა შემთხვევა მას თითონ განსაკუთრებით აღნიშნული აქვს ხოლმე. თხრობის საგნის შეცვლას, როდესაც „სხუ[დ] იცვალების ლექსი სიტყვსა“ (იქვე 27), ბასილი „წიაღსლვა“-ს უწოდებს (იქვე 5). ზარზმელი ისტორიკოსი ამისთანა შემთხვევაში ყოველთვის „წიაღსლვის“ მიზეზსა და მიზანსაც ასახელებს ხოლმე. ზოგჯერ ავტორი თვით მოთხრობას გაუტაცნია, სიტყვას მოუტანნია: „შეუდგა სასწაული სასწაულსა“-ო (იქვე 29), ერთ სასწაულის მოთხრობამ უნებლიედ მეორეც მომაგონაო. ან კიდევ „შეეზავა სიტყუაჲ სიტყუასა და ვერღარა გავყავი აღშენებაჲ იგი მონასტრისა“-ო (იქვე 39).

ჩვეულებრივ-კი ბასილს უფრო სპეტაკი მიზეზი აქვს ხოლმე, როცა იგი თავის „თხრობის წესს და საზღვარს“ არღვევდა: ამ საშუალებით მას სურდა მსმენელისა და მკითხველისათვის რომელიმე გარემოება უფრო მკაფიოდ და ცხოვლად დაეხატა. მაგალითად, როცა იგი სერაპიონის მცირეწლოვანობის ამბავს ერთბაშად თავს ანებებს და ზარზმის აშენების ისტორიას იწყობს, იგი აცხადებს: „აქა ეგულების სიტყუასა მცირედ წიაღსლვა სხუად-მიმართ, რათა უმეტეს გამოჩნდეს კეთილთა მათ ნერგთა ნაყოფთ-მცენარებაჲ და ამისსა შემდგომად რტო-განრთხმით გარდაფენილებაჲ ოცდაათეულად, სამოცეულად და ასეულად, რათა დასასრულსა თხრობისასა გულისკმა-ჰყოთ, თუ ვითარ ტკბილი და შუენიერი დამწიფდა ტევანი მათისა მის მოძღურებისა ნამუშაკევთაჲ“-ო (იქვე 5). მაშასადამე ავტორს „მცირედ წიაღსლვით“, მონასტრის აგების ამბავის მოთხრობით, აზრადა ჰქონდა უფრო ნათლად დაემტკიცებინა, რამდენად ნაყოფიერი იყო სერაპიონის მოღვაწეობა და რამდენად უხვი ჭირნახული მოსვლია ზარზმელ მასწავლებლის მოძღვრებას. ამგვარადვე, როცა ბასილი ზარზმელი ეკლესიის აგების ამბავს თავს ანებებს და გიორგი ჭორჭანელის პიროვნების დახასიათებას იწყობს იგი ამბობს: აქა სხუა[დ] იცვალების ლექსი სიტყვსა... რათა ცხორებაჲცა ღუთის-მსახურისა გიორგისი უმეტეს გამოცხადდეს“-ო (იქვე 27). ყურადღების ღირსია, რომ ზარზმელს ისტორიკოსს „წიაღსლვაჲ“ არას დროს თხრობის მთავარ საგანს არ ავიწყებინებს: მას მუდამ ახსოვს, რომ წინად მთავარი მოთხრობა შესწყვიტა, რომ მას „ნეშტი თხრობისა[ჲ]“ (იქვე, 6, 32, 39), „პირველ დაწყებული სიტყუა[ჲ]“ (იქვე 41), ამბავის გაგრძელება დაუმთავრებელი დარჩა, და როცა ავტორი „წიაღსლვის“ მიზანს მიაღწევდა, შეწყვეტილ მთავარ მოთხრობას კვლავ უბრუნდებოდა: „ამიერ კუალად ვიპყრათ ნეშტი იგი თხრობისა და პირველსავე სიტყუასა აღვიდეთ“-ო (იქვე 32), „ხოლო აწ კუალად აღვედინ სიტყუაჲ ჩუენი პირველ-დაწყებულთა სიტყუათა“-ო (იქვე 41), „ეგულების... კუალად ქცევად საზღვართავე თვსთა სიტყვსა“-ო

(იქვე 29), ამბობდა ხოლმე ამისთანა შემთხვევაში ბასილი ზარზმელი. თვით ავტორი მოწადინებული ყოფილა, რომ თავის გეგმა და მოთხრობის პირდაპირი მიმდინარეობა არ დაერღვია. ერთ ადგილას იგი პირდაპირ ამბობს: „ხოლო ჩვენ კუალად აღვიდეთ პირველსავე სიტყუასა და ძალისაებრ ვიპყრათ წესი თხრობისა“ (იქვე 16), ვეცდებით შეძლებისდა გვარად შემდეგში დავიცვათ წესი თხრობისა.

რამდენად სანდოა ისტორიულად ბასილ ზარზმელის თხზულება? სერაპიონის „ცხორება“-ში უმეტეს შემთხვევაში აღწერილია ისეთი ხანა და საქართველოს ისეთი მხარე, რომლის შესახებაც წინად თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვებოდა. ეხლა მეცნიერება უკეთესს მდგომარეობაშია ამ მხრივ, მაგრამ საკუთრივ ზარზმის მონასტრის დაფუძნების და აგების ამბავი სხვაგან არსად არის აწერილი. ამიტომ ჯერ-ჯერობით სერაპიონის „ცხორების“ მხოლოდ ზოგიერთ ცნობების განხილვა შეიძლება კრიტიკულად. ეს განხილვა და სხვა წყაროებთან შედარება გვიჩვენებს, რომ „ცხორება“-ში მოყვანილი ცნობები სწორეა და ნდობის ღირსი. ზემოდ თავის ადგილას იყო აღნიშნული, რომ სერაპიონის მოძღვარი და სულიერი მამა მიქელ პარეხელი მართლაც იმ დროს მოღვაწეობდა, პარეხის დამაარსებელი იყო და მართლაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. ზემოდვე გამორკვეული იყო, რომ ბასილ ზარზმელის უმთავრესი და „თჳთმხილველი“ მოამბე გიორგი მაწყვერელი სხვა წყაროებითგანაც, სახელდობრ გრიგოლ ხანძთელის ცხორებითგან, ცნობილია, რომ იმ დროინდელ სასულიერო პირთა შორის იგი მართლაც გამოჩენილ მოღვაწედ ითვლებოდა. ყურადღების ღირსია, რომ სერაპიონის ცხორების აღმწერელი ბასილი, რომელმაც „მიითვალა წინამძღურობაჲ“, მოხსენებულია იმავ სახელწოდებით „წ[ი]ნამძღუარი ბ[ა]ს[ი]ლი“ ზარზმის ეკლესიის ჩრდილოეთის კედელზე (ე. თაყაიშვილის **Арх. экскурсiи вып. I, 16**).

შემდეგ სერაპიონის „ცხორება“-ში მოთხრობილია, რომ მიქელ მამასახლისის „შემდგომად დაიდგინა მონაცვალედ მისსა პავლე ვინმე ხუცესი.. ამან პირველვე სრულყო ეკლესია და შეამკო ყოვლითა სამკაულითა და აღმართეს მას შინა ხატი ფერისცვალებისა და აკურთხეს ყოვლითა კურთხევითა მამობასა შინა პავლესსა“-ო (ც˝ჲ 43). მართლაც ჩვენამდის მოაღწია ზარზმის ამ ფერისცვალების ხატმა, რომელიც შემოქმედში ინახება, და მას აწერია... „შეიმოსა ხატი ესე... მამასახლისობასა პავლესა ქრონიკონი იყო რვ“ (ე. თაყაიშვილის ზემოდასახელებული თხზულება **Арх. экскурсiи I, 67—68**); მაშასადამე ეკლესიაში „აღმართვა“-მდე ხატი 886 წელს პავლეს წინამძღვრობის დროს მოუჭედნიათ.

დასასრულ კიდევ ერთს მაგალითს მოვიყვან. სერაპიონის „ცხორება“-ში მოთხრობილია, რომ დიდებულმა გიორგი ჩორჩანელმა „ყოველივე, რაჲცა აქუნდა და მამული და ყოველნი ეკლესიანი და მონაგები მისი, დასა მისსა შევედ-

დრა და შვილთა მისთა საკუთრებით განუთჳსა, რომელთა ეწოდა, სუდა, ბეშქენ და ლაკლაკი“ (ცჲ 40). შემდეგ აწერილია, რომ ამ მამულის მემკვიდრეობის უფლების გამო „იქმნა უწესო ამბოხი“ და ისეთი უსიამოვნება ჩამოვარდა ნათესავობაში, რომ დიდი ცოდვაც-კი დატრიალდა, „რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისი ძე თჳსი“-ო (იქვე 40). ამგვარად ლაკლაკს, რომელსაც გიორგი ჩორჩანელისაგან მემკვიდრეობით სხვათა შორის ზარზმაც ერგო მამულად, დისწულის სისხლი დასდებია ცოდვად. სერაპიონის ცხორების სრულს სიმართლეს ერთი ზარზმის ვერცხლის ოქროთ-დაფერილი სამწერობელი*) ამტკიცებს, რომელიც ეხლა შემოქმედში ინახება და რომელსაც ხუცურად აწერია: „მე ფარსმან ერისთავმან, ძემან კურთხეულისა ცოდვილისა ივანე-ლაკლაკისამან, შევქმენ ესე სამწერობელი... და დავსხენ საყდარსა ზარზმას, მამულსა ჩემსა, წინაშე ხატისა ფერისცვალებისასა“-ო (ე. თაყაიშვილი Арх. экскурсіи I, 35). ლაკლაკის შვილი თავის მამას „ცოდვილს“ ეძახის რასაკვირველია იმიტომ, რომ მან თავის დისწულის სისხლი დაანთხია მამულის გამო.

ზემომოყვანილი მაგალითები უფლებას გვაძლევენ იმედი ვიქონიოთ, რომ სერაპიონის „ცხორება“-ში აღწერილი სხვა ისტორიული ამბებიც მომავალში უტყუარი გამოდგება ქს-კია რომ ამ „ცხორება“-შიც ორიოდე ყოვლად დაუჯერებელი „სასწაულთმოქმედება“-ა აწერილი, როგორც მაგალითად დიდის ხნის გამხმარ „ბაჲაჲს“, ჰზის ტოტის დანერგვა და აღმოცენება (ცჲ. 28—29). ყურადღების ღირსია, რომ ეს ამბავი, თუ „ვითარ იგი ბაჲაჲსა რტოჲ განედლდა და ვითარ ეშმაკისა პირებითა ცთუნებული იგი ხუავი და ამპარტავანი ენა განკურნა“, ბასილ ზარზმელისათვის უამბნია თვით „უტყუელს“ გიორგი მაწყვერელს, რომელმაც თავის თვალით ნახა ორივე „სასწაული“-ო (იქვე 41). ეს გარემოება საუცხოვოდ ამტკიცებს, თუ რამდენად უძლურია ხოლმე „თვითმხილველობა“, რომ ნახული ჭეშმარიტებად გადმოგვცეს, როდესაც ამბავი ისეთს სფეროს შეეხება, რომელიც თვითმხილველის ისეთ რწმენას შეადგენს, სადაც მისი ეჭვის თვალი დახუჭულია და გონიერება არა ფხიზლობს. სხვაფრივ საუცხოვო ცნობები გადაუცია გიორგი მაწყვერელს ბასილ ზარზმელისათვის, მაგრამ საკმარისი იყო მას „სასწაულთ-მოქმედება“ ეხილა, რომლის არსებობა მას რასაკვირველია, როგორც თვითოეულს იმდროინდელს სამღვდელო პირს, შეურყევლად სწამდა, რომ გარემოებას არ ჩაჰკვირებოდა და ბუნებრივი მოვლენა ზებუნებრივ ძლიერებით მოცულად სჩვენებოდა. საბედნიეროდ ორიოდე ამგვარი „სასწაულთ-მოქმედების“ ამბავი ისტორიულს მოვლენას არ ეხება.

სერაპიონის „ცხორების“ დიდ ნაკლად უნდა უთარიღობა ჩაითვალოს. ბასილ ზარზელს თავის თხზულებაში ერთკანაც არა აქვს მოყვანილი

---

*) სამწერობელი მღვდელთმთავართა წირვის დროს სახმარებელს ლითონის საგრილებელს ანუ მარაოსა ჰქვიან.

თარიღი. იგი იმასაც-კი არ ამბობს, თუ როდის დაიბადა, და ან როდის გარდაიცვალა სერაპიონი, მაგრამ მას აღნიშნული აქვს, რომ სერაპიონი მიქელის მოწაფედ ითვლებოდა, მის „დასსა მოწაფეთასა“ „თანააღრაცხილ“-ი ყოფილა (ც~ჲ 5). ეს ის მიქელი იყო თურმე, რომელმაც „აღაშენა... მგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა კლადოანსა და უვალსა კაცთაგან, რომელსა პარეხ უწოდიან“ (იქვე). სწორედ ეს მიქელია მოხსენებული გრიგოლ ხანძთელის ცხორებაშიც, სადაც ნათქვამია, რომ „ხანძთად მოვიდა დიდი მეუდაბნოჲ მიქელ მამაჲ, რომელიცა დაემკჳდრა პარეხთა, რამეთუ იყო იგი მეგობარ ნეტარისა მამისა გრიგოლისა და ეძიებდა მარტოდ-მყოფობასა და პოვა თჳსისა სამკჳდრებელი ბერთისა პარეხთა და... დაემკჳდრა მათ შინა“-ო (ც~ჲ გრ~ლ ხნ~ძთსჲ. ლზ-ლჱ).*) რაკი მიქელ პარეხელი გრიგოლ ხანძთელის მეგობარი ყოფილა, მაშასადამე მისი მოწაფე სერაპიონი ხანძთელ არქიმანდრიტის უმცროს თანამედროვედ უნდა ჩაითვალოს.

უეჭველია, რომ ქრონოლოგიური ცნობები სერაპიონის ცხოვრების შესახებ არც თითონ ავტორსა სცოდნია და იმ ორიოდე შემთხვევაშიაც, როდესაც მას დროის განსაზღვრა ჰსურს, მაშინაც მხოლოდ ასეთს ცნობებს გვაწვდის, როგორც მაგალითად: „შუა წარკდა სიმრავლე წელთა და სიბერითა კეთილითა განპოხნეს“-ო (იქვე 32), ან არადა „ხოლო ვითარცა წაკდეს წელნი მრავალნი და წინამძღუარი გიორგი გარდაიცვალაო“... (იქვე 41).

სხვაფრივ სერაპიონის „ცხორებაჲ“ საუცხოვო საისტორიო თხზულებაა, იმდროინდელ ყოფა-ცხოვრების მკაფიოდ გამომხატველი. მშვენივრად არის აღწერილი მაგალითად ზარზმის მიდამოების ბუნება და მოსავლეობა, ზარზმის ეკლესიის აგების ამბავი, გიორგი ჩორჩანელის სამფლობელო და სანადირო დაწესებულებანი, მისი სათნოიანი ხასიათი და საშინელი მტრობა მამულის თაობაზე, ჩამოვარდნილი გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეთა შორის. ამას გარდა ბასილ ზარზმელის თხზულებაში ძვირფასი ცნობები მოიპოვება ქართულ ეკლესიის, ქართულ სამართლისა და ქართულ ხელოვნების ისტორიისათვის.

სერაპიონ ზარზმელის „ცხორებაჲ“ პირველად აღმოაჩინა და გამოსცა პ. მ. ჯანაშვილმა („ქართული მწერლობა“ წიგნი II, 1909). დედანი სათანადო სიფაქიზით ვერ არის გამოცემული, წინასიტყვაობაც რომელშიაც „ც~ა“ განხილული, სუსტია.

*) მ. ჯანაშვილი (გვ. IV) ამტკიცებს (ალბათ რაკი მის აზრს, რომ მიქელი, შიო მღვმელის მოწაფე უნდა ყოფილიყო, არ უდგება), ვითომც „ეს სხვა მიქელი უნდა იყოს.“ მაშინ გ~ი მაწყვერელიც სხვა უნდა ყოფილიყო, რაც სრულებით უსაფუძვლო იქმნებოდა.

გიორგი მთაწმიდელი.

გიორგი მთაწმიდელს ქართულ მწერლობაში მარტო შესანიშნავი მთარგმნელის სახელი აქვს მოხვეჭილი, მაგრამ მას არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ისტორიის წინაშეც, იგი იმავ დროს გამოჩენილი ისტორიკოსიც იყო*). მას ეკუთვნის: „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ, აღწერილი გლახაკისა გიორგის მიერ ხუცეს-მონაზონისა “

როგორც სათაურითგანა სჩანს ავტორს განზრახვა ჰქონდა აეწერა ი~ეს და ეფთჳმეს „ცხორება“ და „ღირსი მოქალაქება“ მათი, ე. ი. მათი თავგადასავალი და ღირს-შესანიშნავი მოღვაწეობა. ჩვენ ვიცით, რომ ამ თხზულების დამწერმა გიორგი მთაწმიდელმა ი~ეს და ეფთჳმეს მოქალაქობის შესწავლას თითონ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. მივიდა თუ არა იგი ათონის ივერთა მონასტერში, მან „პირველითგანვე... მისწრაფებით და წადიერებით და გულსმოდგინებით გამოწულილვით გამოიკითხა და გამოიძია მოწაფეთაგან და მეგობართა წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ეფთჳმესთა უსხეულოთა მიმსგავსებული და კაცთა ბუნებისა აღმატებული ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ მისი და ნეტარისა მამისა მათისა იოანესი და სხუათა წმიდათა ბერთა და დიდებულისა ამის ლავრისა შენებაჲ და განგებანი, რომელნი წმიდასა მამასა ეფთჳმეს დაეხსნეს“ (ც~ა გიორგი მთაწმინდელისა, ათონის კრებული, საეკლ. მუზ. გამ. გვ. 299). ათონის მონასტრის დამაარსებელთა და განსაკუთრებით ეფთჳმის მწერლობითი მოღვაწეობის შესწავლა თვით გიორგი მთაწმიდელისათვის პირადად საჭირო იყო იმიტომ, რომ მას უნდა განეგრძო ეფთჳმის მიერ დაწყობილი ქართულ საეკლესიო მწერლობის შევსება, გამდიდრება და შესწორება. ხოლო ამისათვის მას რასაკვირველია უეჭველად უნდა სცოდნოდა, თუ რის გაკეთება მოასწრო ეფთჳმემ და რა დარჩა კიდევ განუხორციელებელი. როცა გიორგი მთაწმინდელის მოძღვარმა დაარწმუნა, რომ ნეშტი, დარჩომილი (ე ი. ეფთჳმესი) სრულეყო“ მას, მან თავისი მოწაფე „მთაწმიდას ათონს წარგზავნა... რათა, ვინა იგი წყაროს-თუალი სიბძნისა აღმოეცენა მომრწყველად ნათესავისა ჩუენისა მიერვე აღმოივსნეს ნეკტარი გულის-კმის-ყოფისანი და კაცმან ამან ღუთისამან მდიდრად დაათროს სამყარო ეკლესიათა ჩუენთა“ (იქვე 294) ათონის მონასტერში იმიტომ

*) გიორგი მთაწმიდელის დიადი ღვაწლის შესახებ ქართულ ეკლესიის განახლებაში და ქართულ საზოგადოებრივ და სოციალურ ცხოვრების წარმატებაში იხ ქ~ლ ერის ისტორია II, 483—504.

იყო საჭირო გიორგი გადასახლებულიყო, რომ იქ ინახებოდა ყველა ეფთჳმის ნამუშაკევი თხზულებები.

გიორგი მთაწმიდელი ერთი სიტყვით თავის მოღვაწეობის ნაყოფიერების გულისათვის ბევრით შესდგომია თავის წინამორბედის ცხოვრებისა და მოქალაქეობის შესწავლას.

მაგრამ ამისდა მიუხედავად ამ თხზულების დაწერის მიზეზი ერთი სხვა გარემოებაც იყო. მაინც-და-მაინც ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელთა ცხორების აღწერა თვით გიორგის განზრახული არ არის. იმ განსაკუთრებულმა გარემოებამ, რომელმაც აიძულა ავტორი ეს თხზულება შეედგინა, თვით „ცხორების“ სივრცესა და შინაარსზეც არსებითი გავლენა იქონია.

თვით გიორგი თავის თხზულების შესავალში ამბობს, რომ რაკი „ესე ნეტარნი მამანი ჩუენნი არა რაჲთ უნაკლულო იყვნეს პირველ-გამოჩინებულთა წმიდათასა... არა ჯერ ვიჩინეთ მოუჴსენებელად დატოებაჲ ცხორებისა მათისაჲ და მამათაცა ჩემთა სულიერთა მიბრძანეს ამისი კელყოფაჲ“-ო (იქვე გვ. 2—3).

ხოლო მისივე თხზულების ბოლოში მოთხრობილია ის შემთხვევა, რომელმაც ათონის ქართველი ბერები აიძულა, რომ ათონის ქართველთა მონასტრების დამაარსებელთა ცხორების აღწერისათვის ეზრუნათ. ეფთჳმის მოადგილის დროს, რომელსაც ბიზანტიის კეისრის წინააღმდეგ შეთქმულობაში მონაწილეობის მიღება დასწამეს, ბერძენმა ბერებმა ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ ქართველები დაემცირებინათ, ათონითგან განედევნათ და მათი დიდებული ლავრა-მამულები ხელში ჩაეგდოთ. როდესაც ბრალდებული წინამძღვარი მთავრობამ მონასტრითგან განაძევა, „ბერძენთა ესევითარი ჟამი პოვეს, ჴელყვეს ყოვლითა ღონისძიებითა, რათამცა ქართუელნი ამის მონასტრისაგან აღმოფხურნეს, და ამის პირისათჳს დიდი მოსწრაფებაჲ აჩუენეს და მათ ყოველი თანა-შეეწიეს და საბერძნეთისა დიდებულნი და პალატისა წარჩინებულნი ყოველნი მიდრიკნეს და მრავალი შრომაჲ და ჭირი და რუდუნებაჲ ჩუენზედა მოაწიეს და, რათა მოკლედ ვთქუა, რამეთუ არა თუმცა უფალი შეწეულ იყო ჩუენდა... დღეს არცა ერთი ქართუელი არა ეპოვების ესევითარსა ამას ვრცელსა და დიდებულსა ლავრასა შინა, რომელი ესე ფრიადითა წარსაგებელითა და მრავლითა ოფლითა მათ წმიდათა მამათა ჩუენთაჲთა ჩუენ ქართუელთათჳს აღშენებულ იყო და აღმართებულ“ (იქვე 61). გამძვინვარებულმა ხარბმა ბერძენმა ბერებმა თავისი გაიტანეს კიდეც: მათ რამდენჯერმე დააწიოკეს ქართველები და მონასტერი უსირცხვილოდ სამჯერ ხელიზედ გაჰქურდეს და გაანადგურეს.

მაგრამ ეს არ იკმარეს. ბერები მოგვითხრობენ, რომ ბერძნებს „ესეცა ენებათ, რათამცა სახელიცა მაშენებელთაჲ აღმოჰკოცეს“-ო (იქვე 63).

ეტყობათ იოანეს, თორნიკესა და ეფთჳმის სახსენებელი სურდათ მოესპოთ. ამ გარემოებამ, ასეთმა გამწვავებულმა მტრობამ დიდს საგონებელში ჩააგდო ქართველი ბერები და „რათა ესევითარი ბოროტი, რომელი მოაწიეს ჩვენ ზედა ბერძენთა არა დავიწყებულ იქმნას და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევითარსავე ჭირსა შთაცჳვენ, ამისთჳს ზოგადითა განზრახვითა ყოველნი ძმანი ერთად შევკრბით და ერთითა განზრახვითა... წერილი მოსახსენებელი დავწერეთ“-ო, ამბობენ ისინი (იქვე 61). „ამ წერილ-მოსახსენებელ“-ის ბოლოს ისინი ხელმეორედ სწერენ: „ამის ყოვლისაგან შეგვეშინა და მოსახსენებელი ესე დავწერეთ და დავდევით შემდგომად ჩუენსა მომავალთა ნათესავთათჳს, რათა არა დავიწყებულ იქმნას და გარეწარ ესევითარი ესე მრავალიფერი ღელვაჲ“-ო (იქვე 66).

ამავე მიზეზის გამო უნდა „ებძანებინათ სულიერ მამებს“ გიორგი მთაწმიდელისათვის, როცა იგი ათონის მონასტერში დეკანოზად იყო (იქვე 299), აეწერა ათონის ქართველთა მონასტრების დამაარსებელთა ი˜ესი და ეფთჳმის ცხორება და მოქალაქობა. რაკი ამგვარ თხზულების საჭიროება ზემოაღწერილ ბერძენ-ქართველთა გამწვავებულმა მტრობამ და მისმა შიშმა გამოიწვია, ამის გამო იგი მარტო ი˜ესა და ეფთჳმის მოღვაწეობას-კი არ შეიცავს, არამედ აგრედვე ათონის ივერთა მონასტრის თავგადასავალსაც დაარსებითგან დაწყობილი ბერძენ-ქართველთა შუღლის დამთავრებამდე.

აი რა იყო ამ თხზულების დაწერის მიზეზი

გიორგი მთაწმიდელი „ცხორებას“ პატარა შესავლით იწყებს და იქ შეგვიძლიან შევისწავლოთ მისი საზოგადო შეხედულობა როგორც კაცობრიობის ცხოვრების მიმდინარეობის შესახებ, ისე ისტორიის მაზნისა და მეთოდების შესახებ. ეს შესავალი ავტორის თეორიულ შეხედულებას გვისურათებს.

„კურთხეულ არს ღმერთი, ამბობს გიორგი მთაწმიდელი, რომელსა ყოველთა კაცთაჲ ჰნებავს ცხორებაჲ და მეცნიერებასა ჰეშმარიტებისასა მოსლვაჲ, რომელი იგი... უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს და მიუწთომელითა სახიერებითა თჳსითა თჳთოულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს სარგებელად კაცთა ნათესავისა და სადიდებელად დიდებისა თჳსისა“-ო (იქვე 1). ამ წინადადებითგან ჩანს, რომ ავტორის შეხედულობით ღვთაების კაცობრიობის ცხონება და ჭეშმარიტების შთაგონება სურს და მარად „უმჯობესსა ყოველთასა განაწესებს“: ერთი სიტყვით იგი ოპტიმისტური შეხედულების და მოძღვრების მიმდევარია. კაცთა ნათესავისათვის „უმჯობესისა“ დამყარებისათვის და „სარგებელად“ კანგება „თჳთოეულთა ჟამთა შინა ღირსთა და სათნოთა თჳსთა გამოაჩინებს“. მაშასადამე კაცობრიობის ისტორიის ყოველ ხანაში, ყოველ დროს თავისი ღირსი მოღ-

ვაწე მოევლინება ხოლმე, არც ერთი ამ გვარ წყალობას გიორგი თმაწმიდელის შეხედულებით მოკლებული არ არის ხოლმე*) აკი იგი ამბობს კიდეც, რომ „ჩუენთაცა ამათ ჟამთა შინა გამოაჩინნა ნეტარნი მამანი ჩუენნი იოანე და ეფთჳმე· და იოანე და არსენი ეპისკოპოსი ნინოწმიდელი და იოანე ჳრძელისძე და შემდგომითი შემდგომად სხუანი იგინი მოწაფენი მათნი და მობაძავნი სათნოებისა მათისანი“ (იქვე 1). ამ გვარად რახან თვითოეულ ხანას თავისი მოღვაწეები მოევლინებათ ხოლმე განგების მიერ, მოღვაწეთა მოქმედება შეუწყვეტლივ მიმდინარეობს. ღვთაების მიერ ქვეყნად მოვლენილი კაცები მოღვაწეობდნენ კაცობრიობისათვის: „სარგებელად კაცთა ნათესავისა“ და „სადიდებელად ღუთეებისა.“

ამ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოქალაქობის და სხვაგვარ ღირს-შესანიშნავ მოვლენათა აღწერის საჭიროება თვით ღვთაებამ ასწავლა კაცობრიობას: თუმცა ღმერთმა უკვლაფერი უწყის დასაბამიც და აღსასრულიც, მაგრამ „სიგრძე ჟამთაჲ“, მუხთალი დრო „ყოველსავე დავიწყებად მოიღებს“ და ამიტომ „ესრეთ განაწერა ყოვლად ბრძენმან მან განგებულებამან მისმანო, რათა წიგნთაცა შინა აღიწერნენ სამღრთონი იგი და ყოვლად შუენიერნი საქმენი სოფლისა შესაქმისანი და საუფლონი იგი მცნებანი და ბრძანებანი მისნი და ღირსთა მათ და ნეტართა მონათა მისთა ყოვლად ქებულთა ცხორებანი და მოქალაქობანი, რომელნი თჳთოეულთა ჟამთა შინა ჯერ იჩინნა გამოჩინებად სახიერებამან მისმან სარგებელად კაცთა ნათესავისა“ (იქვე 1—2). „ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისაჲთ და ვიდრე აქამომდე აღწერილთა წიგნთაგან“-ო (იქვე, 3), დასძენს გიორგი მთაწმიდელი. ამ გვარად წარსულ ცხოვრების და თანამედროვე მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა ღვთისნიერ, თითქმის სავალდებულო საქმედაა აღიარებული გიორგი მთაწმიდელის მიერ.

შემდეგ მოკლედ, მაგრამ ძალიან მკაფიოდ ავტორი საისტორიო თხზულებათა მეთოდების შესახებ ცნობებს გვაძლევს. თუმცა იქ იგი თავის დაწერილ ცხორების თაობაზე ლაპარაკობს, მაგრამ ამისდა მიხედვით ჩვენ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ ავტორის საზოგადო შეხედულება ამ საგნის თაობაზე: „დალაცათუ ჩუენ, ამბობს გიორგი, შემდგომად მრავლისა ჟამისა ღუთისა მიმართ მისვლისა მათისა კელვყავთ მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად, გარნა ურწმუნომცა ნუ ვინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თჳსით არა რაჲ აღვჳწერია, არამედ რაჲ იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა, რომელთა იგი ეხილვნეს და ემსახურა მათდა, რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან“-ო

*) როგორც ვნახეთ, თითქმის ამგვარივე შეხედულობისა იყო ბასილი ზარზმელიც (იხ. აქვე გვ. 63—64).

(იქვე გვ. 3). ამ საყურადღებო ნაწყვეტიდგან სჩანს, რომ თუ მწერალი რომელიმე მოღვაწის, ან შემთხვევის ამბის აღწერას შეუდგებოდა „შემდგომად მრავლისა ჟამისა", მაშინ გიორგი მთაწმიდელის შეხედულებით მკითხველს შეეძლო „ურწმუნო" ყოფილიყო, ეჭვის თვალით შეეხედნა ამგვარ თხზულებისათვის. მაგრამ თუ ისტორიკოსი განსაზღვრულ პირობებს აასრულებდა თავის თხზულების დაწერის დროს, მაშინ მკითხველი ურწმუნო არ უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი რომ მას „თავით თჳსით არა რაჲ" უნდა დაეწერა, ე. ი. როცა ავტორი მოთხრობილ ამბის, ან მოღვაწის თანამედროვე არ იყო, მას არც შეეძლო თითონ პირადად, როგორც თვითმხილველსა და მცნობელს დაეწყო ამბის აღწერა და მოთხრობა. თუ-კი მას სურდა, რომ მკითხველი მიჰნდობოდა, იმას უნდა აღენიშნა, როგორ და ვისგან გაიგო მან მოთხრობილი ამბავი, იმიტომ რომ ცარიელი წყაროს აღნიშვნა ხომ ისტორიის ღირსებას არ ამტკიცებს. იმ კაცს, რომელიც ისტორიკოსს რომელსამე მოღვაწეზე ან შემთხვევაზე უამბობდა, ეს მოღვაწე ან ეს შემთხვევა უეჭველად თავის თვალით უნდა ენახა, მისი დაახლოვებული კაცი უნდა ყოფილიყო („ემსახურა მათდა"). მაგრამ არც ეს კმაროდა: იგი თითონაც ნდობის ღირსი უნდა ყოფილიყო, „სარწმუნო", „რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან". თორემ თვითმხილველსაც ხომ შეეძლო ბევრი სიცრუე და ტყუილი ეამბნა ისტორიკოსისათვის.

ამნაირი პირობების აღსრულებას იყო საჭირო ზეპირი წყაროებით სარგებლობის დროს.

საყურადღებოა, რომ ავტორს, როგორც ეტყობა, ზოგიერთს შემთხვევაში სანდო პირების ყოველგვარ ცნობებისათვისაც ტყუილ-უბრალოდ არ დაუჯერებია: თავდაპირველად იგი ეჭვის თვალით შეჰხედავდა და თუ განსაკუთრებით არ დარწმუნდებოდა, ნაამბობს არ დაიჯერებდა ხოლმე. როცა მაგალითად გიორგი მთაწმიდელს „სულიერმა ძმებმა" მოუთხრეს, რომ გაბრიელ ქართველი და ლეონ ჰრომი, რომელთაც არც ერთს „თჳსისა ენისგან კიდე" სხვა ენა არ სცოდნიათ, ამისდა მიუხედავად მაინც ვითომც ერთიერთმანეთს მთელ დღეობით ელაპარაკებოდნენო, „დასხდიან და ვიდრე ცისკრისა რეკადმდე უბნობდიან სიტყუათა საღმრთოთა და ვიდრე წარსლვადმდე ამას ესრეთ ჰყოფდიან ყოველთა მწუხრთა"-ო (იქვე, 31). მას ეტყობა არ დაუჯერებია და თუ თავის თხზულებაში ეს ამბავი ჩაურთავს, მხოლოდ მას შემდეგ, როცა იმ სულიერ ძმებმა, რომელნიც „გარემოჲს მათისა იყვნეს", ჩვენ „ფიცით დაგუარწმუნეს"... „და წამებდეს, ვითარმედ, მათისა სიწმიდისაგან ყოვლადვე შესაძლებელ იყო და სარწმუნო, რამეთუ დიდ იყვნეს იგინი წინაშე ღმრთისა და სრულ"-ო (იქვე, 32). ყურადღებას მიაქციეთ, რამდენად ეჭვით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული ავტორი, თუ-კი გაბრიელისა და ლეონის თვით-მხილველ სულიერ ძმებს

თუ არა ფიცით სხვაფრივ არ დაუჯერა. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს საქმე წმინდანებს შეეხებოდა და ამისთანა საქმეებში ეჭვი საშუალო საუკუნოებში, მეტადრე მე-XI საუკ., დიდ თავისუფლებად და გამბედაობად უნდა ჩაითვალოს. მაშასადამე ავტორი ყოველგვარს თუნდაც თვით მნახველის ნაამბობს და თუნდაც წმინდანის შესახებ მოთხრობილს ისე ადვილად არ დაიჯერებდა. რასაკვირველია ეხლა ეს ამბავი ჩვენ სულ სხვა გვარად შეგვიძლიან ავხსნათ, მაგრამ ამის გამო გიორგი მთაწმიდელს ვერ ვუსაყვედურებთ, იმიტომ რომ ჩვენსა და მას შორის რვა საუკუნეზე მეტი მანძილი ძევს და შეუძლებელია მე-XI საუკუნის მეცნიერი მე-XIX—XX-ს. მეცნიერების აზრისა იყოს.

ყურადღების ღირსია, რომ გიორგი მთაწმიდელს მარტო ზეპირ წყაროებით სარგებლობა არ აკმაყოფილებდა. „ჩუენ თავით თჳსით არა რაჲ აღგჳწერია, არამედ რაჲ იგი ვისწავეთ*)... თჳთ მებრ მათ საქმეთაგან, რომელნი იგინი დუმილით წამებენ და კმამაღლად ქადაგებენ ღვაწლთა და შრომათა მათთა: ლავრაჲ ესე დიდებული.. რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი ცათა მობაძავნი და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა და მოუგნეს დაბანი და სოფელნი და მონასტერნი და საყუდებულონი და განუწესნეს წესნი და კანონნი დიდებულნი და ყოვლად შუენიერნი და დაუსხნეს სიმტკიცენი და კელითწერილნი და ოქრობეჭედნი ღუთის-მსახურთა მეფეთანი... შეამკვეს და აღაყუავეს ენაჲ ჩუენი და ქუეყანაჲ თარგმანებითა წმიდათა წერილთაჲ“-ო (იქვე, გვ. 3).

მაშასადამე სანდო ზეპირ წყაროების გარდა ჩვენს ისტორიკოსს საჭიროდ მიაჩნდა თავის თხზულება დაეწერა „თჳთ მებრ მათ (ესე იგი იოანეს და ეფთჳმეს) საქმეთაგან, რომელნი იგი დუმილით წამებენ და კმამაღლად ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“, ესე იგი ისეთ ნივთიერ საბუთებით, რომელნიც დუმილითაც-კი მოღვაწეთა დიდ საქმეებს ამტკიცებდენ. საყურადღებოა, რომ ავტორი ნივთიერ წყაროებად ყოველგვარ მასალებსა სთვლიდა, როგორც სამეურნეო ქონებას, რომელიც მათ ივერთა მონასტერს შესძინეს, მაგ. ლავრა, ეკლესიანი, დაბანი, სოფელნი, მონასტერნი და დასაყუდებულონი, ისე სხვა-და-სხვა სამწერლობო ძეგლებსა და იურიდიულ საბუთებს, მაგ. წიგნები, რომლებითაც მათ ლავრა აავსეს, მათ თარგმანებით შემკული და აყვავებული ქართული ენა, მათ მიერ დადგენილნი სამონასტრო წესნი და კანონნი, მფლობელობის სიმტკიცენი, კელწერილნი და ბიზანტიის კეისართა ოქრობეჭედნი, ანუ ხრიზობულნი. ერთი სიტყვით გიორგი მთაწმიდელს უსარგებლია მათი მოღვაწეობის დამახასიათებელ ყოველგვარ ნაშთებითა და საბუთებით. თხზულების დაწერის დროს არც ერთი მცირედი და წვრილმანი მასა-

*) შემდეგი ზემოდ იყო მოყვანილი.

ლაც-კი არ გამოჰპარვია ავტორის ყურადღებას: შეწირულ სამკაულისა და ხატების ნუსხაც-კი არ დაჰვიწყებია მას. გიორგი მთაწმიდელი მართლაც უხვად სარგებლობს ყოველგვარ წერილობითი საბუთებით (იხ. მაგალითად გვ. 4, 18, 24, 35).

როგორც ეტყობა გიორგი მთაწმიდელი მხოლოდ „ხელითა-ნუსხა“-ს სთვლიდა „ჭეშმარიტ“, „უტყუველ“, და გამოსადეგ მასალად, ე. ი. ისეთს საბუთებს, რომელიც თვით იმ მოღვაწის საკუთარ ხელით იყო ნაწერი. იგი მაგალითად ერთ ალაგას მკაფიოდ ამბობს: „ესე ყოველი თჳთ წმიდისა მამისა ეფთჳმესა ხელითა ნუსხისაგან დაგვიწერია, ვინაჲცა ჭეშმარიტ არს და უტყუველ“-ო (იქვე, 18). ცოტა ქვემოდ იგივე ავტორი ამბობს: „ესეცა ყოველი მამათავე ჩუენთა დაწერილისაგან დაგვიწერია“-ო (იქვე, 18). ერთი სიტყვით გიორგი მთაწმიდელის თხზულებიდგან ნათლადა სჩანს, რომ მას კარგად ესმოდა, რა დიდი განსხვავებაა საბუთის დედანსა და მის პირს შორის, კარგად სცოდნია, რომ ეჭვმიუტანელ, საუკეთესო საბუთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ საბუთის დედანი, რომელიც თვით მოღვაწის საკუთარ ხელით არის ნაწერი. ეხლა ვერც-კი დავაფასებთ ღირსეულად, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა გიორგი მთაწმიდელის ამ შეხედულობას ისტორიის მეთოდების წარმატებისათვის.

ამგვარად ცხადია, რომ გიორგი მთაწმიდელის მეთოდოლოგიურ შეხედულობისდა თანახმად ისტორიკოსს, თუ-კი სურდა რომ მისი თხზულება სარწმუნო ყოფილიყო, „თავით თჳსით“ არაფერი უნდა დაეწერა, არამედ უნდა ზეპირ წყაროებითა და ნივთიერ საბუთებით ესარგებლნა. ზეპირი ცნობები უეჭველად „კაცთა სარწმუნოთაგან“ და თვით-მხილველთაგან უნდა ყოფილიყო შეკრებილი. ხოლო ნივთიერ საბუთებად ყოველგვარი ნაშთი და ძეგლი ჩაითვლებოდა. ერთი სიტყვით მოღვაწეთა ყოველი „საქმენი, რომელნი იგი დუმილით წამებენ და ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“. თანამედროვე საისტორიო მეთოდოლოგია ამ მხრივ ასეთისავე წყაროებითა და ამგვარისავე საშუალებებით სარგებლობს. ქართულ მწერლობაში მაშასადამე მეთერთმეტე საუკუნეში გიორგი მთაწმიდელის წყალობით საისტორიო თხზულებათა მეთოდოლოგიური მხარე იმდენად განვითარებული და დამთავრებული იყო უკვე, რომ თანამედროვე მკაცრ სამეცნიერო მოთხოვნილებასაც-კი დააკმაყოფილებს.

გიორგი მთაწმიდელის სიტყვებითგანა სჩანს, რომ ვიდრე იგი თხზულების წერას შეუდგებოდა, მას უკვე გეგმა მოფიქრებული ჰქონია, მაგრამ წერის დროს იძულებული ყოფილა შეეცვალა მოთხრობის წეს-რიგი და დროებით გეგმისათვის თავი დაენებებინა. გიორგი ამბობს: „გარნა, რომლისა იგი ზემორე მეგულებოდა თქუმაჲ, იგი ხოლო ვქუა პირველად და მერმე...

მოკლითა სიტყვთა მიგითხრა, რამეთუ ვინაჲთგან დღეთა ამათ უკუანაჲსკნელთა მოვიწიენით და, ვითარცა ხედავთ, ფრიადი სიგრილე იხილვების ჩუენ შორის, ნუ უკუე ვინმე ჰგონებდეს და აცთუნებდეს თავსა თჳსსა თუ პირველითგან ესრეთ იყვნეს ძმანი ჩუენნი, ნუ იყოფინო“ (იქვე 5). მაგრამ შემდეგ, როცა ავტორს თავის დამამტკიცებელი საბუთები მოჰყავს, იგი ისევ მოთხრობის დედააზრს უბრუნდება და ამბობს: „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ“-ო (იქვე 5).

რასაკვირველია გიორგი მთაწმიდელს უფრო მეტი ცნობები ჰქონდა, ვიდრე თავის თხზულებაში მოყვანილი აქვს. ბევრგან იგი თვით ამოკლებს მოთხრობას: „აქა უკუე დავაცადოთ ესევითარისა ამის პირისათჳს სიტყუაჲ, ამბობს იგი, რამეთუ ვითარცა ვთქუთ, არცა თუ შესაძლებელ არს ყოველთა მათ ქველის-საქმეთა მათთა თითოეულად წარმოთქუმაჲ“ (იქვე, 19).

„ცხორება“ რასაკვირველია წასაკითხავად იყო დაწერილი (იქვე 17) და ავტორი ცდილობდა მისი თხზულება ადვილი და სასიამოვნო წასაკითხავი და მოსასმენი ყოფილიყო და მეტის მეტად გაჭიანურებული, გრძელი არ გამოსულიყო. ამიტომ გიორგი მთაწმიდელს ი~ე და ეფთჳმის შესახებ ყველაფერი-კი არა აქვს მოთხრობილი : გამოწულილვით კი არ აღწერს“ ხოლმე (იქვე 15), არამედ მხოლოდ ზოგიერთი. ერთს ადგილს იგი თვით ამბობს: „რომელთაგანნი რაოდენიმე მოვიკსენოთ და სხუაჲ იგი დავაცადოთ, რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას და საწყინო ვიქმნეთ მკითხველთა და მსმენელთა“-ო (იქვე, 16—17). უეჭველია, ავტორს გარკვეული შეხედულება უნდა ჰქონოდა იმაზე თუ, როგორ უნდა ყოფილიყო თხზულება დაწერილი. „ცხორების“ წერის გარეგანი, ტეხნიკური მხარისათვისაც განსაკუთრებული კანონი არსებობდა. ზემომოყვანილ ნაწყვეტითგანაც სჩანს, რომ კარგს ავტორს, რომელსაც არა სურდა მკითხველთათვის „საწყინო“ ყოფილიყო. უნდა რაც შეიძლება მოკლედ ეწერა, „რათა არა ფრიადი სიმრავლე წერილისაჲ იქმნას“. ამისთვის ავტორს თვითოეული აზრის დასამტკიცებლად მხოლოდ ორიოდე მაგალითი უნდა მოეყვანა ხოლმე, დანარჩენი-კი გამოეტოვებინა („სხუაჲ იგი დავაცადოთ“). მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელი ამა-თუ-იმ მოღვაწის საითნოებათა „გამოწულილვით აღწერასა“ „ნეფსით თანაწარკდებოდა“ ხოლმე (იქვე 15). ცხადია, რომ ავტორი დაწვრილებით მაშინ მოგვითხრობდა ხოლმე, როცა ეს მკითხველის სულისთვის მარგებელი იქნებოდა.

რასაკვირველია ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ადამიანი არ ასრულებს თავისსავე თეორიულს მისწრაფებას. ჩვენს ისტორიკოსსაც შეეძლო საუცხოვო აზრები გამოეთქვა საისტორიო მეთოდების შესახებ, მაგრამ თვითონ პირნათლად ვერ აესრულებინა თავის მოვალეობა. მაშინაც, უეჭველია, მის ღვაწლს ღირსება არ მოაკლდებოდა. მაგრამ ასკეცად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს და ფასიც უმაღლესი ედება იმ ისტორიკოსს და მეცნიერს, რომელიც

თავის მაღალ მეთოდოლოგიურ იდეალს თითონაც ნამუსიანად იცავს და ბრწყინვალედ ახორციელებს. სწორედ ამის გამო გიორგი მთაწმიდელი ქართულ საისტორიო მწერლობაში შესანიშნავ მეცნიერ ისტორიკოსად უნდა ჩაითვალოს: იგი სინიდისიერად მისდევს თავის ზემოაღნიშნულ მეთოდების [illegible] და ერთს სტრიქონშიაც-კი ჭეშმარიტებას არა ჰღალატობს. თვითოეული მისი ცნობა დამყარებულია მართლაც უტყუარ საბუთებზე და ეხლაც მათი ჭეშმარიტების დამტკიცება შეიძლება. ამნაირ მაგალითების ბლომად მოყვანა ადვილია. მაგრამ მხოლოდ რამდენსამეს მოვიყვან:

გიორგი მთაწმიდელს მოთხრობილი აქვს, რომ ეფთჳმე, „რომელი იგი გამოჩნდა სამკაულად ნათესავისა ჩუენისა და მობაძავად წმიდათა მოციქულთა განანათლა ქართველთა ერსა და ქუეყანასა..., ვითარცა წამებენ მის მიერ თარგმნილთა წიგნთა შინა აღწერილნი ანდერძნი, ამის ღირსისა (ე. ი. ეფთჳმის) მამის იოანეს მოღუაწებითა განსწავლულ იქმნა ყოვლითა სიბრძნითა განმანათლებლად და შემამკობელად ეკლესიათა ჩუენთა“-ო (იქვე, 4). პატარაობითგანვე მოყოლებულიო, ამბობს გიორგი მთაწმიდელი, იოანე თავის შვილს მუდმივ აგონებდა: „შვილო ჩემო! ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმრთისა მოუმადლებია შენდა. აწ იღუაწე, რათა განამრავლო სასყიდელი შენი ღუთისაგან“-ო (იქვე 26). მაშასადამე იოანეს საგანგებოდ გაუწვრთნია და მოუმზადებია თავისი შვილი, რომ მთარგმნელობა შესძლებოდა. ჩვენი ავტორის ეს ცნობა სრული ჭეშმარიტებაა. ეფთჳმის მამას იოანეს მართლაც მათეს თავის სახარების თარგმანში „ანდერძი“ აქვს დაწერილი, სადაც ამბობს: „ენასა ამას ჩუენსა ქართულსა არავინ სადა პოვნილ იყო აქამომდე, რათამცა გამოეხვნენ წმიდანი ესე წიგნნი, თარგმანებანი წმიდისა სახარებისანი, არამედ საბერძნეთისა ესე ეკლესიანი და ჰრომისანი სავსე იყვნეს ამათგან, ხოლო ჩუენისა ამის ქუეყანისანი ნაკლულევან და არა ესოდენ წიგნნი აკლდეს ენასა ჩუენსა, არამედ სხუანიცა მრავალნი. ამისთჳს მე გლახაკი ესე და ნარჩევი ყოველთა მონაზონთაჲ იოანე მწუხარე ვიყავ ამის საქმისათჳს, რომელ ესრეთ ნაკლულევან იყო ქუეყანაჲ ქართლისაჲ წიგნთაგან და დიდი ხარკებაჲ და მოღუაწებაჲ ვაჩუენე და შვილი ჩემი ეფთჳმე განვსწავლე სწავლითა ბერძულითა სრულიად და გამოთარგმანებად წარვჰმართე წიგნთა ბერძულისაგან ქართულად და აღიწერნეს ჩუენ მიერ“-ო (წყაროსთავის მე-XI-ე ს. ხელთნაწერი, იხ. თ. ჟორდანია, ქ-კები II, 240—1).

გიორგი მთაწმიდელს „ცხორება“-ში ეფთჳმის ყველა ნათარგმნ წიგნების ნუსხა მოჰყავს. ამ ნუსხის სიმართლის დამტკიცებაც ადვილად შეიძლება. იმავე მათეს თავის თარგმანების „ანდერძში“ იოანეს ჩამოთვლილი აქვს თავის შვილის ნათარგმნი წიგნები, აი ორივე ნუსხა:

ანდერძით:

„პირველად თარგმანებაჲ იოანეს თავისა სახარებისაჲ

მერმე სწავლანი წ̃ისა მამისა ჩ̃ნისა ბასილისნი თავი: ლ:

მისივე თარგმანება ფსალმუნთაჲ თავი: იბ:

წიგნი ი̃ნესი რ̃ლ არს კლემაქსი: ლ:

წიგნი მაკარისი სრულიად

მიმოსლვაჲ და ქადაგებანი წ̃ისა ანდრია მოციქულისანი

წიგნი წ̃ისა ისაკისი და სხუათა მამათა გამორჩეულნი სწავლანი

წიგნი წ̃ისა დოროთესი

წამებაჲ და სასწაულნი წ̃ისა მოწამისა დიმიტრისნი

ცხორებაჲ და წამებაჲ წ̃ისა სტეფანე ახლისაჲ

ცხორებაჲ და წამებაჲ წ̃ისა კლიმინტოს ჰრომთა პაპისაჲ

წამებაჲ წ̃ისა კლიმი ანკჳრელისაჲ

ცხორებაჲ წ̃სა გრიგოლი ღ̃თისმეტყუელისაჲ დ თქმულნი მისნი

ცხორებაჲ წ̃ისა ბასილი კესარიელისაჲ

ცხორებაჲ წ̃ისა ბაგრატისი

წამებაჲ წ̃თა სამთა ყრმათაჲ: ალფიოს; ფილადელფიოს და კჳრინესი

ცხორებაჲ წ̃ისა ონოფრესი

ცხორებაჲ მარიამ მეგჳპტელისაჲ სრულიად

სწავლანი წ̃ისა ზოსიმესნი და წ̃ისა ეფრემსნი

სჳნაქსარი ბერძული რომელ არიან კრებანი

ცხორებით:

თარგმანებაჲ იოანეს თავისა სახარებისაჲ.

სწავლანი წმიდისა მამისა ჩუენისა დიდისა ბასილისნი

მისივე თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ

წიგნი წმიდისა კლემაქსისი

წიგნი წმიდისა მაკარისი

მაქსიმეს სწავლანი

წიგნი წმიდისა ისაკისი, რომელსა შინა არიან სხუათაცა მამათა გამორჩეულნი სწავლანი.

წიგნი წმიდისა დოროთესი

წამებაჲ და სასწაულნი წმიდისა მთავარმოწამისა დიმიტრისნი.

ცხორებაჲ და წამებაჲ წ̃ისა სტეფანე ახლისაჲ

ცხორებაჲ და წამებაჲ წმიდისა კლემენტოს ჰრომთა პაპისაჲ

წამებაჲ წმიდისა კლიმი ანკჳრელისაჲ

ცხორებაჲ წმიდისა და დიდისა ბასილი კესარიელისაჲ

ცხორებაჲ წმიდისა გრიგოლ ღუთის მეტყუელისაჲ და თქუმულნი მისნი

წამებაჲ წმიდისა აკეფსიმაჲსი

ცხორებაჲ წმიდისა ბაგრატისი

. . . .

წამებაჲ წმიდათა სამთა ყრმათა ალფიოს, ფილადელფიოს და კჳრინესი

ცხორებაჲ წმიდისა ონოფრი მძოვრისაჲ

ცხორებაჲ წმიდისა მარიამ მეგჳპტელისაჲ

სწავლანი წმიდისა ზოსიმესნი

. . . .

მიმოსლვანი და ქადაგებანი წ~ისა იოანე მახარებლისანი

თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისაჲ

დასდებელნი მარხვათანი სრულიად და სხუათა წ~თა გალობები

წამებაჲ წ~სა მოწამისა პროკოპისი

თარგმანებაჲ მათეს თავის სახარებისაჲ

(წყაროსთავის XI-ს. ხელთნაწერი, ქ~კები I, 141—142. შეადარე აგრედვე იქვე, გვ. 164, 168, 169, 170, 171, 172, 179)

სჳნაქსარი საწელიწდოჲ უმცროჲსი

მიმოსვლანი და ქადაგებანი წმიდისა იოანე მახარებლისანი

თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისაჲ

დასდებელნი მარხვათანი სრულად და მრავალთა წმიდათა გალობები (sic)

წამებაჲ წმიდისა მოწამისა პროკოპისი.

თარგმანებაჲ მათეს თავის სახარებასაჲ

მიმოსლვანი და ქადაგებანი წმიდისა ანდრია მოციქულისანი (იქვე, 27—9).

ამ ორ ნუსხის შედარება საუცხოვოდ გვიჩვენებს, რამდენად სვინდისიანად სარგებლობდა გიორგი მთაწმიდელი თავის წყაროებით: ნუსხა სიტყვა სიტყვით არის გადმოწერილი. რაც იოანეს ანდერძში ვერ ეწერებოდა იმიტომ რომ მის სიკვდილის შემდეგ ეფთჳმეს კიდევ ბევრი უთარგმნია, იმ წიგნების შესახები ცნობები ავტორს დედნებითგან აქვს ამოღებული. საზოგადოდ თვითოეული ცნობა, რომელიც-კი მოჰყავს გიორგი მთაწმიდელს იოანესა და განსაკუთრებით იმის შვილის ეფთჳმისა, ან ივერთა მონასტრის შესახებ, თუ უტყუელ ზეპირ გადმოცემაზე არა, უეჭველად ამა-თუ-იმ წერილობითსა და ნივთიერს საბუთებზე აქვს დამყარებული.

ამ თხზულების დაუფასებელს თვისებას სწორედ ის გარამოება შეადგენს, რომ „ცხოვრება"-ში ასე უხვად შეტანილი ცნობები უმეტეს ნაწილად საბუთებითგან არის ამოღებული. გიორგი მთაწმიდელი თავის წინამორბედს გამოჩენილს ქართველს მთარგმნელს ეფთჳმეს თავგანწირულ მუშაკად და მოღვაწედ ჰსახავს: თავის თავს არა ჰზოგავდა და ღამეებს თეთრად ათენებდა ხოლმე, ოღონდ კი თარგმნისათვის მეტი დრო ჰქონოდაო. მონასტრის წინამძღვრობის დროსაც ეფთჳმე, თუმცა დრო და მოცალეობა ძალიან ცოტა რჩებოდა, მაგრამ „მის ყოვლისა თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არ დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადვე იჳირვინ და ღამეთა ათევნ: რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან, ვითარცა ვთქუთ, ფრიადისა უცალოებისაგან

და საურავთა“-ო (იქვე 30). სრული ჭეშმარიტებაა. ეს ცნობებიც ნამდვილ საბუთებზეა დამყარებული. თითონ ეფთჳმე თავის ნათარგმნ გრიგოლის ცხოვრების ბოლოში სწერს: „ლოცვა ჰყავთ გლახაკისა ეფთჳმესთჳს მთარგმნელისა და შემინდევით: მრავალთა ზრუნვათაგან დიდითა შრომითა და ჭირრითა დამიწერია“-ო (ქ'კები I, 164). ხოლო მათეს თავის სახარების თარგმანების ბოლოს ეფთჳმე პირდაპირ ამბობს: „ვინცა იკითხვიდეთ შრომისათვის ლოცვა ყავთ და ზომად წერისათჳს შემინდევით: უცალო ვიყავ და უფროჲსი ღამით მიწერია“-ო (ქ'კები I, 139).

ერთი სიტყვით, გიორგი მთაწმიდელის თხზულება უაღრეს ნდობის ღირსია, მრავალ მხრივად შინაარსიანია, ღრმა და მაღალ საზოგადოებრივ და ეროვნულ აზრებით გამსჭვალულია. საუცხოვო ქართულით და მომხიბლავ გულწრფელ კილოთი ნაწერი იგი სამართლიანად ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის საუკეთესო ძეგლად უნდა ჩაითვალოს. გამოცემულია ორჯერ, პირველად საბინინის მიერ (საქ. სამოთხე), მეორედ 1072 წ. ხელთნაწერისდა მიხედვით საეკლ. მუზეუმის მიერ 1901 წ., გიორგი მთაწმიდელს იმდენად დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოსა და ქართულ საისტორიო მწერლობის წინაშე, რომ მისი თხზულება უკეთეს გამოცემის ღირსია, ეს ჩვენი მოვალეობაც არის.

გიორგი ხუცეს-მონაზონი.

გიორგი ხუცეს-მონაზონმა, როგორც იგი თავის თავს უწოდებს*) (ქ'კები II, 231), დასწერა „ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“, რომლის მოწაფედაც იყო იგი მრავალ ხნის განმავლობაში.

გარდაიცვალა თუ არა გიორგი მთაწმიდელი, ქართველ მოწინავე წრეებში მაშინვე სურვილი აღიძრა, რომ განსვენებულ შესანიშნავ მოღვაწის დაუღალავ მოქალაქობის შესახები ცნობები შეკრებილიყო და აეწერათ. რასაკვირველია უველაზე კარგად და დაწვრილებით მისი თავგადასავალი უნდა იმისვე საყვარელს და ერთგულს მოწაფეს სცოდნოდა, რომელიც თავის მოძღვარს სამარის კარამდის უველგან თან ახლდა ხოლმე. ამიტომ, ვისაც-კი სურვილი გამოუთქვამს, სწორედ ამ გამოჩენილი კაცის შეგირდისათვის მიუმართნია, რომ ამ საქმის განხორციელება თავს ედვა. სურვილი მრავლმხრივ იყო გამოთქმული

---

*) თუმცა გიორგი მთაწმიდელიც ხუცეს-მონაზონი იყო, მაგრამ, რაკი იგი განსაკუთრებით მთაწმიდელად არის ცნობილი, მის მოწაფეს ხუცეს-მონაზონს ვუწოდებთ.

და თვითოეულს, რასაკვირველია, ამ საგნისათვის თავისი საკუთარი გეგმა ჰქონდა. თავდაპირველად ხმა გიორგი დაყუდებულმა ამოიღო, რომელიც გიორგი მთაწმიდელის მოძღვრად და სულიერ მამად ითვლებოდა, და ორჯერ მოსწერა ეპისტოლე ავტორს. რაკი იგი თვით არ იყო „უმეცარ... ცხორებასა განთქმულისა ამის კაცისა სიჩჩაბუკითგან მისით ვიდრე სიბერედმდე“ (საეკლ. მუზ. გამ. გვ. 280), ამიტომ მას სურდა მხოლოდ, „რათა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსლვისა წმიდის ამის მამის ჩუენისა უნაკლულოდ“ მოეთხრო (იქვე 281). ამგვარივე სურვილი გამოუთქვამს ბაგრატ მეფის კონსტანტინეპოლში გაგზავნილ მოციქულს, მთავარ-ეპისკოპოზს იოანე ჭყონდიდელს (იქვე 281). მაგრამ სხვები, რომელნიც „დღითი დღე“ აიძულებდნენ საქმეს შესდგომოდა, სამართლიანად ამტკიცებდნენ, რომ „არა თუ მიცვალებისათჳს, არამედ სრულად ცხორებისაცა და მოქალაქობისა მისისა აღწერისათჳს“ მიექცია ყურადღება და სავსებით აეწერა (იქვე 281).

გიორგი მთაწმიდელის ცხორების აღწერას ავტორი თითონაც მოწადინებული ყოფილა, „რათა ჩუენ მოკსენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთათა დღითი დღე ფრთოვან ვიქნებოდეთ ბაძვად სათნოებათა“ და „არა დავიწყებულ იქმნეს მომავალთაგან შემდგომითი შემდგომთა ნათესავთა“ განაო (იქვე, 281). მას ჰსურდა, რომ საქართველოს სახელოვან მოღვაწის თავგადასავალი და მოქალაქობა „ცნას თესლმან სხუამან და შვილნი რომელ იშვებოდიან, აღდგენ და მიუთხრობდენ მამანი მათნი შვილთა თჳსთა“-ო (იქვე 280). გიორგი მთაწმიდელის ცხორებისა და მოღვაწეობის ისტორიას მაშასადამე ავტორის აზრით ქართველთა თანამედროვე და მომავალი თაობანი უნდა აღეფრთოვანებინა და მიბაძვის სურვილი აღეძრა, ზნეობრივი გავლენა ჰქონოდა და მოღვაწეთათვის სამაგალითოდ გამხდარიყო. „ესე არიან მიზეზნი ჩემისა მეტყუელებისანი, რომელთა მიერ ვიიძულები და ვითარცა დეზითა... გონებაჲ ჩემი შინაგან იწერტების და აღმძრავს სიტყუად“-ო, ამბობს ავტორი (იქვე 282).

ჩვენი ისტორიკოსი იმათ აზრს მიემხრო, რომელთაც გიორგი მთაწმიდელის მთელი თავგადასავლის გაგება სურდათ, და გადასწყვიტა დაეწერა „ყოველივე სახე ცხორებისა მისისა შობით მისითგან და ვიდრე აღსრულებადმდე (იქვე 285). თავისი მოთხრობა ავტორს ორ უმთავრეს ნაწილად აქვს გაყოფილი. თვითოეული ნაწილი ცალკე, გარკვეულ საკითხის პასუხია. თითქმის ყველა ეს საკითხები იმ პირების წამოყენებულია, რომელთაც მას გიორგი მთაწმინდელის ცხორების აღწერა სთხოვეს. ერთ ალაგას მას მაგალითად აღნიშნული აქვს: „უწყი, ვითარმედ მრავალთა გსურის სმენად, თუ ვინა ისწავა ბერძული სწავლაჲ, გინა ვინა დაგჳნჯა სათვალე ესე მოუკლებელი“-ო (იქვე, 290). მეორე ალაგას კიდევ შემდეგ სიტყვებს ეუბნება გიორგი დაყუდებულს: „აქამომდე არს სიტყუაჲ ჩუენი ზემოკსენებულთა ძმათა მიმართ,

რომელთა გვაიძულეს შობითგანვე აღწერა ცხორებისა მისისა, ჵ ნეტარო, რამეთუ თქუენ აქამდე ყოველსავე თჳთ მეცნიერ ხართ... ხოლო ამიერითგან წარსლვისა ჩუენისათჳს აღმოსავლეთად და ვიდრე სამეუფოდ მოსლვადმდე და ამიერ სოფლით მიცვალებადმდე ყოველივე ვაუწყო სიწმიდესა თქუენსა“-ო (იქვე 318).

მაგრამ ავტორს თვითოეულ ამ ორ ნაწილისთვისაც გეგმა შეუმუშავებია და ამისდა მიხედვით მოუწყვია თავის „სიტყუათა სარბიელი“-ც (იქვე 288) ანუ მოთხრობის მიმდინარეობა. ერთგან მაგალითად იგი თვით ამბობს: „აქა სრულ ვჰყო სამცხეს ზრდილობისა მისისათჳს სიტყუაჲ და მერმე მოვიცვალო გონებითა და ხახულის მისლვისა და სწავლისა მისისა და ვთქუა თუ სრულად განათლებისა მისისათჳს, ყოველივე სულმცირედ და მოკლედ მიგითხრა“-ო (იქვე, 288). როცა ჩვენი ისტორიკოსი გიორგის ძლევა-მოსილ პაექრობის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ანტიოქელ სამღვდელოებასთან ჰქონია ქართულ ეკლესიის დამოუკიდებლობის გამო, მას დაძენილი აქვს: აქამომდე არს პატრიაქისა მიმართ სიტყჳსგებისა და სიყვარულისა მისისა მიმართ წარმოთქმა“-ო (იქვე, 316). ერთი სიტყვით, როცა გიორგი სწერდა, გეგმა დაწვრილებით გამორკვეული ჰქონია და გაუთვალისწინებია, სად რა უნდა მოეთხრო და ეთქვა: „იყო ნეტარი ესე... ნათესავით ქართველი, ხოლო მამეულად... მისგან... ქუეყანისა, რომელსა სამცხე ეწოდების. ხოლო თჳთ აღმოცენდა იგი ქუეყანასა თრიალეთისასა, ვითარცა პირმან საქმისამან გაუწყოს“-ო (იქვე 285)

თვითოეულ თავის აზრის დასამტკიცებლად და დასასურათებლად ავტორს ყოველთვის თავის მოძღვრის ცხოვრებითგან და დაუღალავ მოღვაწეობითგან მაგალითები მოჰყავს ხოლმე. ხოლო რომ მოთხრობის მიმდინარეობა და უმთავრესი მიზანი მკითხველს არ დაჰკარგვოდა, იგი ამისთანა შემთხვევაში მაგალითების შემდეგ მოაგონებდა ხოლმე მკითხველს: „ესე ამისათჳს ვაკსენეთ რათა სცნათ“ ესა და ესაო (იქვე 297, 303, 322), ეხლა კი „მე სარბიელსავე სიტყუათა ჩემთასა ვიდოდი“-ო (იქვე 288), ან არა და „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვედით“-ო (იქვე, 286, 296, 297, 300, 309).

რასაკვირველია გიორგი მთაწმიდელის შესახებ ავტორს ყველაფერი არ მოუთხრია. მან გაცილებით უფრო მეტი იცის და მხოლოდ ზოგიერთს გვიამბობს. „დავიდუმოთ სიმრავლისაგან ზოგად მაღალთა მათ ღუაწლთა მისთა, რომელნი ღუთისა ეკლესიისითვის მან თავს ისხნა. გარნა ვაკსენოთცა, რომელთა იგი კსენებაჲ წმიდაჲ არს და სარგებელ და სათნოებათა და მოღვაწებათა მიმართ მაწუეველ“-ო, აცხადებს ავტორი (იქვე 283). მრავალ მაგალითებითგან მაშასადამე მხოლოდ ორიოდე, განსაკუთრებით უფრო თვალსაჩინო, აღმაფრთოვანებელი მაგალითი მოჰყავდა გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებითგან, ისეთი მაგალითები, რომელნიც ადამიანს მიბაძვის სურ-

ვილს აღუძრავდა და ზნეობრივად აამაღლებდა. მართლაც თავის თხზულებაში მას რამდენჯერმე აღნიშნული აქვს, ესა და ეს გარემოება განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია, იმიტომ მოვიხსენეო, „რომელი იგი არა ღირს არს დუმილი, არამედ ღირს კსენებისა და შუენიერებაჲ აღწერისა“-ო (იქვე 303) და შემდეგ თვით დამამტკიცებელი მაგალითიც მოჰყვანილი აქვს. ერთ ალაგას კიდევ ავტორი ამბობს: „მდიდართა კულა საფასეთა განბნევისათჳს და თუ ვითარ უმეტეს ყოვლისა გლახაკთა წყალობასა ამცნებდა, ძალმან სიტყვსამან გამოაცხადოს, რათა გეუწყოს მოწყალებაჲ იგი სულისა მისისა“-ო და იქვე მაგალითია მოთხრობილი (იქვე 323).

ავტორს მრავარჯერ აღნიშნული აქვს: ჩემს აზრს „წარმოვთქუ ფრიად მოკლედ და სულ მცირედ“-ო (იქვე 318). იმ შემთხვევაშიაც, როცა მას დიდმნიშვნელოვან საგანზე ჰქონდა საუბარი და „მოსაკსენებელად არა უჯერო“ მიაჩნდა, მაინც „მცირედი უწყებაჲ“ მოჰყავდა (იქვე, 322).

გიორგი ხუცეს-მონაზონი სინიდისიერად ასახელებს ხოლმე, რაზე ჰქონდა დამყარებული თავისი მოთხრობა. თავის წყაროებს იგი თხზულების შესავალშივე ასახელებს: „მე ვიწყო სიტყუად... და რაჲ ოდენ უძლო მარტივად და სულმცირედ აღვსწერო არა თუ სხუათაგან სმენილი, არამედ უმეტეს ყოვლისა წმიდისა და უტყუელისა პირისა მისისაგან მოთხრობილი სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისა, რომელსა იგი ვითარცა ერთგულსა შვილსა არა დამიფარვიდა... ხოლო შემდგომი სარწმუნოთა და წმიდათა უწყებული, რათა ესრეთ ერთობით შევკრიბოთ საწადელი ესე და სასურველი თხრობაჲ... ვითარცა ჯაჭვ ოქროსა ერთობით შეთხზული“-ო (იქვე. 282).

ავტორი მაშასადამე თავის მოძღვარს ჰბაძავს, იმის მეთოდების მისდევს და მხოლოდ „უტყუელ“ წყაროებითა სარგებლობს: ერთის მხრით თვით გიორგის ნაამბობით,—ამაზე ყოფილა დამყარებული თვით ავტორის ყველა ცნობები გიორგის მშობლებისა და ყმაწვილობაზე. მეორეს მხრით „თუალით-მხილველ“, მხოლოდ „სარწმუნო“ თანამედროვეთა მოთხრობით —ამ წყაროზე დამყარებულია მისი თხზულების დანარჩენი ნაწილები. მართლაც ავტორი რამდენჯერმე ამბობს თავის თხზულებაში: გჳთხრობდა თჳთ წმიდაჲ“-ო (იქვე 287), „იტყოდა თჳთ წმიდაჲ იგი“-ო (იქვე 292, 295). ამას გარდა თუმცა ზემომოყვანილ ნაწყვეტში ისტორიკოსი მესამესა და უმთავრეს წყაროს არ ასახელებს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამ წყაროდ თითონ ავტორი იყო, როგორც გიორგი მთაწმიდელის საყვარელი მოწაფე და ერთგული თაყვანისმცემელი. თხზულების ბოლოში იგი თითონაც ლაპარაკობს ამაზე და აღნიშნული აქვს: „ესე იყო ყოველსავე შინა სალხინებელი ჩემი, რათა თუალით მხილველ და კელით მსახურ ყოფილ ვიყავ და ყურით მსმენელ სიტყუათა წმიდისა პირისა მისისათა“-ო (იქვე. 349).

მაინც გიორგის საქართველოსაკენ გამგზავრების ამბითგან მოულოდებელი, რაც ავტორს მოთხრობილი აქვს, ყველაფერი თავის თვალით ნანახი და ყურით გაგონილი ჰქონია, იგი თითონაც მომქმედი პირია (იხ. იქვე, 318 მოულოდებული ბოლომდის, აგრეთვე იქვე, 322).

ამ გვარად, რაც თხზულების მიზანსა და მოთხრობის წესსა და წყაროებს შეეხება, გიორგი ხუცეს-მონაზონი თითქმის ყველაფერში თავის მასწავლებელს ჰბაძავს და მის მიმართულებას და მეთოდებს მისდევს. ამ მხრივ მას ახალი თითქმის არაფერი არ შეუქმნია. მას მხოლოდ ერთი მეთოდი აქვს ნახმარი, რომლისათვისაც მის წინამორბედს ისტორიკოსებს ყურადღება არ მიუქცევიათ. მე შედარებითს მეთოდზე მოგახსენებთ: ავტორი მარტო იმ მეთოდით კი არ კმაყოფილდება, რომ თანამედროვე საზოგადო პირობათა მიხედვით მოღვაწის მოქალაქობა დააფასოს, არამედ ზოგიერთ შემთხვევებში წარსულსა და უცხო ქვეყნების მაგალითებსაც ადარებს განსახილველ მოვლენას ანუ თვისებას და ამისდა მიხედვით ახასიათებს, შედარებითი მეთოდით სარგებლობს. როცა იგი მაგალითად მოგვითხრობს, თუ რა ნაირად შეკრიბა გიორგიმ 80 სული მცირეწლოვანი ბავშვი საქართველოში საშინელ სიმშილობის დროს, გამოჰკვება, შემოსა, ასწავლა და არამც თუ ადამიანებად, არამედ საზოგადოების მარგებელ წევრებად აქცია, ამ დიად ღვაწლის დასაფასებლად ისტორიკოსი ყველა მაგალითებს იხსენიებს, რომელნიც-კი ძველსა და ახალს აღთქმაში, წმიდათა ცხოვრებებში და საეკლესიო ისტორიაში მოყვანილია და შედარების შემდეგ დასძენს, რომ ასეთს საქმეს „ვგონებ თუ დასაბამითგან სოფლისათ და ვიდრე აქამომდე ვერვის კელუყოფიეს და ვერცავინ კელყოფს და შეკადრებს, დაღაცათუ ვინ სად კელჰყოს ესე, ანუ ქალაქთა შინა გინა სოფელთა, მცირეთაგანმან ვინმე წარმართა, კუალად ათნი ვინმე, გინა ათ-ხუთმეტნი, გინა თუ ოცნი შეიწყნარნა და ესეცა ჰასაკად მოსრულნი“-ო (იქვე. 324).

ამავე შედარებითი მეტოდით სარგებლობს ავტორი, როცა გიორგი მთაწმიდელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის დახასიათებას ჰსურს: თავდაპირველად იგი არკვევს, თუ რა იყო იმის წინ გაკეთებული, შემდეგ ჩამოთვლილი და განხილული აქვს, რაც გიორგი მთაწმიდელს უმუშავნია, ადარებს და ამისდა მიხედვით აფასებს მის მოქმედებას. (იქვე, 294—295, 300).

მართალია, ჩვენი ავტორი იშვიათად თუ მიჰმართავს ხოლმე შედარებითს მეთოდს და მაგალითებიც საეკლესიო ისტორიითგან აქვს ხოლმე მოყვანილი, მაგრამ ქართულ საისტორიო მწერლობაში ამ ახალ მეთოდის შემოღების ღვაწლი მაინც მას მიუძღვის.

მთელი თხზულება მშვენიერის, გულწრფელის კილოთი არის დაწერილი და ღრმა გრძნობითა და სიყვარულით არის გამსჭვალული. ავტორის პირადი გრძნობა რასაკვირველია განსაკუთრებით იქ ძლიერდება, სადაც

იგი თავის დიდებულ მოძღვრის და საქართველოს დაუღალავ მოღვაწის გიორგი მთაწმიდელის უკანასკნელ წუთებსა და მიცვალებას გვიხატავს. ღრმა მწუხარებით ევსება გული ისტორიკოსს, როცა იგი მოთხრობის დასასრულს უახლოვდება: „შეძრწუნებულ ვარ და შეშინებულ, ამბობს იგი, რამეთუ აქამომდე გზაჲ სიტყჳსა ჩუენისა წრფელ იყო და ადვილ სავალად, ხოლო აწ იწრო და საჭირო და უღონო ჩუენგან სლვისა, რამეთუ ნავთსადგურსა დუმილისასა მეგულების შესლვა, რამეთუ ჴელი ჩემი ძრწის და სული შეიწრდების, ხოლო გონებაჲ განცჳფრდების"-ო (იქვე, 334). ავტორი გულწრფელად ამბობს: „ეჵა, რაბამ კეთილ იყო კიდრე აქამომდე გზაჲ სიტყჳსა ჩუენისა და, ეჵა, რაბამ საწადელ იყო, უკეთუმცა ამას პირსა ზედა დასრულდებოდა მოთხრობაჲ ჩუენი"-ო (იქვე 340). რაკი გიორგი დაუძლებულისაგან ნაბრძანები მქონდა ამის მოთხრობა, მხოლოდ ამიტომ „კუალად აღვძრა უძლური ენაჲ ჩემი და სარბიელსა სიტყჳსა ჩემისასა კუალად ვიწყო სლვად"-ო (იქვე. 334).

მომხიბლავია და მშვენიერი თავის პოეტურ და ღრმა სიმარტივით გიორგი მთაწმიდელის სიკვდილის აღწერილობა. როცა მომაკვდავმა „დიდად რაჲმე აღმოიფშჳნა ერთგზის მხოლო" (იქვე, 337) და სული ისე წყნარად და დამშვიდებით განუტევა თითქოს ღრმად ამოიოხრა, „მოხუცებულნი იგი... ერისა ვისმე მღდელთაგანს, თავით კერძო ნეტარისა მის მდგომარესა, ეტყოდეს, რათა დაასხნეს ჴელნი თუალთა მისთა წმიდათა, განმანათლებელთა ჩუენთა" (იქვე 337) და მიცვალებულისათვის თვალები დაეხუჭნა. მას-კი ფიქრადაც არ მოსვლია, რომ დიდებულმა მოძღვარმა უკანასკნელი სულთქმა განუტევა და ამის გამო „იგი განცჳფრებული და ვითარცა გონებაჲ-მიღებული, აქა და იქი იხედვიდა და მკსინვარედ ეტყოდა ბერთა მათ ვითარმედ: «სძინავს მამასა ჩუენსა»! ხოლო მას, დასძენს ისტორიკოსი, უკვე „არავისი მსახურებაჲ ეკმარებოდა"-ო (იქვე, 337).

თავის თხზულების ამ ნაწილში ავტორი თავს ვეღარ იკავებს: მის სიტყვებში პირადი მწუხარება და გრძნობა სჩქებს, იგი სასოწარკვეთილია და გულახდილად გაიძახის: „ეჵა, ეჵა, მარადის სასურველნო, რაჲ არს ჩუენი ესე, გლახაკთა ამათ, საიდუმლო! რაჲ არს სიბრძნე ესე ღუთისა გამოუთქმელი"-ო (იქვე 338).

ისტორიკოსი გიორგი მთაწმიდელის პიროვნების მომხიბლავ სულიერ თვისებებსა და ღვაწლს მშვენიერად ახასიათებს: „ვაჲმე ძმანო ჩემნო, ამბობს იგი, აწ დაგუეკშა პირი იგი, რომელი გუწურთიდა დღე და ღამე სჯულსა უფლისასა, წარვიდა გონებისა განზრახვა ჭეშმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული, დაწუხნა თუალნი იგი მართლიად მხედველნი და განმრჩეველნი კეთილისა ბოროტისაგან და უმჯობესისა უდარესთაგან, დადუმნეს ბაგენი იგი მცველნი სჯულისა უფლისასა, შეიკრა ენა იგი ოქრო-სიტყუაჲ და საღმრ-

თოთა ბრძანებათა კმამაღლად მღაღადებელი და ბრწყინვალედ მთარგმნელი ღუთივ-სულიერთა წიგნთა, დაყუდნა კელი იგი შუენიერად მწერალი, რომლითა განანათლნა ეკლესიანი ჩუენნი... დაყუდნა გონებაჲ იგი მხილველი და სიღრმეთა სულისათა გამომეძიებელი, დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდაჲ, მოღვაწებისა შრომითა განლეული“! „ხედავთა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი? მენებაჲ, ამბობს ისტორიკოსი, უკეთუმცა შესაძლებელ იყო, განძლიერებად უძლურებაჲ ჩემი და ამაღლებად კმისა რაჲსამე, ვნებისა ამის შემსგავსებულისა... არამედ რაჲმე ვყო, გინათუ ვითარ ვაიძულო ენასა მსახურებად სიტყვსა, რამეთუ განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა მძიმეთა რათამე საკრველითა რკინისათა შეკრულ არს“-ო (იქვე. 339). ავტორი მართლაც ერთგან ამბობს „ენაჲ ჩუენი ვერ შემძლებელ არს მითხრობად“-ო (იქვე 337) და ამ შემთხვევაში ისტორიკოსის სიტყვები მარტო რიტორიკა არ უნდა იყოს.

ძვირფას და საყვარელ ადამიანის დაკარგვა და სიკვდილი იმდენად თავზარდამცემი გარემოება არის, რომ ამისთანა შემთხვევაში ყველანი თანასწორნი არიან: ამგვარი უბედურება ცივ აზროვნების მიმდევარს ფილოსოფოსსაც, სიკვდილის ნახვასაც მიჩვეულსა და სიკვდილის ცხონებად დამსახველს სასულიერო პირსაც სულიერს სიმშვიდეს ურყევს და ბუნებრივი გრძნობა გონების დამაცხრობელ აზროვნობას სძლევს ხოლმე. სწორედ ამისთანა შემთხვევებში გამოაშკარავდება ხოლმე ყოველგვარ სიკვდილის შესახები ოპტიმისტური რწმენის სისუსტე და უძლურება. ჩვენი ისტორიკოსიც, ბერი და სოფლის ცხოვრებას განშორებული, რომელსაც მუდამ საიქიო ცხორებაზე უნდა ეოცნება, რომელსაც სიკვდილი მხოლოდ ქვეყნიურ საცთურებისა და ბოროტებისაგან განმათავისუფლებელ ბედნიერებად უნდა ჩაეთვალა, თავს ვერ იკავებს და თავის დიდებულ მოძღვრის დაკარგვას ჰგოდებს და სწუხს ჩვეულებრივ ერის კაცსა და მომაკვდავსავით! ამას თვით ავტორიცა ჰგრძნობს და ამბობს: „ჰევედრებით, შემაშრენით მე ცრემლნი ჩემნი, დააცხერით გონებაჲ ჩემი, რამეთუ ვგრძნობ, ვითარმედ უფროს ჯერისა განვალ საზღვართაგან გლოვისათა და ვნებისა ამის სიმძიმითა დედათა მივემსგავსები“-ო (იქვე, 342). მხოლოდ აქ აგონდება ავტორს, რომ თავი ვერ შეიკავა, თავისი გულითადი მწუხარება ვერ დათრგუნა და საყვარელ მასწავლებლის სიკვდილს საეკლესიო მოძღვრებისდა თანახმად სულიერის სიმშვიდით ვერ დაუხვდა. ეხლა-კი „ჯერ არს, ამბობს ავტორი, რათა ამიერითგან მოვაქციო აფრა სიტყვსა ჩემისა და საეკლესიო სიტყუანი აღმოვთქუნე“-ო (იქვე, 342) და აქვე ამგვარად ანუგეშებს თანამედროვეებს: ჩვენ მოძღვარი არ დაგვიკარგავს, „არცა წარვიდა ჩუენგან, არამედ შორის ჩუენსა მდგომარე არს, დაღაცათუ ჩუენ არ ვხედავთ მას“-ო (იქვე, 342). აქ სიკვდილის შესახებაც ავტორი დამშვიდებული მსჯელობს და ამტკიცებს: „ჭეშმარიტად, ესევითარისა კაცისა სიკუდილი

პატიოსან არს წინაშე ღუთისა და უფროსღა არცადა თუ სიკუდილი არს, არამედ განხეთქა საკრველთა“-ო (იქვე. 342).

მაშასადამე გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულება ძვირფასი და შინაარსიანი, ამასთანავე სრულებით სანდო საისტორიო წყაროა და სწორედ სამწუხაროა, რომ იგი აქამდისინ ერთხელაც-კი ჯეროვნად გამოცემული არ არის: ვერც საბინინის გამოცემა „საქ. სამოთხე“-ში, ვერც სალკლესიო მუზეუმის გამოცემა „ათონის კრებულ“-ში ამ მხრივ სამეცნიერო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ეფრემ მცირე.

ეფრემ მცირეს შესახებ მეტად ცოტა ცნობები მოიპოვება. ერეკლე მეფის ნამოძღვრალი ზაქარია ამბობს რომ ძველ წიგნებში მას სხვათა შორის შემდეგი ცნობები უპოვნია: „გამოსჩდეს სამცხით ღირსნი მონაზონნი საბა თუხარელი და ეფრემ მცირე, მოწაფე იოანე პეტრიწისა. ესე ეფრემ ფრიად აიძულა საბა თუხარელმან თარგმანებად რაოდენთამე წიგნთა, რომელნი არა თარგმნილ იყუნეს ენასა ჩუენსა და გადმოსთარგმნა 1) წიგნი დიონისოს არეოპაგელისა, 2) გრიგოლ ღ˜თისმეტყუელისა „ლავსაიკონი“, 3) დავითნის თარგმანი ორ წიგნად, 4) სჯულის კანონი დიდი, 5) და რომელნიმე ცხორებანი და წამებანი წმიდათანი, 6) თეოფილონ ისტორია და 7) თქმული კასიანე მონაზონისანი. ხოლო ეფრემ იყო შავსა მთასა და ოდესმე იერუსალიმსაცა“-ო (თ. ჟორდანია, ქ˜კბი I, 225).

რაკი ეფრების თხზულებათა ნუსხა, როგორც ბ. თ. ჟორდანიას მიერ დიდის გულმოდგინებით შეკრებილ და ხელნაწერებითგან ამოწერილ ცნობებითგან ჩანს, სწორეა, ამიტომ ზაქარია ნამოძღვრალის ცნობები ნდობის ღირსია.

ეფრემ მცირე მაშასადამე სამცხეში დაბადებულა. სად გაუტარებია თავისი ბავშვობისა და ჭაბუკობის ხანა, ან ვისგან უსწავლია თავდაპირველად, არა ჩანს.

ვიცით მხოლოდ, რომ ეფრემ მცირეს მთარგმნელობას ბერი საბა ასწავლიდა. თვით ეფრემს აღნიშნული აქვს, რომ იგი „იყო შემდგომად ღუთისა მიზეზი და მომცემელი ჩემდა თარგმანებისაჲ“-ო (იხილე „გარდამოცემის“ თარგმანის ანდერძი, ქ˜ბი, I, 218—219). საბას გარდა მის მასწავლებლად ანტონი ტბელიცა ყოფილა: თეოფილონ ისტორიის თარგმანის ანდერძში ეფრემი თავის თავს ანტონი ტბელის „უნარჩევლეს მოწაფეს“ უწოდებს (ქ˜ბი I, 220 და II, 43).

საბა და ანტონი ტბელი ორივე ერთად ეფრემ მცირეს სამწერლობო მოღვაწეობას გულმოდგინედ თვალყურს ადევნებდნენ. (იხ. ლავსაიკონის თარგმანი. ქ˝ბი I, 220). როცა ეფრემ მცირეს გრიგოლ საკვირველთ-მოქმედის ცხორების თარგმანი დაუმთავრებია, მაშინ საბა უკვე გარდაცვლილი ყოფილა: ეფრემს ანდერძში მისთვის „საუკუნო საჴსენებელი" უსურვია (ქ˝ბი I, 224).

ეფრემ მცირე იოანე პეტრიწის მოწაფე არ უნდა ყოფილიყო, თუ არა განა ეფრემ მცირეს შეეძლო ეთქვა, რომ იოანე დამასკელის „გარდმოცემა"ს გარდა ქართულად „სხუა არა რაჲ ოდეს თარგმნილა საფილოსოფოთა წიგნთაგანი"-ო (ქ˝ბი I, 215—216).

1080 წელს, როცა ეფრემ მცირეს დავითნის ახალი თარგმანი დაუმთავრებია, ანტონი ტბელი გარდაცვლილი ყოფილა. იგი ამ შრომაში ეფრემს ეხმარებოდა, მაგრამ წიგნის დამთავრებას ველარ მოსწრებია (ქ˝ბი I, 214—215).

ეფრემ მცირეს თანამგრძნობელნი და თანაშემწენი იყვნენ კვრიკე ბერი (ქ˝ბი I, 215, იერუსალიმის ხელთნაწერი № 34 პრ. ნ. მარრის გადმონაწერითგან, „უწყებაჲ მიზეზისა... ქ˝ბი I, 33), არსენი იყალთოელი, გაბრიელი და სტეფანე ჭულეველი (ქ˝ბი I, 219, 221, 224).

1103 წელს ეფრემ მცირე უკვე მკვდარი ყოფილა. ეს ცხადად სჩანს რუის-ურბნისის ძეგლის წერითგან, სადაც ნათქვამია „დაუსრულებელისა ნეტარებისა მკჳდრთა ბერთა ჩუენთა... ეფრემ მცირეჲსაჲ და არსენი იყალთოელისაჲ საუკუნო" (ქ˝ბი II, 71—72) იყოს ხსენება"-ო. *)

ეფრემ მცირე შესანიშნავი მეცნიერი იყო და მისი ღრმა სწავლულობა თანასწორადა სჩანს ყოველ დარგში, რომლისათვისაც-კი მას ხელი მოუკიდნია. თავისი უმთავრესი ძალ-ღონე როგორც სჩანს მაინც მთარგმნელობისა და მთარგმანებლობისათვის შეუღევია და ამ მხრივ რასაკვირველია მისი შემოქმედებითი ნიჭი და ცოდნა შეზღუდვილი უნდა ყოფილიყო. ჩვენთვისაც პირადად მის მოღვაწეობის ამ დარგს ისეთი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად აქაც მისი ნამუშავარი იმდენად საყურადღებოა და თვალსაჩინო, რომ ძვირფას ცნობებს გვაძლევს იმდროინდელ მეცნიერების მდგომარეობის შესახებ.

ეფრემ მცირე ხომ უბრალო მთარგმნელი არ არის, ისეთი მთარგმნელი, რომელიც არც იმაზე ჰფიქრობს, თუ რასა სთარგმნის, არც იმაზე იწუხებს თავს, თუ რა ნაირად განახორციელოს თავისი მოვალეობა, რომ მისი ნაღვაწი ყოველ მხრივ სრული და უზადო გამოვიდეს. იგი მეცნიერი მთარგმნელია, იგი სწავლული ფილოლოგოსია.

---

*) სწორედ საკვირველია: თ. ჟორდანიას არსენი იყალთოელი და ეფრემ მცირე ამ დროს ცოცხალი ჰგონია და საქართველოში ყოფილანო. მით უმეტეს არის საკვირველი, რომ მას თავის აზრის დასამტკიცებლად „ძეგლის წერა" (ქ˝ბი I, 225) აქვს მოყვანილი, სადაც საუკუნო ხსენებაზეა ლაპარაკი.

უმეტეს შემთხვევაში მთარგმნელებისათვის სულ ერთია ხოლმე საითგან სათარგმნიან თხზულებას, ეფრემ მცირემ-კი კარგად იცოდა, რომ მთარგმნელი ყოველთვის უნდა ეცადოს თხზულება დედნითგან გადმოსთარგმნოს, სწორედ იმ ენითგან, რა ენითაც იგი თვით ავტორს დაუწერია. არიანოზსა მიმართ სიტყვის ხელმეორე თარგმანის შესავალში ეფრემ მცირე მაგალითად პირდაპირ ამბობს: ჩემ ეფრემის მიერ „მეორედ ითარგმნა ესე საკითხავი, რამეთუ ნეტარისა გრიგორი უშკელისა მიერ სომხურისაგან ესე ოდენ ვჰპოვე, ხოლო მე სომხურის წილ ბერძულისაგან კვალად მეორედ ვიიძულე თარგმნად, რამეთუ სომეხისა [შვილსა], შვილსა ბერძნისა და შვილიშვილსაღა, ნუ უკვე და არა-უეჭველსა თვთ უეჭვი და საკუთარი შვილი ალვირჩიე“-ო (ქ'გბი I, 227). ეფრემმა იცოდა, რომ პირველ სომეხ მთარგმნელს შეეძლო აქა-იქ, იქნებ ბევრგანაც, სწორედ არ გადმოეთარგმნა, შეცდომები მოსვლოდა, მისი ნათარგმნი დედანზე დაშორებული ყოფილიყო, ამ გვარ ნაკლს კიდევ ქართველ მთარგმნელის ცოდვები მიემატებოდა და ამნაირად ნამდვილი დედნის თანასწორი თარგმანი-კი არ გამოვიდოდა, არამედ საეჭვო ღირსების ნაწარმოები, ნაბიჭვარი.. ამ შეხედულობით ხელმძღვანელობდა იგი ყველა თავის სალიტერატურო ნაწარმოებებში.

შემდეგ, სათარგმნელი თხზულება ეფრემის სიტყვით იმ სახით უნდა ყოფილიყო გარდმოცემული, როგორც იგი დედანშია, მთლად: წიგნის „დაჳრა და განბძარვა“, ესე იგი დანაწილება და შემოკლება (ქ'ბი I, 216, იხილე იოანე დამასკელის „გარდმოცემის“ თარგმანის ანდერძი) არ შეიძლებოდა. თხზულების „ზედაწარწერილი“-სა ანუ სათაურის შეცვლაც არ უნდა ეკისრა მთარგმნელს (იქვე, 218). ყველაფერი ისე უნდა დაეტოვებინა, როგორც თვით დედანში იყო. დედანს მაშინ „დედაჲ“ ეწოდებოდა: უკვე შატბერდისეულს კრებულში გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმე“-ს ბოლოში ნათქვამია, რომ ეს თარგმანი გადაწერილი ყოფილა „დედითა იშხნისაჲთა“ (მ. ჯანაშვილის ქართ. მწერლობა IX—X-ს.), იშხანის მონასტრის ხელთნაწერითგან. ხოლო თვით ეფრემ მცირეც თავისს საყურადღებო თხზულებაში „თარგმანებაჲ ფსალმუნთა წიგნისაჲ“ (ე. თაყაიშვილის გამოცემა. იხ. არხ. მოგზაურობანი 1914 წ. II წ., გვ. 243—269) გვამცნებს: ამ შრომის შედგენის დროს „რაოდენნიცა იყვნეს წიგნის-საცავსა სჳმეონ წმიდისსა თარგმა[ნებაა]ნნი დავითისნი, ყოველნივე დედად მქონდეს“ და ვისარგებლეო (იქვე გვ. $247_{279-281}$). იმავე თხზულებაში ეფრემი ამბობს: „განვრცელებითთა“ თარგმანებებით სრულად ვერ ვისარგებლე, არამედ „ევსუქისი და ასტერისი ადგილ-ადგილ ოდენ, რამეთუ მათნი დედანი სრულებით ვერ ვპოვენ“-ო (იქვე გვ. $249_{412-413}$).

თარგმანი სწორე და რამდენადაც შეიძლება დედანზე ახლო უნდა ყოფილიყო. თვით ეფრემ მცირე გვიამბობს, რომ ჩემი მოძღვარი სულ იმას მამც-

ნებდა, „რათა... სიტყუაჲ მარტივად და შეუზავებლად ვსთარგმნო“-ო (ქკ˜ბი. I, 217). თითონ ეფრემ მცირეს მოსწონდა და „აქებს“ იმ თარგმნის „წესს“, რომელსაც საწინასწარმეტყუელოთა წიგნთა მთარგმნელი მისდევდა. ამ ნაწარმოებში სიტყუაჲ სიტყვსა ნაცვალ შედარებულია ბერძულისა“ (იქვე I, 216). სწორედ ასეთსავე წესს მისდევდა ჩვენი მეცნიერიც, მხოლოდ ერთი არსებითი განსხვავებით: მის ნაწარმოებში „სიტყუაჲ შედარებულია ბერძულისა და მართებითი არა აკლს“ (იქვე I, 216. შეად. ე. თაყაიშვილის **Опис. I, 713**). მაშასადამე ეფრემ მცირეს სიტყვა სიტყვით-კი არ უთარგმნია,—ასეთი თარგმანი მეტის-მეტი მოუხეშავი და უხამსი გამოვიდოდა, იმიტომ რომ ქართული ენის თვისება და კანონები შელახული იქმნებოდა,—არამედ „სიტყუაჲ“ იმდენად დაუახლოვებია დედანთან, რომ „მართებითი“, ანუ რაც საჭირო იყო, და არსებითი არა ჰკლებია. ერთი სიტყვით, მთარგმნელს უნდა სცოდნოდა „ზედამიწევნით რაბამობაჲ ბერძენთა და ქართველთა ენებისაჲ“ (იერუს. ხელთნაწ. № 34, ეფრემ მცირეს წერილი). მხოლოდ ამისთანა წესით ნათარგმნი რასაკვირველია დედანზედაც ახლო იქმნებოდა და ენაც დაუმახინჯებელი დარჩებოდა. სწორედ ასეთ მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს კარგი ნათარგმნი თხზულებაც.

დიახაც, მთარგმნელობა ადვილი საქმე არ არის, თუ მწერალი თავის ნათარგმნს პირნათლად ასრულებს. ხშირად, მეტადრე როცა კაცი სათარგმნელად ძველ ნაწარმოებს აიღებდა, დედანში ისეთი სიტყვები იყო ხოლმე ნახმარი, რომელნიც უკვე ან სრულებით არ იხმარებოდა, ან არა და სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ. სინდისიერსა და სწავლულს მთარგმნელს ეს უნდა მხედველობაში ჰქონოდა, თვითოეულს სიტყვას ჩაჰკვირვებოდა და ჯერ პირვანდელი მნიშვნელობა აღედგინა, ხოლო შემდეგ შესაფერისი ქართული სიტყვა გამოენახა. სწორედ ასე იქცეოდა ეფრემ მცირეც: ისეთი სიტყვები იყოო, ამბობს იგი ერთს თავის თხზულების ანდერძში, „რომელნი მაშინღა ძლით გულისკმა იყოვებოდის, ოდეს სამნი გინა ოთხნი თარგმან[ება]ნი პავლისანი და ეგოდენნივე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყუათა ანბანსა ზედა გაწყობილნი სიტყუანი, ერთად შემოვკრიბნი: მაშინღა ძლით მოუპოვე ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ“-ო (იერუს. ხელთნ. № 25, ამოღებულია ნ. მარრის გადმოწერითგან). მაშასადამე ძველ ტექსტების თარგმნის დროს ეფრემ მცირეს დედნის ძველ სიტყვების აზრისა და იმდროინდელ მნიშვნელობის გასაგებად შემდეგი სახელმძღვანელოები ჰქონია ხელთა: სხვა-და-სხვა „თარგმანებანი“ და „ლექსიკონნი“.

სახელოვანი მეცნიერი ქართველს მაშინდელს მკითხველს უხსნის, თუ რა იყო ლექსიკონი: „ლექსიკონნი... არიან ღრმათა, წიგნურთა სიტყუათა ანბანთა ზედ განწყობილნი სიტყუანი“-ო (იერუს. ხელთნ. № 25). იმ დროს თვითოეულს ძველს შესანიშნავს და ღრმა-აზროვანს თხზულებას ცალკე

ლექსიკონი ჰქონდა და ზოგჯერ თვით იმ ნაწარმოებსვე წინ უძღოდა ხოლმე, ან დართული ჰქონდა. თითონ ეფრემ მცირესაც ქართულად რამდენიმე ამგვარი შრომა შედგენილი აქვს და აი როგორ ახასიათებს იგი ერთს ამნაირს თავისს ნაწარმოებს, რომელიც ფსალმუნთა თარგმანებითი ლექსიკონია: სხვა მთარგმანებელთა თხზულებებში ფსალმუნების განმარტებული სიტყვები „ადგილ-ადგილ მიმოგანფენილ არს წიგნსა ამას (ფსალმუნთასა) შინა და ძნელ საპოვნელად“-ო. ხოლო ეს ნაკლი რომ თავითგან აეცილებინა, „ამისთჳსცა მცირედი მრავლისაგან ერთად შემოკრებულ იქმნა გამომეძიებელთათჳს და წინა შესავალსა ამის წიგნისასა ჩუენისა დაეწერა არა ლიტონად, არცა ურთიერთას აღრეულად, არამედ ასოთა ზედა ანბანისათა განწყობილად და განკარგულად, რაჲთა მარჯუე და ადვილ იყვნენ საპოვნელად მეძიებელთათჳს“-ო (ეფრ.ფს. 251 520—540). მაშასადამე იმდროინდელი ლექსიკონი მხოლოდ „ღრმათა, წიგნურთა სიტყუათა“ განმარტებას შეიცავდა, ჩვეულებრივი სიტყვები იქ აღნიშნული არა ყოფილა. მთელი სალექსიკონო მასალა,—სიტყვები და მათი ახსნა,—„ასოთა ზედა ანბანისათა განწყობილი და განკარგული“ იყო, რომ ამ გზით ლექსიკონი სახმარებლადაც „მარჯუე ყოფილიყო და „მეძიებელთა თჳს“ საჭირო ცნობები „ადვილ იყვნენ საპოვნელად“.

რაკი ეფრემ მცირემ ქართულ ენის თვისება, „რაბამობაჲ“ და დამახასიათებელი თავისებურობა კარგად იცოდა, ამიტომ მისი თარგმანი რთულ გონებრივ მუშაობის ნაყოფი იყო: ჯერ სხვა-და-სხვა თარგმანებათა და ლექსიკონების საშუალებით მას დედნის ძველ და ძნელ გასაგებ სიტყვებისა და ადგილების ნამდვილი შინაარსი გამოურკვევია, შემდეგ დედნის ამისთანა სიტყვებისათვის მას „მოუპოვია ქართული შემსგავსებული სიტყუაჲ“ და მხოლოდ მაშინ დაუწერია მთელი თარგმანიც. ამიტომ არც გასაკვირველია, თუ რომ მისი ნამუშავარი იმდენად სრული და უნაკლო გამოვიდოდა, რომ „სიტყუაჲ სიტყვსა ნაცვალ შედარებული“ იქმნებოდა დედანთან, მაგრამ ქართული ენის კანონებიც საუცხოვოდ დაცული იყო.

ეფრემ მცირე უფრო ხშირად ძველ ნათარგმნების გადაშინჯვასა და შესწორებას ანდომებდა დროს. საზოგადოდ რედაქტორობა რთული და ძნელი მოვალეობაა და გაცილებით უფრო ძნელი იყო ეფრემის დროს, მეტადრე საეკლესიო სასულიერო მწერლობაში. აქ თვითოეულ სიტყვის შესწორებაცა და ჩამატება-ამოშლაც რედაქტორს ფრთხილად უნდა მოეხდინა იმიტომ, რომ ამგვარ მუშაობას ყველანი თვალყურს ადევნებდნენ და ეჭვის თვალით უცქეროდნენ.

როცა გამსწორებელი თავის საქმეს შეუდგებოდა, და ძველ თარგმანის შესახებ აზრი უნდა გამოეთქვა, დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ მას მსხვილი შეცდომა არ მოსვლოდა. მის წინ იდო თარგმანი, რომელიც დე-

დანს არ უდგებოდა და შემოკლებული იყო, სათაურიც გამოცვლილი ჰქონდა. რა უნდა ეფიქრნა რედაქტორს ამნაირ თხზულების შესახებ? მკაცრი, აჩქარებული და მეცნიერულად მოუმზადებელი გამსწორებელი თარგმანს უვარგისად სცნობდა, თხზულებას მთარგმნელის მიერ შემოკლებულ-დამახინჯებულად აღიარებდა და დედნის სათაურის გამოცვლასაც იმასვე თავზე მოახვევდა. სულ სხვანაირად იქცევა ეფრემ მცირე. მან კარგად იცის, რომ ძველის თარგმანის ნაკლულევანება ბევრ სხვა-და-სხვა მიზეზზე იყო დამოკიდებული: „ანუ სისწრაფისაგან, ანუ დედისა და თარგმანთა ვერ პოვნისაგან, ანუ შემდგომთა გარდამწერალთა განყუნისა“ (ეფრემის წერილი კვირიკეს მიმართ, იხ. იერუსალიმის ხელნაწ. № 34, ნ. მარრის ამონაწერითაგან). როდესაც თარგმანის ნაკლულევანების მიზეზი ძველ მთარგმნელის „სისწრაფე“ ანუ აჩქარება იყო, მაშინ დანაშაულობა სწორედ მას მიუძღოდა. ხოლო თუ თარგმანის ნაკლი იმის შედეგი იყო, რომ ძველს მთარგმნელს თვით დედანი ვერ ეპოვა, და დედნის თარგმანით უსარგებლნია და იგი აულია დედნად ისე, რომ მისი ნაწარმოები მხოლოდ თარგმანის თარგმანი გამოდიოდა, მაშინ შეიძლებოდა დედნად აღებულ თარგმანის შემდგენელს უფრო დანაშაულობა დასდებოდა, ვიდრე თარგმანის თარგმანის ავტორს. დასასრულ, როდესაც თვით თავდაპირველი თარგმანი უნაკლო იყო და მხოლოდ მერმინდელ გადამწერთ („შემდგომნი გადამწერალნი“, „გადამწერალნი“, „გადამწერელნი“, ეფრ. ფს. 245_{1-22}) ისეთი შეცდომები მოუვიდათ გადაწერის დროს, რომ ტექსტი დამახინჯდებოდა („გარყუნაჲ“), მაშინ რასაკვირველია მთელი ბრალი გადამწერთ ედებოდათ*).

ეფრემ მცირემ კარგად იცის აგრეთვე, რომ მწერლობაში ერთი და იგივე თხზულება ხშირად ორნაირად არსებობს ხოლმე: სრულად და შემოკლებულად, ანუ „გამოკრებულად“, იცოდა, რომ ასე იყო აბერძნეთშიაც. ამიტომ ეფთჳმეს ყველა იმ თარგმანების შესახებ, რომელნიც „გამოკრებული“ და არა სრული აღმოჩნდა, მას დაწვრილებით გამოუკვლევია და დარწმუნებულა, რომ ზოგჯერ ეფთჳმის ნათარგმნი „წიგნნი გამოკრებულნი, ვითარ იგი არს «მარგალიტი» და «ყუავილ-კრებული» და სხუანი მსგავსნი მათნი ბერძულად აგრეთვე გამოკრებულნი არიან“ (იოანე დამასკელის „გარდმოცემის“ თარგმანის ანდერძი, ქ´კები, I, 218).

რაკი ეფთჳმეს თარგმანებისა და ბერძნულ დედნების შედარებამ ამ დასკვნამდე მიიყვანა, ეფრემ მცირე სხვა შემთხვევებშიაც, როცა მაგალითად „გამოკრებულ“ თარგმანის დედანი ბერძნულ მწერლობაში არ აღმოჩნ-

---

*) ეფრემის აზრით ზოგიერთი ძველი თხზულებები საბერძნეთში „განირყუნესცა კაცთა მიერ ბოროტთა და მწვალებელთა, რომელთა... სიტყუანი მათნი თანაშეჰრინეს ლიტონობასა თხრობისასა“-ო (ეფრ. ქსიფ. 332).

დებოდა ხოლმე, საბოლოოდ თავის აზრს არ გამოსთქვამდა ხოლმე და, როგორც ფრთხილს მეცნიერს შეეფერება, საკითხს გადაუწყვეტელად სტოვებდა. ასე მოიქცა ეფრემ მცირე მაგ. როცა „წინამძღვარი“-ს დედანი ვერ იპოვა: „ესე არ უწყი, თუ თვთ მამასა ეფთვმეს გამოუკრებია, ანუ ბერძულად ესრედ უპოვნია“-ო (ქ˜გბი I, 218). ამნაირადვე მსჯელობდა იგი გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვების თარგმანის შესახებ: „სიგრძისაგან ჟამთასა არ ვიცით თუ მწერალთაგან შეხუდა, ანუ თვთ წ˜ისა მამისა ჩუენისა ევთვმის დედაჲ ესე გუარ მიხუდა ანუ თვთ რაჲმე განგებულობით ყო“-ო (ქ˜გბი I, 226).

მაშასადამე თხზულებები და თარგმანები ან „გამოკრებული“ იყო ხოლმე, როდესაც გარკვეულ მიზნით ვრცელ ნაწარმოებითგან სხვა-და-სხვა ადგილებია ხოლმე ამოკრებილი; ან „შემოკლებული“ (ეფრ. ფს. 246_{177}), „შემოკლებითი“ (იქვე 247_{289}) თუ მთელი ნაწარმოები შემოკლებულია და მხოლოდ უმთავრესი ადგილებია ამოღებული; ან „სრულებითი“ (იქვე $247_{283-289, 294}$) როდესაც მთელი თხზულება სრულიად არის ნათარგმნი ან აღებული; ან დასასრულ „რაოდენთა[მე წიგ]ნთაგან ერთად შეკრებული“ (ეფრ. ფს. $245_{135-137}$) ეგრეთ წოდებული კომპილაცია იყო, როდესაც მაგ. „ადგილ-ადგილ თარგმანებულნი“ შეგროვებულია და „ერთ წიგნად შეკრებულნი“-ა (იქვე $245_{159-161}$), ან ცნობები „მრავალთა დედათაგან ერთად შეკრებულ არს“ (იქვე $248_{351-353}$), და ავტორს ეფრემ მცირესავით შეეძლო ეთქვა: „რაოდენნიცა იყვნეს წიგნის-საცავსა სჳმეონ წმიდისსა თარგმან[ება]ნი დავითისნი, ყოველნივე დედად მქონდეს და ფრიადითა შრომითა მათ ყოველთაგან ერთად შევაერთე“-ო (იქვე $247_{279-284}$).

ხელთნაწერების შედარებამ და შესწავლამ ეფრემ მცირე დაარწმუნა, რომ „გამოკრებულ“ და სრულ დედნებს გარდა, ხშირად ერთი და იგივე ჯგუფის დედნებს შორისაც ზოგიერთში განსხვავება, „სხუებრობაჲ“ არსებობდა ხოლმე. ამნაირი განსხვავების ბრალს უსწავლელი მწერალი ქართველს მთარგმნელს მოახვევდა თავს. ეფრემ მცირემ-კი კარგად იცოდა რომ ხშირად იგი თვით დედნების „სხუებრობ“-ისაგან იყო დამოკიდებული. „სხუებრობაჲ ნუვე გიკჳრსო“, ამბობს ეფრემი, „რამეთუ თჳთ ბერძულნიცა წიგნნი ვითარიცა ვინ დედაჲ ჰპოვოს ეგრე გარდაწერებიან. და თჳთ ორთა წიგნის-საცავთა სჳმეონ წმინდისათა ასკეტიკონნი სხჳთა და სხჳთა ჰმატდეს ურთიერთას“-ო (ბასილი დიდის ასკეტიკონის თარგმანის ანდერძი, ქ˜გბი II, 39—40).

ეფრემ მცირემ იცოდა აგრეთვე, რომ იმ შემთხვევაშიაც, როცა მეორედ მთარგმნელი პირდაპირ ამბობდა ამა-და-ამ დედანითგან ვთარგმნეო, ხოლო თარგმანის დედანთან შედარება-კი აქა იქ „სხუებრობას“ აღმოაჩენდა, მაშინაც დიდი შეცდომა იქნებოდა ეფიქრა მკვლევარს, ვითომც ეს „სხუებრობა“-ნი მთარგმნელის ან უვიცობის, ან

განზრახ დამახინჯების სურვილის შედეგი ყოფილიყოს. აი რასა სწერს მაგალითად ჩვენი მეცნიერი გიორგი მთაწმიდელის სამოციქულოს მეორედ თარგმანის „სხუებრობათა“ შესახებ: ისინი „მამასა ჩუენსა გიორგის, არა ეგონდეს სხჳსა რაჲსამე მიზეზისაგან, რაოდენ ძუელისავე პავლისა წაყოლისაგან დაუტეობისა: რამეთუ პირველნი დავითნიცა, რომელ ახლად ეთარგმნნეს, მრავალი სიტყუაჲ ძუელისა ჩუელებისაებრ მიეყვანა,—ვიდრემდის უკანაჲსკნელ დიდისა მის მოღვაწისა, გიორგი დაყუდებულისა, იძულებით ბრძანებითა კუალად უსრულესად და უწმიდესად ეთარგმნნეს. ამით მიზეზითა ვჰგონებ სამოციქულოჲსაცა ამის წიგნისასა, ვითარმედ რომელი მრავალსა პირსა აღიარებდა, იგი ძუელისავე თარგმნილისაებრ მიუყვანებია“-ო (იერუსალიმის ხელთნაწერი № 25, ნ. მარრის ამონაწერითგან). სრული ჭეშმარიტება გახლავთ და ეფრემ მცირეს ამ გვარი მსჯელობა მის ღრმად ჩამხედველ აზროვნობას, საკვირველს სალს სამეცნიერო დაკვირვებასა და ამ დროისათვის განმაცვიფრებელ საფუძვლიან ფილოლოგიურს სწავლულებას ამტკიცებს.

ეფთჳმესა და გიორგი მთაწმიდელის თარგმანების შესწავლა დიახაც გვარწმუნებს, რომ ისინი მონურად-კი არა სთარგმნიდნენ და ასწორებდნენ საღმრთო სჯულის ქართულ წიგნებს ბერძნულ დედნების მიხედვით, არამედ ძველ თარგმანს მხოლოდ მაშინ სცვლიდნენ, როცა ეს აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდათ. თორემ ჩვეულებრივ ხელუხლებლად სტოვებდნენ, ძველს თარგმანს მისდევდნენ, და როგორც სამართლიანად ამბობს ეფრემ მცირე, „ძუელისავე წაყოლისაგან დაუტეობია“-თო. ძველ თარგმანის აგრეთვე ისეთ ადგილებსა სტოვებდნენ ხოლმე, როცა თვით ბერძნულ ხელთნაწერებშიც „მრავალსა პირსა აღიარდა“, ესე იგი როდესაც იქაც ერთნაირი წინადადება არ იყო და „სხუებრობაჲ“ ეტყობოდა. ამისთანა შემთხვევებში მათ ძველი თარგმანი შეუცვლელად დაუტოვებიათ ხოლმე, „ძუელისავე თარგმნილისაებრ მიუყვანებია“-თ, ალბად იმიტომ რომ სხვა-და-სხვა საეჭვო შემთხვევებში უფრო სწორედ ისევ უძველეს დედნითგან ნათარგმნი მიაჩნდათ. როცა ეფრემი ასწორებდა, გასწორებულს სხვის თარგმანში არა რევდა, არამედ არშიაზე სწერდა ხოლმე.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ძველ თხზულებაში ახალის და ძველის აღთქმის წიგნებითგან სხვა-და-სხვა აზრები, სხვა-და-სხვა წინადადება იყო ხოლმე ამოღებული და მოყვანილი. მერმინდელი მკლევარი-კი, რომელიც ამისთანა წინადადებას დედანში ძებნას დაუწყებდა, ზოგჯერ რწმუნდებოდა ხოლმე, რომ იქ ისეთი ადგილები ან სრულებით არ მოიპოვებოდა, ან არა და აზრი სხვანაირად იყო გამოთქმული. გამოუცდელი და უსწავლელი მკვლევარი მაშინვე იფიქრებდა მთარგმნელის შეთხზულიაო. ეფრემ მცირემ-კი, როგორც მეცნიერმა, იცის, რომ ძველი და ახალი აღთქმის წიგნების ზოგიერთი ადგილები დროთა განმავლობაში ან შეასწორეს და გამოსცვალეს, ან არა და სრულებით გამოუშვეს. ამიტომ მან იცოდა, რომ

ამგვარ შემთხვევებში მკლევარმა უძველეს დედნებში და ხელთნაწერებში უნდა ჩაიხედოს, ე. ი. ტექსტი ისტორიულად აღადგინოს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოსთქვას თავისი მსჯავრი. ბასილი დიდის ასკეტიკის ტექსტში. მაგ. იმ წინადადების პირდაპირ, სადაც ნათქვამია: „და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“-ო, ეფრემ მცირე სწერს: „შეისწავე რამეთუ ძუელთა სახარებათა ბერძულთაცა ყოფილა «სიძისა და სძლისა». ხოლო აწ არცაღა მათთა არს და არცა ჩუენსა ახალსა (სახარებასა)“-ო (ქ~კბი II, 40).

ერთი სიტყვით, ეფრემ მცირე თავის სამწერლობო მოღვაწეობას საკვირველის წინდახედულობითა და ნამდვილ მეცნიერულ სიფრთხილით ეკიდებოდა. რამდენად სინიდისიერად ექცეოდა იგი თავის საქმეს, როცა ან თარგმნას, ან შესწორებას შეუდგებოდა ხოლმე, შემდეგ საუცხოვო მაგალითითაც ჩანს: ერთხელ ეფრემ მცირემ ბასილი დიდის ასკეტიკაჲს თარგმნა დაიწყო, მაგრამ შეუდგა თუ არა საქმეს საითგანღაც შეიტყო, ვითომც პროკოპი მღვდლის მიერ უკვე გადმოთარგმნილი ყოფილიყოს. „მაშინ მეწყო ოდენ და რაჲ მესმა დავიცადე დღითი დღე წყურიელად მოლოდებითა მისითა“-ო (ქ~კბი II, 40), მოგვითხრობს იგი. თარგმანი საქართველოთგანაცა და კონსტანტინეპოლით „უმეტეს ათორმეტისა წლისა ჟამთა მოველოდენით“-ო, ამბობს ეფრემი, „პატიოსნისა მღდელისა პროკოპის მიერ თარგმნილსა ასკეტიკასა ამას წმიდასა ბასილისსა და გინა თუ ჟამთა საჭავითა, ანუ კაცთაცა სიგრილითა არავინ მოგჳტანა, არცა ზემოჲთ, არცა სამეფოჲთ. ამისთჳს ვითარცა სასოწარკვეთილი მისგან... აწ შიშითა ჟამთა და გზათაგან ვერ მოწევნისაჲთა ვთარგმნე“-ო (ქ~კბი I, 40, იხ. აგრეთვე ამგვარივე მაგალითი ეფრემის ანდერძში, ქ~კბი I, 224).

ეფრემ მცირე დახელოვნებული მთარგმანებელიც ყოფილა. ჩვენ ძველ მწერლობაში ცოტა არ იყოს არეულად არის ნახმარი ორი სიტყვა— „თარგმანი“ და „თარგმანება“, მაგრამ მათ შორის მაინც არსებითი განსხვავებაა და აუცილებლად საჭიროა თვითეულ ამ ტერმინისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობის გამორკვევა და ამისდა გვარად მათი ხმარება.

„თარგმნა“ ერთ რომელისამე ენითგან სხვა რომელსამე ენაზე აზრის, ან მთელი ნაწარმოების გადაცემას, გადათარგმნას ჰნიშნავს. ამისდა მიხედვით „თარგმანი“ რომელისამე ენითგან სხვა ენაზე გადაღებულს, გადათარგმნილს ნაწარმოებს ეწოდებოდა. მაგ. გიორგი მთაწმიდელს ეფთჳმის შესახებ ნათქვამი აქვს: ეფთჳმემ „ბალაჰვარი და აბუკურაჲ და სხუანიცა რაოდენნიმე წერილნი ქართულისაგან თარგმნნა ბერძულად“-ო (ც~ჲ ი~ე და ეფთჳმესი 424—25). როდესაც ეფთჳმეს მშვენიერი თარგმანები დავით კურაპალატს საქართველოში მიუვიდა, იგი მეტად გახარებული იყო და ეფთჳმეს „ზედაჲს-ზედა მოუწერნ, რათა „თარგმნიდეს“ და მას უგზავნიდესო. ხოლო „იგი სანატრელი შეუსვენებლივ „თარგმნინო“ (იქვე 277—9).

„თარგმანებაჲ“-კი განმარტებას და ახსნას ჰნიშნავს მაგ. „თარგმანებაჲ იოანეს თავის სახარებისაჲ“, „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ (იქვე $27_{20, 22}$), „თარგმანებაჲ წმიდისა მათეს თავისა სახარებისაჲ“ (იქვე 29_{1}, ნ) „თარგმანებაჲ გალატელთა და თესალონიკელთა და ჰრომაელთა ეპისტოლისაჲ“ (იქვე 29_{1}, ც) იოანეს და მათეს სახარებათა განმარტებასა, ფსალმუნთა და პავლე მოციქულის ეპისტოლეების ახსნასა და განმარტებას ჰნიშნავს. ეფრემ მცირეც ამბობს: „რაოდენნი არიან თარგმანებანი დავითისნი“, რაც-კი რამე ფსალმუნთა განმარტება მოიპოვებოდა, ყველა ამაებით ჩემს თხზულებაში ვისარგებლეო (ეფრ. ფს. $245_{133-134}$). თავის ორიგინალურ ნაწარმოებსაც, ფსალმუნთა განმარტებას, ეფრემმა უწოდა „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ (იქვე 243_{4}).

ზემოაღნიშნულის შემდგომ ცხადია, რომ „თარგმნილი“ ნათარგმნს ეწოდება, მაგ. გიორგი მთაწმიდელი ეფთჳმის მთარგმნელობიის ღვაწლს ასე ახასიათებს: „თარგმნილთა მისთა წიგნთა სიტკბოებაჲ, ვითარცა ნესტჳ ოქროჲსაჲ კმა-მაღალი ოხრის ყოველსა ქუეყანას, არა ხოლო ქართლისასა, არამედ საბერძნეთისასაცა“-ო (ც҃ჲ ი҃ე და ეფთჳმესი 420). ამგვარადვე „თარგმანებული“ (ეფრ. ფს. $244_{276-277}$) განმარტებულსა და ახსნილს უნდა ჰნიშნავდეს. მაგ. ეფრემ მცირე თავის თხზულების „თარგმანებისაჲ ფსალმუნთაჲ“-ს შესახებ ამბობს: დავითის ფსალმუნნი, „ჩემ მიერ თარგმანებული ენასა ქართველთასა“, დაწერილია საბა თუხარელის ბრძანებითაო (ეფრ. ფს. 244_{86-87}). ჩემი შრომა ისეა შედგენილი, რომ სხვათა თარგმანებაც ხშირად „ჩუენთა ამათ მიერ თარგმანებულსა მიემსგავსებიან“-ო (იქვე $250_{451-453}$). ეფრემ მცირე ამასთანავე მკითხველს აცნობს: ათანასეს განთქმული „შესავალი“ (იქვე 244_{112}), რომელიც გიორგი მთაწმიდელს ფსალმუნთათვის თავში დაემატებინა, ჩემ თხზულებაში აღარ შემიტანია, „რათა არა ორ გზის თარგმანებულად საგონებელ იქმნეს (იქვე $245_{116-117}$, აგრეთვე 245_{166}), რომ ფსალმუნნი ორჯერ განმარტებული არ გამოვიდესო.

ამიტომ სრულებით ბუნებრივი იქმნებოდა დავასკვნა, რომ „მთარგმნელი“ გადამთარგმნელს ჰნიშნავდა, „მთაგმნელობაჲ მთარგმნელობით მოღვაწეობას, ხოლო „მთარგმანებელი“ განმმარტებელს, „მთარგმანებლობა“-კი განმარტებლობით მოღვაწეობას.

მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძველ ქართულ მწერლობაში ამ ორ ტერმინის მნიშვნელობას რყევა ეტყობა და არეულია, თუ რომ ყველა ამგვარს შემთხვევაში რაიმე შეცდომა არ არის შეპარული და ბრალი გადამწერთ არ ედებათ. მაგ. „თარგმანი“ მთარგმნელის მნიშვნელობითაც იხმარება. ეფთჳმეს შესახებ გიორგი მთაწმიდელი ამბობს: თავის საუცხოვო ნათარგმნი თხზულებებით „ყოველნივე განაკჳრვნა, რამეთუ ეგევითარი თარგმანი გარეშე მათ პირველთასა არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ თუ არღარა გამოჩინებად არს“-ო (ც҃ჲ ი҃ე და ეფთჳმესი

26$_{28}$—27$_{2}$). თავის მხრივ გიორგი ხუცეს-მონაზონიც გიორგი მთაწმიდელის შესახებ გაიძახის: „ყოველთა უწყით, ვითარმედ ესევითარი თარგმანი თჳნიერ. . მამისა... ეფთჳმესსა სხუაჲ არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და ვგონებ თუ არცა გამოჩინებად არს“-ო (ც˘ჲ გ˘ი მთწმ˘დლსჲ 309$_{30—35}$). სიტყვა „თარგმანებაჲ“-ც ზოგჯერ თავის ნამდვილ მნიშვნელობით-კი არ არის ნახმარი, ვითარცა რომელიმე ნაწარმოების განმარტება, არამედ თარგმანის მაგიერ: ეფთჳმეს „თარგმანებაჲ წიგნთაჲ (ესე იგი წიგნების თარგმნა) აქუნდა ნამეტნავად ყოველთა სათნოებათა“-ო (ც˘ჲ ი˘ე და ეფთჳმესი 55$_{27—28}$). ხოლო, როდესაც ეფთჳმემ წინამძღვრობას თავი დაანება, ისევ „წიგნთა საღმრთოთა თარგმანებასა შეუდგა და ფრიადნი წიგნნი თარგმნნა, რომელთაგანნი რაოდენნიმე ზემო გჳკსენებიან“-ო (იქვე 56$_{10—12}$), ისევ მთარგმნელობა დაიწყოო.

ეფრემ მცირეს ნაწარმოებშიც აქა-იქ ამ ორ ტერმინის მნიშვნელობა არეულია და თარგმანი (ეფრ. ფს. 247$_{284—289}$, $_{297—299}$) თარგმანების მაგიერ სწერია*), „მთარგმნელი“ (ეფრ. ფს. 245$_{172}$ და 246$_{183}$) მთარგმანებელის მაგიერ და „მთარგმნელობაჲ (იქვე 247$_{262}$) მთარგმანებლობის მაგიერ.

ქვემოდ თვითოეულს ამ ორ ტერმინთაგანს ჩვენ თავის განსაკუთრებულ მნიშვნელობით ვხმარობთ: თარგმანი—ნათარგმნს, თარგმანება—განმარტებას ჰნიშნავს, ხოლო მათგან ნაწარმოებ სიტყვების,—მთარგმნელი, მთარგმანებელი, მთარგმნელობა და მთარგმანებლობის მნიშვნელობაც ამისდა გვარად განსხვავდება.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, ეფრემ მცირე სახელოვანი მთარგმანებელიც ყოფილა, საკუთარ თარგმანებათა შემთხზველი. ერთი მის ამნაირ შრომათაგანი „თარგმანებაჲ ფსალმუნთაჲ“ უკვე გამოცემულია ე. თაყაიშვილის მიერ პ. ინგოროყვას აღდგენილ ტექსტის მიხედვით (არხ. მოგზაურობანი II, 242—269). დანარჩენი მისი უფრო საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანი თარგმანებანი ჯერ არც შესწავლილია და არც გამოცემული.

თხზულებათა თარგმანება იმაში მდგომარეობდა, რომ მთარგმანებელს თავის ნაწარმოებში რომელისამე ღრმა-აზროვან ქმნილების დედა-აზრი „განმარტებული“ (ეფრ. ფს. 249$_{376—377}$) ჰქონოდა, რომ მკითხველისათვის „ძალი სიტყვსა“ (ეფრ., ქ˘კბი I, 216), შინაარსი წინადადებისა, ან თვით „ძალი... წიგნთაჲ“ (ც˘ჲ გგ˘ლ ხანძთლსჲ, დ$_{13}$) მთელ ნაწარმოების დედა-აზრი ნათელი ყოფილიყო. მთარგმანებელნი „განამარტებდენ ძალსა და სიღრმესა“ არჩეულ ქმნილებისას (ც˘ა მფ˘სა დ˘თსი *548, გვ. 315), „წერილთ სიღრ-

*) თუ აქ და ამგვარს შემთხვევებში გადამწერთ შეცდომა არ მოსვლიათ: იქნებ დედანში ქარაგმით ეწერა „თარგმა˘ნნი“=თარგმანებანი, გადაწერის დროს-კი ქარაგმა გამოსტოვეს და ამ გზით ორი სიტყვის აღრეულობა წარმოსდგა.

მესა“ უხსნიდნენ ხოლმე (აბდულმესია, ნ. მარრის გამოც. ТР. წ. IV, გვ. მ˜ე, 63). „თარგმანებაჲ სიტყუათა ღმრთისათაჲ და განმარტებაჲ მათი“ (ც˜ჲ ი˜ე ურჭელისაჲ, კ. კეკელიძის გამ. XB. II, 326_{5-7}) ერთი-და-იგივე არის. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველი უცხო სიტყვაა და განსაკუთრებით საღმრთო წერილის შესახებ იხმარება, მეორეკი ქართულია და უფრო ფართო, ზოგადი მნიშვნელობა აქვს. ამ აზრის სიმართლეს ქვემომოყვანილი უფრო ცხად-ჰყოფს.

ორგვარი თარგმანება არსებობდა: „რომელიმე განმარტებით“ ათარგმანებდა არჩეულს ქმნილებას, „რომელნიმე სახის-მეტყუელებით“ (ეფრ. ფს. $250_{478-481}$). ეფრემ მცირეს ერთი მაგალითი აქვს მოყვანილი, რომლისგანაც ნათლად სჩანს, თუ რა იყო „სახისმეტყუელებითი თარგმანებაჲ“. იგი ამბობს: „ადგილსა ღმრთისასა ოდესმე ცაჲ ითქუმის“-ო (იქვე 252_{580}) იმიტომ, „რამეთუ არა რაჲ ეპოების სხუაჲ გონებასა კაცთასა უმაღლესი ადგილი უფროჲს ცათა: ამისთჳსცა ცასა საყდარ მისა უწოდიან და ქუეყანასა კუარცხლბეკ: და ესე ყოველი მოპოვნებით და სახის-მეტყუელებით, რათა გამოაჩინონ სიმაღლე ღმრთაებისა მისისაჲ“-ო (იქვე $252_{582-591}$). ამ სიტყვებისაგან ცხადია, რომ „სახის მეტყუელებაჲ“ ეფრემ მცირეს ხატოვნებად და ალლეგორიად აქვს ნაგულისხმევი.

მაშასადამე „სახისმეტყუელებითი თარგმანებაჲ“ იგივე ალლეგორიული განმარტება და ახსნაა, ხოლო „განმარტებითი თარგმანებაჲ“ ნაწარმოების რეალური ახსნა-განმარტება უნდა იყოს. მეტად საგულისხმიეროა, რომ თვით ეფრემს რეალური განმარტება ალლეგორიულზე საუკეთესოდ მიაჩნია და ამბობს კიდეც: „ცხად არს, ვითარმედ უზეშთაეს არს განმარტებით თარგმ[ა]ნ[ებ]აჲ სახის-მეტყუელებით თარგმ[ა]ნ[ებ]ისასა: რამეთუ ყოველსავე მუხლსა (ფსალმუნისა, ან სხვა რომელისამე სათარგმანებელად ადებულ ქმნილებისა) სახის-მეტყუელებაჲ შესაძლებელ არს არა ერთ-სახედ ოდენ, არამედ მრავალ-სახედცა“-ო (იქვე $250_{495-502}$). მაგრამ ეფრემ მცირემ იცის, რომ ზოგჯერ ისეთი შემთხვევა არის ხოლმე, როდესაც მხოლოდ „სახის-მეტყუელებითი“ ანუ ალლეგორიული თარგმანებაა გამოსადეგი და არა განმარტებითი. მაგ. „გესმოდიან რაჲ ჴელი და ფერჴნი ღმრთისანი გინა თუალნი, და გული უწყოდე ვითარმედ ამისსაცა გულისჴმის ყოფასა სახის-მეტყუელებაჲ უჴმს და არა განმარტებაჲ: ვინაჲთგან არა რაჲ ჴორციელთა და ზრქელთაგანი იპოების უჴორცოსა მას (ღმერთსა) თანა და უხილავსა“-ო (იქვე $251_{515-524}$). ამიტომაც არის, რომ თუმცა პირადად ეფრემს განმარტებითი თარგმანება საუკეთესოდ მიაჩნია, მაგრამ თავის ფსალმუნთა თარგმანებაში იგი ხშირად სწორედ სახის-მეტყუელებითი თარგმანებითს მეთოდს ხმარობს.

მთარგმანებლობითს მოღვაწეობაში იმ გარემოებასაც ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, ერთისა-და-იმავე საქმის ან მოვლენის შესახებ სხვა-და-სხვა აგ-

ტორთა ცნობებს შორის „მსგავსებაჲ“ (ეფრ. ფს. 249_{426}) სუფევდა, თუ „არა-მსგავსებაჲ“ (იქვე 249_{427}). ხოლო „მსგავსება“—„არა-მსგავსება“ ირკვევა ხოლმე ცნობათა „თანაშეტყუებისაგან“ (იქვე 249_{428}), ანუ თანხმობისაგან, როდესაც ცნობათა შედარება ამტკიცებს მაგ., რომ „მისივე-და-ერთისა ქრისტჱსი საქმეთა წარმოთქუმისა თჳს ოდესმე შეიერთების და ოდესმე მცირედ რეცა განიყოფების სიტყუაჲ წმიდათა მახარებელთაჲ“ (იქვე $249_{430-434}$). თუ ერთი-და-იგივე ამბავი სხვა-და-სხვა მახარებელს ერთნაირად აქვს აღწერილი და მათი „სიტყუაჲ შეიერთების“, ეს რასაკვირველია ცნობათა „მსგავსება“-ა. ხოლო როდესაც თვითოეულს მათგანს, ან ზოგს მათგანს განსხვავებულად აქვს მოთხრობილი, მაშინ „სიტყუაჲ განიყოფების“ და მომთხრობელთა შორის „არა-ამსგავსებაჲ“ სუფევს.

მაგრამ ზოგჯერ ცნობათა შედარება გამოარკვევს ხოლმე, რომ ერთგვარი საშუალო მდგომარეობაა, როდესაც ცნობები არც ისეთია, რომ „წინააღუდგებოდეს ურთიერთას“ (იქვე 249_{436}—250_{437}) და მათი განსხვავება სრულს განცალკევებასა და შეუთანხმებლობას მოასწავებდეს, ისე რომ „არცა განყოფაჲ იგი მათი განწვალებასა იქმს“ (იქვე $249_{435-436}$). მეორეს მხრით „არცა (ამ შესადარებელ ცნობათა) „შეერთება“ მათ „შერწყუმასა ჰყოფს“ (იქვე 250_{439}), ვერც ისეთს შეზავება - შეთანხმებას გვიხატავს, როდესაც ორივე ცნობა თითქოს „ურთიერთას ივასხებდეს სიტყუათა მათ“ (იქვე $250_{439-450}$).

ყოველგვარ წინასწარ მუშაობის შემდგომ, წყაროების „შეწყნარებულებისა“ (იქვე 248_{322}), „ღირსება“ (იქვე 247_{273})—ნაკლის, „უეჭველობაჲ“ (იქვე $247_{272-273}$) „საეჭუელობაჲ“-ს (იქვე $250_{441-442}$) გამორკვევის შემდგომ, როდესაც მეცნიერმა უკვე იცოდა, თუ რა იყო მის წყაროებში „უეჭველი“ (იქვე $246_{197-198}$) და რა კიდე „საეჭუელი“ (იქვე 246_{198}), მთარგმანებელს შეეძლო თავის ჰირდაპირს მიზანს შესდგომოდა.

როგორც ყოველგვარი საქმე ადამიანს შეუძლიან „ზედამიწევნით*) ცნას“ (ც~ჲ სრ~პნ ზრზ~ლსჲ 28) ზედმიწევნით შეისწავლოს, დაწვრილებით, „გამოწულილვით... გამოიძი“-ოს (ც~ჲ გ~ი მოწმდლსჲ 299_{12}) და შემდეგ სურვილისაებრ ან „გამოწულილვით აღწერასა“ (ც~ჲ ი~ე და ეფთჳმესი 15_{2}) შეუდგეს, ან მოკლედ აღნუსხოს თავისი დასკვნა და დაკვირვება,—იმგვარადვე თარგმანებაც ორ ნაირად შეიძლებოდა დაწერილი ყოფილიყო: ან „შემოკლებულად და ლიტონად“ (ეფრ. ფს. $246_{178-179}$), „მოკლედ და ლიტონად“ (იქვე 249_{396}) მარტივად და მოკლედ, ან არადა „უვრცელესად და ულრმესად“ (იქვე $246_{180-181}$), ვრცლად და ღრმა-აზროვნად. ამნაირს „უვრცელეს“ (იქვე 247_{297}) ნაწარმოებს ქართულად „სრულებითნი და

---

*) სიტყვა „**ზედამიწევნით**“ ეფრემ მცირესაც აქვს ნახმარი (იერუს ხელთ.ნ. № 34).

განვრცელებითნი თარგმან[ება]ნი“ (იქვე $247_{294-295}$), ან არადა „განვრცე-ლებითნი“ თარგმანებანი (იქვე $249_{412-413}$) ეწოდებოდა. ხოლო მოკლე და მარტივს ნაწარმოებებს „შემოკლებითნი თარგმან[ება]ნი“ (იქვე $247_{289-290}$) ერქვა. „შემოკლებითი“ (იქვე 249_{399} და $_{409}$) და მარტივი განმარტება რა-საკვირველია „მარტივთათჳს და ლიტონთა“ (იქვე $246_{179-180}$), მოუმზა-დებელ მკითხველისათვის იყო განკუთვნილი, ვრცელი და „სრულებითი“-კი განვითარებულ და ცოდნის-მოყვარე მკითხველთათვის, „გამომეძიებელთათჳს და გულისჳმის-მყოფელთა“ (იქვე $246_{181-182}$).

როგორც ზემოდ გამორკვეული იყო, ეფრემ მცირემ ზედმიწევნით იცოდა როგორც დედნისა ისე ძველ სიტყვების სახის აღდგენისა და მათ თავდაპირ-ველ მნიშვნელობის გამორკვევის სამეცნიერო მეთოდები, ერთი სიტყვით ყვე-ლა ის საშუალებანი, რომელნიც მთარგმანებელისათვის საჭირო იყო. ამიტომ, რაკი მას ეგოდენი თეორიული მომზადება ჰქონია ამ დარგშიაც, ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეფრემ მცირეს მთარგმანებლობითი მოღვაწეობისა და „ნაშრომი“-ს (ეფრ. ქსით. 341_{26}) მომავალი შესწავლა დაამტკიცებს, რომ მას ამ სფეროშიაც ქართულ მწერლობის წინაშე თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღვის. ახსნა, ანუ თარგმანება საჭიროდ მიაჩნდა ჩვენს მეცნიერს იმიტომ, რომ „ყოველსა თარგმანსა უკმს შემატებაჲ სიტყვსაჲ რეცა განმაცხა-დებელად ძალისა“-ო, (ქ'ბი I, 217), დედა აზრისა და მნიშვნელობის შეოვისების გასაადვილებლადაო. თითონ ეფრემი თავის ამგვარ თხზულებებს როგორც ეტყობა დიდად აფასებდა. ერთს თავის ანდერძში მაგალითად იგი პირდაპირ ამბობს: „ვკადრებ და ვიტყვ“-ო, „ესე დაიმარხენ... უკეთუ ამას დაიწერდე, ესე იღვაწენ, რათა არა რაჲ დააკლო, არა ხოლო ას ორმეოც-დაათთა ამათ თავთაგანი პირველით ეპისტოლითურთ, არამედ არცაღა ჩემი ესე კადრებული და მოზრახული, არა ხოლო შესავალსა ამას ვიტყვ, არა-მედ კიდეთა წარწერილსა თარგმან[ება]თაცა, რომელთაგანნი რომელნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელნიმე დედისაგან“-ო (თ. ჟორდანია, ქ'ბი I, 216—217; ე. თაყაიშვილის Опис. I, 714).

თავის ახსნას, ანუ თარგმანებას არშიებზე სწერდა ხოლმე იმ წინადადე-ბისა, ანუ სიტყვის პირდაპირ, რომელსაც შეეხებოდა მისი ახსნა. ასეთი წესი გადმოუღია მას თეოდორე პატრიარქის მიერ სვიმონ-წმიდას შეწირულ 420 ბერძნულ წიგნებითგან. ამნაირადვე უწერიათ სხვა საუკეთესო ბერძნულ თხზუ-ლებებშიაც, „რათა რაჟამს სამეცნიეროსა რასამე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს მიმყოვრებული ჟამი, ანუ ყოველისავე გარდაკითხვაჲ“-ო, ამბობს ეფრემ მცირე (ქ'ბი I, 217 და Опис. I, 714).

ეფრემ მცირეს ერთი სამეცნიერო საისტორიო გამოკვლევაცა აქვს დაწერილი, მაგრამ, ვიდრე ამ თხზულების განხილვას შეუდგებოდეთ, ურიგო არ იქმნება მი-სი საზოგადო შეხედულება და აზრები შევისწავლოთ საისტორიო ნაწარმოებების

შესახებ. ეფრემი საისტორიო თხზულებების ოთხ უმთავრეს ჯგუფად ახაწილებ-და: „ცხორებაჲ, ანუ წამებაჲ, ანუ რაჲცა რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ" („გარდამოცემის" თარგმანის შესავალი, ქა̃ბი I, 217). აქ მხოლოდ „მატიანეჲ" და „ხრონოღრაფი" არ არის ჩამოთვლილი. მაგრამ „მატიანენი", „წმიდათა მატიანები" მას მოხსენებული აქვს ერთს სხვა თხზულებაში (ეფრ. ქსით. 344_{21}), ხოლო „ხრონოღრაფი"-ს შესახებაც რომ ცნობები ჰქონდა, ეს მის საკუთარ საისტორიო გამოკვლევითგანაც ჩანს, სადაც იგი თვით სარგებლობს „ხრონოღრაფით". როცა მოთხრობა ეკლესიის თავგადასავალს გვიამბობდა, ეფრემ მცირე მას „საეკლესიო მოთხრობა"-ს ეძახდა (იხ. მისი „უწყებაჲ", ქა̃ბი I, 53). ყოველი ისტორიული მოვლენა შეიძლებოდა, „თხრობის სახედ" ყოფილიყო აღწერილი, მაგ. ძველ წმიდათა და მარტვილთა ცხორებანი და სიმხნე „თხრობის სახედ ოდენ აღიწერნეს" (კ. კეკელიძე. ეფრ. ქსით. 332).

ყველა ზემო-ჩამოთვლილ დარგის საისტორიო ნაწარმოებნი შეიძლებოდა ავტორის მიერ ან „სოფლურითა და უშუერითა სიტყვთა", „ლიტონითა სიტყვთა აღწერილი" ყოფილიყო („გარდამოცემი"-ს თარგმანის შესავალი, ქა̃ბი I, 217), ან არადა შესაფერის საწერლობო ენით, ხელოვნურად. მაშასადამე ისტორიკოსისათვის საკმარისი არ იყო, თუ იგი ამბავს, ან ცნობას სწორედ გადმოგვცემდა, მას უნდა ღირსეულადაც აეწერა, შესაფერისი ხელოვნება გამოეჩინა.

„სოფლურითა და უშუერითა სიტყვთა" საისტორიო თხზულებებს მხოლოდ მაშინ სწერდნენ, „ოდეს აღმწერელი ჰამბავისა მის ლიტონი კაცი" (იქვე I, 217) უსწავლელი იყო, როგორც მაგალითად „უმრავლესთა წმიდათა წამებანი", ეფრემ მცირეს აზრით, „თანადახდომილთა მონათა ვიეთგანმე აღწერილ იყვნენ" (იქვე I, 217). ასე იწერებოდნენ ხოლმე თავდაპირველად მარტვილთა და წმიდათა უძველესი ცხორებანი, რომელნიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, „თხრობის სახედ ოდენ აღიწერნეს თითოეულისა წმიდათაგანისა თან-დახუთომილისა ვისგანმე" (ეფრ. ქსით. 332). ამგვარ ნაწარმოების დამახასიათებელი თვისება „ლიტონობასა და სიმარტივესა შინა" (იქვე) მდგომარეობდა: ყოველი გამოცდილი მკითხველი შენიშნავდა რა „ლიტონობასა მას თხრობისასა" (იქვე), მაშინვე მიხვდებოდა, რა გვარი თხზულებაც ჰქონდა ხელთა. ამნაირს „პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა" ეფრემ მცირეს სიტყვით „კიმენი... ეწოდების" (იქვე 333). კიმენი ბერძნული სიტყვაა და როგორც ეფრემი ამბობს მართლაც „მდებარე"-სა ჰნიშნავდა (იქვე). მაშასადამე „კიმენად" ძველ მარტვილობა-ცხორებათა ხელშეუხლებლად მდებარე, შეუსწორებელი ტექსტი იწოდებოდა, რომელიც „შემოკლებით და ლიტონად აღწერილი" იყო (იქვე 343_{36}) თუმცა „პატიოსანთა" და „ღირსთა კაცთაგან", მაგრამ „სხუებრ სიტყუათათჳს არა მო-

ღუაწე-ქმნილთა“ (იქვე 343$_{28}$—$_{29}$) მიერ, რომელნიც თხრობის გარეგანს სახეს არავითარს ყურადღებას არ აქცევდენ და თხზულებებს „ენითა მსოფლელთაჲთა“ სწერდნენ ხოლმე (იქვე 343$_{29}$—$_{30}$).

მერმინდელს განათლებულსა და მწერლობაში დახელოვნებულ ისტორიკოსებს არ მოსწონდათ ეს „უშუერად“ დაწერილი მოთხრობები და მაშინდელ გემოვნებისა და შეხედულობისდა მიხედვით მათ შესწორებასა და გადაკეთებას შეუდგნენ: მოთხრობას „სიტყვთ განაშუნებენ, გარდაჰკაზმენ“-ო, ამბობს ეფრემი და ამისთანა გადაკეთებულ ნაწარმოებს „მეტაფრას უწოდენ, რომელ არს გარდაკაზმული“-ო (იქვე I, 217).

საისტორიო მწერლობის ეს დარგი განსაკუთრებით ბიზანტიაში იყო განვითარებული, მაგრამ სხვა ქვეყნებშიაც არსებობდა. დეკ. კ. კეკელიძემ თავის ორ პატარა, მაგრამ საუცხოვო და მრავალ საყურადღებო ცნობებით სავსე გამოკვლევაში დაამტკიცა, რომ ამ დარგის საუკეთესო წარმომადგენელად ბიზანტიაში იყვნენ სჳმეონ ლოღოთეტოსი, რომელმაც თავისი განთქმული შრომა 982 წ. დაიწყო, და მის შრომის განმაგრძელებელი, ფილოსოფოსი იოანე ქსიფილინოსი, რომელიც მუშაობდა 1081 წ. შემდგა (კ. კეკელიძე, **Iоаннъ Ксифилинъ, продолжатель Симеона Метафраста, ХВ. II, 335**).

მაშასადამე, როდესაც ძველ საეკლესიო-საისტორიო თხზულებას „სიტყვთ განაშუენებენ, გარდაჰკაზმენ“, ასეთს გადაკეთებულს ნაწარმოებს ქართულად „გარდაკაზმული“, ხოლო ბერძნულად „მეტაფრასი“ ეწოდებოდა. ეს ბერძნული სიტყვა ქართულმა ძველმა საისტორიო მწერლობამაც შეითვისა.

გარდაკაზმულ თხზულებების შემდგენელთა უმთავრესი მიზანი ერთის მხრით ის უნდა ყოფილიყო, რომ ძველ საისტორიო-საეკლესიო თხზულებათა თხრობის ლიტონობა და სიმარტივე მოესპოთ და მხატვრულ-რიტორულ ენაწყლიანობით შეემკოთ, მეორეს მხრით „მწვალებელთა“ მიერ „დრკუ“ სიტყვათა „თანაშერევით“ დამახინჯებული და „გარყვნილი“ ძველი თხზულებები „მწვალებლობის ღვარძლისაგან“ გაეწმინდათ. ამგვარად ცხადია, რომ ყოველს საეკლესიო ისტორიკოსს შეეძლო „წინადაედვა“ რომელიმე „ძუელი იგი [წიგნი] მოწამეთაჲ და „შეეცვალა მეტაფრასად“ (ეფრ. ქსიფ. 333). თხზულების გადამკეთებელი, „გადამეტაფრასმქნელი... ესე იგი არს განმავრცელებელი და შემამკობელი“ (იქვე 341) იქმნებოდა, ხოლო მის ნაშრომს ერქმეოდა „განვრცელებულნი საკითხავნი“ (იქვე 341), ანუ „გარდაკაზმულნი“ და „მეტაფრასქმნილნი“ (იქვე 431).

ეფრემ მცირეს მაინც საგანგებოდ განმარტებული აქვს, რომ სხვის თხზულების ამნაირად გადაკეთება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მოთხრობის ავტორი მართლაც უვიცი კაცი იყო. მაინცა-და-მაინც თხზულების გადამკეთებლის მოქმედება ერთ უმთავრეს მეთოდოლოგიურ კანონით უნდა ყოფილიყო შეზღუდვილი: მას ყველაფრის ჩაწერა-კი არ შეეძლო, რაც აზ-

რაც მოუვიდოდა და მოეწონებოდა, არამედ უნდა მხოლოდ გაემშვენებინა, „შეეკაზმა", ან გადაეკეთებინა „ესე ვითარითა სიტყვთა, რომელი მასვე პირსა იტყოდეს, არა შეჰმატებდეს და არცა დააკლებდეს საქმეთა"-ო (იქვე I, 217). გადამკეთებელი შინაარსს მაშასადამე ვერ შეეხებოდა. ჭეშმარიტად რომ ასე უნდა ყოფილიყო, როგორც ჩვენი მეცნიერი ამბობდა, და რა დიდი ბედნიერება იქნებოდა მეცნიერებისათვის, რომ ეს მარტივი, მაგრამ არსებითად ჭეშმარიტი მეთოდი რიცხვმრავალ გადამკეთებლებს სცოდნოდათ და შეეთვისებინათ!..

ვისაც სურს ნათლად წარმოიდგინოს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიის სამეცნიერო მეთოდების განვითარებაში ეფრემის აზრს, მას ვურჩევთ ჩვეულებრივ გადაკეთებული ცხორება და მარტვილობანი დედნებს შეადაროს და მაშინ ადვილად შეამჩნევს, რომ გადამკეთებელი უმეტეს შემთხვევებში უფრო თავის ენაწყლიანობის და სწავლულობის გამოჩენაზე ჰფიქრობდა, ვიდრე დედნის ცნობების შეუცვლელად გადმოცემაზე.

ეფრემ მცირეს ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური მოთხოვნილება ძველ თხზულებათა გადაკეთების შესახებ ქართულ საისტორიო მწერლობას, როგორც ეტყობა, შეუთვისებია და მუშაობის დროს ქართველ „გარდამკაზმელებს" ამ მეთოდით უხელმძღვანელიათ კიდეც. ამ აზრის სიმართლეს დემეტრე მეფის დროინდელ გამოჩენილ საეკლესიო „აღმწერელის" არსენ კათალიკოზის თხზულებაც საუცხოვოდ ამტკიცებს, რომელიც აი რას ამბობს თავის მიერ წ~ა ნინოჲს გარდაკაზმულ ც~ა-ში: „წმიდანო მამანო და ძმანო! ესე ნეტარისა ნინოჲს ცხორებაჲ შეუწყობელად და განბნეულად ქართლისა მოქცევისათანა და ჰამბავსა მეფეთასა-თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით: რომელიმე თჳთ მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე მეფისა მირიანისაგან, სხუაჲ იაკობ მღდლისაგან, სხუაჲ აბიათარისაგან, სხუაჲ კუალად სიდონიაჲსაგან, გარნა წინა უკუანა და უკუანა წინ იგივე-და-ერთი პირი. და ამისთჳს საეკლესიოდ მკითხველთათჳს ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უკმარ. ამის პირისათჳს დაფარულად მდებარე იყო და თანა წარვჰჴდებოდით მოთხრობასა ღვაწლისა მისისა დღესა ჴსენებისა მისისასა... ამისთჳს ვიკადრე თჳთ მის წმიდისა მეოხებათა თანა-შეწევნითა და თქუენთა ბრძანებათა მრავლითა მე უძლომან მტვერმან ფერკთა თქუენთამან ყოვლად უდებმან ცხორებულმან უღირსმან არ[სე]ნი აღწერად მეფობასა დიმიტრისასა.. [წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინოჲსი ცხორებისაჲ ა]ღზრდით სულიერ[ით მოქალაქობა]თა, ღვაწლთა და ქადაგება[თა და] სასწაულთა შემდგომითი შემდგომად. მიწყია ლიტონითა სიტყვთა იგი პირი, რომელი ძუელსა შინა სწერია: არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვსა და გამოცხადებაჲ საქმისაჲ მოკლედ და მარტივად გამომითქუამს, და მრავალკეცსა და მასვე თანააღრეულობასა

ჰანბავსასა თანაწარკდილვარ და უკეთუ რაჲმე შესავალად თხრობისა, ანუ ადგილ-ადგილ შესაკრავად სიტყვსა სიტყუაჲ გჳკმარებია, იგიცა სალმრთოთა წიგნთაგან და წმიდათა მიერ თქმულისაგან არს და ყოველი ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებით აღწერილი და წამებული მათ მიერ, აჰა, წინაშე თქუენსა არს“-ო. (ც˜ა წ˜ა ნინოსი არსენი კ˜ზისა, საე˜კლო მზ˜მის გამ˜ცმა № 10, გვ. 51—52). მაშასადამე არსენი კათალიკოზი ამბობს: მოთხრობის შინაარსისათვის „არცა შემიმატებია, არცა დამიკლია“-ო. მას მხოლოდ წ˜ა ნინოს ძველ ც˜ა-ში არსებული „მრავალკეცი თანაალრეულობაჲ ჰამბავსაჲ“, რაკი „იგივე-და-ერთი პირი“, ერთი-და-იგივე ც˜ის სხვა-და-სხვა ადგილას, „წინა-უკანა და უკანა-წინ“ რამდენჯერმე მოთხრობილი, მოუსპია და იმის ცდაში ყოფილა, რომ „ძალი სიტყვსა“, დედა-აზრი და „გამოცხადებაჲ საქმისაჲ“, საქმის ნამდვილი ვითარება მკაფიოდ და ცხადად გამოეთქვა, „მოკლედ და მარტივად“. თავისით არსენს მხოლოდ „შესავალი თხრობისა“ დაუწერია და აქა-იქ, „ადგილ-ადგილ“ კიდევ „შესაკრავად სიტყვსა სიტყუაჲ გჳხმარებია“-ო, მოთხრობის სხვა-და-სხვა ნაწილის ერთიერთმანერთთან გადასაბმელად საჭირო სიტყვები ჩაურთავს. მთელი ეს ზემომოყვანილი ამონაწერი ნათლად ამტკიცებს, რომ არსენი კათალიკოზი ეფრემ მცირეს მეთოდოლოგიურ მოძღვრების მიმდევარი და განმახორციელებელი ყოფილა.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო ეფრემ მცირეს ერთი პატარა საისტორიო გამოკვლევაც აქვს დაწერილი, რომლის სათაური არის: უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისაჲ თუ რომელთა წიგნთა შინა მოიკსენების“. ეს გამოკვლევა დაწერილია ეფრემის მიერ „ეკლესიარხისა ქართველთასა, მღვდელისა უფლისა იოანეს კჳრიკეს“ ბრძანების გამო. იმასვე აღუნიშნავს, თუ რა მიზანი უნდა ჰქონოდა ეფრემის ნაწარმოებს და რა გვარ წყაროებით შეეძლო ესარგებლნა. იოანე კჳრიკეს უბრძანებია, „რათა წერით დაიდვას მას შინა მოსაკსენებელი, ოდეს მოქცევისა ჩუენისაჲ და თუ რომელთა წიგნთა შინა ბერძენთასა კსენებულ არს“ (ქ˜კბი, I, 34). მკვლევარს მაშასადამე უნდა გამოერკვია: „ოდეს“, ე. ი. როდის და სად არის მოკსენებული მოქცევაჲ ქართლისაჲ, მაგრამ წყაროდ მხოლოდ ბერძნული წიგნები უნდა აეღო. ამგვარი უცნაური მოთხოვნილება თვით ცხოვრებამ წამოაყენა, სახელდობრ იმ გამწვავებულმა ბრძოლამ ბერძნებსა და ქართველებს შორის, როდესაც პირველად საჯაროდ აღიძრა საკითხი, აქვს თუ არა კანონიერი უფლება საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებელი იყოს (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია II, 490—494). რასაკვირველია, თუ ქართველები თავის უფლების დასამტკიცებლად საბუთებს ქართულ საისტორიო წყაროებითგან მოიყვანდნენ, ბერძნები არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდნენ და არც დაიჯერებდნენ. რომ არავითარი საბუთი არა ჰქონოდათ ქართველების საბუთებისათვის

ეჭვის თვალით შეეხედნათ და უარეყოთ, ამისათვის საჭირო იყო ქართველებს ყველა ცნობები მხოლოდ ბერძნულ საისტორიო წიგნებითგან ამოეკრიბათ. რაკი პაექრობა ამ დროს ხშირი იყო ხოლმე, ქართველები პასუხისათვის ყოველთვის მზათ უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო ამისათვის სწორედ ისეთი გამოკვლევის დაწერა იყო საჭირო, როგორიც იოანემ ეფრემ მცირეს მიანდო, რომ „უკმდეს თუ ვისმე გამომეძიებელთაგანსა ცნობად“ (ქ˜კბი, I, 34), გამოსადეგი ცნობები მზათ ჰქონოდა.

ეფრემმა მინდობილი საქმე საუცხოვოდ აასრულა: მან ყველა ის წყაროები, სადაც-კი ქართველების გაქრისტიანებისა და ეკლესიის შესახებ ცნობები მოიპოვებოდა, შეკრიბა და თავის მიზნისათვის გამოიყენა. ამაზე მეტი არც ჩვენ ვიცით ეხლა*). ეფრემ მცირეს შემდეგ ოთხ უმთავრეს თხზულებითგანა აქვს ამოღებული მასალები: მოციქულთა მიმოსლვითგან, „თეოდორიტეს საეკლესიო მოთხრობის წიგნთაგან“, ანტიოქიაში აღწერილ ხრონოღრაფითგან და ევაგრე ეპიფანეს „საეკლესიო მოთხრობითგან“, წვრილმანი წყაროები კიდევ სხვა იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეფრემ მცირეს ყოველთვის მკაფიოდ და დაწვრილებით აქვს აღნიშნული, თავის წყაროს სახელდობრ რომელ ადგილითგან იღებს ცნობებს: მაგ. „მოიკსენებს თეოდორიტე საეკლესიოჲსა მოთხრობისა წიგნსა შინა თჳსსა ოცდამეოთხესა თავსა“ (ქ˜კბი I, 34), ან კიდევ „ევაგრე ეპიფანესი საეკლესიოსა მოთხრობასა შინა თჳსსა აღწერს ოცდამეორესა თავსა შინა“ (იქვე. I, 53). ამასთანავე თეოდორიტეს თხზულებიითგან მოყვანილი მისი თარგმანი იმდენად სწორე და დედანზე დაახლოვებულია, რომ მეტი შეუძლებელია*) მხოლოდ ერთ ადგილას განზრახ დაჰშორებია ბერძნულს ტექსტს: თეოდორიტეს ქართველების შესახებ ნახმარი აქვს სიტყვა „βάρβαροι“ „ბარბაროსნი“, ეფრემს-კი გადმოუთარგმნია სიტყვით „ნათესავნი“ (ქ˜კბი I, 35=Migne Patr. graec. v. 82, historia eccl. lib. I, cap. 23), რასაკვირველია იმიტომ, რომ მას თავისი ერთვნება ამ სათაკილო სახელწოდების ღირსად არ მიაჩნდა.

სამწუხაროდ „ხრონოღრაფს“ ჩვენამდი არ მოუღწევია. მაგრამ რომ ეს საბუთიც ეფრემ მცირეს მოგონილი და შეთხზული არ არის, ეს ცხადადა სჩანს ერთ

---

*) რუფინუსის ცნობას გარდა, მაგრამ იგი ვითარცა რომაელი ეფრემისათვის გამოსადეგარი არ იყო.

*) სამ პატარა წინადადებას გარდა (καὶ προσέφερεν ὡς ἐνῆν τὰ θεῖα παιδεύματα, ἀπελλαγε τοῦ ζόφου და ταύτης μὲν οὖν· τῆς προμηθείας τοὺς ἠτηκότας ἠξίωσε) (Migne, Part. graeca, vol. 82, historia eccl. lib. I, cap. 23), რომელიც ქართულ თარგმანს აკლია, სხვა ყველაფერი სიტყვა სიტყვით არის გადმოცემული; რაკი თარგმნის დროს ეფრემი საზოგადოდ დედანს კვალდაკვალ მისდევს ხოლმე, ამიტომ ალბად ის სამი წინადადება ბერძნულ ტექსტსაც უნდა ჰკლებოდა.

ბერძენ მეცნიერის ნიკონ შავმთელის 1072—1088 წლებს შორის დაწერილ წიგნითგან, რომელსაც „ტაკტიკონი“ ეწოდება. მას ამ თხზულებაში სწორედ იგივე ნაწყვეტი აქვს მოყვანილი, რომელიც ეფრემ მცირეს გადმოუთარგმნია და რამდენადაც ამ ნაწარმოების დაბეჭდილ სლავურ თარგმანითგანა სჩანს (ბერძნული დედანი ჯერ გამოქვეყნებული არ არის) ჩვენს მეცნიერს დედანი სიტყვა სიტყვით უთარგმნია (იხ. **Правосл. Палест. Сборникъ, вып.** 16, გვ. 40, 47 და 48).

მას შემდგომ რაც ქართულ საეკლესიო მწერლობაში ანდრია მოციქულის საქართველოში ქადაგების შესახებ ცნობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს და სამშობლო ეკლესიის დამფუძნებლად პირველ-წოდებული მოციქული აღიარეს, უნებლიეთ საკითხი იბადებოდა: თუ ქრისტიანობა საქართველოში მართლა პირველ საუკუნეშივე გავრცელდა, მაშ წმინდა ნინოს რაღა ემოციქულებოდა, ან-კი ვინღა უნდა მოექცია? ამის გამო სიმართლის მოყვარულსა და გულ-წრფელ ადამიანს ან ერთი ცნობა უნდა უარ-ეყო, ან მეორე. ეფრემ მცირეს მკაცრს ლოღიკურს მსჯელობასაც ეს გარემოება არ გამოჰპარვია და ცდილა ეს ორივე ცნობა ერთიერთმანეთში ისე შეეთანხმებინა, რომ ორივეს შესაფერისი მნიშვნელობა ჰქონოდა. მას როგორც საეკლესიო მწერალს და მონაზონს არ შეეძლო არც ერთი ამ ცნობათაგანი უარეყო იმიტომ, რომ ორივე ისეთს წყაროებზე იყო დაფუძნებული, რომელთა სიმართლე მაშინ ყველასა სწამდა. წ͠ა ნინოს შესახებ ცნობის უარყოფა არც ეხლა შეიძლება, იმიტომ რომ მისი მოღვაწეობა თანამედროვე ისტორიკოსსა აქვს აწერილი. „მიმოსლვაჲ მოციქულთაჲ“-ც მაშინ უეჭველ წყაროდ იყო მიჩნეული. რაკი ორივე ცნობა ნამდვილად ითვლებოდა, ეფრემმა დაასკვნა: წ͠ა ნინოს ქადაგება უეჭველია იმიტომ იქნებოდა საჭირო, რომ ალბად „ამათ წმიდათა სამოციქულონი მოძღურებისა თესლთა ანეულნი მრავალჟამ დაიპყრნა ღუარძლმან მეკერპეთამან, არა ხოლო ჩუენ შორის, არამედ თჳთ მათ ბერძენთაცა შორის“-ო (ქ͠კბი I, 34). ამგვარი მაგალითები, რომ ახალი მოძღვრება შემდეგ დაჩაგრულიყო და საბოლოვოდ გამქრალიყო, ბევრი იცოდნენ მაშინ. ამ შემთხვევაში ჩვენი მეცნიერი სამშობლო ქვეყნის წარსულის შესახებ სხვა ქვეყნების ისტორიის საზოგადო მოვლენათა მიხედვით მსჯელობს, ანალოგიით სარგებლობს და დასკვნის, რომ როგორც სხვა ქვეყნებში „სამოციქულონი მოძღვრებისა თესლთა ანეულნი მრავალჟამ დაიპყრნა ღუარძლმან მეკერპეთამან“, ისევე საქართველოშიც უნდა მომხდარიყო და სწორედ ამის გამო საჭირო იქნებოდა ქრისტიანობის ხელმეორე ქადაგება საქართველოში. ყურადღების ღირსია, რომ ეფრემ მცირეს ამ თეორიამ გაიმარჯვა და საყოველთაოდ გავრცელდა. ეფრემის თეორია მე-**XIX** საუკუნის დამლევამდე შეურყეველი იყო. ამიერითგან საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახები ორივე ცნობა შეთანხმებული და ლოღიკურად სრულებით დასაბუთებული იყო. რასაკვირველია

ეხლა ამ საკითხის შესახებ ჩვენ სხვა აზრს მივდევთ, მაგრამ მაინც უნდა აღვიაროთ, რომ მაშინ ამაზე უკეთესად ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი იყო.

მხოლოდ ერთს შემთხვევაში, როდესაც იგი მირონის კურთხევის უფლების ამბავს არკვევდა, ეფრემ მცირეს შეცდომა მოუვიდა. საკვირველი ის არის, რომ ეს საკითხი ყოფილა „საძებელი მრავალთაჲ, თუ ოდეს მიიღეს ქართველთა კურთხევაჲ მირონისაჲ“ (ქ̃კბი I, 47). ჩვენს მკვლევარს ბევრი უძებნია; მაგრამ საჭირო ცნობები ვერ უპოვნია და ამის გამო მთელ ჩემ გამოკვლევის „მრავალჟამ ვდროებდ აღწერად“-ათ (იქვე I, 47). რაკი არაფერი აღმოუჩენია, იგი თავდაპირველად არკვევს თუ როგორ გადაწყვეტილა ეს საკითხი სხვაგან და ამისდა მიხედვით, ანალოგიით მსჯელობს, საქართველოშიაც ამნაირად უნდა მომხდარიყოო: რაკი ქალკედონის კრებას ეხმა, რომ სიძვირის გამო მირონს ჰყიდდნენო, ამიტომ დაადგინეს, მარტო ანტიოქიაში შეზავებული მირონი-კი არ არის წმინდა, არამედ ყველგან სხვაგანაცაო. ეს ცნობა იყო „საზოგადოდ ყოველთათჳს“, მაშასადამე ქართველებსაც უფლება ეძლეოდათ ქალკედონის კრების ამ დადგენილების შემდეგ მირონი საქართველოშივე ეკურთხათ. მაგრამ ამას გარდა ეფრემ მცირე საქართველოში განსაკუთრებულ მიზეზსაც ასახელებს, ამიტომაც კიდევ შეიძლებოდა მიენიჭებინათ უფლებაო: „საგონებელ არს, ვითარმედ სიშორისათჳს გზისა და რომელ ფრიად საშიშ არს უცხო თესლთა შორის კმელით ანტიოქიით ქართლს წაღებაჲ წ̃ისა მირონისაჲ, ამისთჳს თჳთ ადგილსა დაწესებულ არს მათდა კურთხევაჲ მირონისაჲ“-ო (იქვე, I, 47).

საკვირველი ის-კი არ არის, რომ ეფრემ მცირე ამნაირად მსჯელობს, მისი აზრების მიმდინარეობა ლოღიკურად სრულებით სწორეა და ჩვენც რომ საბუთები არა გვქონდა იმავე ანალოგიის მეთოდს მივმართავდით და „საგონებელს“ მივეცემოდით,—ამ მხრივ იგი უძლეველია;—საკვირველი ის არის, რომ მას და მრავალ სხვა პირთ თითქოს არა სცოდნიათ, რომ ამ საკითხის შესახებ საუცხოვო, თანამედროვეს მიერ აღწერილი ცნობები მოიპოვება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში (ქ̃ლ ერის ისტორია II, 405) და თვით საბუთის დედანიც იერუსალიმის მონასტერში ინახებოდა. მაგრამ ესეც-კია, რომ შესაძლებელია, რაკი ეფრემს ნაბრძანები ჰქონდა ყველა ცნობები უეჭველად ბერძნულ წყაროებითგან ამოეკრიბა, სწორედ ამის გამო გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ცნობაც არა აქვს მოყვანილი.

ზემომოყვანილითგან ვგონებ სრულებით ცხადი იქმნება, რომ ეფრემ მცირე შესანიშნავი, სწორუპოვარი ქართველი მეცნიერი ფილოლოგოსი, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი იყო და ჩვენი ზნეობრივი მოვალეობაა მისი ნაღვაწი და ყველა ნაშრომი ისე გამოვცეთ და შევისწავლოთ, როგორც მის დიადს სულს, მაღალს გონებას და ღრმა სამეცნიერო ცოდნას და ნიჭს შეეფერება.

ლეონტი მროველი.

მ̃მ დ̃ფსეულსა და ანა დ̃ფლს ქ̃ცა-ში ერთს ადგილას აღნიშნულია: „არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს[მიერ] ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა“-ო (*432, გვ. 211). როგორც ამ შენიშვნიდგან სჩანს, ქ̃ცის ძველს დედანში „მეფეთა ცხორება“, „ქართლის მოქცევა“ და „არჩილის წამება“ ლეონტი მროველის თხზულებად იყო ცნობილი. უეჭველია, როგორც ქვემოდ ქ̃ცა-ში (* 437, გვ. 215) ჯუანშერი ავტორის სახელია და არა გადამწერისა, ამ გვარადვე აქაც ლეონტი მროველი ავტორის სახელია. ამას თვით ზმნა „აღწერა“-ც ამტკიცებს, რომელიც ძველ ქართულში შეთხზვას ჰნიშნავდა. რომ ლეონტი მროველი მწერლად და ისტორიკოსად ითვლებოდა წინადაც, ეს წ̃ა არჩილის ახალ ცხორებითგანაც სჩანს, რომლის ავტორი ამბობს: არჩილის „ღირსებისთა ქებათა ვერვინ მკადრე ქმნილ არს, თჳნიერ მის ჟამისა წმიდისა ეპისკოპოზისა ლეონტი მროველისა, რომელსაცა მისი სანატრელი ცხორებაჲ და ღუაწლი ვრცელად აღუწერია, ვითარცა მოგჳთხრობს მატიანე ქართველთა ცხოვრებისა“-ო (ც̃ა არჩილი II-ისა, დაბეჭდილი მ. ჯანაშვილის „ქართ. მწერლობა“-ში I წიგნი, 258). „მეფეთა ცხორება“ ამ წინადადებაში რასაკვირველია უნდა უდრიდეს ქართლის ცხოვრების დასაწყისს, რადგან მხოლოდ ამ ნაწილს მ̃მ დ̃ფსეულს ქ̃ცის ხელთნაწერში ამგვარი სათაური აქვს: „სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა ვიწყო მოთხრობად ცხორება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. (*95, გვ. 1). მაშასადამე ლეონტი მროველის თხზულების სრული სათაური ყოფილა „ცხორება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. ყურადღების ღირსია, რომ წ̃ა ნინოს ცხორების გადმკეთებელი არსენი კათალიკოზი ამ თხზულებას „ც̃ა“ს-კი არ ეძახის, არამედ „ჰამბავი მეფეთა“ს (საეკ. მუზეუმ. გამოც. № 10, გვ. 51). თვით ლეონტი მროველიც თავის თხზულებას ერთ ალაგას „ამბავს“ უწოდებს: „აქამომდე დავსწერეთ ამბავი ესე რვათა ძმათა, ხოლო აქეთგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა“. (გვ. 5).

ვინ იყო ლეონტი მროველი და როდის ცხოვრობდა იგი, ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. საყურადღებოა, რომ ათონის ივერთა მონასტრის ერთს ხელთნაწერში № 61 ნ. მარრის სიტყვით მოხსენებული ყოფილა „ლეონტი მროველი მთავარ-ეპისკოპოსი“ (Агіографическіе матеріалы по груз. рукоп. Ивера I, 84; ЗВОАО. XIII), მაგრამ ამ უკანასკნელის შესახებაც მეტი ცნობები არ არსებობს, რომ გამოვარკვიოთ, ისტორიკოსი და

ათონის ხელთნაწერში აღნიშნული ლეონტი მროველი ერთი და იგივე პირია, თუ არა. მხოლოდ დაახლოვებით შეგვიძლიან განვსაზღვროთ აგრეთვე დრო, როდესაც მოღვაწეობდა ჩვენი ისტორიკოსი. ლეონტი სარგებლობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თ და მატბერდისეულ წ˜ა ნინოს ცხორებით, მოხსენებული აქვს (გვ. 30) ანდრია და სვიმონ კანანელის ქადაგება საქართველოში (თუ ეს მერმინდელ გადამწერის შეტანილი არ არის). ამის გამო შეუძლებელია ლეონტი მროველს მე-XI-ე საუკ. ადრე ეცხოვრა.

ლეონტი მროველის თხზულებას „ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ჩვენამდის იმ სახით არ მოუღწევია, როგორც თვით ავტორს უნდა დაეწერა და დაუწერია. „ცხორება“ გადამწერთაგან დროთა განმავლობაში თვალსაჩინოდ დაზიანებულა. როგორც მ˜მ დ˜ფლისეულის ქ˜ცითგანა სჩანს ვგონებ იქ უნდა თავდებოდეს, სადაც იწყობა ვახტანგ მეფის ცხორება: მხოლოდ ამ ნაწარმოებსა აქვს სრულებით ახალი სათაური.

თვით ლეონტი მროველის ნაწარმოები იყოფება ორ დიდ ნაწილად: პირველი შეიცავს ქართველთა „პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა და მეფეთა“ ცხოვრებას წარმართობის დროს (*95—191, გვ. 1—55), ხოლო მეორე—მირიანითგან მოყოლებული ვახტანგ მეფემდე (*191—293, გვ. 55—116). რომ მაინცა-და-მაინც ლეონტი მროველს მარტო წ˜ა ნინოს ც˜ა-კი არ დაუწერია, როგორც ეს ალბად შეცდომით აღნიშნულია ქ˜ცის მერმინდელ გადამწერისაგან, არამედ საქართველოს გაქრისტიანებაც, ეს ცხადად იმ სათაურითგანაც სჩანს, რომელიც ამ ნაწილისათვის ავტორს გაუკეთებია: „მოქცევა მირიან მეფისა და მისთანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ (*191, გვ. 55 და ანა დ˜ფლს ქ˜ცა). მაშასადამე ავტორს უმთავრესად ყოვლისა „ქართლის“ გაქრისტიანებაზე ჰსურდა ელაპარაკა და წ˜ა ნინოს ც˜ა ამ მოთხრობის მხოლოდ ერთს ნაწილს შეადგენდა. მართლაც ამ სათაურს ზედვე მისდევს: „პირველად უკუე ვაკსენოთ ცხორება წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა... ნინო მოციქულისა“-თ (*191, გვ. 55).

ლეონტი მროველის თხზულების ორივე ნაწილი ერთი-და-იმავე სიტყვებით იწყობა: „პირველად ვაკსენოთ“ (*95 და 191, გვ. 1 და 55). პირველი ნაწილი თავის მხრივ თავებად უოფილა დაყოფილი. ეხლა თავების სათაურები მხოლოდ ერთგან-ღა არის შერჩენილი: „თავი მეოთხე. ქართლისა (sic) შესულა სპარსთა და მეფობა მირიანისი“ (*171, გვ. 44). რომ მროველის თხზულება მართლა თავებადა უოფილა დანაწილებული, ეს ნათლად თვით ავტორის სიტყვებითაცა მტკიცდება. ლეონტი მროველი ერთს ადგილს ამბობს: „ფეროზს, სიძესა მირიანისსა, აქუნდა ქუეყანა, რომელი ზემო თავსა ვაკსენეთ“-ო (*190, გვ. 55).

8

რაკი დანარჩენ თავების პირველი სტრიქონები წითურად არის ნაწერი, ამიტომ იმის გამორკვევა, თუ სად იწყობა ახალი თავი, ძნელი არ არის. სათვალავისდა მიხედვით ლეონტი მროველის ნაწარმოები მე-*171 (გვ. 44)-ე გვერდამდე სულ სამ თავად უნდა ყოფილიყო დაყოფილი, რადგან მე-*171 (გვ. 44)-ე გვერდით უკვე მეოთხე თავი იწყობა. ამის გამო „თავი პირველი" უნდა პირველი გვერდითგანვე იწყობოდეს სიტყვებით „პირველად ვაკსენოთ ესე რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა ამათთუსთა ერთი იყო მამა სახელით თარგამოს" (*95, გვ. 1). „თავი მეორე" უნდა იწყობოდეს შემდეგი წინადადებით—„აქამომდინ დავსწერეთ ამბავი ესე რვათა ძმათა, ხოლო აქათგან ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი ქართლისა და ნათესავისა მათისა"-ო (*102, გვ. 5). „თავი [მესამე]"-ს სათაური უნდა იყოს „შემოსულა ალექსანდრესი" (*128, გვ. 13). „თავი მეხუთე" იწყობა იქ, სადაც სწერია: „ხოლო აწ ვაკსენოთ ცხორება მირიანის ძისა ქასრე არადაშირისი" (*179, გვ. 48). ამით თავდება პირველი ნაწილი, რომელიც მაშასადამე, ხუთს თავს შეიცავს.

რაკი ლეონტი მროველის თხზულების მეორე ნაწილი, ბოლო ფურცლებს გარდა, თითქმის მთლად შატბერდისეულ წ~ა ნინოს ც~თგან არის ნასესხები, ამიტომ აქ მოთხრობა განსაკუთრებულ თავებად დაყოფილი არ არის, არამედ აქა-იქ შერჩენილია იგივე სათვალავები და სათაურები, რომლებიც შატბერდისეულ წ~ა ნინოს ც~აში მოიპოვება.

რა მიზანი ჰქონდა ლეონტი მროველის, როცა თავის თხზულების წერას შეუდგა? ქართულ საისტორიო მწერლობაში ლეონტი მროველამდე არსებობდა „მოქცევაჲ ქართლისა"-ს მატიანე,—ნაწარმოები, სადაც ქართველების ძველი ისტორია იყო მოთხრობილი. მაგრამ იქ უძველესი ხანა აღწერილი არ არის და მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში გალაშქრებით იწყობა. შეიძლება მაშასადამე ლეონტი მროველს განზრახვა ჰქონოდა ქართველი ერის უძველესი დროის ისტორია დაეწერა. მაგრამ ლეონტი მროველის ნაწარმოების მიზნის ამგვარად განმარტება სრული არ იქმნებოდა.

ლეონტი მროველს თუმცა სათაურში თითქოს ერთ-ერთ მიზნად დასახული ჰქონია „ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთ მამათა და ნათესავთა", მაგრამ, როგორც თვით თხზულებითგანა სჩანს, მას მარტო მეფეთა, მამათა და ნათესავთა ცხორება არა ჰქონია სახეში, არამედ ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხიც. ჩვენი ისტორიკოსის პირველი და უმთავრესი მიზანი იყო, გამოერკვია კავკასიაში მცხოვრებ ერთა საზოგადოდ და განსაკუთრებით-კი ქართველების ჩამომავლობა და ნათესაობა. „პირველად ვაკსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, [კავკასიანთა] და მეგრელთა, ამათთუსთა ერთი იყო

მამა სახელით თარგამოს. ესე თარგამოს იყო ძე თარშისი, ძისწული იაფე-ტისი ნოეს ძისა“ (*95, გვ. 1). ამ გვარად ჩვენ საისტორიო მწერლობაში ქართველთა შთამამავლობითი შტო დაბადების მამათმთავართა შთამამავლობითს შტოს პირველად ვგონებ ლეონტი მროველმა დაუკავშირა. წინად, მაგალითად „მოქცევაჲ ქ͞ჲ“-ს მატიანეში, ქართველ ერის არც ნათესაობაზე, არც შთამო-მავლობაზე იყო რამე ნათქვამი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს საკითხი სხვა-და-სხვა ერთა მონათესაობის შესახებ ძველ ბერძნებსაც აწუხებდა და ისინიც თავისებურად სცდილობდნენ ეს საყურადღებო „საძიებელი“, როგორმე გა-დაეწყვიტათ. ქართველთა სხვა-და-სხვა ტომებს ზოგი თესალიელთა ჩამო-მავლად სთვლიდა, ზოგი, როგორც მაგ. ჰეროდოტე, ეგვიპტელთა ახალ-შენად. მაგრამ ძველ საბერძნეთის მწერლებს აზრადაც-კი არ მოსვლიათ, რომ სხვა-და-სხვა ქართველი ტომები ერთიერთმანეთის მონათესავენი არიან. მით უმეტეს მათ ფიქრადაც არ გაუტარებიათ, რომ ყველა კავკასიაში მობი-ნადრე ერები ერთის შთამომავლობის ყოფილიყვნენ: ამ დროს აზრი კაცო-ბრიობის ერთობლივ ჩამომავლობაზე ჯერ არ არსებობდა. მხოლოდ მას შემ-დგომ, როცა ქრისტიანობა გავრცელდა და მასთან ერთად მაშინდელმა განათ-ლებულმა ხალხებმა „დაბადება“ შეითვისეს, თვითოეულ ერის მეცნიერი მწერ-ლები ცდილობდნენ, რომ „დაბადების“ მამათმთავართა შტოში, რომელიც ნოეს სამ შვილის—სემ, ქამ და იაფეტისაგან იყო გამოყვანილი, ან თავის ერის, ან არა და სხვა ცნობილ ერთა მამათმთავრის სახელი მოეძებნა,—ან სემის, ან ქა-მის, ან არა და იაფეტის შთამომავლობად აღეარებინა. განსაკუთრებით ბერ-ძენი მწერლები ცდილობდნენ ამ საკითხის გამორკვევას. მაგალითად, ევსევი კესარიელი ჰერთა, კოლხებს, ტიბარენებს, მოსჳნიკებს იაფეტის შთამომავლო-ბადა სთვლიდა, ხოლო ბაბილოვნის ენათა აღრევის შემდგომ სხვათა შორის მოხსენებულია იბერთა, კოლხთა და ჭანების ენა (ხრონოგრაფი, იხ. ლა-ტიშევ I, 667). ეპიფანეს-კი ლაზები, ხალდები, მოსჳნიკები, იბერნი და [ა]ფსილები სემის შთამომავლობად მიაჩნია (ლატიშევ, I, 707), თუმცა შემ-დეგ მოსჳნიკებს, კოლხებს და ხალიბებს იგი ამასთანავე იაფეტიანებადაც ასახელებს (იქვე I, 708). ევსტათე ანტიოქელსაც ნოეს სამის შვილის შთა-მომავალთა შორის მოხსენებული ჰყავს „[თ]ობელ“ თობალების „ეხლანდელ იბერების“ მამათმთავარი და „ოსოხი“ „მესხთა, ეხლანდელ კაპპადუკიელთა“ მამათმთავარი (ლატიშევ, I, 700). ერთი სიტყვით, ქრისტიანე ბერძენი მემა-ტიანენი დაბადების შთამომავლობითი შტოში სხვათა შორის ქართველ ტო-მებსაც წინაპრებს უძებნიდნენ და ეს, თუ გნებავთ, ერთა მონათესაობის გა-მორკვევის პირველი ცდაა.

„ქ͞ცჲ მ͞ქ͞ჲ“-ს მატიანეს ავტორის დროს, როგორც ეტყობა, ქართველ საზოგადოებაში ჯერ კიდევ სურვილი არ ჰქონიათ, რომ თავისი უძველესი ისტორია ნოეს ერთ-ერთ შვილის დროითგან დაეწყოთ და დაბადების მამათ-

მთავართა შტოში თავიანთვის ადგილი ეპოვათ. მხოლოდ ლეონტი მროველის დროს, როგორც სჩანს, მიუქცევიათ ამ საკითხისათვის ყურადღება. სწორედ ამ მხრივ არის საგულისხმიერო, რომ „ც~ა ქართუელთა მეფეთა“ ქართველების ისტორიას იწყობს „თარგამოს“-ითგან, რომელიც „იყო ძე თარშისი, ძისწული იაფეტისი, ნოეს ძისა“. ლეონტი მროველმა ქართველები მაშასადამე იაფეთის შტოს მიაკუთვნა.

საყურადღებოა, რომ ჩვენი ისტორიკოსი ამტკიცებდა: „სომეხთა და ქართუელთა, რანთა და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, [კავკასიანთა] და მეგრელთა—ერთი იყო მამა“-ო (*95, გვ. 1), ყველა კავკასიის ერები ერთი ჩამომავლობისა იყვნენო. ამ შემთხვევაში ჩვენს მემატიანეს, რასაკვირველია, რაიმე საფუძვლიან მოსაზრებით არ უხელმძღვანელია, მის აზრს დაკვირვება და სიღრმე აკლია და ნამდვილი ქართველი ტომები და კავკასიის სხვა ერები ერთმანერთში არიან არეულნი. ამასთანავე მას, როგორც ეტყობა, არ ესმოდა, რომ ქართველები, მეგრელები და ჰერნი ერთიერთმანერთის ძმები არიან, ხოლო რანთა, ლეკთა და მოვაკანელთა ქართველების მონათესაობა თუ საეჭვო არ არის, მაინც უფრო შორეულია. ქართუელებისა და სომეხთა ძმობაც ავტორს რასაკვირველია ამ ორ ენის ნათესაობაზე არა აქვს დამყარებული. მაინც-და-მაინც ლეონტი მროველს უფლება არა ჰქონდა ეთქვა, რანნი, ლეკები, მოვაკანელნი და სომხები ქართუელების ღვიძლი ძმები არიან იმნაირადვე, როგორც ქართუელები, ჰერნი და მეგრელებიო. ამ შემთხვევაში, მგონია, ზემოჩამოთვლილ ერთა ერთ-თესლოვანი ჩამომავლობისა და ძმობის აზრი უფრო პოლიტიკურ მეგობრობისა და ერთობის განმტკიცების სურვილითა და მოსაზრებით უნდა იყოს შეტანილი. თუმცა იქნებ ხალხში გარდმოცემით მაინც რაიმე ბუნდოვანი თქმულება არსებობდა ქართველთა და ზემოჩამოთვლილ ტომთა მონათესაობაზე.

ლეონტი მროველი თავის მიზნის განსახორციელებლად მეტად მარტივს, მაგრამ იმ დროს ყველგან საერთოდ გავრცელებულს საშუალებას ხმარობს. უკვე „დაბადებაში“ ეჭვმიუტანელ რწმენად იყო მიღებული, ვითომც თვითოეულ ხალხს და ქვეყანას, ან ქალაქს რომელიმე მამათმთავარი ანიჭებდა ხოლმე სახელს, რომელიც იმ ერის წინაპარად და მამად ითვლებოდა, რომლისაგანაც მომდინარეობდა მთელი ერი, ისე როგორც ადამისა და ევასაგან „დაბადების“ წარმოდგენით წარმოიშობა მთელი კაცობრიობა. ამ საზოგადო რწმენის გამო „დაბადების“ დამწერნი და შემდეგ ქრისტიანე მეცნიერი მემატიანენიც ყოველთვის, როცა ჰსურდათ გამოერკვიათ რომელისამე ერის, ან ქვეყნის მამათმთავრის სახელი, ამავ საშუალებას მიჰმართავდნენ ხოლმე: აიღებდნენ იმ ხალხისა, ან ქვეყნის სახელს, მაგ. მესხებისას მეშეხ, ან რომელისამე ქალაქისას და დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ხალხი წარმოიშობა, ან არა და ეს ქალაქი და ქვეყანა დაარსდა და ბინადარი გახდა ერთ კაცისაგან, რომელსაც ერქვა მეშეხ.

ერების წარმოშობისა და მონათესაობის მთელი ეს იმდროინდელი თეორია დამყარებული იყო იმ ღრმა და საზოგადო რწმენაზე, რომ მთელი კაცობრიობა ერთ ცოლქმრისაგან წარმოსდგა, ვითომც თავდაპირველად ერთი მეუღლენი იყვნენ, ხოლო შემდგომ თანდათანობითი გამრავლების წყალობით ჯერ გვარი გაჩნდა, მერე ტომი, შემდეგ ერი და მთელი კაცობრიობაც. თანამედროვე მეცნიერება ასეთ შეხედულებას უარჰყოფს. ეხლა სოციოლოგიური კვლევა-ძიებისდა მიხედვით შეურყეველ ჭეშმარიტებად არის მიჩნეული, რომ ერთ-ცოლქმრობაზე დაფუძნებული სახლობა თავდაპირველი მოვლენა არ იყო, რომ გვარი და ერი ოჯახისაგან არ არის წარმომდგარი, პირიქით თვით ოჯახი გვარისაგან გამოიყო, რომ ადამიანთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ მხოლოდ გვაროვნობა არსებობდა, ხოლო შემდგომ, როცა საგვარეულო წესწყობილება სხვადა-სხვა მიზეზების გამო დაირღვა, გაჩნდა ერთ-ცოლქმრობაზე დამყარებული ოჯახიც.

ლეონტი მროველსაც რასაკვირველია კაცობრიობისყოფა-ცხოვრების განვითარების მიმდინარეობა იმ გვარადვე ჰქონდა წარმოდგენილი, როგორც სხვა ერთა იმდროინდელ მემატიანეებს. მასაც ქართველები და კავკასიის სხვა ხალხები ნოეს შვილის იაფეტისაგან წარმოშობილი ჰგონია. კავკასიაში მცხოვრებს ოვითოეულს ერს თავისი მამამთავარი ჰყავდა, — მათს საერთო მამას ერქვა თარგამოს, ხოლო მის შვილებს — ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკ, ჰეროს, კავკას და ეგროს (*96, გვ. 2).

რასაკვირველია, ყველა ეს მამამთავართა სახელები, — ან ამ ერთა, ან მათ ხელში მყოფ მიწა-წყლის სახელებისაგან არის ნაწარმოები მაგ.: ქართველების მამამთავრის სახელი ლეონტი მროველს შეუქმნია ქვეყნის სახელისაგან „ქართლი“. ამ სიტყვისათვის სახელობითის ბრუნვის ნიშანი „ი“ მოუკვეცია და „ქართლ“-ისათვის მიუმატებია სახელობითი ბრუნვის ბერძნული დაბოლოვება „ოს“. ამ გვარადვეა ნაწარმოები მეგრელებისა და შირვანელთა მამამთავრების სახელები - ეგრისი=ეგრ+ოს, ქალაქი ბარდავი—ბარდა=ბარდ+ოს. ამგვარადვე წარმომდგარია სომხების და კახთა მამამთავრის სახელი, მხოლოდ თვით ხალხის სახელისაგან არის შექმნილი: ჰაჲ (სომეხი)=ჰა+ოს, კახ—ი კახ=ოს, კუხ-ი=კუხ—ოს. რანთა, ჰერთა და ლეკთა მამამთავრის სახელები-კი ნაწარმოებია მხოლოდ ქვეყნის შეკვეცილ სახელისაგან, დაბოლოების მოკვეცით „ოს“-ის მიუმატებლივ: ქ. მოვაკან-ეთი=მოვაკან, ჰერეთი=ჰერ+ოს ლეკეთი=ლეკ.

ქართლოსის შვილების სახელები ამგვარისავე წესით არის ნაწარმოები: ქ. მცხეთისაგან მცხეთ—ოს, ქ. გარდაბანისაგან—გარდაბ+ოს. ამ „მეთოდის“ საშუალებით შეუქმნია ლეონტი მროველს მცხეთოსის შვილების სახელებიც: ქ. უფლის ციხისგან (ესე იგი მეფის ციხე) უფლ+ოს, ქ. ოძრხისგან=ოძრხ+ოს და ჯავახ+ოს (ჯავახი+ი).

როგორც ზემომოყვანილ ცნობებითგანა სჩანს, ლეონტი მროველს ქართველ ტომთა და ქალაქების სახელები ერთიერთმანეთში აურევია. ამიტომ მამამთავართა სახელები ზოგჯერ ისეთ ქალაქების სახელებისდა მიხედვით შეუქმნია, რომელთა არსებობა ქართველ ერის ტომობრივ ნათესაობის გასაგებად იმდენად საჭირო არ არის. მარტო ქართველი ტომები რომ მივიღოთ მხედველობაში და ამისდა გვარად გამოვარკვიოთ, თუ როგორა ჰქონდა წარმოდგენილი ლეონტი მროველს ამ ტომთა ერთიერთმანეთ-შორისი ნათესაობრივი დამოკიდებულება, შემდეგი გვაროვნობის შტო წარმოგვიდგება:

- თარგამოს
  - ქართლოს
    - მცხეთოს
      - უფლოს
      - ოძრხოს
      - ჯავახოს
    - გარდაბოს
    - კახოს
    - კუხოს
    - გაჩიოს
  - ჰეროს
  - ეგროს

მაშასადამე იმ დროს, როდესაც ავტორის აზრით მეგრელებსა, ჰერთა და „ქართუელთა“ შორის ძმური ნათესაობა იყო, იმდენადვე შორეული, როგორც მისი შეხედულებით „ქართუელებსა“, სომეხთა და რანთა, შირვანელთა და ლეკთა შორის არსებობდა, ამავე დროს ქართლოსის ჩამომავლობად მას მარტო ქართლელნი (მცხეთოს და უფლოს), კახელნი (კახოს, კუხოს, გაჩიოს) და მესხნი (ოძრხოს და ჯავახოს) მიაჩნია. სხვა ტომების შესახებ ავტორს არავითარი ცნობები არ მოეპოვება. ყურადღების ღირსია, რომ ლეონტი მროველმა არა აცის რა ეგროსისა და ჰეროსის ჩამომავლობის შესახებ. როგორც სჩანს, მეგრელ და ჰერთა ტომების შესახებ საჭირო ცნობები არა ჰქონია. ამასთანავე არაფერია ნათქვამი აბხაზებსა და სვანებზეც.

მაშასადამე ლეონტი მროველმა იმ საკითხს, რომლის გამორკვევაც იკისრა, ვერ სძლია, ვერც საკმაო ცოდნა გამოიჩინა, რომ ნათესავნი უცხოსაგან გაერჩია და ქართველი ტომები (ქართლელნი, კახელნი, მესხები, მეგრელები და სხვანი) კავკასიის სხვა ერებისაგან განცალკევებულისა, თვით ისინი-კი ერთის ჩამომავლობისად აღეარნა. ქართველ ყველა ტომების შესახებაც საჭირო ცნობები არა ჰქონია. ერთი სიტყვით, მან იმგვარადვე განახორციელა თავისი განზრახვა, როგორც განახორციელებდა სხვა იმდროინდელი

ისტორიკოსი. ლეონტი მროველის ცნობებს ქართველების ჩამომავლობის შესახებ ჩვენთვის ეხლა მხოლოდ იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრების შესასწავლელად აქვს მნიშვნელობა. ამ მხრივ ყურადღების ღირსია, რომ ლეონტი მროველი ქართველებისა და კავკასიის სხვა ერთა ჩამომავლობასა და ნათესაობას ყურადღებას აქცევდა და ეხებოდა. ეს უეჭველია იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ იმდროინდელ ქართველ საზოგადოებისათვისაც ამგვარი საკითხი საგულისხმიერო ყოფილა.

ყურადღების ღირსია, რომ ლეონტი მროველი მამამთავართა სახელების წარმოებისათვის სიტყვას ბერძნულ დაბოლოებას „ოს"-ს უმატებდა. როგორც ჩანს იგი ბერძნული საეცნიერო მწერლობის მიმდევარი უნდა ყოფილიყო და ბერძნულიც ვგონებ უნდა სცოდნოდა.

მეორე მთავარი საკითხი, რომელსაც ლეონტი მროველი თავის თხზულებაში ეხება, ქართული ენის გაჩენის თეორიაა. ჩვენი ისტორიკოსის შეხედულობისდა მიხედვით ისე გამოდის, ვითომც თვით ქართველი მამათმთავარი და იმის ჩამომავლობა თავდაპირველად ქართულად არა ლაპარაკობდა. ამგვარად თუმცა ქართველები უკვე არსებობდნენ, მაგრამ ქართული ენა-კი ჯერ გაჩენილი არ იყო. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ვიდრე ნაბუქოდონოსორ მეფე იერუსალიმს აიღებდა, „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს, ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიცხუნი ნათესავნი ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაც დაუტევეს ენა სომხური და ამათ ყოველთა ნათესავთაგანი შეიქმნა ენა ქართული"-ო (*126, გვ. 12—13).

მაშასადამე ჩვენს ისტორიკოსს ჰგონებია, რომ ქართული ენათა შერევისაგან წარმოსდგა, ბაბილონის ენათა აღრევისაგან-კი არა, არამედ იმ ერების ენათა შერევისაგან, რომელნიც მის ცნობებისდა მიხედვით ამ დროს საქართველოში ცხოვრობდნენ. „ქართლოსიანთა" თავდაპირველი ენა-კი ლეონტი მროველის აზრით სომხური იყო. ეს ცნობა ბევრ ჩვენ-დროინდელ ქართველს იმდენად სათაკილოდ მიაჩნდა, რომ ზოგიერთნი ამტკიცებდნენ, ვითომც ეს ადგილი ვიღაცას განზრახ დაემახინჯებინოს.

ამ დედნის გამოცემისათვისაც-კი ბ. მ. ჯანაშვილი მოურიდებლივ მ. ბროსსეს სდებდა ბრალსა (ქართველთა მატიანე, 110), იმ ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე და სიცოცხლე ქართულ მწერლობის შესწავლას შესწირა.

ბ. ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ეს ცნობა უძველეს, ვახტანგის წინადროინდელს ქცაშიაც მოიპოვება (Опис. ტ. II, გვ. 93—96). რასაკვირველია სიყალბე აქ არავის ჩაუდენია: ეს ცნობა უეჭველია თვით ლეონტი მროველს ეკუთვნის. საზოგადოდ იგი სომეხთა მამამთავარსა და სომხურს უპირატესობას ანიჭებს. რატომ? იმიტომ, რომ ლეონტი მროველი თითქმის ყველაფერში ერთს თხზულებასა ჰბაძავს, რომელიც შეცდომით ეფრემ ასურის ნაწარმოებად

ითვლებოდა და სახელად ჰქვიან „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი თარგმან[ება] დაბადებისათჳს ცისა და ქუეყნისა და ადამისთჳს, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას და ცუალება ნათესავთა... ხოლო ესე თარგმანნა წმიდამან მამა[მა]ნ ჩუენმან ეფრემ «შობა მამათმთავართა ადამითგან ვიდრე ქრისტესადმდე“. ეს თხზულება მ˜მ დ˜ვლს ქც˜ის ხელნაწერში ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებს წინ უძღვის და ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემულია მ˜მ დ˜ვლს ქც˜ის I დამატებად (გვ. 787—846). ქართული დედნის ასურულ თხზულების „განძთა ქვაბი“-სა და ეთიოპურ „ადამის წიგნთან“ (**Das christliche Adambuch des Morgenlandes aus dem Aethiopischen.. übersetzt von A. Dillmau, Jahrbücher der Biblischen Wissenschaft V**) შედარებამ დამარწმუნა, რომ ზემოაღნიშნული ქართული თარგმანი ასურულ „განძთა ქვაბის“ ერთ-ერთ რედაქციის თარგმანია (**K. Bezold. Die Schatzhöhle**). ასურულ მწერლობაშიც ამ თხზულების ავტორად ეფრემი ითვლება (იქვე I, 1 და II წ.), ბიზანტიურს მწერლობაშიც გიორგი სჳნკელი (VIII—IX საუკ.) და სიმეონ ხუცესი (XIII ს.) ეფრემისად სთვლიან (**Gelzer. Julius Africanus und die byzant. Chronographie II. 268,** და **Dillman. Das christliche Adambuch, 10**). თუმცა იგი ნამდვილად ეფრემ ასურს არ ეკუთვნის, მაგრამ მაინც ერთ-ერთ მის მიმდევარის დაწერილი უნდა იყოს (**K. Bezold. Schatzhöhle I.** გვ. X). ამ თხზულებაში სახელდობრ ნათქვამია, რომ თავდაპირველად იყო სიტყუა მათი (ე. ი. ადამიანებისა) ერთ და ენასა ზრახვიდეს ადამისითგან ვიდრე მუნ დღედმდე ენასა ასურულსა ფრიად ვრცელსა ვიდრე სომხითადმდე და არს იგი მეფე ყოვლისა ენისა“-ო (მ˜მ დვ˜ლი ქც˜ა 812). „ხოლო... რაჟამს აღაშენეს კოდოლი ბაბილოვნისა, მუნ შეირივნეს ენანი და განიბნივნეს ყოველნი პირსა ქვეყნისასა“... და მიერითგან იქმნა ქუეყანა სამეოცდაათ ენად და სამეოცდაათ მთავრად და ყოველსა ენასა დადგინეს (**sic**) მეფე“ (ე. თაყაიშვილი. მ˜მ დვ˜ლი ქც˜ა, 813). ამ საშუალო საუკუნოების ისტორიკოსთათვის სამაგალითო თხზულებიდგან ლეონტი მროველმა შეიტყო, რომ თავდაპირველად გაბატონებული იყო ერთი ენა—ასურული, ვრცელს მანძილზე, რომელიც მიაწევდა „ვიდრე სომხითადმდე“. მაშასადამე სომხითში ასურული არა ყოფილა გავრცელებული, არამედ სომხური, ასე უნდა ეფიქრნა, და სწორედ ასეც უფიქრნია ჩვენს ისტორიკოსს. რაკი სომხითის მეტი ზემომოყვანილ თხზულებაში სხვა არც ერთი ქვეყანა დასახელებული არ არის, ამიტომ სომხითი და სომხური ენა დიდმნიშვნელოვნად მიუჩნევია. ამით აიხსნება, რომ ლეონტი მროველი „ჰაოსს“ და სომხურს ენას ასეთს უპირატესობას ანიჭებს. შემდეგ იმავ სამაგალითო წიგნში ახსნილია, რომ ახალი ენები „შერევით“ გაჩნდნენ. რაკი იმ 70 ახლად წარმოშობილ ენათა სიაში, რომელიც იქ არის მოყვანილი, ქართულს ენას ან არა აქვს დათმობილი ადგილი, ან უფრო სწორედ რომ ვთქვათ მისი სახელი იმდენად დამახინჯებულია, რომ მისი ცნობა შეუძლებელი-და იყო, ამიტომ ლეონტი მრო-

ველს ქართულ ენის გაჩენა როგორმე უნდა აეხსნა და მანაც ენათა შერევით ახსნა: „ქართლოსიანნი“ თავდაპირველად სომხურს ლაპარაკობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში საქართველოში ბევრი სხვა-და-სხვა ენისა და „ნათესავის“ ხალხი ჩამოსახლდა და „ამათ ყოველთა ნათესავთაგანი შეიქნა ენა ქართული“-ო, —ასე მსჯელობს ლეონტი მროველი. მაშასადამე ავტორს სიტყვები „ენათა შერევა“ თავის ნამდვილ და ძირითად მნიშვნელობით გაუგია და ამაზე დაუმყარებია ქართულ ენის გაჩენის თეორია. რასაკვირველია ქართულ ენის გაჩენის ამგვარი ახსნა ჩვენს დროში ბავშვსაც-კი არ ეპატიება, თუმცა თანამედროვე მეცნიერებაც არ უარჰყოფს, რომ ზოგიერთი ენები შერეულ ენათა ჯგუფს ეკუთვნიან, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ჩვენთვის ლეონტი მროველის „თეორიას“-კი არა აქვს ფასი და მნიშვნელობა, არამედ იმ გარემოებას, რომ ჩვენს ისტორიკოსს და უეჭველია მის-დროინდელ განათლებულ ქართულს საზოგადოებასაც ჰსურდა გაეგო, თუ როდის, საიდგან და როგორ გაჩნდა ქართული ენა.

მესამე მთავარი საკითხი, რომელსაც ლეონტი მროველი ეხება, საქართველოში მეფობის დამყარების დრო და ისტორია არის. როდის, როგორ და საიდგან დაარსდა მეფის უფლება, ამის გამორკვევასა ცდილობს ჩვენი ავტორი. ამ საკითხს, როგორც ვიცით „მ̃ქცჲ ქ̃ჲ“-ს მატიანეს ავტორიც შეეხო, მაგრამ ის თავის მოთხრობას ალექსანდრე მაკედონელის ხანით იწყობს და იმის წინა დროის შესახებ სდუმს. რაკი ლეონტი მროველს „ქართლოსიანთა“ ისტორია ნოეს შვილების დროითგან აქვს მოყვანილი, რასაკვირველია შეუძლებელია დაკმაყოფილებულიყო თავის წინამორბედ მემატიანეს თეორიით. საქართველოში მეფობის გაჩენის შესახებ ამ შემთხვევაშიაც ჩვენი ისტორიკოსი სხვა მის-დროინდელ უცხო-ქვეყნელ მემატიანეებსავით გარკვეულს მაგალითსა ჰბაძავს, ყალბ ეფრემ ასურის ზემოდასახელებულ წიგნითა და შეხედულობით ხელმძღვანელობს. ყალბ ეფრემის თხზულებაში-კი ნათქვამია, რომ უკვე პირველი კაცი ადამი მეფედ ნაკურთხი იყო ღმერთისაგან: „იქმნა ადამ მეფე, მღურდელ (sic), წინასწარმეტყველ, შენ დაასვა (sic) ღმერთმან საყდარსა პატივითა... და რქუა მას: „ჵ ადამ, აჰა ესე რა გყავ შენ მეფე, მღუდელ, წინასწარმეტყუელ და მთავარ და გამგებელ და ყოველნი დაბადებულნი დაგემორჩილნეს შენ, რათა ხოლო მარტოსა დაგემორჩილნეს და მოგცე კელმწიფება ყოვლისა, რომელი დავბადე“ (მ̃მ დ̃ფლი ქ̃ცა 789). ადამის შემდგომ მეფობისა და გამგებლობისა და წინამძღოლობის უფლება ყოველთვის უფროს შვილს ჰქონდა ხოლმე, მაგალითად: „სეით უძღოდა ერსა თჳსსა განგებითა კეთილითა (იქვე 798). როცა სეითი კვდებოდა, „აკურთხა სეით ენუქ ძე მისი... და დაადგინა გამგედ ერსა თჳსსა ზედა, დააფუცა, რათა უძღოდეს სიმართლითა (იქვე 799). თავის მხრივ იმანაც, რომ კვდებოდა, „შემოკრიბნა მამათმთავარნი და ძე თჳსი კაინან და მალალელ და იარედ და ენოქ და მათუ-

სალა და ძენი მათნი და აკურთხა ძე თჳსი კაინან და ამცნო... შენ იყავ გამგედ ერისა (იქვე 800).

ერთი სიტყვით, მეფისა და გამგის უფლება პირველ კაცსავე ჰქონდა მინიჭებული და შემდეგ მემკვიდრეობით გადადიოდა განსვენებულის უფროს შვილზეო. ისე რომ მეფობა თითქო დაწესებული იყო მაშინ, როცა ჯერ ერიც-კი არ არსებობდა. მხოლოდ მას შემდგომ, როცა სეთის ჩამომავლობამ უმტყუნა აღთქმას და კაენის თესლ-ტომს შეერია, „გამგეობა"-ც მოისპო, „არცა-და იყო გამგე ერსა თჳსსა ზედა" (იქვე 804). ამ მხრივ დასავლეთ ევროპაში საშუალო საუკუნოებში საეკლესიო და საერო მწერლობაში, მეტადრე რომის პაპის მომხრეთა შორის, სულ სხვანაირი აზრი იყო გავრცელებული. წარღვნამდინ საერო და სახელმწიფო უფლებით მხოლოდ უღმრთონი იყვნენ მოსილნი და პირველ გამგებლად და უფლად კაენი იყოო, ხოლო წარღვნის შემდგომ მეფობა წყეულ ქამის ჩამომავლობას ჰქონდაო (v. Eicken. Geschichte und System der mittelalterlichen Weltanschauung, 1887 წ. გვ. 358) საქართველოში და საზოგადოდ აღმოსავლეთში პირიქით მეფობა ღვთაების მიერ დამყარებულ და უკვე პირველ კაცისათვის, ადამისათვის ნაწყალობევად მიაჩნდათ.

ლეონტი მროველსაც ქართველების უძველესი ხანა ამგვარად აქვს აღწერილი. ქართლოსის მამას თარგამოსს 7 შვილი ჰყავდა, რომელთაც ისტორიკოსი გმირებად სთვლის. ლეონტი მროველი ამბობს, რომ „ამათ შვიდთავე გმირთა ზედა იყო გამგებელ და უფალ ჰაოს (მათი უფროსი ძმა) და ესე ყოველნი იყუნეს მორჩილ ჰაოსსა (*99, გვ. 3). ქართლოსსაც ხუთი შვილი ჰყავდა, რომელთა შორის მცხეთოსი უფროსი იყო და „ესე იყო განმგე და უფალ მათ ოთხთავე ძმათა ზედა და ესე ოთხნივე იყუნეს მორჩილ მისა" (*105, გვ. 6—7). მხოლოდ როცა მცხეთოსი გარდაიცვალა, „შთავარდა შური შორის შვილთა ქართლოს[ის]თა: იწყეს ბრძოლად და კლვად ურთიერთას, რამეთუ უფლოსს ძესა მცხეთოსსა არა ერჩდეს, არცა სადოდეს უფლად, რომელი დატოვებულ იყო საყდართა ქართლოსისთა, მამისა მისისაგან მიცემულ იყო უფლება ქართლოსიანთა" (*106, გვ. 7). ამ შფოთის დროს იმ გვარადვე, როგორც ყალბ ბეროზ ასურის თხზულებაშია მოთხრობილი, ლეონტი მროველის სიტყვითაც ქართლში მეფისა და გამგებლობის უფლება მოისპო: „არა ვინ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილით-ადგილად თავადნი იჩინიან: ხოლო რომელიცა იყვის მცხეთას, იგი იყვის ყოველთა მათ სხუათა ზედა და არცა სახელედებოდა მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ და იგი იყვის მაზავებელ და ბჭე სხუათა ქართლოსიანთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა და უწოდდეს დედა-ქალაქად (*107, გვ. 8 და ქ˜ცა ზ. ჭიჭინაძეს გამოცემა, 24).

ამ უმეფობის ხანამ ფარნავაზამდე გასტანა, რომელიც „იყო მამულად ქართველი, ნათესავი უფლოს მცხეთოსის ძისა და დედულად სპარსი (*116, გვ. 16)... და იყო იგი დისწული სამარისი, რომელი მოსლვასა მას ალექსანდრესსა მცხეთელ მამასახლისი ყოფილ იყო“ (*116, გვ. 17). მან, უფლოსის ჩამომავალმა, საქართველოში მეფობა აღადგინა. თვით ეგრისის მთავარმა ქუჯმაც აღიარა ფარნავაზის მემკვიდრეობითი უფლება: — „შენ ხარ უფალი ჩვენი და მე ვარ მონა შენი“-ო (*120, გვ. 19). ფარნავაზი „მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგრისსა*) ზედა“ (*128, გვ. 20). მისი სამფლობელო შეიცავდა მთელ საქართველოს მიწა-წყალს (*229, გვ. 20—21).

ამ ფარნავაზმა შემოიღო სახელმწიფო წეს-წყობილება „მისგავსებულად სამეუფოსა სპარსთასა“ (*130, გვ. 21) და განაწესნა ერისთავნი რვანი და სპასპეტი ერთი“ (*129, გვ. 20), „ხოლო ამათ ერისთავთა ქუეშე ადგილთა და ადგილთა განაჩინნა სპასალარნი და ათასის-თავნი და მათ ყოველთაგან მოვიდოდა ხარკი სამეფო და საერისთაო“-ო (*130, გვ. 21).

რა წყაროებით სარგებლობდა ლეონტი მროველი, როდესაც იგი ფარნავაზის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გვიხატავს, არა სჩანს, მაგრამ ესკი ცხადია, რომ მის ცნობებს ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იმიტომ რომ სტრაბონის გეოგრაფიითგან ჩვენ ვიცით, რომ უძველეს დროს ქართლში საგვარეულო წესწყობილება ჰსუფევდა, კერძო საკუთრება ჯერ არ არსებობდა და საგვარეულო ქონების გამგედ მამასახლისი იყო. ერთი საპატიო გვარის მამასახლისი-კი ქვეყნის მეუფე მამასახლისად ითვლებოდა. ეს უფლება იმაზე გადადიოდა, რომელიც მთელს საგვარეულოში უფროსად ითვლებოდა (იხ. ქ~ლ ერის ისტორია I, 172—173).

ლეონტი მროველს ფარნავაზი სამაგალითო მეფედ ჰყავს დახურათებული: იგი „იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსის ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართლისა და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა წიგნობრობა ქართული“-ო (*131—132, გვ. 22), ესე იგი მან ქართული ანბანი შემოიღო. რასაკვირველია ეს ცნობები ბავშვური გულუბრყვილობის შედეგია.

სამაგიეროდ ზემომოყვანილი ცნობა მამასახლისობის შესახებ საქართველოში, რომ ერთ დროს „არცა სახელ-ედებოდა მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამასახლისი ეწოდებოდათ“ მშვენივრად უდგება სტრაბონის აღწერილობას და რომელიღაც ძველ საუკეთესო ქართულ საისტორიო წყაროთგან უნდა იყოს ამოღებული.

ლეონტი მროველს აღნიშნული აქვს აგრეთვე, თუ რა სარწმუნოებას მისდევენ თავდაპირველად „ქართლოსიანნი“. ლეონტი მროველი ამ-

*) დედანში შეცდომით სწერია „ეგურს“.

ბობს, ვითომც უმეფობის დროს უძველეს ხანაში ქართველებმა „დაივიწყეს ღ̃თი დაბადებელი მათი და იქმნეს მსახურ მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა"-ო (* 107, გვ. 8). თუმცა აქაც ქართველი ისტორიკოსი ყალბ ეფრემის თხზულების გავლენის ქვეშ იმყოფება და ამით აიხსნება სხვათა შორის, რომ მას ქართველების თავდაპირველ სარწმუნოებად ერთის ღმერთის თაყვანის ცემა მიაჩნია, მაგრამ მაინც ლეონტი მროველის ცნობა წარმართობის შესახებ საყურადღებოა. თუმცა აქაც მსგავსება ემჩნევა ზემოაღნიშნულ თხზულებასთან, მაგრამ თვალსაჩინო განსხვავებაც არის: ქართველი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ ქართველთა წარმართობა მარტო მნათობთა თაყვანისცემა იყო, ყალბ ეფრემს-კი ნათქვამი აქვს: „რომელნიმე უგებდეს ცასა და სხუანი მზესა და რომელნიმე მთოვარესა, რომელნიმე ვარსკულავთა და რომელნიმე მფრინველთა და რომელნიმე ქუეყანასა და მკეცთა და ნადირთა და ხეთა"-ო (მ̃მ დ̃ფსლი ქ̃ცა, გვ. 814). მაშასადამე აქ ყოველნაირი კერპთაყვანისმცემლობა არის ჩამოთვლილი, იქ-კი ლეონტი მროველი მარტო მნათობთა თაყვანისცემასა სთვლის ქართველთა სარწმუნოებად. ამასთანავე ყალბი ეფრემი ამტკიცებს, ვითომც თვითოეულს ერს განსაკუთრებული არსება მიაჩნდა კერპად და თაყვანსა სცემდაო, ზოგი ცას, ზოგი ერთ-ერთ მნათობს, ზოგი დედა-მიწას, ან ცხოველებს, ან ხესაო. ქართველი მემატიანე-კი ქართველების საერთო სარწმუნოებად **მხოლოდ** მნათობთა თაყვანისცემასა სთვლიდა. ამ მხრივ როგორც უკვე გამოირკვა (იხ. ქ̃ლ ერის ისტორია I, თავი მესამე), ლეონტი მროველი მართალია. მაშასადამე მას ალბად ქართულ წარმართობის შესახებ რაღაც სანდო ცნობები უნდა ჰქონოდა, ან ცხოვრების გამსჭვრეტავ დაკვირვებაზე უნდა იყოს დამყარებული.

დასასრულ ლეონტი მროველი ქართველ ერის საზოგადოებრივ წესწყობილებასაც ეხება. იგი გვიხსნის, როდის, როგორ და საითგან გაჩნდა საქართველოში წოდებრივი უსწორ-მასწორობა. როგორც ლეონტი მროველის სიტყვებითგანა სჩანს, მას სცოდნია, რომ თავდაპირველად ქართველებში, „ქართლოსიანთა" შორის წოდებრივი განსხვავება არ არსებობდა: ყველანი თანასწორნი იყვნენ. იმ 1000 ბერძენ მხედარსაც-კი, რომელნიც ვითომც ალექსანდრე მაკედონელმა თვის მოადგილეს აზონს საქართველოში დაუტოვა, იმათაც-კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში თავდაპირველად განსაკუთრებული უპირატესობა არა ჰქონიათ და მკვიდრ მცხოვრებთა მომხრე გამხდარან. როდესაც ფარნავაზი აზონს განუდგა, ის ათასი მჴედარიც მიემხრო თავიანთ მბრძანებელის მოწინააღმდეგეს „და მოვიდეს წინაშე ფარნავაზისა"-ო (*121, გვ. 19). როცა ფარნავაზმა აზონი დაამარცხა, „იგი რომნი ათასნი მჴედარნი, რომელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს... განყუნა კევთა და ქუეყანათა შინა, იპყრნა იგინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისასა მჴნედ იყუნეს და

უწოდა მათ სახელი აზნაურნი“-ო (*132, გვ. 22). ფარნავაზს მათთვის მაშასადამე მხოლოდ პატივი უცია, მაგრამ არავითარი უპირატესობა არ მიუნიჭებია. მხოლოდ როცა ქართლში ამ „აზნაურთა“ დახმარებით საურმაგი გამეფდა, მაშინ „დაამდაბლნა ქართლოსიანნი და წარჩინებულყუნა აზნაურნი (*133, გვ. 23). მაშასადამე ლეონტი მროველს სცოდნია, რომ „აზნაურობა“ და წოდებრივი უსწორმასწორობა თავდაპირველად არ არსებობდა ქართველობაში და მარტო შემდეგ გაჩნდა. ჩვენი ისტორიკოსი ამას გარდა ფიქრობდა, რომ აზნაურები ნამდვილი ქართველები, „ქართლოსიანნი“-კი არ არიან, არამედ გაქართველებული უცხოელები. რომ თავანკარი ქართველები, მდაბიო, უპირატესობას მოკლებული ხალხი იყო. ამ შემთხვევაშიაც, რასაკვირველია, ჩვენთვის ფასი და მნიშვნელობა ლეონტი მროველის ცნობებს-კი არა აქვს, თუ როგორ და როდის დამყარდა ჩვენ ქვეყანაში წოდებრივი უსწორმასწორობა,—მისი ახსნა ამ მხრივ რასაკვირველია ჩვენ ვერ დაგვაკმაყოფილებს,—არამედ იმ გარემოებას, რომ ლეონტი მროველისათვის და ალბად მის-დროინდელ ქართველ განათლებულ წრისათვის წოდებრიობის წარმოშობის საკითხი საგულისხმიერო ყოფილა, რომ იგი ნამდვილ „ქართლოსიანად“ მარტო ქართველ ხალხსა სთვლიდა, ხოლო აზნაურები გაქართველებულ უცხოელებად მიაჩნდა. თუ გავიხსენებთ, რომ XI—XII-ს. საქართველოში აზნაურთა და მეფეთა შორის ბრძოლა იყო უფლების გამო (ქ~ლ ერის ისტორია II, 468—470, 533—535 და სხვაგან), მაშინ ლეონტი მროველის თეორიას საქართველოში აზნაურობის წარმოშობის შესახებ იმ დროისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა მიენიჭება და უფრო საგულისხმიეროც გახდება.

ლეონტი მროველს რასაკვირველია ყველაფრის თავისით დაწერა არ შეეძლო, უეჭველია საჭირო წყაროები უნდა ჰქონოდა. ზოგიერთს წყაროს იგი თითონაც ასახელებს. ჩვენი ავტორის უმთავრესი წყარო იყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. ერთ ადგილას იგი ამბობს, „წერილ არს ესე განცხადებულად მოქცევასა შინა ქართლისასა“-ო (*146, გვ. 30). საქართველოს გაქრისტიანების ისტორია ლეონტი მროველს ამოღებული აქვს თითქმის სიტყვა-სიტყვით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თგან და შატბერდისეულ წ~ა ნინოს ცხორებითგან (იხ. შეადარე *191, გვ. 55 და *280, გვ. 108). ამას გარდა ჩვენი ავტორი უხვად სარგებლობს თხზულებით „ცხორება სომხითისა“ (*187, გვ. 53). ეს „ცხორება სომხითისა“ გრიგოლ პართელის ცხორებაა, და ალბად იგივე წიგნი უნდა იყოს, რომელიც „მოქცევა სომეხთა“-დ (*209, გვ. 66) წოდებულია. ყველა ცნობები სომეხთა შესახებ (*171—175, გვ. 44—46) ლეონტი მროველს ამ ნაწარმოებითგანა აქვს ამოღებული. ჩვენი ისტორიკოსი ასახელებს აგრეთვე ერთს თხზულებას, რომელსაც უძახის „ცხორებასა ბერძენთასა“ (*188, გვ. 54), მაგრამ რა სათაური ჰქონდა ნამდვილად, ან რა თხზულებაა ნაგულის-

ხმევი არა სჩანს. დასასრულ ლეონტი მროველს ხელთ ჰქონია „ცხორება სპარსთა“ (*170, გვ. 43). იგი იხსენიებს აგრეთვე „ნებროთის წიგნს“ (*244, გვ. 86), მაგრამ იქნებ ეს იყოს ორი სათაური ერთისა და იმავე ნაწარმოებისა? უეჭველია ლეონტი მროველს ყალბ ეფრემის სამაგალითო თხზულებას გარდა სხვა წყაროებიც უნდა ჰქონოდა თავის ისტორიის პირველ ნაწილისათვის, მაგრამ იმათ შესახებ არაფერია აღნიშნული. წყაროები, რომელიც ლეონტი მროველს მოხსენებული აქვს და სარგებლობს, თითქმის ყოველგვარ ისტორიულს ღირსებას არის მოკლებული. ამიტომ მისი თხზულება, როგორც სანდო მასალა ქართველ ერის უძველეს ისტორიისათვის, ეხლა თითქმის სრულებით გაგამოუდეგარია. სამაგიეროდ იმ ხანისათვის, როდესაც ცხოვრობდა ლეონტი მროველი, მეტად დამახასიათებელია, რათგან ამ თხზულებაში აღნუსხულია ის საკითხები, რომელიც, როგორც სჩანს, იმდროინდელ ქართველ განათლებულ წრეების ყურადღებას იპყრობდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ლეონტი მროველის თხზულებას საქართველოს საისტორიო გეოგრაფიის შესწავლისათვის: იქ ამისათვის ძვირფასი ცნობები მოიპოვება (იხ. ამის დამამტკიცებელი საბუთები „ქ҃ლ ერის ისტორია“-ში, წ. II, თავი I). საქართველოს სხვა-და-სხვა თემისა და სამთავროს საზღვრებისათვის ლეონტი მროველს უეჭველია რაღაც ძველი ქართული წყაროები ჰქონია. ეს იმითა მტკიცდება, რომ ზოგან საზღვრების აღნიშვნის დროს მას ისეთი საგეოგრაფიო სახელი აქვს ხოლმე მოხსენებული, რომელიც მის დროს აღარ არსებობდა და მკითხველებისათვის გაუგებარი იყო, ამიტომ იგი იძულებული იყო იქვე ამ სახელების განმარტება დაერთო.

ლეონტი მროველის მიერ დაწერილი ქართლის მოქცევა და წ҃ა ნინოს ც҃ა თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა მატბერდისეულ წ҃ა ნინოს ცი҃სა. არც ერთი იმ ნაკლთაგანი, რომელიც იმასა აქვს, ლეონტი მროველს თავითგან არ აუცილებია. თავის შრომის ამ ნაწილში ლეონტიმ ვერავითარი თავისებურობა და უნარი ვერ გამოიჩინა. ამიტომაც არსენი კათალიკოზს სრული უფლება ჰქონდა მატბერდისეულ წ҃ა ნანოს ცხორებისა და ლეონტის თხზულების ამ ნაწილის შესახებ ეთქვა: „მრავალკეცსა და მასვე თანაადრეულობასა ჭამბავისასა“ მკითხველი ვერ ასდის, ორივე ნაწარმოები „მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათჳს უკმარ“-ო (ც҃ა წ҃ა ნინოსი არსენი კ҃ზისა, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა № 10 გვ. 51—52).

ლეონტი მროველის თხზულება შენახულია მ҃მ დ҃ფლს ქ҃ცა-ში მთლად, ანა დ҃ფლი თავში დაზიანებულია და ამიტომ ლეონტის თხზულებასაც თავში ბოლომდე აკლია. სასურველია, რომ „ც҃ა ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“-ს აღდგენილი დედანი ცალკე წიგნად გამოიცეს.

ჯუანშერი.

„ანა დ~ფლს“ და „მ~მ დ~ფლს ქ~ცა“-ში ერთი მინაწერი მოიპოვება, რომელიც „ქ~ცა“-ში შეტანილ თხზულებათა შესახებ ცნობებს შეიცავს. იქ ნათქვამია: „წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა ვიდრე ვახტანგისადმდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისაგან ვიდრე აქამომდე (ესე იგი *437—438 გვ. 215) აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმის წულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან“-ო (*437—438 გვ. 215). ამ მინაწერითგანა სჩანს, რომ ვახტანგისა და მის მომდევნო მეფეთა ისტორია ერთი მემატიანეს დაწერილი ყოფილა.

მართლაც „ანა დ~ფლს“ და „მ~მ დ~ფლს ქ~ცა“-ში ვახტანგ მეფის ისტორიას განსაკუთრებული სათაური აქვს: „ცხორება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასრისა მეფისა მშობელთა და შემდგომად თჳთ მის დიდისა და ღ~თის მოყუარისა მეფისა, რომელი უმეტესად სხვათა სახელგანთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა“ (*293—294, გვ. 117 და „ანა დ~ფლი ქ~ცა).

როგორც ამ სათაურითგანა სჩანს ჯუანშერს თავის ისტორიაში ჯერ ვახტანგის მშობლების შესახებ მოუყვანია ცნობები, ხოლო „შემდგომად თჳთ მის დიდისა და ღ~თის მსახურისა მეფის“ ცხოვრება და მოღვაწეობა აუწერია. თვით თხზულებაშიაც მართლაც ასეა დალაგებული მოთხრობა.

ჯუანშერის „ისტორიას“ უეჭველია თავი და შესავალი უნდა აკლდეს: ასე ერთბაშად, როგორც იგი ეხლა იწყობა სიტყვებით „ვითარ იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ“ (*294, გვ. 117), შეუძლებელია რომელსამე მემატიანეს დაეწყოს თხზულების წერა. ამას გარდა, ის, რაც ეხლა ვახტანგ მეფის „ცხორება“-ს თავშია, ლეონტი მროველის ისტორიის ბოლოს გამეორებაა. ამიტომ ან ერთს უნდა ეკუთვნოდეს ან მეორეს, უფრო-კი ვგონებ რომ მეორესი უნდა იყოს, იმიტომ რომ ვახტანგის მშობელთა თავგადასავალი, როგორც სათაურითგანა სჩანს, ვახტანგის „ცხორების“ დამწერს უნდა ეკუთვნოდეს.

ზემომოყვანილს მონაწერში ჯუანშერი იწოდება წ~ა არჩილის ძმისწულის ქმარად, მაშასადამე დაახლოვებით ვითომც მე-VIII-ე საუკ. უნდა ეცხოვრა. რასაკვირველია ეს ცნობა მის ვინაობის შესახებ მერმინდელი გადამწერის მიმატებული უნდა იყოს და ამისდა მიხედვით ზემოდ განსაზღვრულს იმ ჯუანშერს, რომელსაც ვახტანგ გორგასარის ც~ა უნდა დაეწერა, სრულებით არ

შეესაბამება, რადგან „ცხორებას“ ზღაპრული ელფერი ადევს და თვით თხზულებაშიც აქა-იქ იმგვარი ცნობები მოიპოვება, და ისეთი წყაროებია მოხსენებული, რომელნიც მე-VIII-ე საუკ. ჯერ არ არსებობდნენ.

ჯუანშერის თხზულებაში მოთხრობილია იოანე ზედაზნელის შესახებ: „ქმნა ნიშები და სასწაულები მრავალი მან და მოწაფეთა მისთა... დაიწერა ცხორება და სასწაულნი მათნი“-ო (*403, გვ. 187—188). ჩვენ ვიცით, რომ შიო მღვიმელის სასწაულნი აწერილია პირველად ბასილი კათოლიკოზის მიერ მე-X—XI-ე ს. (თ. ჟორდანიას ქ̃კბი, I, 60—61), ხოლო იოანე ზედაზადენელისა არსენი კათოლიკოზის მიერ მე-X-ე საუკ. (საქართველოს სამოთხე 208, შენიშ.). მაშასადამე ჯუანშერსაც დაახლოვებით უნდა ეცხოვრა მე-X—XI-ე საუკუნეში.

ჯუანშერის თხზულებაში მოიპოვება ერთი მეტად საგულისხმიერო ცნობა, რომელიც ამტკიცებს, რომ ჯუანშერი ვახტანგ გორგასარის „შემოდგომად ჟამთა მრავალთა“ ცხოვრობდა. ჩვენი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ვახტანგის ლაშქარნი „განვიდეს პაჭანიკეთსა (sic), რამეთუ მაშინ მუნ იყო პაჭანიკეთი (sic) მოსაზღურედ ოვსეთისა, მდინარესა მას ოვსეთისასა წიაღ*) და ჯიქეთი მუნვე იყო, შემდგომად ჟამთა მრავალთა იოტნეს პაჭანიკნი და ჯიქნი თორქთაგან, წარვიდეს პაჭანიკნი დასავლით კერძო, ხოლო ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (*322, გვ. 134—135 და ანა დ̃ფლი ქ̃ცა). ჩვენ ვიცით სახელდობრ, რომ პაჭანიკნი მე-X-ე საუკუნეში ჯერ კიდევ ვოლგისა ჲაიკს შორის ბინადრობდნენ. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ხაზარებისა და უზებისაგან ოტებულნი პაჭანიკნი გადასახლდენ დონისა და დუნაის შუა, მაშასადამე „მოსაზღვრედ ოვსეთისა“, როგორც ჯუანშერს აღწერილი აქვს მათ ვითომდა მე-V-ე საუკუნის დროინდელი ბინადრობის ადგილი. აქ ბინადრობდნენ ისინი დაახლოვებით 1034 წლამდე, რომლის შემდგომ მართლაც „იოტნეს პაჭანიკნი თურქთაგან“ და იძულებულნი იყვნენ დასავლეთისაკენ მოეძებნათ ბინადრობა, ანუ როგორც სამართლიანად ამბობს ჯუანშერი „წარვიდეს პაჭანიკნი იგი დასავლით კერძო“*).

ცხადია მაშასადამე, რომ რაკი ჯუანშერს სცოდნია პაჭანიკთა გადასახლების ამბავი დასავლეთით, მე-IX-ე საუკ. პირველ ნახევრის გასულსა და მეორე ნახევრის დამდეგს უნდა ეცხოვრა. რომ ჯუანშერს მართლაც მე-XI-ე საუკუნეში უნდა ეცხოვრა, ეს სხვათა შორის შემდეგი, უფრო

*) ასეა „ანა დ̃ფლს ქ̃ცა“-ში, „მ̃მ დ̃ფლს ქ̃ცა“-ში დამახინჯებულია — „წაღ“-ად.

*) პაჭანიკთა შესახებ იხ. ბროკჰაუზის ენციკლოპედიური ლექსიკონში პროფ. ბაგალეის წერილი, და проф. П. В. Голубовскій. Печенѣги, Торки и Половцы. Кіевъ 1884 г.

ცხადი საბუთითაც მტკიცდება. არაბების შემოსევის შესახებ ნათქვამია, ვითომც ბიზანტიის კეისარს აფხაზთა ერისთავისათვის შემოეთვალოს: „დაადგერით სიმაგრეთა შინა თქუენთა ვიდრემდის წარჴდეს წელიწადნი მათნი სამასნი, რამეთუ ორას და მეერგასესა წელსა განიოს[1]) მეფობა მათი და განსრულებასა მესამ[ასი]სა წელიწადისასა მოეცეს ძალი მეფობასა ჩუენსა და შევმუსრნეთ აგარიანნი"-ო (*425 გვ. 205). აქ ერთი სიტყვით ვითომდა წინასწარმეტყველებაა, რომ არაბთა ბატონობა საქართველოში 300 წელიწადს გასტანს. ჩვეულებრივ ამგვარი წინასწარმეტყველება ითხზება ხოლმე post factum და აქაც რასაკვირველია ცხადია, რომ როცა ჯუანშერს ეს ვითომც-და წინასწარმეტყველება თავის ისტორიაში შეჰქონდა, 300 წელიწადი არაბთა შემოსევითგან უკვე აღსრულებული და არაბთა ბატონობაც შესუსტებული იყო, ესე იგი მე-XI-ე საუკ. პირველ ნახევარში. ვგონებ მაინც, რომ ჯუანშერი დავით აღმაშენებელის მეფობას არ უნდა მოსწრებოდა, რადგან მას რომ დავით აღმაშენებელის ბრწყინვალე მეფობა თავის თვალით ნანახი ჰქონოდა, არა მგონია მაშინ ვახტანგ გორგასარზე ეთქვა: იგი „უმეტესად სხუათა სახელგანთქმულად გამოჩნდა ყოველთა მეფეთა ქართლისათა"-ო (*294 გვ. 117).

ყურადღების ღირსია, რომ ათონის ივერთა მონასტრის ერთ ხელთნაწერში (№ 50) მოხსენებულია მწერალი ილარიონ ჯუანშერი: „თქუა მამამან ილარიონ ჯუანშერ: «შეუგავს ყოველსა კაცსა, რათა პირველად აღმოიღოს დირე თვალისაგან თჳსისა და მერმეღა ხედვიდეს წუელსა თვალსა შინა ძმისა თჳსისა: ამისთჳს არა კადნიერ ვიქმნები მხილებად მოყუასისა, ვინაჲთგან თჳთ უწესო ვარ" და სხვა (ნ. მარრი. Агіогр. матеріалы по груз. рукоп. Ивера I, გვ. 15, ЗВОАО. XII). სამწუხაროდ ცნობა მეტად მოკლეა, რომ საკითხის გადაწყვეტა შეიძლებოდეს, ჩვენი ისტორიკოსი და ის ილარიონ ჯუანშერი ერთი და იგივე პირი იყო თუ არა.

ჯუანშერის მიერ დაწერილი „ცხორება ვახტანგ გორგასრისა" ისეთი კილოთი არის გამსჭვალული და იმ გვარ დაუჯერებელ ცნობებით არის აღსავსე, რომ ზღაპარს უფრო მიაგავს, ვიდრე ნამდვილ ისტორიას. ამიტომ გასაოცარია როდესაც ბ. თ. ჟორდანია ამბობს: „თჳთ ვახტანგის ცხოვრება ისე დაწვრილებით არის მოხსენებული რომ მემატიანე თანამედროვე უნდა იყოს და თვით-მხილველი მოთხრობილისა"-ო (ქ˜ბი I, გვ. XXXIV). მან კარგად იცის, რომ „ცხორება"-ში რამდენიმე ქრონოლოგიური შეუსაბამობაა და მათ შორის ცნობა პაჭანიკების შესახებ, მაგრამ იმას ჰგონია რომ ეს ამბავი „ჩაკერებულია შემდეგს დროებში" (იქვე გვ. XXV), მხოლოდ როდის, ეს კი ვერ გამოურკვევია იმიტომ, რომ „უტყუარი საბუთი არა გვაქვს იმისა, თუ

[1]) ასეა „ანა დ˜ფლს ქ˜ცა"-ში, „მ˜მ დ˜ფლს ქ˜ცა"-ში „განევლთოს".

როდის მოხდა გადასახლება პაჭანიგთა ყუბანის მდინარიდამ დნეპრის ხეობაში“-ო (იქვე). იმის საბუთად, რომ უკანასკნელი ცნობა მერე ჩართული, ბ. ჟორდანიას ის მოსაზრება აქვს მოყვანილი, რომ ეს ცნობა ქც՛ის სომხურ თარგმანში არ მოიპოვებაო (იქვე). მაგრამ ქც՛ის სომხური თარგმანი საბუთად არ გამოდგება იმიტომ, რომ იგი ქართული დედნის შემოკლებული თარგმანია და იქ ბევრი სხვა ცნობებიც არის შემოკლებული, ან მთარგმნელისაგან უნდა იყოს გამოტოვებული.

ზემოდ ვნახეთ, რომ პაჭანაგებს გარდა სხვა ანაქრონიზმებიც მოიპოვება ჟუანშერის თხზულებაში. ამას გარდა ცხორების მთელი მოთხრობაც არსად არ შეიცავს იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს უტყუარს სურათს და თვით-მხილველობისა ხომ ნიშანწყალიც არ ეტყობა. პირიქით, რაც უფრო ავტორი თავის დროს უახლოვდება, მისი ცნობები თანდათან უფრო და უფრო შინაარსიანი ხდება, თუმცა-კი აქაც მოთხრობას ნათლად ემჩნევა, რომ ავტორი ჟუანშერი არც ამ ხანის თანამედროვე ყოფილა[1]) (ამის დამამტკიცებელი მაგალითები იხ. ქ՛ლ ერის ისტორიაში წ. II გვ. 350—352).

ჟუანშერს როგორცა სჩანს სპარსული უნდა სცოდნოდა. მის თხზულებაში მოყვანილია ერთი სპარსული წინადადება და მისი ქართული თარგმანი: რაკი სპარსელებს ვახტანგ გორგასარის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლოთ, „ვითარცა იხილიან ვახტანგ, თქჳან: «დურ აზ გორგასარი» რომელ არს ესე «მიჰრიდეთ თავს მგლისასა» და მის მიერ სახელ ედვა ვახტანგ მეფესა გორგასარი (*362—363, გვ. 160).

ავტორი საზოგადოდ უხვად სარგებლობს სპარსულ-ასურული აზროვნებით გამსჭვალულ ზღაპრულ „ნებროთის წიგნი“თ, რომელშიაც მოთხრობილი ყოფილა, რომ მიქელ-ანგელოზი „ნებროთს ენითა სპარსულითა“ ელაპარაკებოდა, ხოლო „პირველი ენა ასურებრი იყო“-ო (*333, გვ. 141).

---

[1]) ჩვენს აზრს ჯუანშერის დროის და „მქ՛ცჲ ქ՛ჲ“-ს შესახებაც, იმაზეც რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ლეონტი მროველს ეკუთვნის ს. კაკაბაძეც იმეორებს (О древне-грузинскихъ лѣтописцахъ XI-го столѣтія, 1912 წ., 19—36). მაგრამ გასაოცარია, არსად ნათქვამი არა აქვს, რომ ეს აზრები და მათი დასაბუთება ამ წიგნის ავტორს ეკუთვნის, რომლის ლექციებითგან უნივერსიტეტში და საჯარო ლექციებითგან ტფილისში ისტორიკოსების შესახებ მას ეს შეხედულება შეთვისებული აქვს (იხ. ვრცელი ანგარიში „დროება“-ში 1910 წ. №№ 11—16 და ალმანახ „მოამბე“-ში 1910 წ. 31 იანვ.). ჩემი სახელისა და გვარის გულმავიწყობა მით უფრო გასაოცარია, რომ ბროსე, ბაქრაძე, ჟორდანია, მარრი, ჯანაშვილი და სხვები, ვისაც-კი იგი არ ეთანხმება, ყველანი მოხსენებულნი არიან.—შეუწყნარებელია ბ. ს. კაკაბაძეს საკუთარი აზრი, ვითომც ჯუანშერის თხზულება 1058 წლამდე ყოფილიყოს მოყვანილი (იქვე 25), იმიტომ რაკი ქ՛ცის ზემომოყვანილს ანდერძში მკაფიოდ არის ნათქვამი, რომ ჯუანშერის თხზულება თავდებოდა არჩილის ხანით და აქეთგან მოყოლებული მაშასადამე ჯუანშერს-კი არა, არამედ უკვე სხვას ეკუთვნის.

ჯუანშერს სპარსულს გარდა შეიძლება ცოტად მაინც ბერძნული ენაც სცოდნოდა, იმიტომ რომ იგი სარკინოზების სახელს ბერძნულის საშუალებით სარას ძაღლად სთარგმნის: „უფალმან მისცა აღმოსავლეთი და სომხეთი სარკინოზთა, რომელ არს თარგმანი [მისი] სარას ძაღლი“-ო (*417 გვ. 198). თუმცა სარკინოზების სახელს ამგვარად მაშინ ყველანი სთარგმნიდნენ. ამიტომ შეიძლება ჯუანშერს ეს აზრი ზეპირად შეთვისებული ჰქონოდა.

საყურადღებოა ჯუანშერის თხზულებაში მოყვანილი ცნობები მსოფლიოს, განსაკუთრებით ცის აგებულების შესახებ: ნებროთზე იქ ნათქვამია, რომ მას „ენება, რათა აღვიდეს ცად და იხილნეს მყოფნი ცისანი, ხოლო ვითარცა განვლო საზღვარი ჰაერისა და შევიდა საზღვართა ვარსკვლავთასა, ვერღარა უძლებდეს საქმედ მომქმედნი, რამეთუ დადნებოდა ოქრო და ვეცხლი, რამეთუ მუნითგან ვინმე არს კელმწიფება ცეცხლისა ეთერისა[1]) მის, ეგზების მძაფრად სამყაროს ქცევისაგან“-ო (*331, გვ. 140).

იმ მცირეოდენ წყაროებს გარდა, რომელთა სათაურებიც თვით ჯუანშერსა აქვს დასახელებული, ჩვენ არა ვიცით რა, თუ რითი ხელმძღვანელობდა და სარგებლობდა იგი, როდესაც თავის თხზულებასა სწერდა. როგორც თვით თხზულებიითგან სჩანს, ჩვენს ისტორიკოსს უსარგებლნია: „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-თ (*406, გვ. 190), სუმბატის „ც˜ა და უწყებით“ (*430, გვ. 209), წ˜ა შუშანიკის მარტვილობით (*404—405, გვ. 188), ბასილი კათოლიკოზის მიერ შეკრებილ შიო მღვიმელის სასწაულთა აღწერილობით (*403, 411—412, 413; გვ. 188, 193—194, 195, შეად. ქ˜ბი I, 59—61), „სპარსთა ცხოვრებაჲ“-თ (*408, გვ. 191), „ნებროთიანი“-თ (*330—333, გვ. 140—141) და რაღაც „იჯინტონის წიგნით“ (*417, გვ. 198).

რომ ჯუანშერი ვახტანგ მეფის მერმე „შემდგომად ჟამთა მრავალთა“ ცხოვრობდა და როცა თხზულებასა სწერდა, სანდო მასალა მის შესახებ ხელთ არა ჰქონდა, ეს საუცხოვოდ მისი „ისტორიითა“-ცა მტკიცდებოდა: იგი ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე ისტორიას, საგმირო სახალხო ნაწარმოებს უფრო, ვიდრე უტყუარს და სანდო საბუთს.

ჩვენ მოგვეპოვება ვახტანგის შესახებ სხვა ცნობებიც (იხ. ლაზარე ფარპელი და „ქ˜ლი ერის ისტორია“ I, 188—191) და ეს ცნობები გვიჩვენებენ, რომ ვახტანგი თვალსაჩინო მეფე იყო. მაგრამ, სად ის ვახტანგი და სად ჯუანშერის დასურათებული ვახტანგ გორგასარი. ჯუანშერის ისტორია იმდენად ზღაპრული ჰანგებით არის შემკული, რომ მკვლევარს უნებლიედ აზრი ებადება, შესაძლებელია ვახტანგ მეფის ისტორიაში შეცდომით შეტანილი იყოს ის სიმღერა-თქმულებები, რომელიც გრი-

[1]) ასეა ანა დ˜ფლს ქც˜ა-ში, მ˜მ დ˜ფლს ქ˜ცა-ში გადამწერს დაუმახინჯებია „ერთისა“-დ.

გოლ მაგისტროსის თქმით ერთ ღვთაება ბაჰრამ პაჰლავუნის შესახებ საქართველოში არსებობდა (Н. Марръ. **Восточныя замѣтки. Груз. изводъ о трехъ остроумныхъ братьяхъ въ „Русуданіани“** 1895, გვ. 228 და **Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ Барсовой кожѣ** ТР., წიგნი XII, გვ. XXXIII).

ჯუანშერის მოთხრობას მართლაც ბევრგან ზღაპრული ხასიათი აქვს და ეპიური ადევს: ჯუანშერის სიტყვით მეფეს ჰყავდა ერთი მეომარი, რომელსაც „მრავალი ლომი კელითა შეეპყრა“ (*315, გვ. 130). ხოლო როცა ვახტანგი ოსებს ებრძოდა, „იზახდეს კმითა აღწევნულითა სპანი ორნივე ქართველთანი და ოვს[თა]ნი, რომლითა იძრვოდეს მთანი და ბორცუნი (*320, გვ. 133). 22 წლის ჭაბუკი ვახტანგი „ქურვილი ქუეითი ირემსა მიეწიის, უპყრის რქა და დაიჭირის და ცხენი ქურვილი აღილის მკართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა არმაზისასა (*326, გვ. 137). სასაცილოა სწორედ, რომ ვახტანგის სინდთა ქვეყანაში ლაშქრობის აღწერილობაში ჯუანშერი ბრძოლის დროს სინდთა მეფესა და ვახტანგს უშველებელს ზღაპრებსა და იგავებს ათქმევინებს (*337—384, გვ. 170—174).

ამასთანავე ჯუანშერის ისტორიაში რიცხვი ხშირად ზღაპრულად არის, გაზვიადებული 748000, 248000-ით (გვ. 182), 200000-ით (გვ. 159 183), 100000 (გვ. 183), 56000, 30000 (გვ. 167) გადადის ხოლმე!...

თუმცა ჯუანშერის თხზულებაში ორიოდე საყურადღებო ცნობაც მოიპოვება, მაგალითად, რომ „წესი იყო რომელ შვილნი მთავართანი წარჩინებულთა სახლსა ალ[ი]ზ[ა]რდნიან“ (*301, გვ. 121); ან კიდევ ვითომც იმდროინდელ დარბაზობის გულუბრყვილო აღწერილობა, რომ „განამზადა მეფემან სახლი ერთი და დაჯდა საყდართა ზედა მაღალთა, ხოლო ჯუ[ა]ნშერ [და] ეპისკოპოსნი დასხდეს სელებითა და ათასის თავნი [და] ყოველი ერი წარმოდგეს ზე (*306; გვ. 125); ჰაჭანიკეთისა და ჯიქეთის გეოგრაფიული მდებარეობა (იხ. ზევით). მეტად საგულისხმიეროა აგრეთვე ის ცნობა, სადაც ჩამოთვლილია, თუ რა გააკეთა ვახტანგ მეფემ საეკლესიო სფეროში, რომ „მცხეთას... აღაშენა ეკლესია მოციქულთა, სუეტი ცხოველი... რომელი არს სიონი დიდი და მუნ შინა დასუეს პეტრე კათალიკოზად და სამოელ ებისკოპოზი მცხეთასავე საებისკოპოზოსა და სხუა ერთი ებისკოპოზად კლარჯეთს ეკლესიასა ახიზისა, ერთი არტაანს, ერთი ერუშეთს, ერთი ჯავახეთს წუნდას, ერთი მაგლისს, ერთი ბოლნისს, ერთი რუსთავს, ერთი ნინოწმიდას უჯარმოს კარსა, რომელი ვახტანგ აღაშენა, ერთი ჭერემს მისვე აღშენებულსა და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა, ერთი ჩელთს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა, ერთი ხორ-

ნაბუჯს და ერთი აგარაკს, რომელი არს ხუნანის გამართებით. შემდგომად ამისა აღაშენა ეკლესია ნიქოზისა, საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოზი“-ო (*391—392, გვ. 179). საყურადღებოა და საერთოდ სიმართლეს უახლოვდება ჯუანშერის ცნობები ბაჴრამ ჩუბინისა, ქასრეს (ხოსროს) და მავრიკი კეისარს შორის დამოკიდებულებათა შესახებ (*408—410, გვ. 191—192), გუარამ კურაპალატის უძლურება ერისთავებთან შედარებით, რომ მან „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთავოთაგან მათთა, რამეთუ სპარსთა მეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ჰქონდეს სიგელნი მკ̣დრობისანი“ (*410, გვ. 192); აგრეთვე ქართლის საზღვრების აღწერილობა, ცნობა ვითომც „უკუსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა ციხე თუხარისი და კლარჯეთი ზღვითგან ვიდრე არსიანთამდის და კევნი, რომელნი მოსდგმენ ღადოთა და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა ქუეყანა ზღვის პირისა, რომელ არს აფხაზეთი და ჰქუა, ეგრის წყლითგან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა, ესე მზღუარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან“-ო (*358, გვ. 157). მაგრამ ყველა ამ მცირე-რიცხოვან ცნობებსაც მკაცრი განხილვა და დაფასება უნდა, რომ მათი ღირსება და მნიშვნელობა შესაფერისად გამოირკვეს.

ჯუანშერს თავის თხზულებაში მრავალი ქრონოლოგიური ცნობები აქვს მოყვანილი. მას თავისი თარიღები დამყარებული აქვს ერთს რომელსამე საფუძველზე და შემდეგ იგი მხოლოდ აღნიშნავს ხოლმე, რამდენი წელიწადი იყო გასული ამის შემდგომ. თავის პირველ თარიღისათვის ჩვენს ისტორიკოსს საფუძვლად მირდატ მეფის სპარსთაგან შეპყრობის და სიკვდილის წელიწადი აქვს აღებული: „შემდგომად სამისა წლისა“, ამბობს ავტორი, „უცალო იქმნეს სპარსნი... მაშინ შეითქუნეს აზნაურნი ქართლისანი... და დასუეს მეფედ მცხეთას ძე თირდატისი სახელათ არჩილ“ (*294, გვ. 117). დანარჩენი თარიღებიც ამგვარადვე განსაზღვრულია, მაგ.: „შემდგომად ოთხისა წლისა მიუდგა საგდუხტ და შუა ძე და უწოდა სახელი ხუასრო ვარანთრანგ[1]), ხოლო ქართულად ეწოდა ვახტანგ“ (*300, გვ. 121), „შემდგომად ამისა წელსა მეორესა მოკუდა მეფე მირდატ და დარჩა ვახტანგ შვიდისა წლისა ყრმა (გვ. 122, იხ. ამგვარივე მაგალ. 158, 168, 176). აქ აღნიშნულია რამდენი წლისა იყო ვახტანგი, როცა გარდაიცვალა მირდატი და შემდეგ თარიღები ვახტანგის წლოვანებით არის განსაზღვრული, მაგ.: „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათისა გარდამოვიდეს ოვსნი (*304, გვ. 123). დარბაზობის წესის შემოღების თარიღიც ამნაირადვე აღნიშნული: „ვითარ იქმნა ვახტანგ წლისა ათორმეტისაო“ (*306, გვ. 125). საბერძნეთში გალაშქრების

[1]) „მ˝მ დ˝ფლს ხელთნაწერში დამახინჯებულია „ვარნა ხუასრო თარგ“-ად, ანა დ˝ფლს ქც˝ში „ვარან ხოსრო თანგი“ სწერია.

წელიწადიც ამავ წესით არის ნაჩვენები: „მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოცდაორისა“-ო (*326, გვ. 137).

ორგან ჯუანშერს თარიღის ნაცვლად მირიანის მეფობა აქვს მიღებული: „მირიან მეფისითგან ვიდრე ვახტანგისადმდე გარდაცვალებულ იყო ნათესავი რვა, მეფენი ათნი და წელიწადნი ორმოცდა ათშვიდმეტ[ნ]ი. ხოლო ებისკოპოსნი წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი რვანი, ხოლო სხუანი შემშლელნი წესისანი“ (*326—327, გვ. 137—148). ეს ქრონოლოგიური ცნობა ამოღებული უნდა იყოს „მ͞ქცჲ ქ͞ჲ“-ს (შდრ. Опис. II, 733) მსგავს წყაროდგან. ამგვარისავე თვისებისაა შემდეგი ცნობაც: „მეფობითგან მირიან მეფისათა ვიდრე მეორისა ფარსმანისა გარდაკდეს წელნი ს͞ნი და მეფენი გარდაიცვალნეს ი͞დ და ვახტანგისითგან ქათალიკოზნი გარდაიცვალნეს ტ-ნი“ (*403, გვ. 188).

ერთს შემთხვევაში ჩვენი ისტორიკოსი ალექსანდრე მაკედონელის თარიღზე ამყარებს თავის ქრონოლოგიურ ცნობას: „მოჴმედის გამოჩინებადმდე ალექსანდრეს წელთაგან იყო ცხრა ას ოცდაშვიდი წელი ალექსანდრესი“-ო (*417, გვ. 198—199), ამბობს ჯუანშერი. უეჭველია, ჩვენს ავტორს ეს ცნობა რომელიმე, იქნებ ბერძნულ, წყაროთგან უნდა ჰქონდეს ამოღებული.

ამგვარად ზემონაყვამითგან ცხადად სჩანს, რომ ჯუანშერის თხზულება ვახტანგის დროის ისტორიისათვის, ზოგიერთ მცირეოდენ ცნობას გარდა, თითქმის გამოუდეგარია და საყურადღებოა მხოლოდ როგორც დამახასიათებელი იმისა, თუ რა ცნობები და წარმოდგენა ჰქონიათ მე-XI-ე საუკუნეში განათლებულ ქართველ წრეებს ვახტანგ გორგასარის პიროვნებასა და მეფობაზე. ხოლო მე-VII—VIII ს. ს. შესახებ უფრო საყურადღებო ცნობები მოიპოვება. მაინც-და-მაინც სასურველია, რომ ჯუანშერის თხზულების ადგენილი დედანიც გამოიცეს ცალკე წიგნად.

სუმბატ ძე დავითისი.

მ͞მ დ͞ფლს ქ͞ცა-ში ერთი თხზულებაა შენახული, რომელსაც სათაურად აქვს „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწიენეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამან“ (მ͞მ დ͞ფსი ქცა *567, გვ. 336 და 3 ქრნკა 41). ვინ იყო სუმბატ ძე დავითისი, ამის შესახებ არც თვით მის თხზულებაში სწერია რამე, არც სხვაგან მოიპოვება ცნობები. მაგრამ, როგორც უკვე ე. თაყაიშვილმა

სთქვა, იგი უეჭველია ტაო-კლარჯეთის ბაგრატონიანთა გვარის შვილი უნდა ყოფილიყო და მე-XI-ე[1]) საუკუნეში უცხოვრია (სამი ისტ. ხრონიკა, გვ. CIX).

როგორც თვით თხზულების სათაურიდგან სჩანს, სუმბატი ბაგრატონიანთა სამეფო საგვარეულოს ისტორიკოსი არის. მის ნაწარმოების მოთხრობა ადამით იწყობა და მოულოდნელად ბაგრატ მე-IV-ის მეფობის ამბავზე ზედ-შუაზე სწყდება. ამ უზარმაზარ ქრონოლოგიურ სამზღვრებისდა მიუხედავად თხზულება პატარა და ერთფეროვანია.

რა მიზანი ჰქონდა სუმბატს, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა, ეს სათაურშივეა მკაფიოდ გამოთქმული. მას ჰსურდა დაეწერა ჯერ ერთი—„უწყება ბაგრატონიანთა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა“,—ესე იგი ავტორს ჯერ ბაგრატონიანთა გვარის ჩამომავლობისა და საქართველოში გადმოსახლების ისტორიის გამორკვევა უნდოდა, მერე იმის აღნიშვნას აპირებდა, თუ როდის დაიპყრა ბაგრატონიანთა საგვარეულომ საქართველოში სამეფო ტახტი. სუმბატის მეორე მთავარი მიზანი იყო შეედგინა „ცხორება ბაგრატონიანთა ჩუენ ქართველთა მეფეთასა“, ანუ ბაგრატონიანთ გვარის ქართველთა მეფეების თავგადასავალის აღწერილობა და ისტორია. მართლაც, სწორედ ამნაირია სუმბატის თხზულების მთელი შინაარსიც.

თვით სუმბატ ძე დავითისი როგორც ეტყობა ქართველ აზნაურთა მოძულე და მოწინააღმდეგე ყოფილა. იქ, სადაც უმეფობის ხანა აქვს აღწერილი ქართლში ბაგრატონიანთა გაძლიერებამდე, ისტორიკოსი თავის გრძნობას ვერ იკავებს და გულახდილად ამბობს: „ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათამდე (ე. ი. ბაგრატონიანთა გაძლიერებამდე), არამედ დაესრულა უფლება ქართლის აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათთაგანო“ (*569 გვ. 338 და 3 ქ^ნკა 44). მეფე გიორგისა და ბიზანტიის კეისარს შორის ატეხილ მკაცრ ბრძოლაშიაც ბაგრატონიანთა მემატიანე უმთავრეს ბრალს აზნაურებსა სდებს: „ორკერძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი“ (*586, გვ. 356, 3 ქ^ნკა 71)

---

[1]) დ. კარიჭაშვილი ფიქრობს, რომ ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე შეიძლება იყოს ძე დავითისა, რომელიც იყო „ბაგრატ მესამის პაპის (ბაგრატ რეგვენის) ძმის (ადარნასე კურაპალატის) შვილი“, „რომელსაც შეეძლო ჰყოლოდა შვილი სუმბატი“ (ძველი საქართველო 41). ასეთ მსჯელობაზე სამეცნიერო გამოკვლევაში დამყარება შეუძლებელია: როდესაც მკვლევარმა დანამდვილებით არ იცის, ჰყავდა თუ არა დასახელებულ პირს შვილი, რა ფასი აქვს ცალიერს შესაძლებლობას. ვიდრე თვით სუმბატის არსებობის შესახებ გარკვეული ცნობები არ გვექნება, ამგვარ სათუო საბუთებით რასაკვირველია საკითხს ვერ გამოვარკვევთ.

იყვნენ დამნაშავენი: მეფეს პირადად მშვიდობიანობა ჰსურდა, მაგრამ აზნაუ-რებმა მხარი არ დაუჭირეს.

ბაგრატონიანთა ისტორიკოსი ამასთანავე მხურვალე მამულიშვილურ გრძნობით ყოფილა გამსჭვალული და ჰგონია, რომ ღმერთმა კონსტანტინე კეისარს რისხვა აწვია „მსგავსად ივლიანეს უსჯულოსა უწყალოებისათჳს ბაგ-რატ მეფისა ჩუენისა, მოოკრებისა თჳს მამულისა მისისა“-ო (3 ქ˜ნვა 78).

რასაკვირველია სუმბატს თავის მრავალსაუკუნოვან ამბების მომთხრობელ თხზულებისათვის სხვა-და-სხვა წყაროები უნდა ჰქონოდა და სუმბატის ისტო-რიის მოთხრობის სხვა-და-სხვა ხასიათი სწორედ ამ წყაროების თვისებაზეა დამოკიდებული. თავში მას მხოლოდ ბაგრატონიანთა შთამომავლობითი შტო აქვს მოყვანილი, რომელიც მარტო სახელების ნუსხაა, მაგრამ რომლითაც ვითომც მტკიცდება ბაგრატონიანთა დავით წინასწარმეტყველისა და მეფისაგან ჩამომავლობა. ეს ნაწილი დაბადებაზე არის დამყარებული.

შემდეგი ცნობები საქართველოში შემოხიზნულ პირველ ბაგრატონიანთა შესახებ სუმბატს, როგორც სამართლიანად უკვე ე. თაყაიშვილმა აღნიშნა (3 ქ˜ნკა, გვ. CIX), „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანითგან უნდა ჰქონდეს ამოღებული, მაგრამ უეჭველია სხვა წყაროებიც ჰქონია, რომელნიც კარგ და სწორე ცნობებს შეიცავდნენ.

აშოტ კურაპალატისაგან მოყოლებული ვიდრე ბაგრატ III-მდე სუმბატს წყაროდ ჰქონია ტაო-კლარჯეთის ბაგრატონიანთა საგვარეულო მატიანე, მრავალ და ძვირფას ქრონოლოგიურ ცნობებით სავსე. ამის გამო სუმბატის თხზულე-ბის ამ ნაწილის თხრობის ენა მშრალი და მატიანისებურია (იხ. *576—583, გვ. 345—352; 3 ქ˜ნკა 52—67).

მეფე გიორგი I-ითგან მოყოლებული თხზულების დასასრულამდე, რომე-ლიც ბაგრატ IV-ის დედის კონსტანტინეპოლში გამგზავრების ამბავზე ერთ-ბაშად სწყდება, სუმბატი მოთხრობილის თანამედროვე უნდა ყოფილიყო (*583—592, გვ. 353—361; 3 ქ˜ნკა 67—79).

სუმბატის საისტორიო შრომა „ცხოვრება და უწყება“ მეტად მშრალი და ერთფეროვანია. განსაკუთრებით იქ, სადაც ტაო-კლარჯეთის ბაგრატონიანთა შთამომავლობითი საგვარეულო მატიანითგან არის ცნობები ამოღებული, მკით-ხველს თვალები უჭრელდება ცალიერ სახელებისა და თარიღების გამო. ვინ როდის დაიბადა, როდის მიიღო ეს-თუ-ის პატივი და კელისუფლება, რამ-დენი შვილი ჰყავდა და რა ერქვა თვითეულს მათგანს, დასასრულ როდის გარდაიცვალა,—აი სუმბატის თხზულების ამ ნაწილის ჩვეულებრივი შინაარსი. აქა-იქ ამას გარდა ერისთავთა შორის ჩამოვარდნილი მტრობა და ბრძოლა არის ხოლმე აღნიშნული და იშვიათად მოხსენებულია ახალ საეპისკოპოსო საყდრის აგება და პირველ ეპისკოპოსის სახელიც.

ამისდა მიუხედავად „ცხორება და უწყება“ ძვირფასი საისტორიო ძეგლია: არსად სხვაგან, სხვა ქართულ ძველ დროის რომელსამე საისტორიო წყაროში ამოდენი ქრონოლოგიური ცნობები არ მოიპოვება. ამ მხრივ მას სწორი არა ჰყავს. პირიქით, როგორც უკვე დავრწმუნდით და ქვემოდაც დავინახავთ, ქართველ ისტორიკოსებს ქრონოლოგიური ცნობებისათვის მაინც-და-მაინც თავი ძალიან არ შეუწუხებიათ. სუმბატის თხზულებას სწორედ ამის გამო საქართველოს ისტორიის მკლევართათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და მუდამაც ექმნება. სუმბატის შრომას განსაკუთრებულს მნიშნელობას ის გარემოება ანიჭებს, რომ მის ცნობების სიმართლეს ქართველ და უცხოელთა ისტორიკოსებისა და წყაროების მოწმობაც საუცხოვოდ ამტკიცებს.

რომ სუმბატის „ცხორება და უწყება“ სანდო და ჭეშმარიტს საისტორიო ცნობებს შეიცავს, ამას შემდეგი რამოდენიმე თვალსაჩინო მაგალითიც ცხადჰყოფს. სუმბატს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ გუარამ კურაპალატის დროს ჯვარის ეკლესიის აშენებაში მონაწილეობა მიუღიათ გუარამის შვილს სტეფანოზს და მის ძმას დემეტრეს (3 ქ~ნკა 46), სტეფანოზის შვილს ადარნასეს და მის ძეს სტეფანოზს, რომელსაც ჯვარის ეკლესია დაუსრულებია (იქვე 49). ამ ცნობების სიმართლეს ამ ეკლესიის კედლებზე შენახული სტეფანოზის, დემეტრეს, ადარნერსეს და სტეფანეს გამოქანდაკებული სურათები და წარწერები ამტკიცებენ. სიმართლით არის დასურათებული შავშეთ-ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის მდგომარეობა მე-VII—IX-ე ს. დამდეგს (3 ქ~ნკა 52): გიორგი მერჩულე (იხ. აქვე, გვ. 58—59) და ბასილი ზარზმელიც (ც~ჲ სრ~ბნ ზარისაჲ, გვ. 8—9, 10—13, 16—19, 20—21 და სხვა) ამგვარადვე გვიხატავენ მესხეთის იმდროინდელს აოხრებასა და უკაცრიელობას. აშოტ დიდ კურაპალატის მოღვაწეობაც სუმბატს სწორედ აქვს დახასიათებული, რაც გიორგი მერჩულის თხზულებითგანაც სჩანს. სუმბატის ცნობები ტაო-კლარჯეთის დანარჩენ ბაგრატონიანთა მოღვაწეობის შესახებ (3 ქ~ნკა 55—64) ხშირად მტკიცდება გრიგოლ ხანძთელის ცხორებით, მატიანჱ ქართლისაჲთ და სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოზის თხზულებით (ამის დამამტკიცებელი საბუთები იხ. ქ~ლ ერის ისტორიაში წ. II, თავი IV). დასასრულ, სუმბატის თხზულების ცნობებს ბაგრატ III, გიორგი I, და ბაგრატ IV მეფობათა შესახებ ემოწმება მატიანჱ ქართლისაჲ და არაბ ისტორიკოსის ჲაჰჲა ანტიოქიელის მატიანე და სხვანი (ამის დამამტკიცები საბუთები იხ. ქ~ლ ერის ისტორიაში წ. II, თავი VI). ამგვარად „ცხორება და უწყების“ ცნობების კრიტიკული განხილვა სუმბატის შრომის მაღალს ღირსებას ცხადად ამტკიცებს. პირველად „ცხორება და უწყება“ ე. თაყაიშვილმა გამოსცა თავის ნაშრომში „სამი ისტორიული ხრონიკა“ (გვ. 41—79), მეორედ მ~მ დ~ფლს ქ~ცაში (გვ. 363—361). რუსული თარგმანი ე. თაყაიშვილსავე ეკუთვნის და დაბეჭდილია СМОМПК (вып. XVIII).

მატიანე ქართლისაჲ.

ანა დ~ფლსა და მ~მ დ~ფლს ქ~ცაში იქ, სადაც „წ~ა არჩილის წამებაჲ“ თავდება, ერთი მინაწერი მოიპოვება, რომელიც ქართლის ცხოვრებაში შეტანილ მატიანეთა შესახებ ცნობებს შეიცავს: „წიგნი ესე ქართუელთა ცხორებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან... ამიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ, ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღ~თივ განბრძნობილსა“-ო (*437—438, გვ. 215—216). ამ მინაწერს ზედმისდევს ისტორიული მოთხრობა, რომელიც შეუწყვეტლივ მიმდინარეობს და თავდება იქ, სადაც იწყობა დავით აღმაშენებელის ისტორია „ცხორებაჲ მეფეთ მეფისა [დავითისი]“ (*512, გვ. 281).

ეს მინაწერი გვიჩვენებს, რომ როცა მის დამწერს თავისი აზრი ქ~ცაში ჩაურთავს, მაშინ ჯერ კიდევ ამ წიგნში ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა გარდა სხვა არაფერი ყოფილა შეტანილი, რომ ეს წიგნი მაშინ წ~ა არჩილის წამებით თავდებოდა. მინაწერის ავტორს, როგორც ეტყობა, არც-კი სცოდნია, რომ არჩილის შემდეგ-დროინდელი ამბები აწერილი იყო, და მომავალ თაობას ურჩევდა „ამიერითგან შემდგომთა ნათესავთა აღწერონ“ და ჩაურთონო. მაშასადამე ცხადია, რომ ზემომოყვანილი მინაწერის შემდგომ იწყობა ახალი საისტორიო თხზულება, თუმცა მას ლეონტი მროველისა, ჯუანშერისა, დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ისტორიკოსების თხზულებებსავით, განსაკუთრებული სათაური აღარ შერჩენია.

თხზულება ამგვარად იწყობა: „შემდგომად ამისსა, რაჟამს იგი აღესრულა წმიდა მოწამე არჩილ, დარჩეს შვილნი მისნი იოვანე და ჯუანშერ... წარვიდა იოვანე ეგრისად და წარიტანნა თჳსსა[1]) დედა და ორნი დანი მათნი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი მისნი დაშთეს ქუეყანასა ქართლისასა და კახეთისასა“-ო (*438, გვ. 216). პირველი ორი სიტყვა „შემდგომად ამისსა“ რასაკვირველია შერმინდელი დანამატია, იმ დროისა, როცა ეს ახალი თხზულება ქ~ცაში შეუტანიათ, რომ ამით იგი წინამდებარე მოთხრობაზე გადაებათ. ამ ორ სიტყვას თუ მოვაშორებთ ზემომოყვანილი წინადადება შეიძლება ამ ახალ საისტორიო თხზულების დასაწყისად ვიცნათ. უეჭველია მხოლოდ, რომ მას მთელი შესავალი უნდა აკლდეს, სადაც ავტორს ნათქვამი ექნებოდა, რის აღწერა სურდა და რა მიზნით. რაკი ამ შესავალში პირდაპირი საისტორიო

---

[1]) მ~მ დ~ლს ქ~ცაში შეცდომით სწერია „ღ~თისა“, ანა დფ~ლს ქ~ცაში „ღ~თისა თანა“.

ცნობები არ იქნებოდა ამიტომ იმას, ვისაც იგი ქ~ცაში შეუტანია, თხზულებისათვის მოუშორებია.

როგორც ზემოდ ნათქვამი იყო, მოთხრობის მიმდინარეობა თავითგან (*438, გვ. 216) მოყოლებული დავით აღმაშენებლის ისტორიის დასაწყისამდე (*512, გვ. 281) შეუწყვეტლივ მიდის: მას არსად არაფერი ჰყოფს, წინადადება წინადადებაზეა გადაბმული და აზრი აზრს მისდევს. მოთხრობას ერთგვარი ხასიათი აქვს თავითგან დაწყობილი ბოლომდე: ყველგან მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურსა და სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებასა და ამბებზეა ლაპარაკი, თუ როგორ აღორძინდენ თანდათან ქართველი სხვა-და-სხვა სამთავროები მე VIII-ე საუკუნითგან მოყოლებული, როგორ იბრძოდენ ისინი საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებისა და განახლებისათვის და როგორ მიაღწიეს თანდათანობით თავიანთ მიზანს. პოლიტიკურ-სახელმწიფო ამბებს გარდა მთელ ამ უშველებელს თხზულებაში თითქმის სხვა არა მოიპოვება-რა. მოთხრობის ენაც თავითგან ბოლომდე ერთგვარია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თავში მოთხრობა მოკლეა, ხოლო რაც უფრო და უფრო წინაურდება, შინაარსიც უფრო და უფრო ვრცელი ხდება: მაგ. მე-VIII-ე საუკ. მოყოლებული ბაგრატ III-დე (977 წ.) 200-ზე მეტი წლის ამბავი 23 გვერდზეა (*438—461, გვ. 216—236) მოთავსებული, ხოლო შემდეგი 160 წლისას 51 გვერდი (*461—512, გვ. 236—280) უკავია (ბაგრატ III მეფობას 36 წლის ისტორიას დათმობილი აქვს 12 გვერდი *461—473, გვ. 236—246. გიორგი I-ის 13 წლის მეფობას—7 გვერდი *473—480, გვ. 247—253. დასასრულ ბაგრატ მე-IV-ის 45 წლის მეფობას 28 გვერდი *480—508, გვ. 253—277). ეს გარემოება გვიმტკიცებს, რომ რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა ისტორიკოსი თავის დროს, უფრო მეტი ცნობები ჰქონდა და ამის გამო მისი ნაამბობიც უფრო ვრცელი და შინაარსიანია. აქ რომ განსხვავება ავტორების სხვა-და-სხვაობისაგან მომდინარეობდეს, მაშინ თვით მოთხრობის თვისება, ხასიათი და ელფერიც სხვა-და-სხვა უნდა ყოფილიყო თავსა, შუაში და ბოლოს. ამის გამო ჩვენ გვგონია რომ ქ~ცის მთელი ეს ნაწილი *438 (გვ. 216) გვერდითგან მოყოლებული *512 (გვ. 281) გვერდამდე ერთ ისტორიკოსის კალამს ეკუთვნის.

ამ საისტორიო თხზულებას, როგორც აღნიშნული იყო, სათაურიც დაკარგული აქვს. რა სახელი უნდა რქმეოდა მას, ამის გადაწყვეტა საბოლოვოდ ეხლა რასაკვირველია ჯერ ძნელია, მაგრამ რამდენისამე იქნება ჭეშმარიტებასთან დაახლოვებული მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლება.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თავის თხზულებაში ერთს ალაგას ქართველობას თავის მეფისადმი ორგულობასა სწამებს: „ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველითგან თჳსთა უფალთა, რამეთუ რა ჟამს განმდიდრ-

დენ, განსუქდენ, მშვიდობა პოვონ და განსუენება, იწყებენ განზრახვა[დ] ბოროტისა, ვითარც მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა“-ო (*561, გვ. 329).

მაშასადამე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ხელთა ჰქონია ერთი ქართული საისტორიო თხზულება, რომელსაც სათაურადა ჰქონია (ან იქნებ იგი უწოდებს) „მატიანე ქართლისა“. ამ ნაწარმოებში თურმე მოთხრობილი ყოფილა ქართველების ორგულება „თჳსთა უფალთა“ და ღალატი. მართლაც ჩვენი უსახელო ისტორიას „პირველითგანვე“, იმ დროითგანვე მოყოლებული, როცა ქართველთა სამთავროებმა მე-VIII-ე ს. თანდათან ღონე მოიკრიბეს მეფე გიორგი II-ემდე მრავალი შემთხვევა აქვს მოთხრობილი, როდესაც ქართველი დიდებული მოხელეები და აზნაურები „რა ჟამს განმდიდრდენ, განსუქდენ, მშვიდობა პოვონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“ მეფეთა წინააღმდეგ და შეთქმულებით საქართველოს გაძლიერების საქმეს აფერხებდენ. ეს თხზულება სწორედ რომ სავსეა ამგვარ ცნობებით. მაშასადამე შინაარსის მხრივ ჩვენი უსახელო ისტორია შეიძლება სწორედ იმ ნაწარმოებად ვიცნათ, რომელსაც რქმევია „მატიანე ქართლისა“, მით უმეტეს, რომ ამ უსახელო ისტორიაშიც ქართლს და ქართლის ამბებს მთავარი ადგილი უკავია და ამის გამოც სათაური „მატიანე ქართლისა“ სრულებით შეჰშვენის.

მხოლოდ` ერთი გარემოება ეღობება წინ, რომ ჩვენ ისტორიის დაკარგულ სათაურად „მატიანე ქართლისა“ ვიცნათ: დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი მას უწოდებს „ძუელი მატიანე ქართლისა“-ო, მას ძველადა სთვლიდა. შესაძლებელია, რომ თხზულებისათვის, რომელიც სულ ბევრი-ბევრი 40—50 წლის წინად უნდა ყოფილიყო დაწერილი, „ძველი“ მატიანე ეწოდებინათ?

თანამედროვე მეცნიერულ შეხედულობისდა მიხედვით თუ დავაფასებთ, მაშინ რასაკვირველია ეს ხანი მეტად მოკლეა, რომ ამ წლოვანობის თხზულება ძველად ვიცნათ. მაგრამ ჩვეულებრივ, ცხოვრებაში ასე მკაცრად არა სჯიან და არა სჯიდენ, მეტადრე წინად, და შეიძლება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსსაც ამ გვარად განესაჯა. ყოველ შემთხვევაში ეს გარამოება დაბრკოლებად უნდა მივიჩნიოთ და საკითხის გადაწყვეტისათვის საჭიროა თავდაპირველად დანამდვილებით გამორკვეული იყოს, რა ხნოვანობის ნაწარმოები ან ამბავი ითვლებოდა ხოლმე „ძველად“?

საბედნიეროდ ამის გამოსარკვევადაც ცნობა მოგვეპოვება: გიორგი მთაწმიდელი თავის თხზულებაში ამბობს: „შემდგომად მრავლისა ჟამისა ღმრთისა მიმართ მისვლისა (ეფთჳმე მთაწმიდელისა) კელვყავი მცირედთა ამათ სიტყუათა აღწერად“-ო (ც˝ჲ იე˝სი და ეფ˝სი 3). ეფთჳმე 1027 წელს გარდაიცვალა, თვით გიორგი-კი 1065 წ., ც˝ა სულ ბევრი-ბევრი ეფთჳმის სიკვდილის 20 —25 წლის შემდგომ უნდა იყოს დაწერილი. რაკი გიორგი მთა-

წმიდელი 20—25 წ-ზე ამბობდა „შემდგომად მრავალსა ჟამსა-ო“, ამისდა მიხედვით რასაკვირველია 50 წლის წინად დაწერილს თხზულებაზე იმ დროს შეეძლოთ ეთქვათ ძველი არისო, ძველად ყოფილიყო ცნობილი.

მაშასადამე ამ მხრივაც დაბრკოლება ძლეულია და შესაძლებელია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ზემოყვანილს წინადადებაში, როდესაც იგი „ძველი მატიანეს ქართლისა“-ს იხსენიებდა, სწორედ ეს ნაწარმოები ჰქონოდა ნაგულისხმევი.

ამ პირველს მოსაზრებას შეიძლება ზედ მეორე მოსაზრებაც დაერთოს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ იმ კრებულს, რომელშიაც საბედნიეროდ შეკრებილია და შენახული ჩვენი სხვა-და-სხვა დროისა და ავტორის საისტორიო თხზულებები, „ქართლის ცხოვრება“ ეწოდება და ეწოდებოდა უკვე XIII—XIV საუკ., როგორც სჩანს სტეფანოს ორბელიანის სიტყვებიდგან (**Պատմութիւն Տանն Սիսական.** მოსკოვის 1861 წ. გამ., გვ. 273), მაშასადამე იმ დროს, როცა მონღოლთა ხანას ქართველ ისტორიკოსის ნაწარმოები ჯერ დაწერილი არც-კი იყო. ამ გვარად იმდროინდელი ქ̃ცა ალბად დავით აღმაშენებლის მეფობით თავდებოდა (ამის შესახებ იხ. ქვევით, ქ̃ცა). ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ამ კრებულში შეტანილ საისტორიო თხზულებებს ყველას სათაურები აქვს ერთს გარდა და ის ერთიც სწორედ ჩვენი უსახელო ისტორიაა: ლეონტი მროველის პირველს ნაწარმოებს ჰქვიან „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, მეორეს „წ̃ა არჩილის წამება“, ჯუანშერისას—„ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა მეფისა“, სუმბატ დავითის ძისას—„ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა ჩუენ ქართუელთა მეფეთასა“. არც ერთს მათგანს არ შეეძლო მაშასადამე მთელ კრებულისათვის ეს სახელი მიენიჭებინა. რომ კრებულისათვის სახელი ერთ-ერთს შეტანილს თხზულებას უნდა მიეცა, ეს ზემომოყვანილ მინაწერითაცა მტკიცდება, რომელშიაც ნათქვამია: წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისადმდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქომომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან“-ო. ამ გვარად იმ დროს, როცა კრებულში მხოლოდ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებები იყო შეტანილი და ვახტანგ გურგასარის მეფობითა თავდებოდა, მას სახელად „ქართლის ცხოვრება“-კი არა რქმევია, არამედ „ქართველთა ცხოვრება“, ესე იგი ლეონტი მროველის თხზულების სათაურის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“-ს პირველი ორი სიტყვა. იმ თხზულებას, რომელსაც შეეძლო მიენიჭებინა კრებულისათვის სახელი „ქართლის ცხოვრება“, უნდა რქმეოდა „ც̃ა ქართლისა“. ამგვარ ნაწარმოებად შეიძლება ეს ჩვენი ეხლა უსათაურო ისტორია ყოფილიყო. იქნებ იმიტომაც დაეკარგა მას საკუთარი სათაური, რომ თავისი მთელს კრებულს მიანიჭა და ამ თხზულების სახელი მთელ კრებულის სახელად გადიქცა.

შინაარსის მხრივ, როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, ჩვენს ისტორიას სწორედ შეეფერება „ცხორება ქართლისა“-ს სახელი, იმიტომ რომ იქ მოთხრობაში ქართლს მართლაც მთავარი ალაგი უკავია.

რაკი „ძველი“-ს დაბრკოლება ძლეულია, შეიძლება „მატიანე ქართლისა“ და „ცხორება ქართლისა“ ჩვენ თხზულების ერთ-და-იმავე სათაურად ვიცნათ. საზოგადოდ ძველს ქართულს საისტორიო მწერლობაში ამ დარგის თხზულებები „ცხორება“-დ იწოდებოდნენ ხოლმე, „მატიანე“ არსად არ არის ნახმარი: მაშინ მატიანედ საქართველოში უფრო კერძო სამონასტრო-სააღაპო და სულის მოსახსენებელთა წიგნები იწოდებოდა, როგორც მაგალითად „მატიანენი საშინაონი და საალაპენი... მატიანენი სათანაონი“ (მელქისედეკ კ῾ზის 1020 წ. სიგელი, ქ῾კბი II, 32, 33), ან „მატიანე მოსაკსენებელი სულთაჲ“ (იქვე II, 246), ან ისეთი დაბალხარისხოვანი საისტორიო ნაშრომები, როგორიც არის ლიტონად აღწერილი უძველესი წმიდათა ცხორებანი (იხ. აქვე 105). ამიტომ თვით ნაწარმოებს სხვა ქართულ საისტორიო თხზულებებსავით უფრო რომ უნდა „ცხორება“ ჰრქმეოდა, ხოლო შეიძლება დავით აღმაშენებლის განათლებულმა და დაწინაურებულ ცოდნით აღჭურვილმა ისტორიკოსმა, რომელმაც თავის შრომას „ცხორება“ უწოდა, „ცხორება ქართლისა“ ამ სახელის ღირსად არ სცნო და მისთვის „მატიანე“ უფრო შესაფერისად მიაჩნდა იმ გვარადვე, როგორც განათლებული არსენი კათალიკოზი, ლეონტი მროველის თხზულების სამართლიანად დამწუნებელი, მის ნაწარმოებს „ცხორება ქართველთა მეფეთა“ სახელად უწოდებს „ჰამბავი მეფეთა“-ს. ამ გვარად ჩვენი უსახელო ისტორიის ნამდვილი სათაური შეიძლება ყოფილიყო „ცხორება ქართლისა“, ხოლო დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მას „ძველი მატიანე ქართლისა“-ს უწოდებდეს.

როგორც აღნიშნული იყო, ჩვენამდის არც ამ თხზულების დამწერის სახელსა და გვარს მოუღწევია. თვით შინაარსისდა მიხედვით მხოლოდ იმის გამორკვევა შეიძლება, რომ ავტორი უეჭველია აღმოსავლეთ საქართველოთგან უნდა ყოფილიყო, ქართლელი ყოფილა. საზოგადოდ ამ ისტორიაში ქართლის შესახებ ყოველთვის დაწვრილებითი ცნობებია ხოლმე მოყვანილი, ავტორმა აქაური გზებისა და სოფლების სახელები და მდებარეობა მშვენივრად იცის და როცა მისი მოთხრობა საქართველოს ამ კუთხეს ეხება ხოლმე, მაშინ მისი ნაამბობი მრავალ წვრილმან საგეოგრაფიო სახელებით არის ხოლმე აჭრელებული. უფრო ნაკლები ცნობები აქვს კახეთის შესახებ. ხოლო როცა იგი აფხაზეთის ამბებს მოგვიყვება ხოლმე, მაშინ მის მოთხრობაში ადგილების და სოფლების სახელები მხოლოდ იშვიათად გვხვდება: ცხადად ეტყობა, რომ როცა მოქმედი პირი აფხაზეთის მიწა-წყალში შესდგამს ხოლმე ფეხს, მაშინ ჩვენს ავტორს გზა-კვალი ეკარგება. აფხაზეთის შესახებ მას მხოლოდ საზოგადო ცნობები მოეპოვება.

მაგრამ რომ ჩვენი ისტორიის ავტორი ქართველი უნდა ყოფილიყო ეს თვით მოთხრობის ენითაცა მტკიცდება: ყველა მომქმედ პირებზე, როცა ისინი ქართლისაკენ მიემართებიან, ისტორიკოსი სწერს—„მოვიდა“-ო ისე, როგორც შეუძლიან სთქვას მხოლოდ ქართლში მცხოვრებმა, მაგალითად: „ხალილ მოვიდა მესამედ და მოკლეს ჯავახეთს და ძე მისი მო[ჴ]მედ მოვიდა ქართლს“ (*442--443, გვ. 220). ბუღამ რომ ტფილისი დასწვა, „თეოდოსი მეფე აფხაზთა გამოვიდა წინააღდგომად მისსა... შეებნეს და გააქცევნეს... და თეოდოსი მეფე წარვიდა მეოტი გზასა დასავლეთისასა“ (*443—444, გვ. 221). „მას ჟამსა გამოვიდა იგი აფხაზთა მეფე გიორგი ძმა თეოდოსესი და დიმიტრისი, ძე ლეონისი, დაიპყრა ქართლი“ (*446, გვ. 223). „შემდგომად ამისსა შემოვიდა ქართლად“ (*449, გვ. 227, იხილე ამგვარივე მაგალითები *464, 466, 494, 502 და 507; გვ. 239, 241, 266, 272 და 277). ერთ ალაგას ისტორიკოსი ისე ლაპარაკობს, თითქოს თითონ მას უფლის-ციხეში ჰქონოდეს ბინა: ბაგრატ III-ის შესახებ ის სწერს: „მოვიდა უფლისციხეს“-ო (*465, გვ. 240). ბაგრატ III ნათქვამია: აფხაზეთითგან „სპითა თჳსითა გარდამოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს (*468, გვ. 242).

იმავ დროს, როცა ისტორიკოსი აფხაზეთზე ლაპარაკობს, მუდამ დაშორების აღმნიშვნელ ელფერს აძლევს ხოლმე ზმნას, მაგალითად: როცა სომხეთს შემოესია აბულ კასიმ ძე აბუსაჯისი, „სუმბატ სომეხთა მეფემან ვერ დაუდგნა ზარისა მისისაგან და მიმართა მთათა აფხაზეთისათა“ (*449, გვ. 226), ან კიდევ „შთავიდა აფხაზეთად (იქვე) და სხვა. მესხეთის შესახებაც რომ არის ლაპარაკი, ჩვეულებრივ ზმნას წინ დაშორების აღმნიშვნელი თანდებული უზის, მაგ. ბაგრატ IV ნათქვამია: „დააგდო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა, აღმოვლო ქართლი, მივიდა ჯავახეთს“ (ასე სწერია უძველესს ანა დ˜ფლს ქ˜ცის ხელთნაწერში, მ˜მ დ˜ფლსაში-კი, როგორც სხვა ამისთანა შემთხვევებშიაც, დამახინჯებულია და სწერია „მოვიდა“ იხ. *492, გვ. 265).

როდის უნდა ეცხოვრა ჩვენს ისტორიკოსს და დაეწერა თავისი თხზულება, ამის გამორკვევა ძნელია განსაკუთრებით იმიტომ, რომ თავის პიროვნების შესახებ იგი არსად არაფერსა სწერს. საზოგადოდ ჩვენი ისტორიკოსი მეტად მკაცრი, თავდაჭერილი მწერალია და მოთხრობის დროს არჩეულს თემას არას დროს არ გადუხვევს, არც თავის პირად გრძნობას ან შეხედულობას გამოამჟღავნებს ხოლმე. მხოლოდ ის გარემოება, რომ თხზულების ბოლოში იგი უფრო-და-უფრო ვრცლად და დაწვრილებით გვისურათებს იმდროინდელ ამბებს, პირველ ნაწილში-კი იგი თვით ასახელებს იმ წყაროებს, რომლებითაც იგი სარგებლობდა და რომელშიაც უფრო უხვი ცნობები ყოფილა, მხოლოდ ეს გარემოება ამტკიცებს ცხადად, რომ ისტორიის ზოგიერთი

ნაწილები ავტორს სხვა-და-სხვა საისტორიო მასალებისა და წყაროების-და მიხედვით შეუდგენია, მოთხრობის უკანასკნელს ნაწილში-კი, სახელდობრ ბაგრატ IV მეფობითგან მოყოლებული, იგი ვგონებ თანამედროვე უნდა იყოს.

იქ სადაც ჩვენი ისტორიკოსი ბიზანტიაში მძევლად წაყვანილ მცირეწლოვან ბაგრატის დაბრუნებასა და ბიზანტიელთა სასტიკი ტყვეობისაგან თავდაღწევაზე ლაპარაკობს, თავს ვერ იკავებს და გახარებული გაიძახის: „ჵ დიდი საკჳრველება და მოწყალება ღ~თისა! ვითარ მეის განერა მრთელი კელთაგან მათთა, რომელთა ენება ზაკუთ შექცევა მისი, და შეწევნითა ღ~თისა-მიერითა. იხილეთ და განიცადენით ურიცხუნი კელის-აპყრობანი ღ~თისა-მიერნი ამას დიდისა ბაგრატის აფხაზთა მეფისა, რომელნი არავის ზედა მოწევნულ იყუნეს სხუასა მეფესა, რომლისათჳს ჟამსა და ჟამსა“, თავ-თავის დროს „გაუწყოს წინამდებარემან სიტყუამან“ (*478, გვ. 252—253). მაშასადამე აქ ავტორი პირდაპირ ამჟღავნებს თავის მიზანს და მუშაობის გეგმას: მას განზრახვა ჰქონია აეწერა მრავალი განსაცდელი და განსაცდელისაგან თავის დაღწევა, რომელიც ბაგრატს თავს გადახდენია. ჩვენი ისტორიკოსი თავის განზრახვას ასრულებს კიდეც და მართლაც დაწვრილებით აქვს აღწერილი ბაგრატ მეფის ბრძოლა ბიზანტიასთან და ქართველ დიდებულებთან.

ჩვენი მემატიანე გიორგი II-ის მეფობისაც მოსწრებია, მაგრამ დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე მეფობა-კი უეჭველია ნანახი არ უნდა ჰქონოდეს, თორემ მას რომ თავის თვალით ეხილა ის დიდება და ძლიერება, რომელსაც მიაღწია საქართველომ დავით აღმაშენებლის ხელმწიფობის დროს, განა ბაგრატ მე-III-ის შესახებ დასწერდა-და: „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასარისა არავინ გამოჩინებულ არს სხუა მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და ყოვლითა განგებითა,—ეკლესიათა მაშენებელი იყო, გლახაკთ-მოწყალე და სამართლისა [მართლიად მოქმედი] ყოველთა კაცთათჳსა“-ო (*472—473, გვ. 246).

ამას ადასტურებს ის ცნობაც, რომელზედაც დიდი ხანია თ. ჟორდანიამ ყურადღება მიაქცია (ქ~კბი I, გვ. XXIV). ბაგრატის მეფობაში მემატიანეს მოთხრობილი აქვს, რომ ბაგრატის ნახევარ-ძმამ დემეტრემ, რომელიც თავის დედითურთ ბიზანტიის კეისართან წავიდა; „მიმართა ბერძენთა მეფესა და წარუტანა თანა ანაკოფია. მიერითგან წარუკდა ანაკოფია აფხაზთა მეფეთა მოაქა ჟამადმდე“-ო (ანა დ~ფლსი ქ~ცა. მ~მ დ~ფლს ქ~ცა-ში *483, გვ. 257 ხაზ-გასმული წინადადება აკლია). ხოლო გიორგი II მეფობაში ნათქვამია, რომ მან დაიბრუნა „მძლავრებისაგან ბერძენთასა წარხმულნი ციხენი ანაკოფია, თავადი ციხეთა აფხაზეთისათა, და მრავალნი ციხენი კლარჯეთისანი“-ო (მ~მ დ~ფსი ქ~ცა *511—512, გვ. 280). ანა დ~ფს ქ~ცა-ში არც ეს ცნობა,

არც საზოგადოდ გიორგი II მეფობის მომეტებული ნაწილი, სახელდობრ ის, რაც მ˜მ დ˜ფლს ქ˜ცა-ში მოთავსებულია *509, გვ. 278 სტრ. 21 სიტყვებითგან „ხოლო კ˜ი მეფემან“ მოყოლებული ვიდრე *512, გვ. 280 უკანასკნელ სტრიქონამდე, ანუ დავით აღმაშენებლის „ცხორების“ დასაწყისამდის სრულებით არ არის. მაგრამ ქ˜ცის ძველი სომხური თარგმანი ამტკიცებს, რომ აქ ანა დ˜ფლს ქ˜ცას შემთხვევით აკლია.

როგორც უკვე თ. ჟორდანიამ აღნიშნა, ზემომოყვანილი წინადადება ამტკიცებს, რომ მემატიანეს თავისი თხზულება მაშინ უწერია, როდესაც ანაკოფია ჯერ კიდევ ბერძენთა ხელთ იყო. თ. ჟორდანიას აზრით ანაკოფია აუღია გიორგი მეფეს „არა უგვიანეს 1076 წ.“ (ქ˜კბი II, გვ. XXIV), მაგრამ ნამდვილად-კი ანაკოფია დაბრუნებულად სჩანს ბერძენთა მიერ თურქთათვის აღმოსავლეთის ქვეყნების დატოვების დროს (ც˜ა მ˜ფსა დ˜თსი *512—513, გვ. 281). ხოლო ბერძნებს აღმოსავლეთი 1074 წელს დაუტოვებიათ (იხ. ქ˜ლ ერის ისტორია, II, 460). მაშასადამე ჩვენს მემატიანეს თავისი თხზულება უნდა დაეწერა 1072—1073 წლამდე.

რასაკვირველია ამოდენა ნაწარმოებს ისტორიკოსი ერთბაშად ვერ დასწერდა და უმეტესი ნაწილი, ის ადგილიც, სადაც ანაკოფიას შესახებ მოიპოვება ცნობა, შეიძლება კარგა ხნით ადრე იყოს დაწერილი. მაგრამ უკანასკნელი ნაწილი-კი შეუძლებელია 1072 წ. ადრე იყოს შეთხზული იმიტომ, რომ მემატიანეს ბაგრატ IV სიკვდილი აქვს აღწერილი, და 1073 წ.-ზე გვიან იმიტომ, რომ ამ წელიწადს ანაკოფია უკვე საქართველოს დაუბრუნდა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა, რომ ანა დ˜ფლს ხელთნაწერში, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, გიორგი II მეფობა თითქმის სრულებით არ არის და ცნობაც ანაკოფიის დაბრუნების შესახებ აკლია. მაინც-და-მაინც ცხადია, რომ ის ადგილი, სადაც ანაკოფიის აღება მოთხრობილია, იქნებ გიორგის მეფობის მთელი მოთხრობაც-კი, „მატიანე ქართლისაჲ“-ს დამწერს არ ეკუთვნის. ამიტომ თავდაპირველად „მ˜ტნე ქ˜ჲ“ ალბად ბაგრატ IV სიკვდილით თავდებოდა, ხოლო გიორგი II მეფობა შეიძლება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ეკუთვნოდეს, რომელსაც შესავალის სახით აღუწერია დავითის მამის მეფობა (იხ. აქვე 152—153).

ყურადღების ღირსია აგრეთვე, რომ ანა დ˜ფლს ქ˜ცის ხელთნაწერში დავით აღმაშენებლის ცხორებას არავითარი სათაური არა აქვს, მ˜მ დ˜ფლსაში-კი სწერია „ცხორება მეფეთ მეფისა“ (*512, გვ. 281). ამიტომ შეიძლება ვისმეს ეფიქრა, რომ მთელი თხზულება VIII ს. მოყოლებული დავით აღმაშენებლის დასასრულამდე ერთს მემატიანეს, სახელდობრ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ეკუთვნოდეს. მაგრამ ეს აზრი ყოვლად შეუწყნარებელი იქნებოდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ანა დ˜ფლს ქ˜ცას ამ ადგილას ბევრი აკლია და როგორც სჩანს გადამწერს ნაკლულევანი დედანი ჰქონია ხელთა ისე, რომ თავისდა თავად ანა დ˜ფლი ხელთნაწერი ამ შემთხვევაში ვერავითარ საბუთად გამო-

დგება. მეორე ის, რომ ამის ეწინააღმდეგება როგორც ზემოყვანილი ცნობა ანაკოფიის შესახებ, ისე განსაკუთრებით ის ქება ბაგრატ III, რომელშიაც ჩვენს მემატიანეს ბაგრატ მეფე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ვახტანგ გურგასლის შემდგომ საქართველოს უწარჩინებულეს კელმწიფედ მიაჩნია. შეუძლებელია ამის მსგავსი რამე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ეთქვა. ამასთანავე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხრობის წესი და ენა „მ˜ტნე ქ˜ლ"-საგან არსებითად განსხვავდება.

არის კიდევ ერთი თუმცა სათუო საბუთი: დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გიორგი II დროს საქართველოში 1080 წ. თურქების შემოსევაზე ამბობს, „ესე იყო პირველი დიდი თურქობა"-ო (*514, გვ. 283). „მ˜ტნე ქ˜ლ"-ში ამგვარივე თურქების შემოსევაა აწერილი ბაგრატ IV დროს 1068 წელს (*500, გვ 271) და სწორედ ეს იყო პირველი თურქობაო. ერთი-და-იგივე ავტორი რომ ყოფილიყო, საეჭვოა გიორგი II მეფის-დროინდელ თურქობის შესახებ ეთქვა ეს პირველი თურქობა იყოო. თუმცა ესეც-კია, რომ იქნებ ბაგრატ IV-დროინდელს შემოსევას მაშინ დიდ თურქობად არა სთვლიდენ, და თუ-კი ასე იყო მართლაც, მაშინ ეს მოსაზრება საბუთად ვერ გამოდგება.

ჩვენს ისტორიკოსს რასაკვირველია საისტორიო წყაროები უნდა ჰქონოდა, არა ერთი და ორი, იმიტომ რომ არც ერთს იმდროინდელს სხვა ქართველს ისტორიკოსს ასეთი ფართო და ხანგრძლივი სამოქმედო ასპარეზი არა აქვს აღწერილი. მართალია მის მოთხრობაში ქართლს მთავარი, შუა ადგილი უკავია, მაგრამ საქართველოს არც ერთი სხვა კუთხე უყურადღებოდ დატოვებული არ არის: კახეთი, ქ. ტფილისი თავისი საამიროთი, ტაო-კლარჯეთი და მთლად მესხეთიც და დასავლეთი საქართველო, აფხაზეთი,—ყველა ამ ადგილების უმთავრესი ამბები აღნუსხული აქვს.

ცხადად ეტყობა, რომ ჩვენს ისტორიკოსს თხზულების თავში მასალები ჰკლებია. მაგალითად, არაბთა ბატონობის პირველ ხანას შესახებ საქართველოში მას ძალიან ცოტა ცნობები ჰქონია: მან იცის მხოლოდ, რომ „პირველად უფლება სარკინოზთა განდიდნა და მათგან მიეცა ყოველი ესე ქუეყანა ჟამითი ჟამად რბევასა და ოკრებასა, მეორედ იქმნა სიმრავლე მთავართა ქუეყანასა ქართლისასა და შეერია ბრძოლა, იქმნეს მტერ ურთიერთას და, უკეთუ ვინმე გამოჩნდის, რომელიმცა ღირს იყჳს მეფედ შვილთა შორის ვახტანგისათა, იქმნა შემცირებულ სარკინოზთაგან. რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შეიქმნეს სახლად საყოფელად თჳსად, მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა [ა]მისგან, რომელსა ჰქვიან ხარაჯა" (*440, გვ. 217) ამის შემდგომ-კი ისტორიკოსს ეტყობა აღარავითარი ცნობები აღარა ჰქონია დიდის ხნის შესახებ. მას შეუძლიან მოგვითხროს მხოლოდ იმ დროის ამბები, როცა „გარდაკდეს ამას შინა წელიწადნი მრავალნი (*440, გვ. 218).

ჩვენს ისტორიკოსს უეჭველია უნდა ჰქონოდა ერთი ისეთი წყარო, რომელიც განსაკუთრებით ქ. ტფილისისა და მის ამირების მატიანეს შეიცავდა. ცხადია აგრეთვე, რომ მას ქართლის შესახებაც უნდა ჰქონოდა წყარო, რომელიღაც მატიანე იმიტომ, რომ ჩვენს ისტორიკოსს ქართლის ამბები მე-VIII-ე საუკუნითგანვე მოყოლებული ისე დაწვრილებით და მშვენივრად აქვს აწერილი, რომ ასეთი ცნობები არც ერთს სხვა იმდროინდელს ცნობილს ქართულს, ან უცხო საისტორიო თხზულებაში არ მოიპოვება. სამწუხაროდ არა სჩანს, რა წყარო იყო?

უეჭველია აგრეთვე, რომ ჩვენს ავტორს კახეთის ისტორიისათვისაც უნდა ჰქონოდა ცალკე მატიანე. იმ ამონაწერში, რომელიც ჩვენს ისტორიკოსს კახეთის მატიანეთგან უნდა ჰქონდეს ამოღებული, რასაკვირველია თვით მომთხრობელიც კახელი იქმნებოდა და მომთხრობელის სადაურობა თვით მოთხრობის კილოსაც აქა-იქ ეტყობა, მაგ. „მოვიდა კონსტანტინე აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმიდისა გიორგის წინაშე და შემოსა ხატი მისი ოქროთა“ (*451, გვ. 228). მაგრამ ეს ჩვენის ისტორიკოსის წყაროების სადაურობის გამომჟღავნებელია და არა პირადად მის ვინაობისა.

„მ̃ტნე ქ̃ჲ“-ს დამწერს თავის თხზულების პირველს ნაწილში, განსაკუთრებით ბაგრატ III მეფობამდე თხრობის ერთგვარი წესრიგი აქვს შემუშავებული და ყოველთვის ქართლის, მესხეთის ან აფხაზეთის ამბებს შემდგომ ცალკე უეჭველად მოკლე ცნობა კახეთის შესახებაც აქვს ხოლმე მოყვანილი: მოთხრობა ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, რომ მემატიანე რიგ-რიგობით ჯერ ქართლისა და მესხეთის მატიანეებით სარგებლობდა, მერე კახეთის მატიანით და სხვა.

რასაკვირველია ჩვენს ისტორიკოსს აფხაზეთის ამბების შესახებაც ცალკე წყარო უნდა ჰქონოდა. ამას იგი არც თითონა მალავს. კონსტანტინე მეფის შვილებს შორის ატეხილ შფოთს რომ გვიამბობს, იგი სხვათა შორის ამბობს: „გარდაიცვალა კონსტანტინე მეფე [აფხაზთა] და იშლებოდა ქუეყანა აფხაზეთისა ჟამ რაოდენმე, რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კონსტანტინე მეფესა... უხუცესსა იგი [ერქუა გიორგი], უმრწემესსა ბაგრატ და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თჳთოეულად ჰპოო ცხორებასა მათსა“-ო (*451, გვ. 228). სამწუხაროდ უკანასკნელი წინადადება ცოტა ბუნდოვანია. ცხადია მხოლოდ, რომ ჩვენს ავტორს ბაგრატისა და გიორგის შორის ჩამოვარდნილი მტრობა აღწერილი წაუკითხავს საისტორიო წყაროში, რომელსაც სახელად „ცხორება“ რქმევია. არა სჩანს მხოლოდ ამ „ცხორება“-ში მარტო მათი, ესე იგი გიორგისა და ბაგრატის თავგადასავალი უნდა ყოფილიყო ნაამბობი, თუ აქ „მათი“ აფხაზთა მეფეებს ჰნიშნავს და აქ ნაგულისხმევია „ცხორება აფხაზთა“.

ზემომოყვანილ წინადადების აზრს პირველი ახსნა უფრო შეესაბამება. თუ შემდეგში ზემოაღნიშნული აზრი მართალი გამოდგა, მაშინ დამტკიცდება, რომ აფხაზთა მეფეებს მარტო ცნობილი საზოგადო ისტორია „ცხორება აფხაზთა"-კი არა ჰქონიათ, არამედ რომ ზოგ-ზოგ მეფეთაგანს მაინც საკუთარი ცალკე მემატიანე ჰყოლია. მაშინ შეიძლება ჩვენს ისტორიკოსს „ცხორება აფხაზთა"-ს გარდა აფხაზეთის შესახებ ბევრი სხვა საისტორიო წყაროებიცა ჰქონოდეს.

როგორც სჩანს, მას აგრეთვე წ~ა გობრონის ცხორება ჰქონია ხელთა. აბულ კასიმი ძე აბუსაჯისი რომ ყუელის ციხეს მიადგა, „იყო მუნ შიგა ჭაბუკი ერთი სახელით გობრონ... და ვითარ წარიღეს ციხე იგი, შეიპყრეს წმიდა გობრონ და აწამეს, რომლისა წამება ვრცლად აღწერა წმიდამან მამამან ჩუენმან სტეფანე ტბევარმან ეპისკოპოსმან" (*450, გვ. 227) და ეს ცნობა სრული ჭეშმარიტებაა: წ~ა გობრონის მარტვილობა შენახულია და მართლაც მას სწორედ ამნაირი შინაარსი აქვს (იხ. ს~ქ~ს ს~მ~თხე, 393—400 და აქვე გვ. 43—47).

ცხადია მხოლოდ, რომ ჩვენს ავტორს ან არ უნახავს, ან არადა სრულებით არ უსარგებლია სუმბატ დავითის ძის ისტორიით „ცხორება და უწყება". არსად ამის კვალი არ აშჩნევია. სამაგიეროდ, თუ ჩვენ „მტ~ნე ქ~ჲ"-ს და სუმბატის თხზულების ცნობებს შევადარებთ ბერძენ-ქართველთა ომების შესახებ ბასილი კეისრისა და გიორგი მეფის დროს (მ~ტნე ქ~ჲ, მ~მ დ~ფსი ქ~ცა *474—477 და 3 ქ~რკა 67—72), ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ ორსავე ავტორს ერთისა-და-იმავე წყაროთი უსარგებლია.

ცხადია აგრეთვე, რომ ჩვენს მემატიანეს ბაგრატ III მეფობის შესახებ უხვი და ვრცელი ცნობები ჰქონია, გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე იგი ჩვენ გვამცნებს. ამას თითონ იგი მკაფიოდ ამბობს ბაგრატის დახასიათების დროს: „უკუეთუ ვინმე [კელუოს] თვითოეულად წარმოთქმად უოველთა განგებულებათა მისთა, მოუძლურდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედ წარმოვთქვ ჟამთა სიგრძისაგან არა დავიწყებისათვის"-ო (*472, გვ. 246).

როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, ჩვენს ისტორიკოსს მრავალსიტყვაობა სძულს: მის მოთხრობის ენა მარტივი და ბუნებრივია და სიტყვის მოკლედ მოჭრა უყვარს. ამ მხრივ იგი მეტად თავდაჭერილი და მოკლედ-მოუბარი მწერალია. ამის გამო მისი თხზულება ისეა ნაწერი, რომ თვითოეულს სიტყვას თავისი მნიშვნელობა აქვს და არც ერთის გამოტოვება არ შეიძლება. ამ მხრივ მას ქართულს საისტორიო მწერლობაში ტოლი არა ჰყავს.

თავითგან ბოლომდის მთელს თხზულებაში იგი მარტო პოლიტიკურსა და სახელმწიფო საქმეების ამბებს უამბობს მკითხველს და მხოლოდ ოთხს ალაგას აქვს ეს გეგმა დარღვეული. ერთგან გიორგი აფხაზთა მეფის შე-

სახებ ნათქვამი აქვს, რომ მან „აღაშენა საყდარი ჭყონდიდისა, შექმნა საეპისკოპოსოდ და განაშუენა იგი სიმრავლითა წმიდათა მარტვილთათა“-ო (*452, გვ. 229). მეორეგან სწერია, რომ ლეონ აფხაზთა მეფემ, რომელიც იყო „სავსე ყოვლითა კეთილითა, ამან აღაშენა ეკლესია მოქვისა და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ, აკურთხა და განასრულა ყოვლითა განგებით“-ო (*457, გვ. 233). ხოლო მესამეგან ნათქვამია, დავით დიდ კურაპალატმა „აღაშენა მონასტერი და საყდარი ღ~თისა წმიდა ეკლესია ხახულისა“ (*462, გვ. 237). სამსავე შემთხვევაში ავტორს თითო წინადადების მეტი არ გამოუმეტნია და მხოლოდ მეოთხეჯერ, როცა იგი ბაგრატ III-ის მოღვაწეობას ეხება, ცოტა მეტს სიუხვეს იჩენს: „ამანვე დიდმან მეფემან, გვითხრობს იგი, საყდარი ბედიისა შექმნა საეპისკოპოსოდ, მოცვალა გუდ~ისი საეპისკოპოსო, შესწირნა სოფელ[ნ]ი მრავალნი ყოველთა კეთა და ადგილთა და განასრულა ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა განგებითა, შეამკო ყოვლითა სამკაულითა, ეკლესია აკურთხა და დასუა ეპისკოპოსი. ხოლო უკუეთუ ვისმე ენებოს განცდა[დ] და გულისკმის ყოფად სიმაღლისათვის დიდებისა მეფობისა მისისა, პირველად განიცადოს სამკაული ბედი[ი]სა ეკლესიისა და მისგან გულისკმა ყოს, რომელ არავინ ყოფილ არს სხუა მეფე მსგავსი მისა ქუეყანასა ქართლისასა და აფხაზეთისასა. ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათის[ის]სა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა, რამეთუ ამან შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი კელმწიფენი, კათოლიკოზნი, მღუდელთ-მოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი მამულსა და სამეფოსა მისსა მყოფნი და სხუათა ყოველთა საკელმწიფოთანი“-ო (*471—472, გვ. 245).

უურადღების ღირსია, რომ ყველა იმ შემთხვევებში, როცა ჩვენი ავტორი მოკლედ-მოუბრობას თავს ანებებს და თხრობის ხასიათსა სცვლის, საუბარი მხოლოდ ეკლესიების აშენებას ეხება, სხვა არაფრისათვის არ იწუხებს თავს ჩვენი მემატიანე.

მეფე-მთავრების ღვაწლის დახასიათების დროსაც-კი ჩვენი ისტორიკოსი ორიოდე სიტყვითა კმაყოფილდება, თვით დახასიათებაც ხშირად მცირეოდენის განსხვავებით ერთგვარია ხოლმე. მაგალითად, გიორგი აფხაზთა მეფის შესახებ ნათქვამი აქვს: „იყო იგი სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმკნითა და ახოვნებითა, ღვთის-მოყვარე იყო უმეტეს ყოველთა, ეკლესიათა მაშენებელი, მოწყალე გლახაკთა, უხვი და მდაბალი და ყოვლითა კეთილითა სათნოებითა სრული“ (*452, გვ. 229). დავით დიდ კურაპალატზე უწერია: „იყო პირველად ღვთის-მოყვარე, გლახაკთ მოწყალე, მდაბალი, მშვიდი და ძვირ-უხსენებელი, ტკბილი, უხვი და კაცთ-მოყვარე, ყოველთათჳს კეთილის მყოფელ და სავსე ყოვლითა კეთილითა“ (*461—462, გვ. 237). ბაგრატ III-ის შესახებ ამბობს: „ეკლესიათა მაშენებელი

იყო, გლახაკთ მოწყალე და სამართლის [მართლად მოქმედი] ყოველთა კაცთათჳს“ (*473, გვ. 246).

გიორგი I-ს ამნაირად ახასიათებს: „არავინ გამოჩინებულ იყო მზგავსი მისი მამათა შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა და ცნობითა და ყოვლითურთ სრული განგებითა საკელმწიფოთა“ (*479, გვ. 253). დასასრულ ბაგრატ IV-ე ასე აქვს აღწერილი: „იყო კაცი უშუენიერესი ყოველთა კაცთასა, სრული სიბრძნითა ფილასოფოსისათა, სვიანი ბედითა, უმდიდრესი ყოველთა აფხაზთა მეფეთასა, მოწყალე შეცოდებულთათვის, უხვი გლახაკთა ზედა (*508--509, გვ. 278).

როგორც ზემოდაც ნათქვამი იყო, ჩვენი ისტორიკოსი არსად თავის პირადს გრძნობას და აზრს არ ამჟღავნებს, და მხოლოდ საქმის ვითარების დალაგებულ, მარტივ აღწერით არის გატაცებული: მისი მოთხრობის ენა ყოველთვის მშვიდი და წყნარია, არას დროს იგი არ აღშფოთდება, არას დროს მის ნაამბობს ვნებათა-ღელვის კვალი არ ამჩნევია.

ბაგრატ IV-ის დახასიათების დროსაც-კი, რომლის ესოდენ ერთგული მომხრე იყო იგი, რომ შეეძლო ეთქვა, „პატივსცა ღ~ნ ბაგრატს აფხაზთა და ქართუელთა მეფეს: ეწია სენი სასიკუდინე კონსტანტინე მეფესა“-ო (*482, გვ. 255—256), და დიდის ქებით იხსენიებს მის სულიერსა და გარეგანს თვისებებს,—მაშინაც ჩვენს ისტორიკოსს ჭეშმარიტებისათვის არ უღალატნია და ქების შემდგომ მაინც მიუდგომელად აღიარებული აქვს: „ჟამთა მისთა ქუეყანასა დაწყნარება არა აქუნდა, ეკლესიანი, გლახაკნი, აზნაურნი ვერ იკითხებოდეს“-ო (*509, გვ. 278). ერთის სიტყვით, ჩვენი ავტორი პირუთვნელი, მიუდგომელი ისტორიკოსი იყო.

მას როგორც ეტყობა მხოლოდ „სელჩუკიანნი“ სძულებია, სელჯუკთა გვარის სულტნები: მეტად ბევრი უბედურება მიაყენეს მათ საქართველოს და მეტად ახალი ამბავი იყო ეს, რომ ასეთი მშვიდი მწერალიც-კი მათ პარპაშობის მოთხრობის დროს არ აღელვებულიყო: სულტანმა ჩამოიარა და აიღო ტფილისი და რუსთავიო, სწერს იგი, და „მისცა ფადლონს განძის პატრონსა. არა თუ მეფეთა ჩუენთა მტერობისათჳს ოდენ მოსწყჳდნა ტფილისი და რუსთავი ამას სამეფოსა, არცა ამისათჳს ქმნა, თუმცა იგი ამირანი ორგულად დგომილ იყუნეს მისსა კარსსა ზედა, არამედ კეთილისა და მსახურებისა ნაცულად ბოროტსა უყოფდიან ყოველსა კაცსა, რამეთუ მინდობილ იყუნეს იგინი ძალსა ულთოებისა მათისასა და იყუნეს იგინი ყოველით კერძო მცბიერ“-ო (*502, გვ. 272).

ჩვენი ისტორიკოსის შრომა უხვ ქრონოლოგიურ ცნობებითაც არის ძვირფასი. მართალია ამ მხრივ იგი მეორე იმდროინდელ ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს მეტოქეობას ვერ გაუწევს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვე-

ნი ავტორის ცნობები უფრო დიდ-მნიშვნელოვან ამბებს ეხება ყურადღების ღირსია ჩვენი ისტორიკოსის ჩვეულებრივი საშუალება, რომლითაც იგი თარიღს აღნიშნავს ხოლმე: უმეტეს შემთხვევაში იგი ქრონიკონს-კი არ ასახელებს, არამედ გვამცნებს რამდენი წელიწადი იყო გასული ამა თუ იმ შემთხვევითგან, ისე რომ თარიღის გამოანგარიშებაა საჭირო. მაგალითად, ხაზართა ქართლში შემოსევის დრო ასეა აღნიშნული: წ̃ა არჩილის წამებიის „შემდგომად სამისა წლისა“-თ (*438—439, გვ. 216), „გარდაკდეს წელიწადი ამას შინა სამი“ (ე. ი. ბაგრატ III-ის ქართლში გამეფებითგან *463, გვ. 238), „გარდაკდეს ამას შინა წელიწადი ორი“ (ბაგრატის აფხაზეთში გამეფებითგან, *464, გვ. 239). ბიზანტიის კეისრის საქართველოში შემოსევის წელიწადზე ნათქვამია: „მეშვიდესა წელსა მეფობისა მისისა (ე. ი. გიორგი I-ისა) გამოვიდა ბასილი მეფე ბერძენთა“ (*473, გვ. 247). ჩვენ ვიცით, რომ გიორგი I 1014 წელს გამეფდა, მაშასადამე ბასილი კეისარს გამოულაშქრნია 1020--21 წელს. ამგვარი ქრონოლოგიური ცნობები ბევრი მოიპოვება ჩვენი ისტორიკოსის შრომაში (*479, 480, 482. 493, 499, 500, 508, გვ. 253, 254, 256, 265. 270, 271, 277).

როცა ამ გამოანგარიშებულ თარიღებს უცხო-ქვეყნელ ისტორიკოსთა ქრონოლოგიურ ცნობებს შეუდარებთ ამავე ამბების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში ჩვენი ისტორიკოსის სიტყვები მტკიცდება ხოლმე (იხ. ამის დამამტკიცებელი მრავალი საბუთები „ქ̃ლ ერის ისტორია“-ში, წ. II, თ. IV და VI).

მას რასაკვირველია პირდაპირ აღნიშნული ქორონიკონებიც მოეპოვება, განსაკუთრებით ბაგრატ III-ითგან მოყოლებული. საზოგადოდ-კი როგორც ზემოდ აღნიშნული იყო, მის შრომის პირველი ნაწილში ქრონოლოგიური ცნობები უფრო იშვიათია ხოლმე.

ჩვენი ისტორიკოსის თხზულება შინაარსიანია, აუარებელ ისტორიულ ცნობებით ალსავსე, ამასთანავე ხშირად ისეთი ცნობებით, რომელიც არსად სხვაგან არ მოიპოვება. მაგრამ მის თხზულების ღირსება უფრო იმის გამო ძლიერდება, რომ როცა მის მოთხრობილს ამბებს სხვა ქართველსა და უცხო-ქვეყნელ ისტორიკოსთა ცნობებს შევადარებთ ხოლმე, უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ავტორის სიმართლე მტკიცდება. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ცნობათა შორის განსხვავებაა, ჯერ კიდევ დაწვრილებითი განხილვაა საჭირო და შესაძლებელია აქაც გამარჯვება ჩვენს ისტორიკოსს დარჩეს. ამის დამამტკიცებელ საბუთების მოყვანა შორს წაგვიყვანდა და გამოკვლევას გააგრძელებდა, ხოლო ვისაც ჰსურს, იმან მრავალი ამის დამამტკიცებელი საბუთები „ქ̃ლ ერის ისტორიაში“ (წ. II, თ. IV—IV) იხილოს. ამ გვარად „მატიანე ქ̃ჲ“ ჩვენი ისტორიისათვის მშვენიერი, შინაარსიანი და

ფას-დაუდებელი წყაროა. ამიტომაც არის რომ მისი აღდგენილი დედნის გამოცემა აუცილებლად არის საჭირო[1]).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი.

ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა აგვიწერა, ჯერ-ჯერობით არ ვიცით. არც თვით ისტორიაში, არც სხვა რომელსამე წყაროში ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ვიდრე მ˜მ დფ˜ლსი ქ˜ცა აღმოჩნდებოდა ჩვენ თითქმის ვერც-კი წარმოგვედგინა, რომ დავით აღმაშენებელს თავისი საკუთარი ცალკე მემატიანე ჰყავდა: მხოლოდ იქ არის ამ მეფის ისტორია სხვა თხზულებებისაგან განცალკევებული. მას სათაურად ჰქონია: „ცხორება მეფეთ მეფისა დავითისი" (*512, გვ. 281). ყურადღების ღირსია, რომ ანა დფ˜ლ ქ˜ცის ხელთნაწერში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოებს არავითარი სათაური არა აქვს. მაგრამ ამ ხელთნაწერის გადამწერს დედანი ნაკლულევანი ჰქონია და ამ მხრივ მ˜მ დფ˜ლს ქც˜ას უფრო უძველესი სახე აქვს შენახული, ვიდრე ან˜ა დფ˜ლს ქც˜ას. ამ ისტორიის ბოლო სხვა მეფეების ისტორიაზე გადაბმული არ არის და დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიების შუა სუმბატის თხზულებაა. ამ გვარად ეს თხზულება მთლიანად და განცალკევებულად ყოფილა შენახული. ამგვარივე სახე აქვს ამ თხზულების ბოლოს ანა დფ˜ლ ქც˜ა-ში.

როდესაც ეს ისტორია „ქართლის ცხორების" კრებულში შეუტანიათ და დანარჩენ მატიანეებზე გადაუბამთ, დავით აღმაშენებლის ისტორიის შესავალი და დასაწყისი ალბათ მაშინ გამოუტოვებიათ. „ცხორება მეფეთ მეფისა დავითისი" ისეთი წინადადებით იწყება, რომ მკითხველი უეჭველია მიხვდება, ამ ისტორიას რაღაც უნდა აკლდესო: „ამისა შემდგომად მოვიდა სულთანი მალიქშა, მოადგა სამშვილდესა" (*512, გვ. 281; ამ გვარადვე იწყობა ეს თხზულება ანა დ˜ფსქ˜ცა-შიც) ცხადია, რომ ამ გვარ წინადადებით, მერე „ამისა შემდგომად"-ით არც ერთი მემატიანე არ დაიწყობდა თავის თხზულებას. ჩვენ არ ვიცით, როგორი შესავალი და დასაწყისი ჰქონდა ამ ისტორიას.

„ცხ˜ა მ˜თ მფ˜სა დთ˜სი" იწყობა იმავე ამბებით, როგორითაც თავდება „მტ˜ნე ქ˜ა", და დასაწყისში დავით აღმაშენებლის მამის გიორგი II მეფობას შეიცავს. ვის ეკუთვნის ეს ნაწილი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს, თუ იგი მიკერებულია „მტ˜ნე ქ˜ა"-თგან? ამ საკითხის გადაწყვეტას დავით აღ-

---

[1]) ამ გვარი შრომა უკვე დამზადებული გვაქვს და მოკლე ხანში ვაპირებთ გამოცემას.

მაშენებელის მემატიანეს შემდეგი წინადადება გვიადვილებს: რუის-ურბნისის კრებამდე საეპისკოპოსო საყდრები უმეტეს შემთხვევაში უღირსს მღვდელთ-მთავრებს ეპყრა და მთლად სამღვდელოებაც სუსტი იყო, „თვით სახლით უფლისათ და მღდელთაგან გამოვიდოდა უსჯულოება, რომელთა თუალი ღ˜თისა მხედველი ყოველთა ესე ოდენად რისხუად აღზრულ იყო, ვითარცა ზემორე სიტყუამან გამოაცხადა“-ო (*523, გვ. 290). მაშასადამე ავტორის ცნობისაებრ ზემოდ მას აღწერილი ჰქონდა ის ღვთის რისხვა, რომელიც საქართველოს თავს დაატყდა მკვიდროა, მეტადრე-კი სამღვდელოების ურჯულობის გამო. მართლაც „ც˜ი“-ს თავში იქ, სადაც გ˜ი II მეფობა არის აღწერილი (*513—520, გვ. 282—287), მოთხრობილია დიდი თურქობისა და აგრედვე საზარელი მიწის ძვრის ამბავი, რომელიც იქ მართლა ღვთის რისხვის შედეგად არის დასახული. ამ გარემოებითგანა სჩანს, რომ „ც˜ა მ˜თ მ˜სა ღთ˜სი“-ს მთელი შესავალიც დავით აღმაშენებელის მეფობამდის იმავ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს, რომელსაც დავით აღმაშენებელის მთელი „ც˜ა“ დაუწერია. ეტყობა დავით აღმაშენებელის ისტორიაში ავტორის მიერ შესავალის სახით დიდებულ მეფის მამის გიორგი II-ის ხანაც ყოფილა მოკლედ აწერილი, რომ მკითხველისათვის ცხადი ყოფილიყო, თუ რა უკუღმართსა და შავბნელს დროს მოუხდა დავით აღმაშენებელს მეფობა და რა დიადი იყო მაშასადამე მისი მოღვაწეობა.

დავითის ისტორიკოსი მეფის თანამედროვე ყოფილა. იგი თვითონ ამბობს: „ეს ყოველი მოიწია და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროსი ამათ წარმოთქმულთასა რამეთუ ვითარმცა ვინ მისცა თხრობასა ყოველი, რომელი იქმნა დღეთა ჩუენთა“-ო. (*518, გვ. 286 ანა დ˜ფს ქ˜ცა-ში ამ წინადადების მეორე ნაწილით ასე სწერია: „რამეთუ ვითარმცა ვინ გამოთქუა თითოეულად რომელი დღეთა ჩუენთა მოიწია ჭირი“).

მაგრამ ჩვენი მემატიანე მარტო თვით-მხილველი თანამედროვე-კი არა ყოფილა, იგი, როგორც ეტყობა, მეფის მახლობელ კაცად უნდა ჩაითვალოს, ომში მაგ. მეფეს თან ჰყოლია. ერთგან იგი მოგვითხრობს კიდეც: მეფე გულადად იბრძოდა და მუსრს ადენდა მტრებს და ამის გამო სისხლით ისე იყო მოსვრილი, რომ როცა სარტყელი შემოიხსნა და „ქუეშეაგდო რა დაითხია ესოდენისა მდინარისა სისხლისა შეუინებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თჳთ მისგან ვგონებდით გამოსრულად“-ო (*525—526, გვ. 293). ისტორიკოსი, როგორც სჩანს, მეფეს ნადირობის დროსაც თანახლებია: მას დაწვრილებით აქვს აწერილი დავით აღმაშენებელის ჩვეულებანი ნადირობის დროს, მისი განთქმული მოისრობა და ამტკიცებს კიდეც, ამ მხრივ სხვა „ვერავინ შეესწორებოდა ამას, ვითარცა გვიხილავს ჩუენ“-ო (*548, გვ. 316). მაგრამ მარტო ომში და ნადირობაში-კი არა, გზაშიაც, მშვიდობიანობის დროსაც იგი თურმე მეფეს ახლდა. ამიტომ მან კარგათ იცის მისი სულის-კვე-

თეა, მისი გულის-ნადები: „მრავალ-გზას გვიხილავს“-ო, ამბობს ისტორიკოსი, „იგი დამალტობელად დაწვიან მისთა ცრემლითა ხილვასა ზედა თვითოსახეთა სენთა მიერ განცდილთასა“-ო (*555, გვ. 323).

საზოგადოდ როგორც სჩანს ისტორიკოსი იმდენად დაახლოვებული და დავით აღმაშენებლის სასახლეში გაშინაურებული კაცი ყოფილა, რომ მეფის წიგნებს თურმე აიღებდა ხელში, შინჯავდა და მის შენიშვნების წაკითხვასა ბედავდა ხოლმე: „წინა დაიდვა ოდესმე (მეფემ) წიგნი სამოციქულო წარკითხვად“-აო, მოგვითხრობს იგი, „და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასუის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწდისასა მით ნიშნითა აღვთუალეთ, ოცდაოთხჯერ წარეკითხა“-ო (*548—549, გვ. 316). ერთი სიტყვით, დავით II-ის ისტორიკოსი მეფის შინაური, მეგობრად საგონებელი კაცი ყოფილა. მაგრამ ამასთანავე იგი მეფის უფრო აღტაცებული თაყვანისმცემელია, ვიდრე მეფის სწორი ამხანაგი.

თავისი თავი ისტორიკოსს, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, უკვე დიდ თურქობის ამბების თანამედროვედ აქვს აღიარებული, და მეფე დავით აღმაშენებლის სიკვდილსაც მოსწრებია. მაშასადამე იგი 1080—1125 წლების, ანუ 45 წლის ამბების მნახველი ყოფილა. დიდ თურქობას იგი უეჭველია ჭაბუკი იქმნებოდა.

დავით აღმაშენებლის მემატიანე მოხიბლულია მეფის დიდბუნებოვან პიროვნებით, მისი თვისებებითა და მოქმედებით; „აჰა, სახე არა უმსგავსო, არამედ ფრიადცა თანაშეტყუებული ჩუენისა თჳთმპყრობელისა და ყოვლად გამომსახველი სიტყუთ საქმეთა, თუალითა ჩუენითა ხილულთა: რამეთუ სიტკბოებისა და სიბრძნისა მისისა ხილვად წყურიელნი კიდით ქუეყანისათა შემოკრბებოდეს წინაშე მისსა. ვინ იყო ესეოდენ ტკბილი შემთხუევათა შინა, ვინ სატრფიალო ზრახვითა და სასურველ დუმილითა, იგივე შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულებითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა, საწადელ ღიმილითა... არცა ერთისა კეთილთაგანისა შემაშთობელ, უზომოებითა მაღალ უმაღლესთათჳს, მდაბალ უმდაბლესთათჳს, და თჳთ მათ მტერთაგანცა საწადელ და საყუარელ სათნოებათა მისთაგან შეკდიმებულთა. ვინ ესრეთ მიიღო ერთიცა სათნოებათაგანი, ვითარ მან შეიკრიბა ყოველი... რომელი ყოველთათჳს შეუძლებარს დაკჳრვებად ოდენ, არა თუ მიბაძვება[დ]“-ო (*563, გვ. 331—332), გაიძახის აღტაცებული ისტორიკოსი.

ბ. თ. ჟორდანია ამტკიცებს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი სამღვდელო პირიაო (ქრ. I, გვ. XLV), იმიტომ რომ ვითომც მისი „მოთხრობა ღვთის-მეტყველური ბეჭედით“ აღბეჭდილი ყოფილიყოს (იქვე). მაგრამ განსაკუთრებული საეკლესიო რამე აზრები დავით აღმაშენებლის ისტორიაში არ მოიპოვება. ის, რასაც ავტორი სწერს, ერის კაცსაც შეეძლო დაეწერა და ეთქვა. ბ. ჟორდანიას აზრი, ვითომც იგი უფრო სასულიერო-სადვთისმეტყველო

საქმეებს აქცევდეს ყურადღებას, როგორც ქვემოდ გამორკვეული იქმნება, სწორე არ არის.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი საზოგადოდ ფართო და შორსგამჭვრეტელი აზროვნობის პატრონია და მარტო სომხებისადმი სიძულვილი ემჩნევა (*558—559, გვ. 325—326). მაგრამ ავტორის ეს გრძნობაც, როგორც ეტყობა, სარწმუნოებრივ ნიადაგზე არ არის აღმოცენებული. პირიქით, სადაც მას ქართველ და სომეხ სამღვდელოების საღვთისმეტყველო პაექრობის ამბავი აღწერილი აქვს, იქ იგი ორსავე სამღვდელოებას თანასწორად ბრალსა სდებს და ჰკიცხავს: „იყო ორკერძოვე ძლევის-მოყუარეობა ოდენ და ცუდ სიტყუათა-პაექრობა, რამეთუ შევიდიან შეუვალთა საქმეთა და ძნიად გამოსავალთა“-ო (*559, გვ. 326). ერთი სიტყვით, ისტორიკოსი ღვთისმეტყველების მოტრფიალე მაინც-და-მაინც არა ყოფილა და სწორედ ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ დავით აღმაშენებლის მემატეანე ან ერის კაცია, ან არა და თუ სამღვდელო პირია,—განათლებითა და აზროვნობით სრულიად გაერისკაცებული მწერალი ყოფილა, რომელიც თავისუფლად კითხულობდა და სარგებლობდა საერო, ძველ ბერძნულ წარმართულ მწერლობითაც-კი.

როდის უნდა იყოს დაწერილი ეს „ცხორება“? ავტორის ერთ წინადადებითგან სჩანს, რომ როცა იგი თავის თხზულებასა სწერდა, მაშინ უკვე თბილისი დავით აღმაშენებლის მიერ აღებული ყოფილა: „ქალაქი ტფილისი იყო ოდეს ჯერეთ არა სრულიად შემოყენებული იყო ჴელსა ქვეშე მორჩილებისასა, ვითარცა აწ“-ო (*549, გვ. 316). მაშასადამე ისტორია 1122 წლის შემდგომ უნდა იყოს დაწერილი. ხოლო ისტორიის დასასრულითგან სჩანს, რომ ამ თხზულების უკანასკნელი ნაწილი მაშინ უნდა იყოს დამთავრებული, როცა მეფე უკვე მკვდარი ყოფილა: „მოუწოდა ღ̃თნ შეუყუარებულსა თჳსსა... სადა იგი აწ მკვდარ არს და იქცევის ნათელსა შინა ღ̃თისასა, რამეთუ იყო მაშინ თუე იანვარი კ̃დ (24) და დღე შაბათი ოდეს ქრონიკონი იყო ტ̃მე“ (*566, გვ. 334). ამის გამო ცხადია, რომ ბოლო დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდგომ უნდა იყოს მიმატებული ანუ 1125 წლის შემდეგ. მაშასადამე მთელი ისტორია 1123—1126 წლებში უნდა იყოს დაწერილი.

დავით აღმაშენებელმა ბევრნაირად შესცვალა საქართველოს საეკლესიო მართვა-გამგეობა. რაკი მისი მოქმედება დიდ-გვარიან აზნაურ მოხელეებისა და სამღვდელოების წინააღმდეგ იყო მიმართული, ამიტომ მას ბევრი მტრები ჰყავდა, რომელნიც საქმითაც წინააღმდეგობას უწევდნენ და სიტყვითაც მეფის პირადობასა და მის მოღვაწეობას ჰკიცხავდენ და ჰგმობდენ. დავით აღმაშენებელს რასაკვირველია თავისი მომხრეებიც ჰყავდა და სწორედ ამ მომხრეთა წრეს ეკუთვნოდა მისი ისტორიკოსიც. ამიტომ მისი თხზულების მიზანი იყო: ჯერ

ერთი, რომ დავით აღმაშენებლის ცხოვრება და თავგადასავალი აეწერა ისე, რომ მისი პირადი თვისებანი და სახელმწიფო მოღვაწეობა ნათლად და შესაფერისად ყოფილიყო დასურათებული. მეორე ის, რომ მეფის მოწინააღმდეგეთა ჯგუფის ცილის-წამება და ხმები, რომელსაც ისინი ავრცელებდნენ მის მოქმედების შესახებ, უარეყო და დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისა დედა-აზრი და მნიშვნელობა გამოერკვია და თანამედროვე საზოგადოებისათვის ნათელეყო. აკი თვით ისტორიკოსი ამბობს კიდეც ამის შესახებ: „ჴელი მისი (ე. ი. ღვთისა) წმიდა შეეწია და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი, წყალობა და ჭეშმარიტება შეემოსა და უაღრეს ყოუფროს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, ვიდრემდის დადვა ზღუათა ზედა ჴელი მისი და მდინარესა ზედა მარჯუენა მისი. გარნა შრომითა ფრიადითა და ღუაწლითა ძლიერითა და მრავალთა დღეთა შემოდგომადცა იყო [და] იქმნა ესე, ვითარცა წინამდებარემან სიტყუამან ცხად ყოს“-ო. (*520, გვ. 287—288).

ამიტომ კი არის, რომ ისტორიკოსი თავის თხზულებაში მეფის მოწინააღმდეგე დასს ეკამათება და მათ აზრებს არღვევს: „არიან ვინმე მაბრალობელნი მეფისანი ჯერეთცა ესეოდენ მჭირსედ მოლაშქრობისათჳს და მჴედრობათა მისთა განუსუენებელისა (დედანში სწერია განსუენებულისა) მიმოსვლისათჳს და დაჭირვებისა“-ო (*559, გვ. 327), ამბობს ისტორიკოსი. მასვე აყუედრიდენ ყივჩაყთა 50000 ჯარის გამოყვანას. ისტორიკოსიც ჯეროვანს პასუხს აძლევს და მეფის მოქმედების სამართლიანობას ასაბუთებს: ყივჩაყთა გამოყვანას არამც თუ უნაყოფოდ არ ჩაუვლია და ვნება ხომ არავითარი მოუტანია, პირიქით იმათგან საქართველოს დაუფასებელი სარგებლობა ნახაო: „არცა ცუდად დაშურა, არცა უსაქმოდ მათი გამოყუანება,—მათითა ჴელითა მოსრნა სპარსეთისა ძალნი და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა და მათითა თანა-ყოლითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წალმართ“-ო (*535, გვ. 301). ხოლო თუ მოლაშქრობასა და სამხედრო ვარჯიშობას დავით აღმაშენებელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმიტომ, რომ „განეწყუართნეს სპანი თჳსნი და განეკადრნეს წყობათა მიმართ“-ო (*560, გვ. 328). ასე რომ არ მოქცეულიყო და ჯარი არ მოეგროვებინა, „რათამცა ქმნნეს ესეოდენნი ძლევანი, ანუ რათამცა აეხუნეს ეზომნი დიდნი სამეფონი“-ო? (იქვე). თვით ალექსანდრე მაკედონელმაც თანდათანობით გაწვრთნა თავისი მხედრობა და მხოლოდ იმიტომ შესძლო მთელ ქვეყნიერობის დაპყრობაო (იქვე).

გარეშე მტრების გარდა ძლიერი ლაშქარი იმიტომაც იყო საჭირო, რომ მეფემ კარგად იცოდა ქართველ დიდებულების ვერაგი ხასიათი და მათ წინააღმდეგ უნდა მზა-მზარეული ჯარი ჰყოლოდაო (*561, გვ. 329). ამას გარდა მეფის მოწინააღმდეგენი „კუალად სხუასა ბრალობასა შემოიღებენ,

მეტყუელნი «შეიყუარნის ვინმეთ და განადიდნის, მოიძულნის ვინმეთ და დაამცირნისთ, ესე აღამაღლის და ესე დაამდაბლის, ერია უსამართლობასა“-ო (*561, გვ. 330). ისტორიკოსი აღშფოთებული ამბობს: „ჰოი უგუნურებასა! ამისთჳს აბრალებსა?.. ამისათჳს რად არა ღმერთსაცა აბრალებ, უგუნურო, ამასვე ესრეთ მოქმედსა: ანუ არა ხუთთა ქანქართა ათ-მეოცელსა მისცნა ათნი ქანქარნი, ანუ არა ერთისა დამფლველსა მოუღო იგიცა და მისცა ათთაზედა მეათერთმეტედ... უკეთუ მეფემან ერთგულნი, ფრთხილნი და ახოვანნი ნაცულად ორგულთა და ჯაბანთა და უღირსთა ადიდნეს, რაჲ უსამართლო ქმნა? ნუ უკვე დუხჭირმანცა აბრალოს სარკესა, რამეთუ სახე მისი ცუდად უჩუენის“-ო (*562, გვ. 330).

ჩვენს ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს აგრეთვე, რომ დავით აღმაშენებელი კატაცებით კითხულობდა ხოლმე წიგნებს, მთელ თავის თავისუფალს დროს წიგნების კითხვასა და წაკითხულის დედა-აზრისა და შინაარსის შესახებ მოფიქრებასა და მსჯელობასა ანდომებდა. სხვათა შორის იგი გვიამბობს, რომ ერთხელ, როცა მისი მხედრობა ომში იბრძოდა, ხოლო მეფე კარავში უცდიდა, სანამ მისი ჩარევა ბრძოლაში საჭირო იქმნებოდა წიგნის კითხვას ისე გაუტაცნია, რომ კინაღამ ბრძოლა უბედურად არ დამთავრებულა. ამის გამო მისი მკედარნი „ფრიად აბრალებდეს მას, განიცადეთ-და ჩემდად, რომელ ესევითარსა საქმესა შინა და ესე ოდენ უცალოსა, წიგნნიცა აქუნდეს უსასწრაფოეს საქმედ“-ო (*550, გვ. 318).

ისტორიკოსი ამ ბრალდებასაც აქარწყლებს და უხსნის მკითხველს, თუ რა დიადი მნიშვნელობა ჰქონდა და რამდენად საჭირო იყო მეფისათვის წიგნების კითხვა: „ვსთქუა ესეცა, ვითარმედ უკეთუმცა არა წერილთა მეცნიერებანი და გარდასრულთა[1] საქმეთა შემეცნებანი და პირველ-ყოფილთა მეფეთა კეთილ-ძლუ[ა]ნებულთა, ანუ ვერა[რა]ს[2]) წარმართებულთა შემთხუეულნი წინაგანსაკრძალებლად და სახედ არ შემოეხუნეს და არა მოეკმარნეს,—ვითარცა იტყჳს სოლომონ, ვითარმედ «იცნის ქცეულებანი ჟამთანი, აღჴსნანი იგავთანი და კადასრულთა შემსგავსნი მომავალნი», არამცა[3]) კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული, ესეოდენ ძნელი და ნამდვილ დიდი განსაგებელი ეპყრა[4]) ესრეთ მაღლად“-ო (*551, გვ. 318).

სამწუხაროდ დავით აღმაშენებელის „ცხორება“-ს სწორედ შესავალი აკლია. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ქართველი ისტორიკოსები შესავალში ჩვეულებრივ საზოგადო საკითხებზე და თავიანთ თხზულების მიზნისა და მეთოდების შესახებ მსჯელობდნენ ხოლმე (იხ. აქვე 20—21, 44—45, 63—64, 74—79 და სხვაგან). ამიტომ უეჭველია ამ ჩვენ ისტორიკოსსაც თავისი საზოგადო აზრები შესავალში ექმნებოდა გამოთქმული. ჩვენი ავტორის ღრმა და ფართო განათლება გვაფიქრებინებს, რომ ამ შესავალში საგულისხმიერო ცნობები უნდა

1) გარდამოსულთა 2) +ა.. 3) არა თუმცა. 4) რათა იპყრა.

ყოფილიყო. ხანაც მაშინ ისეთი იყო, როცა ქართველ მწერლების და მეცნიერების აზროვნობას საზოგადო საკითხები იზიდავდა და აფიქრებდა. საკმარისია დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ისტორიკოსებისა და ნიკოლოზ კათოლიკოზის თხზულებები გადაიკითხოს ადამიანმა, რომ თითონაც დარწმუნდეს.

ავიღოთ მაგალითად თუნდ კათოლიკოზ ნიკოლოზის საგულისხმიერო მსჯელობა, სადაც იგი სხვა-და-სხვა ერის განსაკუთრებულ ნიჭსა და მიდრეკილებას არკვევს. როგორც ადამიანთა შორის „მრავალნი რაჲ კელოვნებანი იპოვებიან“ და თითოეულს კაცს განსხვავებული ნიჭი და მიდრეკილება აქვს თანდაყოლილი, „ესრე სახედვე უკვე იხილვების ნათესავთაცა შორის, რამეთუ რომელნიმე ნათესავნი ესევითარნი არიან ბუნებათ, ხოლო რომელნიმე ეგევითარნი“-ო (ჰ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა I, გვ. 68). ზოგიერთი ერები „ლბილ და დედალ არიან და ფრიად მოსწრაფე ენამჰევრობისა ფილოსოფოსობისათჳს და საკჳრველი რაჲმე გულსმოდგინებაჲ და ტრფიალებაჲ მოუგიეს გამოძიებათაჲ, რომელთათჳსმე ღვთისათაცა და კაცობრივთა და ყოველთავე დაბადებულთათჳსცა,—და ამით სახითა რეცა მძლეობენ ყოველთა ზედა სილაღითა გონებისაჲთა, ვითარცა ზეშთა-ქმნილნი“-ო (იქვე 68), ზოგი ერები კიდევ „არიან ბუნებით სადაგნი და მარტივნი და წრფელნი, სიმართლესა ცხოვრებისასა და უღელისა უმანკოებისასა მზიდველნი“, და მხოლოდ „ღვთისაჲ ოდენ და მკლავისა თჳსისა მოსავნი, რომლითაცა უკვე გამოისახჳს და საცნაურ იქმნების სიქველე ჭაბუკისა“-ო (იქვე 68). „ხოლო სხვანი უკვე ნათესავნი სხვათა რათამე მიმართ ღონისძიებათა და ხელოვნებათა მინდობილობენ... და ყოველთავე უკვე თჳს-თჳსად შეუცავს საზღუარი ტომობისა თჳსისა“-ო. ამგვარად შეიძლებოდა კიდეც, რომ „თჳთეულადცა უკვე წარმოაჩინე შემსგავსებულებაჲ ნათესავ-ტომობისა თჳთოეულისა“-ო (იქვე 69). თუ საეკლესიო ისტორიკოსი ასეთს რთულ საკითხებს აქცევდა ყურადღებას და აკვირდებოდა, მით უმეტეს ამგვარ საზოგადო საკითხებს დავით აღმაშენებელის ისტორიკოსსავით განათლებული და ჭკვიანი მწერალი შეეხებოდა.

თვით თხზულებაშიაც მოიპოვება ორიოდე ადგილი, რომელიც ჩვენი ავტორის საზოგადო აზროვნებას ახასიათებს. ქვეყნის უბედურება, მტრის შემოსევა, ან სხვა რამ განსაცდელი შეიძლება სხვა-და-სხვა მიზეზებისაგან ყოფილიყო: ზოგჯერ იგი „ზეგარდამონი, ღვთივ მოვლინებულნი“ იყო „ცოდვათა ჩუენთათჳს“, ზოგჯერ კიდევ ბუნებრივ ან შემთხვევით მოვლენისაგან ისე, რომ ადამიანებს შეეძლოთ ეთქვათ: „ესე აღზრვანი წარმართთანი არა ცოდვათა ჩუენთათჳს იქმნეს, არცა ღ͞თისა მიერ, არამედ შეცვალებითა რათამე ჟამთათა და დამთხუევითა აღზრვისა საქმეთათა“-ო (*518, გვ. 286).

ამასთანავე ისტორიკოსის სიტყვებითგან ჩანს, რომ როცა ქვეყანას უბედურება ღვთის რისხვად ეწევა ხოლმე, მაშინ უბედურებას განსაკუთრებუ-

ლი სიმკაცრის ნიშანი ატყვია ხოლმე, რომ ადამიანებს მოვლენილ განსაცდელის მაზეზი მაშინვე შეეტყოთ (იქვე).

თვით თხზულებაში ერთი ადგილი კიდევ მოიპოვება, რომელიც ცოტადაც არის მაინც ცნობებს გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა აზრისა იყო ავტორი ისტორიის სხვა-და-სხვა დარგის მეთოდებზე. „ამად რა თხრობად მოვიწიე", ამბობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და სახელოვანნი მეტყუელნი,—ვიტყჳ უკუე უმიროსსა და არისტოტელსა ელლინთა[1]), ხოლო იოსიპოს ებრაელთა,—რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქილევსელთანი შეამკუნა თხრობანი: თუ ვითარ აღამემნონ[2]) და პ[რი]ამოს[3], ანუ აქილევი და ეკტორ, მერმეცა ოდისეოს და ორესტი ეკუეთნეს და ვინ ვის მძლე ექმნა, და მეორემან ალექსანდრესნი წარმოთქუნა მკნეკაცებანი და ძლევანი. ხოლო მესამემან ტიტოსმიერნი მეტომეთა თჳსთა-ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა. და ვინათგან ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობლად, ამისთჳსცა კელოვნებითა რიტორობისათა განავრცელნეს, ვითარცა იტყჳს თჳთ სადამე ალაქსანდრე «არა დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მემთხვიე[4]) მაქებელსა უმიროსსა». რამეთუ ოცდარვა წელი განგრძობასა ტროადელთა[5]) ბრძოლისასა ვერა[რა] ღირსი ქებისა იქმნა, ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამყა-მ[ადმ]დე იყო და ვერცა პირველსა კეთებასა შეუძლეს წინააღდგომად. ჰქონებოდა[თ]მცა ამათ ბრძენთა ნივთად[6]) თხრობათა საქმენი დავითისნი და მათცა აღეწერნეს ჯეროვნად მ[ა]თისაებრ რიტორობისა, და მაშინღამცა ღირს ქმნილ იყუნეს ჯეროვნად ქებისა"-ო (*540—541, გვ. 307—308).

ზემოდ, როცა ეფრემ მცირეზე გვქონდა ლაპარაკი, ჩვენ ვნახეთ, რომ ამ შესანიშნავ ქართველ მეცნიერის აზრისდა თანახმად „ცხორებაჲ, ანუ წამებაჲ, ანუ რაჲცა რაჲ ჰამბავი, გინა მოთხრობაჲ" შეიძლებოდა ორნაირად ყოფილიყო დაწერილი: ან მარტივად „ლიტონითა სიტყჳთა", ანა არადა ხელოვნურად გამშვენიერებული და გადაკაზმული ყოფილიყო. როგორც გამოვარკვიეთ თვით ეფრემს ხელოვნურად დაწერილი „მოთხრობები" მოსწონდა, მაგრამ სიმართლით-კი უნდა ყოფილიყო აღწერილი (იხ. აქვე გვ. 104—107).

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსიც ეფრემ მცირეს მოძღვრების მიმდევარი ყოფილა: მასაც, როგორც ეტყობა, მოსწონდა, თუ რომ ისტორიკოსი თავის თხზულებას დასწერდა „კელოვნებითა რიტორობისათა", „ჯეროვნად რიტორობისა", მხოლოდ აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა, რომ ისტორიკოსს არ გაეზვიადებინა, მეტის-მეტად არ „განევრცელა", და თვით ამბავი, შემთხვევა სწორედ აეწერა: „ნივთნი საქმეთანი" არ დაემახინჯებინა და სარიტოროდ „ნივთნი საქმეთანი" ჰქონოდა, ცარიელ სიტყვების რახა-რუხი

---

[1]) ელილთა, [2]) აღემნოს, [3]) პუამოს, [4]) მიემთხვიო, [5]) ტროდაელთა, [6]) ნივდად ბრძენთა;

არ აქტეხა. როდესაც ისტორიკოსი ამ მეთოდოლოგიურს მოთხოვნილებას ასრულებდა, მარტო „მაშინღამცა ღირს ქმნილ იყუნეს ჯეროვნად ქებისა“-ო. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს ჰგონია, ვითამც ასეთი „დიდნი იგი სახელოვანნი“ მწერლებიც-კი, როგორც მაგ. ბერძენთა უმიროსი, არისტოტელი და ებრაელთა იოსიპოს, ზოგჯერ, როცა „ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად“, ცდილობდნენ „კელოვნებითა რიტორობისათა“ მოთხრობა „განევრცელათ“. მაშასადამე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი თვითონ მხოლოდ მაშინ მიმართავდა მოთხრობის დროს „რიტორობის კელოვნებას“, როცა „ნივთნი საქმეთანი“ ექმნებოდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გარკვეული გეგმა ჰქონია. მისი თხზულება ორ მთავარ ნაწილისაგან შესდგება.

ერთი, რომელიც ისტორიის თავითგანვე იწყობა და უმეტესი ადგილი, 27 გვერდი (*519—546, გვ. 217—313) უკავია, დიდებულ მეფის სამხედრო მოღვაწეობას ეხება. იქ სადაც ავტორი ამ ნაწილს ათავებს, თვით მასვე აღნიშნული აქვს: „ესევითარნი უკუე არიან მეფობრივთა მიმოსლვათა მისთა, წყობათა და ღვაწლთა და ძლევათა, წარმართებათა, პყრობათა და ახუმათა დიდთა მათ და მრავალთა სამეფოთა და სამთავროთა მოთხრობანი და საქმენი, რომელნი მან ქმნნა და აღასრულნა“-ო (*545—546, გვ. 313).

მეორე, უფრო მომცრო ნაწილი, 20 გვერდი (*546—566, გვ. 314—334), თითქმის ისტორიის დასასრულამდის დავით აღმაშენებლის სამოქალაქო, საეკლესიო და ზნეობრივ მოღვაწეობას, მეფის „საღმრთოთა და სულიერთა სათნოებათა“ (*546, გვ. 313) ეხება: აქ მოთხრობილია, თუ როგორ უყვარდა დავით აღმაშენებელს მწერლობა, წიგნების კითხვა და სხვა-და-სხვა საგნებზე სჯა-ბაასი, რა ნაირად აფართოვებდა და ამტკიცებდა მეფე თავის მოქმედებასა და სახელმწიფო მოღვაწეობას, რაკი საისტორიო თხზულებებს და წარსულის საისტორიო მაგალითებს აკვირდებოდა და კარგად შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდა; აღნიშნულია, როგორ ზრუნავდა ეკლესიისა და ქველმოქმედებისათვის, რა ნაირად გაანთავისუფლა ეკლესია და სამღვდელოებაც სახელმწიფო გარდასახადებისაგან და ქონებრივად უზრუნველ ჰყო, გზები და ხიდები გააკეთა, ახალი უმაღლესი სასამართლოები დააწესა, სამეფო შინაურ მტრებისა და მოღალატეებისაგან გაათავისუფლა და სხვა და სხვა. ერთი სიტყვით, მეორე ნაწილი მეფის სამოქალაქო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას გვიხატავს: „საღმრთოთათა და სულიერთა სათნოებათა“, როგორც თვით ისტორიკოსი ამბობს, და არა სასულიერო—საღვთისმეტყველო, ან საეკლესიოს, როგორც ბ. თ. ჟორდანიას ჰგონია (ქ̃კბი I, გვ. XLV). თვით ისტორიკოსი „სულიერთა“-ს საეკლესიოს-კი არ უძახის, არამედ ყველაფერს რაც ადამიანის სულიერ-ზნეობრივ მოქმედებას, „სათნოებათა“ შეეხება: წიგნების კითხვა და ცოდნის-მოყვარეობა, მეცნიერება, სამართალი, შინაური პოლიტიკა და სამე-

ფის მართვა-გამგეობა. ბ. ჟორდანია სცდება, როცა ამტკიცებს, ვითომც დავით აღმაშენებლის ისტორიის ეს მცირე ნაწილი „გვიხასიათებს მეფის ღვთისნიერებას“ (იქვე, გვ. XLV). პირიქით ისტორიის ამ „სასულიერო“ ნაწილშიაც ღვისნიერ-საეკლესიო ამბებს მცირედი ადგილი უკავია.

თავის თხზულების მეორე ნაწილს ისტორიკოსი ამგვარ შესავლით იწყობს: „ხოლო კორციელთა საქმეთა ესრეთ მომქმედისაგან უკუეთუ ვიეთ[თა]მე ჰგონონ, ვითარმედ რადღამცა მოეცალა საღმრთოთა და სულიერთა სათნოებათა მიმართ მიხედჳადმცა[1]) და მოგონებად, არა თუ ქმნად, ვინათგან ფრიადცა კმა არიან ესენი ერთისა, კორცთა-შინა-მყოფისა კაცისაგან ქმნად და წარმართებად. და თუ სადა პოვა სამეფო თჳსი სიმდაბლ[ესა შინა და სიმაღლ]ედ აღიყუანა და თუ სადა დასხნა საზღუარნი და ძლეულნი ვითარ მძლედ გამოაჩინნა, ამათნი მომგონებელნი[2]) ნუ უკვე არა იბრალნენ? არამედ ეუწყენ მათ, ვითარმედ, უკუეთუ ამათ პირთათჳს ვინმე გამოიძიოს და ზედა-მიწევნითა ვინ ცნობა ინებოს, კნინღა ესე კორციელნი საქმენი წარმოთქმულნი ფრიად უნდოდ და არარად პოვნეს, ვითარცა ნამდვილ[3]) მცირენი და საწუთონი“-ო (*546, გვ. 313—314).

რასაკვირველია ამ ჩვენს ისტორიკოსსაც თავის თხზულების პირველსა და განსაკუთრებით მეორე ნაწილში ყველაფერი მოთხრობილი არა აქვს, რაც-კი დავით აღმაშენებელის შესახებ იცოდა, არამედ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა. პირველს ნაწილში ავტორი ერთს ალაგას თითონვე ამბობს, „განიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი, რომელთა მრავალგზის მცირედი მეგულების თქუმად“-ო (*537, გვ. 303). ისტორიკოსი ამავე აზრს უფრო მკაფიოდ პირველ ნაწილის ბოლოსაც იმეორებს: ყველა ზემოთქმულით ჩვენ „მცირედითა, ყოვლად კნინითა სიტყვთა წარმოგვიჩენია დიდთა მათ და მოსათხრობად შეუძლებელთა საქმეთა მისთაგან“-ო (*546, გვ. 313). დავით აღმაშენებელის „სულიერ“ მოღვაწეობითგანაც „მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა სასუმელი ერთი მტკუარისაგან, ჩუენცა მივსცეთ თხრობასა“-ო (*546—547, გვ. 314), ამბობს ისტორიკოსი. დავით აღმაშენებელის ცოდნისა და წიგნების კითხვის მოყვარეობის დასამტკიცებლადაც ისტორიკოსს მხოლოდ ორიოდე მაგალითი აქვს მოყვანილი: „არიან სხუანი[ცა] მრავალნი საცნაურებანი პირისანი, გარნა მე“-ო, ამბობს ავტორი, „ერთიღა შევსძინო სხუათა ამათ თანა“-ო (*549, გვ. 316).

დავით მეფის აღმაშენებლობითი მოღვაწეობის დასასურათებლადაც ისტორიკოსს მხოლოდ ორი მაგალითი აქვს დასახელებული: „ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა საქმეთა დავითისათა და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა... არცა იგი უდებ[ებ]და განმრავლებად ტალანტთა, არამედ სრულითა გუ-

1) მიხიდვადმცა; 2) მოგონებულნი; 3)+ი.

ლითა ჰმსახურებდა და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღუთისად დაამტკიცნის და სათნო ყოფილად მისდა აღუჩნდის, ვითარცა აწ ითქუას"-ო (*526, გვ. 293). შემდეგ მოთხრობილია, თუ როგორ ააგო დავითმა გელათის მონასტერი, მოაწყო ყოველ მხრივ და ეს ადგილი „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად, სასწაულად ყოვლისა კეთილისა, მოძღურად სწავლულებისად და სხუად ათინად" შეჰქმნა (*526—528, გვ. 293—295). მერე აღწერილია მეფის „კაცთამოყუარეობისა" მიერ აღშენებული „ქსენონი", სადაც სნეულები მოათავსა და ყოვლის ფრით უზრუნველ ჰყო (*528—529, გვ. 295).

დავით აღმაშენებლის სამხედრო ხერხი და მოქმედება ისტორიკოსს ამ ცვარადვე აქვს დასურათებული: თურქთა წინააღმდეგ, „მოიმსახურის მეფემან რომლითა მორევა ეგებოდის, რამეთუ უგრძნეულად დაესხის და მოწყჳდნის და ესე არა ერთ, გინა ორ, ანუ სამ, არამედ მრავალ გზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას"-ო (*531, გვ. 289). მეფის გასაოცარ გულუხვობისა და ქველმოქმედების დასამტკიცებლადაც მას ორიოდე შემთხვევა აქვს აწერილი, ხოლო ბოლოში იგი უმატებს: „ესეცა მცირედი მრავლისაგან გვითქუამს"-ო (*554, გვ. 322).

დიდებული მეფის მემატიანეს დახასიათების იმოდენი უნარი ჰქონდა, რომ ორიოდე სიტყვით არსებითი და დამახასიათებელი თვისებების აღნიშვნა შეეძლო. მაგ. დავით აღმაშენებლისაგან აგებულ გელათის მონასტერის სწორ-უპოვარი თვისებები ისტორიკოსს ასე აქვს აწერილი: „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულობათა...[1]) ზესთა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა სივრცითა და ნივთთა[2]) სიკეთითა და სიმრავლითა და მომქმნულობისა შესწორებულობითა, რომელთა თანა-მოწმედ მქონან[3]) თუალნი მხედველთანი (*527, გვ. 294).

თუმცა ჩვენს ისტორიკოსს საზოგადოდ სიტყვის მოკლედ მოჭრა და მკაფიო დახასიათება ჰყვარებია, მაგრამ ოდნავ რიტორული მჭერმეტყველებაც ემჩნევა, მაგ. ერთგან იგი ამბობს: „ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო თუ ვითარ[4]) აღივსო ოქროთა და ვეცხლითა... რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს, და, რამეთუ გლეხთა, იხილემცა, ოდეს არაბთა მეფენი მოჰყუანდეს ტყუედ, დია, სხუთათჳს სიტყუა [რადაღა სახმარ არს]"-ო (*540, გვ. 307). ან კიდევ, იქ სადაც ისტორიკოსს დავით აღმაშენებლის სამხედრო მოღვაწეობა დახასიათებული აქვს, ნათქვამია: „ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ ვგონებ, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა ბრძენთა და გამომეტყუელთა ენა იმხილოს ჯეროვნად გამოწულილვით[ა] თხ[რ]ბისა [ვერ] მიცემად"-ო (*540, გვ. 306—307).

[1]) ქმნულობისა. [2]) ნივთითა. [3]) ჰქონან. [4]) +ესე.

ამ ჩვენს ისტორიკოსს ისტორიული შედარებითი დახასიათება უყვარს და მოღვაწის დასასურათებლად ხმარობს ხოლმე: „ვინ იხილა ნადირობისა შინა ესეოდენ გამარჯუებული? მოსიმახოს[1]) ვინმე ითქმის ებრაელი მოისრობის[ა] და კეთილ-მ[ი]მართებლობისათჳს, ალექსანდრე სპათა შორის მჴობად და აქილევი კენტავროსისაგან განსწავლულად ელლენთა[2]) შორის, ხოლო ბაჰრ[ა]მ ჯური[3]) სპარსთა შორის მოქმედად უცხოთა და საკრველთა, გარნა ჭეშმარიტად ვერცა [ერთი] ამათგან შეესწ[ო]რებოდა ამას“-ო (*548, გვ. 315—216.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ნიჭით უხვად დაჯილდოვებული მწერალია და მისი ნაწარმოები მეთოდების მხრივაც დიდი ყურადღების ღირსია. მართლაც გიორგი ხუცეს-მონაზონსავით იგი შედარებითი მეთოდით სარგებლობს. ხოლო თუ პირველს ამგვარი მაგალითი ერთი-ორი მოეპოვება, ჩვენი ისტორიკოსი პირიქით ხშირადა მიჰმართავდა ხოლმე. დავით აღმაშენებლის ღვაწლისა და მნიშვნელობის გამოსარკვევად, იგი თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას ასურათებს, ჩამოთვლილი აქვს ხელ-შემშლელ პირობებისდა მიუხედავად რა-და-რა გაუკეთებია მას, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისა და საქართველოს წინანდელ მეფეთა ნამოქმედარს ერთი-ერთმანეთს ადარებს და ამგვარად დავით მეფის უპირატესობას ამტკიცებს: „ვგონებ ვითარმედ მამათა და პაპათაგან წარღებული ქუეყანანი, ტყუენი და სიმდიდრენი მრავალ-წილად უკუმოიზღვნა ამან მგნემან და დაამშჳდნა ქუეყანა, განავსო და აღაშენა ყოველი ოჴერქმნილი და გარდამატა ყოველთა ჟამთა მშჳდობისათა და სიმდიდრითა სამეფო ჩუენი ნაცუალთა გარდასრულთა ოჴრებათასა“-ო (*545, გვ. 312—313).

ზემოთ, როცა გიორგი ხუცეს-მონაზონზე გვქონდა ლაპარაკი, გამოვარკვიეთ რომ მას, შედარების დროს მარტო წარსულითგან-კი არ მოჰყავდა მაგალითები, არამედ უცხო ხალხთა ცხოვრებითგანაც, მაგრამ ყველა მაგალითები ან ებრაელებისა, ან არა და წ~ა მამათა ცხოვრებათაგან იყო ამოღებული (იხ. აქვე 88—89). ერთი სიტყვით, მის ერთად-ერთ წყაროდ ძველი და ახალი აღთქმა და საქრისტიანო საეკლესიო მწერლობა იყო: ამის გარეშე მას შედარება არ უცდია, იქნებ იმიტომ რომ წმიდანის ცხორებაში ამ გვარი მაგალითების მოყვანა უხერხულად მიაჩნდა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს შედარებითი მეთოდი სულ სხვა ნიადაგზე აქვს დამყარებული: იგი ამ სამოთხროზო მეთოდს წამდაუწუმ ხმარობდა ხოლმე. ებრაელების ისტორია იქნება თუ ქრისტიანობის, ძველი წარმართ ბერძნებისა თუ სპარსელების ისტორია იქნებოდა, ჩვენ ავტორისათვის სულ ერთია,—მას სრულებით თავისუფლად მოჰყავს ყველა ხალხების

[1]) მოსომახოსო. [2]) ელელნთა. [3]) ბაჰრამჯორი.

და მეფეების ცხოვრების მაგალითები და საქართველოს მდგომარეობასა და საქართველოს მეფის მოღვაწეობას იმ მაგალითებს ადარებს. მისი მხედველობისა და შედარების ასპარეზი ფართო და თითქმის განუსაზღვრელია, მისი აზროვნობა მსოფლიო-ისტორიულ სფეროში დანავარდობს. აბა სად აქილევი და სად დავით აღმაშენებელიო, ამბობს დავით აღმაშენებელის ისტორიკოსი, „რამეთუ ოცდა რვა წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა რა ღირსი ქებისა იქმნა, ხოლო მეფისა დავითისი ესეოდენთა მიმართ წინაგანწყობა სამ ჟამადმდე იყო და ვერცა პირველსა კუეთებასა შეუძლეს წინააღდგომად“-ო (*541, გვ. 308). არც ალექსანდრე მაკედონელს ჩამოუვარდება დავით აღმაშენებელიო, „რამეთუ დადა[ცაოუ] წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა მაკედონელი იგი სიფიცხითა მიმართებლობისა[თა] და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა შინა და ჭრელად მრავალ ფერობისათჳს ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ ჩუენი ესე გჳრგვნოსანი და ახალი ალექსანდრე დალა[ცა]თუ ჟამითა შემდგომად, არამედ არცა საქმითა, არცა განზრახვითა, არცა სიმკნითა უმცირე და თჳთ საქმეთა შინა, რომელთა მძლედ ითქუმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავალთა უმაღლეს მგონიეს“-ო, ამბობს ისტორიკოსი (*536, გვ. 302—303).

მაშასადამე სახელმწიფო მოღვაწეთა ღვაწლი განიზომებოდა ან „განზრახვითა“, ე. ი. იმ სამოქმედო გეგმით, რომელსაც ისინი განსახორციელებლად დაისახავდნენ, ან „საქმითა“, პრაქტიკული მოქმედებით, განზრახულ გეგმის განხორციელებით, ან კიდევ მხოლოდ სამხედრო გულადობითა და სიმტკიცით, „სიმკნითა“. მოღვაწენი „მის-ჟამისანი“, თანამედროვენი, ან „ჟამითა შემდგომად“ მყოფნი წინადროინდელთან შედარებით ღირსების მიხედვით შეიძლებოდა ერთი ერთმანერთზე ან „უმცირეს“ და „უმდაბლეს“, ან თანასწორნი და „არა-უმდაბლეს“, ან კიდევ „უმაღლესი“ ყოფილიყო.

ზემოთ ვთქვით, რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის აზროვნობა ფართო და მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზს აღწევს, მაგრამ ამასთანავე მისი აზროვნობა ღრმა და ბრძნულია, მისი მსჯელობა თავის ზედმიწევნითი თვისებით განმაცვიფრებელია. მან კარგად იცის, რაოდენი ძალა და გავლენა აქვს მოღვაწის პირად ნიჭს და დაუღალავ მოქმედებას, მას ჩინებულად ესმის, რომ უმაღლეს ნიჭიერებითა და თავგამოდებითაც-კი აღჭურვილი მოღვაწე, თვით უძლიერესი გვირგვინოსანი მეფეც-კი ყოვლად შემძლები არ არის და მისი მოქმედება ქვეყნისა და ხალხის თანამედროვე მდგომარეობითა და საზოგადოებრივ პირობებით არის შეზღუდული. მას შეუგნია, რომ მოღვაწე შეიძლება უმწვერვალეს ნიჭითა და ძალით იყოს აღჭურვილი, გენიოსი იყოს, მაგრამ თუ-კი ერი და სახელმწიფოც იმისდა შესაფერისად მომზადებული და დაწინაურებული არ არის, მაშინ

მისი მოღვაწეობა სასურველ ნაყოფს ვერ მოიტანს. თვით ალექსანდრე მაკედონელი ნიჭით სრულებით არა სჯობნიდა დავით აღმაშენებელს, მაგრამ თუ საქართველოს მეფის მოღვაწეობა იმნაირადვე ბრწყინვალე არა ყოფილა, როგორც ალექსანდრესი, მხოლოდ იმიტომო, ამბობს ისტორიკოსი, რომ იმის მოქმედებას ჩვენი სამშობლოჲს იმდროინდელი მდგომარეობა ხელს ისე არ უწყობდა, როგორც ალექსანდრე მაკედონელსაო: „თუ არა ქართველთა ოდენ სპითა ვერცა რასა ალექსანდრე იქმოდა კარგსა და თუმცა დავითს სპარსთამცა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი“-ო. (*561, გვ. 329).

დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულება დაწერილია მშვენიერი მხატვრული, კეთილშობილური ენით და ისეთის გულმწრფელობით და იმდენად საგულისხმიეროდ, რომ მკითხველი უნებლეედ მისდევს მის მსჯელობას და იხიბლება მის მაღალ-ხარისხოვან მოთხრობით.

ამასთანავე იგი მრავალ ქრონოლოგიურ ცნობებს შეიცავს და უაღრეს ნდობის ღირსია. თვითოეული მის ცნობის სიმართლის დამტკიცება შეიძლება უცხო-ქვეყნელ და მეზობელთა ისტორიკოსებთან შედარებით (ამის დამამტკიცებელი მრავალი საბუთები იხ. ქ̃ლ ერის ისტორიაში, წ. II, გვ. 506—542) თავისდა თავად ცხადია, რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულების აღდგენილ დედნის გამოცემა აუცილებლად საჭიროა და ამ სტრიქონების ავტორს ამგვარი შრომა განზრახული აქვს.

თამარ მეფის ისტორიკოსი.

თამარ მეფეს ხანას უეჭველია საქართველოში ბევრი აღმწერელი და ისტორიკოსი ეყოლებოდა, მაგრამ ერთის გარდა სხვების ნაშრომი ჯერ-ჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. ამ ერთის თხზულებაც შენახულია „მ̃მ დ̃ფლს ქ̃ცა“-ში, მაგრამ მეტის-მეტად დამახინჯებულია მერმინდელ გადამწერთაგან. ისტორიკოსის ვინაობა, სახელი და გვარი „მ̃მ დ̃ფლს ქცა“-ში აღნიშნული არ არის, არც სხვაგან სადმე მოიპოვება ამის შესახებ რაიმე ცნობა. საბედნიეროდ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების დასაწყისია შენახული. ამ მხრივ იგი მეტად საყურადღებოა იმიტომ, რომ „მ̃ტნე ქ̃ჲ“-ს და დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ნაწარმოების სწორედ დასაწყისი აკლია და მხოლოდ თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღმწერელის თხზულების შესავალისდა მიხედვით ოდნავ მაინც შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, თუ როგორ

იწყობდნენ ხოლმე ძველი ქართველი ისტორიკოსები თავიანთ საშოქალაქო საისტორიო თხზულებებს. თამარ მეფის ისტორიას წითურად წინ უძღვის სათაურის სახით შემდეგი ცოტა არ იყოს ბუნდოვანი რიტორული წინადადება:

„რომელმან წყლისა-მოაბადნი რიტორთა მძლე[1]) [ჰყავ]2) ყოველთა, ენა უტყუ[ი] მეტყუელ ჰყავ ანგელოზთა მთავრისა, აწ-ცა გან[მი]მარტე ენა ბრგუნილი ისტორიათა[3]) და აზმა[ნ]თა მეტყუელებასა შინა შარავანდედთასა“ო (*593, გვ. 362).

ზემომოყვანილ წინადადებაში ავტორი სთხოვს ღმერთს, რომელმაც უბრალო მეთევზენი (წყლისა მოაბადნი), მოციქულები, ყველა რიტორთა უმჯობესად გამოაჩინა, ხოლო ანგელოზთა მთავარს მეტყველების ნიჭი უწყალობა, მასაც საისტორიო თხზულების წერის დროს ენა განუმარტოს და ენა-წყლიანობა მიანიჭოს. მაშასადამე თვით ავტორი თავის ნაწარმოებს შარავანდედთა, ანუ მეფეთა ისტორიათა და აზმა[ნ]თა მეტყუელებად სთვლის. შესაძლებელია თვით თხზულებასაც რქმეოდა, ან რაკი ამ თხზულების სათაური დაკარგულა, მხოლოდ ამიტომ ჯერ-ჯერობით ვუწოდოთ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ან არადა „ისტორიათა და აზმანთა მეტყუელებაჲ შარავანდედთაჲ“.

„ისტორია“ ბერძნული სიტყვაა და ჰნიშნავს შეკრებილს ცნობას, ამბავს, ისტორიას. საყურადღებოა, რომ ქართულს საისტორიო მწერლობაში ეს ტერმინი, როგორც ეტყობა, პირველად თამარ მეფის ცხოვრების აღმწერელმა შემოიღო.

„აზმანი“ არაბული სიტყვაა. „ისტორია“-სავით იგიც მრავლობითი რიცხვად არის ნახმარი და უდრის არაბულს „აზმანუნ“-ს, რომლის მხოლობითი რიცხვი ითქმის „ზემანუნ“-ად და ჰნიშნავს „დროს“, „ხანას“. ეს ორი ბერძნულ-არაბული ტერმინი საუცხოვოდ გვისურათებს ჩვენი ისტორიკოსის აზროვნობისა და განათლების ორგვარს ხასიათს. მას შეთვისებული ჰქონდა ორი კულტურა: ბერძნული, ბიზანტიურ-ელლინური, ქრისტიანული და არაბულ-სპარსული, მაჰმადიანური. ამ ორ სულიერ სამფლობელოის მაღალხარისხოვანი განძი მას, ქართველს განათლებულს მწერალს, იმდროინდელ მოწინავე თანამემამულეებსავით შესისხლხორცებული და თავისებურად გარდაქმნილი ჰქონდა.

თამარ მეფის ისტორიკოსის სახელი, როგორც აღნიშნული იყო, შენახული არ არის, მაგრამ ავტორის პიროვნებისა და აზროვნობის გათვალისწინებისა და წარმოდგენისათვის თვით თხზულების გულდასმითი შესწავლა საკმაო მასალებს მოგვცემს.

---

1) მ˜მ დ˜ფს ქ˜ცა“-ში „სძლიე“. 2) დამატებულია ამ წინადადების მეორე ნაწილისდა მიხედვით. 3) მ˜მ დ˜ფსი ქცა-ში აქ (გვ. 362) დამახინჯებულია და სწერია „ეს-ტორთა“, შეად. გვ. 363 „ისტორიოთა“.

ამგვარი შესწავლა სრულს უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი, რომელსაც გიორგი III მეფობაც აქვს მოთხრობილი, თამარის თანამედროვე ყოფილა. მაგალითად ერთგან, სადაც ისტორიკოსი თამარის მამის მიერ სამეფო ტახტზე აყვანასა და დალოცვის აღწერას ათავებს, დასძენს: „ჩანს ვითარ მზე უღრუბლო ჰაერსა[1]) მოდღევანდლად დღედმდე კურთხევა მამისა შვილსა.. ზედა“-ო (*617, გვ. 391). მართლაც თვით ავტორი თავის თხზულებაში თამარ მეფის დროინდელ საზოგადოებას ასე ეუბნება: „ესეცა უწყით თქუენ მსმენელთა: [დ]ალაცათუ სამისოდ გაჭრი[ლთა], მკეც-ქმნილთა, აჩუენის ულმობელობითა უწყალო ქმნა, გარნა იხილეთ, თუ ვითარ სატურფო და ანდამატებრივი მომზიდველობა აქუს მკეცთა გულებისა“-ო (*664, გვ. 453). იგივე ავტორი ამტკიცებს: დადიანი ვარდან, გუზან, ბოცოს ძე ბოცო და „მათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაური“ „ჩანან შეწყალებულნი“-ო (*686, გვ. 480—418). ხოლო სელჩუკიან სულტანის რუკნადდინზე ნათქვამი აქვს: „რომელი მთავრობს დიდსა საბერძნეთსა, ასიასა და კაპადუკიას ვიდრე პონტოდ ზღუადმდე“-ო (*699, გვ. 497).

ორგან თამარ მეფის ისტორიკოსს თარიღიც-კი აქვს მოყვანილი, და გარკვევით არის აღნიშნული, თუ როდის და რომელს წელს დაუწერია მას თავისი თხზულება. ერთ ალაგას სახელდობრ იგი ამბობს: „გა[ა]ზნაურდეს ქუეყნისა-მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გაკელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა მისსა, რომელი აწ [ჩანს] ჩუენსა დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტთა მოქცევათა ჟამთა თამარ სამგზის-სანატრელისათა [2])“-ო (*632—633, გვ. 411).

მაშასადამე თამარ მეფის ისტორიის პირველი ნაწილი (ანუ ხელთნაწერით 593—638 გვ.; ხოლო ექ. თაყაიშვილის გამოცემით 363—411 გვ.), ესე იგი 40 გვერდი ხელთნაწერით (49 გვ. ნაბეჭდი), რაც გიორგი III-ის მეფობის მთელს აღწერილობასა და თამარის ტახტზე ასვლისა და პოლიტიკურ მოძრაობის ამბავს შეიცავს, ისტორიკოსს თამარის მეფობის მეთერთმეტე ინდიკტიონის დასასრულს დაუწერია. შემდეგი განუგრძია თამარის მეფობის მე-12-ე წლის განმავლობაში. ეს ცხადადა სჩანს შემდეგ წინადადებითგან: „ამის გონებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა“ არავის დამასახიჩრებელი და სიცოცხლის მომსპობელი სასჯელი არ მიუსჯათ (*633, გვ. 412).

როგორც სჩანს თამარის გამეფების მეთორმეტე ინდიკტიონს საქართველოს უკვე ბევრი დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება და სახელგანთქმული ძლევამოსილება ჰქონდა მოხვეჭილი. თვით ისტორიკოსს აღნიშნული აქვს კიდეც,

[1]) ჰაერსა. [2]) სანატრელო.

რომ „თამარ..., რომელმან სიმშჳდითა და[ვი]თიანითა[1]), სიბრძნითა სოლომონიანითა[2]), სიმჴნეთა და საურავთა[3]) დღესის და ხვალეს არ მიგდებითა ალექსანდრიანითა, იპყრნა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისა და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკჳთამდი[ს] მომხმელ იქმნა ცხორებით[ა] და ნეტარებითა“-ო (*633, გვ. 412). ავტორს იქვე ნათქვამი აქვს, თამარ მეფის ეს ძლევამოსილობა ქვემოთ იქნება აღწერილიო. „სხუანი ზნენი: გამარჯუებულობანი... მკჳრცხლ-მოქმედობანი და მხედველობანი მკედ[არ]თანი თუ რანი და რაოდენ იქმნეს, წინამდებარისაგან ეუწყენ მსმენელთა“-ო (*634, გვ. 413), ამბობს იგი. ამას გარდა, როცა ჩვენი ისტორიკოსი თამარის მეორედ დაქორწინების ამბავს მოგვითხრობს, იგი ამასთანავე მკითხველს ჰპირდება „წალმართ-წალმართითა მითხრობად წინამდებარეთა“ (*648, გვ. 433) დაუსურათოს ახალ მეფის დავით სოსლანის „გამარჯუებულობანი.“ მართლაც, თამარი 1184 წ. გამეფდა (ქ˝ლ ერის ისტორია II, 573), მაშასადამე თამარის მეთორმეტე ინდიკტიონი 1196 წ. იქნებოდა. და ისტორიკოსს მაშინ, არამც თუ თამარის მეორე ქმრის შერთვა, არამედ შანქორის ომის (იქვე, II, 608—607) აღწერაც შეეძლო. ამ გვარად 1196 წ. ისტორიკოსს თხზულების სწორედ ორი მესამედი ანუ 86 გვერდი (ხელნაწერით 593 - 679 გვ., ხოლო ე. თაყაიშვილის გამოცემა 362 — 474 გვ.) უკვე დამთავრებული ექმნებოდა.

თავის დაპირებას, რომ ისტორიის „მსმენელს“ შემდეგში თამარის „გამარჯუებულებანი“ ეუწყება, ავტორი მართლაც ასრულებს: პირველი და მეორე ქმრის შერთვის ამბავს (გვ. 415—448) მოსდევს ვრცელი მოთხრობა, რომელშიაც დასურათებულია „ღვაწლი ომთა და მარჯვებულ[ება]თა“ და აწერილია ომი განძის კარს (*662—664, გვ. 450—452), რუსის მეორე შემოსევის უკუქცევა (*664, გვ. 452—453), შანქორის ომი (*665—479, გვ. 454—474), შირვანში გალაშქრება (*679—682, გვ. 474—476) და ომი არტანისა, ძალინის კევისა და პალაკაციოს დასაბრუნებლად (*682, გვ. 476).

პირველს ნაწილს, რომელიც ავტორს თამარის მეფობის მეთერთმეტე და მეთორმეტე ინდიკტიონს დაუწერია, იქნებ თამარ მეფის მაღალ-ზნეობრივ თვისებათა, სათნოებისა და ღვთისნიერების დამსურათებელი 15 გვერდიც ეკუთვნოდეს, ანუ ის, რაც მოთავსებულია ხელთნაწერში 683—698, ხოლო, ე. თაყაიშვილის გამოცემაში გვ. 476—495. ეს თხუთმეტი გვერდი თითქოს პირველი ნაწილის დასასრულია, იგი აბოლოვებს ამ ნაწილს. ისტორიკოსი ამბობს: თამარ მეფე ძლევა-მოსილი იყო, საქართველოს მხედრობამ

---

[1]) მ˝მ დ˝ფს ქ˝ცა-ში დათმენითა, ქ˝ცა—დავითიანითა. [2]) გასწორებულია „ალექსანდრეანითა“-ს მიხედვით, მ˝მ დ˝ფსი ქ˝ცა—სოლომონიანთა. [3]) მ˝მ „ქ˝ცა და ქ˝ცა—სიმხნითა და სურვითა.

ესა-და-ეს გამარჯვება მოიხვეჭა, მაგრამ სახელოვანი დედოფალი იმდენად თავდაბალი და სათნო იყო, რომ ამგვარმა დიდებამაც ვერ გამოუცვალა მას ხასიათი, „ვერ შეიტყუა საშუებელმან ამის საწუთროსანმან, არცა მეფობამან გვრგვნისამან და სკიპტრ[ის]ამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესეოდენ[მან] სიმკნემან, რომელ სიტყუამან ცხად ყოს, არა მიდრ[ი]კა: ვერცა წარიპარა სიმდიდრემან, ვითარ ძუელ ოდესმე მეფენი მრავალნი“-ო (*683, გვ. 477—478). შემდეგ მოთხრობილია ეკლესიებისათვის ხელსაქმის შეწირულება (*684—685, გვ. 470—480), გულმოდგინე ლოცვა (*685—686, გვ. 480), მისი მართლმსაჯულება და მოწყალეობა (*686, გვ. 480—481), ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი პაექრობა და ცილობა (*687—697, გვ. 481—494), რომელიც ქართველების გამარჯვებით დამთავრდა. ისტორიკოსს ქართველთა ძლევამოსილება ღვთის წყალობად მიაჩნდა: „ესევითარი ნიჭი და პატივი მიმადლა მის მიერ შეყვარებულმან ღმერთმან თამარსა“-ო (*697, გვ. 494). შემდეგ აღწერილია ვარძიის მონასტრის აგება და უცხოეთშიაც მრავალი ახალ მონასტრების შემკობა და აშენება თამარის მიერ (*697—694, გვ. 498—495). ერთი სიტყვით, ამ თხუთმეტი გვერდით ავტორს ჰსურდა დაემტკიცებინა, რომ თამარ მეფე მარტო სამხედრო საქმეებით და ძლიერებით-კი არ იყო გატაცებული, არამედ სულიერს, სამართლისა და ზნეობრივსა და სარწმუნოებრივს საქმეებზედაც ზრუნავდა. ისტორიკოსს უნდოდა ამ მხრივაც დაეხასიათებინა უკვდავ დედოფლის დიდბუნებოვანი თვისებები.

მაინც-და-მაინც საფიქრებელია, რომ როცა ჩვენი ისტორიკოსი ამ 15 გვერდსა სწერდა, მაშინ ის ძლევა-მოსილი ლაშქრობა, რომელიც კარისა და მის გარეშე ქვეყნების დაპყრობითა და რუკნადდინის საშინელის დამარცხებით დამთავრდა, ქართველებს ჯერ გამოვლილი არა ჰქონიათ, თორემ წინაღმდეგ შემთხვევაში ავტორი ამ ამბებს იქვე მოგვითხრობდა, სადაც მას სხვა სამხედრო საქმეებზე აქვს ლაპარაკი. ხოლო ამის შემდეგ მოაქცევდა იმას, რაც ზემოაღნიშნულს 15 გვერდზე არის მოთავსებული. ამასთანავე მაშინ ისტორიკოსი იმ პატარა ცნობასაც, რომელიც მას რუკნადდინის დამარცხების ამბავის შემდგომ აქვს მოყვანილი,—„თამარ უმეტეს შეუმატებდა ღ̃თის მსახურებასა, ეკლესიათა და მონასტერთა კაზმასა და შენებასა, ობოლთა და ქურივთა შეწყალებასა და სამართლისა მოფენასა“-ო (*706, გვ. 508—509),—იმავ 15 გვერდს მიაყოლებდა. ეხლა-კი ეს ორიოდე სტრიქონი გამეორებას უფრო მიაგავს და მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ისტორიკოსს თხრობის წესად ჰქონდა მიღებული, სამხედრო ქველობის შემდგომ აღწერილი ყოფილიყო გვირგვინოსანის სულიერი და ზნეობრივი მაღალ-ხარისხოვანი თვისებანი. მაშასადამე თამარ მეფის ისტორიკოსის ნაწარმოების პირველი ნაწილი უნდა ხელნაწერში 698 გვერდზე თავდებოდეს, ხო-

ლო ე. თაყაიშვილის გამოცემაში 495 გვერდზე. ამ გვარად ზემო მოყვანილითგანა სჩანს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი“ ქრონოლოგიურად, ანუ დაწერის თარიღისდა გვარად შეიძლება ორ უმთავრეს ნაწილად დაიყოს: პირველი ავტორს დაუმთავრებია თამარის მეფის მე-11—12-ე ინდიკტიონს, მეორე ამის კარგა ხნის შემდგომ არის დაწერილი.

თხრობის წესის იგივეობა ისტორიის ორსავე ნაწილში ამტკიცებს, რომ ამ თხზულების მეორე ნაწილიც იმავე ავტორს ეკუთვნის, რომელმაც პირველი დასწერა. ამ აზრს თვით წერისა და ენის შემდეგი ერთგვარობაც ადასტურებს: თამარის ისტორიკოსს ჩვეულებადა აქვს, რომ როდესაც სამეფო და სამხედრო დღესასწაულობის დასურათების შემდგომ იგი იძულებული იყო რაიმე სამწუხარო შემთხვევა აეწერა, ამნაირს ამბავს ყოველთვის პატარა წინადადებას წინ წაუძღვანებდა ხოლმე, რომელშიაც ავტორი ამბობდა, რომ ქვეყნიერ ბედნიერებას მუდამ მწუხარებაც თან ახლავს. მაგალითად, თამარის დედის გარდაცვალების აღწერას ამგვარი სიტყვები წინ უძღვის. „შემდგომად ამისა დღესასწაულობასა და სუესრულობასა შინა მოიწია თანანადები სოფელსა ამას შინა (*617, გვ. 392). გიორგი მეფის გარდაცვალების ამბავსაც ავტორი შემდეგ წინადადებით იწყობს:„ამას ესევითარს სისრულესა სოფლისა მონაგებთა და დიდებათასა აჰა მოიწია ჟამი ევას წყევისა და ადამის ცოომათაგან დანასაჯი“-ო (*619, გვ. 394).გაძევებულ გიორგი რუსის შემოსევას იგი ასე მოგვითხრობს: „ამას ესევიითარსა მშვიდობასა, მარჯუებასა და ზეობასა შემოვიდა უცხო რამე უმსგავსი საქმე“-ო (*640, გვ. 422). დავით სოსლანის სიკვდილის ამბავს წინ უძღვის სიტყვები: „ესრეთ სიხარულსა შეუდგს მწუხარეობა“-ო (*706, გვ. 509).

ორისავე ნაწილის აღმწერელი რომ ერთი და იგივე ავტორი უნდა იყოს ეს იმითაც მტკიცდება, რომ პირველსაში და მეორესაში როდესაც თხრობა დიდ-მნიშვნელოვან საგანს უნდა შეჰხებოდა, ნათქვამია ხოლმე: ან „უდიდეს[თა] კელ-ყო საქმეთა, რომელთა საქმისა მომთხრობელად მოწევნული მყის [1]) თავსა შორის ჩემსა უკმოსა და უგონოსა [2]) [მსგავსად ვ]იპოები [3]). . და კუალად [დუმილი] საქმეთა დიდთა [4]), კეთილთა დავიწყ[ე]ბ[ა]დ [5]) შეიქმს [6]) [და] არა ჯერვიჩინე დადუმებად რომელნი ზესთა ძალისა არიან არა ჩემთჳს ოდენ, არამედ ვჰგონებ პირველ[თ]ა [7]) სიტყჳსა-მოქმედ[თ]ა“-ო [8]) (*682—683, გვ. 476—477). ან კიდევ — „ვინათგან უდიდესნი საქმენი წინა [9]) მდებობენ, ვითა თქმულ არს, ვინცა მცნა მე ფრთები ტრედისანი“-ო (*686, გვ. 481). ან არა და—„უდიდეს[ნ]ი საქმენი აღმომიჩნდეს და... არა შესტყვსი არს ჩემდა ამათ

---

[1]) მაყის; [2]) უგუნებოსა; [3]) იპოებოდი, [4]) საქმითა დიდითა; [5]) დავიწყებით [6]) შეიქმნა, [7]) პირველად [8]) მოქმედად, [9]) წმიდასა.

მოთხრობა, არამედ დიდთა სიტყუისა მოქმედთა[1]) პირველთა"-ო (*669, გვ. 496), ან და—„არამედ სხუა[ნი] უდიდეს[ნი] საქმენი აღმოუჩნდეს"-ო (*710, გვ. 515). ყველა ჩემომოყვანილი მაგალითები უფლებას გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ორივე ნაწილი ერთს ავტორს ეკუთვნის.

ისტორიის მეორე ნაწილი „ჟამითი-ჟამად" უნდა იყოს დაწერილი: პირველად, როგორც სჩანს, რუკნადდინის დამარცხების შემდგომ. ამ დროს უნდა დაეწერა მას კარის და გარემო ქვეყნის ალება და რუკნადდინის საწინააღმდეგო ძლევამოსილი ლაშქრობა. ამ სამხედრო გამარჯვებათა აღწერილობას ზედ მისდევს მოთხრობა თამარის ზნეობასა, სარწმუნოებასა და, სამართლიანობაზე მზრუნველობის შესახებ (ესე იგი, ხელთნაწერით 699—706 გვ., ხოლო ე. თაყაიშვილის გამოცემით 495—509 გვ.).

ამ თხზულებას ბოლო რასაკვირველია უნდა შეცვლილი ჰქონდეს და აკლდეს. გასაოცარია სწორედ, რომ თამარ მეფის სიკვდილის აღწერა მეტად მკრთალია და მოკლე: „მიიცვალა მეფე თამარ კმელსა დგომასა შინა, მოიწია მწუხარება მიუთხრობელი (*721, გვ. 530). თვით გარდაცვალების თარიღიც აღნიშნული არ არის. დასაფლავების შესახებ ნათქვამია მხოლოდ: „წარიყვანეს სამკჳდრებელსა მათსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა და დაუტევა სამეფო ძესა თვისსა ლაშას"-ო (*722, გვ. 533) და ამ წინადადებას მოულოდნელად ზედ მისდევს: „არსენი იტყვის: «იყავ ნელი (?) მეფე, მთავარი, სიონი და.... იოვანე იტყუის ჭირჭიმელი... დავით თქვა ზესთა განდიდეს" (*722, გვ. 533—535). ეს ალბად თამარ მეფის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვების პატარ-პატარა ნაწყვეტები უნდა იყოს, ხოლო ვიდაც დავითის ნათქვამს შემდგომ მოთხრობა ერთბაშად სწყდება შემდეგის სიტყვებით, „და აქ[ი]ლევისებრ[2]) ძალით მპყრობელად გე[ლა]თსა (?) კამს ის (?) დიდება ღ̃თისა" (*722, გვ. 535). ცხადია, რომ ავტორს ასე უცნაურად არ შეეძლო დაებოლოვებინა თავის თხზულება ამიტომ საფიქრებელია, რომ ისტორიის ბოლო შეცვლილი და შემოკლებული იყო მაშინ, როდესაც იგი ქ̃ცის კრებულში შეუტანიათ და ზედ საქართველოს შემდეგ-დროინდელი ისტორია მიუდევნებიათ.

ყურადღების ღირსია, რომ როგორც ფ. გორგიჯანიძეს თხზულებითგანა სჩანს (პეტერ. საჯარო მუზეუმის Mscr. Georg. № 6, გვ. 91—92), იმის დროინდელ ხელთნაწერებშიაც თამარ მეფის ისტორია თურმე ამნაირად თავდებოდა. მაგრამ შევსებული ქ̃ცაში თამრის მეფობის ბოლო იმდენად თვალსაჩინოდ განირჩევა „მ̃მ დ̃ფლ ქ̃ცა"-საგან და ამასთანავე იმდენად შინაარსიანია, რომ უეჭველად ორგვარი აზრი იბადება: ან „ქცის"-ს შემავსებელს შეიძლება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"-ს სრული ხელთნაწერი ჰქონოდა და იქითგან შეევსო მ̃მ დ̃ფსი ქ̃ცის ტექსტი, ან არა

[1]) დიდისა სიტყუის ამოქმედი. [2]) აქლემისებრ.

-და სხვა რაიმე ჩვენთვის უცნობ ძველი წყაროებით უსარგებლნია. რასაკვირველია შემავსებელს ორსავე შემთხვევაში თამარის ისტორიის დასასრულის ენა პოეტურად შეუფერადებია.

თამარის ისტორიკოსი, როგორც ეტყობა, წარჩინებული კაცი ყოფილა. მას მიუღია მონაწილეობა დიდებულთა იმ ბჭობაში, რომელიც ირჩევდა თამარისათვის საქმროს. აი რას ამბობს იგი პირველ ქმრის არჩევაზე: „გამოვი[და ვი]ნმე ჩუენდა მეტყუელი[1]) მკვიდრთა ტფილისისათ[ა]განი[2]) თავადი და მეფეთა-მეფისაგან წყალობა-კელდასხმული[3]) ამირა[დ] ქართლისა და ტფილისის[ა] სახელით აბულასან[4]) (*635, გვ. 415) და საქმროდ ანდრია დიდის რუსთა მთავრის შვილი გვირჩია-ო. მას მარტო ამ რჩევაში-კი არ მიუღია მონაწილეობა, არამედ როგორც სჩანს იგი ეკუთვნოდა იმ ჯგუფს, რომელსაც ამგვარ საკითხის გადაწყვეტის უფლება ჰქონდა. იგი მაკალითად ამბობს: „მოსრულ იყუნეს ორთა მეფეთა შვილნი... მოჰკაჯენი და მთხოველნი... ვითარ ღირს რა[თა]მცა ვყავით მოწონებად და მიხდომად ბედსა ამას საზესთაოსა და... უქმ იქმნა განზრახვა მათი“-ო (*636, გვ. 417).

მაგრამ ამასთანავე უეჭველია, რომ თამარის ისტორიკოსი სამეფო კარის კაცი, ხელმწიფის სასახლეში მყოფი ხელისუფალი არა ყოფილა. ეს იმითა მტკიცდება, რომ ავტორს თამარის შინაური ცხოვრების გარემოება და ამბავი პირადად-კი არა სცოდნია, არამედ კარისკაცთაგან ჰქონია გაგონილი. თამარ მეფის გულმოდგინე მორწმუნოებაზე იგი მაგალითად ამბობს: „საეკლესიო ლოცვა და წესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდის [ვითარ] ტიბიკონი მოასწავებდა განწესებასა პალესტინისა[4]) მონასტრისა[სა]. მოგვითხრობს ყოველი სრულიად დარბაზის კარს მყოფი: «წირვად ვერვინ დააკლდებოდა»-ო (*685, გვ. 480).

ისტორიკოსს დიდებული გვირგვინოსნის მაღალ-ზნეობრივი ქველმოქმედებაც მხოლოდ ამბავად გაგონილი ჰქონია, თითონ-კი, როგორც სჩანს, იმდენად დაახლოვებული არა ყოფილა, რომ დედოფალის შინაური ცხოვრება თავის თვალით ნანახი ჰქონდეს. ჩვენს ავტორს გადმოცემული აქვს, დიდებული თამარი ცდილობდა ქველმოქმედებისათვის თავის შრომით შეძენილი ქონება მოეხმარებინა. „თქმულ[5]) არს ესეცა, დალა[ცა]თუ მოუწყობელ არს სიტყუა [ესე]“, ამბობს იგი, „ვითარმედ «თჳსითა კელითა ამასცა შურებოდა, რომელ მის დღისა საჭამადი მისი და[ა]ფასს[ის] [და] რაოდენ დღივ შეჭამის, კელით საქმარი მისი განუიდა და ეგოდენ[ი] ფასი გლახაკთა აკელსაქმრა [და] მისცნა არა სამეფოთა შემოსავალთაგან“-ო (*685, გვ. 480).

რომ თამარის ისტორიკოსს მეფის კერძო ცხოვრების ამბები გაგონებით სცოდნია, ამას შემდეგი წინადადებაც ამტკიცებს: „ხოლო ესე თქმულ (გვ.

[1]) მეტყუელნი; [2]) შინა; [3])+და. [4]) აბულასან. [5]) პალესტინისასა.

506) არს, რომელ მეფისა თამარისა ოძრკეს ყოფასა შინა ეახლნეს[1]) შავთელი ივანე ევლოგი და [იყო] ვედრება დღისა[2]) და ღამეთა-გათევა ღამ-ქართა გამარჯვებისათვის... ანასდა[დ] კმა ყო, ევლოგი დაეცა ჭმუნვის სახედ და ვითარ აჯა ესერა სამგზის მეუფსეულად (გვ. 507) ახლტა, კმა ყო: «აჯა წყალობა ღუთისა სახლსა ზედა თამარისა მოიწია»... ამისათვის დაწერეს დღე და ღამე და ჟამი იგი"-ო (*705, გვ. 568).

თამარ მეფის ისტორიკოსი დარწმუნებული იყო, რომ ადამიანთა და სამეფოთა ცხოვრებაში ყველაფერი ღვთის წინასწარ განკარგულებაზეა დამოკიდებული. აი მაგალითად რას ამბობს იგი როცა ამთავრებს მოთხრობას იმის შესახებ, თუ როგორ გადურჩა გიორგი III და ქართველობა მტრების უეცარ დაცემასა: „ყოველმან მცნობელმან და წარმკითხველმან ამისმან საზღვარი დასდევ"... დიდი ბასილი მნათ[ობ]ი კესარი[ი]სა «ბუნებით-მეტყუელებასა შინა არსთა[3]) ქმნილებისასა ექუსთა დღეთასა» [იტყჳს] ვითარ[ცა] «ჩიტი ალკჳნი ბაგესა ზედა ზღვისასა დამსხმელ იქმნების კუერცხთა. ოხრანი და ღელვა-ტეხილებანი ზღვისანი ვითა არს[4]) გარდაჰკდებიან ბრძანებასა ღუთისასა და მცველ ექმნებიან[5]) თესლოვნებისაცა ალკჳნისასა[6])»—აწ[ცა] უკუეთუმცა მიეშვა ზენასა განგებასა[7]) და არა წინააღმდგომ ექმნეს[8]) გაქცევასა სულტნისასა, დამცაქცეულ იყუნეს ყოველნი მაღნარნი სარკინოზობისანი, და ეგრეთვე არა თუმცა უკუნ ექცივნეს შიშსა და სიმკნესა მეფოსასა და სხვათა მისთასა, წარტყუენილ იყუნესმცა უმანკონი არენი და ადგილნი [სამეფოსა ამისანი]"-ო (*609, გვ. 381).

ამასთანავე ისტორიკოსის შეხედულებით ღვთის განგების „მიშვება"-სა და „წინააღდგომას"-ს თავისი მიზანი ჰქონდა: სწორედ ამ საშუალებით „სწურპილი" განგება ადამიანთა ნათესავს, ბოროტებასა და გარყვნილებაში ჩაფლულს ერს გონს მოიყვანდა და გამოაფხიზლებდა, წრფელს ცხოვრებას მოაძებნინებდა. ამიტომ ღვთაება მრავალფერს საშუალებასა ხმარობს კაცთა მოსარჯულებლადო: „უწყოდით, რომელ წურთვათა[9]) სივრცე დიდფრიად არს, რამეთუ კეთილთა და კეთილ-გამგონეთა ნიჭთა აღჩენითა[10]) სწურთის, კეთილად დართვითა, ძლევ[ის]ა მინიჭებითა: რამეთუ კეთილსა სულსა [ჰხედავს] ვითარ იტყჳსცა დღე (?) ბრძენთა[11]) პლატონ: «კეთილი კეთილთა[თჳს] არს კეთილ[12]), ვინა იგივე კეთილი ბოროტთათჳს ბოროტ» (*654—655, გვ. 441).

მაშასადამე, როდესაც უზენაესი განგება ჰხედავდა, რომ ერი კეთილი იყო და მხოლოდ დროებით გადუხვია სიმართლის გზას, მაშინ მცირედ „მიუშვებდა" და დასჯიდა ისე-კი, რომ ეს სასჯელი კეთილად დაბოლოვებულიყო და მაინც გამარჯვება მიჰნიჭებოდა. უარს ერს სასჯელიც შესაფერისი ექნებოდა.

---

1) ეხილნეს. 2) დ˜თისა. 3) არსთა არს. 4) ვითარ. 5) ექმნების. 6) ალკოვნისათა. 7) განგებისასა. 8) ჰქონდეს. 9) წურთითა. 10) აღჭენითა. 11) +ხე დ˜ეს. 12) კეთილი.

თამარ მეფის ისტორიკოსმა მარტო ის-კი არ იცის, რომ შვილებმა შეიძლება მშობელთა ხორციელი თვისებები დაიმკვიდრონ, როგორც მაგ. ლაშა გიორგის შესახებ ნათქვამი აქვს: „ოდეს დახატული ბუნებისაგან იშვა და წარმოიჩინა[1]), მოაქუნდეს თჳს[2]) შორის ხატნი და სახენი თჳსთა დამს[ა]ხთა მშობელთა“-ო (*660, გვ. 447 – 448). ეს არც გასაკვირველია,—არამედ მას სცოდნია, რომ ადამიანს შეუძლიან თავის წინაპართაგან სულიერი თვისებები დაიმკვიდროს. დაკვირვებით მას შეუგნია, რომ კაცს შეიძლება დაბადებითგანვე თანდაყოლილი, მემკვიდრეობითი ხასიათის მიდრეკილება ჰქონდეს. ამგვარ თანდაყოლილს სულიერსა და ზნეობრივს თვისებას იგი „თანაშთამომავლობა“-ს უწოდებდა, „გუარისაგან მოაქენდა“-ო ამბობდა ხოლმე ისტორიკოსი. ხოლო როდესაც მემკვიდროებითი ხასიათი ბოროტის თვისებისა იყო, ამას „გუართა-უბედურობა“ ერქვა.

აი მაგალითად რას ამბობს ისტორიკოსი გიორგი III-ის ძმისწულის დემეტრეს განდგომილების შესახებ: „უშიშობა ღმრთისა და გარდამავლობითა მოქმედება სჯულისა ქრისტეს მცნებათასა, ვითარ [არს] თანაშთამომავლობა და გუართა-უბედურობა ამის სამეფოსა [მ]კვდრთასა[3]), ვინათგან დავითცა მამამან მისმან ღალატსა და განდგომილებასა შინა მამისა მის[ისასა] დემეტრესსა ამოსწყჳდ[ნ]ა ამის სამეფოსა დიდებულნი“-ო (*613, გვ 386). შემდეგ იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ ამირსპასალარი ზაქარია მჴარძელი იყო „მჴნედ გამოჩენილი მთავარი ჟ[ა]მთა ამათ, რამეთუ გვარისაგანც[ა] მოვეაქენდა, რამეთუ[4]) იყო ნათესავი არტაქსერქსი მჴარგრძელისა“-ო (*718, გვ. 525—526).

პოლიტიკურსა და სახელმწიფო ცხოვრებაში თამარ მეფის ისტორიკოსი ერთ-მთავრობის მოტრფიალე ყოფილა, მრავალმთავრობას თანა სდევს უწესოება და შუღლიო: „ვითარ არს[5]) წესი მრავალ-მთავრობისა, შეიქ[მ]ნა შური და კდომა“-ო (*668, გვ. 455), ამბობს ერთგან ჩვენი ავტორი.

სხვა ქართველ ისტორიკოსებსავით იგიც მეფის პოლიტიკის მომხრე არის. მას არც დიდ-გვარიან კელისუფალთა გაფიცვა მოსწონს და უკმაყოფილებით ამბობს: „იწყეს რომელთამე ძუელებრი კაცთა-დაუდგომლობისა საქმე“-ო (*628, გვ. 404—405). მაგრამ არც ყუთლუარსლანის თანამოაზრეთა და თანაშეფიცულთა განზრახვა მოსწონს, რომ ისანში კარავი დადგმულიყო და შიგ განსაკუთრებული დაწესებულება მოთავსებულიყო, რომელსაც მეფის უფლება უნდა შეეზღუდა (იხ. ქ̃ლ ერის ისტორია II, გვ. 577—582). იგი პირდაპირ ამბობს: „ესე ვითა საწყინელი იყო დასასრული[სა] კელმწიფობისა პატრონისა[სა] მიმცემელი, ესრეთ იწყინა“-ო (იქვე).

1) წარმოაჩინა. 2) თჳსი. 3) კეთჳსა. 4) რომელ. 5) ვითარი.

საზოგადოდ ისტორიკოსი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ მეფეთა წინააღმდეგ განდგომა და მოქმედება ყოველი ძველთა და ახალთა „უბოროტესი“ საქმე იყო და არას დროს კეთილი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომ იგი ამტკიცებდა კიდეც, რომ „უკუეთუ ამის სამეფოსა განდგომა პატრონთა უნებელ.. ქ[მ]ნილა,—რომელი დაწყებითგან სოფლისათა არავის ოდეს სადა უნახავს წარმართებული და გამარჯუებული,—გარნა ეგრეცა თჳსთა და ნატამალთა, შვილთა და ძმათა ამის სახლისათა მიზეზითა ქ[მ]ნილა“-ო (*649, გვ. 434).

თამარ მეფის ისტორიკოსი ღრმად განათლებული და დაწინაურებული ადამიანი ყოფილა, სახელმწიფოს „შიშითა და ზარითა“ და ყოველგვარ „მესისხლეობისა“ და „მიმძლავრების“ საშუალებით მართვა-გამგეობის წინააღმდეგი და მგმობი და „მშვიდობის მყოფლობის“ მოტრფიალე. თამარის ისტორიკოსი მაგალითად აღტაცებული მოგვითხრობს, რომ დიდებულმა მეფემ სიკვდილად დასჯა და ყოველგვარი დამასახიჩრებელი სასჯელი მოსპო საქართველოში: „ამას გონებასა ათორმეტსა წელიწადსა შინა არცა თუ ტაჯგანაგი უბრძანა ვის სადმე კვრად, კიდე-მქონებელი ყოვლისა მესისხლეობისა და ბნელობლობისა და ასოთა-მიღებისა, ნება-აღსრულებული, შიშისა და ზარის დამ[გ]დებელი, მშვიდი და მშვიდობის მყოფელი იშვებს და სუფევს [მშვიდობა] სამეუფოთა სამფლობელოთა შინა მისთა, რომელ არა-სადა ვის უხილავს თუინიერ ამისსა ესევითარსა კაცისა უნებლობასა შინა უნებლად და მშვიდობით დაჭირვა [და] მოწყუერთა კაცთა ქედფიცხელობისა და გონება-ურჩებისა“-ო (*633, გვ. 412), ამბობს იგი.

ამასთანავე ჩვენი ავტორი აღფრთოვანებულია თამარ მეფის ზნეობრივ სიფაქიზით. მის დაუშრეტელ გულკეთილობით, მის მშვიდ და ნაზ ხასიათის მიმზიდველობით, მის წრფელ გულშემატკივრობით დავრდომილთა და გლახაკთადმი. მან კარგად იცის, რომ მთავრობა და ბრძანებლობა, სიმდიდრე და პატივი ადამიანის ბუნებას ხშირად ამახინჯებს ხოლმე და რყვნის. თამარის სულიერი სიმშვიდე და თავდაბლობა ვერც მეფობრივს ცხოვრებასა და დაუშრეტელს სიმდიდრეს შეუცვლია. ამიტომაც არის რომ მისი ისტორიკოსი ამ გარემოებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ამბობს: დიდებული გვირგვინოსანი „ვერ შეიტუა საშუებელმან ამის საწუთროსამან, არც მეფობამან გვრგვნისამან და სკიპტრ[ის]ამან, ამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხუად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან და ესოდენ[მან] სიმკნემან... არა მო[ჴ]დრიკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან, ვითარ ძუელ ოდესმე მეფენი მრავალნი და უმეტეს ამის სანატრელისა მამა, ყოველთა ბრძენთა უპირატესი და უამეს[ი] სოლომონ. ესე უბრძნე[ს] იქმნა ბრძენისა მისა... რამეთუ ღამე-ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუკლთ-დრეკა და ცრემლითა ვედრება[ჲ] ღამესა ზე-მდგომ-

რობითა საკჳრვებელ აქუნდა და ღამე-ყოველდღე კელსაქმარი, რომელი გლახაკთა მიეცემოდა"-ო (*683, გვ. 477—478).

თამარ მეფის ისტორიკოსის მჯელობა, მისი განათლება, ნაკითხობა და აზრთა მიდრეკილება მეტად ძნელი შესასწავლია, მეტად რთული პიროვნების პატრონი უნდა ყოფილიყო იგი: ერთსა და იმავე დროს მას შეთვისებული აქვს საწარმართოცა და საქრისტიანო მწერლობა და აზროვნობაც ისე, რომ მკლევარი ვერ გაიგებს რა ხელობისა, ან რა საქმის კაცი იყო იგი?

ბევრჯერ იგი ისე ლაპარაკობს, რომ ადამიანს ეჭვი ებადება სასულიერო კაცი ხომ არ იყოო. მას მაგალითად მოთხრობილი აქვს, რომ თამარ დედოფალს სიზმარში უნახავს, ვითომც იგი ბრწყინვალე სასახლეში იყო, რომელშიაც ძვირფასი ტახტები და საჯდომები იდგა. თამარმა იფიქრა, საუკეთესო საჯდომი ალბად ჩემთვის იქნება, მივიდა და ის-ის იყო უნდა დამჯდარიყო, რომ უცებ ნათლით მოსილმა კაცმა შეაყენა და უთხრა: ეს საჯდომი შენთვის დამზადებული არ არისო. „მეფე იტყოდა: «ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი»? მან თქუა: «საყდარი ისი შენისა დიასახლისისა არს ამისთჳს, რომელ ათორმეტთა მღუდელთა მისთა კელთა შესთული ჰმოსიეს [შესამოსელი]... ამისთვის იგი უზეშთაეს შენსა არს"-ო (*684—685, გვ. 479). ამ მაგალითში ნათლად გამოსჭვივის გარეგნული და ფორმალური შეხედულება ადამიანის უპირატესობაზე. ამ შეხედულობას ცხადი ეკლესიური და მღვდლური ელფერი ადევს, თითქოს მთელი ქრისტეს მოძღვრების შინაარსი მღვდელთათვის შესამოსელის შეკერვა და შეწირვა ყოფილიყოს?

მეტის-მეტი ვიწრო სარწმუნოებრივი ხასიათი აქვს აგრეთვე მთელს მოთხრობას ქართველ-სომეხთა პაექრობისა და შეცილების შესახებ, რომლის დროსაც იოანე კათოლიკოზმა მართლმადიდებლობის გამოსარკვევად და გადასაწყვეტად იმაზე უკეთესი ვერა მოიგონა რა, რომ სეფისკვერი მშიერ ძაღლისათვის გადაეგდოთ და რომელ სარწმუნოების სეფისკვერსაც ძაღლი არ შესჭამდა, ის სარწმუნოება აღიარებულიყო ცთომილად. ასეთ უგუნურ სამსჯავროს მომგონს მღვდელთმთავარს თამარის ისტორიკოსი შეჰხარის და ამბობს: „კათოლიკოზი იოანე ღუთის-მეტყუელ[ებ]ისა, ანუ მართლისა სარწმუნოებისა მინდობილმან,—არა [ვ]უწყი,—ალალო პირი ბრძნად მეტყუელი შეუვალთა სიტყუათა. ოდესმე დიდი ელია მსხვერპლსა ზედა მოხედვიდა ცეცხლითა ღუთისა მიმართ[1]) მლოცველი. იხილეთ [რაოდენ] უადრეს და აღსაკდელ არს უსისხლო მსხუერპლი, კორცი და სისხლი ღუთისა, კაც-ქმნულისა, მსხუერპლსა ზროხისასა, ეგოდენ უბრწყინვალეს და უზენაეს არს, რომელი აწ

[1]) მიერ.

იქმნა და ითქუა, ვჰგონებ სულისა მიერ წმიდისა პირითა მსახურისა მისისა კათოლიკოზისათა“-ო. (*688—689, გვ. 484).

ამგვარ სამარცხვინო და შემაძრწუნებელ შეცილების მომგონს, რომლის გაგონებამაც-კი მეფენი და მთელი ერი გააკვირვა „და ულონოებამან, მოიცუნეს“ და უთხრეს „სასმენელადაც ზარიზ“, „ხოლო მეფე ძლიერად მბრძოლი ეტყოდა კათოლიკოზსა: «რა სთქჳ, ვინ შემძლებელ[არს] ამისად ქმნად. მოგონებად და სმენად[ცა] განსაკვირვებელ არს“-ო (*691, გვ. 484),—ასეთს მამათმთავარს ჩვენი ავტორი შეჰნატრის და ასეთს ამბავს აღტაცებული დაწვრილებით მოგვითხრობს თავითგან ბოლომდე. „კათოლიკოზი დგა ვითარცა გოდოლი შეურყეველი, ტურფად აღშენებული, ესრე მტკიცე[დ] დგა განშუენებულითა პირითა“-ო (*694, გვ. 490). ამგვარად ზემომოყვანილი მაგალითები თითქმის უფრო მებრძოლ სასულიერო კაცს შეჰშვენის, ვიდრე საეროს.

მაგრამ იგივე ისტორიკოსი უფრო ხშირად ისე სწერს და მსჯელობს, რომ არამც თუ სამღვდელო პირს, არამედ გასაოცარი არის სწორედ; თუ რომ იმის თქმას ერის-კაციც გაბედავდა, იმდენად კადნიერი აზრები აქვს ავტორს. გიორგი III სიკვდილი ჩვენს ისტორიკოსს მაგალითად ასე აქვს აწერილი: განსვენებული „ვალს იგი მზე-მზეთა და შარავანდი კელმწიფობისა ქვეყანით ცად მიმართ და ამანცა მასვე მსგეფსსა მის (ე. ი. იესოს) ვნებისასა ივნო ესრეთ, ვითარცა იგი ცათა შინა ეგრეთვე ქუეყანასა ზედა, ვინათგან მან კორცითა სიგლახაკითა და სიმდაბლითა წარავლინა ჟამნი ოცდა ათსამეტისა მოქცევისანი, ხოლო მან არა ესრეთ, გარნა ვითარცა სახედ ჩენილმან ღუთისამან“-ო (*602, გვ. 395).

გიორგი მეფემ „ივნო ესრეთ, ვითარცა იგი“ იესო ქრისტე, „ვითარცა სახედ ჩენილმან ღუთისამან“-ო, განა ამის თქმა სასულიერო პირს შეჰშვენოდა? ან კიდევ იგივე ავტორი თამარ მეფის დედის ბურდუხან დედოფლის შესახებ ამბობს: იგი „თჳთ მარიამს, განმანათლებელსა ცისა და ქუეყანისა[ს] ესახებოის (ე. ი. ჰგავს), თჳნიერ ქმრისა მეოფლობისა, მადლითა, სიბრძნითა,’ შეწევნითა და მეოხებითა“-ო (*596, გვ. 365).

მაგრამ თამარ მეფის ისტორიკოსს ამაზე უფრო კადნიერადაც შესძლებია წერა. ლაშა გიორგის დაბადებაზე ისე ლაპარაკობს, მკითხველს ეგონება ქრისტეს შობის აწერას აპირებსო: „ვინათგან [ღმერთი] ჰყოფს წყალობათა დამრეკელთა განღებისათა და მთხოველთა ნიჭებისათა და მეძიებელთა პოვნისათა, ვითარ იქმნა სარას ძე, გინა თუ რჩეულისასა, ანუ თუ ელისაბედისასა და უფროს-ღა ანანიასასა და ვიკადრო მარიამისასა,—მიუდგა[1]) თამარი განწმედილითა გონებითა და ტაძარსა ღუთისა[სა] აღმსჭვალულისა სანთლითა სხეულისათა მკურვალითა[2]) გულითა და განათლებულითა სულითა, ტაბაკმე-

[1]) მიუიდა. [2]) მკურვალებითა.

ლისა ბეთლემ მყოფელმან, მუნ შვა ძე სწორი ძისა ღუთისა“-ო (*659, გვ. 446). ამისთანა თავისუფლება და კადნიერება არა მგონია რომელსამე სასულიერო პირს გაებედნა.

თამარ მეფის ისტორიკოსი რომ სასულიერო მწერლობის მცოდნე იყო, ეს იმდროინდელ ქართველ მემატიანესთვის არც გასაკვირველია. მაგრამ უურადღების ღირსი ის არის, რომ მას ელლინური წარმართობის-დროინდელი მწერლობაცა ჰქონია გადაკითხული. თამარ მეფის ისტორია აჭრელებულია ბერძნულ და სპარსულ მწერლობისა და ისტორიითგან ამოკრებილ სახელებითა და ცნობებით. მაგ. სახელები „მნათობთა სფეროსთა“-ნი ავტორს ბერძნულად აქვს ჩამოთვლილი: „კრონოს, ზევსი და აფროდიტე, ერმი, აპოლონ და არესი“ (*626, გვ. 402). შედარებაც ხშირად ელლინურისა, ან სპარსულის სიტყვიერების განძითგანა აქვს ხოლმე ამოღებული: „ვალს იგი მზე მზეთა და შარავანდი კელმწიფობისა, ახალი ნებროთ, ალექსანდრე და აქილევ (*620, გვ. 395); „ვითარ პითოდორა[1]) და კრიტია შენებულითა... და კელუო ქეიხოსროს მსგავსმან კელმწიფემან“-ო (*627, გვ. 403). ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ ამირმირმანის სიკვდილის გამო თამარ მეფე „მსგავსად ალექსანდრესა, ვით[არ] დასდვა პატივი დიდი არეს ლუკუმსა[2]) შინა ჯდომითა, ეგრეთვე შეიმოსა ნათელი იგი პირველი, ნათლისაცა უბრწყინვალესი და დიდითა ცრემლითა მოიტირნა“-ო. (*680, გვ. 475).

ჩვენი ისტორიკოსი ელლინურ მწერლობის ისეთი მოტრფიალე ყოფილა, რომ გიორგი მეფეს იმნაირადალაპარაკებს თითქოს მეფე ბერძენთა მბრძანებელი იყოს: ომის წინ ქართველთა მხედრობას მეფე ასე ამხნევებდა: „რაოდენ უფრო სასახელო არს მკნეობრივ სიკუდილი, ვიდრეღა სენთაგან დნობითა განლეულებასა შინა, რამეთუ სახე და სახელი კეთილი საუკუნოდ გზად გყუების, რამეთუ გვასმიეს ძუელთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კუეთებანი თავს ისხნეს საღმრთოთა სჯულთათვის ტომმან ებრაელთამან არტაქსერქსის ზე, ელენთა[3])—ოდეს იგი იძლუნებოდის თ[ემისტო]კლეოს მიერ, უცთომელისა სპარსპეტისაგან, სოფლისა-მქონებელ[ი]სა მძლესა[4]) არტაქსერქსის [ზე], რომელმა ზღუაცა მტკიცე [ჰყო] უომრად სპათათჳს[5]), ხოლო ათინელთა[6]) ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღუეულ იქმნა“-ო (*601, გვ. 371). რასაკვირველია მთელი ეს გასამხნევებელი სიტყვა ელლინურ მწერლობით გატაცებულ თამარ მეფის ისტორიკოსის ოცნებაა:—სად ქართველი მდაბიო ხალხი და სად ათინელთა სპასპეტი თემისტოკლესი?..

ან კიდევ ისტორიკოსი ამბობს: ხორასნის და ერაყის სულტანმა, ხალიფამ და სპარსეთის ათაბაგმა „მწუგვართა და შემკრებელთა ისლემობისათა მოასხნეს და ძებნეს ცეცხლითა განლეულნი ძალნი ზორო[ა]სტროსისნი, რო-

---

1) პითოდროა. 2) ლუსკემისსა. 3) ელენეთა. 4) მაძლეს. 5) სპაებთათჳს. 6) ათაელთა.

მეჯუი იყო პირველ მეფე და ვარსკლავთა-მრიცხველი სპარსთა შორის“ (გვ. 375).

ყველა ზემომოყვანილი გარემოებანი: ჯერ ერთი ის, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი ელლინურისა და სპარსეთის საწარმართო და „გარეშე“ მწერლობის მოტრფიალეა და იქითგან ამოღებულ „სახეებითა“ და სურათებით ამკობს თავის მოთხრობას,—მეორე ისა, რომ ასეთი კადნიერებით ეპყრობა ღვთისმშობელსა და თვით იესოსაც, მათ ბურდუხან დედოფალს და თამარს ადარებს, ხოლო ლაშა გიორგის იესო ქრისტეს სწორად აცხადებდა,—უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ავტორი საერო, უფრო-კი სამხედრო კაცი უნდა ყოფილიყო. იქნებ სწორედ ამით აიხსნება, რომ სხვაზე უკეთესად და ვრცლად მას ლაშქრობა და ომები და სამეფო დარბაზობა აქვს აწერილი. ეტყობა სწორედ იმდროინდელი საქართველოს ცხოვრების ეს მხარე უნდა სცოდნოდა უკეთესად და მის მოღვაწეობის ასპარეზი ყოფილიყო.

თამარ მეფის ისტორიკოსი იმ აზრს ემხრობა, რომელიც მისი სიტყვით პლუტარხოსს ეკუთვნის, რომ „ჟამთა და ჟამთა ზეგარდმო ჩინებითა[1]) აღმონათდებიან ქუეყანის მფლობელნი და მიიღებს თ[ვ]ითეული საქმისა შესატყჳსსა[2]) აღმკულობასა სიტყჳთა და საქმითა და ვინმე საგმობნი აღძგელნა ბოროტთა საქმეთა შინა“-ო (*594, გვ. 363). მაშასადამე დრო-გამოშვებით, „ჟამთა და ჟამთა“ ნებითა ღვთისათა, „ზეგარდმო ჩინებითა“ იბადებიან ხოლმე „ქუეყანის მფლობელნი“, რომელთაგანნი ზოგნი სიკეთით და ბრძნულ მართვა-გამგეობით ისახელებენ ხოლმე თავს, ზოგი-ერთნი ბოროტ საქმეებით მოიხვეჭენ საუგო სახელს. თვითოეულს „ქუეყანის მფლობელთაგან“-ს მის საქმეთაებრ შეამკობენ ხოლმე სიტყვითა და საქმით მათ ცხოვრებათა აღმწერელნი. ეს შეხედულება გიორგი მთაწმიდელის აზრს გვაგონებს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ღვთაება არც ერთს ხანას წყალობას არ აკლებდა (იხ. აქვე 75—76).

„ისტორიანი და აზმანი“-ს ავტორიც უეჭველია „საქმისა შესატყჳსსა აღმკულობასა“ სწერდა. „აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან, გარდავცე ისტორიაოს“-ო, ამბობს იგი (*594, გვ. 363). ისტორიკოსი მაშასადამე „თჳთმხილველი“ ყოფილა, ბევრი რამ თავის თვალით უნახავს. ზემოთ მის თხზულებითგან მაგალითები იყო მოყვანილი, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ავტორი მართლაც თანამედროვე იყო და „თჳთმხილველი“.

თუ მკითხველი გულდასმით გადიკითხავს მის ნაწარმოებს, უეჭველია შეამჩნევს, რომ განსაკუთრებით ვრცლად და დაწვრილებით მას სამხედრო საქმეები და ომები აქვს აწერილი, მაგალითად შანქორის ომისათვის

---

[1]) გარდმოჩენებითა. [2]) შესატყჳსებსა.

სამზადისი და თვით ბრძოლაც გასაოცარი სიცხოველით არის მოთხრობილი (*665—679, გვ. 454—474). თარიღიც-კი იშვიათის ნიშანდობლივობით არის განსაზღვრული: „მოვიდეს ს[ი]ახლო[ე]სა შანქორისასა [თ]თუესა ივნისსა, დღესა ხუთშაბათსა, რომელი განთენდებოდა პარასკევად“-ო (*671, გვ. 463). ვრცლად არის მოთხრობილი რუკნადდინის წინამდეგ გალაშქრება და ძლევამოსილი ბრძოლა (*699—706, გვ. 496—508). დაწვრილებით არის აღწერილი აგრეთვე საქართველოს მხედრობის სახელოვანი ლაშქრობა სპარსეთში (*711—718, გვ. 515—525).

მაგრამ თავისდათავად ცხადია, რომ ისეთ ხანგრძლივ და ვრცელ ისტორიის აღმწერელს, როგორიც არის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, არ შეეძლო ყოველ მოთხრობილის თვითმხილველი და თანადამხდური ყოფილიყო. ამიტომ ცხადია იგი იძულებული იქმნებოდა თავის თხზულებაში სხვათა ნაამბობიც შეეტანა. აგი თამარ მეფის ისტორიკოსი ასე მოქცეულა კიდეც: იგი თითონ აცხადებს, იმას გარდა რაც ჩემის თვალით „მიხილავს“, ჩემს შრომაში ისიც შემომაქვს, „რომელი... ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან“-ო (*594, გვ. 363). ჩვენ უკვე ვიცით და თავთავის ადგილას აღნიშნულიც არის, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში უკვე X—XI ს.ს. ავტორები თავიანთ წყაროებს, მათ შორის ზეპირსაც, ასახელებდენ ხოლმე (იხ. აქვე გვ. 53—54, 64—67, 75—77). მაშასადამე ამ მხრივ თამარ მეფის ისტორიკოსი წინამორბედთა გზა-კვალს მისდევს და არაფრით არის შესანიშნავი. პირიქით, მეთოდების სიფაქიზით იგი ვერც ბასილ ზარზმელს (იხ. აქვე 64—67), განსაკუთრებით-კი ვერც გიორგი მთაწმიდელს (იხ. აქვე 76—79 და ეფრემ მცირეს (იხ. აქვე) ვერ შეედრება: თამარ მეფის ისტორიკოსს აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ მისი მომთხრობელნი „ბრძენნი და გონიერნი კაცნი“ ყოფილან, მაგრამ მას დაჰვიწყებია ამასთანავე ერთი დიდმნიშვნელოვანი გარემოება აღენიშნა, ურომლოდაც მოსმენილს ამბავს ისტორიისათვის ფასი ეკარგება და საეჭვო მასალად რჩებოდა. მას სახელდობრ დაჰვიწყებია აღენიშნა, მისი მომთხრობელიც „თანადამხდური“ და „თვითმხილველი“ იყო, თუ არა. ბასილ ზარზმელს, გიორგი მთაწმიდელს და ეფრემ მცირეს კარგად ესმოდათ, რომ მხოლოდ ამნაირი მომთხრობელი იყო სანდო და მარტო ამგზით შეკრებილი ცნობები გამოადგებოდა ისტორიკოსს უეჭველ საბუთად. თამარ მეფის ისტორიკოსს-კი ამისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. იქნებ მას თავის თხზულებაში ყველა „ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან“ განაგონი-კი არ შეუტანია, არამედ მხოლოდ ისეთ კაცთა ზეპირი ცნობები აღუნუსხავს, რომელნიც თანადამხურნი და თვითმხილველნი იყვნენ, მაგრამ რაკი ეს გარემოება მას საგანგებოდ აღნიშნული არა აქვს, მაინც მეთოდოლოგიურ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

თამარის ისტორიკოსის ზემოაღნიშნული სიტყვები, რომ იგი თავის თხზულებაში თანამედროვეთა ზეპირ ცნობებითაც სარგებლობდა, მართლდება და ორგან მას აღნიშნული აქვს კიდეც: „მოგვითხრობს ყოველი სრულიად დარბაზის კარს მყოფი“-ო (*685, გვ. 480), „თქმულ არს ესეცა“-ო (იქვე *685, გვ. 480). მაგრამ ბევრს სხვა შემთხვევებშიც თამარის ისტორიკოსს უეჭველია თავისი მოთხრობა თანამედროვეთა ზეპირ ცნობებზე უნდა ჰქონდეს დამყარებული, მხოლოდ მას ეს გარემოება თავ-თავის ადგილას ნიშანდობლივ აღნიშნული არა აქვს და ესეც რასაკვირველია თამარ მეფის ისტორიკოსს ნაკლად უნდა ჩაეთვალოს.

ზეპირ წყაროების გარდა „ისტორიანი და აზმანი“-ს ავტორს ხელთა ჰქონია „იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“, რომელიც როგორც სჩანს დიმიტრი I ცხოვრების აღწერილობას შეიცავდა (*595. გვ. 364). ამ თხზულებითგან უნდა ჰქონდეს ავტორს ამოკრეფილი ცნობები გიორგი III ჭაბუკობის შესახებ და მის ძმა დავითზე (იქვე). ჩვენს ისტორიკოსს აგრეთვე ჩახრუხაძისა და სხვა მეხოტბეთა „შესხმა“-ებით უსარგებლია და თავის მოთხრობაში აქა-იქ შეუქსოვია. ამასთანავე მელექსეთა, ანუ როგორც თვით ისტორიკოსი ამბობს „მლექსავთა“ თხზულებებიც ჰქონია ხელთა: ერთგან მას ვიღაცის ლექსის ნიმუშიც აქვს მოყვანილი—„ესევითარად დალექსავს მლექსავი ვინმე და იტყჳს“-ო (*596, გვ. 365—366), მეორეგან მთლად „იამბიკო ხუთეული, ოცდახუთ ლექსად აღწერილი“ ისტორიაშია შეუტანია (*678—679, გვ. 472—473). „ისტორიანი და აზმანი“-ს პოლოში-კი არსენისა, იოანე ჭირჭიმელისა (sic) და დავითის მიერ თამარ მეფის დასაფლავების დროს წარმოთქმულ სიტყვების ნიმუშებია ჩართული (*722, გვ. 533—535).

საეკლესიო მწერალთაგან თამარ მეფის ისტორიკოსს მოხსენებული ჰყავს: ესაია (*626, გვ. 401), დავით (*626, გვ. 401), სოლომონი (*593, 626, გვ. 362, 402) და ბასილი კესარიელი (*609, გვ. 381).

ბერძენ მწერალთაგან, ანუ, როგორც ჩვენი ისტორიკოსი ამბობდა ხოლმე, „ძუელთა მომთხრობელთა გან“ (*601, გვ. 371) „ისტორიანი და აზმან“-ში ცნობები და აზრები ამოღებულია იოსეფოს ფლავიოსისაგან (*601, გვ. 371), პლუტარხოსისაგან (*594 და 601, გვ. 363 და 371), ვიდაც „ლაკუა“-საგან (*594, გვ. 363), პლატონისაგან (*655, გვ. 441) და ალექსანდრე მაკედონელის ისტორიითგან, „ვითარ იტყჳს ისტორია ალექსანდრე*) მაკედონელისა“-ო (*600, გვ. 369).

---

*) პ˝მ დ˝ფს ქც˝ა-ში სწერია „სქანდერ“, რაც შეიძლება=„[ი]სქანდერ“-ს. თუ ეს სიტყვა გადამწერისაგან დამახინჯებული არ არის და თვით ისტორიკოსსაც სწორედ ასე დაუწერია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ მას ეს თხზულება ან არაბულად, ან სპარსულად ჰქონია წაკითხული. თუმცა უეჭველია მაშინ ამ თხზულების ქართული თარგმანიც იქმნებოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსს თავისებური და ცოტა არ იყოს უცნაური შეხედულება ჰქონია თავის მოვალეობაზე: მას თავისთვის მისაბაძავ მაგალითად „შემასხმელნი“ ჰყავს მიჩნეულნი. იგი რამდენჯერმე აცხადებს, რომ მეფე გიორგისა და თამარის ისტორიის დასაწერად, ანუ როგორც იგი ამბობს „შემ[ა]სხმელად კ[ა]მს უმიროს“-ით (*594, გვ. 363), თვით სიბრძნით განთქმული სოლომონიც-კი „ვერა[რა]ს კმა არს შემასხმელად“-ო (*593, გვ. 362). პლუტარხოსსაც-კი ჩვენი ავტორი შემასხმელად სთვლიდა და ამტკიცებდა, ვითომც იგი ყოფილიყოს „ზემო-[მ]მაღლ[ვ]ელი ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა-შემასხმელობასა“ (*594, გვ. 363).

როგორც ამ წინადადებითგან სჩანს, გიორგისა და თამარის მეფობათა აღმწერელი „ისტორიათა მწერლობა“-ს მარტო „კელმწიფეთა შემასხმელობად“-კი არა სთვლიდა, არამედ „ისტორიათა მწერლობის“ ალბად ერთ-ერთ დარგად მიაჩნდა.

თამარის ისტორიკოსი, როგორც ეტყობა, ამ მაგალითს ჰბაძავდა და იგიც „ისტორიათა მწერლობასა შინა კელმწიფეთა შემასხმელობასა“ ცდილობდა. ამიტომ მის საისტორიო თხზულებას რასაკვირველია „შესხმის“ ელფერი უნდა სდებოდა და ადევს კიდეც. თუმცა მართალია თამარ მეფის ხანა საქართველოს უაღრესი აყვავებისა და დიდების ხანა იყო და თამარს ჩვენი ერის წინაშე დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის, ისე რომ მის ისტორიკოსს სრული უფლება ჰქონდა სახელოვან მეფის მომხიბლავ პიროვნებით აღტაცებული ყოფილიყო, მაგრამ საისტორიო თხზულებისათვის ნაკლად უნდა ჩაითვალოს, როდესაც მას „შესხმის“ ელფერი ედება ხოლმე.

სწორედ ამიტომაც არის, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი თავის თხზულებას ასეთ რიტორულ კილოთი და მოქარგულობითა სწერდა, რომ მისი ენა ხელოვნური იყო და ჩვეულებრივი სიმკვირცხლე და ბუნებრივობა აკლდა. ასეთ ხელოვნურ ენით და რიტორულ მოქარგულობით არც ერთს სხვა ქართველს ისტორიკოსს არც წინად და არც შემდეგ არ უწერია. ამ მხრივ მას განმარტოებული ადგილი უკავია ქართულ მწერლობაში და ჩვენდა საბედნიეროდ, როგორც ეტყობა, მიმბაძველები არა ჰყოლია.

თამარ მეფის ისტორიკოსს, როგორც სჩანს, საუკეთესო და სამაგალითო მომთხრობლებად მიაჩნდა აგრეთვე „დიდნი სიტყვს-მოქმედნი პირველნი“. ყოველთვის როდესაც მას დიდმნიშვნელოვან შემთხვევის აწერა ჰსურს, იგი მუდამ აცხადებს ხოლმე: უდიდესთა საქმეთა მოთხრობას შევუდეგი. „რომელნი ზესთა ძალისა არიან არა ჩემთვს ოდენ, არამედ ვჰგონებ პირველთა სიტყვს-მოქმედთა“-ო (*682—683, გვ. 477). ან კიდევ,— რუკნადდინთან ბრძოლის აღწერას წინ ამგვარი წინადადება უძღვის: „[აწ] უდიდეს[ნ]ი საქმენი ად-

ძომიჩნდეს და [ვ]გონებ[1]) ვიწყე უღონოებად თხრობისა სიდიდითა საქმეთათა, [დ]ად[აცა]თუ[2]) არა შესატყჳსი არს ჩემდა ამათ[3]) მოთხრობა, არამედ დიდთა[4]) სიტყჳს-მოქმედთა[5]) პირველთა არს ესე“-ო (*699, გვ. 496).

ვინ იყვნენ ეს „სიტყჳს-მოქმედნი“? „სიტყჳს-მოქმედი“ ალბად ბერძნულს „λογοποιός“, „ლოგოპოჲოს“-ის თარგმანი უნდა იყოს, რომელიც მნიშვნელობით ბერძნულსავე „ლოგოგრაფოს“-ს უდრის და მემატიანეს, ან ისტორიკოსს ეწოდებოდა. ელლინურ მწერლობაში „ლოგოპოჲოს“-ის, ან „სიტყჳს-მოქმედი“-ს სახელს განსაკუთრებით ჰეროდოტეს წინამორბედს პირველ მემატიანეებს ეძახდნენ, როგორც მაგ. ჰეკატაჲოს მილეტელი და სხვები იყვნენ. იქნებ ქართველი ისტორიკოსი ამიტომაც უმატებდა „პირველთა საქმის-მოქმედთა“-ო. მაინც-და-მაინც ვინ ჰყავდა ჩვენს ავტორს სახეში, სახელდობრ რომელს ისტორიკოსებს ჰგულისხმობდა, დაჭეშმარიტებით ამის თქმა ჯერ არ შეიძლება.

თამარ მეფის ისტორიკოსი მკითხველს შესავალშივე ამცნებს, თუ როგორ შეუდგება იგი თავის თხზულების წერას: „ვინაითგან ლაკუა (sic)[6]) აღმავლობასა სიტყუ[ისას]ა [იწყობს] ადამისა, სეთისა და დავითისა[7])[გან], მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა... რომლისა სახე და სახელი თჳსსა ადგილსა [სიტყუამან საცნაურ ყოს]. მამა ექმნა[8]) გიორგი მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა“-ო (*594—595, გვ. 363—364).

ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელსაც თამარის მემატიანე ვითომც ჰბაძავდა და ამბობდა „მეცა ესრეთ ვიწყო“, როგორც მას აქვს დაწყობილი, არ ვიცით. მაგრამ ქართველ ისტორიკოსის აზრი-კი მაინც ნათელია: იგი გვამცნებს, როგორც მას თავისი საისტორიო თხზულება უძველეს დროითგან აქვს დაწყობილი, ისე მეც პირდაპირ თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას-კი არ შევუდგები, არამედ შორითგან მოგიყვებით და თავდაპირველად მის გვირგვინოსან მამის გიორგის მეფობას აღვნუსხავ, ხოლო მერე თამარ მეფის „სახე და სახელი თჳსსა ადგილსა [სიტყუამან საცნაურ ყოს]“-ო. ამიტომაც არის, რომ იგი თავის ნაწარმოებს „შარავანდედთა“ ანუ

---

1) ხელთნ. გონება. 2) ალთუ. 3) ამით. 4) დიდითა. 5) სიტყუითა მოქმედი. 6) ეს სახელი ალბად გადამწერთაგან უნდა იყოს დამახინჯებული. ავტორი ცხადია რომელსაღაც სამაგალითო და სახელგართქმულს ისტორიკოსს ასახელებს. სახელის გამოცნობა და აღდგენა გაადვილდებოდა, რომ გვცოდნოდა, ქართველს თუ უცხოელს ისტორიკოსს ჰგულისხმობდა იგი? თუ უცხოელი იყო, მაშინ იქნებ „ლაკუა“-ს მაგიერ დედანში „გლკკას“ წერებულიყო და მე-XII-ე ს. ცნობილი მემატიანე „მიხეილ გლკკასი“ იყოს, რომელსაც ეკუთვნოდა თავის დროს განთქმული „ბიბლოს ხრონიკე“, მსოფლიო მატიანე 4 წიგნად? ეს ხრონიკა მართლაც ადამითგან იწყობა (**K. Krumbacher. Geschichte d. byzant. Litteratur**, 2. Aufl., გვ. 382—383). 7) ღ˜თისა 8) იქმნა.

გვირგვინოსანთა და არა შარავანდედის ისტორიას უწოდებდა. მას სურდა ორ ხელმწიფის მეფობა აეწერა, მაგრამ უმთავრესს ყურადღებას მაინც თამარს აქცევდა. გიორგი მეფის პიროვნებისა და მოღვაწეობის დასურათება ავტორს თითქოს იმიტომ დასჭირდა, რომ მკითხველისათვის ეჩვენებინა, თუ ვის ჩამომავალი იყო საქართველოს დიდებული გვირგვინოსანი, რომ თამარი „შვილ იქმნა მშობელთა ძირ-რტოებ[ი]ა[ნ]თა შესატყვისთა და შეზავებულთა, ვითარ საცნაურ არს ხე ნაყოფისგან და ნაყოფი ხისგან“-ო (*594, გვ. 363). მთელ თხზულებაში გიორგი III-ის მეფობას 27 გვერდი უკავია (*595—622, გვ. 363—394), თამარის მეფობას-კი 100 გვერდი (*622—722, გვ. 397—531).

პირველ ნაწილში მოთხრობის ხასიათი ერთგვარია და მხოლოდ გიორგი მეფის სამხედრო ძლევამოსილებასა და მოღვაწეობას გვისურათებს. მეორე ნაწილი-კი უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანია: თუმცა აქაც ავტორს განსაკუთრებული ყურადღება ლაშქრობა-ომიანობისათვის მიუქცევია, მაგრამ ამას გარდა ისტორიკოსს აქ ბევრი ცნობები აქვს საქართველოს შინაურ პოლიტიკურ ვითარებაზე და ცხოვრებაზე: აღწერილია დიდებულ აზნაურთა გაფიცვა, ყუთლუ-არსლანისა და მის დასის განზრახვა მეფის უფლების შეზღუდვის შესახებ, სამეფო დარბაზობა და მეზობელ ხელმწიფეთა და მთავართა წვეულობა და მოხელეთა დადგენა-გადაყენება.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ თამარ მეფის ისტორიკოსს თხრობის წესადა ჰქონდა მიღებული, რომ სახელმწიფო და სამხედრო საქმეების აღწერას ბოლოში თამარის სამოქალაქო, საეკლესიო და ზნეობრივი მოღვაწეობის დასურათება და დახასიათება მისდევდა ხოლმე. ამგვარია მისი გეგმა.

შინაარსისდა მიხედვით „ისტორიანი და აზმანი“ შეიძლება ორად გაიყოს. ავტორიც, როგორც სჩანს, თავის მოთხრობას ორ მთავარ ნაწილად ჰყოფდა და იქ, სადაც იგი გიორგი მეფის ამბავს ათავებს და თამარის მეფობას იწყობს, რიტორული ენაწყლიანობითა და მოქარგულობით რიხიანად ამბობს: „ესენი ესთამდის. ხოლო ამიერითგან ვიწყო წყობად, ბრძოლად გონებისად მი[მ]ზიდ[ა]ვმან [მსგავსად ანდამანტისა] და მკუეთებელმან ცეცხლისა მსგავსად ქვისა და რკინისამან აღმოვშობო ცეცხლი სიყუარულისა და ქებისა და სურვილისა, აღვატყინო და აღვამაღლო საკმილი ცამდინ, მუნ შიგან აღმოვაჩინო ეთერიცა ცეცხლისა და ქუეყანა ცეცხლთაგან მლეველი ურჩთა და ცეცხლებრ ღონე და მო[მ]კმარებელი[1]) მეგობართა და მოყუარეთა“-ო (*623, გვ. 397).

ავტორს რომ წინდაწინვე მოფიქრებული ჰქონია, სად, რა და როდის ეამბნა, ეს შემდეგ მაგალითითაც მტკიცდება: იქ, სადაც ისტორიკოსს თამა-

1) ხელთნ.-მოკმარებული.

რისათვის საქმროს ძეჲნის ამბავი მოთხრობილი აქვს, იგი თავდაპირველად შემდეგს აცხადებს: „ხოლო სხუანი ზნენი: გამარჯუებ[უ]ლობანი, აღ[მა]ვალნი საზღუართა მიმართ მამაცობისა[თა]ნი მამათა და ტომთა მისთანი, ოდესმე არიანობანი[1]) და მკჳრცხლმოქმედებანი, ამ მხედველობანი მკედ[არ]თანი ირაკლედ საკონეჲლობანი, ოდესმე ნარნარად, წყნარად, მშვიდად მეპასუხობანი, თუ რანი და რაოდენ იქმნეს, წინამდებარისაგან ეუწყენ მსმენელთა“-ო (*633—634, გვ. 413). მერე ისტორიკოსს ჯერ თამარის ქმრისნობის ამბავი აქვს აღწერილი და მხოლოდ ამის შემდგომ მისი ზემომოყვანილი დანაპირების ასრულებული. სწორედ აქ იწყობა თამარის ისტორიკოსის „წინამდებარე“ სიტყვა, რომელსაც „მსმენელთა“-თვის უნდა ეუწყებინა, „თუ რანი და როდენ იქმნეს“ დიდებულ გვირგვინოსნის „სხუანი ზნენი“. მაშასადამე ავტორს გეგმა წინდაწინვე შედგენილ ჰქონია და მოუაზრებია, რას და სად უნდა შეჰხებოდა მისი „წინამდებარე“ სიტყვა.

საზოგადოდ, როცა ისტორიკოსი მოთხრობის საგანს სცვლის და ახალის და საყურადღებო ამბავის აღწერას იწყობს, ამისთანა შემთხვევაში მკითხველს იგი ყოველთვის განსაკუთრებით ამცნებს ხოლმე, მაგ.: „დიდ-გუნეჲა იყო სკიპტრის-მპყრობელთა შორის უსაჩინოეს ესე თამარ, ამისთჳსცა უდიდეს[თა] კელ-ყო საქმეთა, რომელთა[2]) მთხრობელად მოწევნული მყის[3]) თავსა შორის ჩემსა უკმოსა და უგონებოსა[4]) მსგავსი [ვ]იპოებ[5]) უმეცრებითა ლექსთა მეტყუელებად და კუალად [დუმილი] საქმეთა დიდთა [და] კეთილთა დავიწყებად შეიქმნს[6]) [და] არა ჯერ ვიჩინე დადუმებად [და კელვყავ აღწერად] რომელნი ზესთა ძალისა არიან არა ჩემთჳს ოდენ, არამედ ვჰგონებ პირველთა სიტყჳს-მოქმედთა“-ო[7]) (*682—683, გვ. 477). ასეთი წინადადებით იწყობს ისტორიკოსი თამარ მეფის ღვთისნიერ, სათნო, ზნეობრივ და საქველმოქმედო მოღვაწეობის დახასიათებას.

ქართველ-სომეხთა შეტაკების ამბავსაც წინ მაგ. შემდეგი წინადადება უძღვის: „ვინათგან უდიდესნი საქმენი წინა[8]) მდებობენ, ვითა თქმულ არს, ვინცა მცნა მე ფრთენი ტრედისანი, ვინცა მცნა [ენა მეტყუელი*)] ისტორიათა[9]) აღმწერელობისა[10]) [რათა კელვყო მოთხრობად**) თუ ვითარ] ქმნა ღმერთმან[11]) თამარს წინაშე სასწაული განსაკრთომელი***) და ყოველთა ქართველთა და მართლმადიდებელთა აღმატებითა სიხარული[სა] ამმაღლებელი“ (*686, გვ. 481).

---

[1]) ე. ი. არიელობა, ანუ მამაცობა. [2]) ხელთნ.+საქმისა. [3]) მაყის. [4]) უგუნებოსა. [5]) იპოებოდი. [6]) შეიქნა. [7]) პირველად სიტყვსა მოქმედაჲ. [8]) წმინდა. *) აღდგენილია თამარის ისტორიის 450 გვ. მიხედვით. [9]) ისტორიოთ. [10]) აღმწევნელმან **) აღდგენილია თამარის ისტორიის 383 გვ. მიხედვით. [11]) ღ̃თის ***) ამგვარივე აზრი გამოთქმულია ისტორიის გვ. 494.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, თამარ მეფის ისტორიკოსი რიტორული ენაწყლიანობისა და მოქარგულობის დიდი მოტრფიალე ყოფილა. მისი მოთხრობა მეტად რთულ და ხელოვნურ, ხშირად მეტად ბუნდოვან ენით არის ნაწერი. აი მაგ. როგორ იწყობა მისი მოთხრობა: „ვინათგან მოსე, მხილველი ღუთისა და წინასწარ-მეტყუელი ყოფადთა, ეურჩა განმგზავნსა [ძეთა] ისრაელთადმდე[1]), მათდა მომღები ენამძიმობისა[2]),—მაერულა ურულოსა, ვითარ ყოფადისა დამსახსა[3]),—ვითარ ვითარებისა შემკადრე ვიქმნე მე, ვერ ვეტყუ თქმათა აღმატებულებისა[თა], უკუეთუ იგი სიტყუათა ცეცხლისათა გარდანაცი[4]) და კუერთხი გუელადობითა[5]) და კელის ფერთა ქცეულებითა[6])....*) [ვითარ] დავსცე სოლომონისა სახედ აღსაუჯრსა ქებასა ქებათასა, რომლისა [მამისა]გან გარდმოთესლოვნებისა[7]) იგივე უიგავო[8]) სიბრძნითა მეიკავე[9]) სოლომონ ვერა[რა]ს კმა არს[10]) შემასხმელად[11]) ულუმპიანობით მით[12]) გარდაცემასა,—თამარისსა ვიტყუ,—კელმითვეთა სახელისა[13]) და დიდებისა დავით მის პირველისა[სა]"-ო (*593, გვ. 362).

ამნაირივე მძიმე და ხელოვნურ-რიტორულ ენაწყლიანობით არის დახასიათებული თამარ მეფის პირადი თვისებანი (იხ. *625—627, გვ. 401—403) და ისტორიულ ცხოვრების ბევრი სხვა შესანიშნავი შემთხვევაც.

„ისტორიათა და აზმათა" ავტორი პოეტურ მიმსგავსებათა მოტრფიალეც ყოფილა. ისე არავის ხსენება არ შეეძლო, რომ ბერძნულ, ან სპარსულ მწერლობის ამა-თუ-იმ ცნობილ გმირისათვის არ მიემსგავსებინა. თამარ მეფის დედის, ბურდუხან დედოფლის შესახებ ჩვენი ისტორიკოსი მაგ. ამბობს: „რომლისათჳს, თუ ვსთქუა სახეები[14]) გარემეთა გინა თუ ვიეთთამე[15]) სატრფიალოთა, თჳთ მისივე ქრისტეს-შემოსილებისაგან მაქუ[ს] შიში და კდემა. რომელი ეკატერინესა და პენელო[16]) ქმნილისა და თჳთ მარიამს, განმანათლებელსა ცისა და ქუეყანისა ესახების,—თჳნიერ ქმრისა მყოფლობისა,—მადლითა, სიბრძნითა, შეწევნითა და მეოხებითა"-ო (*596, გვ. 565). თამარის მამის შესა-

ხელთნ: [1]) ისრაელთამდე, დაბადებაში ნათქვამია: „მივედ უკუე და შეკრიბენ მოხუცებულნი ძეთა ისრაელისთანი" (II მოსესი, თ. 3, § 16). [2]) იხ. II მოსე, თ, 4, § 10—11. [3]) დამსახი. [4]) იხ II მოსე თ. 3. [6]) იხ. II მოსე თ. 4, § 2—4. [8]) იხ. II მოსე თ, 4, § 6—7. *) შემდეგ ისეა დამახინჯებული, რომ აღადგენა ძნელია, მაგრამ მთელ ამ ნაწყვეტის აზრი მაინც ცხადია: თუ მოსე წინასწარმეტყველმა, რომელსაც მაყვლოვანით ცეცხლის სახით ღმერთმა უბრძანა ისრაელთადმი მისი ბრძანება გადაეცა, იუარა, ენა ბრგვნილი ვარ და ვერ გადავცემო, თუმცა კვერთხის გველად ქცეყითა და კელის ფერთა შეცვლის სასწაულთ-მოქმედების ძალა მიენიჭა, მე როოგორღა გავბედო თამარის მეფობის აღწერა, როდესაც ვერც მოსეს შევედრები და არც იმის მსგავსი ნიჭი მაქვსო. [7]) ბათმოესლოვნებისა [8]) უიგო [9]) მიეგავე [10]) ვერას კმო არასა [11]) შემსხმელად, შეად. გვ. 363 [12]) მათ [13]) სახლისა. ხელთნ: [14]) სახები [15]) ვიეთიმე [16]) პელენო.

ხებაც ნათქვამი აქვს: იგი იყო მზე მნათობთა შორის, ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის, აქილევ, სამსონ და ნებროთ — გმირთა შორის, სპანდიარ, თაჰმთა და სიაოშ — გოლიათთა შორის, სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის“ (*595, გვ. 364). მეფე განთქმული მონადირე იყო, „მნადირებელი და მომნადირებელი მთათა და ბართა[1]) მოვლიდა ვითარ იოანათან მშვილდ-კაპარჭოსანი, ვითარ ჩუბინ უცდენელად მსროლელი, მეის სისრამყოფი მკეცთა ზედა,[2]) [ა]რტემისა სახედ, რომელ არს ღმერთი მონადირე“-ო (*58, გვ. 367), ამბობს ისტორიკოსი. ქ. ანისის წინაშე მომხდარ ომის დროს გიორგი მეფემათ „დასტეხნეს ვითარცა ამფხურელმან[3]) აკანთისამან“-ო (*598, გვ. 368). იმავე მეფის „მსწრაფლ-მავლობის“ შესახებ სწერია: „ნუ უკვე [და] უმსწრაფლეს [იყო] ამბაკომისა, დანიელისა, ანუ თუ ილიასისა სინას შინა წვიმ[ის]ა ერთი[თა] ღრუბლითა შემკრებელისა, ანუ თუ ელჲისა ქტლუა ალმავლობისა... ანუ ვეფხისა მის ფრთოვანისა“-ო (*611, გვ. 383). ხოლო თამარ მეფეზე ისტორიკოსი ამბობს: „დაჯდა ცხებული ღმრთისა საყდართა მათ ცამდი ამაღლებულთა შუენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვითა მით მზეებრითა აპოლონიანითა“-ო (*630—631, გვ 409). დავით სოსლანის შვილდოსნობაზე კიდევ ნათქვამია: „მსროლელმან ჯოროლთამან[4]) ვითარ განსწავლილმან კენტავროსისაგან“-ო (*672, გვ. 464). სარწმუნოებრივ შეცილების დროს ძლეულნი „სომეხნი ვითარ მეუარნი (ე. ი. ბაყაყნი) უტბო[დ] ეგრედ დგეს უკმოდ, ქუეყანად მხედველნი, ვითარ ძველ ოდესმე მღვდელნი ასტარტეს[ნი]“ო, ამბობს ისტორიკოსი (*696, გვ. 493).

ზემომოყვანილი მაგალითები ცხად-ჰყოფენ, რომ თამარ მეფის ისტორიკოსი პოეტურ მიმსგავსებისა და რიტორულ მოქარგულობის დიდი მოტრფიალე და თაყვანისმცემელი ყოფილა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ისტორიული მოთხრობის ბუნებრივს მიმდინარეობას აფერხებდა და საქმეს ტყუილ-უბრალოდ ართულებდა. ამას თვით ავტორიც ჰგრძნობდა და ერთგან, პოეტურ მიმსგავსებათა ჩამოთვლის შემდგომ, იგი შიშობს: „ნუ უკუე ზეშთა განზიდვითა დამრუმდეს თუალი გონებისა და ვიმთხრებლე ნეშთოპად საწყენთა სახეობათა[5]) [და] რომელი[მე], უმარჯულო და უმარცხულო[6]) მავალი გზებისა, გზისასა მარბალებდეს გარდაქცეულებასა ესევითარსა[7])“-ო (*596, გვ. 365), ვაი თუ მაღალ ფარდებში აწევით გონების თვალი დამიბნელდეს, მოსაწყენ მიმსგავსებათა უფსკრულში ჩავიფლა და დალაგებულ თხრობას მიჩვეულმა მწერალმა ბრალი დამდოს მოთხრობის სწორე გზისაგან „გარდაქცეულობისა“-თვისო.

ხელთნაწ.: [1]) მათთანა და ბრთა [2]) + და [3]) აკანაფიამან აფხურელმან.
ხელთნაწ. [4])—ჰოროლთამან მსროლელმან.
ხელთნ.: [5]) სწყენა სახეობითა [6]) უმარცხლო [7]) თათისა.

ეს მოსაზრება, განსაკუთრებით-კი თხზულების მეტის მეტად გაჭიანურების შიში, როგორც ეტყობა, ავტორის მოთხრობის ასპარეზსა და საზღვრებს ცოტად მაინც ჰზღუდავდა. აი რას ამბობს ერთგან იგი: „აწ[1]) ეს ვითარნი რა ენამან ანუ[2]) კონებამან თვითეულისა კელყო[ს] მოთხრობად, საწყინომცა[3]) იქმნას აღწერილი განგრძობითა სათქმელთათა“-ო (*611, გვ. 383). ავტორი დარწმუნებული ყოფილა, რომ გიორგისა და თამარის მეფობათა „თვითეულის“ შემთხვევის „მოთხრობა“ თხზულებას გააგრძელებდა, ხოლო „განგრძობითა სათქმელთათა“ მისი „აღწერილი“ გაჭიანურდებოდა და მკითხველისათვის „საწყინო“ გახდებოდა. მაშასადამე თამარ მეფის ისტორიკოსიც სხვა ქართველ ისტორიკოსებსავით იმ აზრისა ყოფილა, რომ საისტორიო თხზულება უნდა გარკვეულს მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს და შეძლებისამებრ მოკლედ და მკაფიოდ დაწერილი, ამასთანავე ადვილ და მიმზიდველ საკითხავ წიგნად ყოფილიყო.

სამწუხაროდ ისტორიკოსს მოსათხრობი მასალა შეუმოკლებია იმის მაგიერ, რომ თავის დაუშრეტელ რიტორულ მჭევრმეტყველებისათვის ცოტა ფრთები შეეკვეცა. ისტორიის განგრძობის შიშს ერთხელ და ორჯერ არ შეუყენებია ავტორი და სიტყვა მოკლედ მოუჭრეინებია. სომეხ ქართველთა ბაექრობაზე იგი მაგ. ამბობს: „მოშიშმან ისტორიის სიგრძისამან კმა ვყო თქმად, [რომელ], ვითარ უწყით სომეხთა სიტყუა-მისვეობისა (sic), ძლიერი ღაღადი აღთქუეს ცილობისა“-ო (*688, გვ. 484). ერთგან ამ შიშის გამო თამარის მემატიანე დიდს საგონებელში ჩავარდნილა კიდეც და თავის გასაჭირს გულახდილად გვიმჟღავნებს: „მე, მო[მ]რიდეს[ა] განგრძობისა[4]) წყინობისასა, მცონის[5]) დაგდებ[ად]ც[ა][6]) ღვაწლი ომთა და მარჯვებულებათა[7]), [უმჯობესსა] პირველთასა[8]), და მაიძულებელი[9]) გული აღზრავს ორღანოსა გონებისასა, რომელ არს ენა მეტყუელი და წარმომეტყუელი მ[ო]თხრობ[ა]თა ესევითართა“-ო (*662, გვ. 450).

რაკი ზემომოყვანილს შემთხვევაში მოთხრობა შეეხებოდა „ღვაწლთა, ომთა და მარჯვებულებათა“, ავტორმა თავი ვეღარ შეიკავა და „განგრძობა“-ს აღარ მოერიდა, თორემ როცა ამისავე სხვა დარგს, განსაკუთრებით-კი ზნეობრივს, სულიერს, ან აღმაშენებლობითსა და საქველმოქმედო მოღვაწეობას ახასიათებდა ხოლმე, მაშინ იგი მოთხრობას ამოკლებდა და ორიოდე მაგალითით მოჰყავდა. ყველაფრის აღწერა ხომ არ შეიძლება და შორსაც წაგვიყვანდა, „გრძელ სადამე არს ყოვლისა მოთხრობა“-ო (*698, გვ. 495), თამარ მეფე ისეთი გულუხვი იყო და უშურველი წყალობა იცოდა, რომ „საბერძ-

ხელთნ: 1) +რათა 2) +რა 3) საწყენასამ.

ხელთნ: 4) განგრძობასა 5) მცთონისა 6) და: გდებც 7) მარჯვებულთა 8) პირველისათა 9) მიძულებული.

ბეთს და ყოველსა ელლადას-შინანი მონასტერნი უხუად წყალობა-მიფენილ ყვნა და საქართველოსა მცირითგან მონასტრ[ით] საედარ-ეკლესიად[მდე] არა დაუტევა რომელ წყალობითა არა აღავს[ნა]"-ო (*698, გვ. 495). ამ წინადადებას შეწყალებულ მონასტრებისა და აგებულ შენობების მხოლოდ ნუსხა უძღვის წინ. ცნობები თამარ მეფის აღმაშენებლობისა და ქველმოქმედების შესახებ, როგორც ვხედავთ, მოკლე და მშრალია, ავტორი დალაგებულ მოთხრობის მაგიერ ცარიელ ნუსხას გვაწვდის.

ამნაირადვე მოკლედ აქვს ავტორს აღწერილი თამარის ზნეობრივი თვისებები: დიდებულს მეფეს უყვარდა „ღამე-ყოველ მღვიძარება, ლოცვა, მუჴლო-დრეკა და ცრემლით ვედრება, ღამესა[1]) ზე-მდგომრობითა განსაკჳრვებელ აქუნდა და ღამე-ყოველვე ჴელსაქმარი, რომელი გლახაკთა მიეცემოდა [რომლისაგან] ერთი ოდენ ვაკსენოთ"-ო (*683—684, გვ. 478) და ქვემოდ მართლაც მხოლოდ ერთი მაგალითია აღწერილი.

ამაზე გაცილებით უფრო მოკლედ აქვს ისტორიკოსს სიტყვა მოჭრილი, როდესაც იგი თამარ მეფის სამართლიანობასა და ლმობიერებას გვისურათებს: „გარნა სამართალთათჳს რაღლა მიკამს [თქუმად]: ჟამთა მისთა არა იყო მიმძლავრებული, არც მტაცებელი და მპარავი. იტყოდა ვითარმედ «მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქურივთა». მოწყალებისათვის კმა გეყავნ დადიანი ვარდან, გუზან და მათნი მიმდგომნი დიდებულნი და აზნაურნი, რომელნი ჩაჩან შეწყალებულნი"-ო (*685—686, გვ. 480—481).

იქაც-კი სადაც ისტორიკოსს ვარძიის მონასტრის აგებაზე აქვს ლაპარაკი, იგი მოკლე აღწერის შემდგომ აცხადებს, ყველაფრის ჩამოთვლა ადვილი არ არის, ვისაც ჰსურს თვით ნახოს ტაძარი: „ყოვლისაგანცა მოთხრობა ძნელ არს, თუ ვისმე ნებავს ამის განც[დ]ა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი, ქმნულნი და ნაშენებნი ქუაბ-ქმნილნი"-ო (*697—698, გვ. 494).

ყველა ზემოთქმულის შემდგომ „ისტორიანი და აზმანი"-სა და მის ავტორის შესახებ შეიძლება შემდეგს საზოგადო დასკვნას დავადგეთ: არც მიზნისა და არც მეთოდების მხრივ ახალს იგი არაფერს შეიცავს, პირიქით ამ მხრივ წინა-დროის ზოგიერთს ქართველ ისტორიკოსების ნაწარმოებს ჩამოუვარდება კიდეც. მაინცა-და-მაინც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაზე ცოტა დაბლა სდგას. ამასთანავე იგი ერთად-ერთი ქართული ისტორიული თხზულებაა, რომელიც რიტორული ხელოვნებითა და მჭევრმეტყველურის მოქარგულობით არის ნაწერი. ჩვენი ავტორის ენა ხელოვნურად შექმნილი და თავისებურია, თანაც ზოგჯერ მძიმე და ნაძალადევი გვეჩვენება, განსაკუთრებით როცა იგი რიტორობის გამოჩენას ცდილობს. მაგრამ ამასთანავე მან ხშირად აზრის მკაფიოდ და ნიშანდობ-

ხელთნ: [1]) ღ̃თისა.

ლივ გამომხატველ ენითაც იცის წერა, მეტადრე მაშინ, როდესაც მოთხრობა სახელმწიფო და სამხედრო საქმეებს, ან დარბაზობას, ან არა და შინაურ ყოფა-ცხოვრებას ეხება.

„ისტორიანი და აზმანი“ საზოგადოდ შინაარსიანი თხზულებაა: ამ მხრივ იგი არც ერთს სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება. ამასთანავე იგი დიდი ნდობის ღირსიც არის და ამის გამო ისტორიისათვის ძვირფას წყაროდ უნდა ჩაითვალოს. რიტორობისა და შემასხმელობისადმი სიყვარულისდა მიუხედავად თამარ მეფის ისტორიკოსი მართალის მთქმელი და პირუთვნელი მატიანეა. მისი ცნობების მაღალი ღირსებისა და ჭეშმარიტების დამამტკიცებელი მრავალი მაგალითები „ქ͠ლ ერის ისტორია“-შია მოყვანილი (წ. II, 552—639), განსაკუთრებით ის ორი შემთხვევა, სადაც ისტორიკოსის მიერ ვრცლად არის აწერილი ქართველების გაუბედაობა გაგის ციხესთან და გიორგი III დამარცხება მტრის თავდასხმის დროს და „სივლტოლა“ (იქვე გვ. 559—561, 561—563). მარტო ეს ორი მაგალითიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ თუმცა თამარ მეფის ისტორიკოსი თავის თავს „შემასხმელად“ სთვლიდა, მაგრამ ჭეშმარიტებისა და პირუთვნელობისათვის მაინც არ უღალატნია.

აბუსერიძე ტბელი.

აბუსერიძე ტბელის თხზულებას, რომელსაც ჰქვიან „სასწაულნი წ͠ისა მთავარ-მოწამისა გიორგისანი და ანდერძი... მთქუმელისაჲ“, თ. ჟორდანია სრულებით უსაფუძვლოდ „ისტორიულ წერილს“ უწოდებს (ქ͠ები II, 111). როგორც თვით დასაწყისითგანაც და შინაარსითგანაც ნათლადა სჩანს, ეს ნაწარმოები ნამდვილად მხოლოდ წ͠ა გიორგის სასწაულთმოქმედების აღწერილობა არის. იგი დაწერილია განსაკუთრებულ მიზნით და წმინდა საისტორიო თხზულებად ვერც-კი ჩაითვლება. ავტორი ამბობს, რომ ვინც მთავარ-მოწამე გიორგის და სხვებს ახსენებს და სამლოცველოს აუგებს, „მას აღესრულოს ყოველივე თხოვაჲ ორისავე კერძოჲსაჲ და თავისაცა თჳსისათჳს, გინა სხუათათჳს, რომლისათჳს არს მიზეზი სიტყჳსა ჩემისაჲ“-ო (ქ͠ები II, 112). მაშასადამე აბუსერიძე ტბელის თხზულების მიზანი, „მიზეზი სიტყჳსაჲ“ მარტო ის ყოფილა რომ მკითხველისათვის ცხად-ეყო, მლოცავის თხოვნა წ͠ა გიორგისადმი ყოველთვის ასრულდებოდაო.

რაკი ავტორს ასეთი განსაკუთრებული მიზანი ჰქონია, რასაკვირველია თვით თხზულებასაც თავისებური ელფერი უნდა სდებოდა და ადევს კი-

დღეც. ამის გამო ნამდვილ საისტორიო ნაწარმოებს არც-კი მიაგავს. მაგრამ ამისდა მიუხედავად იგი საგულისხმიერო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს იმიტომ, რომ დიდის ნიჭიერებით შედგენილ სასწაულთა აღწერილობაში იმდროინდელი შინაური ყოფა-ცხოვრება ხორცშესხმულ სურათად არის წარმოდგენილი და ამ მხრივ იგი ბევრს ახალს და მეტად საგულისხმიერო ცნობებს შეიცავს.

ამ თავისებურ თხზულების ავტორი ყოფილა „აბუსერიძე ტბელი, ძე ერისთავთ-ერისთავისა ივანესი და დედოფლისა ხათუთაჲსაჲ... და ძმაჲ ერისთავთ-ერისთავისა აბუსერისი და ვარდანისი“ (ქ˜კბი II, 120), ჯალალ ედდინის საქართველოში შემოსევის თანამედროვე. მას აღწერილი აქვს: 1.) ოძიზის წ˜ა გიორგის ტაძრის სასწაულებრივი აგება (იქვე 112—117), 2.) ალავერდის წ˜ა გიორგის სასწაულთ-მოქმედება (იქვე 117), 3.) ადამიანის დახსნა ტყვეობითგან წ˜ა გიორგის მიერ (იქვე 118), 4.) ხვარაზმელთა შემოსევა საქართველოში, ქვეყნის აოხრება და წ˜ა გიორგის ქვის ჯვარი (იქვე 118—119) და 5.) ხიხათა ეკლესიის აგება, გაფართოვება და შემკობა (იქვე 119—122).

პირველი ამბავი ავტორს გაგონილი ჰქონია, „მომითხრობდეს რომელსამე მახლობელნი მისნი“-ო (იქვე 117). ალავერდის წ˜ა გიორგის სასწაულთ-მოქმედების შესახებ ნათქვამია: „ჩემგან თუალით ხილული და (sic) ამის სასწაულის მომთხრობელი ერმაჲ“ ჰყოლია მოამბედ (იქვე 117). მე-4-ე და მე-5-ე ამბავი საკუთრივ თვით ავტორის მოთხრობილია.

აბუსერიძე ტბელის ნაწარმოებს ჩვენთვის რაკვირველია სულ სხვა მხრივ აქვს მნიშვნელობა, ვიდრე თვით ავტორს განზრახვა ჰქონდა და მიზნად დაუსახავს: თუ ავტორისათვის „მიზეზი სიტყჳსა“ სასწაულთმოქმედების აღწერა იყო, ჩვენთვის საგულისხმიერო და საყურადღებო იმდროინდელ საქართველოს ყოფა-ცხოვრების სურათები არის. თანამედროვე მკვლევარი ამ პატარა თხზულებაშიაც ძვირფას ცნობებს იპოვნის მრეწველობისა და ხელოსნობის შესახებ საქართველოში, მრავალს საამშენებლო ხელობისა და იარაღებისა ტერმინებს და სხვას. აბუსერიძე ტბელის თხზულება თ. ჟორდანიას ქ˜კბის II წიგნშია (გვ. 111—122) დაბეჭდილი.

ლაშა-გიორგის-დროინდელი უცნობი ქართველი მემატიანე.

ანა დ˜ფს ქ˜ცის ხელთნაწერში იქ, სადაც დავით აღმაშენებლის ისტორია თავდება, დემეტრე I, დავით III, გიორგი III, თამარისა და ლაშა-

გიორგის მეფობათა ერთი მატიანესებური აღწერილობა მოიპოვება. ეს აღწერილობა მატიანეა და ოთხ მთავარ ნაწილად იყოფება. თვითოეულ ნაწილს წოთიურად თავისი სათაური აქვს. პირველი ნაწილი არის „ცხორება დემეტრე მეფისა", მეორე—„ცხორება [გ̃ი] მეფისა", მესამე—„ცხორება დიდისა მეფეთ მეფისა თამარისი" და მეოთხე—„ცხორება გიორგი მეფისა თამარის ძისა". რუსუდანის მეფობის ამბავიც იწყობა, მაგრამ დასაწყისშივე სწყდება იმიტომ-კი არა, რომ მატიანეს რაიმე აკლდეს, ან გადაწერის დროს დაზიანებული იყოს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ თვით მემატიანესაც ამაზე მეტი არა დაუწერია რა.

თუ მატიანეს სიტყვებს დავაკვირდით, ადვილად შევატყობთ, რომ მატიანე რუსუდანის გამეფების პირველს წელიწადს არის დაწერილი. ლაშა-გიორგის მოსწრაფებულ სიკვდილის აღწერილობის შემდგომ მემატიანე ამბობს: „რუსუდან დასუეს მეფედ მასვე წელიწადსა. უკეთუმცა ღმერთსა წარწყმედისაგან არა დავეცვენით, (რუსუდანი) აღარ (sic) საგონ-ი[ყო] სიცოცხლესა ტკივილისაგან ძმისა მისისა. ხოლო ღმერთმან ყოვლისა სახიერებისამან, რომელი არა გასწირავს მოშიშთა მისთა, დაიცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღვთივ-გვრგვნოსანი რუსუდან და იყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებელად თესლითი თესლა[დ]მდე და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა, შემდგომად უწინარესი და (sic) სასუფეველი ცათა"-ო, ამბობს მემატიანე (ანა დ̃ფი ქ̃ცა). ამგვარ სიტყვების თქმა შეეძლო მხოლოდ ისეთს მემატიანეს, რომელიც ლაშა-გიორგის გარდაცვალების თანამედროვე იყო და საქართველოს პოლიტიკური მომავლის ფიქრი ჰქონდა, უმემკვიდროდ დარჩენილ სამეფოსი და სამშობლოს ბედ-იღბალი აწუხებდა. მას მხოლოდ ღმერთის იმედი-ღა ჰქონდა და ამბობდა: „ღმერთმან... დაიცავნ სამეფო ესე"-ო. საქართველოს მომავლის ერთად-ერთ იმედად მას რუსუდანი მიაჩნდა, რომელიც ძმის სიკვდილის გამო ისე იყო შეწუხებული, რომ „უკეთუმცა ღმერთსა წარწყმედისაგან არა დავეცვენით, აღარ საგონ-იყო სიცოცხლესა"-ო. ამიტომაც არის რომ მემატიანე ზეცას შეჰღაღადებს, ღმერთმა დაიცვას „მეფე ჩუენი ღ̃თივ-გჳრგჳნოსანი რუსუდან... და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა"-ო. ამ სტრიქონების დაწერის დროს მან ჯერ არ იცოდა, თუ რაოდენ ვნებას მოუტანდა სახელმწიფოს რუსუდანის თავშეუკავებელი ვნებათა-ღელვა და უდარდელი მართვა-გამგეობა! ერთი სიტყვით, ჩვენს მემატიანეს თავისი თხზულება რუსუდანის მეფობის პირველს ინდიკტიონს, ანუ წელიწადს დაუწერია, ესე იგი **1222—3** წ.

მთელი ეს ნაწარმოები მატიანესებური ენით არის ნაწერი: მოთხრობა ხეირიანად დალაგებული არცკია და სწორე მიმდინარეობა ირღვევა ხოლმე. მაინც-და-მაინც არც თუ ძალიან შინაარსიანია. მის ერთ-ერთ ღირსებად თარიღების შედარებითი სიუხვე უნდა ჩაითვალოს. სამწუხაროდ ზოგიერთი მათგანი მერმინდელს გადამწერს დაუმახინჯებია, ზოგი კო-

დექ წიგნის არშიების ჩამოჭრის დროს ვიღაცას დაუზიანებია. რასაკვირველია გიორგი III და თამარის მეფობათათვის ეს მატიანე „ისტორიანი და აზმანის“ მაგიერობას სრულებით ვერ გაგვიწევდა, მაგრამ აქა-იქ მაინც ძვირფას ქრონოლოგიურსა და შინაარსიანს ცნობებს გვაწვდის.

ამ მატიანეს განსაკუთრებით დემეტრე I მეფობისათვის აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ არც ანა დ˜ფს ქ˜ცა-ში, არც მ˜მ დ˜ფს ქ˜ცა-ში, როგორც ვიცით, ამ მეფეს თავისი საკუთარი ისტორიკოსი არა ჰყავს და ამის გამო ძველს ქ˜ცა-ში მის შესახებ არც რაიმე ცნობებია შეტანილი. იოანე ჭიმჭიმელის „შესხმა-მითხრობა“, რომელიც თურმე დემეტრე I და მის ძების თავგადასავალისა და მოღვაწეობის აღწერილობას შეიცავდა, ჯერ-ჯერობით აღმოჩენილი არ არის. შედარებამ გამოარკვია, რომ შევსებულს ქ˜ცა-ში შეტანილი ცნობები დემეტრე I-ზე სწორედ ამ ლაშა-გიორგის-დროინდელ მატიანეთგან ყოფილა ამოღებული. ორიოდე ძვირფასი ცნობა ამ თხზულებაში თვით ლაშა-გიორგის შესახებაც მოიპოვება. ამას გარდა მემატიანეს მეფეთა გარდაცვალების თარიღები და ცნობები იმაზე, თუ სად დაასაფლავეს ესა-თუ-ის მეფე, სამაგალითო ზედმიწევნით აქვს აღნიშნული. სამწუხაროდ მერმინდელს გადამწერს აქაც დედანი ზოგან გაურყვნია. ჩვენი მატიანეს ცნობები, თუ მერმინდელ გადამწერთაგან დამახინჯებული არ არის ხოლმე, თითქმის ყოველთვის სხვა წყაროებითაც მტკიცდება. ხოლო ამასთანავე თუ გავიხსენებთ, რომ არა-ერთი და ორი თარიღი მხოლოდ მას აქვს შენახული, მაშინ ადვილად წარმოვიდგენთ, რამდენად სასარგებლო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს ლაშა-გიორგის-დროინდელ მემატიანეს თხზულება.

ჟამთააღმწერელი.

მ˜მ დფ˜ლს ქ˜ცაში იქვე, სადაც „ისტორიანი და აზმანი“ თავდება, წითურით დაწერილ წინადადებით „ამან დიდმან და სახელ-განთქმულმან ცხორებასა შინა დაუტევა მძლეობა ქართველთა გამარჯვებისა“ იწყობა მოთხრობა, რომელიც ლაშა-გიორგის მეფობითგან მოკიდებული შეუწყვეტლივ მომდინარეობს გიორგი ბრწყინვალეს ტახტზე ასვლამდე, ანუ ხელთნაწერით 723 გვერდითგან 932 გვერდამდე, ხოლო ე. თაყაიშვილის გამ. 536 გვერდითგან მოყოლებული 785 გვერდამდე.

ეს 209 გვერდზე აწერილი ასი წლის ისტორია ერთი თხზულება არის, თუ აქ შემთხვევით უნდა იყოს გამოტოვებული სათაურები და ჩვენ თვალწინ რამოდენიმე ავტორის ერთიერთმანეთზე გადაბმული ნაწარმოებია? დაკვირვე-

ბა მგონია უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეს უზარმაზარი ისტორია ერთი კაცის დაწერილი უნდა იყოს. ეს გარემოება განსაკუთრებით შემდეგითა მტკიცდება: ავტორი თავის მოთხრობის უკვე პირველს ნახევარში გვამცნებს, რომ იგი შემდეგ მერმინდელ დროის ამბებს მოგვითხრობს. მაგალითად, იქ სადაც ავტორს ლაშა-გიორგის ზნე-ჩვეულება აქვს აღწერილი, მას სხვათა შორის აღნიშნული აქვს: ველისციხითგან ლაშას მიერ მოყვანილმა „მუცლად იღო დედაკაცმა და შვა ყრმა, რომელსა უწოდეს დავით. ესე იგი არს დავით, რომელი უკანასკნელთა დიდთა განსაცდელთა შემდგომად მეფე იქმნა, რომელი ქვემორე სიტყვამა[ნ] საცნაურ ყოს“-ო (*728, გვ. 545). ამ წინადადებითგანა სჩანს, რომ ლაშა-გიორგის ისტორიკოსს უკვე იმ დროს, როცა იგი ჯერ მხოლოდ თამარის ძის მეფობის ამბებსა სწერდა, მაშინვე განზრახვა ჰქონია შემდეგ ლაშას შვილის თავგადასავალი და გამეფებაც მოეთხრო. თავისი განზრახვა ავტორს აუსრულებია კიდეც.

მასვე იმთავითვე სდომნია „საქართველოს მოოკრების“ აღწერაც შეეტანა თავის თხზულებაში, როგორც ეს ჩვენი ავტორის შემდეგ წინადადებით მტკიცდება: რაკი ლაშა-გიორგიმ ქეიფსა და გარყვნილებას ხელი მიჰყო და სამეფო კარი უწესო კაცებით აავსო, „ამისთვის ამოსცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა საქართველოსა მოოკრებიასნი, რომელი ქვემორე სიტყამა[ნ] ცხად ყოს“-ო (*730, გვ. 548).

მაგრამ ჩვენს ავტორს მარტო ულუ დავითისა და ნარინ დავითის მეფობის მოთხრობა კი არა ჰქონდა განზრახული, მას როგორც ქვემოყვანილ წინადადებითგანა სჩანს, ჰსურდა აეწერა დიმიტრი თავდადებულის დროც. იგი სახელდობრ ამბობს, რომ „მეფემანცა დავით პატივსცა და შევედრა სახლი ავაგისი და რამეთუ გვანცა მიუდგა და შვა ყრმა და უწოდა დიმიტრი, რომელი შემდგომად დავითისა მეფე იქმნა, რომელი ქვემორე სიტყვამა[ნ] ცხად ყოს“-ო (*823 გვ. 669). მართლაც შემდეგ დიმიტრი II-ის სამეფო ტახტზე აბრძანებისა და მისი მეფობის ამბები დაწრილებით არის აღნიშნული. მაშასადამე ისტორიკოსს თავისი გეგმა განუხორციელებია.

ჩვენს მემატიანეს არამც თუ თათართა ძლევა-მოსილება და ბატონობა უნახავს, არამედ ამ ბატონობის მოსპობასაც მოსწრებია. იგი თვით ამბობს. „ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა, არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა, ვიდრე ჟამამდე ჩვენთა“-ო (*739, გვ. 561). ამგვარად ქართველების ბედ-უკუღმართობა გაგრძელებულა ვიდრე იმ „ჟამამდე“, როცა ისტორიკოსი ცხოვრობდა და როდესაც მაშასადამე ქართველებს „მიეცა ძლევა თათართა ზედა“. საქართველოს განთავისუფლება მონღოლების ბატონობისაგან რამდენადაც ვიცით მხოლოდ გიორგი V ბრწყინვალეს დროს მოხდა. მაშასადამე ისტორიკოსის სიტყვები „ვიდრე ჟამამდე ჩვენთა“

ამტკიცებს, რომ მას ამ სახელოვან მეფის დროს უცხოვრია. მან კარგად იცის, თუ როგორ შემოუერთა ამ დიდებულმა მეფემ დანარჩენს საქართველოს განზე-გამდგარნი სამცხის მმართველნი ჯაყელნი. მას აღნიშნული აქვს, რომ „მიე-რითგან იქმნეს ჯაყელნი ულოსისანი ვიდრე ჟამთა მეფეთა შორის ბრ-წყინვალისა და საჩინოსთა დიდისა გიორგისათა"-ო (*849, გვ. 695). „თქმულ არს არს მარტოება უმჯობესისათჳს, ეგრეთვე გიორგი იპოვა უმჯო-ბესი ყოველთა კაცთა მის ჟამისათა არა ოდენ კელმწიფეთა, არამედ ყო-ველთა კაცთა"-ო (*893, გვ. 734—735).

ისტორიკოსმა იცის აგრეთვე, როგორ ებრძოდა მეფე გიორგი ბრწყინ-ვალე მთებითგან ქართლში შემოსეულს ოსობას. მას მოთხრობილი აქვს, რომ „მიერითგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოსთა ვიდრემდის მე ფეთა შორის ბრწყინვალემან დიდმან, სახელგანთქმულმან გიორგი გა-ნასხნა და აღფხურა"-ო (*907, გვ. 749).

ჩვენს ავტორს, როგორც ეტყობა, აზრადა ჰქონია თავის დროზე, შესაფერ ალაგას გიორგი ბრწყინვალეს დიდებული მეფობაც აეწერა. რომ მას ასეთი განზრახვა ჰქონია, ეს შემდეგი სიტყვებით მტკიცდება: ერთგან იგი ამბობს, „უმრწემესი ძე მისი გიორგი, რომელი უშვა ასულმან ბექას-მან, წარიყუანა პაპამან მისმან ბექამან და აღზარდა საკჳრველი და უმჯო-ბესი ყოველთა კაცთა, ვითარ ქვემორე სიტყვამა[ნ] ცხად ყოს"-ო (*904, გვ. 745). ამგვარად მის მოთხრობის „ქვემორე სიტყვა" უნდა გიორგი V შეეხებოდა. იგივე ისტორიკოსი მეორე ალაგას დიდბუნებოვან მე-ფეზე ამბობს „რომელი მარტო ეშვა დედასა, ვითარცა მარტორქა, რამეთუ ვერ შემძლებელ იყო ბუნება დედათა სხვასა ეგევითარისა შობად, ვითარ ქვე-მორე სიტყვამან ცხად ყოს"-ო (*915, გვ. 758). მაგრამ შემდეგ ავტორს თითქოს გადუფიქრია და შესაძლებელია, რომ მას თავისი განზრახვა არ აუს-რულებინოს. ამნაირ დასკვნის გამოყვანა შეიძლება იმ წინადადებითგან, სადაც ისტორიკოსი ამბობს: „იწყო მთიებმან აღმოჴუირვობად, ხ~ მე ენა ვერ მიძრავს საკურველისა და საშინელისა თქმად"-ო (*932, გვ. 785), რასაკვირველია თუ აქ ავტორის მხრივ ჩვეულებრივი რიტორული ხერხი არ არის, რომ ამით აღე-ნიშნა, რამდენად დიდი და განმაცვიფრებელი იყო გიორგი V ბრწყინვალეს მეფობა. საყურადღებოა, რომ „მ~მ დ~ლს ქ~ცა-ში მართლაც გიორგი ბრწყინ-ვალეს მეფობის ისტორია არ არის. მაგრამ ესეც-კია, შეიძლება ეს ნაწილი შემდეგ დაკარგულიყოს.

როდის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი ისტორიკოსი, ამის შესახებ თვით თხზულებაში პირდაპირი და სრულებით მკაფიო ცნობები არ მოიპო-ვება. ერთ ალაგას ავტორი სხვათა შორის ამბობს: „ამათვე ჟამთა (ე. ი. დიმი-ტრი თავდადებულის დროს) ბრწყინვიდა პიმენ სალოსი, რომელი გარეჯით (sic) წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს ქუაბსა რასმე, რომელმან ნათესავი

ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებასა ქრისტესა“-ო (*889, გვ. 731). ამ ცნობის საშუალებით რასაკვირველია შეიძლებოდა დაახლოვებით საზღვარი გამოგვერკვია, როდის უნდა ეცხოვრა ისტორიკოსს, დანამდვილებით რომ გვცოდნოდა, სახელდობრ როდემდის ითვლებოდნენ ლეკები ქრისტიანებად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს დაჭეშმარიტებით გამორკვეული არ არის.

შემდეგ იგივე ისტორიკოსი ამბობს: სპარსეთის ყაენი ჰულავუ მისრეთის ომითგან 1262 წ. მობრუნებული „წავიდა საზამთროსა ადგილსა, რომელსა აწ ყარაბაღობით და მუღნობით უკმობენ“-ო (826, გვ. 672). ამ წინადადებითგანა სჩანს, რომ საგეოგრაფიო სახელად ყარაბაღი ახალი შემოსული იყო და მე-XIII-ე საუკ. ამ ადგილს სხვა სახელი ჰრქმევია. მართლაც, „ყარაბაღი“ რანის სახელად მე-XIV-ე საუკ. ჩნდება და სპარსულ მწერლობაში ამ საგეოგრაფიო სახელს პირველად ვგონებ ჰამდალაჰ ყაზვინი (†1349 წ.) იხსენიებს თავის გეოგრაფიაში (**В. Бартольдъ. Историко-географическій обзоръ Ирана, 152**).

ზემოთ რამდენიმე მაგალითი იყო მოყვანილი, რომელთაგანაც სჩანდა, რომ ჩვენმა ისტორიკოსმა გიორგი ბრწყინვალეს მეფობის ამბები კარგად იცის და წინადროინდელ ამბებს ამ სახელოვან ხელმწიფის დროინდელ საქართველოს მდგომარეობას ადარებს ხოლმე: ეს ხანა მას უმწერვალესს და სამაგალითო ხანად მიაჩნია, ქვეყნის ყოველგვარ კეთილდღეობისა და ძლიერების საზომად. ჩვენი ავტორის თხზულებითგანა სჩანს, რომ გიორგი V მეფობის აღწერა მას თითქმის თავის მთავარ მიზნად მიაჩნდა. ამიტომ საფიქრებელი იყო, რომ ავტორი საქართველოს ბრწყინვალე ხელმწიფის თანამედროვე ყოფილიყოს, მაგრამ ერთგან იგი გიორგი V-ზე ისე ამბობს, რომ მკვლევარს ეჭვი უნდა დაებადოს და იფიქროს, შესაძლებელია გიორგი ბრწყინვალეს „შემდგომ მეფეთა“ თანამედროვე ყოფილიყოს, თუ რომ ამ შემთხვევაში წინადადება მერმინდელ გადამწერის მიერ დამახინჯებული არ არის. საქართველოს დიდბუნებოვან მეფის შესახებ ჩვენი ისტორიკოსი სახელდობრ ამბობს: „ასულმან ბექასმან ნათელ უშვა ძე მხოლო გიორგი, რომელი უკანასკნელ ძმათა მისთა მეფე იქმნა და განდიდნა უმეტეს შემდგომთა მეფეთა“-ო (*893, გვ. 734—5). თუ სიტყვა „შემდგომთა“ მერე არ არის დამატებული, მაშინ იძულებული ვიქმნებით დავასკვნათ, რომ ჩვენს ისტორიკოსს გიორგი V შემდგომ უცხოვრია და მის მოადგილეების მეფობას მოსწრებია. მაინცა-და-მაინც, არა მგონია, XIV საუკ. გვიან ეცხოვრნა მას.

რასაკვირველია ამ ჯერედ უცნობი ავტორის თხზულებას თავი უნდა აკლდეს: ისე, როგორც ეხლა ლაშა-გიორგის მეფობის აღწერა იწყობა, არც ერთი ისტორიკოსი არ დაიწყობდა. ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ამ თხზულების შესავალი და დასაწყისი ქ̃ცის კრებულში შეტანის დროს მოუკვეციათ,

რომ ამით მოთხრობა უფრო უკეთესად ყოფილიყო გადამბული. ამ გამოტოვებულს ნაწილში ავტორს ექმნებოდა ნათქვამი, რა წყაროებით სარგებლობდა და რა მიზანი ჰქონდა, როდესაც იგი თავის ნაწარმოებსა სწერდა. რაკი ჯერჯერობით ეს ნაწილი დაკარგულია, ავტორის შეხედულება და აზრები ამ საგანზე უნდა მთელს მისს თხზულებაში ვეძიოთ.

დაკარგულია ამ ნაწარმოების სათაურიც. ყურადღების ღირსია, რომ ჩვენი ავტორი ისტორიას და ისტორიის წერას „ჟამთააღმწერლობა"-ს ეძახის (*778, გვ. 610), ხოლო ისტორიკოსს „ჟამთააღმწერელი"-ს სახელს უწოდებს (*753, გვ. 578). პირველი უდრის ბერძნულს „ხრონოგრაფია"-ს (χρονογραφία) და სომხურს „ჟამანაკაგრუთიუნ"-ს (ժամանակագրութիւն), ხოლო მეორე „ხრონოგრაფოს"-ს (χρονογράφος) და სომხურს „ჟამანაკაგირ"-ს (ժամանակագիր). ქართულს მწერლობაში ჩვეულებრივ საისტორიო ნაწარმოებს „ცხორებაჲ" ეწოდებოდა, თამარ მეფის ისტორიკოსმა შემოიღო სიტყვა „ისტორია" (იხ. აქვე, 166). ჩვენი ავტორი-კი „ჟამთააღმწერლობა"-ს არქმევს. ამის გამო ჩვენ უფლება გვაქვს თვით მასაც „ჟამთააღმწერელი" ვუწოდოთ. საფიქრებელია, რომ ეს მარტო სიტყვათა განსხვავება არ იყო, არამედ რომ თვით მათი ავტორებიც მიზნით, გეგმით და ხასიათითაც განირჩეოდნენ ერთიერთმანეთისაგან, განსაკუთრებით თუ „ჟამთააღწერელობა" მნიშვნელობითაც მართლა ბერძნულს „ხრონოგრაფია"-ს უდრიდა.

ამიტომ შესაძლებელია ჩვენი ავტორის თხზულებას მარტო შესავალიკი არ აკლდეს, არამედ მთელი წინა ნაწილიც, რომელშიაც შეიძლება წინანდელ მეფეთა მოღვაწეობა ყოფილიყო მოკლედ მოთხრობილი. ეს ცოტა არ იყოს თითქოს ეხლაც ეტყობა და ლაშა-გიორგის მეფობა ისეა გადაბმული თამარის მეფობის ამბავზე და მასთან დაკავშირებული, რომ უეჭველია ჩვენ „ჟამთააღმწერელის" თხზულების პირველს ნაწილში თუ სხვებისაზე არა, ყოველ შემთხვევაში თამარის მეფობაზე მაინც უნდა ჰქონოდა ლაპარაკი. შესაძლებელია მაშასადამე შემდეგში აღმოჩნდეს, რომ მ͠მ მ͠ფს ქ͠ცა-ში შეტანილია ამ „ჟამთააღმწერელის" ნაწარმოების მხოლოდ ერთი ნაწილი.

ჩვენს ავტორს მოხსენებული აქვს საისტორიო მწერლობის კიდევ ერთი დარგის მწერალი „მრავალმომთხრობელი" (*753, გვ. 578) და „ყოველთა-აღმწერელი" (*809, გვ. 652). ორივე სიტყვა ალბად ბერძნულს „პოლვისტორ"-ს უდრის. ჩვენი ავტორი სხვათა შორის „მრავალმომთხრობელად" იოსიპოსს ფლავიოსსა სთვლიდა (753, გვ. 578).

ჩვენი ჟამთააღმწერელი საზოგადოდ მოკრძალული მწერალია: იგი თვით ამბობს „უშვერისა რასმე" მოთხრობა „არა საკადრელ არს"-ო. მაგრამ ეს თავდაჭერილობა მაინც მის პირუთვნელობას არ არღვევს: მას კარგად ესმის, რომ ისტორიის ანუ „ჟამთააღმწერელობის" მიზანი „ჭეშმარიტ[ებ]ის მეტყველება არს" და უნდა შეიცავდეს როგორც „კეთილის მოქმედთა", ისე

„ბოროტის მოქმედთა“ ღვაწლის აღწერილობას. აი რას ამბობს ჩვენი ავტორი, როცა რუსუდანის სივერაგესა და საძრახისს საქციელის აღწერას იწყობს: „აქაცა ვინებე დუმილად ვინათგან მეგულების განსაკრთომელისა მოთხრობად, დადა[ცა]თუ არა საკადრებელ არს თხრობა მისთჳს უშვერისა რასმე, რამეთუ იტყჳს მოსე მხილველი ღ̃თისა: «მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქვა ბოროტი». გარნა, ვინათგან წიგნი ესე შუამდებარე არს კეთილის-მოქმედთა და ბოროტის-მოქმედთა, შენდობილ იყვნენ სიტყვანი ჩემნი, რამეთუ ჟამთაამწერელობა ჭეშმარიტ[ებ]ის მეტყუელება არს, არა თვალახმა ვისიმე“-ო. (*776, გვ. 610). შემდეგშიაც თუმცა ჩვენს ჟამთაამწერელს მეფის შესახებ ცუდის თქმა არა სურს, მაგრამ მაინც სიმართლეს არა ჰმალავს, „ვერ მიძლევიეს დუმილად“-ო და რუსუდანის მოქმედებით აღშფოთებული ამბობს: „მოავლინა უფალმან საბაოთ შენსა პატიოსნებასა ზედა უპატიოება, დიდებასა შენსა ზედა ცეცხლი აღგზნებული აღტუდებოდეს, ვითარ აღესრულა პატიოსნ[ებ]ასა რუსუდანის ზედა, რამეთუ სირცხვილ მიჩანს კადრებად და კუალად ვერ მიძლევიეს დუმილად, რამეთუ უპატივო ჰყო თავი თჳსი ბოროტითა მით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თჳსსა ზედა“-ო (*784, გვ. 618—619). იგი მკაცრად ჰგმობს და საკიცხავ სიტყვებს არა ჰზოგავს უფლისთვის, როცა მისი მოთხრობა დედოფლის მზაკვრობას ეხება: „ჵი გონება მკეცთა უმძვინვარესი, ვაი მკვლელობა ოდესმე სმენილთა და გარდასრულთა მკულელობათა უბოროტესი, რომელი აღასრულა შვილსა და ძმასა ზედა, დამვიწყებელმან დედობრივთა და ძმაებრივთა ღმობათამან“ (*779 გვ. 611—612) ამბობს იგი.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივ თავმოყვარეობას გარდა ჩვენს ავტორს ამასთანავე სარწმუნოებრივიც მეტად მგრძნობიარე აქვს. მას რცხვენიან, როცა იგი გვითხრობს, თუ როგორ შეურაცჰყვეს მაჰმადიანებმა ქრისტიანობა. აი რას ამბობს იგი: ჯალალედდინმა ტფილისში „მოიგონა სხვაცა სიბოროტე, რომლისა კსენება სირცხვილ მიჩნს, გლოვათა და სირცხვილთა მიერ შევიცვალები, თუ ვითარ განვარისხეთ მოწყალე და შემწყნარებელი ღმერთი არა შეწყალებად ჩუენდა. იწყო რღვევად ეკლესიათა... იკადრა და კელყო სიონსა გუმბადის შემუსრვად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად (*753—754, გვ. 579).

ამგვარისავე სარწმუნოებრივ-ეროვნული მწუხარებით და კდემით არის გამსჭვალული ჩვენი „ჟამთაამწერელის“ მოთხრობა დიმიტრი თავდადებულის სიკვდილად დასჯის გამო. ისტორიკოსი აღშფოთებული ამბობს: დიმიტრი თავდადებულმა „წარუპყრა ქედი, აჰა დღე საშინელი, ზარის ალსაკდელი, რომელ იკადრეს ბილწთა ცხებულსა ზედა ღ̃თისასა და წარჰკუეთეს თავი. ხოლო გამოჩნდა მასვე ჟამსა პატივი ღ̃თისა მიერ ცხებულსა მისსა, რამეთუ მზემან შარავანდედი თჳსი უჩინო ყო... ვითარ იგი ყოვლისა სოფლისა ცხო-

რებისა ვნებასა მეუფისასა, ეგრეთვე ამისი ნეტარისა და საქართველოსათვის წამებულისა მეფისასა, რათა საცნაურ იქმნენ რამეთუ პატიოსან არიან ცხებულნი ღ̃თისანი“-ო (*900—901, გვ. 741).

ჩვენი ჟამთააღმწერელი საზოგადოდ განვითარებული ადამიანი ყოფილა, მისი მსჯელობა ჩვეულებრივ სწორე და ფხიზელია, ამასთანავე თავისუფალი. გასაოცარია მხოლოდ, რომ ზოგჯერ იგი, როცა სასწაულთმოქმედებას ეხება, ბავშვისავით გულუბრყვილოა ხოლმე და ყველაფერი სჯერა. ლაშა-გიორგის ძის დავითის შესახებ მაგალითად იგი ამბობს, რომ როცა უფლისწული სიძემ ბნელსა და გველებით სავსე ორმოში ჩააგდო, „ვითარ ეძინა და გარდაიქცეოდა, რა გვერდსა ზედა მკარითა დააჭირა გველსა ერთსა, რომელმან მკარსა სასტიკად უკბინა. ხოლო სხუათა გველთა დაიჭირეს გველი იგი მკბენელი დავითისი და იწყეს ენითა ლოკად და მეყის განკურნეს დავით და გველი იგი შეჭამეს მათ გველთა, ესრეთ საკჳრველობით განარინა ღ̃ნ“-ო (*783, გვ. 617).

შემდეგ ჟამთააღმწერელს ერთი ხალხური ზეპირი გარდმოცემა აღნიშნული აქვს, ვითომც პატარა დიმიტრი II „ნოინისა ვისიმე ცოლმან აღიყვანა და შვილად მიიყვანა, რამეთუ იყო უშვილო, ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარმედ მიი[რ]ქვა რომელ ყრმა დიმიტრი წაიღოთ, მეყსეულად საშო განეღო დედაკაცსა და მუცლად იღო და შვა ყრმა წული და ამის ძალითა კეთილსა უყოფდა ნოინის ცოლი გვანცას და ყრმასა“-ო (*333, გვ. 678).

ყურადღების ღირსია, რომ ჩვენი მემატიანე ასეთს ბავშურს გულუბრყვილობას მარტო ქრისტეანთა და ქართველთა ამბების მოთხრობის დროს-კი არ იჩენს, არამედ წარმართ მონღოლების მოღვაწეობის აღწერის დროსაც. იგი მაგალითად ამბობს, რომ როცა მონღოლებმა ქალაქი ძალით ვერ აიღეს, ყაენმა ხერხი მოიგონაო, „გარემოვიცვათ ქალაქი და ვითარ ძაღლთა ვიწყოთ ყივილი და ყვირილი. და ვითარ ესმა ესე განკჳრდეს და აღმხედრდეს და ვითარცა ძაღლთა იყივლეს და რა მოიწია კმა ესე ქალაქად, იქმნა საქმე საკჳრველი, რამეთუ განსქდა ქალაქი ორგან, ნახევარი წარიქცა კლდითურთ წყლისაკენ და მოსპო სული ურიცხვი, ესრეთ ჴელთ იგდო“-ო *821, გვ. 666).

ჩვენი ისტორიკოსის გულუბრყვილობა იქამდის მიდის, რომ თავის თხზულებაში გვიამბობს: „წარმოვიდა ესე უფერკოთა ცხენითა სამი დღე და სამი ღამე ვლო“-ო (*871, გვ. 715). ეს უკანასკნელი გარემოება ამტკიცებს, რომ ჩვენი „ჟამთააღმწერელი“ მაინც ცრუმორწმუნე და გულუბრყვილო და „სასწაულების“ მოყვარული ადამიანი ყოფილა. ეს-კია რომ მე-XIII—XIV-ე ს. ამგვარი გულუბრყვილობა სხვა ერთა ისტორიკოსების თხზულებებშიაც ბლომად მოიპოვება, ხოლო ლაშას შვილის მართლაც საარაკო თავგადასავალი სომეხ ისტორიკოსების მოთხრობაშიც ხალხურის ცნობებით არის გარშემოცული. მაგრამ მაინც ჩვენი ჟამთააღმწერელის აზროვნობისათვის ეს

ბავშვური გულუბრყვილობა და ცრუმორწმუნეობა მეტად დამახასიათებელია: ვერც ერთს ქართულს საისტორიო თხზულებაში XI—XII ს.,—როგორც მაგალითად „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „ცხორებაჲ მეფეთ მეფისა დავითისაჲ“, მატიანე „ქართლისაჲ“, თუნდაც „ც~ჲ გიორგი მთაწმიდელისაჲ“ და „ც~ჲ იოანესი და ეფთჳმესი“,—ასეთს სასაცილო და ზღაპრულს ამბებს ვერ ნახავთ. სასწაულთმოქმედება და საკვირველებანი იქ ან სრულიად არ მოიპოვება (XII ს. თხზულებებში), ან არა და თითო-ოროლაა, ამასთანავე ისეთი, რომელთა ახსნა ბუნებრივად ადვილად შეიძლება. ჩვენი ჟამთააღმწერელის ზემოაღნიშნული გულუბრყვილობა ნათლად გვიჩვენებს, რამდენად დაქვეითდა მონღოლების ბატონობის დროს ქართველთა გონებრივი ცხოვრება და აზროვნობა.

მეცამეტე საუკუნეში საქართველოს საშინელი უბედურება დაატყდა თავს. ქვეყანა ჯერ ჯალალედდინისაგან, ხოლო შემდეგ მონღოლების ბატონობის დროს განადგურდა. ასეთი მოულოდნელი პოლიტიკური და ეკონომიური დაცემა სამეფოს ასი წლის შეურყეველ ძლევამოსილების შემდგომ ვის არ დააფიქრებდა, ვის არ აღუძრავდა საკითხს ამ გასაოცარ და ქართველებისათვის თავზარდამცემ მოვლენის მიზეზების შესახებ?...

სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობას ჩვენი ჟამთააღმწერელიც შეუფიქრიანებია და თავის თხზულებაში გვიხსნის, თუ რამ ჩააგდო ქართველი ერი შემაძრწუნებელ განსაცდელში? იგი აკვირდება საქმეს და „საქართველოს მოოკრებისა“ მიზეზების გამორკვევას სამართლიანად წარსულში ეძებს: ლაშა-გიორგის ლაღობამ, ქეიფმა და უდარდელმა ცხოვრებამ ქართველთა მოწინავე წრეები დარდიმანდობასა, უსაქმობას და უზრუნველობას მიაჩვია, უფრო რომ შექცევასა და დროს გატარებაზე ჰფიქრობდნენო. ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: „მშვიდობა იყო სამეფოსა მისსა (ლაშა-გიორგისა) და შექცეულ იყო სმასა და ჭამასა“-ო (*729, გვ. 547), ხოლო ცნობილია და „დასწერენ მამანი: სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი,—გემოთმოყვარებანი, ვეცხლის-მოყვარება, და დიდების-მოყვარება, მათნი პირმშონი ნაშობნი არიან: სიძვა, რისხვა, ამპარტავნება, [მშობელნი] ამათ ბოროტთა, რომელ არს: კორცმოყვარებანი, უწესოდ ნების-მიმდგომლობანი, რომლისა თვითეულად არა არს ჟამი აღწერად“-ო (*729, გვ. 547).

მეფის ხასიათის ამგვარმა ნაკლულევანებამ, გადამეტებულმა „გემოთმოყვარება“-მა და „ნებისმიმდგომლობა“-მ საქართველოს სამეფოს უმაღლეს წრეებში წესიერება შეარყია და გახრწნა. „ვითარცა წინასწარმეტყველიცა იტყვის: განძღა, განისვენა იაკობ და განუდგა ღ~თსა მაცხოვარსა, ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძღეს და იშვებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვათა და მთვრალობათა“-ო (*729, გვ. 547), ამბობს ჟამთააღმწერელი. გიორგი ლაშას დროს უბრალო მომაკვდავნიც

მეფის წაბაძვით ვნებათაღელვას დაემონნენ, „განძღეს და იშვებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვათა და მთვრალობათა შინა და უგუნურნი და უწესონი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფის-ღირსნი და აწ კარსა ზედა მმეფნი, დაღაცათუ კათოლიკოზთა ორთავე და თავადთა ამის სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდა საქმე ესე“-ო. როცა სამეფო კარი მთვრალ, უწესო და უგუნურ ადამიანთა თავშესაფრად გადიქცევა, რასაკვირველია სახელმწიფო საქმეებისათვის თავს ვინღა აიტკივებდა, და ქვეყანა დიალაც დაეცემოდა. აი სწორედ „ამისათვის აღმოსცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავლითა, საქართველოსა მოოკრებისანი, რომელი ქვემორე სიტყვამა[ნ] ცხად ყოს“-ო (*730, გვ. 548), გულწრფელად აღიარებს ჩვენი ისტორიკოსი.

ამ უწესობის სასჯელად ჩვენი ჟამთააღმწერელის აზრით ქართველობას მონღოლთა ბატონობა მოევლინა. „აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღ̃თისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთათვის და იქმნა უკუქცევა სვე-სვიანისა ბედისა მაღლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯვებულისა, რამეთუ, ვინათგან მიეცა ღ̃თისა დიდ-სვესა და დიდბედსა დავითს გამარჯვება, აქა ჟამამდი სვიანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი. ხოლო აქა ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ჟამამდე ჩვენთა“-ო (*739, გვ. 561), ამბობს შეძრწუნებული მემატიანე.

ამ საშინელს და მოულოდნელს დამარცხებას მაინც უნდა გამოეფხიზლებინა ქვეყნის უდარდელი მმართველნი. მაგრამ ვერც ამ უბედურებამ მოიყვანა ისინი გონს, დიდის ხნით ვერც ამან გაადაჩვია უზრუნველობას. და რაკი „აღივსო ყოველი სამეფო რუსუდანისა ყოვლითა კეთილითა, იწყეს უძღებება და განცხრომა ყოველმან ასაკმან და მიიქცეს ყოველნი სიბოროტედ... რამეთუ მეფეცა რუსუდან ჩვეულობითა წესსა ძმისა მისისასა ვიდოდა განცხრომითა და სიმღერითა“-ო (*742, გვ. 565). ეხლაც თვით მეფე იყო ქვეყნის გამხრწნელი და დამღუპველი თავის ლაღი ქცევითა და უდარდელობით, აი „ამისთვის აღდგენ ბოროტნი უდიდესნი“ (იქვე). რაკი ვერც მონღოლთა შემოსევამ დააფიქრა ქეიფითა და მხიარულებით თვალებახვეული მთავრობა „და ვითარ არა გამოიცადეს ღთ̃ი, ამისთვის მისცა იგინი ღ̃თნ უჯეროდ გინებად და კოცად წარმართთა მიერ“-ო (იქვე). ამგვარად საქართველოს სამეფო კარისა და ერის გახრწნილება ჩვენს ჟამთააღმწერელს ქვეყნის „აოხრების“ მიზეზად მიაჩნია, ხოლო თვით უბედურება ღვთაების მიერ მოვლენილ სასჯელად.

ხოლო რაკი შემდეგშიაც ჟამთააღმწერელის სიტყვით უკეთურება არ მოსპობილა, არამედ „ყოველი ასაკი ბერთა და ერმათა, მეფეთა და მთავართა,

დიდთა და მცირედთა მიდრკა სიბოროტეთა, რამეთუ დაუტევეს სიმართლე და ჭეშმარიტება, ვინათგან თვით მღუდელთა მიერ იხილვებოდა არაწმიდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა" (*764, გვ. 592—593), ამიტომ ქვეყნის გაჭირვება არამც თუ არ გაქარწყლებულა, არამედ „უმეტესცა მძვინვარენი განსაცდელნი აღიძრვოდეს საქართველოსა საზღუართა" (იქვე), რათგან „მისცნა ღმერთმან ნათესავნი ქართველთანი მოსასრველად"-ო (იქვე). ეს იყო უზენაეს განგების სასჯელი, ხოლო მიზეზად მაშასადამე ჩვენს ავტორს ამ შემთხვევაშიაც მთელი ერის ზნეობრივი დაცემა მიაჩნდა.

როგორც იყო თავზე დამტყდარმა უბედურებამ ხალხი გონზე მოიყვანა. „ესრეთ დამშვიდნა ქვეყანა და ყოვლით კერძო იწყო მშვიდობა". ამიტომ „მოხედნა ღ~თნ წყალობით მოსავსა მისთა და იყო უხვება პურისა და ღვინისა". მაგრამ როცა ერმა თავისუფლად ამოისუნთქა, თავი ვერ შეიკავეს და „ვითარ მოიცალეს მცირედ ჭირთაგან და განისვენებდეს", ისევ „მიდრკეს გზისაგან სამღ~თოსა, იწყეს განდგომად, რამეთუ მეფემან მოიყვანნა სამნი ცოლნი, ეგრეთვე სადუნმან... და მთავართა იწყეს კლვი[სა] შეხებად საყდართა და მონასტერთა და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა... დაღათუ ამათ უწესოებათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათოლიკოზი და ნიკოლოზ მაწყურელი ჯუანშერის ძე, არავინ ყურად იღებდა სიტყუათა მათთა. და კუალად სხუანიცა აღმოსცენდეს ბოროტნი, რამეთუ იწყეს ურთიერთას მძლავრებად და მიხვეჭად და არავინ იპოვებოდა მართლის მყოფელი"-ო. ამგვარ უწესოებას და უკეთურებას კვლავ მოჰყვა ღვთის რისხვა და „მოიწია სამართალი სასჯელი ცოდვათა ჩუენთათჳს"-ო, „რამეთუ ზემოხსენებული იგივე არღუნ წარმოემართა" საქართველოს ასაოხრებლად, ამას გარდა „შეიძრა მძაფრად ქვეყანა სამხილებლად უსჯულოებათა ჩვენთათჳს"-ო (*878—879, გვ. 722—723).

ყველა ზემომოყვანილს მაგალითებში ჩვენთვის სავალდებულო არ არის ჟამთააღმწერლის ახსნა. საყურადღებო ის არის მხოლოდ, რომ ავტორი ქვეყნის გაოხრების მიზეზად საქართველოს მმართველ წრეების უდარდელობასა, უწესოებასა და ერის ზნეობრივ დაცემას აღიარებს, რომ იგი მარტო გარეგან პირობებს, მტრების შემოსევას არ აბრალებს ყველაფერს და ამით არ აქირავებს დამაფიქრებელ საკითხს, არამედ უმთავრეს მიზეზად თვით ქვეყნის შინაურს მდგომარეობას, თვით ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ გათახსირებულ ცხოვრებას ასახელებს. ეს არის ჩვენთვის საგულისხმიერო და ადამიანმა მართლაც უნდა სთქვას, რომ ამ მხრივ ჟამთააღმწერლის აზრი სრულიად უსაფუძვლო არ არის.

ჩვენი ისტორიკოსის ზემოაღნიშნული აზრები მით უმეტეს საგულისხმიეროა, რომ მონღოლების პატრონობის დამღუპველ გავლენასაც, იგი არ უარჰყოფს, არამედ საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების ბევრ მოვლენას მონ-

ღოლების მართვა-გამგეობის შედეგადა სთვლის. მაგალითად ქართველ ხალხის ქონებრივი გაჭირვება და მოსახლეობის განადგურება (*755, 765—766, 879, 792, 921, 875; გვ. 580, 595, 723, 629, 765--766, 719—720), მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებანიც-კი (*795—796, 825--826, გვ. 634, 670—671), შიმშილობა და ეკონომიური გაჭირვებაც (*921, გვ. 765—766) მონღოლთა მიერ შემოღებულ წესებისა და მძიმე მოხარკეობის შედეგად მიაჩნდა.

საქართველოს ძლიერების შერყევისა და დაცემის ერთ-ერთ მიზეზად ჩვენი ისტორიკოსი დიდებულ მოხელეთა შორის ჩამოვარდნილს შურსა და ქიშპობას სთვლიდა. აი მაგალითად როგორა აქვს მას პირველ დამარცხების მიზეზი ახსნილი: „აქა დაიპყრა ფერკი ივანე ათაბაგმან, იტყჳან შურითა ყო ახალციხელთა შალვა და ივანესითა. ჵი შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყვედელი ნათესავისა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყლველი! ვითარ ჰურიათა ღ~თის მკვლელობა არწმუნა და კვალად აქაცა უბოროტესი, უგბილი და ულმობელი და საქართველოსა სრულიადი მოსპოლვა, ვითარ ქვემორე სიტყვამა[ნ] ცხად ყოს, ათაბაგსა ივანეს არწმუნოს, რომელ ჟამსა წყობისა და ჟამსა ომისასა არღარა ვიდოდა მბრძოლთა კერძ“-ო (*744—745, გვ. 567—568).

ჟამთააღმწერელი გრძნობდა, რომ საქართველო სხვათა შორის დააუძლურა ქვეყნის მეთაურთა მარტო პირად კეთილდღეობაზე ზრუნვამ, განცალკევებულმა და შეუთანხმებელმა მოქმედებამ. „ულხინებელთა რა ბოროტთა მოეცვა ქუეყანა, ძლიერნი ერისთავთა ერისთავნი და ვაზირნი განდგეს ურთიერთას, თავთა მათთა ოდენ შემწყობელნი. რამეთუ მეფე რუსუდან ყოვლადვე დაემკჳიდრა ლიხთ-იქით და ვერცა ლიხთ-აქეთ გარდმოვიდეს და არცა ამერნი მათ წინაშე მივიდიან უცალობისა ძალითა გარნა ლტოლვილნი და ესრეთ ურთიერთას შეუძრახებელ იყვნეს და შეუთქმელ“-ო (*766, გვ. 596). ასეთს დაქსაქსულსა და დაფანტულს ძალას მტერი რასაკვირველია ადვილად დაიმორჩილებდა.

მე-XIII-ე საუკ. საქართველო ისეთს საშინელს პოლიტიკურს განსაცდელში ჩავარდა, იმოდენა ქონებრივი გაჭირვება გამოიარა, ისეთნაირად შეირყა ერის მთელი ეკონომიური წესწყობილება, რომ ხალხი და მოწინავე წრეები თავზარდაცემულები იყვნენ. ეს უბედურება ასე მწვავედ იმიტომ იყო საგრძნობელი, რომ ხანგრძლივ მშვიდობიან და ძლევამოსილობას მიჩვეულს ქვეყანას იგი უეცრად დაატყდა თავს. წინათაც, მაგალითად სასანელთა და არაბების ბატონობის დროსაც, ქართველი ერი მრავალგზის მოსწრებია შავს დღეს, ხშირად გამოუვლია დიდი განსაცდელი, მაგრამ იმ დროს თვით საქართველო ჯერ ბატონობას მიჩვეული არ იყო. მე-XI—XII-ე საუკუნეში-კი საქართველომ უმწვერვალესს ძლიერებას მიაღწია და წინანდელი მწუხარება და განსაცდელი

დავიწყებული ჰქონდა: გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, ქართველობამ უძლეველობის სახელი მოიხვეჭა და მერმისშიაც ყველანი უეჭველია უფრო მეტის დიდების მოლოდინში იყვნენ. მაგრამ უეცრად საქართველოს ბედი უკუღმა დატრიალდა და ხანგრძლივ მონობის უღელში შეება.

ამგვარმა მოულოდნელმა უბედურებამ ადამიანთა რწმენა შეარყია და სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ყურადღების ღირსია, რომ წინანდელ ქართველ ისტორიკოსის ნაწარმოებში არ მოიპოვება არც ერთი იმგვარი ღრმა სასოწარკვეთილებით გამსჭვალული აზრები, რომელიც გამოთქმული აქვს ჩვენს ჟამთააღმწერელს. „უგუნურებასა შინა ვართ ნათესავნი ადამისნი და გულსმოდგინედ მიდრეკილ არს გული კაცისა ბოროტისა მიმართ, ვითარცა წერილ არს; «არა ინებეს შეგონებად», არამედ გარდავკვედით ცხორებასა ჩვენსა და ყოველნი ვართ ამაოებასა შინა, ვითარ იტყჳს ბრძენი ეკლესიასტე: «ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს» და მზესა ამას ქვეშე ხილულსა ყოველთა ამაოებასა მისცემს"-ო (*851, გვ. 696), ამბობს ჩვენი ისტორიკოსი. იმ ადგილას, სადაც ავტორს მოთხრობილი აქვს, თუ როგორ მოიკლა სახელოვანი სარდალი და თავგამოდებული მეომარი სულთანი ჯალალედდინი მანგუბერტი, იგი გულწრფელად ამბობს: ვერაფერმა ვერ გადაარჩინა, ვერც ძლიერებამ და ვერც დიდებამ, „ამაო იქმნეს სპანი, სიმტკიცე ქედისა, წყობათა შინა მძლეობა და გარდარეული სიმდიდრე და ყოველივე ამაო არს, გარნა საუკუნო იგი უკუდავი ცხორება დაულევნელი"-ო (*762—763, გვ. 591). ამ ქვეყნად მაშასადამე ყოველივე ამაოა და წარმავალი, დაუნდობელი და ცვალებადი, საუკუნო მხოლოდ საიქიოს ცხოვრებაა, ამტკიცებს ჟამთააღმწერელი. ამგვარი აზრი ეკლესიაში ჩვეულებრივი იყო, მაგრამ პოლიტიკურს აზროვნებაში საქართველოში წინად არას დროს არ ყოფილა მიღებული და პირველად ჩვენს ავტორს აქვს ისტორიაში შეტანილი. მაგრამ შემდეგ საუკუნეებში ეს აზრი პოლიტიკურ მსჯელობაშიაც გაბატონდა, ასე ძირიანად შეირყა ქართველ ერის პოლიტიკური რწმენა.

ცხადია, რომ ჩვენს ისტორიკოსს ასი წლისა და მეტის ამბები ზეპირ გადმოცემით და „თავით თჳსით" არ შეეძლო დაეწერა. უეჭველია მას საისტორიო წყაროები ექმნებოდა და მის თხზულებითგანაც სჩანს, რომ ჰქონია კიდეც. მაგ. ჯალალედდინის მიერ ტფილისის აღების შესახებ ავტორი ამბობს: „მრავალგზის მოავლინა დასტური მეფემან დატევებად ქალაქისა, ძლით დაარწმუნა ბოცოს წარსვლა, ვითარცა სწერს ვინათგანმე ბერი მღვიმელი"-ო (*753, გვ. 578). მაშასადამე სადაც ავტორს ჯალალედდინის საქართველოში დაშქრობა აქვს მოთხრობილი, მას წყაროდ ხელთა ჰქონია საისტორიო ნაწარმოები, რომელშიაც ეს ამბები ყოფილა აღწერილი. ამ თხზულების ავტორი ყოფილა „ბერი მღვიმელი". ჩვენი ისტორიკოსის სიტყვებითგანა სჩანს, რომ მას ამ წყაროს ავტორის სახელი უკვე აღარა სცოდნია.

უეჭველია ჩვენს მემატიანეს ხელთა სჭერია აგრეთვე ერთი საისტორიო წიგნი, რომელსაც რქმევია „წიგნი მეფეთა ბაღუშისთა და ნათესავთა მისთა“. ერთს ადგას მაგ. ამბობს: „წარვიდა აღლარ და კახაბერის ძე კახაბერი, რომელი იყო თესლით ბოროტი, ვითარ გვაუწყებს წიგნი მეფეთა ბაღუშისთა და ნათესავთა მისთა“-ო (*868, გვ. 712).

მონღოლების შემოსევის აღწერილობა ჩვენს ისტორიკოსს, როგორც ეტყობა, დამყარებული აქვს სხვათა შორის ერთს წყაროზე, რომელიც თურმე „თანადამხუდარი“-ს ცნობებისდა მიხედვით ყოფილა შედგენილი. იგი ამბობს მაგალითად, რომ მონღოლთა მკედრობა „მივიდა ნიშაბურს, სადა ნიშაბურელთა სამგზის წყობა უყეს და ბრძოლასა თვის[სა] პირველსა კვლად იგდო ქალაქი, სადა იგი სამასი ათასი კაცი თავდაკვეთით მოკლა, ხოლო მეორესა ჯერსა ასი ათასი და მესამესა ომსა ოცდა თორმეტი ათასი და უკეთუ არა ჯერხართ, მართლაცა არს, [რამეთუ] დიდსა სეიბადვანისა ხოჯა შამშადინისა ძმა თანადამხუდარი იტყოდა ამას ნიშამურისა მოოხრებასა“-ო (*759, გვ. 586).

დავით ნარინისა და ულუ დავითის მეფობისათვის კიდევ ჩვენს ისტორიკოსს ხელთა ჰქონია განსაკუთრებული თხზულება, რომლის შემადგენელადაც ვიღაც „ყოველთა-აღმწერელი“, ანუ როგორც ბერძნები ამბობდნენ ხოლმე „პოლჲისტორი“ ითვლებოდა. ეს ცხადადა სჩანს ჩვენის ავტორის შემდეგ წინადადებითგან: „ხოლო მოწყვნილ არს ესეცა სიტყუა“-ო, ამბობს იგი, „რომელ სხვა ვინმე ყოველთა-აღმწერელი იტყვს, ვითარმედ ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გაუყვნა ესრეთ განბჭობითა, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ, და ესრეთ წარმოავლინა და რუსუდანის ძე დავით მაშინვე ლტოლვილი დამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთსა“-ო (*809, გვ. 652).

უეჭველია ჩვენს ჟამთააღმწერელს თვით მის მიერ ჩამოთვლილსა და ზემოაღნიშნულს წყაროებს გარდა თავის თხზულებისათვის სხვა კიდევ ბევრი მასალები უნდა ჰქონოდა და ექნებოდა კიდეც, თორემ ისეთს შინაარსიანს ისტორიას როგორ დასწერდა? ცხადია, მაგ. რომ მას ხელთა ჰქონია სხვათა შორის იმდროინდელი ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრები (*818—820, 875, გვ. 663—665, 719—720) და გადასახადისა და ბაჟის წიგნები (*825, გვ. 670).

წერილობით წყაროებს გარდა ჩვენს ისტორიკოსს ზეპირ გადმოცემითაც, „თქმულებით“-აც უსარგებლია. ამნაირს წყაროს იგი უფრო მაშინ მიმართავს ხოლმე, როცა მას სამეფო სახლის შინაურ და საიდუმლო საქმეების დასურათება ჰსურდა. მაგ. დედოფალ გვანცას სიკვდილის შესახებ ის ამბობს: „ხოლო გუანცა დედოფალი, ავაგის ცოლყოფილი, მოკლულ იქმნა თათართა შინა მყოფი, რომელსა იტყვან, ვითა ასულსა მისსა ხუაშაგისა,

რომელი იყო ცოლი სევითვარდავლის ხოჯა შამშადინისა, მისითა განზრახვითა მოიკლაო" (*843, გვ. 688).

ამგვარადვე ჩვენი „ჟამთააღმწერელი" ბასილ მწიგნობართ-უხუცესის მოკვლის ერთ-ერთ მიზეზად იმას სთვლის, რომ „სიტყუაცა იყო, ესუქნის თანა ეყო, ამისათჳს შესმენილ იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელმან მსწრაფლ მოიყვანა და ბრძანა ძელსა დამოკიდება"-ო (*846, გვ. 691).

დიმიტრი თავდადებულის ქონების მონღოლთა ყაენის მიერ მიტაცების შესახებ ისტორიკოსი სწერს: „წარიღეს ყოველი, არა დაშთა, რამეთუ მოქალაქეთაცა უწყოდეს საგანძურნი მეფისანი და შინაგამცემელ იქმნეს. ხოლო იტყვან ამასაცა: ხოჯა აზიზის შვილი, რომლისა მამა მოეკლა მეფესა დავითს, სუტლუბუღა და იგი ორნივე მტერობად შეითქუნეს მეფისა"-ო (*898—899, გვ. 739). ამ შემთხვევაშიაც მაშასადამე ავტორს საზოგადოებაში გავრცელებული ხმებისათვისაც ყური უთხოვებია.

დავით მეფის გარდაცვალების შესახებაც ჩვენს ისტორიკოსს გარდმოცემა მოჰყავს და ამბობს: „თქმულ არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა ცოლისა მისისა [მიერ], ვითარ სიტყჳს-მოქმედი იტყვის მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავ-მტკივნეულობად მეფისა და იჭვისა წამლისასა მიდოს და ანთიპატოს მიერ მიცემისა, ეგრეთვე დავითის[თჳს] თქმულ არს ესუქნის მიერ შურისათჳს ბასილ უჯარმელისა, რომელი მოაკვდინა მეფემან"-ო (*867, გვ. 712).

გარდმოცემითვე სარგებლობს „ჟამთააღმწერელი" როცა აღიარებული აქვს, რომ დავით მეფემ საქართველოს ეკლესიათა ქონებრივი მდგომარეობა შეარყია და მამულთა მიტაცებას ხელი შეუწყო: „თქმულ არს ესეცა, ვითარ ბრძენისა სოლომონისათჳს წერილ არს, ჟამსა სიბერისა მისისა არა მართლად ყიდოდა წინაშე ღ̃თისა და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა საეპისკოპოზოთა, რომელნი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, განსცემდა, ეგრეთვე მონასტერთა"-ო. (*851, გვ. 696). მაგრამ ამ შემთხვევაში „თქმულ არს" შეიძლება მარტო ზეპირ წყაროს-კი არა, არამედ წერილობითს საბუთსაც ჰნიშნავდეს, სახელდობრ იმდრონდელ საეკლესიო კრების ძეგლისწერას (იხ. ქკ̃ბი II, 164—166), სადაც ეს გარემოება საგანგებოდ არის აღნიშნული.

საზოგადოდ ჩვენი ისტორიკოსი განათლებული ადამიანია, მას გადაკითხული აქვს „ძველი წიგნები". მონღოლების შესახებ იგი მაგალითად ამბობს: „ქვეყანასა მზისასა აღმოსავლეთით კერძო, რომელსა ეწოდების ჩინმაჩინ, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვირველნი, ადგილსა ყარყურუმად წოდებულს უცხო სახითა, წესითა და შესახედავადცა, რამეთუ არცა ძველთა წიგნთა სადა იპოების ამბავი მათი"-ო (*730, გვ. 548).

მას ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობაც სცოდნია. აი მაგალითად როგორ გვისურათებს საქართველოს გაჭირვებას მონღოლების ხელში: „ესევითარნი ჭირნი მოიწივნეს, რომელ ძველთა სამე წიგნთა სმენილ არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯვარის მცველთა იუდეანთა ზედა ქმნულ იერუსალიმსა სრულიადსა მოსპოლვასა ტიტეს და უესპასიანეს მიერ, ვითარცა იტყუის ჟამთაალმწერელი და მრავალმომთხრობელი იოსიპოს“ (*753, გვ. 578).

რუსუდანის ვერაგ განზრახვის შესახებ თავის ძმისწულის წინააღმდეგ ისტორიკოსი ამბობს: „გარნა განაქარვნა ზრახვანი ზეგარდამომან განგებამან, ვითარ აქიტოფელისანი თვით წინასწარმეტყუელისანი და არა გულისკმა-ყო, რამეთუ განაქარვის ზრახვანი კაცთანი ზრახვამან ღ~თისამან, ვითარ ფარაოსი მოსესზე, ვითარ განერა კელთაგან მისთა ლტოლვილი პირველად, ვითარ იტყჳს ჟამთაალმწერელი იოსიპოს, და კუალად ვითარ განერა დავით კელთაგან სულტანისათა, რამეთუ ცუდ იქმნა განზრახუა მათი. და სხვაცა მოვიკსენოთ: არა ცუდ იქმნა, რ~ლ იქმნა განზრახვითა ასტუაგისათა, არა ცუდ იქმნა[ა] წარვლენა ასულისა [მისისა] მანდანისი... მოცემა ძისა მისისა კჳროსისი“-ო. ამისდა მიუხედავად ასტიაგი გადარჩენილ და წამოზრდილ შვილისშვილის კჳროსისაგან ხომ მაინც „ძლეული, შეპყრობილ იქმნა კჳროსისა მიერ, რომელი შემდგომად ასტუაგისა მეფე იქმნა. და ანუ არა ამათ იქმნა ხრიზმოზიცა იგი აპოლონის დედოფლისა და უმეტეს ამისსა არა განცრუვდა ხრიზმოზიცა იგი პრიამოსი[სა] მეფისა ასულთასა და... მთავრისა ალექსანდრე-პარიდოსი[სა] ზედა, რომელმან მიმტაცებელმან ელენისამან ცოლისა აღამემნოსის ძისა მენ[ე]ლ[ე]ო[ს]ისგან, რომელი იპყრა წელთა ოცდა-თორმეტთა. [ხოლო] ოცდა რვად წლად უმშვიდეპელნი ბრძოლანი მოუგნა ტროადელთა [და] სრულიად[ი] მოსპ[ოლ]ვე ნათესავსა მისსა“-ო.[1]) (*785, გვ. 619—620).

ბერძნული მწერლობის ცოდნა ჩვენს ავტორს შემდეგ ქვემორე-მოყვანილ ორს წინადადებაშიაც ემჩნევა: „ერისთავი სამადავლა, კაცი ყოვლითა სამკედროთა ზნითა შემკობილი და მოისარ რჩეული, მსგავსი მოსიმახოსა ებრაელისა, გინა ნეოპტოლემეოს პიღასი რჩეულისა სახელოვანისა მერმიდონთ მოძღვრისა“ (*913, გვ. 755). ან კიდევ ერთგან ისტორიკოსი ამბობს: „გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყჳს ვინმე, იბრძოლებოდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკვდინა“-ო (*865, გვ. 710).

დავით მეფის სიკვდილის შესახებ ხმები გავრცელებული ყოფილა, ვითომც იგი მოეწამლოთ და ჩვენი ავტორი ამის გამო იგონებს: „ვითარ სიტყჳსმომქმედი იტყჳს მაკედონელისა მის დიდისა მიდოსით თავ-მტკივნეულო-

---

[1]) დედანი დამახინჯებულია, შეძლებისამებრ აღვადგინე.

ბად მყოფისა და იჳვისა წამლისსა მიდოს[ის] და ანთიპატროს მიერ მიცემისა, ეგრეთვე დავითის თქმულ არს ესუქნის მიერ შურისათჳს ბასილ უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა მეფემან უწესოებისათჳს: თანა ეყო ბასილი ესუქნის და არა რიდა საწოლსა პატიოსანსა მეფისასა"-ო (*867, გვ. 711—712).

იცის მან საბერძნეთისა და რომის ისტორიაც, იგი მაგალითად ერთს ალაგას, სადაც მოთხრობილია, რომ მონღოლთა საბრძანებელი 4 მოხელეს მიერ განეგებოდა, მას განმარტებული აქვს, „ვითარ ძუელთა ოდესმე... რომისა [და ი]ორნთა ქვეყანათა განაგებდეს ოთხნი ჳპატიოსნი"-ო (*805, გვ. 647).

ძველ მწერლობას გარდა, მას თანამედროვე მონღოლებისა და მათ მეტომეთა საისტორიო მწერლობაც შესწავლელი ჰქონია. ჩვენს ავტორს სცოდნია სხვათა შორის უიღურთა ანბანი, და „წერილი". აი რას ამბობს იგი ამის შესახებ: „მოიპარეს წერილიცა ამათ მცირედითა ასოთა, რამეთუ ათექვსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისჯმის-საყოფი"-ო. (*731, გვ. 550).

ავტორის მონღოლურის ცოდნა სხვათა შორის იმითაც მტკიცდება, რომ მას მოყვანილი აქვს მონღოლების წელთაღრიცხვის კჳნკლოსის მონღოლური სახელები და მათი მნიშვნელობა. კჳნკლოსი „ესე ათორმეტ წლად გააწევს, რომელსა უწოდენ სახელსა ესრეთ: «ყურყუნჯილ, უქ[უ]რჯილ, ფარსანჯილ, თავლინჯილ, ლუინჯილ, მორინჯილ, ყო[ი]ნჯილ, მეჩინჯილ, თადანჯილ, ნოხინჯილ, ყაყარჯილ". ესე არს სახელი ათორმეტთა ცხოველთა, რომელთა მისცეს მთავრობა თჳთოსა წლისა თჳთოსა პირუტყვსა, რომლისა პირველად თაგუ-ყვეს ყურყუნჯილ, რომელ არს თაგუ, მერმე ზროხა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გველი, ცხენი, ცხოვარი, ყაპუზუნა, ქათამი, ძაღლი, ღორი"-ო (*732, გვ. 551).

სცოდნია მას მონღოლური ენაცა და „წიგნი"-ც, ამასთანავე სარწმუნოება და ზნე-ჩვეულებანი, მონღოლური საბუთებიც წაკითხული ჰქონია. ჩვენს ისტორიკოსს მოთხრობილი აქვს, რომ მონღოლებს „აქუნდა წესად ერთისა ღ~თისა თაყუანისცემა, რომელს თენგრი უწოდეს ენითა მათითა და წიგნთა თავსა ესრეთ დამწერელნი: «მანქუ თენგრი ქუჩუნდურ», ესე არს «უკუდავისა ღ~თისა ძალითა"-ო (*732—733, გვ. 552).

ჩვენს ჟამთააღმწერელს თავის თხზულებაში ერთს ალაგას მონღოლური ლექსიც-კი აქვს მოყვანილი. მონღოლთა მხედართ-მთავარი ჭემესის მახლობლად ომის ამბავს უცდიდა და „ნადირობასა და ლაშქართა ყოფასა ამისვისა მომლოდებასა აბაღა იხილა თათარი ვინმე ლტოლვილი (დამარცხების შემდგომ). ხოლო მან კითხულმან ყოველივე ლექსთა მიერ შეწყობითა წარმოუთხრა ენითა მათითა თვითეულისა მთავრისა შედარება,—ალიყანისთჳს თქუა: „ვითარცა მაღლით მომავალი შავარდენი მოუკდა, მანგუდემურ კერძსა მიემზგავსა, სირმონის შვილი ებაკან მხტომელსა ვეფხსა და იასო-

ბუღა მოზვერს ბუღა-კამბეჩსა“. ხოლო ქართველთა მეფისათჳს ესრეთ თქვა ენითა მათითა: «თენგარი მეთუ ქაურქურბა ბუღარ მეთუ ბუილღაჯი». ესე იგი არს: «ვითა ღ˜თი გრგვინვიდეს, ვითა აქლემი ბუღრობდეს ქართველნი» (*886, გვ. 728). იმდროინდელი მონღოლური პოეზია და სიტყვიერება შენახული არ არის, რომ შევადარებია ჩვენი ავტორის ლექსი; მაგრამ ცნობილია, რომ მონღოლები საზოგადოდ გალექსილ სასაუბრო პოეზიაში ამგვარი მიმსგავსებათა დიდი მოყვარულნი ყოფილან. ეს სხვათა შორის მონღოლურ თხზულებითგან „ალტან ტობჩი“-თგანაცა სჩანს, სადაც ჩინგიზ ყაენის სიტყვაც ლექსად არის მოყვანილი და თვით ამ ლექსშიაც იმგვარივე პოეტური მიმსგავსებანიც მოიპოვება, როგორც ქართველ ისტორიკოსის მიერ მოყვანილს ნაწყვეტშია: „მტრებზე დაცემისა და ნავარდობის დროს მიუხდით შავარდენსავით, შეტაკების დროს მტრებს მიმინოსავით დაათვრინდით, შეუტიეთ მშიერ ვეფხსავით, გამძვინვარებულ „ბურგუგ“-სავით“ (იხ. **Алтанъ Тобчи** თარგმანი ლამა გალსან გამბოევისა, გვ. 130—131).

ალბად ქართველს ისტორიკოსს მონღოლური საისტორიო თხზულებები ჰქონია ხელთა, როცა თავის თხზულებასა სწერდა. მაგრამ მონღოლურს გარდა თუ ოვით უიღურული ენა არა, უიღურთა შესახებ ისტორიული გადმოცემაც როგორც სჩანს ავტორს შესწავლილი ჰქონია, ერთგან ამბობს: „სარჩუ ვინმე იყო ემაურთა (ემირი?*) უიღურთა, რომელთა გვარისა საქმენი განსაკვრვებელ არიან, ვითა ზღაპარნი და არიანცა ზღაპარ და ცუდ, ამისთჳს უჯერო არს აწ თქმა“-ო ·(*735, გვ. 555).

ქართველ ისტორიკოსს მონღოლთა წელთაღრიცხვაც სცოდნია, ესმის მისი წესი და რიგი, გაუგია რა საფუძველზეა ეს აღრიცხვა დამყარებული და სცდილობს თანამედროვე მკითხველს ეს ქართველებისათვის უცნაური „წელიწადის სათვალავი“ გააგებინოს. მონღოლებმა „შექმნეს ქორონიკონის სახედ ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყვთა [და] ცხოველთა სახელსა ზედა და თვითოს პირუტყვს და ცხოველს თვითოსა წლის მთავრობა განუჩინეს, ვითარ ძუელ ოდესმე ელლინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდიაკთა, რომელ არიან ეტლნი: ეტლნი მზისა და მთვარისა. ამათ ეტლთა თვითეულთა მისცეს ოცდა ათ-ათი დღე. არა თუ ცხოველნი არიან, არამედ ზოდიანი. ეგრეთვე ამათ თვითოსა წელიწადსა მთავრობა განუჩინეს თვითოსა პირუტყუსა, რომლითა ათორმეტივე გათავთების, თავსავე დაიწყებს. ვითარ ათცხრამეტული, ცამეტური, ზედნადები, ზედექუსეული, რამეთუ ცხრამეტ წლად გააწევს და მერმე თავსავე დაიწყებს და ეგრეთვე ესე ათორმეტ წლად გააწევს და მერმე თავსა დაიწყებს... ესენი აქუნდეს წელიწადის სათვალავად, ვითა ჩუენა ქორონიკონი“-ო (*732, გვ. 550—551), ამბობს ისტორიკოსი.

*) თ˜ში ემურთა, ქ˜ცაში მთავარი; ემირი=امیر اولوص (И. Березинъ, Очеркъ внутренняго устроиства улуса Джучіе а, 57).

ჩვენს ავტორს რასაკვირველია სპარსულიც ეცოდინებოდა და სცოდნია კიდეც. მას მოყვანილი აქვს ერთი სპარსული წინადადება და თანაც მისი თარგმანი დაურთავს. მუჴლიდმა, რომელმაც მონღოლთა სარდალი ჩაღატა ღამე ფარულად წუთისოფელს გამოასალმა, თავი გამოჴუო „ლერწმოანითგან", სადაც დამალულიყო მკვლელობის შემდგომ და სისხლიან ლახვრითურთ ხელში მიუახლოვდა თათრებს და მიაძახა: „«მენ ქუშტამ ჩაღატარ», რომელ არს ენითა სპარსულითა, «მე მოვჰკალ ჩაღატარ" (*790, გვ. 626).

თუმცა ჩვენს „ჟამთააღმწერელს" წინანდელი საისტორიო თხზულებები აქვს ხელთა, მაგრამ წყაროებით განურჩევლად კი არ სარგებლობს, მონურად-კი არ იმეორებს ყველაფერს, რასაც მისი წინამორბედნი ამბობდნენ, არამედ კრიტიკულად განხილვის შემდგომ. აი, მაგ. რასა სწერს იგი ულუ და ნარინ დავითების გამეფებაზე: „ხოლო მოწევნულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხვა ვინმე ყოველთა-აღმწერელი იტყვს, ვითარმედ ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გაუყვნა ესრეთ გაბჭობით, რომელ მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ და ესრეთ წარმოავლინა. და რუსუდანის ძე დავით მაშინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხაზეთს. და მე არ შევიწყნარებ ამას: პირველად, რომ ყაენმა მან არა გაუყვნა... და მეფობა ორთავე განგუ ყაენის შვილმან ყუბილა ყაენ მოსცა და ულუ ყაენისა წარმოავლინა და მანცა ორთავე დაუმტკიცა მეფობა და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ. რომელ მრავალი სიგელი იპოვების და თვთ მე მინახავს, რომელ სიგელსა თავსა სწერია: «მეფენი ბაგრატოვანნი და ნებითა ღ˜თისათა დავით და დავით» და კელიცა ორთავე რთავს: «ჩემ დავითისაგან მტკიცე და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს»" (*809, გვ 652). მაშასადამე ავტორი თავის წინამორბედთა თხზულებებს აკვირდებოდა და როცა იქ მოქცეული ცნობები უტყუარს საბუთებს „სიგლებს" ეწინააღმდეგებოდა, არ „შეიწყნარებდა" ხოლმე.

ყურადღების ღირსია, რომ ჩვენს ისტორიკოსს ამ შემთხვევაში „შეუწყნარებლობის" საბუთებიც მოყვანილი აქვს: „მრავალი სიგელი", რომელნიც „თვთ მე მინახავს"-ო, და რომელთაც მეფეთა „კელიცა ორთავე რთავს"-ო. მაშასადამე ისტორიულს სიმართლეს იგი დედან-საბუთების ცნობებისდა მიხედვით არკვევს. ხოლო ეს უკვე საისტორიო კრიტიკის მეთოდის ჩანასახია და ქართულს მწერლობაში ეს კრიტიკული მეთოდი პირველი ცდა არის.

უფრო მეტის სიმკაცრითა და უნდობლობით ეპყრობა ქართველი ისტორიკოსი „უიღურთა კვარისა" საქმეებს, რომელთა აღწერილობაც მას ხელთა ჰქონია. იგი დაცინვით გაიძახის: „განსაკვირვებელ არიან, ვითა ზღაპარნი, და არიანცა ზღაპარ და ცუდ, ამისათვს უჯერო არს აწ თქმა"-ო (*735, გვ. 555).

ხალხურ ზღაპრებს, „გვართა საქმეებზე“ ზეპირ-გადმოცემას, საგმირო პოეზიის ნაწარმოებებს ჩვენი ჟამთააღმწერელი მაშასადამე ისტორიისათვის დამამცირებელად და უჯეროდა სთვლიდა.

ასეთ მკაცრი მსჯელობის შემდგომ პირდაპირ გასაოცარია, როგორ მოხდა და როგორ შეიტანა მანვე თავის თხზულებაში ის მართლაც-და „ზღაპარნი“, რომელიც მოთხრობილია ლაშა-გიორგის ძისადმი ხაროში მყოფ გველების სიყვარულის შესახებ, ან სამფეხა ცხენზე სამი დღე და ღამე ჭენება, ან კიდევ ადამიანთა ძაღლურ ყეფისაგან გარემოცულ ქალაქის ზღუდეების ორგან განრღვევა და დაცემა (იხ. აქვე გვ. 199)? ამიტომ უნებლიედ ეჭვი ებადება მკვლევარს, მერმინდელ გადამწერის ჩამატებული ხომ არ არის ეს ადგილები?

სხვა ქართველ ისტორიკოსებსავით „ჟამთააღმწერელსაც“ თხზულებისათვის წინდაწინ შედგენილი გეგმა ჰქონია. ეს ზემომოყვანილ (გვ. 194—195) ცნობებითა მტკიცდება და ამას გარდა იმითაც, რომ ავტორს არას დროს არ ავიწყდება, სად რა უნდა სთქვას და ხშირად წინდაწინვე გვატყობინებს რასაც ქვემოდ მოგვითხრობდა: „ესე აქამომდე იყავნ“-ო, ხოლო როცა მოთხრობის საგანს ათავებს, იგი აცხადებს: „აწ ვახსენოთ მცირედ შვილთა-თჳსთა-ცა ჩინგის ყაენითა“-ო (*736, გვ. 557). მართლაც მოთხრობა მოკლეა და შემდეგი წინადადებით ბოლოვდება: „ხოლო სხუათა უკანასკნელ ვაკსენოთ“-ო (*737, გვ. 558). ერთგან ჩვენი ისტორიკოსი ამბობს: „საქმენი სარგისისნი ზემორ აღგჳწერია და შემდგომად ვაკსენოთ [ძე მისი ბექა]“-ო (*874, გვ. 718).

თუ რომ რაიმე მიზეზის გამო იგი იძულებული იყო თხრობის პირდაპირი მიმდინარეობისათვის გადაეხვია და წინა ნაამბობი შეეწყვიტა, მორჩებოდა თუ არა ამ ახალ საგანზე წერას, ყოველთვის მკითხველს საგანგებოდ მოაგონებდა ხოლმე, რომ თავის შეწყვეტილ მოთხრობას კვლავ უბრუნდება: „ზემოდატევებული ამბავი აღმართ-მაბიჯებელთა კვალად ვიწყოთ“-ო (იქვე, *756, გვ. 582). ან კიდევ „ესე აქამომდინ იყავნ, ხოლო ჩუენ დაშთომილისა სიტყვსა მიმართ აღვიდეთ“, (*777, გვ. 609), „ხოლო ჩუენ პირველსა[ვე] სიტყუასა აღვიდეთ“-ო (*785—786, გვ. 620), „ხოლო ჩუენ პირველივე სიტყუა მოვიკსენოთ“-ო (*808, გვ. 650), „ხოლო ჩუენ, გზისა მცირედ გარდამაბიჯებელნი, კვალად მოგზაურ ვიქმენით“-ო (*851, გვ. 696), „ხოლო ჩუენ ზემოკსენებულისა აჰმადის მიმართ აღვიდეთ“-ო (*889, გვ. 731), „ხოლო ჩუენ პირველ გზა აღვლოთ, მცირედ კერძო გარდამაბიჯებელთა“-ო (*906, გვ. 747).

ქართველ ჟამთააღმწერელის ღირსებას მისი მიუდგომლობა და პირუთვნელობა შეადგენს. იგი მაგ. საქართველოს მტრების ღირსებას,—ჯალალედდინისა, რომელმაც დიდი ცოდვა დაატრიალა ჩვენს ქვეყანაში და მონღოლებისას, საქართველოს განმაოხრებელთა,—სასიქადულო თვისებებს მაინც

არა ჭმალავს, პირიქით ყოველთვის დიდის პატივისცემით იხსენიებს ხოლმე მათ. თუმცა ამასთანავე იმ საშინელ აოხრებასაც, რომელიც მონღოლების ბატონობას მოჰყვა, არ ივიწყებს და საუცხოვოდ ასურათებს. საგულისხმიეროა, რომ საქართველოს ამამტუტებელის ჯალალედდინის სიკვდილის აღწერის დროს მას არც წყევა-კრულვა, არც სხვა რამ განსვენებულისათვის საძრახი სიტყვა წამოსცდენია, არამედ დიდის ღირსებით, თითქოს სინანულითაც-კი ამბობს: „მოიკლა კაცი იგი მაღალი და საკელოვანი კელმწიფე ვინ[ა] დაუდგრომელ არს მინდობა სოფლისა ამის ამაოსა"-ო (*762—763, გვ. 591). ამგვარადვე გულწრფელად აქებს ჩვენი ისტორიკოსი მონღოლების მაღალ ზნეობრივ თვისებებს: „ტყუვილი სიტყვა ყოვლადვე არ იყო მას შინა, არა თვალახვნანი პირსა კაცისასა, არცა დიდსა არცა მცირესა და უმეტეს საბჭოთა შინა, რამეთუ კეთილნი წესნი ეპყრნეს ჩინგის ყაენისაგან განჩენილნი"-ო. (*731, გვ. 549).

ქართველ ისტორიკოსის მტერთადმი პირუთვნელობა აიხსნება იმით, რომ საქართველოს იმდროინდელ დაცემისა და უბედურების მიზეზად მარტო გარეშე მტრებს-კი არა სთვლიდა, არამედ უმეტესად ქვეყანისა და მკვიდრთა შინაურ ცხოვრების მრავალს ნაკლულევანებას, მთავართა განცალკევებულსა და შეუზრახებელ მოქმედებას, საზოგადოებრივ აზრის დაძაბუნებას და ზნეობის დაცემას და სხვას.

საზოგადოდ ჟამთააღმწერელის თხზულება შინაარსიანი ნაწარმოებია და თვით მოთხრობის ასპარეზიც ფართოა: იქ საქართველოს მარტო პოლიტიკური თავგადასავალი-კი არ არის აღწერილი, არამედ სახელმწიფო ცხოვრება და წესწყობილებაც ცხოვლად არის დახატული, მრავალი ძვირფასი ცნობები მოიპოვება მოხელეობისა და მართვა-გამგეობისა, გადასახადებისა და ბეგარისა, მეხარკეობისა და მელაშქრეობისა, მცხოვრებთა რაოდენობისა და მოძრაობის შესახებ, საეკლესიო საქმეებიც, ქვეყნის ზნეობრივი მდგომარეობაც, შინაური საცოლქმრო ვითარებაც საკმაოდ არის დასურათებული. ჩვენი ავტორის ისტორია აუარებელს ცნობებს შეიცავს და მისი ღირსება იმიტომ უფრო ორკეცდება, რომ მე-XIII-ე საუკ. საბუთები ცოტაა შერჩენილი და ბევრს შემთხვევაში ეს თხზულება მკვლევარისათვის ერთად-ერთი წყაროა.

მაგრამ ჩვენს ისტორიკოსსაც ბევრად უფრო მეტი სცოდნია, ვიდრე მოთხრობილი აქვს. ხშირად იგი თავის მოთხრობას განგებ ამოკლებს, რომ თხზულება მეტის მეტად არ გაგრძელებულიყო. მონღოლების შესახებ იგი მაგალითად ამბობს: „კეთილნი წესნი ეპყრნეს ჩინგის ყაენისაგან გაჩენილნი, რომელთა თვითეულად წარმოთქმა გძელ არს"-ო, (*731, გვ. 549). იკონიის წინ მომხდარ ბრძოლის შესახებ ნათქვამია: „კართა ქალაქისათა იქმნა ომი ძლიერი, რომელი თვთეულად არა არს ჟამი მოთხრობად"-ო (*732, გვ. 603—604). ყაენმა რომ პაპა სარგის ჯაყელი, ციხისჯვარელი და მეფე

განდგომის თავობაზე გამოსაძიებლად დაიბარა „განმრავლდა სიტყვა მათ შორის და მრავალგვარად უბნობა, რომელთა არა არს ჟამი თქმად და წერად“-ო (*839, გვ. 684). ჩვენი ავტორი საზოგადოდ შიშობს, „რათა არა განგრძელდეს სიტყუა“ (*844, გვ. 690) და „არ გავამრავლოთ სიტყუა“-ო (*879, გვ. 723). იგი ცდილობს, რომ თავისი აღწერა შეამოკლოს და ამბობს ხოლმე: „თვითეულად არა არს ჟამი მოთხრობად“ (*846, გვ. 691) ან არა და „შეუძლებელ არს მოთხრობად თვთეულისა“-ო (*905, გვ. 747).

ჩვენი ჟამთააღმწერელის თხზულება, როგორც ირკვევა, სანდო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს. ამის დამამტკიცებელი მრავალი ცნობები ქ͠ლ ერის ისტორიის მესამე წიგნში იქმნება თავმოყრილი, აქ მხოლოდ ორიოდე მაგალითს მოვიყვან. მაგ. ქართველ ჟამთააღმწერელის აზრი, რომ ულუ დავით და დავით ნარინი „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა“, იმ საბუთებს გარდა, რომელიც თვით მას აქვს მოყვანილი, სხვათა შორის აბელიას საყდრის მე-XIII-ე საუკუნის წარწერითაც მტკიცდება, სადაც ნათქვამია: „ქ. ადიდენ და და[ა]მყარენ ღმერთმან მეფენი ჩუენნი დავით და დავით“-ო (იხ. ე. თაყაიშვილის **Археологическія экскурсіи, вып. II, 16**).

შემდეგ ერთგან ჩვენს ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: „ნიკოლოზ კათალიკოზი განრისხებული უთქმიდავე და ამხილებდა (მეფე დიმიტრის) მრავლად და ვერ არწმუნა, დაუტევა კათალიკოზობა და კელითა თავისითა აკურთხა ჯუარის მტვირთველი მეფისა აბრამ კათალიკოზად“ (*887, გვ. 730). ეს აბრამი მართლაც დიმიტრი თავდადებულის თანამედროვე „მღდელი და ჯვარის მტვირთველი“ ყოფილა: მას 1278 წელს გუდარეხის მონასტრის მშვენიერი სამრეკლო აუშენებია, როგორც იგი თვით ამ სამრეკლოს კედლის წარწერაში მოგვითხრობს: „ადიდენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი მეფეთ მეფე დიმიტრი, მე მიწაჲ მეფობისა მათისაჲ უღირსი მღდელი და ჯვარის მტვირთველი აბრაჰამ ღირს ვიქმენ აღშენებად სამრეკლოთა ამათ... ქ͠კსა უჟ͠ (ე. თაყაიშვილის **Археологическія экскурсіи II, 33**).

„ძეგლი ერისთავთა“.

„ძეგლი ერისთავთა“ თავისებურ საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს და ქართულ საისტორიო მწერლობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. თუ ჩვენ აქამდის ჩვეულებრივ საქართველოს მხოლოდ საერთო საისტორიო წყაროები გვქონდა ხელთა, ეხლა „ძეგლი ერისთავთა“-ს განხილვის დროს ჩვენ თვალწინ კერძო საგვარეულო მატიანე გვექმნება, რომელშიაც ქსნის

ერისთავთა გვარეულობის თავგადასავალი არის მოთხრობილი. უეჭვე-ლია ამგვარი საგვარეულო მატიანეები სხვაც ბევრი იქმნებოდა აღწერილი ქართულად. ერთ ამგვარ საგვარეულო მატიანეს არსებობის შესახებ („წიგნი მეფეთა ბაღუშისთა და ნათესავთა მისთა“) ცნობაც-კი არის შენახული მონღოლთა დროინდელ ქართველ ჟამთააღმწერელის თხზულებაში (მ˜მ დ˜ფსი ქ˜ცა გვ. 712).

ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში მხოლოდ ერთი საგვარეულო მატიანე მოგვეპოვება, რომელიც ეკუთვნის სუმბატ დავითის ძეს და „ცხორება და უწყება ბაგრატონიანთა“ ეწოდება (იხ. აქვე, 134—137). მაგრამ რაკი ეს მატიანე საქართველოს სამეფო საგვარეულოს ბაგრატონიანთა თავგადასავლის ამბავს შეიცავს, ამიტომ რასაკვირველია მას საზოგადო მნიშვნელობა ენიჭება. „ძეგლი ერისთავთა“-კი ნამდვილი კერძო საგვარეულო მატიანეა, რომელსაც საქართველოს მხოლოდ ერთ კუთხისათვის, ერთ ორ ხეობისათვის, განსაკუთრებით ქსნისა და მცირეოდენად არაგვის ხეობათა ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა ისიც იმიტომ, რომ ქვენიფნეველნი, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობაც არის „ძეგლი ერისთავთა“-ში აღწერილი, ქსნის ერისთავებად იყვნენ.

ეს თხზულება ეტრატის ხელთნაწერ სჯნაქსარში ყოფილა ჩართული და უეჭველია თავდაპირველად ლარგვისის მონასტერს ჰკუთნებია. დ. მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადაწერილი პირი მ. ბროსსესა ჰქონდა და იქიდგან მან ფრანგულად გადასთარგმნა და თავის Additions-ში დაბეჭდა (გვ. 372—384. Addition XXI. De l'origine des éristhaws du Ksan). ქართული დედანი ბროსსეს არ გამოუცია. პირველად თ. ჟორდანიამ დაბეჭდა თავის ქ˜კბის II წ. (გვ. 1—19) ამ თხზულების მეორე პირის პირისდა მიხედვით, რომელიც 1830 წელს ს. ქუეშს ყოფილა გადაწერილი (ქ˜კბი II, 19). თვით დედანი არსადა ჩანს.

როგორც თვით თხზულებასაც ეტყობა და უკვე ბროსსემაცა და თ. ჟორდანიამაც შენიშნეს, „ძეგლი ერისთავთა“ უნდა ლარგვისის მონასტრის რომელიღაც ბერის ან მღვდლის დაწერილი იყვეს. იქ მაგალითად ნათქვამია: „შალვა მოიყუანა ცოლად თვსთა მეფის ასული, სახელად ბირდი, რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის“-ო (ქ˜კბი II, 7). „მაშინ ვირშელმან ერისთავმან... შემოსწირა ეკლესიასა ამას სვნაქსარი ესე კეთილი“-ო (იქვე 10). „მაშინ ერისთავმა იოანე მასუფ კვირასა შინა იწყო შენებად ზემოჲსა ამის ეკლესიისა, რომელ სამ წელ აღაშენა“-ო (იქვე 13).

მემატიანეს აზროვნობა ვიწროა და ცალმხრივი: მისი თვალთა ხედვის ასპარეზი ქსნისა და არაგვის ხეობათა ამბებს ვერ გადასცილებია, ხოლო მოთხრობის ერთად-ერთ ღირსეულ საგნად მას ან სამხედრო მოქმედება და ომი მიაჩნია, ან ეკლესიათა აგება და შემკობა-გამშვენება. საქართველოს დანარჩენი და უმეტესი ნაწილი მისთვის თითქოს არ არსებობ-

და და სახელმწიფო-სამოქალაქო ცხოვრების ამბებისათვის ყური მოყრუებული ჰქონია. ამიტომ თითქმის ყოველ ფურცელზე და სტრიქონში ან ლაშქრობასა და ომიანობაზეა ლაპარაკი, ან მოხდომასა და თავდასხმაზე, ან ცარცვა-გლეჯაზე. აოხრებული და გადაბუგული სოფლები და ხეობანი, დანგრეული ციხეები, სისხლის ღვრა უწყალოდ და მცხოვრებთა ულმობელი დაწიოკება და წარტყვევნა იქაურ ყოველდღიურ ცხოვრების იმდენად ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, რომ ლარგველს მემატიანეს ამაზე მეტი სხვა თითქმის ვერაფერი უამბნია.

სამხედრო მოქმედებას გარდა მემატიანეს გულისყური მხოლოდ საეკლესიო შენობების აგებისა და შემკობისა, მღვდელმსახურთა პატივისცემისა და დასაჩუქრების ამბებისაკენ იყო მიპყრობილი. მას გულმოდგინედ აღნუსხული აქვს, თუ რომელმა ლარგველმა რა ხატი შეამოსინა და მოაჭედინა, ან ტაძარი ააშენებინა და მოახატვინა. მაგ. იგი ამბობს: ლარგველმა „შეჰქმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისა საზომითა ტანისა თვისისათა და მოსჭედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თეოდორესი და შექმნა ორი კანდელი და დაუკიდნა“ (ქ˝კბი II, 8). ერთ-ერთ ქვენიფნეველის შესახებ მემატიანეს ნათქვამი აქვს: „იყო კაცი... მოშიში ღვთისა და მოყუარე მღვდელთა... ამან აღაშენა ქუენიფნევს ეკლესია და დარბაზოვანი... ამან იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოჲთა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესია და შეკრიბნა მღვდელი და მონაზონი და პატივი სცა უუმეტეს ყოველთა ერისთავთა პირველთა და შემდგომთა“-ო (იქვე 10). ივანე ქვენიფნეველის სიქველე და სათნოებაც სხვათა შორის ასეა დახასიათებული: იგი იყო „მოშიში ღვთისა, მოყუარე მღუდელთა, პატივისმცემელი მონაზონთა, განმადიდებელ ეკლესიათა, შემამკობელ ხატთა“-ო (იქვე 11 იხ. აგრეთვე გვ. 13 და 17). ამგვარი ერთფეროვანი და ცალმხრივი დახასიათება ნათელ ჰყოფს მემატიანეს პიროვნებას, აზროვნებასა და მიმართულებას.

რაკი ხელთნაწერი დაზიანებული ყოფილა, მატიანეს სამწუხაროდ თავიც აკლია და ბოლოც. ეხლა მოთხრობა ქვენიფნეველ-ბიბილურთა ლარგვისში დასახლების ამბავით იწყობა, რაც მემატიანეს სიტყვით ვითომც ბიზანტიის კეისრის იუსტინიანეზე უწინარეს მომხდარ იყოს (იქვე გვ. 1—3). შემდეგ იუსტიანეს დროს ბიბილურთა გაერისთავების ამბავია აღწერილი (იქვე 3—4) და დავით ბაგრატოვანის მეფობაში გაერისთავთ-ერისთავებისა (იქვე 4). აქეთგან მოყოლებული მოთხრობის მიმდინარეობა უკვე ირღვევა და ხასიათი იცვლება. „შემდგომად იუსტინიანესა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატოვანი“-ო, ამბობს მემატიანე (იქვე 4). იუსტინიანე ბიზანტიის კეისარი იყო, დავით ბაგრატოვანი-კი ალბად საქართველოს მეფე უნდა იყოს. მემატიანეს-კი ისე აქვს ნათქვამი, თითქოს დავით იუსტინიანეს შემდგომ დამჯდარიყოს მეფედ. იუსტინიანე აქ ალბად ქრონოლოგიურ ცნობის მაგიერ აქვს აღნიშნული, მაგრამ რაკი არა სჩანს,

თუ რომელი იუსტინიანე არის ნაგულისხმევი პირველი თუ მეორე, ამიტომ ამ მხრივაც ეს ცნობა მაინც-და-მაინც გარკვეულ თარიღის მაგიერად ვერ გამოდგება.

საზოგადოდ ეტყობა რომ უძველეს ხანას შესახებ მემატიანეს მცირედი ცნობები ჰქონია, დავით ბაგრატოვანის შემდგომ ხომ აღარავითარი ცნობები არ მოეპოვებოდა. იგი მაგ. ამბობს „გარდაიცვალნეს მეფე-26-ნი და ერისთავნი 24-ნი და წელიწადნი არა-მცირედნი, მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე“-ო (იქვე 5). ამ ოცდა ექვს მეფისა და ოცდა ოთხ ერისთავის მოღვაწეობის და არა-მცირედ წელთა შესახებ მას მაშასადამე არავითარი საისტორიო მასალა არა ჰქონია და იმდროინდელი ქსნის ერისთავთა თავგადასავლისა და ნამოქმედარისა თითონაც არა სცოდნია-რა.

მხოლოდ ზემოაღნიშნულ ადარნასე მეფის დროითგან მოყოლობული დალაგებული საისტორიო მოთხრობა იწყობა (იქვე 5). რომელი ადარნასე მეფეა, არა ჩანს იმიტომ, რომ XIII ს., როდესაც მოთხრობისდა მიხედვით უნდა მას ეცხოვრა, ამგვარი მეფე საქართველოში ცნობილი არ არის. დადიანისეულს ქ˜ცაში ამ ადარნასეს გამეფების თარიღად 1220 წ. არის დასახელებული (ქ˜ბი II, გვ. 5, შენ. 8), მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ დროს საქართველოში ადარნასე კი არა, ლაშა-გიორგი მეფობდა. თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ შესაძლებელია ქრონიკონი მერე იყოს ჩაკერებული და თვით სახელი ადარნასე ვახტანგ III-ის მეტი სახელი იყოსო (იქვე); მაგრამ ესეც საეჭვოა იმიტომ, რომ როგორც „ძეგლით“-განა სჩანს, ადარნასეს შვილსა რქმევია ვახტანგი (იქვე) და ძნელი დასაჯერებელია მამასა და შვილსა ერი-და-იგივე სახელი რქმეოდეთ.

მაშასადამე ადარნასე მეფითგან მოყოლებული, თუმცა დაახლოვებით, მაინც ხანის გამორკვევა შეიძლება და მონღოლთა-დროინდელ „ურდოობას“ გვისურათებს. მაგრამ „ძეგლის“ ამ ადგილისაც უფრო ზედმიწევნით ქრონოლოგიურად განსაზღვრა ჯერ-ჯერობით ძნელია: ამისათვის განსაკუთრებული კვლევა-ძიება არის საჭირო.

ურდოობის მოთხრობა თითქმის შეუწყვეტლივ მიმდინარეობს და მე-XV-ე ს. დამდეგის ამბებზე სწყდება (იქვე 17—18), თემურ ლენგის შემოსევის შემდგომ მომხდარ ამბების მოთხრობით.

რაც უფრო მემატიანე მოთხრობის უკანასკნელ ნაწილს უახლოვდება, თვით აღწერილობაც უფრო და უფრო ვრცელი და ცხოველი ხდება. აქ მოთხრობილის სიმართლის დამტკიცებაც სხვა და სხვა საბუთებით შეიძლება, როგორც მაგ. ვირშელ ერისთავის შესახებ, რომელიც „ძეგლში“ 1396 წ. არის მოხსენებული (იქვე გვ. 15) და მართლაც მცხეთის ერთს 1398 წ. სიგელს ხელს აწერს (ქ˜ბი II, 202—203), განსაკუთრებით-კი თემურ ლენგის შემოსევის შესახებ (შეად. „ძეგლი“ გვ. 15—16 და ღარგვისის პარაკლიტონის ცნობა ქ˜ბი II, 204—205).

აქა-იქ ამ მატიანეში (ქ˝ები II, 11 და 15) თარიღებიც არის მოყვანილი, მაგრამ ჩვეულებრივ მთელს მოთხრობაში ქრონოლოგიური ცნობები იშვიათია. ზოგჯერ წელთა რაოდენობა აღნიშნული არის, მაგ. ერთგან ნათქვამია „მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაძმის-კეველთა ბიძა მისი ცხრა წელ“ (იქვე 10), ხოლო მეორეგან სწერია: „მეორესა წელსა მოუხდეს ყოველნი დვალნი“-ო (იქვე). სხვაგან მეტი არავითარი თარიღი არ მოიპოვება და ეს გარემოება „ძეგლის“ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

თვით მატიანეს მოთხრობა ერთფეროვანია და თვითოეული ახალი ცნობა იწყობა ან სიტყვით „მაშინ“, ან არა და „მას ჟამსა“. თავითგან ბოლომდის მოთხრობა ამ გვარად არის აგებული და ყოველს „მაშინ“-სა და „მას ჟამსა“-ს რამდენიმე „ხოლო“ მოსდევს ხოლმე.

ვიწროდ არის შემოფარგლული მატიანეს თვით მოთხრობაც: ქსნის და მცირეოდნად არაგვის ხეობათა ყოფა-ცხოვრების გარეშე, როგორც უკვე ნათქვამი იყო, მემატიანესთვის თითქმის არა არსებობს რა და ამის გამო მატიანე ცოტა არ იყოს მოსაწყენია, როგორც ერთფეროვანი და მოსაწყენი უნდა ყოფილიყო საქართველოს ამ მიყრუებულ ადგილების იმდროინდელი ცხოვრება. მაგრამ რასაც მემატიანე მოგვითხრობს ხოლმე, სამხედრო ამბებს მაინც თავისებური სიცხოველე აქვს და მაშინდელ ცხოვრების ამ დარგის ვითარებას მკაფიოდ გვისურათებს. მუდმივი ქიშპობა და შუღლი ორ ხეობას შორის, ერთმანერთთან შეხლომა და თავდასხმა, მოთხრობა მუდმივ აოხრებისა და ცარცვა-გლეჯის შესახებ ნათლად წარმოუდგენს მკითხველს ქსნისა და არაგვის ხეობათა ყოფა-ცხოვრების სურათს. მკვლევარი ვერსად სხვაგან, არც ერთს სხვა ქართულ საისტორიო წყაროში ამის შესახებ ცნობებს ვერ იპოვის. ამიტომ ვისაც ამ მხრივ ქართველ მთეულთა იმდროინდელი მდგომარეობის შესწავლა სურს, ვისაც ცნობების შეკრება სწადიან ეთნოგრაფიულ და საზოგადოებრივ მოძრაობისა და ბრძოლის შესახებ ამ კუთხეში, ვისაც ფიქრად აქვს დვალ-ქართველთა შორის გამწვავებული ბრძოლის ვითარება შეისწავლოს და მათ მოსახლეობის გამოსარკვევად საჭირო მასალები შეაგროვოს ან გამოარკვიოს თუ რა დამოკიდებულება და ბრძოლა არსებობდა ერისთავთა და ადგილობრივ მკვიდრთა შორის,—მისთვის „ძეგლი ერისთავთა“ თითქმის ერთად-ერთი შინაარსიანი წყარო იქმნება. ამ მხრივ მას თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და არას დროს არ დაეკარგება.

მაგრამ ლარგვისის მონასტრისა და ქსნის ხეობის სხვა ადგილების ხელთნაწერები და ნაშთები ცხადად მოწმობენ, რომ ქსნის ხეობის წარსული ცხოვრების მთელს შინაარსს მარტო ბრძოლა, ომი და ცარცვა-გლეჯა არ შეადგენდა, რომ თუმცა ისე ძლიერად არა, მაგრამ ქართულ სულიერ და ნივთიერ კულტურის მაჯისცემა აქაც მაინც ისმოდა. მაშასადამე მკვლევარს უნდა ახსოვ-

დეს, რომ „ძეგლი ერისთავთა" თავისებურ ღირსებისდა მიუხედავად მაინც ქსნისა და არაგვის ხეობათა იმდროინდელ მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების სრული სურათი არ არის.

სასურველია, თუ დედანი არ აღმოჩნდა, ამ თხზულების მეღვინეთხუცესიშვილის მიერ გადაწერილი პირი მაინც მოიძებნოს და ეს „ძეგლი" ხელმეორედ შესაფერისად გამოიცეს.

„ცხოვრება ბაგრატ მეფობისა" (sic).

„ქართლის ცხორების" გამასწორებელ და შემავსებელ კომისიის წევრები ერთგან გადაჭრით აღიარებენ: გიორგი V-ის ბრწყინვალეს ისტორია-კი ყოფილა დაწერილი, „ხოლო ძისა მეფისა გიორგისა, მეფისა ბაგრატისა რადარა წერებულიყო ვიდრე მეფის გიორგის ძის ბაგრატისამდე", არც „მეფის ალექსანდრესა და ძისა მისისა, მეფისა კონსტანტინესი, და შემდგომი" მეფეთა ცხოვრება და თავგადასავალი იყო აღწერილიო. ერთი სიტყვით ვახტანგ მეფის „სწავლული კაცნი" აცხადებენ, რომ თავის დროზე მხოლოდ „ბაგრატისა და ძისა მისისა კონსტანტინესი დაეწერათ და ვპოვეთ ძველთა წიგნთა შინა"-ო (მ. ჯანაშვილი. ნაშრომი გვ. 18 და ე. თაყაიშვილი Опис. II, вып. I, გვ 120). მართლაც ქ^ცის შემასწორებელ-შემავსებელნი თავიანთ ნადვაწ შრომაში ამ თხზულებას რამდენჯერმე იხსენიებენ. ბაგრატ მეფის ისტორიის წინ მაგ. ისინი სწერენ: „თუ რაცა იქმნა ჟამსა მას, ანუ რა ქმნა მეფემ ბაგრატ, ანუ რაცა იქმნა, ყოველივე ძველის ქართლის ცხოვრებიდამე (sic) აღვიწერია"-ო (მ. ჯანაშვილი, ნაშრომი გვ. 36). ამ განცხადებითგანა სჩანს, რომ ქართლის ცხოვრების ზოგიერთ ხელთნაწერებში ოდესღაც საქართველოს ისტორია მარტო გიორგი ბრწყინვალეს მეფობით-კი არა თავდებოდა, არამედ ბაგრატისა და კონსტანტინეს მეფობაც მოთხრობილი ყოფილა და ამით უფრმე თავდებოდა. ჩვენ ვიცით, რომ მარიამ დ^ფლ ქ^ცას მაგალითად გიორგი ბრწყინვალეს ისტორიაც-კი აკლია და მარტო მისი დასაწყისია შერჩენილი.

„სწავლულნი კაცნი" მოწმობენ, რომ ბაგრატ მეფის ისტორია „ძველ ქართლის ცხოვრებაში" ყოფილა შენახული. როგორ და რა სახით? ამის შესახებაც შენახულია მცირედი ცნობა. თავის შრომის ერთს ადგილას იგივე პირები აცხადებენ: ეს-და-ეს „თუით ძველად ნაწერი რომელიმე ვპოვეთ კონსტანტინეს ცხოვრება"-ო (იქვე 44). მაშასადამე ისტორია ცხოვრების სახით ყოფილა აწერილი: სათაურადაც ალბად ექმნებოდა „ცხოვრება მეფისა კონსტანტინესი". ამგვარივე ხასიათისა იყო ალბად ბაგრატის ისტორიაც. როგორც

სჩანს, ორივე თხზულება „ძველ ქ˜ცა“-ში ცალკე ყოფილა შეტანილი, როგორც ცალკე ნაწარმოები, იმნაირადვე როგორც მაგალითად „მ˜შ დ˜ფს ქ˜ცა“-შია შენახული სუმბატის თხზულება, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიები.

სამწუხაროდ ეხლა არც ეს ორი „ცხოვრება“-ღა ბაგრატისა და კონსტანტინესი მოიპოვება: ჯერჯერობით მაინც ამგვარი ნაწარმოები არ არის ცალკე წიგნად აღმოჩენილი. თვით კომისიას, ეტყობა, ეს ორი თხზულება თავის შრომაში მთლიანად არა აქვს შეტანილი, თუმცა კი მოსალოდნელი იყო და ვინც მათ თხზულებაში ბაგრატის მეფობის აღწერილობის სათაურს წაიკითხავს შეიძლება იფიქროს კიდეც, ვითომც „ცხოვრება“ იქ სავსებით ყოფილიყოს შეტანილი. მაგრამ ზემოაღნიშნულ ორ თხზულებით ქ˜ცის შემავსებელთ მხოლოდ უსარგებლნიათ და თვით ნაწარმოებნი-კი თავიანთ შრომაში მთლიანად არ ჩაურთავთ. ამას მათივე საკუთარი სიტყვები გვიმტკიცებენ. კონსტანტინეს ცხოვრების ბოლოს „სწავლულ კაცთ“ ნათქვამი აქვთ, „ესე მეფე კონსტანტინე იყო ძე ბაგრატისი და იმეფა ამანცა კეთილად, ვითარცა ცხოვრება მისი მოგვითხრობს“-ო (იქვე. 41).

ყურადღების ღირსია, რომ ბაგრატის ისტორიისათვისაც ავტორს, როგორც ეტყობა, წინანდებურად „ცხოვრება“ უწოდებია—„ცხოვრება ბაგრატის მეფობისა (sic)“ (იქვე 36).

ბაგრატისა და კონსტანტინეს მეფობათა ისტორია ერთად არის შეტანილი ქ˜ცის გაგრძელებაში და მ. ჯანაშვილისეულ ქ˜ცის ხელთნაწერში. სათაური მხოლოდ ბაგრატის მეფობასა აქვს: „სახელითა ღვთისათა ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატის მეფობისა“ (მ. ჯანაშვილი. ნაშრომი 36).

ორისავე მეფის ცხოვრებათ შესავალი და დასაწყისი უეჭველია უნდა აკლდეს. ერთისაცა და მეორის მეფობაც თანამედროვე კათალიკოზთა შესახებ ცნობებით იწყობა: „იყო მეფობასა შინა მეფეთ მეფისა ბაგრატისასა კათალიკოზი დავით“ (იქვე 36),—„დაჯდა მის წილად ძე მისი კონსტანტინე ქრისტეს აქათ: ჩუზ: ამას ჟამში იყო კათალიკოზი დავით“ (იქვე, 38). საეჭვოა რომ ისტორიკოსს მეფეების ცხოვრების აღწერა ერთბაშად კათოლიკოზების ხსენებით დაეწყო. თვით შინაარსიც შემოკლებული უნდა იყოს.

ვინ ყოფილან ამ ორი თხზულების ავტორები, არა სჩანს. ვგონებ სიმართლესთან უფრო ახლო იქნებოდა გვეფიქრა, რომ ორისავე „ცხოვრების“ ავტორი ერთი და იგივე იყო, რადგან ორსავ თხზულებას ერთგვარი თვისებები აქვს: ერთგვარ ენით არის ნაწერი, ერთი აზრით არის გამსჭვალული. სწორედ უკანასკნელი გარემოება ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თუმცა ავტორის ვინაობის შესახებ თვით თხზულებაში არავითარი ცნობა არ მოიპოვება, მაგრამ მაინც ალბად ან ბარათიანთ გვარისშვილი უნდა ყოფილიყო, ან მათი ყმა-კაცი. ამას მოწმობს ორისავე მეფობის მოთხრობის

კილო და შინაარსი: თითქმის ყველგან და ყველაფერში ავტორის სიტყვით ისე გამოდის თითქოს ბარათიანნი რომ არა ყოფილიყვნენ საქმე უეჭველად დაიღუპებოდა. მუდამ ცოტა არ იყოს საგვარეულო თავმომწონეობა და ტრაბახი გამოსჭვივის: „დიდად ერთგულად და კარგად იყუნენ ბარათასშვილნი: იგინივე წარყუნეს თანა და მსახურეს“ კონსტანტინესა, სხვებმა ვერავინ გაბედაო (იქვე, 37). „იწყინეს ბარათიანთა“-ო (იქვე 39), „არა იყო ღონე წაღებისა ციხისა, რამეთუ მხარი ბარათიანთგან ჰქონდა“-ო (იქვე, 40), „თუმცა ბარათიანთა არ გამარჯვებოდა, ძალად ქალაქსაც წაართმევდენ და ქართლსაც შემოეჭიდებოდენ: ამას ზედან იჳრიანა ღმერთმან, წყალობით მიხედნა ბარათიანთა გაჭირვებასა: და მას უკანით თათართა ძალი ვეღარა უკადრებია და არცა რბევა: გატყდეს და შეშინდეს“-ო (იქვე, 41). ცხადია, ამ თხზულებაში ბარათიანთა მოქმედება გადაჭარბებით არის ნაღიდები და მთელი ქვეყნის ისტორია თითქმის ბარათიანთ გმირობის ისტორიად არის გამოყვანილი. ხოლო ეს რასაკვირველია ან თვით ბარათაშვილს ვისმეს შეეძლო, ან მათ ყმას.

თანამედროვე იყო ისტორიის ავტორი თუ არა, ამ საკითხის გადაწყვეტა ძნელია იმიტომ, რომ ქ̃ცის გაგრძელებაში შეტანილ „ცხოვრება“-ს ამგვარ საკითხის გამორკვევისათვის საჭირო ცნობები არა სჩანს, ხოლო შეიძლება თვით დედანში ყოფილიყო. მხოლოდ ერთი წინადადება ისეა ნათქვამი, რომ თითქოს ავტორი ომის მონაწილე უნდა ყოფილიყოს, მაშასადამე თანამედროვეც. ერთ ბრძოლის შესახებ „ცხოვრება“-ში ნათქვამია: „ჩვენ ქართველთაგანი ერთისა თურმანიძის მეტი არა დაგვაკლდა: იგიცა ჯარმან ფეხითა გაიტანა“-ო (იქვე 41). მაგრამ ამნაირ სიტყვების დაწერა მარტო თანამედროვესა და მონაწილეს-კი არ შეეძლო, არამედ ყვითეულ ქართველს უფლება ჰქონდა, თუნდაც მერმინდელ დროს მცხოვრებს, თავისი აზრი ასე გამოეხატა.

ამასთანავე ქ̃ცის გაგრძელებაში შეტანილ „ცხოვრება“-ში კოსტანტინე ბაგრატის შვილად არის დასახელებული (იქვე, 38). ვიდაცას, როგორც ე. თაყაიშვილმა განმარტა 1779 წელს, არშიაზე სხოლიოში შეუნიშნია: „ეს გიორგი მეფის ძე იყო და არა ბაგრატისა“-ო (იქვე, 38 და ე. თაყაიშვილის Опис. II, вып. I. გვ. 120 და 124), და ვგონებ სამართლიანად. ხოლო ავტორი რომ თანამედროვე ყოფილიყო, შეუძლებელია ამგვარი მძიმე შეცდომა მოსვლოდა. ან არა და უნდა ვიფიქროთ, რომ დედანში იმის შესახებ, თუ ვისი შვილი იყო კოსტანტინე, არაფერი ყოფილა ნათქვამი, გომისიას ქ̃ცის გაგრძელების შედგენის დროს თვით შეუტანია ცნობა მეფის ჩამომავლობის შესახებ და სწორედ ამ დროს შეცდომა მოსვლია. რასაკვირველია როცა დედანი აღმოჩნდება, მხოლოდ მაშინ გამოირკვევა ეს საკითხიც. ეხლა-კი უნდა დავსძინოთ, რომ შენახული ტექსტი სანდო ცნობებს ვერ გვაძლევს.

მესხურ დავითნის მატიანე (ქრონიკა).

მე-XIV-ე საუკუნის ისტორიის ძვირფას საისტორიო ნაწარმოებად „მესხურ დავითნის მატიანე (ქრონიკა)“ უნდა ჩაითვალოს. ეს თხზულება პ. იოსელიანის წიგნთსაცავში დ. ბაქრაძემ იპოვა, მაგრამ უკვე დაზიანებული იყო. ჩვენ განიქმულს მეცნიერს ბატონიშვილს ვახუშტს, რომელსაც ეს წიგნი ხელთა ჰქონია, აღნიშნული აქვს, რომ ეს თხზულება ხუთ წიგნად ყოფილა გაყოფილი: „დავითნი მესხურნი ხუთ წიგნად განყოფილი“-ო (ვახუშტის ისტორია, დ. ჩუბინაშვილის გამ., გვ. 236). ეხლა მხოლოდ 15 ფურცელი-ღაა შერჩენილი, ამათგან თვით ქრონიკა მხოლოდ 12 გვერდზეა მოთავსებული. მას თავი და ბოლო აკლია და ის ნაწყვეტი, რომელიც შენახულია, 1561—1587 წლების ცნობებს შეიცავს, ესე იგი 26 წლის ამბავს. მოთხრობა განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოს ეხება, მაგრამ საქართველოს სხვა კუთხეების შესახებაც ფრიად საყურადღებო ცნობებს შეიცავს.

მესხურ დავითნის ქრონიკა მატიანეა და მატიანისებურად არის ნაწერი. ამ თხზულების გამომცემელს ე. თაყაიშვილს აღნიშნული აქვს, რომ დავითნში ბევრი ცარიელი ფურცლები ყოფილა დატოვებული, რომლებზედაც შემდეგ ისტორიული ცნობები უწერიათ დღიურის მსგავსად და ამ გვარად წარმომდგარა მესხური დავითნის ქრონიკა“-ო (სამი ხრ. გვ. CXXIX).

ე. თაყაიშვილი ამბობს: „ჩვენი ქრონიკა პირი კი არ არის მესხური დავითნის ქრონიკისა, არამედ თვით თავდაპირველი დედანია, ავტოგრაფია. ეს უეჭველად მტკიცდება იმით, რომ სხვა-და-სხვა ცნობები სხვა-და-სხვა დროს არიან ნაწერნი. ხელი ნაწერისა ზოგჯერ მოსხოა, ზოგჯერ წვრილი, ზოგ ადგილას მელანი შავია, ზოგ ადგილას მქრალი. ზოგიერთ ცნობებს შუა ადგილია დატოვებული, რასაკვირველია მისთვის, რომ მაშინ შეევსოთ ეს ადგილი, როდესაც რაიმე ცნობა მოხდებოდა ზემო ცნობაში მოხსენებულ თჯახში. ზოგიერთი ცნობები, რომელნიც დატოვებულ ადგილზე არ დატეულან, გაგრძელებული არიან არშიებზე“ (სამი ხრ. გვ. CXXX—CXXXI).

თვით ქრონიკის დედანი, როგორც ზემოაღნიშნული გამომცემელი ამბობს სხვა-და-სხვა ხელითა ყოფილა ნაწერი: „პირველ ორ ფურცელ ნახევარის ხელი ხრონიკისა ერთგვარი არ არის და, ეტყობა, სხვა-და-სხვა პირთა მიერ და სხვა-და-სხვა დროს არის ნაწერი. დანარჩენი ნაწერი-კი საზოგადოდ ერთი და იმავე ხელით არის ნაწერი, მაგრამ მცირეოდენი გარჩევა მაინც ეტყობა, რადგანაც სხვა-და-სხვა დროს და სხვა-და-სხვა მელნით უწერიათ“-ო (იქვე, CXXXI).

მატიანის ავტორის სახელი აღნიშნული არ არის. აქ რასაკვირველია ჩვენ ის ავტორი გვყავს სახეში, რომელსაც უმთავრესი ნაწილი (9 გვერდი) ერთი საკუთარი ხელით დაუწერია. ცხადია მხოლოდ, რომ როგორც სამართლიანად აღნიშნული აქვთ დ. ბაქრაძეს და ე. თაყაიშვილს, ავტორი თანამედროვე უოფილა, ამასთანავე თვით სამცხის ათაბაგების გვარისშვილი. ეს შემდეგი მაგალითებითაცა მტკიცდება: „წავედით ახალციხეს“, „იწყო ჩვენმა ლაშქარმა მოდენა“, „ვანაზიდან გავიყარენით და-ძმანი“, „ამავე ქორონიკონს მარიამობის თუჱს ოთხს პატრონი არჩილ მობრუნდა აწყუჱრს, დიდის ხნის უნახავნი დაჲ-ძმანი შევიყარენით“-ო. ასე მხოლოდ ოჯახის მახლობელ წევრს, მომქმედ პირთა ძმასა და ბიძაშვილს შეეძლო ელაპარაკნა.

ს. კაკაბაძემ მესხურ დავითნის მემატიანის ვინაობის გამორკვევის დროს ერთს წინადადებას მიაქცია ყურადღება, რომელიც შენახულია ე. წ. შედგ ქ῾ცა-ში, ანუ ქ῾ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში. იქ ნათქვამია: „პატრონი დედის-იმედი და პატრონი ჩემი შვილის-შვილი პატრონი ქაიხოსრო გამოუგზავნეს ახალციხეს ფაშასთანა“ (დამატ. 961—962). ამ წინადადებითგან ისე გამოდის, რომ მომთხრობელი თვით დედისიმედია („ჩემი“) და ამის გამო თითქოს დედისიმედი უნდა იყოს მემატიანე. სწორედ ასე დაასკვნა ს. კაკაბაძემაც (იხ. ვინაობა მესხური დავითნის ქრონიკის ავტორისა, გვ. 5—6).

ამ წინადადებას უკვე ე. თაყაიშვილმა მიაქცია ყურადღება, მაგრამ სთქვა: „ეს ცნობა რომ მართალი იყოს, მაშინ მესხური დავითნის ხრონიკის ავტორათ თვით ათაბაგი ქაიხოსრო მეორე უნდა ვიცნათ“-ო (სამი ისტ. ხრ. გვ. 115, შენ. 1), ესე იგი ქაიხოსროს პაპა. ე. თაყაიშვილმა ეს აზრი საფუძვლიანად უარჰყო (იქვე) და ამის გამო გადასწყვიტა, რომ „აქ ორივე ხრონიკაში შეცთომაა“-ო (იქვე) და ამ ადგილას სიტყვა „ჩემი“-ს „მაგიერ უნდა იყოს, როგორც სამართლიანად უჩვენებს ბროსე: „მისი“-ო (იხ. მ῾მ დ῾ფსა ქ῾ცა, გვ. 962, შენ. 1).

მესხურ დავითნის მემატიანის ვინაობის გამორკვევის დროს მკვლევართ შესაფერისი ყურადღება უნდა მიექციათ ვახუშტის საისტორიო შრომისათვის, რომელსაც ეს მატიანე სრულად ხელთა ჰქონდა და რომლითგანაც თავის თხზულებაში ცნობები შეიტანა კიდეც. მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ვახუშტსაც მესხური დავითნის მატიანითგან მოყვანილი ცნობები ზოგჯერ დედნის ენით და თითქმის სიტყვა-სიტყვით აქვს გადმოცემული. ვახუშტის ისტორიის მოთხრობასაც ამის გამო ცხადად ეტყობა, რომ მემატიანე მესხი და მონაწილეა. ამასთანავე განმაცვიფრებელი და სრულებით მოულოდნელია ის გარემოება, რომ ზოგან ვახუშტის ისტორიის მოთხრობაში მესხურ მატიანის პირვანდელი სახე და დედანი უკეთესად არის შენახული, ვიდრე იმ ხელთნაწერში, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია და რომელიც თვით თავდაპირველ დედნად ითვლება. მაგალითად ერთი მეო-

რის გვერდით ვახუშტის ისტორიის და მესხურ მატიანითგან ამონაწერს მოვიყვან,—ხოლო აზრი რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, ის ადგილები, სადაც ორსავ თხზულების მოთხრობაში თანხმობაა, ხაზგასმული იქმნება, ის ადგილები-კი, სადაც ვახუშტის ისტორიაში მატიანეს დედანი უკეთ არის შენახული ვიდრე მესხურ დავითნის ხელთნაწერში, შავად იქმნება დაბეჭდილი.

ვახუშტის ისტორია:

„ყანდურალ აუწყა ქათმის ყივილის ჟამს პატრონებს: ესენი შეიკაზმნენ და უკუდგნენ. ოხერათ თავს სიმაგრესა შინა ივნისის ლ, მოვიდნენ იგინი, დაესხნენ **ჩვენს** სადგურს და თუხარლის კარავი აიალაფეს, ჩვენ კაცი **მოუკალით დავიჭირეთ** ერთი და წარვიდნენ იგინი: (ჩუბ. გამ. გვ. 164, ჭიჭ. გამ. 249)

„არამედ ესე ეცნათ ჩვენთა და **შემოგვეკრიბნენ**. მერმე მივედით თმოგვს, ქალაქი მოვარბიეთ, თმოგვს მოვიდა დედისიმედიცა. ორშაბათს ვანის ქვაბებს მოვადექით, ოთხშაბათს შესევით ავიღეთ. პარასკევს რჩეულიანი შევიყარენით, კვირას ოლადის ქვაბნი ავიღეთ და კარწახს მოვედით, ივლის ით ერეკლე წლისა ივ შევკაზმეთ, ფოსს მიუხედით, მოვსწყვიტეთ და ავიალაფეთ, მარბიელნი გაუძახეთ, რღვევის ხიზანი და ალაფი ავიღეთ. მოვედით პალაკაციოს, დავდექით...“ (იქვე ჩუბ. 164, ჭიჭ. 249).

მესხურ დავითნის ხელთნაწერი:

„წარმოვიდა ყანდურალი, აცნობა პატრონებსა, ქათამს ეყივლა. ადგეს პატრონები და ვინც იყო დაეკაზმნეს, ოცამდი შეკაზმული კაცი იყო, ბარგი აიკიდეს, დიდხან იქივ იბრუნეს და არ მოვიდეს, უკმოდგეს ოკერას თავსა სიმაგრესა, ივნისს ლ, შაბათ დღეს განთიად, დაესხნეს ნასადგომევსა. სხუა აღარ დახუდა რა თუხარლიანთ კარავი და ბარგი დახუდა და ის აიფორიაქეს, ჯორები კიდევ მისცეს ჩუენი და მათი კაცები გარდიკიდნეს, ერთი მოკლეს და ერთი ჴელ[თ] დაიჭირეს ჩუენთა. წავიდეს განწბილებულნი“ (სამი ისტ. ხრ. 89).

„დავარდა კმა, დაიწყო ჩუენთა ლაშქარმა მოდენა... მივედით ზედათმოგუს და თმოგუის ქალაქი მოვარბიეთ... და პატრონი დედა მათი, დედისიმედ-ყოფილი, დებორა იქ მოვიდა, ორშაბათს ვანის ქუაბს მოვადეგით და ორშაბათს (?) იერიშით ავიღეთ, და პარასკევს დღეს ავიყარენით, ჩაუდეგით, რჩეულიან[ნ]ი შემოვიწყუენით. კუირას დღეს ოლადის ქუაბი ავიღეთ, ამოვედით კარწახს, დავდეგით ივლისსა ით, დღესა ხუთშაბათსა.

ქ̃კსა სად ჰერაკლე შევკაზმეთ წლისა ივ—ისა სამის თუისა და სამის კუირისა. მოუკედით ფოსოს, სახლი დავწუით და ამოვწყუიდეთ, გაუძახეთ ლაშქარი, და რღუეულთ ხიზანი და ალაფი და მოვედით და პალაკაციოს დავდეგით“. (სამი ისტ. ხრ. 90—91).

ამ შედარებითი შესწავლითგან ნათლად სჩანს, რომ ვახუშტს არამცთუ მესხურ დავითნის მატიანის ცნობებით უსარგებლია, არამედ ხშირად თვით დედნის ენაც ხელუხლებლივ შეუნახავს და ზოგჯერ ამონაწერები სიტყვა-სიტყვითაც-კი მოყვანილი აქვს. უკვე ამ გარემოებას თავისდათავად მესხურ მატიანის დედნის შესწავლისა და აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას ენიჭება, რომ ვახუშტს ზოგჯერ მატრანეს დედანი თურმე უკეთესად აქვს შენახული, ვიდრე თვით იმ ხელთნაწერში, რომელიც თავდაპირველ დედნად ითვლება. მართლაც და, როდესაც ვახუშტს ასე უწერია: „დაეხსნეს ჩვენს სადგურს“ „ჩვენ კაცი მოუკალით, ერთი დავიჭირეთ“, „ეცნათ ჩვენთა და შემოგვეკრიბნენ“, ესე იგი როცა თვით მომთხრობელი მონაწილე მემატიანე ლაპარაკობს, — ხოლო მესხურ დავითნის ხელთნაწერში ნათქვამია „დაესხნეს ნასადგომევსა“, „ერთი კელთ დაიჭირეს ჩუენთა“, „დაიწყო ჩუენმა ლაშქარმა მიდენა“, — ცხადია ალბად თვით ვახუშტის მესხურ დავითნის მატიანეს დედანში ასე უნდა წერებულიყო. თორემ, რა დასაჯერებელია, რომ მას მესაუბრის კილოთი დაწერილი დედნის ტექსტი შეეცვალა და იმდენად გადაეკეთებინა, რომ მემატიანე მონაწილედ გამოსულიყო. მაშასადამე ირკვევა, რომ ვახუშტს მესხურ დავითნის მატიანის დედნითგან ზოგჯერ უფრო მეტი ცნობები აქვს ვიდრე თვით შენახულ დავითნის ხელთნაწერშია.

ამგვარი ვითარება და დამოკიდებულება არსებობს მესხურ დავითნის ხელთნაწერსა და ვახუშტის შრომას შორის მარტო ზემომოყვანილ შემთხვევაშიკი არა, არამედ სხვა შემთხვევებშიც. ეს გარემოება უნებლიედ იპყრობს მკვლევარის განსაკუთრებულს ყურადღებას. მაგ. მანუჩარ II ათაბაგობის აღწერილობაშიაც ამ ორ ნაწარმოების შედარება უფრო საგულისხმიერო ცნობებს გვაძლევს და თანაც საშუალებას გვაძლევს მემატიანეს ვინაობა გამოვარკვიოთ. შემდეგი შედარება ამ აზრს ნათლად დაამტკიცებს.

ვახუშტის ისტორია:

„ამასვე ქორონიკონს გორი და ახალციხე აღაშენეს ოსმალთა. და აგვისტოს ჩვენ მძევალნი გამოგვიხვნეს: ამისთჳს მოვიდა სვიმონ მეფე მეშველად, აღარ აპრძოლეს, თემი მოარბია სვიმონ და წარვიდა. მერმე მანუჩარც მოღალატეთ გამოვეღარ დადგა და ახალდაბას ჩავიდა. დედისიმედი და ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო საკანაფის ციხეში

მესხური დავითნი:

„ქ̃ კნსა სჲუე (sic) ახალციხე და და გორი ააშენეს ურუმთა, აგვისტოსა, დასაბამითგან წელთა შვიდიათას ოთხმეოცდა თოთხმეტსა მეფე სჳმეონ საშუელად მოვიდა აღარ შეაბეს მესხთა, თემი დაარბიეს და წარვიდეს. ბევრ-რიგი მოღალატე შემოადგეს პატრონს მანუჩარს, ვეღარ დაუდგნა და ახალდაბას ცოლი წაიყუანა და წავიდა, პატრონი

დადგნენ. დიასამიძე ელია დემოთის ციხეში სავალიშვილთა შეუყენეს, წაართვა ამან ციხე და განძი მრავალი და საფართაც დაიჭირა. გოგორის შვილ-მან ბექან-მან ჯვარის ციხე ფაშას მისცა და ჩვენც ახალდაბას ჩავედით. მერმე მარტს იე ქს. ჩფპჵ, ქრ. სოვ მოვსრენით **ჩვენნი** მოღალატენი. და ნიჟათითა მეფის სვიმონისათა **დავიპყარით** სრულიად სამცხე და ოსმალთაც **დავეზავენით და წარვავლინეთ** კაცი წინაშე ხონთქრისა. მოეცა ხონთქარსაც ქრისტიანობით **ათაბაგობა** და **დავიპყარით** ყოველი"-ო (ჩუბ. გვ. 166, ჟორდ. გვ. 253).

დედისიმედი და პატრონის ყვარყვარეს შვილი პატრონი ქაიხოსრო საკანაფეს ციხეში დადგეს. და დიასამიძემ ელია დემოთას ციხეს სავალიშვილი სადალატოდ შეუყენეს. უღალატეს, ციხე წაართუეს და ბევრი საქონელი და სალარო დაიჭირეს. და გოგორიშვილმა ბექან ციხი-ჯუარი უკუ-იჭირა და მისცა ფაშასა, შემოკვიყენეს მოღალატენი და ვედარც ჩვენ დაუდგენით და ჩავედით ახალდაბას"-ო (სამი ისტ. ხრ. 113—114).

ზემოყვანილი შედარებაც ცხადად გვიჩვენებს, რომ ვახუშტის ისტორიაში მესხურ მატიანითგან ამოღებულ ცნობებში დედნის ენა კარგად არის დაცული და ამასთანავე ზოგჯერ მომთხრობელ მონაწილე მემატიანის ცნობები სწორედ ვახუშტს აქვს შენახული, მესხურ დავითნს-კი აკლია. ასეთ სიტყვების თქმა, როგორიც არის — „ჩვენც ახალდაბას ჩავედით", „მოვსრენით ჩვენნი მოღალატენი", „ვიპყარით სრულიად სამცხე და ოსმალთა დავეზავენით", რასაკვირველია მხოლოთ თვით მონაწილე მემატიანეს შეეძლო ეთქვა, და, თუმცა მესხურ დავითნის ხელთნაწერში ეს სიტყვები არ არის, მაგრამ მაინც შეუძლებელია ვახუშტის შეთხზული იყოს, არამედ მის დედანში უნდა ყოფილიყო.

ვახუშტის სიტყვებითგან ჩანს, რომ მესხური მატიანე „ხუთ წიგნად განყოფილი" იყო, მაშასადამე საისტორიო მოთხრობა ერთგვარად დამუშავებული ყოფილა. მესხურ დავითნის შენახულს ხელთნაწერში-კი წიგნებად დაყოფის კვალიც-კი არ მოიპოვება, მოთხრობაც შეუწყობელია. ამის გამო, თუმცა მესხურ დავითნის ხელთნაწერი თავდაპირველ დედნად ითვლება (სამი ისტ. ხრ. გვ. CXXX), მაგრამ დიდი ეჭვი გვებადება და თავდაპირველ დედნად ვგონებ რომ უსაფუძვლოდ უნდა იყოს მიჩნეული. ეს ხელთნაწერი რომ თავდაპირველი დედანი არ უნდა იყოს, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გარდა, ისიც ამტკიცებს, რომ ქრონიკონებში ასეთი მსხვილი შეცდომებია, როგორც მაგ. „სჲუ", „სჲუა" (სამი ისტ. ხრ. გვ. 111), „სჲუბ" (გვ. 112), „სუე" (გვ. 112), „სჲუე" (გვ. 113). შეუძლებელია ასეთი უცნაური შეცდომები მოსვლოდა თვით მემატიანეს, ათაბაგის საგვარეულოს ერთ-ერთს წევრს, ხოლო გადამწერისათვის-კი ამგვარი შეცდომები ისე გასაკვირველი არ არის.

მაინცდამაინც ცხადია, რომ მესხურ დავითნის შენახული ხელთნაწერი შეუძლებელია ვახუშტს წაეროდ ჰქონოდა, არამედ მას სხვა, უფრო სრული და წიგნებად დალაგებული ხელთნაწერი ჰქონია.

ვახუშტის თხზულების დახმარებით მესხურ დავითნის მემატიანის ვინაობის გამორკვევაც შეიძლება. იქ ნათქვამია სახელდობრ, რომ „დედის-იმედი და ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო საკანათვის ციხეში დადგნენ", მაგრამ ელია დაასხამიძემ და ქაიხოსრომ გვიღალატეს და ამის გამო „ჩვენც ახალდაბას ჩამოვყევით"-ო. მერე „მოვსრენით ჩვენნი მოღალატენი და ნიჭათითა შეფის სვიმონისათა დავიპყარით სრულიად სამცხე და ოსმალთაც დავეზავენით და წარვავლინეთ კაცი წინაშე ხონთქრისა"-ო (ჩუბ. 166, ჭიქ. 253). ვინ ამბობს ამ სიტყვებს? რაკი ნათქვამია დალატის გამო „ჩვენც ახალდაბას ჩამოვყევით"-ო, ცხადია, რომ ამის მთქმელი ან დედის-იმედი, ან ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო უნდა ყოფილიყო, ამიტომ რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ საკანათვეს ციხითგან აყრილიყვნენ და ახალდაბას ჩასულიყვნენ. რომ ამ სიტყვების მთქმელი შეუძლებელია მანუჩარ ათაბაგი ყოფილიყო აქითგან სჩანს, რომ ის ამაზე უწინარეს ახალდაბას იყო ჩასული და ამის გამო ვერც იტყოდა ახალდაბას ჩავედით. მაშასადამე ზემომოყვანილ სიტყვების მთქმელი ან დედის-იმედი, ან ქაიხოსრო უნდა ყოფილიყო.

შემდეგი წინადადება საშუალებას გვაძლევს ის საკითხიც გადავწყვიტოთ, თუ რომელი მათგანი ყოფილა მემატიანედ? იგივე მემატიანე ამბობს: ხონთქარს რომ კაცი გავუგზავნე, „მოეცა ხონთქარსაც ქრისტიანობით ათაბაგობა და დავიპყარით ყოველი"-ო (ჩუბ. 166, ჭიქ. 253). ეს სიტყვები ცხადად გვიჩვენებენ, რომ მემატიანე მამაკაცი ყოფილა, მაშასადამე შეიძლება იყოს მხოლოდ ქაიხოსრო ძე ყვარყვარესი. თვით მესხურ დავითნის შენახულ ხელთნაწერსაც-კი ეტყობა, რომ მემატიანე ქაიხოსრო უნდა იყოს და იქაც ნათქვამია: მოღალატეთა გამო „ვეღარც ჩვენ დაუდგენით და ჩავედით ახალდაბას"-ო (სამი ისტ. ხრ. გვ. 114). ამგვარად ირკვევა, რომ მესხურ დავითნის მატიანის ავტორად, უკანასკნელ ნაწილისა მაინც, ქაიხოსრო ყოფილა, ყვარყვარეს ძე.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ვახუშტის სიტყვით „დავითნი მესხური ხუთ წიგნად განყოფილი" ყოფილა. ეხლა მისი მცირედი ნაწილი-ღა არის შენახული. ე. თაყაიშვილი ნაღვლიანად ამბობს: „ამგვარი ცნობები, რომელნიც მესხური დავითნს აკლია, ჩვენთვის დაკარგულად უნდა ჩაითვალოს"-ო (სამი ისტ. ხრ. გვ. CXXXVII).

მესხური დავითნის მატიანე „მთლად არის შეტანილი პარიყის ქრონიკაში და შედეგი ქართლის ცხოვრებაში მხოლოდ იმ ადგილიდგან, საიდგანაც დალაგებით იწყობა მოთხრობა ფაქტებისა დღიურის მსგავსად"-ო

(იქვე). ზემომოყვანილი ორივე დასკვნა ვგონებ შემცდარი უნდა იყოს იმიტომ, რომ მატიანის მარტო შენახულ ფურცლებზეა დამყარებული.

მესხურ დავითნის „ხუთ წიგნად განყოფილი“ მატიანე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ვახუშტსაც ჰქონია ხელთა და მის საისტორიო წყაროთა სიაში იგი ერთად-ერთი თხზულებაა მესხეთის შესახებ, მაშასადამე მისი ერთად-ერთი წყაროც. ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა აქვს მესხური დავითნის მატიანის დაკარგულ ნაწილის გამოსარკვევად და აღსადგენად. მაგრამ ვახუშტს თავის ისტორიაში წყაროებითგან ცნობები შედარებით იშვიათად მოჰყავს ხოლმე სიტყვა-სიტყვით, არამედ ჩვეულებრივ მხოლოდ შემოკლებით: უმთავრესს ყურადღებას იგი შინაარს აქცევდა. ამ მხრივ მარტო ვახუშტის ისტორია მესხური მატიანის დაკარგულ დედნის აღსადგენად არ გამოდგება. მაგრამ იგივე მატიანე შეტანილია თითქმის სიტყვა-სიტყვით ქ͠ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში (ე. წ. შედეგი ქ͠ცისა) და ეგრედ წოდებულ „პარიზის ქრონიკა“-ში, პირველში უფრო სრულადაა. ამას მესხურ მატიანის შენახულ ნაწილისა და ქ͠ცის გაგრძელებათა შესატყვის ადგილების ერთიერთმანეთთან შედარებაც ნათლად ამტკიცებს.

ამ უკანასკნელ გარემოებას-კი ჩვენი მიზნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ გვაქვს ერთის მხრით ვახუშტის ისტორია, რომელშიაც თვითეულ სამეფოსი და სამთავროს ისტორია, მათ შორის მესხეთისაც ცალცალკე აქვს განხილული და აღწერილი, რომელშიაც მესხეთისათვის მას ერთად-ერთ წყაროდ მესხურ დავითნის მატიანე ჰქონია ხუთ წიგნად განყოფილი, მაგრამ სადაც თვით მატიანის დედანი შემოკლებით არის მოყვანილი. მეორეს მხრით შენახულია ქ͠ცის ორი გადაკეთებული გაგრძელება, რომლებშიაც თუმცა ისტორიული მოთხრობა სამეფოებისა და სამთავროებისდა მიხედვით დალაგებული არ არის და ცნობები მესხეთის შესახებ მრავალ სხვა-და-სხვა ადგილას არის მოთავსებული, მაგრამ სამაგიეროდ მესხურ დავითნის მატიანის ტექსტი სიტყვა-სიტყვით არის გადაწერილი.

რომ ქ͠ცის შესწორებულ გაგრძელებათა შემდგენელებს თავიანთი ცნობები მესხეთის შესახებ ვახუშტის ისტორიითგან არა აქვთ ამოღებული იქითგანაც სჩანს, რომ ვახუშტის ცნობები უფრო მოკლეა, მათი-კი ჩვეულებრივ ვრცელი და თან მესხური მატიანის დედანიც მშვენივრად აქვთ გადმოწერილი. ეს გარემოება კვლავ ამტკიცებს, რომ ვახუშტსაცა და ქ͠ცის შესწორებულ გაგრძელებათა შემდგენლებსაც ერთისა-და-იმავე (მესხურ) მატიანით უსარგებლიათ.

ვახუშტის თხზულებისა და ქ͠ცის შესწორებული გაგრძელებათა ერთიერთმანერთთან შედარება და პირველითგან სახელმძღვანელო აზრის შეთვისება, ხოლო მეორეთაგან თვით ტექსტის მიდევნება მტკიცე საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, სად არის შენახული მესხურ დავითნის მატიანის დაკარგული ტექსტი, და დანაკლისი აღვადგინოთ.

საყურადღებოა, რომ მესხურ მატიანის შერჩენილ ნაწილითგან ამოღებული ცნობები ქ˝ცის შევსებულ-გადაკეთებულს გაგრძელებაში მხოლოდ „ს˝ჲა“ (261) ქრონიკონითგან იწყობა (დამ.[1]) გვ. 941), ამბები-კი სამცხის შესახებ მოთხრობილია ამ გაგრძელების მეორე ნაწილის თითქმის დასაწყისითგანვე, „რ˝ნ“ (150) ქრონიკონითგან მოყოლებული (იქვე 893). მაგრამ მხოლოდ „როდ“ (174) ქრონიკონითგან დაწყებული ქ˝ცის შევსებულ-გადაკეთებულ გაგრძელების მოთხრობა სამცხის შესახებ კარგად უდგება ვახუშტის ისტორიის ტექსტს. ქვემორემოყვანილი ამონაწერი ამ ორ თხზულებითგან ნათელჰყოფს ამ აზრს.

ქ˝ცის გაგრძელება (დამ. გვ. 898):

„ქ˝კსა როდ: მოვიდა ყაენი იალუბ ურიცხვითა ერითა და უბრძანა ერთსა თავადსა და ლაშქარსა მისსა რათა ჩაუდგეს სამცხეს: ჩაუდგნენ და მოიცვეს ს˝დ და იავარ ყვეს ქვეყანა სამცხისა: და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალციხისასა, ჰბრძოდენ დიდხან: და ვერღარა დაუდგნა სიმაგრემან გასტეხეს ციხე და დაწვეს ქალაქი და იპყრეს კელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი: მერმე აიყარნეს და მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწყურისასა და მოწვეს აწყური და მოაოკრეს ქალაქი: და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსვლა ინებეს: მაშინ ეზრახნეს ციხოვანთა და უქადეს მშვიდობა და არა დაქცევა საყდრისა და ციხისა: ამას ზედა გამოენდვნეს. შესცთენ მცველნი იგი ციხისანი და მაწყვერელი და მის თანა სხვანიცა ჩინებულნი. განიზრახეს, აღიხვნეს კლიტენი ციხისანი და თვინიერ თხოვისა (გვ. 899) და ბრძოლისა ულ˝თოსა მას მთავარსა მიართვეს. და მან განიხარა ფ˝დ და აღუთქვა ვ˝დ არა რაჲ ავნოს მათ და გამოენდვნეს: და ვითარ-

ვახუშტი (ჩუბ. გვ. 165, პიპ. გვ. 338):

„წელსა ქს. ჩუპვ, ქრ. როდ მოვიდა იაყუბ ყეენი, გამოვლო აბოცი და მოადგა ახალქალაქსა და აოხრებდა გარემოთა ქვეყანათა მოწყვეტითა და ტყვე-ყოფითა: ამას მანუჩარ ვერ წინა-აღუდგა და ვერღა რასმე ავნებდა სპათა მისთა. გარნა მცდელობდა მაგრებასა ციხე-ქვეყანისასა: არამედ ყეენმან მცირესა ხანსა შინა შემუსრა ახალ-ქალაქი და გამოიყვანნა მუნით მესხნი წარჩინებულნი და ტყვენი მრავალნი მუნმყოფნი სრულიად: მერმე მოსწვა ქალაქი მუნითგან მოადგა ახალციხეს. აღიღო იგიცა და უყო ეგრეთვე მასცა. შემდგომად მოადგა აწყვერსა და შეამჭირვა ფრიად. მაშინ მოქალაქეთა ვერარისა შემწისა მპოვნელთა ითხოვეს ზავი ყეენისგან რათა არა ტყვე ჰყვეს და არცა შემუსროს ეკლესია. მისცენ ქალაქი ყეენსა: ამისთჳს ყეენ-მან მისცა პირი მტკიცე, ვინადგან მკსინვარებდა ჭაერი და მისცეს მოქალაქეთა აწყვერი ციხით სეკდემბერსა კე: არამედ რა მოვიდნენ სპანი ყეენისანი მოწყვეტილნი ქართლის-სომხითიდამ,

[1]) ყველგან, სადაც აღნიშნულია „დამატ.“, ე. თაყაიშვილის მიერ მ˝მ დფ˝ლ ქ˝ცის II დამატებად დაბეჭდილს ქ˝ცის გადაკეთებულ გაგრძელებასა ჰნიშნავს.

ცა შევიდეს ციხესა მას შ~ა, მიე-ტევნეს ვ~ა მკეცნი და იავარ ყვეს ყოველი საჴურჭლე საყდრისა და ერი ურიცხვი დედებით და ყრმე-ბითურთ. რომელნიმე მოსრნეს მა-ხვილითა: ხ~ სხვანი ტყვედ წარი-ყუანნეს: ხ~ ხატი ყ~დ წისა სა-სოჲსა ჩვენისა, შემკობილი თვალთა მიერ პატიოსანთა ცოდვათა ჩვენთა-გან ტყვე ყვეს...... (ერთმა კაცმა ქვარყვარესა და მანუჩარს აუწყა, თუ სად იყო ის ხატი) „ხ~ მათ განიხა-რეს სიხარულითა დიდითა და მსწ-რაფლ წარგზავნნეს კაცნი სარ-წმუნონი და დაიკსნა პატრონმან მანუჩარ“.

განრისხნა ქეენი და არღარა ალას-რულა პირი მესხთა, ტყვე-ჰყვნა აწყვერისანი სრულიად და აწყუ-რის ღუთის-მშობელი. მერმე კვა-ლად მოაოკრა ქვეყანა ესე და დაუ-ტევა ეკლესია აწყვერისა უვნებლად, უკუნ იქცა და წარვიდა: ხოლო მანუ-ჩარ ათაბაგსა ალუჩნდა დატყვე-ვება აწყვერისა ღუთის-მშობ-ლისა, წარავლინა ვეცხლი დიდ-ძალი და დაიხსნა და დაასვენა აწყვერსავე“.

ამ ამბავის შესახებ უფრო მოკლე და მესხურ მატიანესებური ცნობა შე-ნახულია ე. წ. „პარიზის ქრონიკა“-ში: „ქ~კსა რ~ოდ იაღუბ ყაენი მოვიდა, ახალ-ციხე და აწყვერი აიღო და აწყვერის ღ~თის მშობელი დატყუ[ე]ვდა სეკდემ-ბერს კ~ე. პატრონმან მანუჩარ დაიხსნა“-ო (ზ. ჭიჭინაძის გამ. 6).

ამგვარი საერთო ცნობები სამცხეს შესახებ ვახუშტის შრომაში (იხ. ჩუბ. გვ. 157 ქრ. როთ, გვ. 158 ქრ. რპჱ და ქრ. რჟ. გვ. 159—160 ქრ. სკბ, გვ. 160 ქრ. სკთ და ქრ. სლგ, გვ. 161 ქრ. სლდ, ქრ. სლჱ და ქრ. სმ და სხვა-ნი) და ქ~ცის შევსებულ-გადაკეთებულს გაგრძელებაში (შეად. დამატ. გვ. 904 ქ~კს როთ, რპჱ, რჟ; გვ. 919 ქ~კს სკბ, გვ. 920—921 ქ~კს სლა, გვ. 921 ქ~კს სლგ; გვ. 922 ქ~კს სლდ და ქ~კს ს~მა და სხვას) და „პარიზის ქრო-ნიკა“-ში (იხ. შესატყვის ქრონიკონებს ქვეშე) ბევრია.

ყველა ამ ცნობებს აგრეთვე ერთი საერთო თვისება აქვთ: თვით მოთ-ხრობის ენას ეტყობა, რომ მომთხრობელი მესხია და მესხეთში ცხოვ-რობს. როდესაც მას ვისიმე მესხეთისაკენ გამგზავრება აქვს აღწერილი, იგი ყოველთვის ისეთს ზმნას ხმარობს, რომელსაც თავსართი „მო“ უზის, მაგ.: „წარმოემართა უზუნ ასან... სამცხესა ზედა... მოვიდა სამცხეს და მერმე მოიწივნეს აწყვერს“ (დამატ. გვ. 894 ქ~ნი რ~ჲდ); „წარმოემართეს გზასა სამცხედ მომყვანებელსა... მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელვასი ეწოდების“-ო (იქვე 896); „მოვიდა ყაენი იაღუბ... და მერმე მოადგა ციხესა და ქალაქსა აწყურისასა“ (იქვე 898, ქ~კნი როდ).

ამასთანავე საყურადღებო და დამახასიათებელია, რომ როდესაც მემატია-ნე იმერეთის მეფის სამცხეში გამგზავრების შესახებ ლაპარაკობს, მაშინაც-კი ზმნას თავსართად „მო“-სა ხმარობს და ამით თავის მესხობას ამჟღავნებს,

მაგ.: „ქ~კსა სლა (231) ხვანთქრის ფაშები მოვიდნენ... და სრულიად ტაო-ამოსწყვიდეს: მოუკლა ბაგრატ მეფე... სცნა რა ესე ბაგრატ, წარმოუვლინა კაცი“-ო (იქვე 920, 921).

საგულისხმიეროა აგრეთვე, რომ მემატიანე ბაგრატს „იმერელ მეფეს“ ეძახის, ლუარსაბს „ქართლის მეფეს“ და მხოლოდ სამცხის მთავარზე მარტივად ნათქვამია „ათაბაგი პატრონი ქაიხოსრო“-ო (იქვე 921), ან კიდევ „ქ~კსა სლ~დ აწყურისა ღ~თის მშობელი ტყვედ წაასხვნა ციხის ჯვარს იმერელ მეფემ ბაგრატ“ (იქვე 922). ერთი სიტყვით, ამ ცნობების ენა ნათლად მოწმობს, რომ მემატიანე მესხია. ზემომოყვანილი მაგალითები „პარიზის ქრონიკა“-შიც ამგვარადვეა.

მესხურ დავითნის მატიანის დაკარგულ ნაწილის გამორკვევა და აღდგენა ადვილი საქმე არ არის და ჯერ კიდევ განსაკუთრებული ბეჯითი კვლევა-ძიებაა საჭირო, რომ მისი რაოდენობა და სამზღვრები ქ~ცის გადაკეთებულს გაგრძელებასა და „პარ. ქრ.“-ში დანამდვილებით ვიცოდეთ. ზემოაღნიშნულ საბუთებით ამ სტრიქონების ავტორს უნდოდა მხოლოდ ცხად ეყო, რომ ამ მატიანის დაკარგულ ნაწილის აღმოჩენა და აღდგენა შეიძლება, თუ რომ ვახუშტის ისტორიას, ქ~ცის გადაკეთებულს გაგრძელებას და „პარ. ქრ.“-ას ზემოაღნიშნულ მეთოდის საშუალებით შესაფერისად შევისწავლით.

თუ მომავალმა ამგვარმა შესწავლამ გამოარკვია, რომ აწყურის ღვთისმშობლის ხატის პირველ დატყვევებისა და დახსნის ვრცელი ამბავი, რომელიც ვახუშტს არ მოეპოვება, მაინც მესხურ დავითნის მატიანეს ეკუთვნის, მაშინ ცხადი იქნება, რომ მატიანე ამ ნაწილის თანამედროვე არა ყოფილა. ამ აზრს შემდეგი მაგალითებიც ნათელ-ჰყოფენ: „მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელკასი ეწოდების“-ო (დამატ. 896, თუ ამ წინადადების მეორე ნაწილი მერე არ არის მიმატებული); „ყოვლად წმინდამან ღთის მშობელმან შეურაცხება ხატისა ვერ თავს იდვა და ესევითარი რისხვა მოუვლინა ვ~დ ნათესავი მათი ვიდრე დღეს აქამომდე არღარა სადა იპოვება“-ო (იქვე 904).

მესხურ დავითნის მატიანეს დაკარგულ ნაწილის დედნის აღდგენის დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას უნდა მიექცეს, რომ თვით დედანში, როგორც შენახულ ნაწილითგან ნათლად სჩანს, ქრონიკონები ბოლოში არის აღნიშნული, ქ~ცის გადაკეთებულ გაგრძელებასა და „პარ. ქკ.“-ში-კი შეტანის დროს მემატიანეებს, როგორც ჩვეულებრივ მატიანეებში არის მიღებული, თარიღები თვითოეულ ამბავის თავში მოუქცევიათ და დაუწერიათ.

მესხურ დავითნის მატიანე რასაკვირველია ნამდვილ ხელოვნურ ისტორიად ვერ ჩაითვლება, იგი საგვარეულო მატიანეა, კანკლოსის სახით შედგენილი, ან უფრო დღიურის მსგავსად. ამის გამო რასაკვირვე-

ლის მისი მოთხრობის რიგი შემთხვევითია, მხოლოდ გარეგნული ქრონოლოგიური კავშირი არსებობს ქრონიკის შინაარსში: არავითარი ლოღიკური დამოკიდებულება და მსვლელობა, წინა-და-უკანა მოთხრობილ ამბებს შორის არ არსებობს. მაგალითად, „დაიბადა ბატონის ვახტანგის ყაყო ბაგრატ ივლისს იგ, დღესა ოთხშაბათსა, ჟამსა დილისასა ქ̃კსა სჲ“. „მაისსა კზ, დღესა ხუთშაბათსა წავედით ახალციხეს და ბატონი თუალ-მშუჱნიერი საუაზმიოდ წავიყვანეთ“ და სხვა (სამი ხრონ. გვ. 83). თუმცა შემდეგ მოთხრობა თანდათან უფრო და უფრო დალაგებული მიმდინარეობს, მაგრამ მაინც დღიურის ხასიათი ბოლომდის აქვს და ნამდვილი ისტორიის ხარისხამდე ვერ აღწევს.

ამიტომ ქრონიკის ავტორის მიზანზე და მეთოდებზე ლაპარაკი სრულებით უადგილო იქნებოდა: ავტორის ერთად-ერთ მიზნად რასაკვირველია ის იქნებოდა, რომ თავის საგვარეულოსა და ჩამომავლობისათვის თანამედროვე ამბების ხსოვნა შეენახა, ხოლო ამგვარ დღიურის დამწერ ავტორისათვის არავითარი მეთოდი არ იყო საჭირო.

ამისდა მიუხედავად, ან სწორედ ამიტომ, მესხურ დავითნის მატიანეს, ვითარცა თანამედროვესა და მონაწილესაგან აწერილს შრომას, ჩვენის ისტორიისათვის დიდი, სწორედ დაუფასებელი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ თვითეული შემთხვევის შესახებ გარკვეული თარიღი არის დასახელებული.

მესხურ დავითნის ქრონიკა პირველად გამოსცა შენიშვნებითა და წინასიტყვაობით ე. თაყაიშვილმა თავის „სამი ისტორიულ ხრონიკა“-ში 1890 წელს (გვ. CXXVII—CXLIX და 81—115). რუსული თარგმანი ეკუთვნის მასვე (იხ. **СМОМПК**).

„გელათური ქორონიკონი“.

მესხურ დავითნის მატიანეს გარდა არსებობდა კიდევ ერთი ფრიად საყურადღებო წყარო, რომელსაც აგრეთვე ვახტანგის ისტორიკოს-მეცნიერთა კომისია არ ასახელებს. ეს წყარო მოხსენებული აქვს ბატონიშვილს ვახუშტს თავის ისტორიის „უწყებულება მკითხველთათჳს“-ის შენიშვნაში. „ხოლო უმეტეს განმმართლებელი სხვათა პოვნილთ ქორონიკონებით გარდა და მოწამე აქა წერილთა ესე არს, რამეთუ ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი თამარიდამ სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ არიან ძველს გარიგების და სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა“-ო (ქ̃ცა გამ. ჩუბინ. II, 8, შენ, 1). საისტორიო წყარო მაშასადამე იმერეთში, გელათში ყოფილა დაწერილი და „ძველი გარიგებისა და სამართლის წიგნი“-ს ხელთნაწერში ყო-

ფილა მოთავსებული. შესაძლებელია თვით წიგნიც გელათის მონასტრის „გარიგებასა და სამართალს“ შეიცავდა. ეს ის „გაენათის საყდრის ძველი იადგარი და გვიჯარი“ უნდა იყოს, სადაც დაურვების წესი და სამონასტრო სამართალი წერებულა, რომელიც მოხსენებულია იმერეთის მეფის ბაგრატ III 1545 წ. სიგელში (ს˜ქს სძვ˜ლნი I, 20). დიდად საწუხაროა, რომ ამგვარი ორი ძვირფასი ძეგლი ეხლა დაკარგულია.

როგორცა სჩანს ეს საისტორიო წყაროც იმნაირადვე ყოფილა ჩართული „გარიგებისა და სამართლის წიგნში“, როგორც მესხურ დავითნში ზემოგანხილული მესხური მატიანეა შეტანილი. თვით ნაწარმოებსაც მატიანეს სახე ჰქონია და არა ისტორიისა, როგორც ეს იქითგან ამოღებულ ნაწყვეტებითგანაც მტკიცდება.

ვახუშტი თვით ამ ქრონიკის შინაარსის შესახებაც ცნობებს გვაძლევს. იგი შეიცავდაო მეფეებისა და მთავრების ამბებს „თამარიდამ სვიმონის ძის გიორგისამდე“, მაშასადამე XVI საუკუნის თითქმის 100 წლის ისტორიას.

ეს ნაწარმოები, როგორც სხვებმაც და ე. თაყაიშვილმა სამართლიანად შენიშნეს, შეტანილია ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში და პარიზის ქრონიკაში (ე. თაყაიშვილი, სამი ქრონ. გვ. CXLIV). რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, ამის დამტკიცება შემდეგ საბუთით შეიძლება. „ძველი გარიგებისა და სამართლის წიგნი“, ვითარცა იმერეთს და სახელდობრ გელათში დაწერილი მატიანე, უეჭველია ადგილობრივს, გელათურს ამბებს უნდა შეიცავდეს. მართლაც ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში უცებ, სრულებით მოულოდნელად გელათის ამბები იწყობა: „ქ˜კსა რჲკ დიდისა მონასტრისა გენათისა წინამძღვარი მიიცვალა“. „ქ˜კსა რ˜ჲზ აიღო ალექსანდრე ძემან ბაგრატისამან. თვესა აგვისტოსა ვ˜. ამავე წელსა ქუთაისს თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ... ქ˜კს რ˜ჲვ მარტსა ი˜ბ მიიცვალა დედოფალი თამარი აპრილსა ა˜... (პარიზის ქრ˜კა ზ. ჭიჭ. გვ. 7 და დამატ. გვ. 905). ვახუშტიც ხომ ამბობს, რომ „ძველი გარიგებისა და სამართლის წიგნი“-ს ქორონიკონში მეფეთა შესახებ ამბავი იწყობა. მაშასადამე იმ ადგილითგან მოყოლებული, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ და გელათის მონასტრის წინამძღვარის გადაცვალებას შეეხება, იწყობა სწორედ „ძველ გარიგებისა და სამართლის გელათურ წიგნის“ ქრონიკა, მაგრამ იქნებ ცოტა ზევითგანაც.

თვით ვახუშტს თავის შენიშვნაში ამ ქრონიკის შესახებ ნათქვამი აქვს: „ბრწყინვალეს გიორგიდამ გიორგისამდე ძისა ალექსანდრესა სწერს «ეს მეფე მოკუდა, ეს მეფე მოკლეს» და შემდგომად გიორგისა—«ქართლის მეფე, იმერთა მეფე, კახთ-მეფე მოკუდა». აქ ქვეყნით სახელს ჰკდების, ვითარცა «ქართველთ

მეფეს გურიელმან სძლო მოხისს, კახთ-მეფე ლევან მოკუდა», ხოლო აქა-იქ უქმეუნოდ: «მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა, ალექსანდრე მიიცვალა»-ო (ქ~ცა ჩუბ. II, 8, შენ. 1). ამგვარად ამ წინადადებითგან თითქოს ისე გამოდის, რომ მატიანე თამარით-კი არ იწყობოდა, არამედ გიორგი ბრწყინვალით. იქნებ ამ გელათურს ქორონიკონს წინადროინდელი მე-XIV-ე ს. ამბები წინ უძღოდა, მაშინ პარიზის ქრონიკა თავითგანვე ამ წიგნითგან ამოღებული ცნობებით იწყობოდეს.

ამ წიგნის გარეგან თვისებების ვახუშტის აღწერილობა უფრო ნათლად გვიხვენებს, რომ იგი მართლაც პარიზის ქრონიკაში არის შეტანილი. იქ ვახუშტის არ იყოს ჯერ მეფის ბინადრობა და სამფლობელო არ არის დასახელებული, მაგ.: „მეფე გიორგი მოკლეს“, „დაჯდა მეფედ ალექსანდრე“ (ჭიჭ. გვ. 5), „მეფე კონსტანტინე მიიცვალა“ (იქვე, 7),—ამგვარად სწერია როგორც ვახუშტიც აღნიშნავს, „გიორგისამდე ძისა ალექსანდრესა“. ხოლო აქეთგან მოყოლებული მეფის სამფლობელო მოხსენებულია: „ქ~კს რჟთ მოკლა კახთა მეფემან გიორგი მამა მისი მეფე ალექსანდრე“ (იქვე, 7), „ქართლის მეფე დავით და კახთ მეფე გიორგი“ (იქვე). მოიპოვება სწორედ ის წინადადებაც, რომელიც ბატონიშვილს ვახუშტს აქვს მოყვანილი, მხოლოდ სხვა სიტყვებით გამოთქმული: „მეფე კახთა ლეონ მიიცვალა“ (იქვე, 11).

ვახუშტი ამბობს რომ გელათის მატიანე „სვიმონის ძის გიორგისამდე“ აღწევდაო. მაშასადამე პარიზის ქრონიკაში იგი დაახლოვებით უნდა 21—22 გვერდზე თავდებოდეს, მაგრამ უკვე 11 გვერდითგან მოყოლებული პარიზის ქრონიკის ავტორი გელათურ ქრონიკას გარდა ცხადია მესხურ დავითნის მატიანითაც სარგებლობს (შეად. პარიზის ქ~კის ჭიჭ. გვ. 11, „ქ~კსა სად“ და სამი ხრონ. გვ. 86, „ქ~კსა სად“). მაგრამ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ უფრო წინათაც, მეცხრე გვერდითგან მოყოლებული ქ~კითგან ს~ლგ პარიზის ქრონიკის ავტორი თუ მესხურ დავითნის ქრონიკით არა, უეჭველია რომელიღაც სამცხეში აღწერილ ცნობებით სარგებლობს. ეს იმითა მტკიცდება, რომ 233 ქრონიკონითგან დაწყებული მემატიანე მეფე ბაგრატს „იმერელ“-ს უწოდებს (ჭიჭ. გვ. 9), იგი მისთვის საკუთარი პატრონი არ არის, უცხოა. თვით ავტორიც სამცხეში მობინადრე მესხია; იმერეთი მის სამშობლოს არ ეკუთვნის, იგი მაგალითად ამბობს: „ქ~კსა ს~ლდ აწყურის ღ~თის მშობელი ტყუედ წაასხეს ციხის ჯვარსა იმერელმა მეფემ ბაგრატ... ქ~კსა ს~მ-სა არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა... აწყურისა ღ~თის მშობლისა შეწევნითა სამცხეს ვერ გარდმოვიდეს.... ამავ ქორონიკონსა ციხის ჯვარიდამ აწყურის მღვთის მშობელი ტყვეთ წაასვენეს იმერეთს“ და სხვა (იქვე, 9). ერთი სიტყვით, გელათური ქორონიკონი განმარტოებით პარიზის ქრონიკაში შენახულია მხოლოდ 7 და 8 გვერდზე, დანარჩენ ადგილას იგი სხვა წყაროებითგან ამოღებულ ცნობებშია არეული.

გელათური მატიანე როგორც აღნიშნული იყო ქ̃ცის გადაკეთებულ გაგრძელებაშიაც არის შეტანილი, მაგრამ პარიზის ქრონიკას უფრო უკეთ უნდა ჰქონდეს მისი პირვანდელი სახე შენახული, ქ̃ცის გაგრძელებაში-კი ამას გარდა სხვა წყაროებიც არის უხვად მოხვეჭილი. მაინც-და-მაინც ვგონებ არც პარიზის ქრონიკაშია სრულად შენახული გელათურ ქორონიკის დედანი. ვახუშტს მოყვანილი აქვს მაგალითად უკანასკნელ თხზულებითგან წინადადება—„ქართველთ მეფეს გურიელმან სძლო მოხისს“, რომელიც პარიზის ქრონიკაში არ მოიპოვება.

ვახუშტი სამართლიანად უწოდებს იმერულს „ძველ გარიგებისა და სამართლის წიგნის“ ქორონიკონს გელათურის სახელს, რადგან იგი უეჭველია გელათის მონასტერში უნდა იყოს დაწერილი. ამას შემდეგი წინადადება ამტკიცებს, ილარიონ წინამძღვრის შესახებ იქა სწერია. „ქ̃კსა ს̃ზ მიიცვალა დიდის მონასტრის კრებათის მოძღვართ-მოძღვარი ილარიონ, პატრონი, თვესა მაისს ̃ვ და გორისჯვართ აქა გელათს მოასვენეს“-ო (პარიზის ქ̃რკა). თვით მატიანე იქნებოდა „ჟამითი-ჟამად“, ე. ი. დროგამოშვებით აღწერილი და როგორც სჩანს თანამედროვეთაგან. ერთის შესახებ მაინც ამის დამტკიცება შეგვიძლიან. ქრონიკონის 217-ის ქვეშ მოთხრობილია სხვათა შორის, რომ მეფეთ მეფემ ბაგრატ ხონის ეპისკოპოზად დანიშნა ჩხეტიძე მანოელ და აკურთხა „აფხაზეთის კათოლიკოზისა ხელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისასა, ქორონიკონი იყო ს̃იზ, წარვედით აფხაზეთს საკურთხევლად ივნისსა ̃კ, მოვედით ივლისსა კ̃ ̃-ო (ჟორ. იქვე, 8). მაშასადამე ამ სიტყვების დამწერი უეჭველია სამღვდელო პირი უნდა ყოფილიყო, ალბად გენათელის მხლებელი ბერი. ამით აიხსნება, რომ მისი ცნობები საზოგადოდ საეკლესიოსა და განსაკუთრებით გელათურ ამბებს შეიცავენ. ავტორი მემატიანეა, არავითარი გარკვეული მიზანი და თხრობის მეთოდი მას არა ჰქონია, მაგრამ, ვითარცა თანამედროვეს მიერ აღწერილს კუნკულოსს, მის შრომას ჩვენის ისტორიის აღდგენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ფარსადან გორგიჯანიძე.

ფარსადან გორგიჯანიძე ქ. გორითგანა ყოფილა. თავის თავს იგი მუსურმანთ სამართლის წიგნის „ჯამი აბას“-ის ქართულს თარგმანში ქართველს უწოდებს (Brosset. Histoire moderne de la Géorgie, I-re livraison, p. 513). ბროსეს-კი ჰგონია რომ იგი სომეხი უნდა ყოფილიყო (იქვე, 510). შესაძლებელია მით უმეტეს, რომ თვით მისს ნაწარმოების პირველს ნაწილში სომხეთის ისტორიის ამბებს საპატიო ადგილი აქვს დათმობილი. შემდეგ იქნებ

მისი სამართლიანი მსჯელობა, როცა იგი ბარათაშვილისაგან თუმანიშვილის ლუარსაბ იატონიშვილის მკვლელობაში გარევის ამბავს მოგვითხრობს, რომ „მართებულია ხელმწიფეთ შეწყენისა და შემცოდლობისა დარიდება, ნამეტნავად უგვარისობის შებედვა და მათს სისხლში გარევა: ქართლში ქართველნი მრავალნი და ძრიელნი არიან და სომეხნი ცოტანი და უღონონი და მათგან ამ რიგის საქმის თქმაც ძნელია, თარადა ქნა; და ქართველთ უნდოდათ ეს სისხლი სომეხთზედ დაეტეხა“-ო (ქ˜ცა II, 535 ჩუბინაშვილის გამოცემა, ჯიჯ. 326) მარტო პირუთვნელობისა-კი არა, არამედ მის უწინდელ ეროვნულ გრძნობის შედეგიც იყოს. მაინცა-და-მაინც თვით ავტორი, როგორც ეს ზემოყვანილ სიტყვებითგანა სჩანს, თავის თავს ქართველადა სთვლიდა.

ფარსადან გორგიჯანიძე თავის ისტორიაში თავის თავგადასავლის შესახებ ვრცელს ცნობებს გვაძლევს. სხვათა შორის იქ ავტორი სწერს: „ფარსადან ვიტყვი ამასა, ვიმოწმებ ღმერთსა მართალსა, ათის წლისას სამოცდა ათს წლამდისინ, რაც გარდამხდომია და ან ღირსა წიგნთა შიგან დასაწერათ, მართალი ეს არის“-ო (სააზიო მუზეუმის სამეცნ. აკადემ. ხელთნაწერი Mscr. Georg. № 6 რვეული 31, გვ. 11). მაშასადამე როცა ავტორს თავისი საისტორიო შრომა დაუმთავრებია, იგი 70 წლისა ყოფილა.

რომელ წელს გაათავა თავისი თხზულება ამის შესახებ მხოლოდ ერთი ცნობა მოიპოვება. ხელთნაწერის 32 რვეულში, 15 გვერდზე შემდეგი მინაწერი არის: ფარსადან გორგიჯანის (sic) წიგზე სულ ბოლოს ასე იყო მოწერილი... ეს დაიწერა მაისის გასულს ქ˜კს ტჟა“ (შეად. ჩუბ. II, 560). საქმე ეხლა ის არის, ვის ეკუთვნის ეს მინაწერი, თვით ფარსადანს თუ სხვას ვისმეს? პირველ შემთხვევაში ჩვენ გორგიჯანიძის ისტორიის დაწერის თარიღი გვეცოდინება. მაგრამ შეიძლება ეს ადგილი მერე იყოს მიმატებული ვისგანმე. თვით ხელთნაწერის გადამწერი სვიმონ ტაბიძე გურული თავის „უწყებაში მკითხველთათჳს“ (რვეული 32, გვ. 1), რომელშიც იმ თავს მისდევს, სადაც ავტორის ზემომოყვანილი ბიოგრაფიული ცნობები მოიპოვება, ამტკიცებს: „აქამომდე აღეწერა ფარსადან გორგიჯანიძესა და ჰგავს რომ, რადგანაც ამ ჟამებში დიდი ხნისა იქნებოდა, აღარ დასცალდებია მეტის დაწერა“-ო. მაშასადამე გადამწერი უკანასკნელს თარიღიანს მინაწერსაც გორგიჯანისად არა სცნობდა. ერთის სიტყვით ზემომოყვანილი ცნობა საეჭვოა და ამის გამო გამოუსადეგარი.

„ჯამი აბასი“-ს თარგმანში ამ მხრივ სრულებით გარკვეული ცნობები აქვს აღნიშნული ფარსადან გორგიჯანიძეს (Brosset. H. moderne, 513). „ჯამი აბასი“-ს გადმოთარგმნა დაუსრულებია 1691 წელს, ხოლო ამ დროს იგი 65 წლისა ყოფილა. მაშასადამე ფარსადანი 1626 წელს დაბადებულა. ხოლო რაკი მისივე სიტყვებითგანა სჩანს, რომ იგი ისტორიის დამთავ-

რების დროს საშოცდა ათი წლისა უნდა ყოფილიყო, ამიტომ ისტორია ავტორს 1696 წელს დაუსრულებია.

ფარსადანს თავის თავზე მოთხრობილი აქვს: „როსტომ მეფემ ვითაც შვილი გამზარდა და მრავალი წყალობა დამმართა და დამაქორწილა და ხუთს დღეს ბატონის დედოფლითა და საქართველოს თავადნი[1]) ჯალაბობით შინ ჩამომიდგა და ილხინა და ალხინა და კელმწიფე[მ] თვითონ ხარჯი გარდიხადა... ამ დროს როსტომ მეფის მოხმარებით ბედნიერს შაჰს აბასს ყაენს ზედ ერისთვისათვის ყაზმინის სისხლეს, ბოჭრუდს ეძახიან, ოცი სოფელი ებოძებინა; მე გამგზავნა, რომ იმისი მოსავალი მართალი შემეტყო"-ო (ხელთნაწერი, რვეული 31, გვ. 12—13). ყაზმინში ყოფნის დროს მისი ერთგული ყმა გაუბრიყვებიათ და კიდევ უსრულია ფარსადანისათვის. ტყვია მარჯვენა ბეჭში მოხვედრია. როცა შევიტყე მისი დალატი, „მე გვარი (sic) ჯავრი ვერ მოვითმინე, დავაშავე და ორივ კელები დავაჭრევინე და შევიქენ მონანავ და, რაც შემეძლო, სარჩო გაუჩინე და რა ცოცხალ ვიყავ ამის ნანებაში ვიყავ"-ო (იქვე, გვ. 13—14).

სპარსეთიდგან რომ ქართლში დაბრუნებულა, ამ დროს როსტომ მეფეს თურმე ლევან დადიანის წერილი მოსვლოდა: „პატა წულუკიძე, ჩვენი გაზრდილი, მიიცვალა და ფარსადან თქვენი გაზდილი არის... ამას მოგკლავთ, რომ ჩვენი ვაზირობა მაგას უბოძოთო". თუმცა როსტომ მეფე დათანხმებულიყო, მაგრამ თვით ფარსადანი უარზე დამდგარა და წასვლა არ მოუნდომნია. მეფესაც ძალა აღარ დაუტანებია, ფარსადანი გილანში გაუსტუმრებია. იქ ერთს წელიწადს დაუყვია და შემდეგ ისევ ქართლში დაბრუნებულა. მაშინ როსტომ მეფეს ფარსადან გორგიჯანიძე ისპაანში სამოურაოდ გაუგზავნია (იქვე, გვ. 14). ეს ამბავი ქრონიკონს 344-ს, ე. ი. 1656 წელს მომხდარა (ჩუბ. გვ. 538, ჟოჟ. 331). „ყოვლის მორთვითა და გაწყობით ისპაჰანს ჩამოველ, ბედნიერმან შაჰაბაზ ყაენმან კარგის თვალით მნახა და დიდი პატივი დამდვა, ასე რომ უფროსი ერთი სადივანბეგის სამსახურს მე მიბძანებდა"-ო (იქვე). სხვებს შურით ტყუილად დაუბეზღებიათ. რაკი ეს გამომჟღავნდა, დამსმენელთ შაჰმა თვალები დასთხარა და „მე ეშიკაღასობა მიბოძა და ხუთი სოფელი გულფეიქანში სარჩოდ გამიჩინა, მე ყაენის კარს დავრჩი და ჩემი ჯალაბნი საქართველოში დარჩნენ"-ო (იქვე. ჩუბ. 538—539, ჟოჟ. 331)

ამის შემდგომ გორგიჯანიძეს მუდმივი ბინა სპარსეთში მოუპოვებია: „მას უკან ორმოცს წელიწადს შაჰაბას (sic) და მის შვილს შაჰ სულეიმანს ვემსახურე"-ო (ხელთნაწერი იქვე, გვ. 14), მაშასადამე 1656 წლითგან მოყოლებული 1696 წლამდე.

სპარსეთში ყოფნის დროს ფარსადან გორგიჯანიძეს, როგორც ეტყობა, მაჰმადიანობა მიუღია. თუმცა იგი თავის თხზულებაში კრინტს არა

[1]) ხელთნაწერში „თალადნი"-ა.

სძრავს, მაგრამ უკვე ბროსსემ აღნიშნა, რომ ამის შესახებ ცნობები ისკანდერ მუნშის ისტორიაში მოიპოვება: „როსტომ ხანმა, ისპაჰანის ტარუღამ, თავის მაგიერ წარმომადგენლად პირრასიმი დანიშნა, მაგრამ შემდეგ მას ხელმწიფე გაუწყრა და გადააყენა, ხოლო როსტომ ხანს დაავალა, იმის ადგილას სხვა ვინმე დაენიშნა. საქართველოს ბატონმა ქართველი ფარსადან ბეგი დანიშნა და წარადგინა. შაჰმა ამაზე შეუთვალა, რომ... შეუძლებელია ურწმუნო მართლმორწმუნეს ვირჩიო“-ო, როსტომ ხანის წარდგენილება მხოლოდ მაშინ იქნება ნებადართული, თუ ფარსადან ბეგი ისლამს მიიღებსო. ფარსადან ბეგი ამაზე დათანხმდა და თანამდებობა მიიღო“-ო, მოგვითხრობს სპარსელი ისტორიკოსი (B. Dorn. Erster Beitrag zur Geschichte der Georgier, Mémoires de l'Académie impériale des sciences de St.-Pétersbourg sixième série t. VI. p. 431).

შაჰის საგანგებო მონდობილობით ფარსადანი ერთხელ ქართლში იყო გამოგზავნილი იქაურ საქმეების ვითარების გამოსარკვევად (ჩუბ. 539—540, ჭიჭ. 332--333).

ფარსადან გორგიჯანიძესთვის ადვილი არ იყო ადგილი შეენარჩუნებინა: დიდი მტრობა და შური სუფევდა სპარსეთში მოხელეებს შორის და თავიანთ მე[illegible]ოქის დანდობა არ იცოდნენ. ამგვარ ცხოვრებას მის სულიერ მდგომარეობაზე და აზროვნობაზე თავისი დაღი დაუჩნევია. თავის შვილის დარიგებაში იგი გულჩათხრობილობას და პირმოთნეობას სამაგალითო თვისებადა სთვლის: „ჭკვიანი ამას ჰქვიან ხოშიადის (sic) შემნახავი იყოს და ყოველს კაცს საამებელი უთხრას და საწადელი თავისი არვის გაუცხადოს... თუ მითფარვით თქვას, საქმე მისი გარიგდება, და თუ მრავალისათვის უთქვამს, მემშურნენი სალხინოს საჭიროდ გაუხდიან“-ო (ხელთნაწერი, რვეული 31, გვ. 8—9). ადამიანი ქონების შეძენაზე უნდა ზრუნავდეს იმიტომ, რომ „უქონლობას ყოველი ჭირი სჯობს“-ო (იქვე). „მაგრამ, რაგინდ ბევრი აქნდეს დაფარვითა სჯობს, თორადა (sic) მემშურნე და მობეზღარნი მტერნი ასტყდებიან ან მეპატრონესთან შეაბეზღებენ და წაართმევენ და ან ქურდს შეუჩენენ გასაქურდავად და ან ძმას და შვილს გარდაჰკიდებენ“-ო... (იქვე, გვ. 10). არავის არ უნდა ენდოს ადამიანი და თავდაპირველად თავის თავზე უნდა იზრუნოს. სიბერისათვის თავისი კერძი გამოზოგილი უნდა ჰქონდეს, თორემ თუმცა „მართალია და ჭეშმარიტი, რომ ყოველს მამას თავისი საქონელი და მამული თავისი შვილისათვის უნდა, მაგრა (sic) შვილს თუ მამა საქონლიანი ჰყავს, მალ მისი სიკვდილი უნდა, რომ მისი საქონელი დახარჯოს და თუ მამა უქონელია, შვილი ერთ ლუკმას პურს რომ აჭმევს, დღეში ასჯერ წააყვედრებს: «ეს გაძაღლებული არ კვდებისო, რომ მოვრჩეთო» (იქვე, 11). საკუთარს შვილს თუ არ ენდობოდა ადამიანი, რასაკვირველია რომ უცხოს სიფრთხილით მოეპყრობოდა. ყველასათვის უნდა ესიამოვნებინა ადამიანს, მტრისათვისაც-კი: „სჯობს ყოვლის კაცის მომა-

დღიერობა, სჯობს დამდურებასა, მტერს მტერობას ნუ გაუცხადებ, შენი თავი მოყვსად აცნევ“-ო (იქვე, 10).

თუმცა ავტორი თითონაც მისდევდა, როგორც სჩანს, თავის მწარე გამოცდილებაზე დამყარებულს მოძღვრებას, მაგრამ ვერც ამ მოძღვრებას გადურჩენია იგი ბედის უკულმართობისაგან: ეტყობა მაშინდელ მრავალცვალებადს დროს ტკბილი სიტყვაც, პირმოთნეობაც, გულჩათხრილობა და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვაც ვერ უზრუნველ ჰყოფდა ადამიანის ბედნიერებას. თვით ფარსადანს თავის ბედის ჩარხის უკუღმა მობრუნება ასე აქვს აწერილი: „ნაზარ ალი-ხანსა და აბას ყული-ხანს შუა სამდურავი ჩამოვარდა და ერთმანერთს გურგი-ხანის კერძობასა სწამებდენ და ყაენთან იბეზღებოდნენ და აბას ყული-ხანს უნდოდა, რომ უომრად გიორგი მეფე ყაენის კარს გაეგზავნა და ნაზარ ალი-ხან ამისთვის ჩქარობდა, რომ საბატონო მისი გიორგი მეფეს ეჭირა და თვითონ ქალაქში იყო და არსით მოსავალი არა ჰქონდა. ფარსადან ვიტყვი ამასა... ბედნიერი ყაენი ნაზარ ალი-ხანის ხელ-გამოუმავლობასათვის ჩვენზედ ავგუნება შეიქნა და ნაზარ ალი-ხანც გაგვიავდა და მტერმან დრო დაიცა (sic) და დაგვიწყეს ბეზღობა“-ო (ჩუბ. 567, ჭიჭ. 371—372). ისკანდერ მუნშის ისტორია გვიჩვენებს, რომ ფარსადანს ისედაც ბევრი მომდურავი ჰყოლია (Dorn, op. cit. გვ. 431). მისი შვილი და ძმაც მეტად თავხედი და მედიდურები ყოფილან და იმათ გამოისობით მასაც მტრები გადაჰკიდებიან. მაინც უკანასკნელი უბედურობა ძმის ბრალით დაატყდომია თავს.

ფარსადანს თავისი უკანასკნელი განსაცდელი ასე აქვს აღწერილი: „ჩემი ერთი ძმა, ერანის ზარაბი-ბაში იყო და სიტყვა-დაუჯერებელი და თავის-მომწონე კაცი იყო და ყაენის საქონლისაგან შვიდი ათასი თუმანი დაეფანტა და ცუდ-მუდის კაცებისათვის ესესხებინა. ამით ყაენთან დაბეზღდა და დააჭირვინეს და საქონელი აუწერეს. არა ჰქონდა რა. ყაენს მოახსენეს ამის საქონელი ამის ძმას მელიქ სადათ ბეგ უზბაშისთან არისო ადრებეჯანსაო (sic). ისიც და[ა]ჭირვინეს... ნახეს რომ არც რა იმას აქვს და თქმული სიტყვა გამტყუნდების, ამისთვის ჩემისა და ჩემის შვილის სოფლები და საქონელი და სახლის მორთულობა, კაცისა და დედაკაცის იარაღი, და ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტით მურასა და ჯოკი ცხვარი, ნახირი აქლემი, ცხენი და ჯორი და ან რაც იქნებოდა სამის ათასის ფულისა დადვა და უზბაშის სახელზე დაწერეს; და უზბაშისა არც ასი თუმნისა იქნებოდა და ყაენს გამოუგზავნეს“-ო (ხელთნაწერი რვეული 31, გვ. 14). ასეთ უბედურების დროს ისტორიკოსს ჯანმაც უმტყუნა: „მე ფარსადან ორი წელიწად იყო ავად ვიყავ და მუხლის თავები წამხდომოდა, უკალოდ ფეხზე ვერ წამოვდგებოდი, კარზედ მისვლა არ შემეძლო“ (იქვე). „წელიწადს ნახევარს ასრე ავად ვიყავ, რომ ჩემი სიცოცხლე არავის ეგონა“-ო, ჩივის გორჯიჯანიძე (ჩუბ. 567, ჭიჭ. 372). ამისთანა მდგომარეობაში მყოფს, ლოგინად ჩავარდნილს, ძმამაც კი უმტყუნა,

იმ ძმამ, რომელმაც „ჩემი ქონება თავის ცოლის ძმებს უგზავნა, ჩემთვის ვერ გამოიმეტა“-ო (იქვე). დასნეულებულ ფარსადანთან სანახავადაც-კი არ მისულა (იქვე, ჩუბ. 568, ფურც. 372). რაკი ყაენთანაც დასმენილი იყო, კარგა ხანს ყაენისაგანაც წყალობას იყო მოკლებული. მერე ალბად ხელმწიფის დედის დახმარებით (ხელთნაწერი, რვეული 31, გვ. 15) შაჰის გული ისევ მომლბარა: „არზა მივსწერე და თავისი ხელნახლები პური ვთხოვე და, ღმერთმან ადღეგრძელოს, ერთი სუფრა პური და ყოვლის საჭმლისაგან კერძი ებოძა და მესამეს დღეს ჩემი შვილი აზატი ექმნა... რა ხელმწიფე მწყალობელი შეიქმნა, სხვანიც დატკბენ და მტერობა მოშალეს“-ო (ჩუბ. 568, ფურც. 372).

უთანხმოება ნაზარ-ალიხანსა (ერეკლე I) და აბას ყული ხანს შორის ჩამოვარდნილა 1693—1694 წ. (Brosset. H moderne, p. 512). ყაენიც მას 1692—3 წ. ახლო ხანებში გასწყრომია (იქვე). მაშასადამე ფარსადან გორგიჯანიძე სწორედ იმ დროს, როცა თავის ისტორიასა სწერდა, უკიდურესს გაჭირვებაში ყოფილა: 65—70 მოხუცი, ავადმყოფი, გალატაკებული და უმწეოდ მიგდებული.

როგორც თვით ფარსადანი მოგვითხრობს, მისი ისტორია სრულს სამართლეს შეიცავს იმ დროითგან მოყოლებული როცა იგი ათის წლისა გახდა ვიდრე 70 წლისა შესრულდებოდა: ამ 60 წლის ამბები მას აღწერილი აქვს ვითარცა თანამედროვეს და მონაწილეს. რაკი ისტორიკოსი 1626 წელს დაბადებულა, მისი ისტორიის სანდო და ჭეშმარიტ ნაწილად ამგვარად უნდა 1636—1696 წ. ამბები ჩაითვალოს. მართლაც აქ თვით მოთხრობაში მოიპოვება ისეთი ცნობები, რომელსაც ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს. რაკი ფარსადან გორგიჯანიძეს სპარსეთის სამეფო კარზე დიდი ადგილი ეჭირა და საქართველოს საქმეებიც ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, ამიტომ მის თხზულების ამ უკანასკნელს ნაწილს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ძვირფას ცნობებს გვაძლევს.

ფარსადან გორგიჯანიძეს შრომა დაწერილია სპარსეთში, იმ დროს, როგორც ჩანს, როცა ვახტანგის მიერ შეკრებილ „სწავლული კაცთა“ კომისიას ქ̃ცის შევსება და გაგრძელება არამც თუ დამთავრებული არა ჰქონდა, (იხ. აქვე, ქ̃ცა), ჯერ ვგონებ დაწყობილი არც-კი ჰქონდა. მით უფრო საყურადღებოა ამ მხრივ ფარსადან გორგიჯანიძის ნაწარმოები, რადგან იგი საქართველოს საზოგადო ისტორიასა სწერს უძველეს დროითგან მოყოლებული თავის დრომდე, როგორც აღნიშნული იყო, 1695 წლამდე. ჩვენი ისტორიკოსი თავისით მოქმედებდა და არავისთვის არ მიუბაძნია,—ეს შეადგენს მის ნაკლსაცა და ღირსებასაც.

იმისდა მიხედვით, თუ რა წყაროებზე ამყარებს ავტორი თავის ისტორიას, მისი თხზულება შეიძლება ოთხ ნაწილად გავყოთ.

თავის თხზულებას ფარსადან გორგიჯანიძე შემდეგ მოთხრობით იწყობს: „აქა ამბავი ფრანგეთის ჴემწიფის ქალის ჴოროშ-სიმესი და წამება მისი“ (ხელთნაწერი, გვ. 1). ამ სათაურს არავითარი წინასიტყვაობა არ უძღვის და არა სჩანს, შემთხვევით აკლია ხელთნაწერს თავი, თუ თვით ავტორმა დაიწყო ასე უცნაურად თავისი საქართველოს ისტორია. მაინც-და-მაინც ფარსადან გორგიჯანიძეს, როგორც ეტყობა, არც სცოდნია, რომ საქართველოს უძველეს ხანის ისტორია უკვე დიდი ხანია არსებობდა, რომ მთელი კრებულიც კი იყო, რომელიც ქართველების ყოფა-ცხოვრების ამბებს შეიცავდა უძველეს დროითგან მოყოლებული მე-XIV-ე საუკუნემდე.

მეორე თავს სათაურად აქვს: „ანბავი რომის ჴემწიფის კოსტანტილეს (sic) გაქრისტიანებისა და საქმე მათი“ (იქვე. 4). შემდეგ მისდევს: „აქა ტრდად (sic) ჴემწიფის გალაშქრება მამის სისხლის საძებნელათ არდაშერის შვილს შაფურს ჴემწიფეზედა“ (იქვე, 5), რომლის შემდგომ მე-9-ე გვერდამდე სომხეთის ისტორიის მოკლე ცნობებია მოყვანილი. მერე მე-10-ე გვერდზე მოთხრობილია სულ მოკლედ ბაგრატიონთა მოსვლა საქართველოში, მათი გაქართველება, გიორგისა, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა ოთხ სტრიქონად აღწერილი. შემდეგ დავით აღმაშენებლის შვილის (sic) გიორგის მეფობაა. ამგვარადვე მოკლედ გიორგის ძის (sic) დემეტრეს მეფობა მისდევს. მე-11-ე გვერდზე შემდეგი სწერია: „ესეც (დემეტრე) მიიცვალა და შვილი ამისი (sic) დავით გაბატონდა სომეხთა ქრონიკონს შვიდასს ორმოცდა ოთხსა. აქამდისინ რომ სომხობას უკან ბატონობა უქნიათ ქართველობაშიგან, ხან ძრიელის (sic) მტრისაგან ბევრჯელ უბატონონი ქნილან და დაფანტულან, შეიქნა შვიდთა ამა ზეით ხსენებულთა მეფეთა სამას ოცი წელიწადი უბატონებია. სომეხთ ქროდასს ორმოცდა ორ წლამდისინ ამას ზეით დაწერილთ პატრონებს უპატრონებია, მაგრა ამაების უკან, გაყრას წინათაც და უკანაც ბევრს ბაგრატიონებს უბატონებია (sic), რომ ყველას ნაქმრობა და სახელი და მამისშვილობა და დრო მათი და სახელი მამათი მათი (sic) ზოგი არ მიპოვნია და ზოგი რაც პოვებულა ქვემორე დაიწერების მ῀დიითა“-ო (იქვე. 11).

სწორედ გასაოცარია, რამდენი უვიცობა და შეცდომები მოიპოვება ამ ერთს ფურცელზე (10—11). აქ ყველაფერი დომხალივით არის არეული: ხშირად ავტორმა არ იცის, ვინ ვისი შვილი იყო, ვინ ვის მისდევდა, ამას თითონაც აცხადებს. მაგრამ ვაი იმ ცოდნასაც, როცა-კი იგი თავის ცოდნას იჩენს. ქ῀ცის პირველი ნაწილი, თამარ მეფის ისტორიამდე, როგორცა სჩანს, გორგიჯანიძეს თვალით არ უნახავს, თორემ განა შეეძლო ავტორს თავის თხზულების პირველი ნაწილი ასეთ უვიცობის მორევად გაეხადნა?

რომ ამ ნაწილისათვის ფარსადანს საისტორიო წყაროები ნაკლებად ჰქონია, ამას იგი თითონაც აცხადებს: „ბევრს ბაგრატიონებს უპატრონებია, რომ ყველას ნაქმრობა და საკელი და მამისშვილობა და დრო მათი და სახელი მამათა მათი ზოგი არ მიპოვნია“, ხოლო რაც ვიპოვე ქვემოდ არის მოთავსებულით. მაშასადამე მას მაინც რაღაც წყარო ჰქონია: ეს სხვათა შორის იმითაცა მტკიცდება, რომ აქ ავტორს თარიღები მოჰყავს და ყურადღების ღირსი ის არის, რომ თარიღი „სომეხთ ქრონიკონით“ არის განსაზღვრული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ავტორს რომელიღაც შეცდომებით სავსე, მოკლე სომხური ხრონოღრაფი უნდა ჰქონოდა. იქიდგან ამოღებული ცნობები იმდენად სხვილ შეცდომებით არის სავსე, რომ უნებლიედ ეჭვი გვებადება, ზეპირ გადმოცემით, სხვის დახმარებით ხომ არ სარგებლობდა ავტორი?

თვით გორგიჯანიძე ერთს უცნაურად გამოთქმულს სათაურში ერთს თავის წყაროს ასახელებს. მე-28-ე გვერდზე იგი სწერს: „რაც (sic) ანბავი ბაგრატონთა (sic), რომ სომეხთ ცხოვრებაში სწერია მათი მოსვლა“. ამ უთავბოლო წინადადებითგან მხოლოდ იმის გაგება შეიძლება, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს წყაროდ „სომეხთა ცხოვრება“ ჰქონია. იქ წერებულა ის ცნობები, რომლითაც ასე უხვად ავსებს იგი თავის თხზულების პირველს ნაწილს.

ალბად სპარსულ წყაროიგან უნდა იყოს ამოღებული შემდეგი მოთხრობები: „უწინდელი ანბავი ეს არის—ხოსროვ პარტაველიანი ტრდად კემწიფის შვილი“... (იქვე, 30), „დაკარგვა ლორიდამენ შაბდიზის ცხენით შირინისა ტრდათ (sic) კემწიფის შვილის სომეხთ კემწიფის ხოსროვის ქალისა და გლოვა და ტირილი მამიდისა და ძმებისა (იქვე, 33), „აქა შირინის მოსვლა მადაინს და ხოსროვის მოსვლა მუღამს (sic) ერთმანერთის საძებნელად (იქვე, 34), „აქავ კემწიფის ცნობა მაჰბანუ დედოფლისაგან და აშიყობა მისი და შირინისა და ერთმანერთის მოძებარნი მუღამში შეიყარნეს“ (იქვე, 35) და „აქა ქორწილი ხოსროვ ერის (sic) კემწიფისა სომეხთ კემწიფის ხოსროვ ტრდადის შვილის ქალს შირინისთანა და მადაინს მიიყვანა“ (იქვე, 36). ერთი სიტყვით, აქ ცნობილი სპარსული სამიჯნურო პოემა „ხოსროვ ვა შირინი“ არის მოთხრობილი. ამ თხზულებას ზღაპრული ხასიათი აქვს, სალიტერატურო ნაწარმოებია და არა სინამდვილე, ამიტომ იქიდგან ისტორიაში ცნობების შეტანას ადამიანი ვნების მეტის არაფერ სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან. რომ ხოსროვ და შირინის ისტორია მხოლოდ ზღაპრული მოთხრობაა, ამას, როგორც სჩანს, თვით გორგიჯანიძეც გრძნობდა. ეს იმითა მტკიცდება, რომ მოთხრობის უკანასკნელ თავის ბოლოში იგი გვამცნებს: „მრავალი არაკი მოკლეთ მითქვამს“-ო (იქვე, 37).

ფარსადან გორგიჯანიძეს ზოგიერთი, განსაკუთრებით საქართველოს შესახები ცნობები მხოლოდ ზეპირ გადმოცემაზე აქვს დამყარებული. ამას

იგი თითონაც არა მალავს. მე-21-ე გვერდზე მაგ. იგი სწერს: „აქა ცოტას რასმე ამბავს გაგონებულსა მირიან ჴემწიფისასა და მისის შვილის (sic) ვახტანგ გორგასლისას დავწერ, მაგრა წიგნი არ მინახავს“-ო, და იქვე უმატებს: „თუ ამათი ანბავი ვინმე წიგნათ ნახოთ, აქედამენ ჩაუმატეთ“-ო. მაშასადამე მას ქ˝ცა არ უნახავს და ნაწერ წყაროს მაგიერ „გაგონებული ამბავით“ უსარგებლია.

სწორედ განმაცვიფრებელი და დაუჯერებელი რამაა, რომ საისტორიო ცნობები იმდროინდელ საქართველოს განათლებულ წრეებს, რომელთა ჯგუფს უეჭველია ეკუთვნოდა როსტომ მეფის მახლობელი კაცი ისტორიკოსი ფარსადან გორგიჯანიძე, საქართველოს ისტორია ასე მახინჯად ჰქონიათ დაზეპირებული!.. ვახტანგ გორგასარი მირიან მეფის შვილი იყოო. ეს შემთხვევითი შეცდომა კი არ არის, ავტორი სრულებით დარწმუნებული ყოფილა, რომ მირიან მეფე ვახტანგ გურგასლის მამა იყო, რადგან მე-25-ე გვერდზე მას მოთხრობილი აქვს: „სიკვდილი მირიან მეფისა და მეფედ კურთხევა მისის შვილის გორგასლისა“-ო.

ამგვარივე თვისებისა და ღირსებისაა გორგიჯანიძის ცნობები მელიქ შაჰითგან მოყოლებული თამარ მეფის გამეფებამდე (იქვე, 37—47). თავი „აქა გაძლიერდა ქვეყანათა ზედან სულთან მელიქ შაჰა (sic) ჴემწიფე“ (იქვე, 37) ბირდაბირ ხოსროვ და შირინის ამბავს მისდევს. შემდეგ მოთხრობილია: „აქა მეფის ბაგრატისაგან თავისის შვილის გიორგისა თბილის ქალაქში მეფედ კურთხევა და თვითონ (sic) დიდის ჯარითა და მორთულობით სულთან მელიქ შაჰთან წასვლა (იქვე. 39); „აქა ბაგრატ მეფისაგან თავისის უფროსას შვილის გიორგის მეფეთ კურთხევა“ (იქვე, 40—41), „მეფე ბაგრატ მიიცვალა და მეფე გიორგი ჴემწიფობდა“ (იქვე, 41), „აქა სიკვდილი მეფის გიორგისა და გაჴემწიფება მამის ალაგზედ მეფის დემეტრესი“ (იქვე, 42), „მეფემ გიორგიმ თავისი ასული თამარი მეფეთ აკურთხა, აქ თქმულა: «ლეკვი ლომისა სწორია ძუ იყოს გინდა კვადია»“ (იქვე, 43), „აქა სიკვდილი თამარ მეფის დედის ბურდუხან დედოფლისა“ (იქვე, 45) და „ამისთანას დროს მეფეთა მეფე გიორგი მეფის თამარის მამა, მიიცვალა“ (იქვე, 46). საკმაოა ადამიანმა მარტო ამ სათაურებს თვალი გადაავლოს, რომ ნათლად წარმოიდგინოს, რანაირად არეული იქნება ყველაფერი თვით მოთხრობაში. აქაც ავტორს უეჭველია უნდა ეთქვა: „აქა ცოტას რასმე ამბავს გაგონებულს დავწერ, მაგრა წიგნი არ მინახავს“-ო, თორემ ქ˝ცის ხელთნაწერი რომ ჰქონებოდა ასეთს გასაოცარს რამეს არ მოროშავდა.

თამარის გამეფების ხანათგან მოყოლებული, ფარსადან გორგიჯანიძე აშკარად ქ˝ცის მოთხრობას მისდევს. ამიტომ გორგიჯანიძეს თხზულების პირველ ნაწილად ჩვენ 1—47 გვ. ვთვლით, ხოლო მე-47 გვერდითგან იწყობა მეორე, ქ˝ცაზე დამყარებული, ნაწილი.

პირველი ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით ზეპირსა და „გაგონილს“ ამბებზეა დამყარებული და ამის გამო მას ზღაპრული ხასიათი აქვს, რაკი მისი ორიოდე წერილობითი წყარო, როგორიც მაგ. სომეხთა ცხოვრება და ხოსროვ და შირინის არაკია, თქმულებებზეა დამყარებული. რადგან ფარსადან გორგიჯანიძეზე უწინარეს ამ ხანის შესახებ უკვე არსებობდა ყოველ შემთხვევაში ბევრად უკეთესი, ხოლო მე-VIII—XII-ე ს. შესახებ საუცხოვო საისტორიო თხზულებები, ამიტომ გორგიჯანიძეს ნაწარმოების ამ პირველს ნაწილს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც თანამედროვეებისათვისა ჰქონია. მტკნარ, განმაცვიფრებელ უვიცობით სავსეს—ამ ნაწილს მკითხველთათვის ვნების მეტი არაფერ სარგებლობის მოტანა არ შეეძლო. იგი მხოლოდ ერთის მხრით არის საყურადღებო: თუ ასეთს მაღალხარისხოვანს და მეფის მახლობელ მოხელეს და ისტორიკოსს, როგორიც იყო ფარსადან გორგიჯანიძე, ასე ღომხალივითა ჰქონდა არეული სამშობლო ქვეყნის წარსული და თავგადასავალი, ასე ზღაპრულად ჰქონდა წარმოდგენილი და ქართული საუკეთესო საისტორიო წყაროები არამც თუ წაკითხული, თვალითაც-კი ნანახი არა ჰქონია,—მაშ დანარჩენს ხალხს, ჩვეულებრივს, შუათანა შეძლებისა და ცოდნის პატრონს, რა-ღა წარმოდგენა უნდა ჰქონოდა? რასაკვირველია არაფერი!.. ამას ნათლად ამტკიცებს ფარსადან გორგიჯანიძის შრომის პირველი ნაწილი.

ავტორის პირველ ნაწილის თხრობის მიმდინარეობა ხშირად არეულია და შემთხვევითი: ზოგიერთი ცნობები უალაგო ალაგას არის ჩაკერებული და დანარჩენ მოთხრობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მე-11-ე გვერდზე გორგიჯანიძე თვით აღიარებს ამას, როცა სწერს: „ამბავი ფრანგეთის ჴემწიფის ქალის ჰორომ-სიმეს წამებისა და წმიდის ნინოსი. უფრო ზეით ამბავია, მაგრა აქაც არას დაუშლის“-ო (sic). მე-30-ე გვერდზე ავტორი სრულიად მოულოდნელად აცხადებს: „ამბავი ერანის ჴემწიფეებისა ცოტას რასმე სახელებს ზეით ვახსენებთ და გათავებით მათს ამბავსა და ნაქმართა და სახელებსა თავ-თავიანთ ადგილს დავწერთ. საქმე და გამოლაშრება ბაღდადის ხალიფისა საქართველოზედან გაძრიელებია სულთანთა ბაჰრჩუბინიანთა, სალჯუღიანთ და ხორაზმიანთა (sic) და ჩანგიზიანთა (sic), ოსმან ჯუგიანთა (sic), ქურაქანიანთა და თურქმანთა და ისმეილიანთა რომ შხ (sic) სეფობით იხსენებიან და ჴემწიფობენ, რაც ამათგან საქართველოში იქნა“ (იქვე, 30). ამას პირდაპირ ხოსროვ და შირინის ამბავი მისდევს!

თამარ მეფის დროითგან მოყოლებული, გვ. 47—236 გვერდამდე ფარსადან გორგიჯანიძის შრომის მეორე ნაწილს უკავია. ამ 189 გვერდს ერთ ნაწილად იმიტომ ვთვლით, რომ აქ ავტორი ერთად-ერთ წყაროთი ხელმძღვანელობს, და ნაწარმოებსაც ამის გამო ერთი ხასიათი და ღირსება აქვს. მეორე ნაწილი მთლად ქართლის ცხოვრებაზე არის დამყა-

რებული. აქ ავტორი თავის წყაროს მისდევს და დედნის შინაარსი ზოგჯერ ძალიან დაახლოვებით აქვს გადმოცემული, ზოგჯერ უფრო მდაბიურად. როგორც ნათქვამია, გორგიჯანიძე ქ~ცას მისდევს თამარის მეფობითგან დაწყობილი, ხოლო თავდება 236 გვერდზე შემდეგ წინადადებით: „მეორეთ კიდევ მოსცა უაზან უაენმან მეფობა საქართველოს ვახტანგ მეფესა: დაიჭირა ვახტანგ მეფემან სომხითი, ღმანისი, სამშვილდე და ქვეყანანი ამ ციხეთა". აქ ნიშანი არის დასმული, ხოლო ქვემო არშიაზე იგივე ნიშანი გამეორებულია და შენიშვნა სწერია: „აქამომდე ფარსადან გორგიჯანიშვილის (sic) ისტორიისაგან არს და ამ ადგილს აკლდა, დიდი ქართლის ცხოვრებიდან შევასრულეთ და ჩაუწერეთ ლანგთემურის ცხოვრებამდისა და ლანგთემურის ცხოვრებიდამ ისევ ფარსადან გორგიჯანიძისაგან აღწერილი დაიწერება"-ო. მაშასადამე სამწუხაროდ დედანსა ჰკლებია. შესაძლებელია ფარსადანს ლანგთემურამდე ჰქონიყო მიყვანილი მოთხრობა. ხოლო თუ მას თავისი მოთხრობა მართლა ლანგთემურამდის ჰქონდა მიყვანილი, შეუძლებელია მას გიორგი ბრწყინვალის მეფობის შემდგომ წყაროდ ისევ ქ~ცა ჰქონდა. შეუძლებელი იმიტომ არის, რომ ამ დროს ქ~ცის გაგრძელება, ჯერ დაწერილი არ ყოფილა, თორემ განა ლანგთემურის ისტორიაშიც ფარსადან გორგიჯანიძე თავის წყაროდ ქ~ცის გაგრძელებას არ გაიხდიდა. ეტყობა გორგიჯანიძეს ქ~ცის ისეთი ხელთნაწერი ჰქონია, რომელიც მხოლოდ თამარ მეფის ისტორიასა და მონღოლთა დროინდელ ისტორიკოსის თხზულებას შეიცავდა გიორგი ბრწყინვალემდე. ეს იყო მისი ერთად-ერთი წყარო მეორე ნაწილისათვის. მეტად საჭიროა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების სრული ხელთნაწერი აღმოჩნდეს, რომ გამოირკვეს, ლანგ თემურამდისა ჰქონდა მეორე ნაწილი მოყვანილი, თუ არა, და თუ ჰქონდა რა წყაროებით სარგებლობდა.

საზოგადოდ ამ მეორე ნაწილსაც ისტორიისათვის არავითარი მნიშვნელობა არცა ჰქონია და არცა აქვს, რადგან თვით მის წყაროს დედანმა, საუცხოვო ღირსებისამ, ჩვენამდის მოაღწია.

მე-235-ე გვერდით იწყობა ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის მესამე ნაწილი, რომელიც იქა თავდება, სადაც ისტორიკოსი ვითარცა თანამედროვე თვით მოგვითხრობს, მაშასადამე მისივე სიტყვებისდა თანახმად 1636 წლამდე (ხელთნაწერი გვ. 337). ეს მესამე ნაწილი ორად განიყოფება: ერთი ლანგთემურის ხანას შეიცავს და მოთავსებულია 235—263 გვერდებზე, სათაურადა აქვს: „აქა ანბავი (sic) ლანგთემურისა ფარსადან გორგიჯანიძისაგანვე აღწერილი" (ხელთნაწერი გვ. 237). მეორე 364 გვერდითგან იწყობა და ბოლომდის, ესე იგი 335 გვერდამდე აღწევს, ხოლო სათაურად აქვს: „ქ. სახელითა და შეწევნითა მ~ღთისათა ერანის კემწიფების ანბავი ისმინეთ, ზოგი წიგნებში წაკითხულია და ზოგი გაგონილია, შეგროვებულია და ისპანში (sic) დაწერილია და ამის წერა-

ში შახ (sic) სეფის ნათესავთაგან რვას კემწიფობა უქნია... მერვე... შაჰ სულეიმან ამის წერაში კემწიფობდა"-ო (იქვე, 264). ამგვარად თითქოს უკეთესი უნდა ყოფილიყო ეს ორი ნაწილიც გაგვეცალკევებია და მესამე და მეოთხე ნაწილებად მიგვეჩნია. მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა, იმიტომ რომ ჩვენ ფარსადან გორგიჯანიძის ნაწარმოების დანაწილების დროს იმით ხელვმძღვანელობით, თუ რაგვარისა და თვისების წყაროებით სარგებლობდა იგი. ხოლო ამ მხრივ თუ განვიხილეთ გორგიჯანიძის თხზულება, მაშინ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, მთელი ეს ორად გაყოფილი მოთხრობა ერთ, მესამე, ნაწილად უნდა აღვიაროთ.

„ანბავი ლანგთემურისა" შემდეგ მოთხრობებს შეიცავს: პირველ შემოსევის აღწერილობას (ხელთნ. გვ. 235—237), „აქა მეორედ მოსვლა თემურ კემწიფისა საქართველოში დიდის ლაშქრით" (237—239), „აქა თემურ კელმწიფის მისვლა საკაზს ზედან" (239—240), „აქა თემურ კემწიფე მალთაზედ წავიდა" (240—241), „აქა ომი ლანგთემურ კემწიფისა ილდრუმ ბაეზიდ ხონთქრისა (241—244), „წასვლა თემურისა იელსარამს (sic) და მისრეთს" (244—245), „იელუსარემით (sic) მისრეთისაკენ გალაშქრება" (245—247), „აქა მესამედ წასვლა თემურ კელმწიფისა საქართველოს ზედან" (247—253), „აქედამე დიდი ლაშქარი გაუძახეს ერზნგის ქვეყანასა ზედან" (253), „მოსვლა თემურისა სამცხეს და წინ მიგებება ივანე ათაბაგისა და მეფის გიორგის ძმა (sic) კოსტანტილესი" (253—254), „თემურ კემწიფემ ივანე ათაბაგი და მეფის ძმა კოსტანტილე ლაშქართ უთავა და სამცხიდამ აფხაზეთს გაუძახა" (254—256), „აქა თემურ კემწიფესთან მეფის გიორგის ფეშქაში და არზისა და ფეშქაშის მოსვლა" (256—257), „აქა თეიმურ (sic) კემწიფემ იმერეთის მეფე გიორგი შემოირიგა" (257—259), „თემურ კელმწიფის სამარყანდით ხათას მიმავალი გზაზედ მიიცვალა" (259—261), „აქა თემურ კემწიფის გალაშქრება სამარყანდით ხათაზედა მოსარჯულებლად" (261—263).

უეჭველია, რომ „ანბავი ლანგთემურისა", რომელიც მესამე ნაწილის თავში, 235—263 გვერდებზეა მოთავსებული, აგრეთვე სპარსულ წყაროთგან უნდა იყოს ამოღებული. ფ. გორგიჯანიძეს თვით ავტორიც თითქოს დასახელებული ჰყავს, ის ამბობს: „აქა ანბავი (sic) თეიმურის გახელმწიფებისა თვითონ მირონ ჰუსინისა (sic) კელმწიფისა"-ო. ამგვარი ისტორიკოსი მირან ჰუსეინ არსებობდა. სამწუხაროდ ამ ხანის შესახები სპარსული საისტორიო ნაწარმოებები ჯერ არც საკმაოდ შესწავლილია და არც გამოცემულია.

ლანგთემურის ისტორია აწერილი აქვს ორ ისტორიკოსს ნიზამ შამის და შერეფ ედდინ ალი იეზდის, ორივემ თავის თხზულებას „ზაფარნამა" უწოდეს. პირველ ავტორის თხზულება მიყვანილია 1403—4 წლამდე, ხოლო მეორისა ლანგთემურის მთელ ცხოვრების აღწერილობას შეიცავს და დამთავრებულია 1424—5 წელს, მაშასადამე ლანგთემურის სიკვდილის 19 წლის შემდგომ.

შერეფ ედდინ ალი იეზდის ნაწარმოები მეტად გაზვიადებულ და მძიმე ენით არის ნაწერი, წამდაუწუმ, ხშირად სრულებით უადგილოდ ჩართულ, კორანის წინანა-დადებებითა და ლექსებით აჭრელებულია და ძნელი საკითხავიც არის. ამის გამო შაჰმა ჯაჰანგირმა აბდუსატარ ყასიმს მიანდო შერეფ ედდინის ისტორია შემოკლებინა და უფრო ადვილ საკითხავ წიგნად გაეხადნა. მინდობილი საქმე ავტორმა 1615 წელს დაამთავრა. ამგვარივე შემოკლება განუსრახია და აუსრულებია კიდეც ვიღაც უცნობს ავტორს შერეფ ედდინის სიცოცხლის დროსვე და თავის თხზულებისათვის სახელად „ფატხნამაჲ სახიბყირანი“ უწოდებია. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით მხოლოდ შერეფ ედდინის ისტორიაა დაბეჭდილი „Bibliotheca Jndica“-ში (Calcutta 1887—1888 წ. Sharfuddin ali of Vazd. The Zafarnamah). თუ გორგიჯანიძისა და შერეფ ედდინის თხზულებებს ერთი-ერთმანერთს შევადარებთ, გორგიჯანიძის ცნობები სპარსულს დედანს ცხადად უდგება, მაგრამ ზოგიერთში განსხვავდება კიდეც. სხვათა შორის ქართულს ტექსტს არც კორანის წინადადებები აქვს, არც ლექსები, თვით მოთხრობაც მარტივია. ამიტომ, როგორც სჩანს, გორგიჯანიძეს წყარო მირახ ჰუსეინის თხზულება აბდუსატარ ყასიმის 1615 წ. შემოკლებულ ისტორიის მსგავსი უნდა ყოფილიყო.

როგორც თვით ფარსადან გორგიჯანიძე გვამცნებს, მას „ერანის კემწიფების ანბავი“-სათვის ორგვარი წყაროები ჰქონია:—წიგნები და გაგონილი“, ანუ ზეპირი გარდმოცემა. ორივე წყარო სპარსული უნდა ყოფილიყო, თვით თხზულებაც ხომ სპარსეთში, ისპაჰანში არის დაწერილი. „ერანის კემწიფის ამბავი“ თვით მოთხრობის შინაარს არ შეეხამება, რადგან იქ ნაამბობია უფრო საქართველოს თავგადასავალი სპარსეთის, ანუ ერანის ბატონობის დროს და შემდეგს ამბებს შეიცავს:

„აქა უზუნ ჰასან მიიცვალა და შვილი გაკელმწიფდა (იქვე ხელთნ. 266), „აქა უწინ ომი შაჰ ისმე[ი]ლის და ალვად კელმწიფის გაქცევა სოფანით“ (იქვე, 267), „ილღარი შაჰ ისმეილისა თავრიზით, მერვესა დღესა ჰამადანს მისვლა მოულოდნელის მტრისა“ (იქვე 268), „აქა გაკელმწიფდა შაჰ ისმეილის შვილი შაჰთამაზ მამას უკან ქ~კს რჟ“ (იქვე, 269), „აქა შაჰ ტამაზ (sic) ყაენისაგან უწინ გალაშქრება ქართლის მეფეს ლვარსაბს (sic) ზედა ქრონიკონს ას ოთხმოცდა რვასა“ (იქვე, 270). „მეორეთ შაჰ თამაზ ყაენის მოსვლა საქართველოში“ (იქვე, 272), „ქრონიკონსა ს~ლე მესამეთ შაჰტამაზ ყაენი საქართველოს წავიდა“ (იქვე, 272), „მეოთხედ შაჰტამაზ ყაენის მოსვლა საქართველოზედან ქრონიკონს სლა (იქვე 275), „ყაენის მოსვლა ატენის ციხეს ზედა (იქვე, 276), „ხანსა და დროს უკან კიდევ ყიზილბაშის ლაშქარი მოუხდა და მეფემ ლვარსაბ სიზმარი ნახა“ (იქვე, 277), „ქ~კს სმ მეფე ლვარსაბ გორიდამ აიყარა და გორის ვარხუნას მივიდა“ (იქვე, 278), „მოკვლა ყიზილბაშთაგან მეფის ლვარსაბისა, რომ თვითონ წინათ წარმეტყველობა (sic) ქნა“ (იქვე, 280), „აქა მეფე სვიმონ თავისის მამის ლვარსაბის ალაგს მეფედ აკურთხეს“ (იქვე 280), „აქა ბატონი დავით თავის ძმის მეფის სიმონისაგან შემამწყრალი შაჰტამაზ ყაენთან წავიდა ყაზმინს“ (იქვე, 282), „აქა დარჩენა მეფის სვიმონისა და გამარჯვება მეფის დავითისა“ (იქვე, 284), „აქა მეორე შაჰ ისმეილ საწამლავით

მოაკვდინეს და მისი ძმა შაჰ ხუდაბანდა გაკელმწიფეს (sic)“ (იქვე, 285), „აქა მეფის დავითის მისვლა ხონთქარს (sic) თანა და ლალა ფაშის გამოძახება და აღრბეჟანის აღება ურუმთაგან“ (იქვე, 286), „ქრონიკონსა ორას ჩვიდმეტსა სიზ შაჰტამაზ მიიცვალა და მისი შვილი შაჰ ისმეილ გაკელმწიფდა. მეფე სვიმონი იმან ალამუდის ციხით ყაზმინს მოიყვანა“ (იქვე, 288), „აქა მეფე სვიმონს დადიანი თავს დაესხა ოფისკუჯს და გაიმარჯვა“ (იქვე, 290), „აქა მეფე სვიმონ ურუმთ შება (sic) ალგეთს ზედა და დაირჩინეს და წაიყვანეს თავრიზს და იქიდამენ (sic) დიდის პატივით გაისტუმრეს კოსტადიპავლეს“ (sic) (იქვე 292). ქ'კს სპ პატრონის შვილის გიორგის გორს ამბავი მოუვიდა რომ გუშინ მამა შენი ალგეთის პირს ურუმთ შეება, ცოცხალი დაიჭირესო“ (იქვე 294), „გაკელმწიფება შაჰბაზ (sic) ყაენისა“ (იქვე 295), „ილარი შაჰბას ყაენისგან და მერვეს ღდეს ისპაჰნით (sic) თავრიზს მისვლა“ (იქვე 296), „მოშველება გიორგის აივანზე მეფის და ბატონი მეფის ალექსანდრესი ლაშქრითა“ (იქვე 298), „აიღეს ციხე ყაბალისა, დაიჭირეს შირვანი. გაბატონეს (sic) კონსტანტილე (sic) ბატონის ალექსანდრეს შვილი“ (იქვე 299), „მოკლეს კოსტანტილე კახთა“ (იქვე 300), „ქორწილი წინანდელი ბატონის თეიმურაზის გურიელის ქალთან“ (იქვე 301), „მეორე ქორწილი ბატონის თეიმურაზისა და ხვარეშან დედოფლისა (იქვე 302), „გალაშქრება შაჰბაზ ყაენისა მეფეს ლვარსაბისა და ბატონს თეიმურაზსზედა“ (იქვე 304), „მოსვლა მეფის ლუარსაბისა იმერეთით ქართლს ყაენს თანა“ (იქვე 306), „აქა ხონთქრისა და ბატონის თეიმურაზის სიტყვებანი“ (sic) (იქვე 308), „სიზმრის ნახვა ხორეშან დედოფლისა და იმავე დღეს ახდენა“ (იქვე 308), „ომი არაგვზე ბიტონის თეიმურაზისა და ალი ყული ხანის შამლუსა გამარჯვება ბატონის თეიმურაზისა“ (იქვე 310), „სიკვდილი მეფის ბაგრატისა და მეფობა მისს შვილს სვიმონს უბოძა ყაენმან და ყორჩღა ხან ლაშქრით თან გამოატანეს“ (იქვე 310 sic), „ომი ალგეთს ზედა ისახან ყორჩი ბაშისა და ბატონის თეიმურაზისა“ (იქვე 313), „იმან (sic) ყული ხანის ქალი ანდუყაფარ ამილახორის ჯალაბი არშის ციხე[ს] იყო“ (იქვე 316), „ეს ანბავი მინჰაშმან ქალის (sic) ამან ყაენს მისწერა“ (იქვე 318), „ომი ბაზალეთს ბატონის თეიმურაზის და მოვრავის (sic) შეებმა“ (sic) (იქვე 318), „აქა ამბავი როსტომ მეფისა. დავით მეფის შვილისა რომ უწინ ხოსროვ მირზა ერქვა“ (იქვე 321), „ბატონმან თეიმურაზ განჯა ყარაბაღი დარბივა (sic) (იქვე 322), „შაჰსეფი ყაენმან დაუდ ხანის ჯავრით მისი ძმა იმან ყული ხან შვილებიანად დახოცა“ (იქვე 324), „ქ"კს ტიზ გორის ციხე ააშენეს საქართველო მეფეს როსტომს მიაბარეს“ (იქვე 326), „აქა როსტომ მეფისაგან ლევან დადიანის დის მარიამის თხოვნა სადედოფლოდ“ (იქვე 327), „იქვე (sic) როსტომ მეფის ქორწილის ანბავი დავიწყოთ სათქმელად“ (იქვე 328), „როსტომ მეფეს საქორწილოთ მიმავალს დათუნა ერისთავს სურამით დაუბრუნდა“ (იქვე 330), „სიკვდილი დავით ერისთავისა მეფის როსტომის ბრძანებით მუხრანშია ქრონიკონს ტით“ (იქვე 331), „აქა ტინთის (sic) გზაზე ზალ ერისთვის დახვდომ (sic) თავის ბატონს მეფეს როსტომს წინ დახვდომა“ (იქვე 331), „აქა ომი არცევისა ბატონის თეიმურაზის და მეფის ლაშქრისა“ (იქვე 333), „ბატონმან თეიმურაზ თავისი ქალი თინათინ შაჰსეფი ყაენს გაუგზავნა“ (იქვე 334), „მოსვლა სულთან მურად ხონთქრისა და ერევნის ციხის აღება ქ"კს ტ"კე“ (იქვე 335), „იასე ერისთავისა და იოათამ ამილახორის ცოლშვილი როსტომ მეფემ გორის ციხეში შეგზავნა“ (იქვე 335).

„ერანის კემწიფეების ანბავში“, როგორც აღნიშნული იყო, შეტანილია ფარსადან გორგიჯანიძის მიერ სპარსულ წყაროებითგან ამოკრებილი ცნობები

უნდა იყოს. თვით ისტორიკოსი თავის წყაროების სათაურებსა და ავტორების სახელებს არ ამჟღავნებს, რომ გამოგვერკვია, რამდენად სანდო მასალა შეუკრებია მას და სწორედ გადმოცემული აქვს დედანის შინაარსი, თუ მისი შრომა ამ შემთხვევაში საკმაო სიფაქიზით ვერ არის შესრულებული? საბედნიეროდ ერთს მისს უმთავრეს წყაროს მაინც მივაგენი და იმის საშუალებით ზემოაღნიშნულ საკითხის გამორკვევა შევიძლიან.

როცა გორგიჯანიძის ისტორიის ხელთნაწერს ვკითხულობდი და 274-ე გვერდზე ვარძიის მონასტრის სიმდიდრისა და მშვენიერების აღტაცებული აღწერილობა წავიკითხე, მაშინ-კი მივხვდი, რომ ეს აღწერილობა სპარსელ ნიჭიერს ისტორიკოსს ისკანდერ მუნშის ეკუთვნის. შედარებამ ჩემი აზრი სრულებით განამტკიცა. სამწუხაროდ არც ისკანდერ მუნშის თხზულებაა ჯერჯერობით გამოცემული (არსებობს მხოლოდ თეირანის ლიტოგრაფიული გამოცემა), მაგრამ ვისაც სურს დარწმუნდეს, რომ ჩვენი დასკვნა სწორეა, მას შეუძლიან აკადემიკოსის დორნის მიერ ნათარგმნს გერმანულს ტექსტს მიჰმართოს და ფარსადან გორგიჯანიძის 247-ე გვ. მის თარგმანის 336—337 გვერდს შეადაროს (იხ. **B. Dorn.** Beiträge zur Geschichte der kaukasischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen. III Erster Beitrag zur Geschichte der Georgier, Mémoires de l'Académie imperiale des sciences de St.-Pétersbourg, VI-série, t. sixième, p. 336—337).

როცა კვალდაკვალ შედარებას შევუდექი, გამოირკვა, რომ მარტო ვარძიის აღწერილობა-კი არა, არამედ ფარსადან გორგიჯანიძის ხელთნაწერის 269 გვერდითგან მოყოლებული, იქ სადაც იწყობა „აქა გაკემწიფდა შაჰთამაზ მამას უკან ქ˘კს რჟ ვიდრე 286-ე გვერდამდე ყველა იქ მოყვანილი ცნობები ისკანდერ მუნშის თხზულებითგან ყოფილა გადმოთარგმნილი ბევრგან სიტყვა-სიტყვით, ზოგჯერ დაახლოვებით. ვისაც ჰსურს დარწმუნდეს, საკმაოა გორგიჯანიძის ისტორიის ხელნაწერის დასახელებული 269—286 გვ. დორნის გერმანულ აღნიშნულ თარგმანის 269—345 გვ. ერთიერთმანერთს შეადაროს.

უეჭველია „ერანის ხემწიფეების ანბავი“ თავითგანვე ისკანდერ მუნშის თხზულებაზე უნდა იყოს დამყარებული, მხოლოდ 269 გვერდამდე გორგიჯანიძეს კი არ უთარგმნია, არამედ შემოკლებით აქვს გადმოცემული, ეს თვით ფარსადანის სიტყვებითგანაც სჩანს. 269 გვერდზე იგი მაგ. აცხადებს: „ბევრი ანბვები (sic) და მრავალი ომი და ცდა და საქმით საქმობა და ჭკუით გაბედულობა და ჴელით გამამაგლობა, ბევრი და გრძელი საქმე აქ მოკლედ დავსწერე“-ო.

266 გვერდითგან მოყოლებული ვიდრე 335-ე გვერდამდე ფარსადან გორგიჯანიძეს ცნობები ისე აღარ არის ისკანდერ მუნშის თხზულებაზე დამოკიდებული. მართალია უმეტეს შემთხვევაში ის ამბები, რომელიც გორგიჯა-

ნიძესა აქვს მოთხრობილი, თითქმის ყოველთვის ისკანდერ მუნშისაც აქვს მოხსენებული; მაგრამ მათი მოთხრობა ხშირად არსებითად განსხვავდება, ზოგჯერ ხან ერთს და ხან მეორეს უფრო ვრცლად და დაწვრილებით აქვს აღწერილი ხოლმე, ასე რომ აქ შეუძლებელია გორგიჯანიძეს მარტო სპარსულ ისტორიკოსის თხზულება ჰქონოდა (შეად. მაგ. ისკანდერ მუნში დორნის თარგმანში ზემოდასახელებულ თხზულებაში და ფ. გორგიჯანიძის ხელნაწერის შემდეგი ადგილები ისკ. 414 და გორგიჯ. 311—312; ისკ. 418 და გორ. 314, 315; ისკ. 422 და გორ. 318; ისკ. 423 და გორ. 319; ისკ. 425 და გორ. 317; ისკ. 425 და გორ. 320). უეჭველია, რომ გორგიჯანიძეს სწორედ ამ ნაწილში უნდა ესარგებლნა ზეპირგადმოცემით, სწორედ აქ უნდა ჰქონოდა მას მასალად ის, რაზედაც თვით ავტორი ამბობს „ზოგი გაგონილია“-ო. ეს განსაკუთრებით იმ ამბებს ეხება, სადაც მხოლოდ საქართველოს შინაურ საქმეებზეა ლაპარაკი. ერთგან, სახელდობრ თავში, „ქორწილი წინანდელის ბატონის თეიმურაზის გურიელის ქალთან“, სადაც ავტორი დედოფლის მომხიბლავ თვისებებზე და მოსწრაფებულს სიკვდილზე ლაპარაკობს, იგი თვით ამბობს: „შუა მთის სადარი (sic) იმას გაუხლებია, დაქცეული აუშენებია, და ორმოცდა ხუთის წლის გასულს უკან ფარსადან გორგიჯანიძე შვამთას (sic) მოვიდა, ეს სადარი ნახა და ეს ლექსი თქვა:

„სახელისა ყველა-წმიდა დედოფალსა აუგია
მისი ზითვის საჭურჭლენი სრულა მაზედ წაუგია
დაუგდია აქ სახელი, საიქიო მოუგია
და ეს საწუთრო არ სდომია, ვინც არ აქებს, აუგია“ (ხელთნ. გვ. 302).

ალბად იქ რომ ყოფილა და ეს უხეირო ლექსი გამოუთქვამს; მაშინ ექნება დედოფალზე გაგონილი თანამედროვეთაგან.

ამ გვარად ფარსადან გორგიჯანიძეს ისტორიის მესამე ნაწილი XIV—XVII საუკუნოებს შეეხება. სწორედ ეს ხანა იყო ქ̃ცაში ალუწერელი ვახტანგ VI-მდე, სწორედ ეს ხანა შეადგენდა ვახტანგ მეფის მიერ შეკრებილ მეცნიერთა კვლევა-ძიების საგანს. მაშასადამე ფარსადან გორგიჯანიძესა და ვახტანგისეულ კომისიას ამ მხრივ ერთი და იგივე მიზანი ჰქონიათ: საქართველოს ისტორია აღედგინათ.

როგორ აასრულა თავისი მოვალეობა ფარსადან გორგიჯანიძემ? არავითარი ქართული წყაროები და საბუთები, რომელთა შოვნა ადვილად შეეძლოთ ვახტანგის სწავლულ კაცებს და მართლაც ხელთა ჰქონდათ, მას ისპაჰანში არ მოეპოვებოდა. ამიტომ გორგიჯანიძეს ეს ხანაც ან ზეპირგადმოცემით უნდა დაეწერა,—მაშინ მის თხზულებას ამ ნაწილსაც მნიშვნელობა დაეკარგებოდა,—ან არა და სპარსულ საისტორიო წყაროებითგან ამოეკრიბა ყველა ცნობები, რაც-კი იქ საქართველოს შესახებ მოიპოვებოდა. საბედ-

ნიეროდ გორგიჯანიძეს მეორე გზით სიარული უმჯობინებია: როგორც ზემოთ გამოვარკვიეთ, მისი ცნობები ამოღებულია განსაკუთრებით მირონ ჴუსეინისა და ისკანდერ მუნშის თხზულებებითგან. ამასთანავე ხშირად იგი სიტყვა სიტყვით სთარგმნის დედანს. მისი შეკრებილი ცნობები ვრცელსა და ახალ მასალებს გვაძლევს საქართველოს ისტორიის ასეთის წყვდიადით მოცულ ხანის შესახებ, როგორიცაა XIV—XVII საუკუნეები. ამ ცნობებს ხელთნაწერში 100 გვერდი უკავია, ამიტომ ფარსადან გორგიჯანიძეს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართულ საისტორიო მწერლობის წინაშე: მან თითქმის ორი საუკუნის წინად შეასრულა ის შრომა, რომელიც ხელმეორედ აკადემიკოსებმა ბროსსემა და დორნმა გასწიეს სპარსელ ისტორიკოსთა ცნობების შეკრებით საქართველოს შესახებ. ყურადღების ღირსია, რომ ამ ორ მეცნიერებმაც, იმავე ისტორიკოსების თხზულებებს მიჰმართეს, საითგანაც გორგიჯანიძემ ამოკრიბა თავისი ცნობები,—შერეფ ედდინ ალი იეზდისა და ისკანდერ მუნშისას. მხოლოდ გორგიჯანიძეს, როგორც ეტყობა, საუცხოვო ხელთნაწერი ჰქონია ხელთა, განსაკუთრებით უკანასკნელ ისტორიკოსისა, და საკუთარ და საგეოგრაფიო სახელებიც რასაკვირველია აკადემიკოსებზე უკეთესად აქვს წაკითხულ—გადმოთარგმნილი.

გორგიჯანიძის ისტორიის მესამე ნაწილის მნიშვნელობა რომ სავსებით დავაფასოთ, საჭიროა გამოვარკვიოთ აგრეთვე, თუ რა ღირსებისაა თვით ის სპარსული წყაროები, რომლითგანაც მან საქართველოს შესახები ცნობები გადმოსთარგმნა.

„ერანის ჴემწიფეთა ამბავი“, როგორც აღნიშნული იყო, გორგიჯანიძეს განსაკუთრებით ისკანდერ მუნშის თქმულებაზე აქვს დამყარებული. ისკანდერ მუნშის ისტორია შესანიშნავი და საუცხოვო თხზულებაა. თვით ავტორი ჯერ სახელმწიფო კარის უმად იყო (**von Erdman. Jskander Munschi und sein Werk. Zeitschrift d. deutschen Morgenländischen Gesellschaft, XV.** B. 1861 წ. გვ. 459) და ბევრ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია. 1586-7 წელს იგი სახელმწიფო დივანხანაში გაამწესეს (იქვე, 464), ხოლო 1592-3 წელს შაჰმა მას მუნშების უხუცესობა (მდივანთუხუცესობას) უბოძა (იქვე 464). ამის შემდგომ იგი ერანის ხელმწიფეს ახლდა ხოლმე (იქვე), ბევრ საქმეში პირადად მონაწილეობა მიუღია. სხვათა შორის შაჰს ახლდა იგი, როცა მან კავკასიაში გამოილაშქრა (იქვე 465, 468). მაშასადამე ავტორს მოთხრობილის უმეტესი ნაწილი ან თავის თვალითა ჰქონია ნანახი, ან თვალით მხილველთაგან ექნებოდა გაგონილი. ამას გარდა მის ხელთ იყო აგრეთვე სახელმწიფო საბუთები და მიწერ-მოწერა. ამიტომ მისი ისტორია სავსეა ფრიად საყურადღებო და სანდო ცნობებით. ერდმანი სრულებით მართალია, როცა ისკანდერ მუნშზე ამბობს: „ადგილების მდებარეობისა, ბანაკებისა და ციხეების გარემოცვისა და სალაშქრო წესით მოწყობილ ომების აღწერილო-

ბა საუცხოვო აქვს... ჩვენ თვალწინ გვიშლის მეფეებისა და მათ მოხელეების უუსაიდუმლოეს გეგმასა და მოქმედებას და საშუალებას გვაძლევს თვით ჰარამხანაშიაც კი შევიხედოთ. მეტად მომხიბლავად აქვს მას აწერილი სხვადასხვა საეკლესიო და საერო დღესასწაულები, გვიხატავს სპარსელებისა და უცხო ხალხთა ზნეჩვეულებებს, მათს ასპარეზობას, ნადირობას, ლხინსა და მეჯლისს, გულუხვს წვეულობასა და გლოვა-ტირილს გვაყურებინებს. გვიხსნის რა განწყობილებას სუფევდა მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შორის და ცხოველი ფერადებით აღწერილი აქვს ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა წმინდა ადგილები. ამასთანავე, თამამად და უშიშრად გვიხატავს მომქმედ პირთა, როგორც ღირსებასა და სათნოებას, ისე ნაკლულევანებასა და შეცდომას“-ო (იქვე 496—497). ერთი სიტყვით, ისკანდერ მუნშისთანა ისტორიკოსი იშვიათია და მის თხზულებასაც დიდი ღირსება და მნიშვნელობა აქვს. 1616 წელს შესდგომია წერას და 1629—30 წელს, უკვე სამოცდა ათი წლის მოხუცებულს დაუმთავრებია (იქვე, 479).

ამაზე უკეთესს წყაროს ფარსადან გორგიჯანიძე თავის ისტორიისათვის ვერ იშოვიდა. 1696 წელს, როცა მან თავისი შრომა დაამთავრა მას შეეძლო ხელთა ჰქონოდა, თუ ისკანდერ მუნშის საკუთარის ხელით ნაწერი წიგნი არა, სულ ახლად გადმოწერილი ხელნაწერი მაინც. რაკი ფარსადან გორგიჯანიძეს თავის თხზულების მესამე ნაწილისათვის ასეთი საუცხოვო წყაროები ჰქონია დედნად, რასაკვირველია ამ ნაწილს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, განსაკუთრებით მაშინ და ეხლაც-კი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. გორგიჯანიძემ თავისი მოვალეობა პირნათლად და ღირსეულად აასრულა: სამშობლო ქვეყნის ისტორიის ცარიელი ფურცლები მეტად ვრცელისა და შინაარსიანის ცნობებით აავსო.

როგორც აღნიშნული იყო, ფ. გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების მხოლოდ უკანასკნელი, მეოთხე ნაწილი, 1636—1696 წ. ამბების აღწერილობაა დაბეჭდილი დ. ჩუბინაშვილის მიერ ბროსსეს ქ̃ცის გამოცემაში (წ. II) და გადაბეჭდილია ზ. ჭიჭინაძის მიერ. სპარსულ წყაროებითგან ამოღებული ცნობები, ფარსადანის თხზულების მესამე ნაწილი, გამოსაცემად დამზადებული აქვს ამ სტრიქონების ავტორს.

ქართლის ცხოვრება.

ქართულ სხვა-და-სხვა დროინდელ საისტორიო თხზულებათა კრებულის „ქ̃ცის“ შესახებ შედარებით ბევრი რამ არის დაწერილი, მაგრამ მის წარსულისა და მერმინდელ შევსების შესახებ ჯერაც ერთგვარი, თანახმობრი-

ვი აზრი არ არსებობს. პირიქით უმთავრეს საკითხების თავობაზეც-კი სრული უთანხმოება სუფევს, განსაკუთრებით „ქ~ცის“ შევსების დროისა და შემავსებელთა ვინაობის შესახებ. თვით ქ~ცის შედგენის საკითხს მკვლევართ შედარებით ნაკლები ყურადღება მიაქციეს.

ვიდრე მ~მ დღ~ლსი ქ~ცა აღმოჩნდებოდა, საკითხი ქ~ცის თანდათანობითი შედგენის შესახებ არც-კი არსებობდა. მაგრამ ამ შესანიშნავ ხელთნაწერის პოვნის შემდგომაც მის პირველს მკვლევარს, დ. ბაქრაძეს, ისე ეგონა, თითქოს ქ~ცის შედგენის ისტორიის გამოკვლევისთვის კიდევ სხვა ხელთნაწერები იყოს საჭირო. ერთად-ერთი, რაც შეგვძინა ახალმა წყარომ, ის არის, რომ სუმბატის მატიანე აღმოაჩინა და საშუალება მოგვცა გაგვეგო, რაც მას ეკუთვნოდა. „არ ვიცოდით... აქამომდე რა ეკუთვნოდა სუმბატს, რადგანაც იმაზე მხოლოდ შენიშვნაა მიწერილი ძველს აკადემიის ვარიანტში“-ო, ამბობდა განსვენებული ისტორიკოსი, „მაგრამ როდესაც მარიამ დედოფლის ვარიანტი გავჩხრიკეთ, ვნახეთ, რომ აქ სუმბატის ხრონიკა მთლად ცალკე შეტანილია ქართლის-ცხოვრების ტექსტში... და დაბეჭდილს ქ.-ცხოვრებაში და სხვა დედნებში-კი დაგლეჯილია და აქა-იქ გაფანტულიო“-ო (ისტორია საქართველოსი, 55).

დ. ბაქრაძის აზრით ქ~ცის ამას გარდა ის მნიშვნელობაცა აქვს, რომ იქ დასარჩენ მატიანეთა სახელებიც მოიპოვება, მაგრამ ამასთანავე ამბობს: „რა ეკუთვნის ქართლის—ცხოვრებაში, ანუ მროველს ანუ ჯუანშერს ანუ იოანე დეკანოზს, არ ვიცით“-ო (იქვე 55). მას ჰგონია, რომ „უნდა იყოს აქა-იქ ქართლის—ცხოვრებაში დაბნეული თავით მროველისა, ჯვანშერისა (sic) და იოანე დეკანოზის ხრონიკები“-ო (იქვე) და ამიტომ შეუძლებლად მიაჩნია გამოარკვიოს, ვის რა ეკუთვნის. მას იმედი აქვს მხოლოდ: „იქნება ესეც აღმოჩნდეს რომელსამე ვარიანტში“-ო (იქვე). ამგვარად ცხადია, რომ დ. ბაქრაძეს ქ~ცის შედგენის ისტორიასა და შემადგენელ ნაწილებზე ლაპარაკი მაშინ შეუძლებლად მიაჩნდა.

მ~მ დღ~ლ ქ~ცის უფრო ზედმიწევნითს შესწავლას ბ.ბ. ე. თაყაიშვილი და თ. ჟორდანია შეუდგნენ. ე. თაყაიშვილი ჯერ იმ საკითხს შეეხო, თუ „ვინ მიიღო შრომა და... სუმბატის ისტორია შეაკერა ქართლის ცხოვრების ტექსტს და რატომ სუმბატის ხრონიკა ცალკე თავათ მარტო მარიამ დედოფლის ვარიანტშია და სხვებში არა?“ (სამი ისტ. ხრ. გვ. CXII). ე. თაყაიშვილს თვით საკითხზე პასუხი არსებითად მაინც არ მოუცია და სხვა დროისათვის გადასდო, როდესაც იგი ქ~ცის საკითხის შესწავლას ვრცლად აპირებდა (იქვე CXII—CXIII). მაგრამ არც შემდეგში, როდესაც ე. თაყაიშვილმა გამოაქვეყნა თავისი ვრცელი გამოკვლევა ქ~ცის ყველა ხელთნაწერების შესახებ, თვით ქ~ცის თავდაპირველ კრებულის შედგენას და ქ~ცის ისტორიას შეეხებია, არამედ მარტო ქ~ცის მერმინდელ შევსების საკითხს და შემავსებელთა ვინაობას არკვევდა. იმას, თუ როგორ და როდის გაჩნდა ქ~ცა და როდის მიიღო ის სახე, რომელიც

ქ~ცას მ~მ დფ~ლს ხელთნაწერში აქვს, ე. თაყაიშვილი სრულებით არ შეჭხებია. მას ორიოდე სტრიქონი აქვს დაბეჭდილი მ~მ დფ~ლ ქ~ცის მხოლოდ გარეგან სახის შესახებ (Опис. II, вып. 1, გვ. 65).

ამ საგანზე უფრო მეტი ცნობები თ. ჟორდანიასა აქვს თავის ქ~კბის I წიგნის წინასიტყვაობაში: მას, ჯერ ეს ერთი, დაწვრილებით განხილული აქვს ყველა ის საისტორიო თხზულებები, რომელთაგანაც მის აზრით თვით მ~მ დფ~ლ ქ~ცის კრებული უნდა შემდგარიყოს. მეორე ის, რომ ერთგან თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც ეხება იმ საკითხს, ერთბაშად, თუ თანდათანობით იყო ქ~ცის კრებული შედგენილი?

თ. ჟორდანია თავის კვლევა-ძიების შედეგისა მეტად კმაყოფილი არის და ერთგან თავმომწონედ ამბობს კიდეც: „ამას იქით გამოცნობილად უნდა დაიდვას ის ბნელი და რთული გამოსაცანი, თუ რა არის ჩვენი ძველი მატიანე, ვისგან, როდის და რა ღირსების საბუთებით არის აღწერილი ანუ რამდენად სარწმუნოა იგი მეცნიერების წინ. მართალია, თითო-ოროლა საზოგადო აზრი ქ~ცხბის ღირსებაზე უკვე გამოთქმული იყო აკადემიკის ბროსსეს და დ. ბაქრაძის მიერ, მაგრამ არა ვგონებ ვინმემ გვაბრალოს, რომ ჩვენი საბუთიანობა მათგან გადმოგვეტანოს“-ო, ასე დასძენს თ. ჟორდანია, თითქოს წინამორბედ მკვლევართა საბუთიან აზრთა შეთვისება მერმინდელ მკვლევართათვის სათაკილო რამე ყოფილიყოს და არა ზნეობრივი მოვალეობა.

ქ~ცის კრებულის შემადგენელ ნაწილებს ჯეროვანი ყურადღება პირველად მართლაც თ. ჟორდანიამ მიაქცია და ამ საგანზე მას არა ერთი და ორი სამართლიანი და საბუთიანი აზრი აქვს გამოთქმული. ამ მხრივ მან საკმაო დაკვირვების უნარიც გამოიჩინა და გონებამახვილობაც. მაგრამ თვით ქ~ცისა და მის შემადგენელ ნაწილების დედანი მას შესაფერისად შესწავლილი არა აქვს, საკითხს სრულის საფუძვლიანობით ვერ არკვევს და მის სიღრმეს ვერ სწვდება. ამასთანავე მისი მსჯელობის მიმდინარეობა ზოგჯერ წინაუკმოა და წიგნის სხვა-და-სხვა ადგილას სხვა-და-სხვა გვარია. მთელს გამოკვლევას და წიგნს აჩქარებისა და დაუდევრობის დაღი აზის. სწორედ ამიტომაც არის, რომ ბ. ჟორდანიას ზემომოყვანილი აზრი თავის ღვაწლის შესახებ პირუთვნელს მკითხველს გადამეტებულ თავმომწონეობად ეჩვენება.

ქ~ცის შემადგენელ ნაწილების შესახებ თ. ჟორდანია ამტკიცებს, რომ ქ~ცის კრებული თამარის მეფობამდის დასრულამდე შემდეგს ცხრა საისტორიო თხზულებას შეიცავს: 1.) პირველი მატიანე-თავითგან დაწყობილი „ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლამდი“ (ქკ~ბი I, გვ. XXX) და ვითომც „ამოღებული «ნებროთიანიდგან», რომელიც არის უძველესი მატიანე როგორც ქართველთა, ისე სომეხთა და სპარსთა“-ო (იქვე), 2.) „მეორე წყარო ანუ მატიანე... არის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის შემოსვლისა, აზოს და ფარნავაზის მეფობათა (იქვე), 3.) „მესამე მატიანე ანუ წყარო... არის ცხოვ-

რება მირიანისა და ქართლის მოქცევა“ (იქვე XXXI—XXXII), 4.) „მეოთხე წყარო ანუ კერძო მატიანე, რომელიც მთლად შეუტანიათ ქ.-ცხოვრებაში, არის «ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ (იქვე XXXIV), 5.) „მეხუთე წყარო ანუ კერძო მატიანე... არის... ჯუანშერის ისტორია“, რომლის თხზულება თ. ჟორდანიას აზრით იწყობა ალბად ვახტანგ გორგასარის მემკვიდრის ისტორიით და მოყვანილია „არჩილ მეფისამდი“ (იქვე XXXV), 6.) მეექვსე მატიანე შეიცავს არჩილ მეფითგან ბაგრატ III დასასრულამდე (იქვე XXXIII და XL), 7.) „მეშვიდე მატიანე... არის ბაგრატ IV-ის ცხოვრების აღმწერელი, მას... შეუტანია გიორგი I-ის და ბაგრატ IV-ის ცხოვრება 1014—1072 წ.“-ო (იქვე XLI). 8.) „მერვე მატიანე... არის დავით აღმაშენებლის მატიანე“, რომელშიაც შესავალის მსგავსად აგრეთვე გიორგი II-ის მეფობაა აღწერილიო (იქვე XLII). დასასრულ „მეცხრე ვრცელი მატიანე... არის თამარ მეფის მატიანე“, რომელშიაც „შესავალის მსგავსადვე მოთხრობილია ფრიად მოკლედ მეფობა დიმიტრი I-ისა და დავითისი, უფრო ვრცლად მეფობა თამარის მამის გიორგი III-ისა“-ო (იქვე XLVI).

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებები თ. ჟორდანიას კარგად აქვს შესწავლილი. შემდეგში რომ ამ ორ თხზულებას იგი კვლავ უფრო ღრმად და გულმოდგინედ ჩაჰკვირვებოდა, იქნებ საუცხოვო და უნაკლო გამოკვლევა შეექმნა. მაგრამ ავტორს ამ საკითხებისათვის მერე ხელი აღარ უხლია.

დანარჩენ მემატიანეების შესახებ-კი თ. ჟორდანიას აზრი შეუწყნარებელია. მკითხველებმა უკვე იცის, რომ ქ˜ცა შესდგება ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათაგან, „მატიანე ქართლისაჲ“-სგან, „ც˜ა და უწყების“ა-განა, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა ნაწარმოებისაგან და ჟამთააღმწერელის შრომისაგან. ის, რაც ერთიანი თხზულება არის (მაგ. ლეონტი მროველის „ც˜ა მეფეთა“, ჯუანშერის „ც˜ა ვახტანგ გურგასლისა“ „მატიანე ქ˜ჲ“ და სხვა), მას სრულებით უსაფუძვლოდ დაუყვია და ცალცალკე მატიანეებად მიუჩნევია. დ. ბაქრაძესთან შედარებით, რომელმაც ლეონტი მროველი მემატიანედ სცნო, მხოლოდ არ იცოდა სახელდობრ რა ეკუთვნოდა მას, თ. ჟორდანიამ წარმატების მაგიერ ამ საკითხში უკან დაიხია და ამტკიცებდა: „ლეონტი მროველი უნდა იყოს არა მთხზველი, არამედ გადამწერი... «ქ.-ცხოვრების»-კი არა, არამედ იმ საეკლესიო მატიანისა, რომლისაგანაც არჩილის წამება ქ-ცხბაში შეუტანიათ შემდეგს დროში“-ო (იქვე XXXVI).

თ. ჟორდანიას მეორე დიდ შეცდომად ის აზრი უნდა ჩაითვალოს, რომელსაც დაბეჯითებით მრავალგზის იმეორებს, ვითომც ქ˜ცა-ში შეტანილი ყველა მატიანეები „თამედროვეთაგან“ ყოფილიყოს დაწერილი (იქვე XXIX). ამიტომაც არის, რომ მას ჰგონია, ვითომც ადერკი მეფის ძველი ისტორია არსებობდა,

რომლის შემდგენელადაც ვითომც „წარმართი მატიანე“ ყოფილიყოს. თ. ჟორდანიას აზრით ქ̃ცის „მეორე წყარო“-ში ვითომც „ზოგთა მეფეთ ცხოვრებაში ისეთი დაწვრილებითი მხარეებია აღწერილი, რომელიც შეეფერება მხოლოდ თჳთ-მხილველთა ანუ თანამედროვეთ“-ო. ავტორმა თურმე ისიც-კი იცის, თუ „უძველესს ადერკის ცხოვრებაში ანუ თანამედროვეთაგან აღწერილს მატიანეში, რა-და-რა ცნობები უნდა ყოფილიყო (იქვე XXXI). იქნებ ამ მეფეს თავის დროზე თანამედროვე და წარმართი მემატიანე მართლა ჰყავდა კიდეც, მაგრამ, რომ ქ̃ცა-ში ამ თანამედროვეს და წარმართ ისტორიკოსის თხზულების არავითარი კვალი შენახული არ არის, ცრულებით ცხადია. გასაოცარია აგრეთვე, რომ თ. ჟორდანიას აზრით ვითომც „ვახტანგის ცხოვრება ისე დაწვრილებით არის მოხსენებული, რომ მემატიანე თანამედროვე უნდა იყოს და თჳთ-მხილველი მოთხრობილისა“ და „არის დაწერილი, რასაკვირველია ვახტანგის მეფობაში“-ო (იქვე XXXIV) და სხვა და სხვა. მკითხველს უკვე ეცოდინება, რომ არც ლეონტი მროველი და არც ჯუანშერი მათ მიერ აღწერილ ამბების თანამედროვენი არა ყოფილან.

თვით ქ̃ცის კრებულის შედგენის ისტორიას თ. ჟორდანია მხოლოდ გაკვრით ეხება და ამტკიცებს, რომ ქ̃ცა თავითგან დაწყობილი თამარის მეფობის დასასრულამდის „შეიძლება გაიყოს ორ-ნახევრად: არჩილ მეფის სიკვდილამდი და აქიდამ თამარ მეფემდი“-ო (იქვე XXIX). მაშასადამე ავტორს ითითქოს უნდოდა ეთქვა, რომ ქ̃ცა ორგზის შესდგა: ერთხელ როდესაც პირველი ნაწილი იყო დაწერილი: მაშინ ქართლის ცხორება არჩილ მეფის ამბავით თავდებოდა იქ, სადაც ცნობილი ანდერძია მოთავსებული იმის შესახებ, რომ წიგნი „ქართველთა ცხორებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად“-ო და სხვა, ხოლო მეორეგზის როდესაც ქ̃ცას თ. ჟორდანიას აზრით დანარჩენი ნაწილები მიემატა, ე. ი. ყველა ის მატიანეები, რომელნიც ქ̃ცაშია შეტანილი თამარის მეფობის დასასრულამდე. როგორც ქვემოთ გამორკვეული იქმნება, ეს აზრიც სწორე არ არის.

ზემოაღნიშნულ არსებითი შეცდომებისა და მრავალ სხვა ნაკლისდა მიუხედავად ჩვენთვის ცხადია, რომ თ. ჟორდანიას მიერ 1892 წ. გამოქვეყნებული შრომა „ქრონიკები“ წ. I, განსაკუთრებით მისი „წინასიტყვაობა“, მაშინ თვალსაჩინო მოვლენა იყო და ამ წიგნმა ბევრის მხრით დააწინაურა მკვლევართა აზრი ქ̃ცისა და ძველ ქართულ მატიანეების შესახებ. შემდეგში რომ თვით ავტორსაც ეს კვლევის საგანი არ მიეტოვებინა და ხელმეორედ, ამასთანავე უფრო მკაცრი სამეცნიერო მეთოდების საშუალებით, მეორეგზის გულდასმით განეხილა და მუშაობაც განეგრძო, სხვა მკვლევართაც ამ საკითხის განხილვასა და შესწავლაში მხურვალე მონაწილეობა მიეღოთ, მაშინ შესაძლებელია ბევრი რამ უკვე გამორკვეული ყოფილიყო. მაგრამ მოპირდაპირეთა ბრძოლამ მკვლევარნი წაიტუა და ვახტანგის ღვაწლის გამორკვევის გამო ატეხილ-

მა დავამ ორთავე მხარეს კვლევის უმთავრესი საგანი დაავიწყა, თ. ჟორდანიას მიერ დაწყობილმა საქმემაც თითქოს უნაყოფოდ ჩაიარა და მიყუჩდა.

ამ მოკლე მიმოხილვის შემდგომ შეიძლება თვით საკითხის გამორკვევას შევუდგეთ. უმთავრესი საკითხი ქ̃ცის კრებულის თავდაპირველს შედგენას და მის შემდეგდროინდელს ზრდასა და ისტორიას შეეხება. ამასთან შედარებით ქ̃ცის შევსებისა და შესწორების საკითხი რასაკვირველია მეორე-ხარისხოვანად უნდა ჩაითვალოს.

აქამდის ჩვენ ქ̃ცის მხოლოდ ერთად-ერთი ხელთნაწერი გვქონდა, რომელიც ვახტანგზე უწინარეს იყო გადაწერილი და ამის გამო ცხადი იყო, რომ მას ვახტანგ VI გავლენა ვერ დაეტყობოდა და შედარებით ძველი სახე უნდა ჰქონოდა. ეს ის შესანიშნავი ხელთნაწერია, რომელშიაც განთქმული „მ̃მ დფ̃ლსი ქ̃ცა“ არის შენახული, 1638—1646 წლებში გადაწერილი. პირველად ეს ხელთნაწერი განსვენებულმა დ. ბაქრაძემ აღწერა და დაათვალა (იხ. Статьи по исторіи и древностямъ Грузіи, Приложеніе къ V тому Зап. Акад. Наукъ, გვ. 11—20. ვახუშტი. საქართველოს ისტორია გამოც. დ. ბაქრაძის მიერ, 1885 წ. გვ. XXI და დ. ბაქრაძის საქართველოს ისტორია, 1889 წ. გვ. 43,54—55). ეს ხელთნაწერი ე. თაყაიშვილსაც აქვს ვრცლად აღწერილი თავის შრომაში „Описаніе рукоп. Общ. распр. грам.“ (Т. I, вып. 1, 1906 წ., გვ. 27—38).

მარტო მ̃მ დფ̃ლსი ქ̃ცა სრულებით საკმაო ცნობებს გვაძლევდა, რომ ქ̃ცის შედგენისა და თანდათანი ზრდისა და ისტორიის უმთავრესი საკითხები გამოგვერკვია, მაგრამ წინანდელ მკვლევართ ამ ძვირფას მასალებით ჯეროვანად არ უსარგებლიათ.

როდესაც ქ̃ცის შედგენისა და შევსების საკითხი მ̃მ დფ̃ლ ქ̃ცსდა მიხედვით გამორკვეული მქონდა და „ქართველ ერის ისტორიის“ I წიგნის გადაკეთებულს და შევსებულს ნაწილს ვწერდი, 1913 წ. ს. ლამისყანაში თ. ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანის სახლში ძველ საგვარეულო წიგნსაცავის გადასინჯვის დროს სრულებით მოულოდნელად ქ̃ცის მეორე და ამასთანავე უძველესი შესანიშნავი ხელთნაწერი აღმოვაჩინე.

ეს ხელთნაწერი უდიანია, დაზიანებული ტყავის უდა აქვს. რაკი უდა თავის ზომით ხელთნაწერის თავდაპირველ ზომაზე გაცილებით ნაკლებია და მხოლოდ ხელთნაწერის მერმინდელ დაზიანებულს ზომას უდგება, ამასთანავე ზევითი უდა ქვეითაზე მომცრო და მრუდეა, ამიტომ ცხადია, რომ უდა მერე უნდა იყოს გაკეთებული იმ დროს, როდესაც თვით ხელთნაწერი უკვე თვალსაჩინოდ დაზიანებული ყოფილა. ხელთნაწერი მოყვითანო ან იქნებ დროთა განმავლობაში გაყვითლებულ ქაღალდზეა ნაწერი. თვით ქაღალდი ოდნავ წვრილ ზოლებიანია და ზევითგან ქვემოთკენ ჩამოვლებული (5—6) გამსჭვირვალი ხაზები აქვს, ხოლო შუაგულში შემდეგი გამსჭვირვალივე ნიშანი ზის:



ხელთნაწერს თავში და ბოლოში ფურცლები აკლია, მაგრამ ქ̃ცა ხელთნაწერის ბოლო ნაწილზე უწინარეს თავდება და ამიტომ ქ̃ცის დასასრული არ დაზიანებულა. მთელს ხელთნაწერს ქვეითი (იშვიათად ზევითიც) და მარჯვენა გვერდის არშიები შემოჭრილი აქვს, ალბად პარათებისათვის იქნება შეკვეცილი. ეს ვგონებ უკვე იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც ხელთნაწერს ახლანდელი ყდა ჯერ არა ჰქონდა, იმიტომ რომ ახლანდელი ყდა თავის ზომით უკვე არშიებ-შეკვეცილ ხელთნაწერის ზომას უდრის. ამას გარდა თავში ფურცლები თაგვებისაგანაც შეჭმულია.

ხელთნაწერი რვეულებად არის აკინძული. თითო რვეულში 8 ფურცელია, ანუ 16 გვერდია. გვერდების სათვალავი აღნიშნული არ არის და მხოლოდ თვითოეულს (ზოგს აკლია) რვეულს პირველს გვერდზე რვეულის სათვალავი უზის. რვეულების სათვალავებისდამიხედვით ხელთნაწერში სულ ცოტა 33 რვაფურცლიანი რვეული უნდა ყოფილიყო, ახლა მე-33(ლგ)-ე რვეულს მერვე ფურცელი აკლია. ხოლო რაკი ამ ადგილას იოანე ზედაზნელის საყდრებო ც̃ა-ა, რომელიც უკვე მე-31-ე რვეულის მეორე გვერდითგანვე იწყობა, და იქ, სადაც ახლა ხელთნაწერი სწყდება არამც თუ „ც̃ა“ დამთავრებული არ არის, არამედ ბოლომდე აკლია, ამიტომ ცხადია, რომ თავდაპირველად ამ ხელთნაწერში 3[illegible] [illegible]ცილებით მეტი უნდა ყოფილიყო. როგორც აღნიშნული იყო, თავში ხელთნაწერს ბევრი აკლია. ახლა იწყობა მეხუთე (ე) რვეულით, რომელსაც წინ უძღვის ვგონებ მე-4-ე რვეულის ძალზე დაზიანებული მხოლოდ ორი ფურცელი, მაშასადამე 60 გვერდი სრულებით აკლია და 4 გვერდიც ნახევარზე დაზიანებულია. დანარჩენ რვეულებშიც მე-5-ეს და მე-6-ის ოთხს პირველს ფურცელს ქვეითი მარჯვენა კუთხეები ვგონებ თაგვებისაგან მოჭმული აქვს.

თვითოეულს გვერდზე 17 სტრიქონია დატეული. წიგნი საკმაოდ მსხვილ მხედრულ ხელით არის ნაწერი. ასოები გადაბმულია, მაგრამ მკაფიოდ არის გამოყვანილი. მწერალი დიდი ხელოვანი არ ყოფილა, და არც ხელი ჰქონია ლამაზი. ზოგიერთს ასოს ძველი მოხაზულობის კვალი ამჩნევია. პალეოგრაფიულად საყურადღებოა ასოები ჵ, ჱ, ჲ, ჳ, ჴ, ჶ, და სხვა. მთელ ხელთნაწერში თვითოეული სიტყვის შემდგომ სამ-სამი წერტილი ზის, ხოლო „განკუეთილობის“ (სასვენ) ნიშნად მძიმეა (,) ნახმარი, რომელიც სამ წერტილს შემდგომ ზის ხოლმე. სათაურები და საყურადღებო ადგილები სინგურით არის ნაწერი, დანარჩენი-კი მთლად შავ მელნით.

ეხლა თავი-და-თავი იმის გამორკვევაა თუ როდის არის ანა დ̃ფლსი ქ̃ცა გადაწერილი. რაკი მას თავი და ბოლო აკლია, ამიტომ იქ ამის შესახებ პირდაპირი ცნობები შენახული არ არის, მაგრამ დიდად დაახლოვებით თარიღის გამორკვევა მაინც ადვილია. მე-30-ე („ლ“) რვეულის მე-3-ე გვერდზე ქ̃ცის დასასრულის შემდგომ (ქ̃ცა მე-30-ე რვეულის მე-2-ე გვერდზე თავდება) ხელთნაწერის გადამწერი სხვათა შორის ამბობს: „ღმერთო და ყოველნო წმიდანო მისნო და წმიდაო გიორგი ალავერდისაო, შთავარმოწამეო, მცველ და მფარველ, მკარსა-მდგომელ და განმამარჯუებელ ექმნენით ორთა ცხორებათა შინა პატრონთა დედოფალთა დედოფალსა ნესტანდარეჯანს და ძესა მათსა დ̃თივ-გვირგვინოსანსა მეფესა ალექსანდრეს და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა, დაღაცათუ ჩვენ შეუძლებელ ვიყვენით, არამედ ბრძანებაია მისთა ვერღარა ურჩ ვექმნენით, ხოლო ჩუენ ძალისაებრ ვითარცა ძალ-გუედვა ვიღუაწეთ, დაღაცათუ ნაღუაწი ესე უნდო და უშუერ არს, არამედ შენდობა იყავნ ყოველთაგან:[1]) (ანა დფ̃ლსი ქ̃ცა მე-30-ე რვეულის 3—4 გვერდი).

მაშასადამე ეს ხელთნაწერი ანა დედოფლის ბრძანებით ყოფილა გადაწერილი, რომელიც ალექსანდრე მეფის თანამეცხედრე ყოფილა. ამ მეფე-დედოფლის შესახებ ხელთნაწერის დამწერს კიდევ შემდეგი შინაარსიანი ცნობა მოეპოვება: „ადიდენ ღმერთმან და დაამყარენ ორთავე ცხორებათა შინა პატრონნი დედოფალთა დედოფალი ნესტანდარეჯან და ძე მათი ალექსანდრე და დედოფალი ანა ესენი იყუნეს უმეტეს ყოველთა ქართლისა მეფეთა და მთავართა მორწმუნენი მაშენებელნი ეკლესიათანი, რამეთუ ალავერდი წარტყუენულ იყო წარმართთაგან რომელ სხუათა მეფეთა ვერ ჰელ ეყო განწმედად და აღშენებად, ამათ აღაშენეს და განწმიდნეს ყოველისაგან ღუარძლისა, აღაშენნეს,

---

[1]) სამ-სამი წერტილი ყოველ სიტყვის შემდგომ გამოვტოვეთ და მხოლოდ მძიმეა დაცული ისევე, როგორც თვით დედანშია.

ცაჲ[1]) და გუმბათი და სამკრონი რაბამ რამე ადმატებულად და შემსგავსებულად ვითარცა ჯერ იყო წინანდელთა ქმნულთა ნივთთა სიკეთითა და მოქმნულებისა შეუსწორებელობისა (sic) და აღავსო სიწმიდეთა მიერ პატიოსანთა ნაწილთა წმიდათათა წმიდათა ხატთა და სიწმიდისა სამსახურებელთა ყოვლად დიდებულთა ყოვლითა სიკეთითა შესწირნა მრავალნი გლეხნი სამსახურებელად წმიდისა გიორგისა და მოწესეთა მისთა თუის შემდგომად ამათ თანა რაოდენნიმე ეკლესიანი აღაშენნეს და რაოდენნიმე წარმართთაგან შეგინებულნი ეკლესიანი განწმიდნეს სახლად ღ~თისა და წარსამართებელად მეფობისა თუისისა“ (იქვე, მე-30-ე რვეულის გვ. 2—3).

ამ დედოფალთ-დედოფლის ნესტანდარეჯანის, მისი ძის მეფის ალექსანდრეს და დედოფლის ანნას შესახებ ცნობები მოიპოვება: რამდენიმე გუჯარიც კია შენახული, რომელიც ამ ალექსანდრე მეფის მიერ არის ნაბოძები. ერთს მათგანში, რომელიც ეტრატზეა ნაწერი და დავით-გარესჯის მონასტერს ეკუთვნის, სწერია: „ჩუენ... ღჳთა იმერისა და ღჳთა ამერისა ორისავე ტახტის მტკიცედ მპყრობელისა მეფეთ-მეფისა სულ-კურთხეულისა გიორგის ძემან, მეფემან ალექსანდრე, პატრონმა (sic) დ~ეულთა დ~ედულმან დედამან ჩუენმან ნესტანდარეჯან და თანამეცხედრემან ჩუენმან ანა რაოდენნი ქებათალობა შეგსწირეთ თქუენდა (მეტეხთა და ხახულის ღვთისმშობელის) მიმართ ...აგარის ნათესავნი და მტერნი წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან დღეინდელად დღედმდე“-ო (ქ~ნი II, 300). საბედნიეროდ ეს საბუთი თარიღიანია: „დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ქ~სა: რნიზ: (167) ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: გ: (3) თუესა იენვარსა (sic): კგ:“ (23) ანუ 1479 წელს (იქვე). რაკი 1479-ში ალექსანდრეს მეფობის უკვე მესამე წელიწადი ყოფილა, ამიტომ ცხადია, რომ იგი 1476—1477 წ. უნდა გამეფებულიყო. ალექსანდრე გიორგი მეფეთ-მეფისა და დედოფალთ-დედოფლის ნესტანდარეჯანის შვილი ყოფილა და მოხსენებულია მამის უკვე 1460 წლის სიგელში (ქ~ბი II, 277).

ამ ალექსანდრე მეფის მეორე საბუთიც არსებობს, სახელდობრ 1503 წელს[1]) დაწერილი, რომელშიც ნათქვამია: „ჩუენ პატრონმა მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა გიორგი და დიმიტრი და პატრონმან დედამან ჩუენ-

[1]) დედანში სწერია „ცაა“, მაგრამ უეჭველია აქ მეორე ა=ჲ და ასეც კითხულობდენ, მხოლოდ რაკი მაშინ მხედრულად ამ ასოსთვის ჯერ მოხაზულობა არ არსებობდა, ამიტომ წერის დროს ხუცურს ასოს ხმარობდნენ, რომელიც მხედრულს „ა“-ნს ძალიან მიაგავს.

[1]) თვით სიგელს 190 ქრონიკონი (რჟ) უზის თ. ჟორდანიას გამოცემაში (ქ~ბი II, 319), მაგრამ თავში 1593 წ. აქვს აღნიშნული. რაკი ზემოთაც 1503 წ. (ქ~კს რჟა) ამბავია აღნიშნული, ალბად ამ სიგელსაც ქ~კნი: რჟა: ექმნებოდა და ბეჭვდის დროს „ა“ გამოვარდებოდა.

მან დედოფალთადედოფალმან ნესტანდარეჯან და თანამეცხედრემან ჩუენმან დედაფალმან ანნა ესე გასათავებელი წიგნი მოგაკსენეთ... მცხეთის საყდარსა“-ო (ქ̃ები II, 319). ამავე მეფის 1505 წ. ნაბოძები სიგელიც არსებობს და იქაც დედოფალი ანა და პირმშო ძე გიორგი და დიმიტრი არიან მოხსენებულნი (ისტ. საბუთები, გამოც. ს. კაკაბაძის მიერ, წ. III, გვ. 42).

ამგვარად ირკვევა, რომ 1503 წელს ალექსანდრე მეფეს და მის თანამეცხედრეს უკვე ორი ძე ჰყოლია, გიორგი და დიმიტრი. ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ ანა დფ̃ლ ქ̃ცის გადამწერის ზემომოყვანილს „ანდერძ“-ში არც ერთი მათგანი მოხსენებული არ არის, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ ის ხელთნაწერი იმ დროს უნდა იყოს გადაწერილი, როდესაც ალექსანდრე მეფეს ჯერ ან შვილები არა ჰყავდა, ან ჯერ იმდენად პატარები იყვნენ, რომ მათ საბუთებში არ იხსენიებდნენ. ხოლო რაკი 1479 წლის სიგელის ცნობები აგარის ნათესავთა და მტერთა სამარადისოდ უკუქცევის შესახებ ანა დფ̃ლ ქ̃ცის გადამწერის სიტყვებს მშვენივრად უდგება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ანა დფ̃ლი ქ̃ცა უნდა 1479 წ. ახლო ხანებში, დაახლოვებით 1479—1495 წ. იყოს გადაწერილი. მაინც-და-მაინც შეუძლებელია იგი 1500 წ. გვიან იყოს დაწერილი იმიტომ, რომ მაშინ ალექსანდრე მეფის შვილები გადამწერს მოხსენებული ეყოლებოდა. მაშასადამე ეხლა ჩვენ ქ̃ცის მე-XV-ე საუკუნის ხელთნაწერი გვაქვს ხელთა.

მაგრამ ამაზე მეტის გამორკვევაც შეიძლება. ანა დფ̃სლი ქ̃ცა რასაკვირველია გადაწერილია და სწორედ იმ დედნის თარიღის განსაზღვრაც შეიძლება, რომლითგანაც ანა დფ̃ლ ქ̃ცის ხელთნაწერი უცნობს პირს გადმოუწერია. როგორც უკვე აღნიშნული იყო (იხ. აქვე, გვ. 191—192 ლაშა-გიორგის-დროინდელი უცნობი ქართველი მემატიანე), დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებას ერთი მატიანე მისდევს, რომელიც დემეტრე I, დავით III, გიორგი III, თამარ მეფისა და ლაშა-გიორგის მეფობათა მოკლე აღწერილობას შეიცავს. ანა დედოფლისეულ ქ̃ცასა და ამ მატიანეს შუა მხოლოდ იმ გადამწერის „ანდერძი“ სწერია, რომელმაც ეს ხელთნაწერი მე-XV-ე საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ანა დედოფლის ბრძანებისაებრ გადასწერა. ქ̃ცის იმ ხელთნაწერში, რომელიც ამ მე-XV-ე საუკ. გადამწერს დედნად უნდა ჰქონოდა, უეჭველია ზემოაღნიშნული ლაშა-გიორგის-დროინდელი მატიანე პირდაპირ დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ნაწარმოებს მისდევდა, ან შესაძლებელია ჯერ ამ მემატიანეს „ანდერძი“ ყოფილიყო, რომელიც იქნებ მე-XV-ე საუკ. გადმომწერმა გამოსტოვა, ხოლო შემდეგ თვით მატიანე ეწერა. ამ ლაშა-გიორგის-დროინდელ მატიანეს დამწერი ალბად თვით იმ ქ̃ცის დამწერიც იქმნებოდა, რომელიც ანა დფ̃ლ ქ̃ცის დედანი იყო. ხოლო ზემოთ უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ ეს მატიანე ლაშა-გიორგის გარდაცვალებისა და რუსუდანის გამეფების პირველს წელიწადს, ანუ 1222—1223 წ. არის დაწერილი (იხ. აქვე, 192).

მაშასადამე ცხადია, რომ ქ˜ცის ის ხელთნაწერი, რომელიც ანა დფ˜ლ ქ˜ცის მე-XV-ე საუკ. გადამწერს დედნად ჰქონია, 1222—1223 წ. ყოფილა დამთავრებული. ამგვარად გამოირკვა, რომ ანა დფ˜ლ ქ˜ცა-ში ჩვენ 1222—1223 წელს დაწერილი ქ˜ცის პირი გვაქვს შენახული. თუ აქამდის ჩვენ 1638—1646 წ. გადაწერილი მ˜მ დფ˜ლი ქ˜ცა მრავალ შეცდომებით სავსე სამართლიანად მაინც დიდ ავლადიდებად მიგვაჩნდა, მკითხველი ადვილად მიხვდება რა განძიც უნდა იყოს მეცნიერებისათვის ახლად აღმოჩენილი ანა დფ˜ლი ქ˜ცა.

რაკი ეხლა ანა დფ˜ლ და მ˜მ დფ˜ლ ქ˜ცათა ხელთნაწერების თარიღები, უკვე ვიცით, შეიძლება თვით მთავარ საკითხის გამორკვევასაც შევუდგეთ. მარტო მ˜მ დფ˜ლ ქ˜ცითგანაც ნათლად სჩანს, რომ ერთ დროს ქ˜ცა დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებით თავდებოდა და ამაზე მეტი იქ მაშინ არაფერი იყო. ეს იქითგანა სჩანს, რომ დავით აღმაშენებელის ც˜ა-ს მ˜მ დფ˜ლ ქ˜ცა-ში სუმბატის თხზულება „ც˜ა და უწყება“ მისდევს, რომელიც მოთხრობის წესიერს ქრონოლოგიურს მიმდინარეობას სრულებით არღვევს, ხოლო ამ თხზულების შემდგომ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება იწყობა. ცხადია, სუმბატის ნაწარმოები რომ ქ˜ცა-ში იმთავითვე შეტანილი ყოფილიყო, მაშინ ის თავის ალაგას იქმნებოდა მოთავსებული იქ, სადაც ქრონოლოგიურადაც და შინაარსის მხრივაც ეკუთვნის. უკიდურეს შემთხვევაში კიდევ შეიძლებოდა „მატიანე ქ˜ლ“-სა და დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებას შუა ყოფილიყო და არა იქ, სადაც იგი მ˜მ დფ˜ლ ქ˜ცა-შია მოთავსებული. სუმბატის ნაშრომი ქ˜ცა-ში მაშინ შეუტანიათ, როდესაც კრებული უკვე შედგენილი იყო და დავით აღმაშენებელის „ც˜ით“ თავდებოდა. რაკი სხვა ადგილი არ მოიპოვებოდა, შემტანელს აუღია და სუმბატის თხზულება ქ˜ცის ბოლოში დაურთავს.

რომ ეს მართლაც ასე იყო და ქ˜ცა ერთ დროს დავით აღმაშენებელის მეფობით თავდებოდა, ამას ანა დფ˜ლი ქ˜ცა-ც საუცხოვოდ ამტკიცებს: იქ მართლაც არც სუმბატის ნაწარმოებია, არც თამარ მეფის ისტორიკოსისა და მონღოლთა-დროინდელ ქართველ ჟამთააღმწერელის თხზულებანი, არამედ მთელი კრებული დავით აღმაშენებელის ც˜ით თავდება. რაკი ჩვენ უკვე ვიცით, რომ ანა დფ˜ლი ქ˜ცის დედანი 1222—1223 წ. იყო დამთავრებული, ამიტომ შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ სუმბატის „ც˜ა და უწყება“ და თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი“ მე-XIII-ე საუკუნის პირველ მეოთხედშიაც-კი ჯერ კიდევ ქ˜ცა-ში შეტანილი არა ყოფილა. ამ დასკვნის სიმართლეს, განსაკუთრებით-კი იმ გარემოებას, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება მაშინ ქ˜ცის კრებულში ჯერ შეტანილი არ იყო, ისიც ამტკიცებს, რომ 1222—1223 წ. ქ˜ცის გადამწერი გიორგი III და თამარის მეფობათა აღწერას თითონ კისრულობს და ამის გულისათვის იგი მეტად მარტივსა და გულუბრყვილო

მატიანეს სთხზავს. „ისტორიანი და აზმანი“ რომ ქ~ცის კრებულში შეტანილი ყოფილიყო, რასაკვირველია ამგვარი მატიანე საჭირო აღარ იქმნებოდა.

ეხლა რაკი უკვე ვიცით, რომ მე-XIII-ე საუკ. პირველ მეოთხედში და მე-XV-ე საუკუნეშიაც-კი ჯერ კიდევ ქ~ცა დავით აღმაშენებლის მეფობით თავდებოდა, ჩვენთვის ცხადია, თუ რატომ თავდება ქ~ცის შემოკლებული სომხური თარგმანი, რომელიც 1279—1311 წ. დაწერილს ხელთნაწერშია შენახული (M. Brosset. Introduction etc. გვ. XVIII და Additions etc. გვ. 61 და შენ. 2), დავით აღმაშენებლის მეფობით: იმიტომ რომ მაშინ ქ~ცა-ში ჯერ არც ერთი სხვა საისტორიო თხზულება არ იყო შეტანილი.

მაგრამ ცხადია, რომ ქ~ცა იმთავითვე დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებით არ თავდებოდა. თავდაპირველად ქ~ცა უეჭველია მარტო ლეონტი მროველისა და ჯუანშერის ნაწარმოებებს შეიცავდა და იქ სწყდებოდა, სადაც ეხლა ანა და მ~მ დ~ფლთ ქ~ცა-ში ცნობილი ანდერძია[1]): „წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა ვიდრე ვახტანგისადმდე აღიწერებოდა ჟამითი ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფითგან ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან... ამიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა[2]) აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა“-ო (მ~მ დფ~ლს ქ~ცა *437—438, გვ. 215—216. ანა დ~ფლსი ქ~ცა 21 (კა) რვეულის გვ. 6).

ეხლა თავი-და-თავი საკითხი ის არის, თუ როდის არის ეს თავდაპირველი კრებული შედგენილი? რაკი უკვე გამორკვეული გვაქვს, როდის უნდა იყოს დაწერილი ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებანი, ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტაც გაგვიადვილდება. როგორც თავ-თავის ადგილას აღნიშნული იყო, ლეონტი მროველის საისტორიო თხზულება მე-XI-ე საუკუნეში, ჯუანშერისა-კი იმავე საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს დაწერილი. მაშასადამე ცხადია, რომ თვით კრებული რასაკვირველია ამაზე ცოტა გვიან მაინც უნდა იყოს შედგენილი. როდის,—ამის გამოსარკვევად ორი საყურადღებო გარემოება გამოგვადგება. არსენი ქართლისა კათოლიკოზი დემეტრე მეფის (ალბად I) დროს შედგენილს წ~ა ნინოს ც~ა-ში სხვათა შორის ამბობს: „ესე ნეტარისა ნინოჲს ცხორებაჲ შეუწყობელად და განბნეულად «ქართლის მოქცევისა» თანა და «ჴამბავსა მეფეთასა» თანა აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით“-ო (არსენი. ც~აჲ და მოქალაქობაჲ და ღუაწლი წ~ისა ...ნინოჲსი, საეკ. მუზ. გამ. № 10, გვ. 51[1]) მაშასადამე მე-XII-ე საუკუნის პირველ ნახევარში ლეონტი მროველის შრომა „ცხორება ანუ ამბავი მეფეთა“ ჯერ

---

[1]) ამ მხრივ თ. ჟორდანია მართალი იყო, როდესაც თავის ქ~კბის „წინასიტყვაობა“-ში ამგვარი აზრი გამოსთქვა.

[2]) ასეა ანა დ~ფლს ქ~ცა-ში.

[1]) შეად. ე. თაყაიშვილის Опис. I вып. II, 83 შენ. 1.

კიდევ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სავით ცალკე იყო და ქ~ცის კრებულში ალბად შეტანილი არა ყოფილა.

ამასთანავე საგულისხმიეროა, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი „მატიანე ქართლისა“-საც ცალკე ასახელებს და არა „ქ~ცას.“ ამის გამო შეიძლება გვეფიქრა, რომ ქ~ცის კრებული მე-XII-ე საუკ. პირველს ნახევარში თავის პირვანდელ სახითაც-კი ჯერ არ არსებობდა და ის თხზულებები, რომელთაგანაც შემდეგში ქ~ცის კრებული შეადგინეს, მაშინ ჯერ ცალ-ცალკე იყო. მაგრამ მაინც სიფრთხილე საჭიროა იმიტომ, რომ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებანი შეიძლება კრებულში შეტანილიც ყოფილიყო, მხოლოდ რაკი რასაკვირველია კვლავინდებურად ცალკეც იქნებოდნენ, იქნება ამის გამო არსენ კათალიკოზს ცალკე მოეხსენებინოს „ჴამბავი მეფეთა“ და არა „ქ~ცა“. მაინც-და-მაინც ცხადია, ქ~ცის კრებული მე-XI-ე საუკუნის დასასრულზე უწინარეს შეუძლებელია რომ თავდაპირველად შედგენილი ყოფილიყოს. მაგრამ რომ ეს კრებული მაინც მე-XI-ე საუკ. მეორე ნახევრის კარგა ხნის შემდგომ უნდა იყოს შედგენილი იქითგანაც სჩანს, რომ კრებულის შემდგენელს აღარა სცოდნია, ვინ იყო ჯუანშერი, და წ~ა არჩილის ძმისწულის ქმრად მიაჩნდა. ასეთი შეცდომა ჯუანშერის უმცროსს თანამედროვესაც-კი ვერ მოუვიდოდა.

ყურადღების ღირსია, რომ თავდაპირველად კრებული, როგორც ზემომოყვანილ ანდერძითგანაც სჩანს, „ქ~ცა“-დ-კი არ იწოდებოდა, არამედ „ქართველთა ცხორება“-დ.

დანარჩენი საისტორიო თხზულებები სამ წყებად უნდა ყოფილიყო შეტანილი ქ~ცის კრებულში. ჯერ „მატიანე ქართლისაჲ“ და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულება შეუტანიათ. რომ ეს ორი ნაწარმოები ერთგზის და ერთ დროს არის შეტანილი კრებულში, იმითაც მტკიცდება, რომ დავით აღმაშენებლის „ც~ა“-ს თავი აქვს ჩამოშორებული, რაკი თავი ალბად „მატიანე ქართლისაჲ“-ს მოთხრობის პირდაპირს გაგრძელებასა და მომდინარეობას არღვევდა. ჩვენ ეხლა ვიცით კიდეც, რომ 1222—1223 წ. „მატიანე ქართლისაჲ“ და „ც~ა მეფეთ მეფისა დავითისი“ კრებულში უკვე შეტანილი ყოფილა. დავით აღმაშენებლის მეფობით თავდებოდა მაშინ მთელი ქ~ცა და ამაზე მეტი ჯერ არაფერი იყო შეტანილი.

ყურადღების ღირსია, რომ ანა დ~ფლი ქ~ცა-ში დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ბოლოში, ესე იგი თვით ქ~ცის კრებულის დასასრულს პირდაპირ, ანა დფ~ლ ქ~ცის გადამწერის ზემოაღნიშნულ „ანდერძამდე,“ შემდეგი საგულისხმიერო წინადადება მისდევს: „საქმენი კელთა ჩუენთანი წარმართენ უფალო, ცხორება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქეცით და მოვიღეთ სჯული ქრისტეანობისა და ვიცანით ღმერთი, ისმინეთ აღწერილი

აბათარისი“-ო (ანა დფ˜ლი ქ˜ცა, მე-30-ე რვეულის გვ. 2). ამ წინადადების შემდგომ იწყობა ანა დფ˜ლ ხელთნაწერის გადამწერის ანდერძი. თუ რომ ზემომოყვანილი წინადადება ანა დფ˜ლ ქ˜ცის 1222—1223 წ. დედანს ეკუთვნის, მაშინ ეს პირველი შემთხვევა იქმნება, როდესაც ამ კრებულის სახელი „ცხორება ქართლისა“ ანუ ქ˜ცა მოხსენებულია. მაინც-და-მაინც დანამდვილებით ვიცით, რომ ამ კრებულს მე-XIII-ე საუკ. მართლაც უკვე „ქართლის ცხორება“ ერქვა. სტეფანოს ორბელიანს თავის 1299 წელს დამთავრებულს საისტორიო თხზულებაში (*Պատմութիւն տանն Սիսական*, მოსკოვის გამოც 1861 წ. გვ. 370) მოხსენებული აქვს ქართველთა „მატიანეთა წიგნი, რომელსაც ქართლის ცხორებას, უწოდებენ“-ო (*«Ի նոյին ժամանակագրոյն, զոր Քարթլիս Ցխովրեբայ կոչեն»*, იქვე გვ. 273).

მეორე წყებად ქ˜ცა-ში სუმბატის მატიანე „ც˜ა და უწყება“ შეუტანიათ. რომ ეს თხზულება „მატიანე ქ˜ჲ“-სა და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებასთან ერთად არ არის შეტანილი, ამას ანა დ˜ფლი ქ˜ცასა და მისი 1222—1223 წ. დედანს გარდა ისიც ამტკიცებს, რომ იგი, როგორც უკვე აღნიშნული იყო, მ˜მ დფ˜ლს ქ˜ცა-ში უადაგო ადაგას არის ჩაჩხირული და მოთხრობის ქრონოლოგიურს მიმდინარეობას არღვევს. ეხლა ჯერჯერობით დანამდვილებით არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, თუ როდის უნდა იყოს სუმბატის „ც˜ა და უწყება“ კრებულში შეტანილი. ანა დფ˜ლი ქ˜ცა ამტკიცებს მხოლოდ, რომ მე-XV-ე საუკუნეში იგი ჯერ კიდევ ქ˜ცა-ში შეტანილი არა ყოფილა.

დასასრულ, მესამე წყებად, ერთგზის და ერთად შეტანილია ქ˜ცა-ში თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი“ და მონღოლთა-დროინდელ ქართველ ჟამთააღმწერელის ნაწარმოები. ამ ორ ისტორიკოსის თხზულება რომ ერთად და ერთგზის უნდა იყოს შეტანილი ქ˜ცაში, ამას ის თვალსაჩინო გარემოებაც ამტკიცებს, რომ თამარ მეფის ისტორიკოსის ნაწარმოებს თავი მთლად აქვს შენახული, ბოლო-კი აკლია, ხოლო ჟამთააღმწერელის მატიანეს პირიქით თავი აკლია. უეჭველია ეს იმიტომ უნდა მომხდარიყო, რომ ჟამთააღმწერელის ნაწარმოებს თამარ მეფის ისტორიკოსის მოთხრობის გაგრძელების ხასიათი ჰქონოდა. შეიძლება ვიფიქროთ კიდეც, რომ ეს ორი თხზულება ქ˜ცა-ში შეტანამდე უკვე შეერთებული ყოფილა, ხოლო შემდეგ იმ სახითვე, როგორც შეერთებული იყო, ქ˜ცის კრებულში შეუტანიათ. ეს რომ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, იქითგანა სჩანს, რომ ფ. გორგიჯანიძეს სწორედ ამ გვარი ნაწარმოები ჰქონია ხელთა. გიორგი III და თამარის მეფობამდე ფ. გორგიჯანიძეს საქართველოს ისტორიისა არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია და სწორედ გასაოცარია რაებს არა სწერდა იგი გიორგი III წინადროის საქართველოს ისტორიის შესახებ. ცხადად ეტყობა, რომ მას ქ˜ცა თვალითაც არ უნახავს.

ხოლო გიორგი III, განსაკუთრებით-კი თამარ მეფის, ლაშა-გიორგისა, რუსუდანისა და მონღოლთა-დროინდელ ბატონობის ამბები ფ. გორგიჯანიძეს იმგვარადვე აქვს მოთხრობილი, როგორც „ისტორიანი და აზმანი“-ში და ჟამთააღმწერელის თხზულებაშია. ფ. გორგიჯანიძეს ამ ხანას ისტორიისათვის უეჭველია ამ წყაროებით უსარგებლია. როგორც ჩანს, „ისტორიანი და აზმანი“ ფ. გორგიჯანიძის ხელთნაწერშიაც ბევრგან ყოფილა დამახინჯებული. ხშირად მას გარყვნილ ტექსტის აღდგენა ვერ მოუხერხებია. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ ფ. გორგიჯანიძის ხელთნაწერშიაც თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების ბოლო იმგვარადვე გადაბმული ყოფილა ჟამთააღმწერელის ნაწარმოებზე, როგორადაც ეს ორი ნაწარმოები მ̃მ დღ̃ლს ქ̃ცა-შია გადაბმული. ამასთანავე, როგორც ეტყობა, დაახლოვებით იქვე თავდებოდა, სადაც ეხლა ჟამთააღმწერელის მატიანე თავდება.[1])

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ფ. გორგიჯანიძეს დროსაც-კი ჯერ კიდევ შეიძლებოდა ადამიანს თამარ მეფის ისტორიკოსის „ისტორიანი და აზმანი“ და ჟამთააღმწერელის ნაწარმოები ერთიერთმანეთზე გადაბმული ცალკე წიგნად და ქ̃ცისდა დამოუკიდებლადაც ეშოვნა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ორი ნაწარმოები უკვე მზამზარეულად ერთიერთმანერთზე გადაბმული უნდა იყოს ქ̃ცა-ში შეტანილი.

როგორც ზემოთაც ნათქვამი იყო, „ისტორიანი და აზმანი“ და ჟამთააღმწერელის თხზულება ქ̃ცა-ში მესამე წყებად იყო შეტანილი. მაგრამ როდის? სტეფანოს ორბელიანის ისტორიითგან ჩანს, რომ მე-XIII-ე საუკ. დასასრულს, 1299 წელსაც კვლავინდებურად ეს ორი ნაწარმოები ქ̃ცაში შეტანილი არა ყოფილა. ეს სომეხთა ისტორიკოსი, თვით ორბელთა ჩამომავალი, ჩივის, რომ ქართულ მატიანეთა წიგნში, რომელსაც ქ̃ცა ეწოდება, ორბელიანთა საგვარეულოს შესახებ მხოლოდ ეს მცირეოდენი ცნობები ვიპოვეო და თანაც მოუყვანილი აქვს ლეონტი მროველითგან ამოღებული და სხვა ამბები (*Պատմութիւն տանն Սիսական*, გვ. 269—272). იგი ამასთანავე ამბობს, ვითომც ქ̃ცა-ში ორბელთა შესახებ ცნობები იმიტომ არა ყოფილიყოს, რომ ვითომც გიორგი III-ემ, რომელმაც ორბელნი ღალატისათვის საქართველოში ამოწყვიტა, მათი სახელი ისტორიითგანაც, ყოველგვარ წიგნებითგანაც და ეკლესიებითგან ამოუშლევინოს. ამის გამო რაკი სტ. ორბელიანს ქ̃ცა-ში ორბელთა

[1]) „არ მოვიდა მეფე დავით ამისთვის დაუმტკიცეს საქართველოს მეფობა ძმასა მისსა ვახტანგ მეფესა“ (ფ. გორგიჯანიძე. სიმეცნიერო აკად. სააზიო მუზეუმის Msc. geor. № 6. გვ. 235—236)=ჟამთააღმწერელს *920—921, გვ. 764.

„მეორეთ კიდევ მისცა ყაზან ყაენმან მეფობა საქართველოს ვახტანგ მეფესა: დაიპყრა ვახტანგ მეფემან სომხითი, დმანისი, სამშვილდე და ქვეყანანი ამ ციხეთა“. დანარჩენი ფ. გორგიჯანიძის ხელთნაწერს აკლია (იქვე გვ. 256),=ჟამთააღმწერელს *921—922, გვ. 766.

საგვარეულოს ისტორიისათვის საჭირო ცნობები ვერ უპოვია, მეტადრე პირთათვის მიუმართავს, შერჩენილი იადგარები (յիշատակարանք) გადუსინჯავს სომხურ საისტორიო წყაროებთგან და განსაკუთრებით მხითარ ანელის ისტორიითგან ამოუკრებია მასალები, რათგან მას ორბელთა ამოწყვეტის შესახებ ცნობები თურმე ჰქონია (იქვე 272—273).

ცნობილია, რომ ორბელთა შესახებ, განსაკუთრებით მათ განდგომასა და მოწყვეტაზე, ცნობები ქართულ წყაროებშიაც მოიპოვება და სხვებზე მეტი ცნობები დემნა-ორბელთა ამბოხების შესახებ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაშია შენახული

მაშ როგორ მოხდა, რომ ეს ცნობები სტ. ორბელიანმა ქ˝ცა-ში ვერ იპოვა? ისე, რომ ჯერ შეტანილი არ იყო და მთელი კრებული ან დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებით თავდებოდა, ან იქმნებ სუმბატის „ც˝ა და უწყებით“. რომ ეს სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო და სტ. ორბელიანის დროს ქ˝ცა-ში თამარ მეფის ისტორია და ჟამთააღმწერელის ნაწარმოები ჯერ კიდევ შეტანილი არ იყო, იმითაც მტკიცდება, რომ ეს ორი საისტორიო თხზულება, როგორც ანა დფ˝ლ ქ˝ცითგანაც ცხადად სჩანს, ქ˝ცის კრებულში მე-XV-ე საუკ. დასასრულსაც შეტანილი არა ყოფილა.

რაკი მ˝მ დფ˝ლს ქ˝ცა-ში, ესე იგი 1638—1646 წ., ეს ორი ნაწარმოები უკვე მოიპოვება, ამიტომ, თუ ეს თვით მ˝მ დფ˝ლ ქ˝ცის გადამწერის ღვაწლი არ არის, თამარ მეფის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერელის ერთიერთმანერთზე გადაბმული ნაწარმოები ქ˝ცის კრებულში XVI საუკუნეში (იქნებ 1500—1638 წ.წ.) უნდა იყოს შეტანილი.

აი ამნაირად და ამა-და-ამ დროს უნდა წარმომდგარიყო და შევსებულიყო ქ˝ცის კრებული.

ამ კრებულის შედგენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ქ˝ცის კრებულმა არა ერთი და ორი საუცხოვო ქართული საისტორიო თხზულება გადაარჩინა დაღუპვისაგან და ჩვენ დრომდის მოაღწევინა. ქ˝ცა-ში შეტანილს საისტორიო წიგნებს ქართველობა მოწიწებით უყურებდა და უფრთხილდებოდა. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ ანა დფ˝ლ ქ˝ცის გადამწერი ამბობს: „გუებრძანა პატიოსანთა ამათ წიგნთა აღწერა“-ო. (მე-30-ე რვეულის გვ. 3), მ˝მ დფ˝ლ ქ˝ცის გადამწერი-კი უკვე აცხადებს: დედოფალთა-დედოფალის მარიამისა „ბრძანებითა იწერებიან წმიდანი ესე წიგნნი“-ო (*567, გვ. 336).

მაგრამ ესეც-კია, რომ ქ˝ცის შედგენამ ერთგვარი ხელოვნურად შერჩეული საისტორიო თხზულებათა კრებული შექმნა, რომელმაც მართალია ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები გადაგვირჩინა, მხოლოდ თავის მხრივ ცოტა არ იყოს დანარჩენ საისტორიო თხზულებების დაღუპვას მაინც ხელი შეუწყო.

ახლა შედარებით მეორე ხარისხოვანი საკითხი-და გვაქვს განსახილველი იმის შესახებ, თუ ვინ და როდის შეავსო ქ҆ცა და ის სახე მისცა, რომელიც მას ჩვეულებრივ გავრცელებულს ხელთნაწერებში და ბროსსეს გამოცემის I წიგნში აქვს. ამ თუმცა მეორე ხარისხოვან საკითხის შესახებ ერთ დროს გაცხარებული კამათი იყო და ახლაც-კი თვალსაჩინო აზრთა სხვაობა სუფევს.

დ. ბაქრაძე იმ აზრისა იყო, რომ ვახტანგ VI ქ҆ცის პირველ ნაწილისათვის, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს მეფობით თავდება, ხელი არ უხლიათ (იხ. ისტორია საქართველოსი, გვ. 39—43). იგი ამასთანავე დარწმუნებული იყო, რომ ქ҆ცის ორივე თეიმურაზისეული ხელთნაწერი, რომელთაგან ერთი რუმიანცევის მუზეუმისა, ხოლო მეორე პეტერბურგის სამეცნიერო აკადემიის საზიო მუზეუმის საკუთრებად იქცა, „ვახტანგის წინად არიან გადაწერილნი“-ო (იქვე 41). ამის გამო დ. ბაქრაძეს ეგონა, რომ ძველს ქ҆ცას უკვე ვახტანგის უწინარეს ის სახე ჰქონდა, როგორც ახლა არის ცნობილი.

ე. თაყაიშვილმა პირიქით, როგორც 1890 წელს, როდესაც თავისი „სამი ისტორიული ხრონიკა“ დაბეჭდა (გვ. CXIII—CXV), ისევე 1906 წ. გამოსულს ქ҆ცის ყველა უმთავრეს ხელთნაწერების ვრცელს აღწერილობაში, ქ҆ცის ყოველგვარი შევსება, თარიღების შეტანა, გასწორება და გაგრძელებაც ვახტანგს და მის კომისიას მიაწერა (იხ. Опис. II, вып. 1, გვ. 109—114, აგრეთვე გვ. 72—89).

თ. ჟორდანია თავის ქ҆კბის I წიგნის წინასიტყვაობაში არც დ. ბაქრაძეს დაეთანხმა, არც ე. თაყაიშვილს. იგი უარჰყოფს პირველის აზრს, ვითომც თეიმურაზისეული ქ҆ცის ორივე ხელთნაწერი ვახტანგის წინა დროისა იყოს (გვ. XVII) და აღიარა, „რომ ქ-ცხბის პირველს წიგნს ატყვია შრომა ვახტანგ მეფისა“ (იქვე). მაგრამ თ. ჟორდანიას აზრით ვახტანგის ღვაწლი ამ მხრივ მცირედი ყოფილა: სახელდობრ „მას წმიდანების ცხოვრება შეუტანია ქ-ცხბაში. მასვე უნდა ეკუთვნოდეს გაყოფა ქ-ცხბისა თავებად“-ო (იქვე XVIII). ვახტანგს მიაკუთნა თ. ჟორდანიამ აგრეთვე ქ҆ცის თარიღებით შევსება (იქვე, გვ. 238). მაგრამ შემდეგ ეჭვი შეჰპარვია, და წინასიტყვაობაში უფრო ფრთხილად მსჯელობს და თავის აზრს ამგვარად ასწორებს: „დავით აღმაშენებელის მატიანეში ჩართული ქრონოლოგია, რომელიც ჩვენ ვახტანგისად აღვნიშნეთ მხოლოდ იმის გამო, რომ ვახტანგის დროინდელს ვარიანტებში იპოვება, გადაჭრით არ მიეწერება ვახტანგის რედაქციას, რადგან ვახუშტიმ სრულიად არ იცის ის წყარო, საიდამ[აც] ამოღებულია იგი და თითონ თავის მოსაზრებით (თუმცა შემცდარად) ასწორებს მას“-ო (იქვე XV). დანარჩენი ყველა ცნობები-კი თ. ჟორდანიას აზრით „თეიმურაზ ბატონიშვილისაგან არის შეტანილი ქ-ცხბაში და არა ვახტანგ მეფის მიერ“-ო (იქვე IX).

მ. ჯანაშვილი ბაქრაძესავით ვახტანგ VI და მის კომისიის ღვაწლს ქ҆ცის პირველ ნაწილის შევსება-შესწორებაში სრულებით უარჰყოფს (ნაშრომი გვ. 6).

ამ საკითხების გამოსარკვევად რასაკვირველია შევსებულ ქ~ცის ხელთნაწერების თარიღებსა აქვს მნიშვნელობა. ე. თაყაიშვილმა ამ მხრივ დაწვრილებით განიხილა ქ~ცის ყველა ცნობილი ხელთნაწერები და მათი თარიღები გამოარკვია. ეგრეთწოდებული ბარათაშვილისეული ქ~ცა, „უსრულესი ქართლის ცხოვრება“, გადაწერილია „დედასა ზედა სვეტის ცხოველისასა“ 1761 წელს ტფილისის ჯვარის საყდრის დეკანოზის იოანეს მიერ (Опис. I, вып, II, გვ. 203). თეიმურაზისეული ხელთნაწერი, რომელიც რუმიანცევის მუზეუმის კუთნილებას შეადგენს, უნდა გადაწერილი იყოს 1709 წლამდე და ახლო ხანებში (იქვე 46 და თ. ჟორდანია ქკბი I, გვ. XVII). მეორე თეიმურაზისეული ხელთნაწერი, რომელიც პეტერ. სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმში ინახება, უნდა 1724 წ. უწინარეს იყოს გადაწერილიო (ე. თაყაიშვილი Опис. I, вып, II, გვ. 48). შემდეგ ე. თაყაიშვილი ამტკიცებს, რომ ეს ხელთნაწერი სახელდობრ 1700—1705 წ. უნდა იყოს გადაწერილი (იქვე 74 და 110).

ეს თეიმურაზისეული ხელთნაწერი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ იქ თამარის მეფობის მეორე ნახევრითგან მოყოლებული ქ~ცის ბოლომდის, რომელიც აქაც მხოლოდ გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დამდეგამდეა მოყვანილი, დედანი არც შესწორებულია და არც შევსებული ისე, რომ მ~მ დფ~ლ ქ~ცას უდგება, თუმცა აქა-იქ მაინც განსხვავდება. ამის გამო ცხადია, რომ ამ ხელთნაწერის დედნად მ~მ დფ~ლი ქ~ცა არ უნდა ყოფილიყო (იქვე 52—54). მაგრამ ამ თეიმურაზისეულს ხელთნაწერს თავში ოთხი ფურცლის ქაღალდი, როგორც უკვე დ. ბაქრაძემა და ე. თაყაიშვილმაც აღნიშნეს (იქვე 70), სხვანაირია და არც ისეა გალიშული.[1] თვით ქ~ცის პირველი ორი გვერდი (4 და 5), რომელზედაც ცნობილი წინასიტყვაობა და ქ~ცის დასაწყისია მოთავსებული, უფრო წვრილ და უშნო ხელით არის ნაწერი, ვიდრე ხელთნაწერის დანარჩენი ნაწილი. საყურადღებოა ამასთანავე, რომ იმერეთის მეფის ალექსანდრეს 1724 წ. მინაწერი ხელთნაწერის თავში ამ განსხვავებულს ქაღალდზე სწერია. ამავე მეფის ორი მინაწერი უკანასკნელ გვერდზეც მოიპოვება. რადგან მეორე მინაწერში ე. თაყაიშვილს ერთი თარიღი გამოჰპარვია, ამიტომ აქვე მოგვყავს:

„დთ~ით. ვიქმენ. 1720 [1]) მეფედ. მე მონა. სახელად
ჩლკდ ალექსანდრე.“

---

[1]) ხელთნაწერი საგანგებოდ გადასინჯული მაქვს.

[1]) რიცხვი თუმცა იმავე მელნით და ვგონებ ხელითაც არის ნაწერი, მაგრამ წინა სიტყვაზე „ვიქმენ“-ზე უწინარეს უნდა იყოს დაწერილი იმიტომ, რომ „ნ“-ზედ „1“ არის მიკრული, თუმცა რიცხვისათვის საკმაო ადგილია და 1720-ის შემდგომ სიტყვამდე „მეფედ“ ბევრი თავისუფალი ადგილია, ხადაც რიცხვი მშვენიერად მოთავსდებოდა. ე. თაყაიშვილს (იქვე 48) რიცხვი 1720 გამოტოვებული აქვს.

საგულისხმიეროა, რომ ამ თეიმურაზისეულს ქ̃ცა-ში აქა-იქ შუაშიც თავისუფალი ადგილებია დატოვებული და ერთგან (გვ. 88) სიანგურით სწერია კიდეც: აქა ამბები აკლდა დედნებსა"-ო და შემდეგ სხვა ხელით ნაწერია ჩამატებული, რაც თაყაიშვილსაც აღნიშნული აქვს (Опис. I,69). მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღების ღირსი ის გარემოება არის, რომ ქ̃ცის შესავალი, წინასიტყვაობა და დასაწყისი, რომელნიც სხვანაირ ქაღალდზე არის ნაწერი, ამგვარისავე წვრილი და უშნო ხელით არის ნაწერი, როგორითაც ჩანამატები ადგილებია[1]). ე. თაყაიშვილი მართალია, როდესაც ამბობს, რომ წვრილ და მთელ ხელთნაწერისაგან განსხვავებულ ხელით ნაწერი ათსამმეტ ასურელ მამათა შესახები ცნობები თეიმურაზისეულს ქ̃ცა-ში მას შემდგომ უნდა იყოს შეტანილი, როცა ხელთნაწერი დამთავრებული და დაკაზმული იყო კიდეც (იქვე 73). თუმცა ე. თაყაიშვილი ეჭვობს, რომ ამ ხელთნაწერს თავშიაც ჰკლებოდეს და იმიტომ იყოს შემდეგ მიმატებული (იქვე 71), მაგრამ მაინც სხვანაირად ამ გარემოების ახსნა შეუძლებელია და ნაძალადევიც იქმნებოდა.

რაკი იმერეთის მეფის ალექსანდრეს 1724 წ. მინაწერი ხელთნაწერის უკანასკნელ გვერდზე და თავშიაც მოიპოვება, ამიტომ მაინც-და-მაინც ცხადია, რომ ეს ქ̃ცა, როგორც სამართლიანად მსჯელობს ე. თაყაიშვილი (იქვე 71), უნდა 1724 წლამდე ყოფილიყო გადაწერილი. რათგან ათსამმეტ ასურელ მამათა მოღვაწეობის აღწერილობა, რომელიც თეიმურაზისეულს ხელთნაწერში მერე შეტანილი და სხვა ხელით არის ნაწერი, რუმიანცევის 1709 წლამდე დაწერილს ქ̃ცა-ში უკვე თვით ტექსტში არის შეტანილი და იმავე ხელით არის ნაწერი, როგორითაც მთელი წიგნია, ამიტომ ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ თეიმურაზისეული 1709 წ. უწინარეს უნდა ყოფილიყო დაწერილი (იქვე 74).

ქ̃ცის ხელთნაწერების ყველა ამ თარიღების გამო ე. თაყაიშვილი ამტკიცებს, მ̃მ დღ̃ლ ქ̃ცის გარდა სხვა ყველა ხელთნაწერები ვახტანგ მეფისა და „სწავლულ კაცთა“ მიერ შესწორებულსა და შევსებულს დედანს შეიცავსო. ეს ხელთნაწერები სამ ჯგუფად აქვს დაყოფილი: პირველ ჯგუფად მას დასახელებული აქვს ისეთი ხელთნაწერები, რომლებშიაც ქ̃ცის შევსება და შესწორება ბოლომდის არ არის მიყვანილი. ასეთ ხელთნაწერად მას თეიმურაზისეული ქ̃ცა მიაჩნია, რომელშიაც თამარის მეფობის მეორე ნახევრითგან მოყოლებული ბოლომდის, ე. ი. გიორგი ბრწყინვალემდე დედანი შეუსწორებელია. ამ ქ̃ცას ე. თაყაიშვილი ვახტანგისეულ კომისიის თავდაპირველ შრომად სთვლის (იქვე 109—110).

მეორე ჯგუფად მას ის ხელთნაწერები მიაჩნია, რომლებშიაც ქ̃ცა შესწორებული და შევსებულია ბოლომდის, ე. ი. გიორგი ბრწყინვალემდე. ამ

[1]) ეს გარემოება ე. თაყაიშვილსაც აქვს აღნიშნული (იქვე 70).

ჯგუფში ე. თაყაიშვილს რუმიანცევის მუზეუმის ქ~ცა აქვს მოთავსებული, რომელიც პირველ და მეორე ჯგუფებს შორის სდგას, აგრეთვე საეკლესიო მუზეუმისა და დადიანისეული ხელთნაწერები (იქვე 109, 111—112).

მესამე ჯგუფად ე. თაყაიშვილი ისეთ ხელთნაწერებსა სთვლის, რომლებშიაც ქ~ცის შესწორებულ-შევსებულ დედანს გარდა ქ~ცის ორივე გაგრძელებაც მოიპოვება, ამგვარია 1760—1761 წ. გადაწერილი ბარათაშვილისეული ხელთნაწერი და ფალავანდიშვილისეული, რომელიც 1761 წ. არის დამთავრებული (იქვე 109,—112—113).

სამწუხაროდ ამ საკითხის გადაწყვეტა ისე ადვილი არ არის და ამისათვის მარტო ხელთნაწერების თარიღები არა კმარა. თუმცა ვახტანგს და „სწავლულ კაცთ" ქ~ცის შევსება და „განმართვა" ჯერ კიდევ ბატონიშვილობის დროს განუხორციელებიათ და როგორც თ. ჟორდანია ფიქრობს 1699 წელს დაუწყიათ და 1709 წლამდე[1]) შრომა უკვე დამთავრებული ჰქონიათ (ქ~კბი I, გვ. XVII), ხოლო თეიმურაზისეული და დანარჩენი ქ~ცის ხელთნაწერები ყველანი ვახტანგის დროისა იყვნენ ან იმაზე უფრო მერმინდელი,—მაგრამ ერთი ფრიად თვალსაჩინო გარემოება არსებობს, რომელიც ე. თაყაიშვილის ზემომოყვანილს დასკვნას საეჭვოდ ხდის და აქარწყლებს კიდეც.

თ. ჟორდანია, რომელიც თეიმურაზისეულს ქ~ცას შეცდომით მე-XVIII-ე საუკუნის დასასრულისად სთვლიდა, თავის აზრის დასამტკიცებლად შემდეგს საგულისხმიერო მოსაზრებას ასახელებდა: ამ ხელთნაწერში „შეტანილი ცნობები ვახუშტის არა ჰქონია და მაშასადამე არც იმ ქ-ცხბის ვარიანტებში ყოფილა, რომელნიც მას ხელში ჰქონია თჳსის ისტორიის და ისტორიულ წერილების შედგენის დროს... წარმოიდგინეთ, ვახუშტის რომ ხელში ჰქონოდა ქ-ცხორება თეიმურაზის ვარიანტით... როგორ არ შეიტანდა თჳსს შრომაში ისეთს შესანიშნავს ცნობებს, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე გვაძლევს თეიმურაზის ვარიანტი"-ო? (ქ~კბი I, გვ. VIII). თუმცა თ. ჟორდანია სიმართლეს უახლოვდებოდა, მაგრამ მაინც შესცდა და თეიმურაზისეული ქ~ცა XVIII ს. დასასრულს მიაკუთნა. ამასთანავე თვით საბუთადაც ამგვარ მოსაზრების წამოყენება სამეცნიერო გამოკვლევაში არ შეიძლება, ვახუშტი თავის შრომაში ასეთს შესანიშნავს ცნობებს როგორ არ შეიტანდაო?! რაც ჩვენთვის შესანიშნავია, შეიძლება ვახუშტს საყურადღებოდ არ სჩვენებოდა და თუ თ. ჟორდანიას ჰსურდა ნამდვილი, სამეცნიერო საბუთი მოეყვანა, მას თავდაპირველად უნდა ვახუშტის ისტორიული თვალთსაზრისი გამოერკვია, შეესწავლა, რას აქცევდა ჩვენი მეცნიერი ისტორიკოსი განსაკუთრებულს ყურადღებას და თავისი მსჯელობაც ამაზე დაემყარებინა.

---

[1]) იხ. ე. თაყაიშვილი Опис. I. 46.

როგორც ქვემოთ თავის ალაგას (იხ. ვახუშტი) გამორკვეული იქმნება, სახელოვანი მეცნიერი ისტორიკოსი ბატონიშვილი ვახუშტი ჩიოდა: „ჩვენ ქართველთა მატიანე (ესე იგი ქ'ცა)... ეკლესიის მატიანესა შეამოკლებს და სამოქალაქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად“-ო. მაშასადამე იგი სწუხდა, რომ ქართულ საისტორიო მწერლობას ამგვარი ნაკლი ჰქონდა და საეკლესიო ყოფა-ცხოვრების შესახებ მეტად ცოტა ცნობები მოიპოვებოდა. აქეთგან ცხადია, რომ თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ვახუშტს დასახული ჰქონია სწორედ, რაც შეიძლება მეტი ცნობები შეეტანა საქართველოს ისტორიაში ქართულ ეკლესიის შესახებ. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, ვახუშტის თვალთსაზრისიც გვეცოდინება და თეიმურაზისეულისა და ქ'ცის სხვა ხელთნაწერებს, რომელნიც ე. თაყაიშვილს ვახტანგის რედაქციად მიაჩნია, ამ მხრივ ვახუშტის თხზულებას შევადარებთ, თვალწინ გასაოცარი და დამაფიქრებელი სურათი გადაგვეშლება.

მართლაც, მეტად საყურადღებოა, რომ ანა დფ'ლს და მ'მ დფ'ლს ქ'ცის ხელთნაწერთან შედარებით, თეიმურაზისეულს ქ'ცა-ში შეტანილია, როგორც ე. თაყაიშვილსაც აღნიშნული აქვს, ბაგრატ IV მეფობაში მელქისედეკ კათოლიკოზის სიგელითგან ძვირფასი ცნობები მელქიზედეკის მოღვაწეობის შესახებ, სხვა საბუთებითგან ცნობა ოქროპირ და გიორგი კათოლიკოზების შესახებ (იხ. Опис. I, 79 და 80),—დავით აღმაშენებლის მეფობაში ჩართულია ცნობა კათოლიკოზების გაბრიელ საფარელისა და იოანეს შესახებ (იქვე 80), საეკლესიო კრების ვრცელი აღწერილობა თამარის მეფობის დასაწყისში (ხელთნაწერის გვ. 202B—203B) და სხვა. ხოლო არც ერთ ამათგანის შესახებ ვახუშტს არაფერი აქვს ნათქვამი. რა დასაჯერებელია, რომ ვახუშტს, რომელიც ჩიოდა, ქართულს მატიანეში საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესახებ მეტად ცოტა ცნობები მოგვეპოვებაო, ვახტანგისეულს ქ'ცა-ში ყველა ზემოაღნიშნული ცნობები ჰქონოდა და მას ისინი გამოეტოვებინა და თავის შრომაში არ ჩაერთო? ამგვარი აზრი ეხლა, რაკი უკვე მეცნიერ ბატონიშვილის თვალთსაზრისი შესწავლილი გვაქვს, სწორედ რომ შეუწყნარებელი იქმნებოდა. ამის გამო სრულებით ცხადია, რომ არც თეიმურაზისეული, არც რუმიანცევის მუზეუმისა, არც მით უმეტეს ბარათაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული ქ'ცის ხელთნაწერები არ შეიძლება ვახტანგის რედაქციად ვიცნათ იმისდა მიუხედავად, რომ პირველი ორი ხელთნაწერი ვახტანგ VI დროინდელია.

მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია თ. ჟორდანიას აზრიც, რომელიც ამტკიცებდა, ვითომც „დასაჯერებელი არ არისო, რომ ესრეთი შრომა (ე. ი. ქ'ცის შევსება-შესწორება) თეიმურაზ ბატონიშვილის გარეშე სხვას ვისმე მიეწეროს“-ო (ქ'კბი I, გვ. IX). ჯერ ერთი ის, რომ თუ-კი თეიმურაზს

ამგვარი ღვაწლი მართლაც მიუძღოდა, უეჭველია ამას იგი არც დამალავდა და მ. ბროსსეაც ეს გარემოება ეცოდინებოდა. ხოლო მეორე ის, რომ ქ˜ცის უსრულესი ხელთნაწერებიც-კი, ბარათაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული, როგორც სამართლიანად უკვე ე. თაყაიშვილმაც აღნიშნა, 1761 წ. არიან გადაწერილი, იმ დროს, როდესაც თეიმურაზ ბატონიშვილი ჯერ დაბადებული არც-კი იყო [1]) (Опис. I, 45).

თუ ჩვენ ვახტანგისეული კომისიის ღვაწლისა და ნამუშავარის დაახლოვებით გამორკვევა გვსურს ქ˜ცაში (გიორგი ბრწყინვალემდე), ვახუშტის შრომის ცნობები ანა და მ˜მ დფ˜ლისა და თეიმურაზისეულის ქ˜ცის ხელთნაწერებს უნდა შევადაროთ. ამგვარი შედარება გვაფიქრებინებს, რომ ვახტანგისეულს კომისიას ქ˜ცა-ში აქა-იქ ორიოდე ცნობა აქვს შეტანილი, ისიც მხოლოდ ქართველ წმიდანების შესახებ, მაგ. პეტრე მაჟუმელისა, რომლის ც˜ა ვახტანგს უპოვია (იხ. ქ˜ები I, გვ. XVII და Опис. I, 24) და შუშანიკის შესახებ, (იხ. ქ˜ები I, გვ. XXIII და Опис. I, 78). მართლაც მოკლე ცნობები ამათ შესახებ ვახუშტსაცა აქვს (საქართ. ისტორია გვ. 79—80 და 105). უფრო ვრცლად და ზედმიწევნით ამ საკითხის გამორკვევისათვის საგანგებო შედარებაა საჭირო.

თეიმურაზისეული ქ˜ცაც, რუმიანცევის მუზეუმისა და მით უმეტეს ბარათაშვილისეული და ფალავანდიშვილისეული ქ˜ცანი ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ რედაქციის ნაყოფი-კი არ არის, არამედ სხვა, გარეშე პირთა და ისტორიკოსთა ნამუშავარია, რომელთა შრომა ვახუშტს, როდესაც თავის თხზულებასა სწერდა, ეტყობა თვალითაც-კი არ უნახავს.

თეიმურაზისეულსა და რუმიანცევის ქ˜ცათა შორისაც-კი რომ საერთო სარედაქციო მუშაობა და კავშირი არ ყოფილა, იმითაც მტკიცდება, რომ მრავალი საყურადღებო ცნობები, რომელიც თეიმურაზისეულს ქ˜ცა-ში სხვა-და-სხვა წყაროებითგან არის შეტანილი, რუმიანცევისაში არ მოიპოვება (იხ. Опис. I, 77—81 და სხვა). ეს ორი ხელთნაწერი რომ ერთისა და იმავე კომისიის შრომის ნაყოფი ყოფილიყო, შეუძლებელია ამგვარი რამ მომხდარიყო.

ერთი სიტყვით, ქ˜ცის პირველი ნაწილი (გიორგი ბრწინვალემდე) იმდენად ვახტანგისა და მის „სწავლულ კაცთა“ შევსებულ-შესწორებული არ არის, რამდენადაც სხვების (ჯერჯერობით უცნობ პირთა) მიერ და თანდან 1705—1760 წ., რომელთაც უფრო მეტიცა და უკეთესი წყაროებიც ჰქონიათ ხელთა, ვიდრე ვახტანგისეულს „სწავლულ კაცთ“. ხოლო რომ ქრონოლოგიური ცნობებიც დავით აღმაშენებელის მეფობაში ვახტანგისა და მის

[1]) 1782 წ. დაიბადა (იქვე).

მეცნიერთა შეტანილი არ არის, როგორც ე. თაყაიშვილს ეგონა (Опис. I, 88§22), ამას ანა დ~ფლი ქ~ცა ნათლად ამტკიცებს (იხ. ამის შესახებ ქ~ლ ერის ისტორია II, 509 შენ.).

ქ~ცის გაგრძელება.

როგორც უკვე არა ერთხელ აღნიშნული იყო, ძველი ქ~ცა გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დასასრულზე სწყდებოდა და ამის შემდგომი საქართველოს ისტორია ქ~ცა-ში აღწერილი აღარ იყო. ვახტანგ მეფეს და მის „სწავლულ კაცთ“ მიზნად სწორედ ის ჰქონდათ დასახული, რომ ეს დანაკლისი შეევსოთ და აუწერელი „შეეთხზათ“, ე. თაყაიშვილი ამიტომ დარწმუნებულია და ამტკიცებს კიდეც, რომ ქ~ცის ყველა გაგრძელებანი სწორედ ამ ვახტანგისეულ კომისიის შედგენილია (Опис. I, გვ. 109 და 112—113). ვიდრე თვით საკითხის არსებითად განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა გავიხსენოთ, თუ ქ~ცის რამდენი გაგრძელება არსებობს. სულ ოთხი გაგრძელება მოიპოვება.

ქ~ცის პირველს გაგრძელებას არავითარი სათაური არ აქვს და იწყება შემდეგის წინადადებით: „ქ~კს უმ დაჯდა მეფედ აღარნასე და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა“. ეს გაგრძელება თავდება 1453 წელზე (დამატ. გვ. 850—891).

ქ~ცის მეორე გაგრძელებას სათაურად აქვს: „სახელითა ღმრთისათა აწ ვიწყოთ ცხოვრება ბაგრატიონთა მეფობისა,“ იწყება 1452 წლით და 1605 წელზე სწყდება (დამატ. გვ. 892—973).

ქ~ცის მესამე გაგრძელებას სათაურად აწერია. „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“. იწყება 1373 წლით და თავდება 1703 წლით (პარიზის ქრონიკა, ზ ჭიჭ. გამოცემა).

დასასრულ არსებობს კიდევ ერთი ქ~ცის გაგრძელება, რომელიც აღმოჩინა ა. მ. ჯანაშვილმა ნაყიდ ქ~ცის ხელთნაწერში, ეს გაგრძელება იწყობა მოკლე, მაგრამ დიდმნიშვნელოვან წინასიტყვაობით, ხოლო თვით მოთხრობა ბაგრატ მეფითგან არის აწერილი ლანგ თემურის 1393 წ. საქართველოში შემოსევის ამბით და წყდება გიორგი XI-ის 1696 წ. სპარსეთში გამგზავრების აღწერით („ნაშრომი,“ გვ. 18—54). მაგრამ რაკი უეჭველია მას ბოლო უნდა აკლდეს, ამიტომ მისი ბოლო ვახტანგ VI-მდე იქნებოდა მოყვანილი, როგორც ეს აღნიშნულია ამ გაგრძელების შესავალშიაც.

ამ გვარად ჩვენ ხელთ არის ქ~ცის ოთხი გაგრძელება. რომელი ერთი ეკუთვნის ვახტანგისეულს მეცნიერთა კომისიას, ან იქნებ ოთხივენი მის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს? როგორც აღნიშნული გვქონდა ე. თაყაიშვილსა ჰგო-

ნია, რომ სამივე ზემოაღნიშნული გაგრძელება ვახტანგისეულ კომისიის მიერ იყო შედგენილი (Опис. I, გვ. 91).

უეჭველია, რომ მხოლოდ ჯანაშვილისეულს ხელთნაწერში არის შენახული ის, რაც ვახტანგ VI-ის მიერ შეკრებილ „სწავლულ კაცებს“ „შეუთხზიათ და აღუწერიათ.“ უეჭველი იმიტომ არის, რომ სწორედ აქ ეტყობა ნამუშავარს მრავალ პირთა თანამშრომლობა და მოქმედების აღმნიშვნელი ზმნა მრავლობითი რიცხვით არის ნახმარი. შესავალში მაგ. სხვათა შორის ნათქვამია: ცხოვრება „ამის ბაგრატისა და ძისა მისისა კონსტანტინესი დაეწერათ და ვპოვეთ ძველთა წიგნთა შინა და ქვემორე რიგსა მისა ზედა გვიწერია და ესე ამბავნი მის ზემოთანი გუჯართა... გამოვიღეთ და აღვწერეთ, ხოლო მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა და შემდგომი... აღგვიწერია“-ო და სხვა და სხვა („ნაშრომი“, 18).

ყურადღების ღირსია, რომ ბარათაშვილისეულსა, ფალავანდიშვილისეულსა და სამეგრელოს ხელთნაწერებში შენახული ქ˝ცის გაგრძელებათა (1 და 2) აღმწერელი ერთი ყოფილა. ეს სხვათა შორის შემდეგი წინადადებითა მტკიცდება: ლანგთემურის შემოსევის დროს ქართველთა გულადობაზე უცნობი ავტორი ამბობს, „მე ეგრეთ ვერ ძალმიძს აღწერა და შესხმა ქებათა, სიმხნე[სა] და ახოვნებათა მათ ჭაბუკთა ქართველთასა, ვითარ იგი სპარსთა წიგნთა შინა წერილ არს ქება სპათა ქართველთასა“-ო (დამატ. გვ. 870).

ამ გვარად ცხადია, რომ ამ გაგრძელებათა დამწერი ერთი კაცი ყოფილა და არა რამდენიმე. „სწავლულნი კაცნი“ ამ შემთხვევაში არაფერ შუაში უნდა იყვნენ. მაშასადამე მათი ღვაწლის ძეგლად უნდა ჩაითვალოს ის, რაც ჯანაშვილისეულს ხელთნაწერშია შენახული. ამას სხვათა შორის ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ვახუშტი სწორედ ამ „სწავლულ კაცთა“ მიერ შედგენილს ქ˝ცის გაგრძელებას არჩევს და არღვევს, მაშასადამე იგიც სწორედ ამ თხზულებასა სთვლიდა იმ ნაწარმოებად, რომელიც დაწერილი იყო „სახელითა ლევანის ძისა მეფისა ვახტანგისათა“.

რაკი ეხლა ქ˝ცის ისეთი ხელთნაწერი აღმოჩნდა სადაც გაგრძელება რამდენისამე პირის შედგენილად სჩანს, ამიტომ ქართლის ცხოვრების ცნობილი „შესავალი“ „პატიოსანნო და დიდებულნო ქართუელნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლსა შინა ქართლის ცხოვრება შემცირებულიყო, ხოლო მეფემან ვახტანგ, ძემან ლეონისამან და ძმისწულმან მეფის გიორგისამან, შევკრიბენ სწავლულნი კაცნი და სხუათა წერილთა და გუჯართაგან და რომელნიმე სხუათა ენათაგანცა გამოვიღეთ და ესრეთ შევთხზენით და აღვწერეთო“ (ე. თაყაიშვილი Опис. T. I, გვ. 10), სიმართლეს შეიცავს: „სწავლულნი კაცნი“ ქ˝ცის გაგრძელების შედგენისთვის მართლაც გარჯილან.

როდესაც ისინი თავიანთ საქმეს შესდგომიან, ქ˝ცა მხოლოდ გიორგი ბრწყინვალემდე იყო მოყვანილი, „ჟამამდე ღვთივ გვირგვინოსნისა მეფისა

გიორგისამდე, ძისა დიდებულისა მეფისა დიმიტრისამდე, აწერათ ცხოვრებანი ქართველთანი"-ო („ნაშრომი" 18, Опис. 38). ამიტომ მათს უმთავრესს მიზანს ქ'ცის ამ ნაკლის შევსება შეადგენდა: საქართველოს მერმინდელ ისტორიის შეთხზვა.

მაგრამ ამ მთავარ მიზანს გარდა მათ სხვა კერძო მიზნებიცა ჰქონიათ დასახული. თვითოეული ამ მიზანთაგანი რასაკვირველია უმთავრეს მიზნის საუკეთესოდ მიღწევას უწყობდა ხელს. „სწავლულ კაცებს" ამგვარ კერძო მიზნებად ჰქონიათ: 1) საქართველოს რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ დაყოფის დროისა და მიზეზისა და 2) ამ სამეფოებისა და სამთავროების ბატონ-პატრონთა შთამომავლობითი შტოების გამორკვევა.

თვით ავტორები ადიარებენ, რომ საქართველოს დანაწილების მიზეზს მიაგნეს: „ადრე იცვლებოდა ერისთავნი და არცა თავადნი, ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვიდრ ქმნილ იყუნენ და ვისცა მამულს მისცემდა მკვიდრად მიეცემოდა და ყოველნივე ძლიერ იყუნეს მთავარნი, ერისთავნი და თავადნი. ხოლო ამა ალექსანდრესა და კონსტანტინესა ჟამში განდგენ იმერელნი, ოდიშარნი და გურულნი და არღარა მორჩილებდა ათაბაგი და განდგა კახეთი"-ო („ნაშრომი" 44). მაგრამ ამასთანავე ისინი გულახდილად აცხადებენ, რომ ამ მეორე მიზეზის გამორკვევა სავსებით ვერ შესძლეს: „ესე ვერა ვსცანით, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა რომლისა თესლისაგან არიან და ანუ ვითარ უპყრიესთ ქუეყანანი იგი. ხოლო იმერეთისა რომელთამე თქუეს, «ოდეს მამა ალექსანდრესი ბაგრატ მეფე ჩავიდა იმერეთს, მაშინ თვისნი მისნი დაუტევა და მიერითგან ძენი მისნი არიან.» ამა ბაგრატის შემდგომად რაოდენნი მამანი გარდაიცვალნენ, არა უწყე[თ]... ხოლო კახეთისა მეპატრონეთა მამა იყო დავით და ამა დავითის მამა არა უწყით, თუ ვინ იყო"-ო („ნაშრომი" 44—45).

მესამე კერძო მიზანს სამეფოსა და სამთავროების სამზღვრების გამორკვევა შეადგენდა (ნაშრომი, 45—46).

ვახტანგის მიერ შეკრებილი „სწავლულნი კაცნი" თავიანთ შრომას ოთხ ნაწილად ანუ ხანად ჰყოფენ:

1) პირველი ხანა ეხება იმ დროს, როცა „ცხოვრებანი ქართველთანი არღარა წერებულიყო" ანუ „ძისა მეფისა გიორგისა, მეფისა ბაგრატისა, ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე"-ო. ამ დროს განმავლობაში „ესე ამბავნი... გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებისაგან გამოვიღეთ და აღვწერეთ"-ო („ნაშრომი" 18).

2) მეორე ნაწილად უნდა ჩაითვალოს ცხოვრებანი „ბაგრატისი და ძისა მისისა კონსტანტინესი". ეს თხზულებები „დაეწერათ და ვპოვეთ ძველთა წიგნთა შინა და ქვემორე რიგსა მის[სა] ზედა დავგიწერია"-ო (იქვე, 18).

3) მესამე ნაწილს შეადგენს ცხორებანი „მეფისა ალექსანდრესი და ძისა მისისა მეფისა კოსტანტინესი და შემდგომი... ვიდრე მეფისა როსტომისადმდე“. მთელი ეს ხანა „ძველთა კაცთა და სპარსთა[1]) ცხოვრებისა და ქორონიკონთა და გუჯართაგან აღგვიწერია“-ო (იქვე, 18).

4) მეოთხე ნაწილს შეადგენს ამბავი „მეფისა როსტომის აქათი“, რომელიც „თუით თვალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია“-ო (იქვე, 18).

„სწავლულთა კაცთა“ კრებას მაშასადამე მხოლოდ მეორე ნაწილისა ანუ ხანასთვისა ჰქონია „ცხოვრებანი ქართველთანი“, ქართული საისტორიო თხზულება.

საქართველოს ხანგრძლივი ცხოვრება XIV—XVII-ის დასასრულამდე აღუწერელი იყო და ეს დიდი და თვალსაჩინო ნაკლი მათ უნდა შეევსოთ. როგორ?—ამ შემთხვევაში „სწავლულნი კაცნი“ იმნაირსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ, რა მდგომარეობაშიც იყო ფარსადან გორგიჯანიძე, როცა იგი თავის ზემოგანხილულს თხზულების წერას შეუდგა. შორეულ წარსულის ცხოვრების აღდგენა და დასურათება ძნელი საქმეა მეტადრე როცა მკლევარს იმ დროინდელი საისტორიო თხზულებები არ მოეპოვება. სპარსეთში მყოფმა ფ. გორგიჯანიძემ, როგორც ვიცით, სპარსულ საისტორიო მწერლობას მიჰმართა და იქითგან ამოჰკრიფა ყველა ცნობები, რომელიც-კი საქართველოს ეხებოდა. ასეთს შრომაში საქართველოს ისტორიას რასაკვირველია ცალმხრივი, სპარსულ თვალთსაზრისა და ელფერის დაღი უნდა აჩნდეს და აზის კიდეც.

ვახტანგის „სწავლულმა კაცებმა“, რომელნიც თავიანთ შრომას იმავ დროსვე სწერდენ, როდესაც ფ. გორგიჯანიძე, თავიანთ საქმეს უფრო ღრმად ჩაჰხედეს და თვით მიზნის განხორციელებასაც უფრო ფართო ნიადაგი მოუმზადეს. არც გასაკვირველია: ისინი საქართველოში მუშაობდნენ და მეფის მფარველობის ქვეშ ყველა წყაროებიც უხვად შეეძლოთ მოეხვეჭათ, გორგიჯანიძე-კი სპარსეთში ცხოვრობდა და იმ დროს, საქართველოს მოშორებული, ავადმყოფი და გაჭირვებული 70 წლის მოხუცი იყო. რასაკვირველია მას არ შეეძლო ესარგებლნა ისტორიისათვის საჭირო ყველა მასალებით.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია, რომ „სწავლულთ კაცთ“ განუზრახავთ და შეუდგენიათ კიდეც მთელი, სრულიადი საქართველოს ისტორია და არა საქართველოს ერთ-ერთის კუთხის, ან ნაწილისა. საქართველოს ერთობის აზრი ძლიერი და ცხოველმყოფელი ყოფილა იმისდა მიუხედავად, რომ პოლიტიკური ცხოვრება დაწვრილმანებული და დაქსაქსული იყო.

ვახტანგის „სწავლულთა კაცთა“ წყაროები ორ უმთავრეს ჯგუფად უნდა დაიყოს: 1) ადგილობრივ, ქართულ და 2) უცხოელთა წყაროებად.

---

[1]) დედანში აქ „და“ ზის, რომელიც ან მეტი უნდა იყოს, ან არა და მის შემდგომ ეროვნების სახელი უნდა იყოს გამოშვებული, ან „სომეხთა“, ან ურუმთა.

პირველი ჯგუფი შეიძლება ორ დარგად გავყოთ: a.) წერილობით წყაროებად, რომელიც შეიცავდა ორს საისტორიო თხზულებას, „ცხოვრებას“, და დაუმუშავებელს მასალებსა, „ქორონიკონებს“ და საბუთებს, „გუჯრებს“,— და B.) ზეპირ წყაროებად: „ძველთა კაცთა“, „თვთ თვალითა მნახველთა და ომებთა შინა მყოფთა კაცთა“ გარდმოცემად. ზეპირ წყაროებით „სწავლულნი კაცნი“ ისტორიის მხოლოდ უკანასკნელ ორ ხანას აღწერის დროს სარგებლობდნენ, განსაკუთრებით როსტომ მეფისა და „როსტომის აქათი“ ამბების მოთხრობის დროს.

უცხოელთა წყაროებად მხოლოდ საისტორიო თხზულებები „სპარსთა და სომეხთა ცხოვრებანი“ ჰქონიათ, განსაკუთრებით-კი სპარსულ საისტორიო მწერლობით უსარგებლნიათ. სპარსულ საბუთებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

აქა-იქ თვით წყაროების შესახებ უფრო დაწვრილებით შეიძლება ცნობების შეკრება. მაგ. ერთს ადგილს ნათქვამია: „დასრულდა ლანგთემურ მოოხრება ქართლისა და წარვიდა სხვათ ქუეყანისა დასაპყრობად და ქმნნა მრავალნი საქმენი დიდძალნი, რომლისა ცხოვრება მისი ვრცლად წერილ არს ცხოვრებასა შინა სპარსთასა, ხოლო ჩვენ აღვსწერეთ ყოველივე მოსვლა მისი ქართლად და აოხრება ქართლისა“ („ნაშრომი“, 33). ამითა მტკიცდება, რომ ვახტანგის „სწავლულ კაცებს“ ხელთა ჰქონიათ ლანგთემურის ვრცელი სპარსული ცხოვრება. სწორედ ამ „ცხოვრებითგან“ ამოუკრებიათ მათ ცნობები ლანგთემურის საქართველოში მრავალგზის ლაშქრობის და აოხრების შესახებ. ეტყობა ვერც „სწავლულ კაცებს“ მოუძებნიათ ამ ხანისთვის ქართული საისტორიო წყარო. მაისურაძისეულს ქ˜ცის მიხედვით „სწავლულ კაცთა“ ნაწერში 18—34 გვ. მ. ჯანაშვილის გამოცემით („ნაშრომი“) სწორედ ამ ლანგთემურის ცხოვრებითგან ამოღებულს ცნობებს შეიცავს. როგორც ზემოთ თავის ადგილას აღნიშნული იყო, ლანგთემურის სპარსულ ისტორიითგან ქართულად ნათარგმნი ცნობები ფარსადან გორგიჯანიძესაც აქვს შეტანილი. ამ ორ ნათარგმნ ცნობების შედარება ამტკიცებს, რომ ვახტანგის „სწავლულ კაცებს“ არამც თუ ფ. გორგიჯანიძის თარგმანით არ უსარგებლნიათ, არამედ თვით სპარსული დედანიც ორსავე შემთხვევაში მთარგმნელებს სხვა-და-სხვა ჰქონიათ, სხვა-და-სხვა ავტორის ლანგთემურის ისტორიით უსარგებლნიათ. რაკი იეზდის ისტორიას გარდა სხვა არც ერთი ლანგთემურის სპარსული ისტორია ჯერ დაბეჭდილი არ არის, ამიტომ ამ ორ ქართულ თარგმანის ღირსების გამორკვევა ჯერ შეუძლებელია.

ლანგთემურის ლაშქრობის აღწერილობის დასაწერად ვახტანგის „სწავლულ კაცებს“, როგორც ისინი თითონ აცხადებენ, რაღაც სომხური საისტორიო წყაროც ჰქონიათ, „სომეხთა ცხოვრებისაგან გამოვიღეთ“-ო (ნაშრომი, 18). თუმცა სწორედ ამ ადგილას დედანს ერთი ფურცელი აკლია (იქ-

ვე, 19, შენ.). მაგრამ მაინც შენახულა შემდეგი ამის დამამტკიცებელი ცნობა: ლანგთემურ „მოიწია სომხითად და მოაოხრა სომხითი და ტყუე ყო და ჭირი დიდი მოიწია მათ ზედა, რამეთუ ვრცლად ცხოვრება მათი ცხოვრებასა მათსა წერილ არს“-ო (იქვე, 19). მაშასადამე სომხითის შესახები მოკლე ცნობები „სომეხთა ცხოვრებითგან“ ამოუღიათ, სადაც ყველა ამბები დაწვრილებით ყოფილა მოთხრობილი. რა თხზულება იყო ის „სომეხთა ცხოვრება“, რომელიც „სწავლულ კაცებს“ ხელთა ჰქონიათ, ჯერ გამორკვეული არ არის.

ფ. გორგიჯანიძეს, როგორც ვიცით, ამ ხანას ისტორიისათვის სპარსულ წყაროს გარდა სხვა წყარო არა ჰქონია, ვახტანგის „სწავლულებს“-კი „სომეხთა ცხოვრება“-ც აუღიათ წყაროდ და ამით მოთხრობას ცალმხრივი და ერთფეროვანი სპარსული ელფერი ცოტად მაინც მოაკლდებოდა.

„სწავლულ კაცებს“ თავიანთ შრომის მესამე ნაწილშიც რაღაც სპარსულ საისტორიო თხზულებით („სპარსთა ცხოვრება“) უსარგებლნიათ. ეს ნაწილი ალექსანდრეს მეფობით იწყება და ვიდრე როსტომმეფის აღწევს (ნაშრომი, 18). მაგრამ რა თხზულება იყო ეს თხზულება, იგივე ისკანდერ მუნშის ისტორია, თუ რაიმე სხვა წყარო, ამის გამორკვევა ეხლა არ შეიძლება იმიტომ, რომ ხელთნაწერს სწორედ ამ ნაწილში ბევრი აკლია. მხოლოდ ცხადია, რომ ამ სპარსელ ისტორიკოსის თხზულებას გარდა (თუ მუნშის თხზულებით მართლა უსარგებლიათ) მათ სხვა სპარსული წყაროც უნდა ჰქონოდათ. ეს იქითგანა სჩანს, რომ „სწავლული კაცები“ ამბობენ: „ცხორება მეფისა ალექსანდრესი და მის ძის ჟამისა ძველთა გუჯართა და სპარსთა ცხოვრებიდამე გადმოგვიწერია“-ო (ნაშრომი 36). ამ ხანასათვის მუნშის თხზულება რასაკვირველია ვერ გამოდგება და ამიტომ უეჭველია სხვა სპარსული შესაფერისი წყაროც უნდა ჰქონოდათ.

„სწავლულ კაცებს“ ბერძენთა და ოსმალთა ბრძოლის შესახებაც ჰქონიათ განსაკუთრებული წყარო, აი მაგ. რა არის იქ ნათქვამი: „ქრისტეს აქეთ ჩუმე... განრისხნა ღმერთი ქრისტიანეთა ზედა და დაიპყრეს კოსტანტი[ნო]პოლი ოსმალთა... და ცხოვრება მათი ვრცლად წერილ არს ცხოვრებასა მათსა“ (ნაშრომი, 35). ამ ბუნდოვან წინადადებითგან მხოლოდ იმ დასკვნის გამოყვანა შეიძლება, რომ როცა ქ'ცის „სწავლულ“ შემავსებელთ ამ ამბავისათვის წყაროდ თითქოს ოსმალური საისტორიო თხზულება უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ქ'ცის პირველს გაგრძელებაში, სადაც იმავე ქალაქის ოსმალთა მიერ აღება მოთხრობილი, წყარო ოსმალური-კი არა, ბერძნულია დასახელებული: „რომლისა ამბავი ვრცლად წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთასა“-ო (დამატ. გვ. 896). პირველ ბუნდოვან წინადადებაშიაც „ცხოვრებასა მათსა“-ში ბერძენთა „ცხოვრება“ არის ნაგულისხმევი, თუ ოსმალთა, რაც უფრო უდგება წინადადების გრამატიკულს აგებულობას, ძნელი სათქმელია.

ის, „რაც იქმნა ჟამსა მას (უზუნ ასანისა), ანუ რა ქმნა მეფე ბაგრატ, რაცა იქმნა, უეჭველიკე ძველის ქართლის ცხოვრებიდამე ქვემორე დაგვიწერია“-ო (ნაშრომი 36), ამბობენ სწავლული კაცები და მართლაც ქვემოთ მოყვანილია განსაკუთრებული სათაურით და ცალკე თავად „ცხოვრება ბაგრატ მეფობისა“ (იქვე). იქაც, სადაც კონსტანტინე მეფეზეა ლაპარაკი, ნათქვამია: „ესე მეფე კონსტანტინე იყო ძე ბაგრატისი და იმეფა ამანაცა კეთილად, ვითარცა ცხოვრება მისი მოგვითხრობს“-ო (იქვე 41). ერთის სიტყვით, ისინი ამტკიცებენ, რომ მათ ქ~ცის ძველს ხელთნაწერში მოთავსებული საისტორიო თხზულება „ცხოვრება ბაგრატ მეფისა და კოსტანტინესი“ ხელთა ჰქონდათ, — არა სჩანს მხოლოდ ერთ ნაწარმოებად, თუ ორად. რაკი ქ~ცას ისეთი ხელნაწერი, სადაც ეს თხზულებანი ცალკე იყოს შეტანილი, ჯერ აღმოჩენილი არ არის, ამიტომ არც იმის თქმა შეიძლება, თუ როგორ ისარგებლეს, ან რა ცვლილება შეიტანეს მოთხრობაში. რაც შეეხება მათ ისტორიულს ღირსებას, ამაზე ზემოთ უკვე იყო ნათქვამი.

თავიანთ ნაწარმოების მესამე ნაწილის ერთ-ერთ წყაროდ „სწავლულნი“ მკვლევარნი „ქორონიკონთა“-ც ასახელებენ (ნაშრომი 18). ამ სიტყვის მრავლობითად ხმარება გვიჩვენებს, რომ ამნაირი მასალა ერთი და ორი არა ჰქონიათ ხელთა. როგორც სხვა შემთხვევებში, ისე აქაც თვით წყაროების ნიშანდობლივი სახელი აღნიშნული არ არის და სახელდობრ რა „ქორონიკონები“ იყო, ამას ჯერ კიდევ ბეჯითი გამოძიება სჭირია. ამ საკითხის შესწავლას ის აძნელებს, რომ ხელნაწერს შუაგულში, რამდენსამე ადგილს და ბოლოშიაც ფურცლები აკლია. მაგრამ იმისდა მიხედვითაც, რაც შენახულია, ჩვენ შეგვიძლიან ზოგიერთ „ქორონიკონთა“ სახელები გამოვარკვიოთ. ერთ ადგილას მაგ. ნათქვამია: „მოკუდა კოსტანტინე ქრისტეს აქათ ჩღდ და დაჯდა ძე მისი დავით მეფედ და ამ ჟამში წარმოგზავნა ხონთქარმა სპასპეტი თავისი ლაშქრითა თუისითა უამრავითა საქართველოს ზედა ქრისტეს აქათ ჩღიდ და აათხრეს სამცხე, ჩამოვიდეს იმერეთს და დაწვეს ქუთაისი და მივიდეს გელათსა და დაწვეს გელათი და აღიღეს ალაფი მრავალი“ (ნაშრომი 46). ამგვარივე ცნობა ქ~ცის გადაკეთებულს გაგრძელებაშიც მოიპოვება (დამატ. გვ. 904—905) და ეგრედ წოდებულს პარიზის ქრონიკაში (გვ. 6—7). მაშასადამე ვახტანგის „სწავლულ კაცებსა“-ც ხელთა ჰქონიათ ის ქორონიკონი, რომლითაც სარგებლობდენ ქ~ცის გადაკეთებული გაგრძელებისა და პარიზის ქრონიკის შემდგენელნი. ხოლო ზემოთ (იხ. გელათური ქორონიკონი) გამორკვეულია, რომ ზემომოყვანილი ცნობა ამოღებულია გელათურ ქორონიკონიდგან, რომელიც ვახუშტის სიტყვით შეტანილი ყოფილა „იმერეთის ძველს გარიგებისა და სამართლის წიგნსა შინა გელათურსა“. აი ალბად ეს „გელათური ქორონიკონი“ არის ერთი იმ ქორონიკონთაგანი, რომელთა მიხედვითაც „სწავლულ კაცებს“ თავიანთი შრომა შეუდგენიათ

ყურადღების ღირსია, რომ აქაც, როგორც ყველგან სხვაგანაც, მათ თარიღი ქრონიკონით-კი არა აქვსთ მოყვანილი, როგორც იქნებოდა რასაკვირველია თვით დედანში და ქ'ცის გადაკეთებულს გაგრძელებასა და პარიზის მატიანეში არის, არამედ „ქრისტეს აქათი“ წელთ ღრიცხვით და იქნებ გამოანგარიშების დროს მომხდარ შეცდომით აიხსნებოდეს ის თარიღების სხვაობა, რომელიც ეტყობა ვახტანგის სწავლულ კაცთა ნამუშევარს.

მურჯახეთის ომის შესახებაც (ნაშრომი 51) ვახტანგის „სწავლულ კაცებს“ იმავე წყაროზე უნდა ჰქონოდათ დამყარებული მოთხრობა, რა წყაროებითაც სარგებლობდენ ქ'ცის გადაკეთებულ გაგრძელებისა (დამატ. გვ. 99) და პარიზის მატიანის შემდგენელნი (გვ. 9).

კახეთის ისტორიისათვის (ნაშრომი 47—50) „სწავლულ კაცებს“ გამოუყენებიათ ერთი კახეთში, იქნებ ალავერდს, აღწერილი წყარო, რომელიც ხელთა ჰქონია აგრეთვე ქ'ცის გადაკეთებულ გაგრძელების შემდგენელსა (დამატ. გვ. 905—912).

დასასრულ „სწავლულ კაცთა“ წერილობით წყაროებად მათივე სიტყვით სხვა და-სხვა საბუთებიცა ჰქონიათ, „გუჯართა... გან გამოვიღეთ და აღვწერეთ“-ო, „გუჯართაგან აღგვიწერია“-ო (ნაშრომი 18). ამგვარ მასალით მათ თავიანთ ნაწარმოების მეორესა და მესამე ნაწილში უსარგებლნიათ (იქვე). ყველა ადგილის აღნიშვნა, სადაც-კი მოთხრობა გუჯრებზეა დამყარებული, არ შეიძლება იმიტომ, რომ გუჯრებითგან როგორც ეტყობა მხოლოდ მოკლე ცნობებია ამოღებული და სიტყვა-სიტყვით არ არის ამოწერილი, მაგრამ რომ მათ ქ'ცის გაგრძელების შედგენის დროს მართლაც გუჯრებით უსარგებლნიათ, ეს ალექსანდრე მეფეთ მეფის მოღვაწეობის დახასიათებითაც მტკიცდება: უეჭველია მაგ. რომ ის მოკლე ცნობაც, თუ რა საშუალებითა და ღონისძიებით მოახერხა მეფე ალექსანდრემ მონღოლთა ბატონობის დროს განადგურებულის საქართველოს განახლება და მირეგვ-მორეგვილი ციხე-ეკლესიების აღდგენა (ნაშრომი, 35), ალექსანდრე მეფეთ მეფის გუჯრებითგან არის ამოღებული (შეად. ქ'კში II, 247—9 და აქვე, ქ'ცის გადაკეთებული გაგრძელება). თვით გუჯრებთან შედარება ამტკიცებს მხოლოდ, რომ „სწავლულ კაცებს“ საბუთების შინაარსი სასურველის ზედმიწევნით და სავსებით ვერ გადმოუციათ.

„სწავლულ კაცთა“ მიერ შედგენილ ქ'ცის გაგრძელების მეოთხე და უკანასკნელი ნაწილი, „მეფის როსტომის აქათი“ ხანის შემცველი, დამყარებულია, როგორც ვიცით, თანამედროვეთა ზეპირ გადმოცემაზე: „თუით თვალით მნახველთა და მისთა ომებთა (sic) შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია“-ო (ნაშრომი, 18). მაშასადამე მეცნიერ ისტორიკოსებს დავიწყებული არა ჰქონიათ, რომ საისტორიო სიმართლის დასაცავად საჭირო იყო ზეპირი მოამბე მარტოდენ თანამედროვე-კი არა ყოფილიყო, არამედ „თვთ

მხილველი"-ც და რასაკვირველია „თანადამხვდარი"-ც. ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნილებას, რომელიც თავის დროზე მკაფიოდ უკვე გიორგი მთაწმიდელმა გამოსთქვა, მათ აუსრულებიათ. მაგრამ სამაგიეროდ მათ კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მოთხოვნილება დაივიწყებიათ, ის რომელიც აგრეთვე გიორგი მთაწმიდელის დაწესებულია და თანამედროვეთა და თვით მხილველთა სულიერ ღირსებას ეხება. ალბად ამ გარემოებისათვის მათ ყურადღება არ მიუქცევიათ და იქნებ ამიტომ არა აქვთ აღნიშნული, იყვნენ თუ არა მათი მოამბენი „კაცნი სარწმუნონი", „რომელნი იგი უცხო იყვნეს ყოვლითურთ ტყუვილისაგან"? სამწუხაროდ „სწავლულ კაცთა" ნამუშავარის სწორედ ეს უკანასკნელი, თანამედროვეთა ზეპირ ცნობებზე დამყარებული, ნაწილი უფრო მეტად არის დაზიანებული და ბევრი აკლია და ამის გამო ამ ნაწილში მოთავსებულთ ცნობების ღირსება-ნაკლულევანების ეხლა ჯერ არ შეიძლება გამორკვევა.

საზოგადოდ-კი მთელ შრომას რომ თვალი გადავავლოთ, „სწავლულ" ავტორების სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ მათ, როგორც ეტყობა, უმთავრესი საისტორიო თხზულებები, საქართველოს წარსულის დამსურათებელნი, როგორც ადგილობრივი, ისე სპარსული, სომხური და ბერძნულიც, შეუკრებიათ, ამასთანავე უსარგებლნიათ ქრონიკონებითაც. ორსავე შემთხვევაში მომავალ მკვლევართ უვალი გზა გაუკაფეს და თითქმის მთელი მასალა შეუგროვეს. ამ მხრივ მერმინდელმა მეცნიერებმა თვალსაჩინო და ახალი წყარო კვლევის საგნისათვის ბევრი არაფერი შეჰმატეს.

„სწავლულ კაცებს" გუჯრებით შედარებით ნაკლებად უსარგებლიათ, მაგრამ ამ მხრივაც მერმინდელ ისტორიკოსებს მათ პირველი მაგალითი უჩვენეს, თუმცა ქართულ საისტორიო მწერლობაში საბუთებიდგან ამოღებულ ცნობებით სარგებლობა ახალი ხილი არ იყო და უკვე გიორგი მთაწმიდელი უხვად სარგებლობდა ამგვარ მასალებით, მონღოლთა დროინდელ ჟამთააღმწერელსაც თხზულების წერის დროს სიგელ-გუჯრებიც ხელთა ჰქონია, მაგრამ არც ერთი ზემოაღნიშნულ ისტორიკოსთაგანი იმნაირ მდგომარეობაში არა ყოფილა, რა მდგომარეობაშიც იყვნენ ვახტანგ მეფის მიერ შეკრებილი „სწავლულნი". იმათ საბუთები სჭირდებოდათ თითო-ოროლა საკითხის, ხშირად შედარებით მეორე-ხარისხოვან საკითხის გამოსარკვევად, უმთავრეს ამბებისათვის-კი ცნობები ბლომად მოეპოვებოდათ, ამათ-კი ხშირად, როგორც მაგალითად ალექსანდრე მეფეთ მეფის შესახებ, გუჯრებს გარდა სხვა არავითარი მასალები და ცნობები არა ჰქონდათ. გუჯრები იყო მათი ერთად-ერთი წყარო და ამ გუჯრების საშუალებით უნდა აღედგინათ ზოგიერთ მეფეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია. ეს-კი რასაკვირველია ეხლაც მეტად ძნელი და რთული საქმეა, თანამედროვე დახელოვნებულ მეცნიერ ისტორიკოსისათვისაც-კი, მაშინ ხომ რა თქმა უნდა უფრო ძნელი უნდა

ყოფილიყო. ამასთანავე მაშინ ეს სრულებით უცნობი და ახალი საშუალება და მეთოდი იყო და „სწავლულ კაცთა“ ღვაწლად ამ მეთოდის შემოღება უნდა ჩაითვალოს.

ხოლო „სწავლულ კაცთა“ დიდს ნაკლს ის შეადგენს, რომ არსად, ერთს შემთხვევის გარდა, მათ თავიანთ წყაროების სახელები აღნიშნული არა აქვთ და მარტო შესავალში საზოგადო, ბუნდოვანს ცნობებს აძლევენ მკითხველს ამის შესახებ. მხოლოდ განსაკუთრებულ გამოკვლევის შემდგომ შეუძლიან მეცნიერს მიაგნოს მათს უმთავრესს წყაროებს.

ისტორიის მეცნიერული უეჭველობისათვის რასაკვირველია მარტო წყაროებს-კი არ აქვს მნიშვნელობა, არამედ იმ მეთოდსაც, რომლის საშუალებითაც მკვლევარი ამ წყაროებითგან თავისთვის გამოსადეგარ ცნობებსა ჰკრებს: საჭიროა უაღრესი სიფრთხილე და წყაროებისა და თვითეულ ცნობის მკაცრი, კრიტიკული განხილვა რომ ისტორიულს ნაწარმოებს საეჭვო ღირსების მასალა არ შეეპაროს. ამგვარი სიფრთხილე და კრიტიკული განსჯა განსაკუთრებით იქ არის აუცილებელი, სადაც მკვლევარს, როგორც მაგ. ქ~ცის გაგრძელების შემდგენელ „სწავლულებს“, ბევრი სხვა-და-სხვა დარგისა, ღირსებისა და დროის საისტორიო წყაროები აქვს ხელთა.

როგორც წინასიტყვაობითგან სჩანს, ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნილება არც მათთა ჰქონიათ მივიწყებული, არც მათ უსარგებლნიათ გაურჩევლად ყველა იმ მასალებით, რომელიც მათ მოეპოვებოდათ, არამედ „რაოდენი საეჭველი იყო, უხმარვყავით, ხოლო მართალი აღგვიწერია“-ო (ნაშრომი, 18). მაშასადამე სანამ იმ მოთხრობის წერას შესდგომიან, რომელიც ეხლა მ. ჯანაშვილის ქ~ცის ხელთნაწერშია შენახული, მათ თავდაპირველად ცნობების უეჭველ-საეჭველობის გამორკვევისათვის მიუქცევიათ ყურადღება და უმუშავნიათ. მაშასადამე ისინი სხვა-და-სხვა წყაროებითგან ამონაწერების ერთმანეთზე გადაბმითა და დაკავშირებით-კი არ დაკმაყოფილებულან და უბრალო კომპილიატორები-კი არ ყოფილან, არამედ „სწავლული“ მკვლევარნი, რომელნიც შეძლებისდა გვარად პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

სამწუხაროდ ქ~ცის გაგრძელების შემდგენელთა ეს მეთოდოლოგიური, კრიტიკული მუშაობა უჩინარი დარჩა და ჩვენთვის ეხლა თითქმის ცარიელი სიტყვის ფასი აქვს იმიტომ, რომ არსად ჩათქვამი არა აქვთ, თუ რა საზომით ხელმძღვანელობდენ და რა საშუალებით ახერხებდენ, რომ ამა თუ იმ ცნობას „საეჭველად“ აღიარებდენ ხოლმე და „უხმარ ჰყოფდენ. ხოლო, ვინ არ იცის, რომ გამოუცდელმა მკვლევარმა შეიძლება კარგი წყაროებიც ვერ გამოიყენოს და უხამს საშუალებით საქმე უფრო გააფუჭოს: „უხმარად“ და „საეჭველად“ სცნოს ის, რაც ნამდვილს სიმართლეს შეიცავს, მართლაც „უხმარი“ და „საეჭველი“-კი მაღალ-ხარისხოვან ჭეშმარიტებად აღიაროს და ამგვარის ღირსების ამბებით აავსოს თავისი შრომა.

ჩვენ სახელოვან მეცნიერ ისტორიკოსის ვახუშტის მერმინდელმა მკაცრმა კრიტიკამ დაამტკიცა, რომ „სწავლულ კაცებს“ მრავალჯერ დაჰმართვიათ ასეთი საქმე და „საეჭველი“ და „უხმარი“ შეჰპარვიათ. მაინცდამაინც უსამართლობა იქმნებოდა დაგვევიწყა, რომ მათ მხოლოდ კრიტიკულ განხილვისა და დაფასების შემდგომ ჰსურდათ ესარგებლათ შეგროვილ წყაროების ცნობებით, რომ მათაც იგრძნეს, თუ რაოდენ საჭირო წყაროების კრიტიკული განხილვა, მათი საეჭველ-უეჭველობის გამორკვევა და თითონაც შეძლებისდა გვარად განახორციელეს კიდეც. რასაკვირველია ეხლა „სწავლულ კაცთა“ მიერ შედგენილ ქ˜ცის გაგრძელებას მხოლოდ იმ მხრივა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ქ˜ცის გაგრძელების შედგენის ისტორიას გვისურათებს, მის წყაროების გამორკვევას და იმ დროინდელ საისტორიო მეთოდების შესწავლას გვიადვილებს. რაკი ეს ქ˜ცის გაგრძელება უკანასკნელს ნაწილს გარდა არა-თანამედროვეთაგან შედგენილი თხზულებაა, ამიტომ ჩვენი მიზანი იმაში მდგომარეობს რომ თვით ის წყაროები ვიპოვოთ, რომელნიც „სწავლულ კაცებს“ ხელთა ჰქონიათ და პირდაპირ მათ კვლევა-ძიებას შევუდგეთ. გაგრძელების მეოთხე, თვით-მხილველ და თანადამხვდარ თანამედროვეთა ამბებისდა მიხედვით შედგენილს ნაწილს-კი, სრულად რომ ყოფილიყო შენახული, რასაკვირველია ჩვენთვის ეხლაც ექმნებოდა მნიშვნელობა.

ბატონიშვილი ვახუშტი.

ბატონიშვილი ვახუშტი ერთ უდიდებულეს ქართველ მეცნიერ ისტორიკოსთაგანი იყო, სწორუპოვარი მკვლევარი და აღმწერი საქართველოს მიწა-წყლისა. სახელოვან ვახტანგ VI შვილი, ერთს დროს, მაგ. 1721 წ. მეწინავე დროშის, საბარათიანოს, თრიალეთის, ტაშირის, სომხითისა და ყაიყულის სარდარი, ხოლო 1722 წ., როდესაც მისი მამა საბრძოლველად მომზადებული ჯარითურთ ყაზახში იდგა და პეტრე დიდს უცდიდა, სამეფოს მმართველი და გამგებელი, მაინც განთქმულია და დაუჭკნობელ ღვაწლთა მომხვეჭელია სახელმწიფოთ ასპარეზზე-კი არა, არამედ მეცნიერების მაღალ სფეროში, განსაკუთრებით ვითარცა ისტორიკოსი და სამშობლო ქვეყნის აღმწერი.

თავის შესანიშნავ თხზულების დაწერის თარიღი თვით ვახუშტს აქვს აღნიშნული „მკითხველთათვს სიტყვა“-ში. სწორედ ამ „სიტყვის“ ბოლოში ნათქვამია: „სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს-აქეთსა ქორონიკონსა წლისასა 1745, ქართულსა 433, ოქტომბერსა 20, მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეუფოსა ქალაქსა მოსკოვს, პრესნას“ (ვახუშტი

საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამ.[1]) გვ. VII). ამგვარად ვახუშტს თავისი ისტორია 1745 წელს დაუმთავრებია. ამისდა მიხედვით ადვილი გამოსარკვევია ისიც, თუ როდის უნდა დაეწყო მას თავისი შრომა: მას „ზედა ვიშრომეთ კნინღა წელნი სამნი“-ო, მოგვითხრობს იგი (იქვე. VI). მაშასადამე ვახუშტს მუშაობა 1742 წ. დაუწყვია და 1745 წ. დაუსრულებია. მაგრამ მისი შრომა იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას მარტო ამ სამის წლის განმავლობაში მოესწრო მისი შემუშავება და დაწერა. ამიტომ, უეჭველია, მას თავისი თხზულებისათვის მასალები და საბუთები დიდის ხნიდგან მოუგროვებული უნდა ჰქონოდა, იქნებ როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო. თვით წყაროების დირსება-ნაკლულევანება წინდაწინვე გათვალისწინებული ექმნებოდა და ის სამი წელიწადი, რომელიც ჩვენს ისტორიკოსსა აქვს დასახელებული მის სამეცნიერო კვლევა-ძიების მხოლოდ უკანასკნელ ხანას ეკუთვნის როდესაც იგი უკვე თავის ნამუშაკევის აღწერას შეუდგა.

ვახუშტი ამბობს, რომ „მატიანე“ საზოგადოდ „განიყოფების ორად: საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმიდათა ცხოვრება და ქმნულებანი მათნი, ხოლო სამოქალაქო—[ცხოვრება და] ქმნულება არს სოფელსათა (sic) შინა დიდთა და მცირეთანი“ (ს-ქს ისტორია ბაქ. გვ. I).

თავის მხრივ ისტორია, ანუ, როგორც ვახუშტი ამბობს, „მატიანე განიყოფების ოთხ ნაწილად: ადგილის აღწერად, ნათესავთა მეტყველებად, წლის მრიცხველებად და მოქმედების აღწერად“-ო (იქვე, I).

რამდენადაც შენახულ საისტორიო თხზულებებითგან ჩანს, ქართულს საისტორიო მწერლობაში ვახუშტამდე არავის არ ჩამოუგდია „მატიანეთა“ შემადგენელ ნაწილებზე საუბარი და ამგვარი დანაწილებაც პირველი მაგალითია. თვით მატიანე რომ შეიძლებოდა შინაარსისდა მიხედვით, ან საეკლესიო ყოფილიყო, ან სამოქალაქო, ეს რასაკვირველია ჩვენს ძველს მწერლობაში წინადაც კარგად იცოდნენ. ამასთანავე ეფრემ მცირეს ჩამოთვლილი აქვს საისტორიო ნაწარმოების სხვა-და-სხვა დარგიც. მაგრამ რომ თვით საისტორიო თხზულებათა შემადგენელ ნაწილებზე ჰქონდეს საუბარი, ამის მაგალითს მხოლოდ ვახუშტი გვაძლევს.

მაშასადამე სრული და უნაკლულო საისტორიო თხზულება ვახუშტის აზრით შეიცავს ან უნდა შეიცავდეს: „ადგილის აღწერას, ანუ გეოგრაფიულს მიმოხილვას, „ნათესავთ-მეტყველება“-ს, ანუ ჩამომავლობისა და ნათესაობის შესახებ ცნობებს, ეგრედ წოდებულს გენეალოგიას, „წლის მრიცხველება“-ს, ანუ ქრონოლოგიურს ცნობებს, დასასრულ თვით „მოქმედების აღწერა“-საც, ანუ საკუთრივ ამბავის მოთხრობას.

[1]) ქვემოთ დ. ბაქრაძის გამოცემული საქ. ისტორია ასე აღნიშნული იქმნება: ბაქ.

ვახუშტი სამართლიანად ამტკიცებს, რომ „ჩვენ ქართველთა მატიანე შეიპყრობს სამსა ამას ნაწილსა მატიანისასა, არამედ წლისმრიცხველობასა და ნათესავთ-მეტყველებასა მცირედ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს“-ო, ამასთანავე „ეკლესიის მატიანეს შეამოკლებს და სამოქალაქოს მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად ადგილით-ადგილად და ოდესმე შემოკლებით“-ო (იქვე I). მაშასადამე ქართულ საისტორიო მწერლობაში, ვახუშტის ცნობით, სრულებით არა ყოფილა „ადგილის-აღწერა“, გეოგრაფიული თხზულებები, ხოლო ქრონოლოგიურის და გენეალოგიურის ცნობებითაც მეტად ნაკლულევანი ყოფილა. სრული ჭეშმარიტებაა: მართლაც ქართული საისტორიო თხზულებები რომ თარიღებითა და ნათესაობა-ჩამომავლობის შესახებ ცნობებით უხვად ყოფილიყოს შემკული, იშვიათი შემთხვევა არის. ამ მხრივ მხოლოდ სუმბატ დავითის ძის ნაწარმოები, მესხურ დავითნის მატიანე და კიდევ ორიოდე მაგვარივე მატიანე შეიცავს საკმაო ცნობებს „წლის-მრიცხველობასა და ნათესავთ-მეტყველებასა“ შესახებ. სხვა თხზულებებში მხოლოდ თითო-ოროლა თარიღია ხოლმე დასახელებული.

ვახუშტი კარგად გრძნობდა, რომ ისტორიისათვის მარტო თვით ამბების ჭეშმარიტების გამორკვევა და დამტკიცება-კი არა კმაროდა, არამედ აუცილებლად საჭირო იყო თვითოეული ისტორიული მოვლენა ქრონოლოგიურადაც განსაზღვრული ყოფილიყო. სახელოვანი მეცნიერი ბატონიშვილი აკი იმიტომაც გარჯილა, რომ ქართულ საისტორიო მწერლობის ეს ძირითადი ნაკლულევანებანი შეევსო, „შრომა ჩვენი ამისთვის არს, ვინადგან ორნი ნაწილნი იგი გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ“-ო (იქვე, I).

ქართულ საისტორიო მწერლობის ძირითად ნაკლის,—საისტორიო გეოგრაფიის უქონლობის,— შესავსებად ვახუშტმა შეადგინა თავისი დიდი შრომა, რომელიც საქართველოს სრულს საგეოგრაფიო აღწერილობას შეიცავს. ვახუშტი გრძნობდა, რომ „ჯერ იყო სამჴირნოდ რათა აქვნდეს გეოგრაფიის აღწერასაცა დადება,—რომელ არს ქვეყნის მხაზველობა“-ო (იქვე, II). ხოლო რაკი ამასთანავე წინად საქართველოს რუკებს „ხაზვიდნენ მცირედ და არა ჯეროვნად“, მან სრულებით შეასწორა და ისევ ხელახლად დახატა „ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი“ (იქვე II).

ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა ვრცლად და შინაარსიანად არის შედგენილი. თავის შრომაში მას მარტო გეოგრაფიული ცნობები-კი არა აქვს მოყვანილი, არამედ ყველა ისტორიულ ნაშთებსაც იხსენიებს: ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, მონასტრებს, სასახლეებს, ხიდებს, რუებს და არხებს, ან ვისი აგებულია, ან როდის, ვინ გადააკეთა ან დაანგრია, საითგან იწყობა და სად მიდის რუ-არხები, ან ვისი გამოღებულია და როდის. ამას გარდა საქართველოს თვითოეული კუთხის მოსახლეობის და მეურნეობა-მრეწველობის ხასიათია დახურათებული, ტანისამოსისა და ზნე-ჩვეულებათა

სხვაობაც არის ხოლმე ყოველთვის აღნიშნული. ვრცელ კუთხებრივ აღწერას გარდა ვახუშტს შესავალში მოკლე საზოგადო ცნობები აქვს მოთავსებული საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში განოქმულ ხილეულობაზე, ყვავილებზე, მწვანილეულებასა და ბოსტნეულობაზე, შინაურ და გარეულ პირუტყვებსა და ფრინველებზე, თევზებზე, მწერებზე, მთა-გორებსა, მდინარეებზე და დასასრულ თვით მცხოვრებთა დამახასიათებელ თვისებების შესახებ.

ვრცელი კუთხებრივი საგეოგრაფიო აღწერილობა თემობათა, მდინარეებისა და კეობათა მიხედვით არის დალაგებული. მაგრამ თვით აღწერილობა ერთნაირად ვრცელი და შინაარსიანი არ არის: იმ დროს როდესაც ქართლი იმდენად ვრცლად არის განხილული, რომ თითქმის არც ერთი მცირეოდენად შესანიშნავი სოფელი და ნასოფლარიც-კი უყურადღებოდ დატოვებული არ არის, კახეთიც, თუმცა ქართლზე ნაკლებად, მაინც საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი,—დასავლეთ საქართველოსა და მთელ მესხეთის შესახებ ვახუშტს გაცილებით ნაკლები ცნობები მოეპოვება და თვით აღწერილობაც შედარებით მოკლეა და ისე ზედმიწევნით არ არის შედგენილი. ამასთანავე ამ ნაწილში სახელოვანს ქართველს მეცნიერს აქა-იქ შეცდომებიც მოეპოვება, მეტადრე მესხეთის აღწერილობაში (ამის დამამტკიცებელი ცნობები იხ. მაგ. ე. თაყაიშვილის თხზულებაში **„Матеріалы по Археологіи Кавказа, собр. экспед. Имп. Моск. Арх. Общ. Т. XII, 10, 57, 58—59 და 59)**. თუ ვახუშტის გეოგრაფიულს თხზულებას გულდასმით გადავიკითხავთ და ჩავაკვირდებით, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ ქართლი და კახეთი მას თავის თვალით ნანახი ჰქონია და ისედაც ალბად ბევრი წყაროები მოეპოვებოდა, როგორც მაგ. ხალხის აღწერის დავთრები, დასავლეთი საქართველო-კი პირადად ისე შესწავლილი არ ექმნებოდა და განსაკუთრებით მესხეთი ხომ ალბად თვალითაც არ ენახებოდა, არც სხვა მასალები, მაგ. ხალხის აღწერის დავთრები, ექმნებოდა მას დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის შესახებ. ხოლო თვით აღწერილობითგანა სჩანს, რომ საქართველოს ამ ნაწილების გეოგრაფია მას განსაკუთრებით საისტორიო წყაროებისდა მიხედვით შეუდგენია: ქც̃ითგან ამოუკრებია ყველა ცნობები, რომელიც-კი საქართველოს გეოგრაფიისათვის გამოდგებოდა. აღმოსავლეთ საქართველოსათვის-კი საისტორიო თხზულებებითგან ამოკრებილ ცნობებს გარდა სხვა წყაროებიც მოეპოვებოდა და პირად დათვალიერებითა და ნახვითაც საჭირო ცნობები შეკრებილი ჰქონია.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ვახუშტმა თავისი გეოგრაფია საქართველოს საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა და ამ გზით თავის შრომას მკვიდრი სამეცნიერო საფუძველი მისცა. ჩვენ ეხლა მხოლოდ იმ მხრივ ვიმყოფებით უკეთესს მდგომარეობაში, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხისათვის, მაგ. მესხეთისათვის, მეტი და

უკეთესი ცნობებიც მოგვეპოვება, ამასთანავე მთელ კავკასიისათვის დაწვრილებით შედგენილი ხუთ ვერსტიანი რუკაც არსებობს.

ვახუშტის შრომა საისტორიო წყაროების ეგოდენ საფუძვლიან შესწავლისა და იმდროინდელ საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის ღრმა დაკვირვების ნაყოფია, რომ შემდეგშიაც იგი მუდამ უკვდავების შარავანდედით იქმნება მოსილი და არას დროს მნიშვნელობა არ დაეკარგება.

ვახუშტის საისტორიო შრომა ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ნაწილი ქ'ცის დამუშავება და შევსებაა, მეორე ნაწილი-კი საქართველოს ისტორიის იმავე ხანას ეხება, რომლის ისტორია მეფე ვახტანგ VI მიერ შეკრებილ სწავლულ კაცებმა შეადგინეს.

ისტორიის პირველს ნაწილში რაკი ვახუშტის აზრით ქ'ცაში „მოქმედების აღწერა" ვითომც მეტად ვრცელი იყო (საქ. ისტ. ბაქ. I), მან „განვრცელებული" შეამოკლა, რომ მოთხრობა „მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელ იყოს"-ო (იქვე I—II).

ვახუშტის უმთავრესი საზრუნავი მაინც თარიღების გამორკვევა იყო, „ქორონიკონნი არიან იშვით" (იქვე II) და შევსება არის საჭიროო. დაკვირვებით დარწმუნებულა, რომ ქ'ცა"-შა რაც-კი თარიღებია „ნოედამ მირიანისამდე... მოიპოვებიან, უმეტეს მოწმობენ რომაულსა" წელთ-აღრიცხვასა, „ხოლო მირიანიდამ ბაგრატოვანამდე ბერძულსა და მას ქვეითნი თამარ მეფისამდე არის ხუთასიანი, რომელსა ჩვენ ვუწოდებთ ქართულსა.. ხოლო თამარიდგან ბრწყინვალის გიორგისამდე ძვალად უჩინო"-აო (იქვე II).

მაგრამ ამ მატიანეს მრავალი თარიღი აკლდა და სწორედ მათი „წარმოჩენა" იყო ძნელი საქმე. საყურადღებოა, თუ რა გზით, ანუ რა მეთოდით ახერხებს ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ისტორიკოსი ამ „წარმოჩენა"-ს. ზოგიერთს შემთხვევაში ვახუშტს ქრონოლოგიური ცნობები სხვა წყაროებიდგან ამოუღია, მაგ. ან დაბადებითგან, „ნოედამ ნებროთის გამეფებამდე საჩინო არს დაბადებისგანა"-ო, ან არა და „კერპთა თაყვანის-ცემა და მოსეს ზღვას გამოსვლა დაბადებისაგანვე"-ო (იქვე II), ან სხვა-და-სხვა მატიანეებითგან, მაგ. „ხოლო ნებროთამან რაოდენი წელი იმეფა და მოკვდა, იხილვების სხვათა მატიანეთაგან, რომელნი მოწმობენ ჩვენთა მატიანეთა და სხვანი სპარსთა მეფეთა და ნაბუქოდონოსორისა და ალექსანდრე მაკედონელისათა ვპოვეთ"-ო (იქვე II), „ჩვენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძის ძისა მისისა ბაგრატის ქორონიკონი ძველთა ქორონიკონებთა (sic) შინა"-ო (იქვე V).

მაგრამ იშვიათი შემთხვევაა, რომ ისტორიკოსს შესძლებოდა პირდაპირ ამოეღო სხვა წყაროებითგან თარიღები. უფრო ხშირად გამოანგარიშება იყო საჭირო და ვახუშტიც სწორედ ასე მოქცეულა და ქართველ მეფეთა-დროინდელ უცხოელ ხელმწიფეთა, ან უცხოეთის ისტორიის შესა-

ნიშნავ ამბების თარიღებისდა მიხედვით, ანუ როგორც იგი ამბობს „მოწმობითა“ (იქვე II, IV) და „შემოწმებით“ (იქვე III) არკვევდა. მაგ. ვახუშტი ამბობს: „ვინადგან ალექსანდრეს მოსვლა ქართლსა შინა მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება ფარნავაზ პირველისა მეფისა, ვინაჲგან მოსვლასა ალექსანდრესსა, რაოდენის წლისა იყო და რაოდენისა გამეფდა და რაოდენ წელ იმეფა მუნვე წერილ არს“-ო (იქვე II). „ადერკის მეფობა იქმნა პირველსა წელსა ქრისტეს შობისასა და მეფობაცა მისი ცხად არს, არამედ მას ქვეითნი მეფენი მირიანისამდე კეისართა, სპარსთა და სომეხთა მეფეთავე მოწმობითა დავსხენით“-ო (იქვე II). „გვალად ბაკურ მეფიდამ გუარამ კუროპალატისამდე საჩინო არს კეისრის მავრიკისაგან და სპარსთ მეფის ურმუზისა და ძისა მისისა ხოსროსაგანა“-ო (იქვე IV). ამ საშუალებას სინქრონიზმის ანუ თანამედროვეობის მეთოდს ეძახიან და თარიღების გამოკვლევის დროს მეცნიერებაში ეხლაც ხშირად მიჰმართავენ ხოლმე. ხოლო ქართულ საისტორიო მწერლობაში ეს მეთოდი პირველად ვახუშტმა შემოიღო.

ზოგჯერ ვახუშტს ხელთა ჰქონდა ხოლმე უკვე მიღებული, მაგრამ შემცდარი თარიღი, ან არადა თვით მატიანეს თარიღები, მაგრამ არეული. ამიტომ ამგვარ თარიღების განხილვა იყო საჭირო, რომ გამორკვეულიყო, რომელი მათგანია სწორე ამისთანა შემთხვევაშიც ჩვენი სახელოვანი მეცნიერი დიდის დაკვირვებით და გონებამახვილობით არკვევდა ხოლმე კვლევის საგანს. მაგ. „ნინოს მიცვალების ქორონიკონი არა არს ურთიერთის მოწმობილი... რამეთუ უკეთუ მცა ქრისტეს-აქეთი ქორონიკონი ჯვარცმიდამ იყო 338, ჯერ-იყო დასაბამიდგანი 5844 და უკეთუ დასაბამიდგანი იყო 5838, ჯერ-იყო ქრისტეს-აქეთი ჯვარცმიდამ 330,—არამედ არცადა ჟამსა მას კოსტანტინე სცოცხლობდა, არამედ შეცდომილ არს მწერალთაგან“-ო (იქვე III). ვახუშტის აზრით თარიღების ამგვარი „არა ურთიერთის მოწმობილობა“, ანუ შეუთანხმებლობა გადამწერთა შეცდომებისაგან უნდა წარმომდგარიყო. რაკი მატიანეს ქორონიკონი შემცდარი გამოდგა, იგი ეცადა საკუთარის გამოანგარიშებით აღედგინა დამახინჯებული თარიღი: „ჩვენ ვინაჲდგან ვპოვეთ მირიანის მოქცევისა იგი დღე აღმოჩენითა მით, ამას ზედა აღვრიცხეთ მოსვლა ნინოსა მცხეთას, რომელ დაჰყო წელი 14, ამისგან სამი წელი უწინარეს მოქცევისა იყო მცხეთას ქალაქსა შინა, რომლისაგან დაშთების 11 წელიწადი. ეს მირიანის მოქცევის წელს დავადევით, რომელი იქმნების ქრისტეს [აქეთ]ი ჩვენ მიერ აღწერილი... და სხვანი მირიანის მეფობის წელნი მითვე რიცხვეულ ვყვენით და აღვწერენით“-ო (იქვე, III).

ვახუშტის აზრით შემცდარი იყო თამარის გამეფების თარიღიც, „თამარის გამეფების ქორონიკონი არა არს შეთქმული, რამეთუ წერილ არს დასაბამიდგანი იყო 6686, ქრისტეს აქეთი 1156. ხოლო უკეთუ დასაბამიდ-

განი იგი იყო, ჯერ-იყო რათა ქრისტეს-[აქეთ]ი ყოფილმცა იყო 1178 და თუმცა ქრისტეს-აქეთი 1156 იყო, დასაბამიდგანი ჯერ იყო ყოფად 6664,— ესრედ არა ჭეშმარიტებს"-ო, სამართლიანად მსჯელობს ვახუშტი. ამიტომ მას სხვა საშუალებისათვის მიუმართავს: „ჩვენ ალექსი ანგარისა და ფრანგთაგან კონსტანტინეპოლის ადების ქორონიკონი ვპოვეთ, ამის მიზეზითი და მისქვეითი მუნვე წერილის წლის რიცხვეულებით ვყვენით"-ო (იქვე V).

ქართულ წყაროების უკვე გაბატონებულ ქრონოლოგიურ ცნობების და თარიღების შესწორება გაცილებით უფრო რთული საქმე იყო, მაგრამ აუცილებლად საჭირო. ვახუშტი ამტკიცებს: „ვარზა-ბაქარ (sic) მცირე თეოდოსის ჟამსა არა ყოფილ არს, რამეთუ ვარზა-ბაქარ დიდის თეოდოსის ჟამსა იყო და ძე მისი მურვანოს მცირე თეოდოსის ჟამსა იყო"-ო, „უკეთუმცა ესრედ არა იყოს, წელნი, მირიანიდამ მეორეს ფარსმანამდე წერილნი, არა მისწვდების და არცა ვახტანგ ლეონ კეისრის ჟამსა იქმნების. ესრედ უსწორო არს, ხოლო ესე განასწორებს და რიგიან ჰყოფს რიცხვსა წელთასა მოწმობითა"-ო (იქვე IV).

საზოგადოდ ვახუშტი თარიღებს ერთმანეთსა და უცხოელ ისტორიკოსთას ადარებს და ამისდა მიხედვით მათ „შეთანასწორება"-ზე (იქვე IV) ზრუნავდა, რომ ქართული ქრონოლოგია „სწორ-რიცხული" (იქვე VI) და „რიგიანი" ყოფილიყო. ამიტომაც არის, რომ იგი ამტკიცებს: ქ˜ცის ცნობა, „რამეთუ ვახტანგისამდე მირიანიდამ გარდახდნენო წელნი 157, ესე არა მდე არს სიკვდილამდე ვახტანგისა და ამაზედ შევასწორეთ"-ო (იქვე IV). ამიტომ, რომ თუ ეს თარიღი „გარდაცვალებამდე არა იყოს, ყოველნი სხვანი უსწორო იქმნებიან და არცა იგი 200 წელი მეორის ფარსმანისამდე სწორე იქმნების, ვინადგან ვახტანგის შემდგომთა მეფეთა მეფობის წელნი წერილ არიან, არამედ ჩვენის რიცხვით. რათა ჭეშმარიტი იყოს 200 წელი მირიანიდამ ვახტანგის გარდაცვალებამდე, წელნი იგინივე არიან — 157; ესრედ ჭეშმარიტ სხვათა მემატიანეთა მოწმობითა და მუნ წერილთა რიცხვითა და მეფენიცა ამას ზედა გავასწორენით კეისართა და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე"-ო (იქვე IV).

დასასრულ, ვახუშტი ცდილა გამოერკვია ისეთი თარიღების წელიწადები, როდესაც ქართულ საისტორიო თხზულებებში აღნიშნული იყო მხოლოდ თვე, რიცხვი დღისა და თვით დღის სახელი, წელიწადიკი დასახელებული არ იყო. აი, მაგ. როგორის ხერხითა აქვს მას მირიანის მოქცევის წელიწადი გამორკვეული: „ვინაჲდგან წერილ არს მისთვის დღე მოქცევისა 20 ივლისის დღე შაბათი, ესე ვპოვეთ, რომელი არს ერთი— ქრისტესით 306, ქართული 58, მეორე—ქრისტესით 317, ქართული 69 და მესამე—324, ქართული 76" (იქვე II). ამგვარად 20 ივლისი შაბათს დღეს სამს წელიწადსა ყოფილა მხოლოდ. მაგრამ რომელ-ერთს მათგანში უნდა მომხდარიყო მირიანის მოქცევა და ვახუშტიც ამ საკითხის გამორკვევას შეუდგა

„პირველი იგი (306 წ. ქ. შ.) არა არს იგი დღე მოქცევისა“-ო, სამართლიანად მსჯელობს ისტორიკოსი, „რამეთუ კონსტანტინე დიდი ჯერეთ არა იყო მოქცეული ქრისტეს მიმართ“-ო (იქვე II), ხოლო ცნობილია, რომ ქართლის მოქცევის დროს კონსტანტინე უკვე ქრისტიანე იყო. „კვალად მესამეცა (324 წ. ქ. შ.) არა არს, რამეთუ ერთი წლის შემდგომად იყო პირველი კრება ნიკეას, არამედ ნიკიის კრებისაგან უწინარეს იყო მოქცევა მირიანისა, ვითარცა ვიხილავთ ცხოვრებასა შინა საჩინოდ“-აო (იქვე III). რჩებოდა მხოლოდ მეორე თარიღი, 317 წ. ქ. შ. და ვახუშტის სიტყვით სწორედ „მეორე იგი ჭეშმარიტებს ამისთვის, რამეთუ კონსტანტინეს ხუთისა წლისა წინარე დაეპყრა რომი და სრულიადი მეფობა და ქრისტიანეცა ქმნილ იყო, ვინადგან მირიან რომისავე მეფობასა შინა მიუვლინა მთხოველი ეპისკოპოზისა და მღვდლისა რამეთუ არა დაწყებული იყო ბიზანტია აღსაშენებლად, ვითარცა ვიხილავთ წერილებთა (sic) შინა ჩვენთა და მას ჟამსა სცოცხლებდა სილვესტროსიცა რომელმან მოავლინა დიაკონი თვისი“-ო (იქვე III), დასძენს ვახუშტი.

ამგვარისავე გამოანგარიშების საშუალებით ცდილობს ვახუშტი გამოარკვიოს დავით აღმაშენებლის მეფობის წლები და მისი გარდაცვალების ქრონიკონი: „დავით აღმაშენებელისაცა წერილ არს“-ო, ამბობს იგი, „16 წლისა მეფე იქმნა და 36 წელი იმეფა, რომელი იქმნების 52; გარნა მუნვე წერილ არს: 16 წლისა გამეფდა და 58 წლისა მოკვდა; ამ რიცხვით იქმნების მეფობისა მისისა წელი 41 და ჩვენცა ესევე აღვსწერეთ, ვინადგან სხვათა მეფეთა ქორონიკონნი ამას უმეტეს მოწმობენ და სიკვდილის დღე შაბათი იანვარი 24 ეს ქორონიკონი იქმნების, რომელი დავსდევით“-ო (იქვე V).

იგივე მეთოდი აქვს ნახმარი ვახუშტს დიმიტრი თავდადებულის სიკვდილის თარიღის გამოსარკვევად: „დიმიტრი თავდადებულისა დაღათუ არა წერილ არს წელი, არამედ წერილ არს თთვის რიცხვი და დღე შაბათი, მესამე მარხვისა; ამით ვპოვეთ წელიცა იგი, რომელი უთვილ არს ქრისტეს-აქეთი 1289, ქართული 409, ხოლო მეორე ქრისტეს-აქეთი 1300, ქართული 420 და თვინიერ ამის არა არს სხვა“-ო (იქვე V); რაკი პირველი ქორონიკონი დანარჩენ მეფეთა თარიღებს უდგება, „ამისთვის იგივე პირველი გვეჭეშმარიტა და დავსდევით, ხოლო მეორე ესე ფრიად შეამჭირვებს მათ მეფეთა წელსა და არა სწორ-რიცხულ ჰყოფს“-ო (იქვე VI), დასძენს მეცნიერი ისტორიკოსი.

ეს ქრონოლოგიური მეთოდი, რომელსაც შეიძლება საკალენდარო მეთოდი ეწოდოს, რასაკვირველია სხვებზე უფრო რთული მეთოდია და განსაკუთრებული სამათემატიკო ცოდნა-გამოანგარიშებაა საჭირო, რომ მკვლევარმა გამოიყენოს. ამ მეთოდით ეხლაც ხელმძღვანელობენ ხოლმე,

ხოლო ქართულს საისტორიო მწერლობაში ეს მეთოდიც პირველად ვახუშტმა შემოიტანა[1]).

მაშასადამე თავის ისტორიის პირველს ნაწილში ვახუშტი უმთავრეს ყურადღებას ქრონოლოგიის გამორკვევას აქცევდა. თვით შინაარსში მისივე სიტყვით მხოლოდ ის ცვლილება შეუტანია, რომ „მოქმედების აღწერა“, რომელიც „ქ"ცა“-ში „გავრცელებული“ იყო, შეუმოკლებია, „რათა მკითხველთა არა საწყინოდ“ ყოფილიყო ქართული მატიანეს წაკითხვა და თხზულების შინაარსი „ადრე საცნობელი იყოს“ (იქვე I—II.) ამ შემოკლების დროს, აქცევდა თუ არა იგი ყურადღებას მატიანეთა მოთხრობის ჭეშმარიტებას, სწორედ იქ ამოკლებდა თუ არა, სადაც ზღაპრული ელფერი ადევს, ერთი სიტყვით კრიტიკული მეთოდით ხელმძღვანელობდა თუ არა, ამას ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირია. ყურადღების ღირსია მხოლოდ, რომ თვით ვახუშტი ამაზე არაფერს ამბობს და ეს გარემოება ცოტა არ იყოს ამტკიცებს, რომ მეცნიერს ბატონიშვილს მოთხრობის უეჭველობისათვის ალბად განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია.

ვახუშტის შრომის მეორე ნაწილი არის ამასთანავე მისი თხზულების საუკეთესო ნაწილიც. იგიც იმავე მიზანს ემსახურებოდა, რა მიზნითაც ვახტანგ მეფემ „სწავლულნი კაცნი“ შეკრიბა,—საქართველოს ისტორიის გამორკვევა და აღწერა გიორგი ბრწყინვალის შემდგომ დროითგან მოყოლებული. მან კარგად იცოდა, რომ ამავ საგანზე უკვე არსებობდა განსაკუთრებული თხზულება, რომელიც დაწერილი იყო „სახელითა დევანის ძისა მეფისა ვახტანგისათი“, მაგრამ მეცნიერი ბატონიშვილი ნათლად ჰხედავდა მის მრავალგვარს ნაკლულევანებას. ჩვენ „ვიხილეთ ესე-ოდენი წინააღმდეგნი და უსწორებლობანი“-ო (დ. ჩუბინაშვილის გამოც. ქ"ცა II, გვ. 10, ზ. ჭიჭინაძის გამ. გვ. 15[2]). სწავლულ კაცთა მიერ შედგენილი ქ"ცის გაგრძელება იმდენად მდარე ღირსებისა იყო, რომ ვახუშტი ამტკიცებს, იქნებ საფუძლიანადაც, ვითომც ეს გაგრძელება „თუმცა ბრძანებითა მისითა არის“-ო, მაგრამ „მას (მეფე ვახტანგს) თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი“-ო (იქვე ჩუბ. 2, ჭიჭ. 4).

ვახუშტს ამ ნაწარმოების „ვითარება“ კარგად ჰქონდა შესწავლილი, იცოდა მისი „უსწორებლობანი“ და ამის გამო გადასწყვიტა, რომ უკეთესი

---

[1]) სინქრონიზმების ან თანამედროვეობისა და განსაკუთრებით საკალენდარო მეთოდების ხმარების დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო, ამასთანავე შენახული ცნობებიც გადამწერთაგან დამახინჯებული არ უნდა იყოს, თორემ ერთმა მცირედმა შეცდომამ მკვლევარი შეიძლება დიდს შეცდომაში შეიყვანოს. ვახუშტის მაგალითიც ნათლად ამტკიცებს ამ გარემოებას, მასაც ამის გამო შეცდომები მოსვლია (იხ. მაგ. ვახუშტის საქ. ისტორია ბაქ. გვ. 186, 197 შენ. 1, 215—216 შენ. 1).

[2]) შემდეგში დ. ჩუბინაშვილის გამოცემა აღნიშნული იქმნება „ჩუბ“, ზ. ჭიჭინაძისა „ჭიჭ“.

იყო ამაკ საგანზე ახალი შრომა დაწერილიყო, ვიდრე „სწავლულ კაცთა“ მიერ ნადენილი მრავალი შეცდომანი გასწორებულიყო. აი „ჩვენი შრომა ესე ამისთჳს იყო“-ო (იქვე ჩუბ. 10, ჭიჭ. 15), ამბობს ვახუშტი. მას მაშასადამე სდომებია, რომ ქართველს მკითხველს თვალწინ თავის სამშობლოს წარსულის უტყუარი სურათი წარმოსდგენოდა.

არც ვახუშტი უარჰყოფს, რომ, როგორც „სწავლული კაცები“ აცხადებდენ „ბრწყინვალეს მეფის გიორგის ცხოვრება და ქვეითთა მეფეთა არღარა მოიპოვებისა“ (იქვე ჩუბ. 1, ჭიჭ. 3). იგი ამბობს: „საგონებელ არს, რამეთუ ყოფილ არს ცხოვრება მისიცა და სხვათ მეფეთაცა... გარნა იყო და წარწყმდა“-ო (იქვე). მეცნიერი პატონიშვილიც იმათსავით ფიქრობს, რომ იმდროინდელ ისტორიისათვის განსაკუთრებული კვლევა-ძიება არის საჭირო, „ამისთჳს საჭირო იქმნა მას-ქვეითთა მეფეთა აღწერათა წარმოჩინებანი“-ო (იქვე).

მაგრამ როგორ და რა გზით? „თუმცა ვიხილავთ გუჯართა, სიგელთა და საეკლესიოებთა (sic) წიგნთა შინა ქორონიკონებთა მათთა, რომელი აღუწერიათ ბრწყინვალის გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე ყოველთა მეფეთა და მთავართა და სხვასა“,—მაშინ „ვიუწყებთ ხსოვნა-მოთხრობათა და მცირედთა ცხოვრებათა მათთა წარწერითაცა“-ო (იქვე ჩუბ. 2, ჭიჭ. 4). მაშასადამე აქაც იგივე გზაა ნაჩვენები და იმგვარივე წყაროებია დასახელებული,—სიგელ-გუჯრები და სხვა-და-სხვა წიგნებში გაფანტული ქორონიკონები,—რა გზასაც დაადგნენ და რანაირ წყაროებსაც მიჰმართეს უკვე ვახტანგის „სწავლულმა კაცებმა“.

მასალების შეგროვებას უნდა მოჰყოლოდა თავდაპირველად სხვა-და-სხვა წყაროების ცნობების ერთმანერთთან შედარება და მათი ღირსება-ნაკლულევანების გამორკვევა: „განრჩევა საჭიროდ არს და უხმს შრომა დიდი“-ო (იქვე ჩუბ. 2, ჭიჭ. 4), ამბობს ვახუშტი და სწორედ წყაროების ამ „განრჩევას“, ანუ ისტორიულს კრიტიკას აქცევს ჩვენი მეცნიერი მკვლევარი უმთავრესს ყურადღებას. აკი იმიტომაც არის, რომ თავის საისტორიო თხზულებას მან სწორედ ცნობათა „განრჩევით“ დაიწყო: „ამის განრჩევისათვის წარმოვსთქვათ ბრწყინვალე გიორგიდამ ვიდრე ჩვენამდე“-ო (იქვე).

მაშასადამე ქ̃ცის მეორე ნაწილის განხილვისა და შევსების დროს ვახუშტს უმთავრესი ყურადღება ისტორიულ კრიტიკისათვის მიუქცევია. ისტორიული კრიტიკის საფუძვლად მას განსაკუთრებით ქრონოლოგიური და გენეალოგიური მეთოდები აურჩევია. იგი არკვევს თარიღების სისწორესა და სინამდვილეს, რამდენად უდგება და ეთანხმება ერთმანერთს. „იხილე, ვითარ წინა-აღმდგომ არიან ურთ-ერთთ, რამეთუ იტყვის ნათესავობასა შინა ბაგრატის ძისა გიორგისამდე «გარდახდენ რუსუდანიდამ წელნი რკდ (124)» და რუსუდანის მეფობას იტყვის მუნვე ქ̃ს ჩსპგ (1283). ამას რომ რკდ (124) დავადვათ, იქმნების ჩუზ (1407) წელი, რომელი გარ-

დასცილდების ალექსანდრეს სიკუდილს ჩტჟგ (1393) და გიორგის მეფო-ბას ჩტჟე (1395), ქრ. პგ (83). ამით ამათნი ზეითნი მეფენი ტყუვილნი არიან“-ო, ამბობს ვახუშტი (წუბ. 2—3, შენ. 5).ამასთანავე „უკეთუ რკდ (124) წელი რუსუდანის სიკვდილს დავადვათ, იქმნების ქ~ს ჩტჲა (1361) ქრ. მთ (49); ეს მისწუდების დავითის მეფობის წელს ჩტნე (1355), ქრ. მგ (43), კვალად გარდასცილდების ექუსი წელი და კვალად რუსუდანის მეფობის ქორონიკონიდამ დავითის გამეფებამდე დაშთების ობ (72) წელი და მეფენი არიან ხუთნი. ეს რომ გაუყოთ, მიხუდების თითოს იდ (14) წელნი და ესე დაუჯერებელ არს ძეთა სხმად, რამეთუ არიან ძენი ერთი ერთისა“ (იქვე წუბ. 2—3, შენ. 5).

ამნაირადვე მსჯელობს სახელოვანი ისტორიკოსი, როცა იგი არკვევს, რამდენად ჭეშმარიტი და ისტორიულად სწორეა მეფეთა ჩამომავლობით შტო და მათზე მოთხრობილი ამბები. ვახუშტი უარჰყოფს მათს სიმართლეს და აი რაგვარის საბუთებით: „ბრწყინვალეს მეფის გიორგისაგან ვიდრე სვიმონ მეფისამდე არიან წელნი სკჱ (228) და მეფენი იგ (13), რომელისა არა სარწმუნებელ არს შობად ძეთა გონიერისაგან, ვინადგან თვითოთა ამათ მეფეთა მიხუდების წელნი იე (15), რომელნი ერთი მეორეს ძენი არიან; კვალად უკეთუ ჰეშმარიტობს, რად არა იტყვის ქმნულებასა მათთა, არამედ იტყვის: «ჰმეფა და მოკუდა» და სხუასა არღარა რასა; კვალად არცა მოწმობს ქორონიკონთა და რომელსა მოწმობს უსწორონი და წინააღმდგომნი არიან ერთი-მეორისა, ვითარცა ვიხილეთ და ამისთვის არა ჰეშმარიტ და, რომელნი აღვწერეთ ჩვენ, უკეთუ არა ესრეთ იყოს, არცა ჰეშმარიტ იქმნებიან გუჯარნი, სიგელნი და ქორონიკონნი და ამისთვის უმჯობეს არს რწმენად ესევე ვიდრე-ღა წართქმისა უმოწმოსა, ვითარცა მუნ არცა ერთისა მოწმობისა მომხსენე არს“-ო (იქვე წუბ. 6, შენ. 9—10).

ამ შემთხვევაში მაშასადამე ვახუშტი რთულის მეთოდოლოგიურის მსჯელობით ცდილობს დაამტკიცოს ვახტანგის სწავლულ კაცთა აღწერილ ცნობების შეცდომა. ქრონოლოგიურ მოსაზრებას გარდა, რომ თითო-თითო მეფეს, „რომელნი ერთი-მეორეს ძენი არიან“, „მიხუდების“ მხოლოდ 15—15 წელიწადი, და „არა სარწმუნებელ არს შობად ძეთა გონიერისაგან“, შეუძლებელია ჭკვათამყოფელმა იფიქროს ამ ხნისას შვილები ჰყოლოდეთო, ამ საბუთს გარდა მას მოყვანილი აქვს სხვა მოსაზრებანიც: მომთხრობელნი მეტად სიტყვაძვირობენ, თვითოეულ მეფეზე ერთსა და იმასვე გაიძახიან „ჰმეფა და მოკუდა“-ო და მათს მოღვაწეობაზე-კი სდუმან, ალბად იმიტომ, რომ არც იციან რამე, თორემ მათ რომ ცნობები ჰქონდეთ უეჭველად მოიყვანდენო. ამასთანავე თითქმის არც ერთი წყარო, არც სიგელ-გუჯრები, არც ქორონიკონები დასახელებული არ არის, „არც ერთისა მოწმობისა მომხსენე არს“-ო. ხოლო იმ

იშვიათს შემთხვევაში, როცა „ქ͠ცი"-ს გაგრძელება „მოწმობს ქორონიკონ-თა", წყაროები „უსწორონი და წინააღმდგომნი არიან ერთი-მეორისა"-ო.

ამ მსჯელობითგანა სჩანს, რომ იმ საისტორიო თხზულების „ჭეშმა-რიტებისა"-თვის, რომელიც დიდის ხნის წარსულს ეხებოდა, და მერმინდელ მემატიანეს მიერ იყო დაწერილი, ვახუშტის აზრით საჭირო იყო, რომ ავტორს თავისი მოთხრობა იმდროინდელ საბუთებზე დაემყარებინა, „უმოწმო"-კი არა ყოფილიყო, არამედ ესარგებლნა, დაემოწმებინა სიგელ-გუჯრები, ქორონიკონები და სხვა მატიანენი, რომელიც იმ ხანის ისტორიას ეხებოდნენ. ამასთანავე საჭირო იყო, რომ ავტორს თავისი წყაროები დაესახელებინა, „მოწმობისა მომხსენე" ყოფილიყო, „გუჯართა მოწმობა" (იქვე ჩუბ. 6, ჭიჭ. 10) თავთავის ადგილას მოეყვანა. ვახუშტმა იცის ამას გარდა, რომ ისტორიკოსს თავის თხზულებისათვის უნდა შეეკრიბა ისეთი წყაროები, რომელნიც „უსწორონი" არ იყვნენ, ყოველ შემთხვევაში მას უმთავრესი ყურადღება ამისთვის უნდა მიექცია, „წინააღმდგომნი არიან ერთი-მეორისა" მის წყაროების ცნობები, თუ არა, და თუ წინააღმდეგნი არიან, რომელი ცნობაა სწორე. როდესაც ავტორი ზემოაღნიშნულ პირობებს არ ასრულებდა, მაშინ მკითხველს უფლება ჰქონდა მოთხრობა „ამისთვის არა ჭეშმარიტად" ეცნა და უარეყო.

ვახუშტის დროს საქართველო ისე დაქუცმაცებული იყო, რომ უცოდინარი ადამიანი ვერც-კი წარმოიდგენდა მის წინანდელს ერთიანობასა და მთლიანობას. აკი ვახუშტმაც საჭიროდ სცნო დაემტკიცებინა, რომ წინად საქართველოში ერთიანობა არსებობდა. ერთიანობა ჩვენს დაუვიწყარს ისტორიკოსს წარმოდგენილი აქვს ერთ-მეფობის სახით. „ერთ-მეფობასა წარმოაჩინებს აწცა სამნი ხილულნი ესენი" (იქვე, ჩუბ. 1, ჭიჭ. 3) გარემოებანით: „პირველი, უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (sic), ანუ იმერელსა, მესხსა, ჰერ-კახსა, «რა რჯული ხარ», წამს მოგიგებს «ქართველი». მეორედ, არს მათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული,—და ჰკითხო მათ წინ-თქმულთა კაცთა: «რა ენა და წიგნი უწყი», მოგიგებს მყის—«ქართული», რამეთუ არა იტყვის არცა სჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთასა, არამედ ქართულსა. მესამე, არს-სადამე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია-მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყო სხუათა მეფეთა სახელნი თვინიერ — «ჩვენ მეფემან საქართველოსამან ანუ ქართლისა და აფხაზეთისამან» — რომელნი ზედაწერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა". (იქვე ჩუბ. 1, ჭიჭ. 3—4).

ქართველთ უწინდელ ერთ-მეფობის დამამტკიცებელი საბუთები ვახუშტს ისე აქვს თავმოყრილი, რომ უფრო ქართველთა ეროვნული ერთობა მტკიცდება, ვიდრე პოლიტიკური მთლიანობა და თვით ავტორსაც ვგონებ ეს ორი საკითხი

ცოტა არ იყოს ერთად აქვს ნაგულისხმევი, თუმცა მას საზოგადოდ ცნებათა აღრევაც ემჩნევა. ერთ-მეფობის დამამტკიცებლად მას მიაჩნდა ქართველთა საერთო ენა, რჯული და ანბანი-მწერლობა, მაგრამ ეს განსაკუთრებით ქართველთა ეროვნულ ერთიანობას ამტკიცებს, თუმცა თვითონ ვახუშტს, როგორც ეტყობა, საერთო ენაცა, რჯულიცა და მეტადრე „წიგნი“-ანბანიც ერთმეფობის შედეგად მიაჩნდა: მას ეგონა, რომ ეს იმიტომ მოხდა „ვინადგან იყო ყოველი ივერია ქართლისა მეფისა ქვეშე პყრობასა“-ო (იქვე ჩუბ., 1, ჭიქ. 3 [1]).

მაინცდამაინც ვახუშტი დარწმუნებული იყო, რომ ყველა ქართველ ტომებს საერთო ენა და მწერლობა აქვთ, მათ შორის „იმერელთა“ სახელით ნაგულისხმევი არიან მეგრელებიც. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ის მსჯელობა, რომელიც ვახუშტს გამოთქმული აქვს ენის შესახებ თავის საქართველოს გეოგრაფიაში. იმერლების შესახებ მაგ. სახელოვანი ისტორიკოსი ამბობს, რომ ისინი სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართველთა თანა აღმსაარებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი“-ო (გეოგრაფია ბროსეს გამ. 342, ჯანაშვილის გამ. 259 [2]). ამგვარად იგი არავითარს სხვაობას არ ამჩნევდა მათს თქმაში, ცქვიტად მოუბრობას გარდა. მეგრელებზე იქ ნათქვამია: „ენით არიან დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თჳსიცა ენა, გარნა წამხდარი ქართულივე, ვითარცა ღმერთი ღორო[ნთ]ი, ჩემი — ჩქიმი, და აქუსთ წიგნი ქართულივე და არა სხვა“-ო (იქვე ბროს. 404, ჯან. 309). მაშასადამე მეგრული ვახუშტს იმავ ქართულ ენად, მხოლოდ „წამხდარ“ ქართულად მიაჩნდა.

თუშებზე ნათქვამია, რომ ისინი „სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა... ხოლო, რომელნი არიან მკვრეთა ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მათნი, განა ფარსმანის კევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან“-ო (იქვე. ბროს. 328, ჯან. 172). ამგვარად თუშურს საზოგადოდ ვახუშტი ქართულ ენადა სთვლიდა და მხოლოდ ერთ ხეობაში ატყობდა იგი ენაში არსებითს განსხვავებას, რომლის მიზეზად მას უცხო მეზობელთ ენებთან აღრევა მიაჩნდა. როგორც სჩანს, მათს ენას იმდენად შეუცვლია თავისი გარეგანი ელფერი და თვით სიტყვათა საუნჯეც, რომ ვახუშტი მათს ენას „შერეულ ენა“-და სთვლიდა.

სვანების შესახებ ამავ თხზულებაში სწერია: „ენა თჳსი აქუთ საკუთარი, განა უწყიან ქართულიცა“-ო (იქვე ბროს. 412, ჯან. 316) და ეს

---

[1]) ქვემოთ ასე იქმნება შემოკლებული: „ბროს“, „ჯან“.

[2]) ყურადღების ღირსია, რომ ვახუშტი ქართლელის მაგიერ „ქართველს“ ამბობს და ამ უკანასკნელ სიტყვას საზოგადო ეროვნულ-შემკრებელობითს მნიშვნელობას-კი არ ანიჭებდა, არამედ კერძო-ტომობრივს.

წინადადება ამტკიცებს, რომ ვახუშტმა არა იცოდა რა სვანურ-ქართულის მონათესაობისა.

აფხაზებსაც, ვახუშტის სიტყვით, „ენა საკუთარი თჳსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“ (იქვე, ბროს. 408, ჯან. 314).

გასაოცარია, რომ ვახუშტი თვით ქართული ენის წარმოშობის შესახებ იმეორებს ლეონტი მროველის ბავშურს აზრს, ვითომც თავდაპირველად „იყო ენა სომხური საქართველოსა შინა“ (ს˝ქს ის˝ტრა, ბაქ. 35) და ხაზართა, სპარსთა, თურქთა და ებრაელთა ენების შერევისაგან წარმომდგარიყოს ახალი ენა ქართული (იქვე 35).

თავის გეოგრაფიულ შრომის ბოლოს ვახუშტს კვლავ საგანგებოდ აღნიშნული აქვს, რომ თუმცა საქართველოში მცხოვრებ ზოგიერთ ტომებს თავისი „საკუთარი“ ენა აქვთ, მაგრამ ყველა მათთვის ქართული სამწერლობო, ერთად-ერთი ყველასათვის საერთო ენა არის. იგი ამბობს: „რაოდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით.. საქართველოსანი, გარნა თუ აქვთ ზოგთა ენა სხვა, თჳსნი საკუთარნი, არამედ წიგნი არცა ერთსა რომელსამე აქუს თჳნიერ ქართულისა წიგნისა საკუთრად“-ო (გგ˝რფა ბროს. **420**, ჯან. გამ. **324**).

ვახტანგის სწავლულ კაცებსავით ვახუშტსაც ჰსურდა გამოერკვია, თუ როდის და რა მიზეზის გამო მოხდა გაერთიანებულ, სრულიად საქართველოს განხეთქილება და დაყოფა 3 სამეფოდ და რამდენადმე სამთავროდ. ამასთანავე მასაც უნდოდა გაეგო ამ მეფეთა და მთავართა ნამდვილი შთამომავლობა. სრულიად საქართველოს სამეფოს დანაწილება ვახუშტის აზრით „შურითა ურთიერთთა და გარეშეთა მტერთაგან იქმნა განყოფილება“-ო (ჩუბ. 2, ჯიბ. 4). მაშასადამე განთქმული ისტორიკოსი მიზეზად ერთის მხრით მმართველ წრეების ხასიათის პირადს ნაკლს, „შურსა“ და შეუთანხმებლობასა სთვლიდა, მეორეს მხრით გარეშე მტრების პოლიტიკასა და გავლენას.

„იმერთა მეფეთა-თჳს“ო, ამბობს ვახუშტი... მივსწვდით ყოფად ნარინ დავითის ჩამომავლობად“ო (ჩუბ. 9, ჯიბ. 13). ამის საბუთად მას ის მოსაზრება მოჰყავს, „რამეთუ ნარინ-დავით მეფის ძენი კონსტანტინე და მიქელ ცხადად წერილი არს ცხოვრებასა შინა ჩვენსა“ (იქვე), ქართლის ცხოვრებაში არიან მოხსენებულნიო. „ხოლო ძისა მიქელ მეფისასა იტყვის ქორონიკონი: «მიქელ მეფის ძემ», და არა მეფემან ბაგრატ, «ყვარყვარეს ასული შეირთო ცოლად ქს. ჩტნჯ, ქრ. მვ»... „გარნა ეს მიქელ მეფის ძე ბაგრატ, გიორგისა, დავითისა და დიდის ბაგრატის ჟამებთა (sic) იყო და ამ მეფეთა ერთ-მთავრობით მეფობა ყოვლისა ივერიისა ცხადად საჩინო არს, ვინადგან არცა მეფედ სწერს ბაგრატს“ო (იქვე ჩუბ. 9, ჯიბ. 13—14). აი რა

მოსაზრებით, „ამის გამო და წინასხსენებულთა მეფეთა სხვაობით მივსწვდით ყოფად ნარინ დავითის ჩამომავლობად"-ო (იქვე).

იმ საკითხს, თუ რა დროითგან მოხდა საქართველოს განყოფა, ჩვენი დიდებული ისტორიკოსი შემდეგის საბუთების საშუალებით არკვევს: „ყოველნი აქა წერილნი მეფენი და მთავარნი თამარიდამ სვიმონის ძის გიორგისამდე დაწერილ არიან ძველს გარიგების სამართლის წიგნსა შინა იმერეთს გელათურსა" და იქ მემატიანე „ბრწყინვალეს გიორგიდამ გიორგისამდე ძის ალექსანდრეს სწერს: «ეს მეფე მოკუდა, ეს მეფე მოკლეს» და შემდგომად გიორგისა—«ქართლის მეფე, იმერთა მეფე, კახთა მეფე მოკუდა», აქ ქვეყნით სახელჰსდებს ვითარცა «ქართველთა მეფეს გურიელმან სძლო მოხისს», «კახთ მეფე ლევან მოკუდა», ხოლო იქ უქვეყნოდ: «მეფე დიდი ბაგრატ მიიცვალა», «ალექსანდრე მიიცვალა». ამით მუნ აჩენს ერთ-მეფობასა და აქ გაყრას, გონიერმა თუთ განიხილოს, ვინადგან იმერეთს არს აღწერილი და არა ქვეყნობით ახსენებს, მაშ კვალად ერთ-მეფობა ყოფილა და შემდგომად განყოფა»-ო, დასძენს ვახუშტი (იქვე ჩუბ. 8, შენ. 1. ჭიჭ. 13, შენ. 1).

კახთა განდგომა და ცალკე სამეფოს დაარსება ვახუშტის აზრით მეფე გიორგის დროს **1466** წ. მომხდარა. კახეთის პირველ მპყრობელად დავითი ყოფილა (იქვე ჩუბ. 101, ჭიჭ. 154). კახთა პირველ ბატონის ჩამომავლობაზე ორი აზრი ტრიალებდა თურმე: ზოგი ფიქრობდა, ვითომც იგი ალექსანდრე მეფეთ-მეფის შვილი ყოფილიყოს, ზოგს კიდევ ის ალსართანის შვილად მიაჩნდა (იქვე ჩუბ. 101, ჭიჭ. 156). მაგრამ ორივე აზრი შემცდარია-ო, იმიტომ რომ ეს ის დავითი-კი არ არის, რომელიც „ვითარცა კახნი იტყვიან" ვითომც ყოფილიყოს „ძე ალექსანდრესი ძისა დავითისი" (იქვე ჩუბ. 101, ჭიჭ. 154) და არც ისე მომხდარა, თითქოს „ამ ალექსანდრემ განჰყო ძენი თვისნი: უხუცესსა ბაგრატს მისცა იმერეთი, მეორესა გიორგის მისცა ქართლი, სომხითი და სამცხე-კლარჯეთი, მესამესა ამ დავითს მისცა ჰერეთი და კახეთი" (იქვე). ეს შემცდარი აზრია, ამგვარი რამე „არა... სარწმუნო არს და საგონებელი"-ო (იქვე), ამტკიცებს ვახუშტი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „არა იყო ჩვეულება მეფეთა და უფროს-და ბაგრატიონთა შინა, რათამცა განხეთქილება ექმნათ სამეფოსა", არამედ „უფროს განუხეთქელობასა მცდელობდენ" და ამისთვის „არცა რიდებდენ სისხლთა"-ო. ხოლო იმ შემთხვევაში „თუ ძეთა დასხმიდენ,—არა მეფედ, არამედ ერისთავად" ჰნიშნავდენ ხოლმე (იქვე). „მეორე" ის, რომ ყველა საბუთებითგან „ცხოვრებათა, გუჯართა და ქორონიკონთაგან" სჩანს, „რამეთუ იყო ერთ-მეფობა ბრწყინვალის მეფის გიორგიდამ ვიდრე ო̃ტ მეფის გიორგისამდე" (იქვე). დასასრულ „ესეც იუწყე"-ო, ამბობს ვახუშტი, რომ „ამის წინათთა მეფეთა ჟამთა შინა ანუ ცხოვრებათა, ანუ გუჯართა და ქორონიკონებთა შინა არა სადა ვიხილავთ კახთა მეპატრონეთა მოხსენებასა"-ო (იქვე ჩუბ. 101, ჭიჭ. 155).

მეორე აზრი, რომელსაც „ვინამენი იტყვიან," და რომელიც კახთა მებატონეების აღსართანის შვილებადა სთვლის ხომ უფრო შეუწყნარებელია, „უმეტეს შეუმსგავსებელ არს თქმად“-ო, ამტკიცებს სახელოვანი ისტორიკოსი იმიტომ რომ „აღსართანის ნათესავი მოისწყდა ჟამსავე დავით აღმაშენებელისასა“ და მას შემდგომ „არა სადამე ვიხილავთ კვალად მოხსენებასა ანუ ყოფნასა მათსა (ესე იგი კახთა მებატონეთა) აღმაშენებლიდამ ოტ მეფის გიორგისამდე“ (იქვე).

თვით ვახუშტი ჰგრძნობს, რომ საკითხი კახთ-ბატონების ჩამომავლობის შესახებ მეტად რთული და ბურუსით არის მოცული, „ბნელ და უჩინო არს ცხოვრება და ძრიად გამოსარკუეველი“-ო, გულწრფელად აღიარებს იგი (იქვე ჩუბ. 102, ჭიჭ. 156), მაგრამ „რაოდენ შესაძლებელ არს გუჯართა სიგელებთა (sic) და ქორონიკონებთა-გან წარმოვაჩინოთ, რამეთუ ესე დავით ანუ არს ჰერთა და კახთა ერისთავთაგანი ერთი განდგომილი“-ო (იქვე), მაგრამ თითონაც არა სჯერა, რომ ამგვარი მოსაზრება შესაწყნარებელი იყოს, „ესე ულონოებს“-ო, (იქვე), იმიტომ რომ სხვა ერისთავები მას არ დაემორჩილებოდნენ. ამას გარდა „უკეთუ მონათესავეთაგანი მეფეთა არა იყოს, დავით მასვე ჟამსა ვერ იკადრებდა მეფედ წოდებად და სწორ-ყოფად და ვერცა გუარობათა მეფეთასა, ვითარცა ათაბაგი, დადიანი და გურიელი და სხუანი, არამედ თუცა ესენიცა განდგნენ, გარნა არა მეფედ არამედ მთავრად, ვინადგან განმკვიდრებულნი აქუნდათ საერისთონი თვისნი პირველვე“ (იქვე ჩუბ. 102, ჭიჭ. 155).

ამგვარ მოსაზრებათა გამო სახელოვანს ისტორიკოსს ჰგონია, რომ საკითხის გადაწყვეტა სხვაფრივ ვერ მოხერხდება, თუ არ ისე, როგორც იგი ჰფიქრობს: ამ დავითს „ვსწერთ ჩვენ მეფის ალექსანდრეს მცხეთის აღმაშენებელის ძის დიმიტრის ძედ“-ო, „რომელსაც აქვნდა საერისთოდ ანუ საუფლის-წულოდ (ვითარცა ჩვეულება არს საქართველოსა) კახეთს ანუ ჰერეთს შინა“-ო (იქვე ჩუბ. 102, ჭიჭ. 156). ამნაირად, ვახუშტის აზრით, ალბად არც ის საზოგადო დებულება იქმნებოდა დარღვეული, რომ ქართველი მეფეები თავიანთ შვილებს სამეფოს კერძო საკუთრებასავით სამკვიდროდ არასდროს არ უყოფდნენ, არც ის მოსაზრება, რომ უბრალო ერისთავი, თუნდაც განდგომილი, მეფის სახელს ვერ მოიხვეჭდა, რაკი მას სხვები არ დაემორჩილებოდნენ: ამ შემთხვევაში განდგომილი ერისთავი ამასთანავე უფლისწული იყო და სამეფო გვარეულობის წევრი.

თვით შრომას ვახუშტმა წინ-წაუძღოლა შესავლის მსგავსად საზოგადო მიმოხილვა, რომელსაც უწოდა „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“. ეს შესავალი საქართველოს და ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილებას, სარწმუნოებისა და სამართლის, ზნე-ჩვეულებისა და შინაურ ყოფა-ცხოვრების ისტორიულს მიმოხილვას შეიცავს. თუმცა

ვახუშტის მიმოხილვა მოკლეა, მაგრამ მეტად შინაარსიანი არის და უმთავრეს მოვლენათა მკაფიოდ აღმნუსხველი. ამასთანავე ეს პირველი მაგალითი იყო და მას შემდგომაც ამ შესავლის მსგავსი, ამნაირადვე მრავალმხრივი საერთო ისტორიული მიმოხილვა ჯერაც არავის დაუწერია.

თუმცა ხელთნაწერში ეს შესავალი „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ თვით „ისტორია“-ს წინ უძღვის, მაგრამ მაინც უეჭველია, რომ ავტორს მაშინ ექმნება დაწერილი, როდესაც „ისტორია“ უკვე დამთავრებული ჰქონდა. ეს ვახუშტის შემდეგ სიტყვებითაც სჩანს: ვინათგან აღვსწერეთ ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა ნოეს ძის იაფეტის თესლისაგან ყადრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა, აწ ვიწყოთ ძველიდამ ახლამდე საქართველოსა ზნეთა და ჩვეულებათა და წესთა მათთა“ (გგრ´ფა მ. ბროს. გვ. 4, მ. ჟან. 2; ს´ქს ის´ტრა დ. ბაქ. 2). მაშასადამე ვახუშტიც ისე მოქცეულა, როგორც ჩვეულებრივ ეხლაც იქცევიან და „წინასიტყვაობა“-ს მაშინ სწერენ ხოლმე მხოლოდ, როდესაც შრომა უკვე დამთავრებულია, ხშირად დაბეჭდილიც-კი, და ამიტომ მას უფრო „ბოლოსიტყვაობა“ შეჰშვენის სახელად.

თავის მიმოხილვაში ვახუშტს დასახელებული და ისტორიულად განხილული აქვს საქართველოს „ზნენი“, „ჩვეულებანი“ და „წესნი“ (იქვე). მაგრამ ეს სამივე სიტყვა მას ყოველთვის იმ გარკვეულ მნიშვნელობით-კი არა აქვს ნაგულისხმევი, როგორც მიღებული იყო ძველ ქართულს მწერლობაში (იხ. ჩემი „ქ´ლ სამართლის ისტორია“, თავი „სამართლის ტერმინები“), არამედ არეულად არის ნახმარი. ზოგან მაგ. „წესი“ სახელმწიფო მართვაგამგეობის წესსა ჰნიშნავს (ბროს. 4, ბაქ. 2, ჟან. 3), ზოგან თითქოს წოდებრივობის აღნიშნავს (ბროს. 10, ბაქ. 4, ჟანაშ. 6 „წესთათვს“), ზოგან კიდევ „წესი“ საზოგადოებრივსა და საცოლქმრო სამართლის მოვლენას ახასიათებს (ბროს. 6, ბაქ. 3, ჟან. 4),—ვახუშტი ერთ-მეფობას „ჩვეულებას“ ეძახის (ბროს. 10, ბაქ. 4, ჟან. 6), ხოლო საახალწლო და სააღდგომო სხვადა-სხვა ჩვეულებას იგი „წესად“ სთვლის (ბროს. 32—34, ბაქ. 14—15, ჟან. 18—19).

ამასთანავე თვით მიმოხილვაში წესს, ზნეს და ჩვეულებას გარდა სხვა ცნობებიც ბლომად მოიპოვება, მაგალითად იქ აღწერილია ქართველთა წარმართობის და ქრისტიანობის დროინდელი „სარწმუნოება“-ც (ბროს. 6—8, 24—26, 32—34; ბაქ. 3—4, 10—11, 14—15; ჟან. 3, 4—5, 13—15), ქართული სამართალიც (ბროს. 14—18; ბაქ. 5—6; ჟან. 8—9), ქართველთა სამოსელი და სამკაული, თავსაბურავი და ფეხსაცმელიც (ბროს. 62—64, ბაქ. 26—27, ჟან. 36—38).

ერთი სიტყვით, თუ ვახუშტის მიმოხილვას თვალს გადავავლებთ, იქ ისტორიულად დახასიათებულია საქართველოს სახელმწიფო და საზოგა-

დოებრივი წესწყობილება, ქართველთა სარწმუნოება, ქართული სამართალი, ზნე-ჩვეულებანი და შინაური ყოფა-ცხოვრება. ეს არის ქართველთა მრავალსაუკუნოვან წარსულის საზოგადო ფილოსოფიურ-ისტორიული მიმოხილვა, რომლის მსგავსი ქართულს მწერლობაში არც წინად დაწერილა და არც შემდეგში. ეხლაც-კი, როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, მაგვარი საზოგადო მიმოხილვა ვახუშტის ზემოაღნიშნულ შრომის გარდა სხვა ჩვენ არ მოგვეპოვება. მარტო ეს გარემოება უკვე, სხვაც რომ არა იყოს რა, ქართველ სახელოვან მეცნიერ ბატონიშვილის სიდიადეს და სწორუპოვარობას ამტკიცებს.

ვახუშტს ჰსურდა თავისს მიმოხილვაში საქართველოს მრავალსაუკუნოვან ცხოვრების სურათი დაეხატა: „აწ ვიწყოთ ძველიდამ ახლამდე საქართველოსა ზნეთა და ჩვეულებათა და წესთა მათთა“ აღწერა (ბროს. 4, ბაქ. 2, ჯან. 2), მაშასადამე ავტორის განხილვა უძველეს დროითგან უნდა დაწყობილიყო და მის დრომდის მიეღწია და ცხოვრების თვითოეულ ცვლილებისათვის ყური ეთხოებინა. მართლაც, ბატონიშვილმა ვახუშტმა იცის, რომ ქართველთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილებაც, ზნე-ჩვეულებანიც და შინაური ყოფა-ცხოვრებაც საუკუნეთა განმავლობაში თან-და-თან იცვლებოდა, ზოგჯერ მცირედდებოდა, ზოგჯერ კიდევ არსებითადაც.

ცხოვრების ამ ცვლილებათა თვისებებისდა მიხედვით მას ქართველ ერის მთელი ისტორიული წარსული სამ უმთავრეს ხანად აქვს დაყოფილი. ისტორიის სამ უმთავრეს ხანად მას მიაჩნია: საქართველოს მდგომარეობა 1) „პირველ განყოფილებისა“, 2) „შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოთასა“ (ბროს. 4 და 36, ბაქ. 2 და 15, ჯან. 2 და 20) და 3) „აწინდელი“ (ბროს. 40—42, ბაქ. 17, ჯან. 21), ესე იგი საქართველოს პოლიტიკურ ერთობის დროს, საქართველოს სამ სამეფოდ და სამთავროებად დაყოფის შემდგომ და ავტორის თანამედროვე. აქ მაშასადამე ცხოვრების ხანებად დაყოფა დამყარებულია პოლიტიკურსა და ქრონოლოგიურს საფუძველზე.

მეცნიერ ბატონიშვილს ჩვენი წარსული სხვა ნიშნებისა და თვისებებისდა მიხედვითაც აქვს დანაწილებული. ცხოვრების ზოგიერთი მოვლენა მას თავდაპირველ მოვლენად მიაჩნდა, მას მაგ. ეგონა, რომ „წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისითგანვე“ (ბროს. 4, ბაქ. 2, ჯან. 3), მაშასადამე ზოგი მოვლენანი ვახუშტის აზრით „წესნი დასაწყისითგანნი“ იყო, ადგილობრივი და ბუნებრივი.

მაგრამ ამ „დასაწყისითგანთა წესთა“ გარდა ქართველობაში გაჩნდა და შემოვიდა სხვადასხვა დროს სხვა, ახალი წესები და ჩვეულებანიც. ვახუშტი მაგ. ამბობს, „ამათ მთავრობისა წინათქმულსა წესსა შეეძინა, რათა აქუნდეს (მთავართა) მათ წესთა-თანა სასაფლაოდ საეფისკოპოზო ანუ მონას-

ტრის ეკლესია, კვალად საყდარი კარისა მღვდლითურთ; აგრეთვე აზნაურსა სასათვალავად მონასტერი და ეკლესია სახლსა თჳსსა მღვდლით, ხოლო წინათქმულითა და ამით იწოდებოდნენ მთავარნი და აზნაურნი და თჳნიერ ამათსა არა“ (ბროს. 28, ბაქ. 12, ჯან. 16), „კვალად ქრისტიანობის ჟამსა შესძინეს წესნი ესენი“ (ბროს. 32, ბაქ. 14, ჯან. 18), საახალწლო და სააღდგომოო (ბროს. 32—34, ბაქ. 14—15, ჯან. 18—20).

ამგვარ დროთა განმავლობაში გაჩენილ ცხოვრების მოვლენისათვის ვახუშტს დაურქმევია „შეძინებული წესი“ (ბროს. 28, ბაქ. 12, ჯან. 16). როგორც თვით მიმოხილვითგანა სჩანს, ვახუშტი „შეძინებულს წესს“ ეძახდა როგორც ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებულს ახალს მოვლენას ან დაწესებულებას, მაგ. „ჭეუნდიდობას“ (ბროს. 28, ბაქ. 12, ჯან. 16), ისე უცხო მეზობელთაგან შეთვისებულსაც, მაგ. „ათაბაგობას“ (ბროს. 28, ბაქ. 12—13, ჯან. 16—17).

ჩვენი მეცნიერი ისტორიკოსი განსაკუთრებულს ყურადღებას უცხოელთაგან შეთვისებულს დაწესებულებებსა და ზნე-ჩვეულებებს აქცევს. მას საგანგებოდ აღნიშნული აქვს, რომ „წესნი ესენი (ადგილობრივნი) რომელნიმე ფლობასა თათართა ყეენებისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა დაბალთა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუხდელობა ქუდისა... არცაღა პოდიმოიდიან ქუდის მოხდითა და სხუანი უჯეროანი მრავალნი, ვითარცა იტყჳს ორცოლიანობასა და სამცოლიანობასა“-ო (ბროს. 36, ბაქ. 15, ჯან. 20). მაგრამ მარტო მონღოლთა ძლიერების დროს-კი არა, არამედ შემდეგ დროსაც ვახუშტის დაკვირვებისამებრ საქართველოში შემოხიზნულა უცხო წესები და ჩვეულებანი: „სამცხეს და კახეთს“, ჩვენი ისტორიკოსის სიტყვით, „შემოერიათ—მათი ურუმთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან—წესნი რაიმე მათნი“ (ბროს. 36, ბაქ. 17, ჯან. 21). ამგვარ უცხოთაგან შეთვისებულ დაწესებულებათა და ზნე-ჩვეულებებისათვის ვახუშტს „შერეულნი წესნი“ (ბროს. 34, ბაქ. 15, ჯან. 20) დაურქმევია.

ღრმა დაკვირვებას მაშასადამე ვახუშტისათვის დაუნახვებია, რომ ძველი წესი დროთა განმავლობაში უცხო ერთა „ფლობას“ წყალობით შესაძლებელი იყო გადაგვარებულიყო, ანუ როგორც იგი ამბობს „შეშლილიყო“ და ძველ წესის მაგიერ უცხოთაგან „შერეული წესი“ შემოსულიყო (იქვე). ამიტომ მან კარგად იცოდა, რომ ქართველებს „აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე (ანუ ძველნი) და შერეულნი ყიზილბაშთა“-გან (ბროს. 36, ბაქ. 17, ჯან. 21), ან, თუ დასავლეთს საქართველოს, ან მესხებს ავიღებდით, უფრო „ურუმთაგან“ შერეული იყო (იქვე), რომ იმდროინდელი ქართველთა ცხოვრება ძველ ქართულსა, დროთა განმავლობაში შექმნილსა და უცხო ერთაგან შეთვისებულს დაწესებულებებს და ზნე-ჩვეულებებს შეიცავდა.

ვახუშტს აღწერილი და განხილული აქვს საქართველოს სამოკელეო წესწყობილებაც. ეს საგანიც მას სამად აქვს გაყოფილი: პირველად ჩამოთვლილი ჰყავს მოკელენი, რომელთა თანამდებობაც იმის აზრით ვითომც უძველეს დროითგანვე მოყოლებული თითქოს უცვლელად უნდა ყოფილიყო საქართველოში (ბროს. 18—22, ბაქ. 7—8, ჟან. 9—12). აქ მას უსარგებლია ლეონტი მროველისა და ჟუანშერის თხზულებებით, მაგრამ ამას გარდა ბევრი სხვა ცნობებიც ჰქონია, რომელიც სხვა წყაროებიდგან უნდა იყოს ამოღებული. ერთ-ერთ წყაროდ უეჭველია მას „კარის გარიგებაც“ ექმნებოდა. დანარჩენ წყაროების შესახებ-კი ჯერჯერობით არა ვიცით რა. ეს-კია რომ ამ პირველს ნაწილში ვახუშტს ზოგი საეჭვო და შემცდარი აზრი აქვს გამოთქმული. ცხადია ამასთანავე რომ ყველა ვახუშტის მიერ დასახელებულ მოკელეთა თანამდებობა შეუძლებელია საქართველოს საკელმწიფო წესწყობილების პირველ ხანას ეკუთვნოდეს (მაგ. ბოქაულთუხუცესი, ბოქაულნი და სხვა).

საქართველოს სამოკელეო ისტორიის მეორე დარგად ვახუშტს „შეძინებული წესები“ მიაჩნია და აქ განხილული აქვს მთავართა მდგომარეობა, მწიგნობარ-უხუცესის-ჭყონდიდელის და ათაბაგის თანამდებობათა დაწესება და მათი უფლება-მოვალეობანი (ბროს. 28, ბაქ. 12—13, ჟან 16—17). ეს საკითხი მეცნიერს ისტორიკოსს მშვენივრად აქვს შესწავლილი და მოთხრობილი. ამ შემთხვევაში მას თამარ მეფის ისტორიკოსისა და ვგონებ „კარის გარიგების“ ცნობებით უსარგებლია.

კარგად აქვს ვახუშტს დაწერილი სამოკელეო ისტორიის მესამე ნაწილიც, რომელსაც სათაურად უწერია: „აწინდელის კელისუფალთა შეცვლილთა სახელთათჳს“ (ბროს. 38—40, ბაქ. 17—18, ჟან. 22—23). მხოლოდ მეცნიერი ბატონიშვილი აქა-იქ სცდება, როდესაც მაგ. ამტკიცებს თითქოს მუშრიბი და ვეზირიც როსტომ მეფის მიერ შემოღებული შეცვლილი სამოკელეო სახელი ყოფილიყოს. ჩვენ დაჭეშმარიტებით ვიცით, რომ მუშრიბი დიდი ხნით როსტომზე უწინარეს შემოვიდა საქართველოში, ხოლო ვეზირობა ჩვენში მაინც-და-მაინც უკვე XII ს. არსებობდა (იხ. ჩემი ქ~ლ სამართლის ისტორია, მოკელეობა).

მას აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში თანამდებობის კაცნი ორ მთავარ ჯგუფად იყოფებოდენ: ერთს შეადგენდნენ „სულიერნი“, ანუ სამღვდელოება, მეორეს „სოფლიერნი“ ანუ საკელმწიფო დაწესებულებათა მოკელენი (იქვე, ბროს. 10, ბაქ. 4, ჟან. 6). მაგრამ ვახუშტს მოკელეობა და წოდებრივობა ერთმანეთში არეული აქვს. ერთ ჯგუფში მას მოთავსებული ჰყავს: „პირველ ერისთავნი, ბ) მთავარნი, გ) აზნაურნი, დ) ვაჭარნი, ე) მსახურნი და ვ) მუშაკნი გლეხნი“ (იქვე ბროს. 20, ბაქ. 4, ჟან. 6). ერისთავნი და მთავარნი თუ მოკელენი იყვნენ, აზნაურნი, ვაჭრები და გლეხები ხომ წოდებრიობის ცნებას ეკუთვნიან და ერისთავებთან საერთო რასაკვირვე-

ლია არა ჰქონდათ რა. ვახუშტი-კი ამ შემთხვევაში როგორც ეტყობა წოდებრივობას და მოკლეობას ერთიერთმანეთში რევდა. სახელოვანს ისტორიკოსს ამგვარი შეცდომა უეჭველია იმიტომ უნდა მოსვლოდა, რომ იმ დროს ერისთავობა და მთავრობა უკვე საგვარეულო თანამდებობად იყო ქცეული,—თუმცა ვახუშტმა ისიც კარგად იცოდა, რომ წინად „ერისთავნი დაიდგინებოდნენ—მთავარნი და წარჩინებულნი და ძენი მათნი — შეცვალებით“ (იქვე, ბროს. 12, ბაქ. 4—5, ჯან. 6),—და ამისგამო ერისთავნი და მთავარნი ვახუშტს განსაკუთრებულ წოდებრივ ჯგუფად სჩვენება.

საზოგადოდ-კი შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმოხილვაში ვახუშტს ბევრი საგულისხმიერო ცნობები აქვს შეგროვილი, სრულებით სწორე აზრი და ღრმა დაკვირვება აქვს ჩართული, არა ერთი და ორი მოვლენაა ზედმიწევნით და გასაოცარის გონებამახვილობით განმარტებული: მაგ. იქ, სადაც კერპთა დღესასწაულებია აღწერილი და ნათქვამია, რომ საქართველოში ღამისთევა და „როკვა ფერკისისა“, ანუ ფერხული ქრისტიანობის დროსაც ძველ კერპთთაყვანისმცემლობის ნაშთი იყო (ბროს. 24, ბაქ. 10, ჯან. 14), ან იქ, სადაც ახალწლისა და აღდგომის დღესასწაულის წესებია მოთხრობილი (ბროს. 32--34, ბაქ. 14—15, ჯან. 18—20), ან კიდევ, როდესაც მას საქართველოს შერეული წესები და სხვადასხვა კუთხის „აწინდელი“ წესები აქვს აწერილი და მათი სხვაობის ნამდვილი ბუნება და მიზეზი გამომჟღავნებულია (ბროს. 36—38, ბაქ. 17, ჯან. 20—22), დასასრული თუნდ იქ, სადაც ვახუშტს მთავართა და თავად-აზნაურთა ძველსა და ახალს გვარებზე აქვს საუბარი (ბროს. 30—31 და 40—48, ბაქ. 13—14 და 18—20, ჯან. 17—18 და 23—29) და სადაც ისტორიკოსს სამართლიანად აღნიშნული აქვს, რომ ძველ წყაროებში ხშირად „მრავალნი... ერისთობით იწერვიან და გვარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად“ (ბროს. 30, ბაქ. 13, ჯან. 18) და ამის გამო მათ გვარეულობის გამორკვევა ძნელია.

ყურადღების ღირსია, თუ რაგვარის საშუალებითა და რანაირის მეთოდების დახმარებით შესძლო ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა ისტორიკოსმა თავის საზოგადო მიმოხილვის დაწერა. მას ამ დარგში წინამორბედი არა ჰყოლია და არც ისეთი განსაკუთრებული თხზულება მოიპოვებოდა, სადაც ყველა ამ მიმოხილვისათვის საჭირო ცნობები თავმოყრილი ყოფილიყო. ამასთანავე მას „თავით თჳსით“ არაფერი დაუწერია, არამედ მთელი მისი მიმოხილვა რთულ სამეცნიერო შრომის ნაყოფია, ქართულ საისტორიო და სხვაგვარ წყაროების შესწავლასა, დაკვირვებასა და კვლევაზეა დამყარებული. მაშასადამე ვახუშტი ისე მოქცეულა, როგორც მოიქცეოდა თანამედროვე მეცნიერიც. მას აუღია ქართული წყაროები და იქიდგან ამოუკრებია ყველა ცნობები, რომელიც-კი მისთვის გამოსადეგი იყო და ამ

ქრონოლოგიურად და დარგებად დალაგებულ ცნობებისდა მიხედვით მას საზოგადო სურათი აღუდგენია.

ვახუშტის უმთავრეს წყაროდ რასაკვირველია ის საისტორიო თხზულებები იყო, რომელიც „ქ˜ცა"-ში არის შეტანილი. ზოგჯერ მას აღნიშნული აქვს კიდეც: „ვითარცა იტყჳს" მემატიანე „მირიანისასა და აღმაშენებელისასა ჲ (60) ათასსა მარადის მცველად მისად" (ბროს. 14, ბაქ. 5, ჯან. 7), „ვითარცა იტყჳს ორცოლეიანობასა და სამცოლეიანობასა"-ო (ბროს. 36, ბაქ. 15, ჯან. 20). მაგრამ სადაც ავტორს ამგვარი სიტყვა მოხსენებული არა აქვს, იქაც უმეტესად ცნობები ქ˜ცაზე არის დამყარებული, როგორც მაგ. ცნობები წესებზე დასაწყისითგანთაზე და პირვანდელ სარწმუნოებაზე (ბროს. 8—10, ბაქ. 3—4, ჯან. 3—5), კელისუფალთა შესახებ (ბროს. 18—22 და 38—40, ბაქ. 7—9 და 17—18, ჯან. 9—12 და 16—17), მეფეთა კურთხევის შესახებ (ბროს. 26, ბაქ. 11, ჯან. 15), მთავართა გვარებზე (ბროს. 30—31, ბაქ. 13—14, ჯან. 17—18).

ქ˜ცის გარდა მას, როგორც სჩანს, სამეფო კარის გარიგების წიგნიც ჰქონია და რასაკვირველია ვახტანგ მეფის „დასტურლამალი"-ც. ამ წყაროებიდაგან უნდა ჰქონდეს ჩვენს ისტორიკოსს ამოღებული ცნობები დარბაზობისა და საახალწლო-სააღდგომო ზნე-ჩვეულებათა და „აწინდელთა კელისუფალთა შეცვლილთა სახელთა" შესახებ.

ზოგიერთს შემთხვევაში ვახუშტს სიგელ-გუჯრებითა და სხვაამგვარ საბუთებით უსარგებლნია. აქა-იქ ეს გარემოება თვით ავტორსაცა აქვს აღნიშნული: „რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი"-ო (ბროს. 42, ბაქ. 18, ჯან. 23), „ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი"-ო (ბროს. 44, ბაქ. 19, ჯან. 25). ამავ საბუთებზედა დამყარებული რასაკვირველია თავი „მეფეთა წერილისათჳს" (ბროს. 48—50, ბაქ. 20—21, ჯან. 29).

მეთოდების მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ქართველთა პირვანდელ და უძველეს ზნე-ჩვეულებათა შესახებ ისტორიულ ცნობების სიმართლის დასამტკიცებლად, ზოგჯერ თვით ამ ძველის-ძველ ზნე-ჩვეულებათა გამოსარკვევად ვახუშტი თანამედროვე ზნე-ჩვეულებებს აკვირდება და ამ დაკვირვების წყალობით კვლევის საგნის გამორკვევას ცდილობს. ვახუშტი მაგ. მოგვითხრობს ლეონტი მროველისდა თანახმად, ვითომც ქართველებმა მინაურ არეულობათა და უცხო ერებთან აღრევის გამო „დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თჳსი... და წესნი და ჩვეულებანი თჳსნი და იქმნენ ყოველთა წარმართთა უწარმართესნი და უსჯულოესნი: რამეთუ არღარა უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყუნენ შეყოფითა... და კვალად შესძინეს ამას ზედა, რამეთუ რა მოკუდის ვინმე კაცი ანუ პრძოლასა, მეორე ივასხის და სჭამდიან; ხოლო უკეთუ არა თჳთ შესჭამდიან, ვითარცა იტყჳს: «კარსნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღემ-

დეა... შემდგომად შემოვიდა ალექსანდრე მაკედონელი. ამან მოსრნა შემოსრულნი წარმართნი სრულიად, თჳნიერ ქართლოსიანთა... და განწმინდა საქართველო ესევითართა უკეთურებთაგან, რამეთუ გვამცნობენ სარკინეთით[1]) ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა ამას ზედა დგანან, თჳნიერ კაცის ჭამისა“-ო (ბროს. 6—8, ბაქ. 3, ჟან. 3—4).

მეტად საგულისხმიეროა ვახუშტის ზემომოყვანილი მსჯელობის მიმდინარეობა. ქართული საისტორიო წყარო, რომელიც ლეონტი მროველის კალამს ეკუთვნოდა, ქართველთა უძველეს რწმენისა და ზნე-ჩვეულებათა შესახებ მოუთხრობდა, რომ ქართველები თავდაპირველად ერთის ღმერთის თაყვანისმცემელნი იყვნენ, ხოლო შემდეგ მამა-პაპათა რწმენა დაივიწყეს და მაშინ „ცოლქმრობისათჳს არღარა უნდა ნათესავი და ყოველსა სულიერსა ჭამდეს, საფლავი არა იყო, მკუდარსა შესჭამდეს“-ო (ლეონტი მროველი. ც˝ა მეფ˝თა *126, გვ. 13). ჩვენი ისტორიკოსიც იმეორებს თავის წყაროს ცნობას, მაგრამ ამასთანავე გვამცნებს, რომ ეს ცნობა სწორე და ჭეშმარიტია და ამის დამამტკიცებელ საბუთად მას ხალხის თანამედროვე ზნე-ჩვეულება მიაჩნდა: რომ ქართველებს უძველეს დროს მართლაც ასეთი ყოფა-ცხოვრება უნდა ჰქონოდათ, ამას „გვამცნობენ... დიდონი, რომელნი აწამდე წესსა ამას ზედა დგანან“-ო, ეხლაც ისეთივე ველურები არიან და იმავ საფეხურზე დგანანო.

ვახუშტის ლოღიკური მსჯელობა ამგვარია: დიდონი... არიან წილნი ლეკოსისა (გგრ˝ფა ბროს. 324, ჟან. 168), რომელიც ქართლოსის ძმად ითულებოდა,—ამგვარად დიდონი ქართველთა ნათესავები არიან. ხოლო „იტყჳან, ოდეს დიდმან ალექსანდრემ შემუსრა სარკინეთი, განხვრიტეს მთა იგი ამათ, მოვიდნენ და დაეშენნენ აქა“-ო (გგრ˝ფა, ბროს. 326, ჟან. 169). ამ დიდოებმა კი ეხლაც „არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა სჭამენ; მოკვდის მამა თჳსი მცირესა ძესა თჳსსა ცოლსა და ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე, თჳთ მამა თანაეყოფის აღრევითა დედაკაცსა მას, ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა: ნახევარს მისცემს ძესა და არს ძე ძისა მისისა და ნახევარს დაიპყრობს თჳთ და ძმა არს ძისა მისისა, ქალის ქრმისა“-ო (გგრ˝ფა ბროს. 326, ჟან. 170). ერთი სიტყვით, ძველ ქართველებსავით არ „უწყოდნენ ნათესავნი და შერეულ იყვნენ შეყოფითა“. ამის გამო ვახუშტს დაუსკვნია, დიდონი ქართველებთან ერთობის დროითგან მოყოლებული „აწამდე წესსა მასზედა დგანან“ (გგრ˝ფა, ბროს. 6—8, ჟან. 4), „მიერითგან არიან მასვე რჯულსა და წესსა ზედა, ვითარცა ჩანს ქცევა-ზნეთა მათითა“-ო (იქვე

[1]) მ. ჯანაშვილს და სხვებს შეცდომით „სარკინოზით“ აქვს, უნდა იყოს „სარკინეთით“, შეად. ვახუშტის გეოგრაფიის გვ. 169. ეს შეცდომა უკვე დ. ბაქრაძემ შენიშნა (ვახუშ. ს˝ქს ისტორია).

ბროს. 326, ჯან. 169). მაშასადამე სახელოვანმა ისტორიკოსმა იცოდა, რომ ზოგიერთი ხალხური თანამედროვე ზნე-ჩვეულება და რწმენა შეიძლება ერის უძველეს-დროინდელ ყოფა-ცხოვრების ნაშთი იყოს. ვახუშტი ამასთანავე აკვირდებოდა ხალხის თანამედროვე ზნე-ჩვეულებას და ქართველ ერის პირვანდელ ხანის დამსურათებელ საისტორიო თხზულების ცნობებს ადარებდა და როცა მათ შორის მსგავსებასა ჰპოულობდა, მაშინ ხალხური რწმენა ან ჩვეულება „მიერითგან“ უძველეს-დროინდელ ხანის ნაშთად მიაჩნდა, ხოლო ისტორიის ამგვარ ცნობებსაც ჭეშმარიტად სთვლიდა.

განსაკუთრებით საგულისხმიერო არის, რომ ვახუშტი, როგორც უკვე დავრწმუნდით, ქართველთა უუძველეს კულტურულ მდგომარეობის გამოსარკვევად ხალხურ ანდაზებითაც-კი სარგებლობდა და თანამედროვე ხალხური ანდაზები ერის ძველისძველ მდგომარეობის გამომხატველ სიტყვიერ ნაშთად მიაჩნდა.[1]) ამგვარს მეთოდს თანამედროვე მეცნიერებაც ხმარობს ხოლმე და თუ წესიერად არის ნახმარი, საუცხოვო შედეგის მოტანა შეუძლიან.

საზოგადოდ ვახუშტი არა ერთხელ ცდილობს ხალხის თანამედროვე ცხოვრება-ჩვეულებაში ერის ყოფა-მდგომარეობის ძველის-ძველი ნაშთი ჰპოვოს და ამისდა მიხედვით ქართველთა თავდაპირველ სარწმუნოებისა და ყოფა-ცხოვრების სურათი აღადგინოს. მაგ. იგი ამტკიცებს, რომ კერპთ-თაყვანისმცემლობის დროს ქართველებმა „უწყოდიან დღესასწაულნი კერპთა, ღმერთთა ოჯსთა... და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერკისითა, პყრობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე... ხოლო ჟამსა ქრისტეანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესევითარივე იყო განცხრომა-როკვანი. ამისთჳს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან (sic) მუნ, ვითარცა აწ ფერკისა სიმღერითა გაათენიან“-ო (გგრ´ფა ბროს. 24—26, ბაქ. 10—11, ჯან. 14).

ვახუშტი ამტკიცებს აგრეთვე, რომ ქართველები თავდაპირველად „ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ, სკამთა ზედა სხდიან, ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, ვითარცა აწ მთის კაცნიცა“-ო (იქვე ბროს. 22, ბაქ. 9, ჯან. 12).

---

[1]) რასაკვირველია ვახუშტს ამ შემთხვევაში ხემომოყვანილი ანდაზა კარსნელთა შესახებ სწორედ ვერ გაუგია და ის ანდაზა ქართველთა კაციჭამიობის დამამტკიცებელი-კი არ არის, არამედ შურის და სისხლის ძიებისა. ანდაზის აზრი ამგვარია: კარსნელებს კოდმანელებისათვის 5 კაცი მოუკლავთ და კოდმანელებს თავიანთ მკვდრების სისხლი არ აუღიათ და კოდმანელებს 5 მკვდარი, ე. ი. 5 კაცის სისხლი მართებთო. მაგრამ თვით მეთოდი სწორეა და ეს გარემოებაა სწორედ საყურადღებო.

ვახუშტს ისიც-კი აქვს აღნიშნული, რომ ზოგიერთი ხალხური ზნე-ჩვეულება განზრახ იყო მოშლილი და ამოფხვრილი. მაგ. მიცვალებულის დატირებისა, გლოვისა და დასაფლავების ბევრი ძველი წესი თურმე „მოშალა ჟა (91) მეფემან გიორგიმ, რაჟამს მოვიდა მისა პატრიაქი იერუსალიმისა“-ო (იქვე, ბროს. 24, ბაქ. 10, ჟან. 13).

დიდებულ ისტორიკოსის გონებამახვილმა და ღრმა აზროვნობამ ქართველ ერის წარსულ ცხოვრების ისეთ სფეროსაც-კი მიაქცია ყურადღება, როგორიცაა ქართველთა სამოსელისა, თავსაბურავისა და ფეხსაცმელის ისტორია. ქართულ მწერლობაში წინათ ამ საკითხისათვის არავის ყურადღება არ მიუქცევია. ამ საქმეშიაც ვახუშტმა თავოსნობა გამოიჩინა, ამ შემთხვევაშიც პირველობა მას ეკუთვნის. მას ჯერ მოკლედ, მაგრამ მაინც მკაფიოდ და ნათლად ქართველთა თავის-დროინდელი ჩაცმულობა აქვს აღწერილი, შემდეგ ძველებური საბურავ-ტანთსაცმელ-ფეხთსაცმელი აქვს დახასიათებული. ვახუშტმა კარგად იცის, რომ ქართველებს „პირველ, ერთმეფობასა შინა, სცმიათ სხვა-გვარ“, ვიდრე მის დროს ეცვათ (იქვე, ბროს. 64, ბაქ. 27, ჟან. 37). ამის გამო ძველებური ჩაცმა-დახურვაც მას შესაფერის სიცხადითა და დაკვირვებით აქვს დასურათებული. მკითხველს ალბად უნებლიედ თავში აზრი გაუელავს, მერე საითგან უნდა სცოდნოდა ვახუშტს ქართველთა ძველი ტანისამოსი და თავსაბურავ-ფეხსაცმელიო?. მართლაც-და ეს საკითხი საყურადღებოა და მეთოდოლოგიურადაც დიდმნიშვნელოვანი არის.

როგორც ყოველთვის აქაც ვახუშტს დაუსაბუთებლად არა აქვს რა ნათქვამი და თავის აღწერილობის სიმართლის დასამტკიცებლად იგი ამბობს: ძველად ქართველებს ამგვარად ეცვათ და ეხურათო, „ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა“-ო (იქვე, ბროს. 64, ბაქ. 27, ჟან. 37). მაშასადამე მეცნიერ ბატონიშვილს ქართულ ისტორიულ ჩაცმა-დახურვის გამოსარკვევად საისტორიო მხატვრობისათვის მიუმართავს, ეკლესიების კედლებზე და ხელთნაწერებში შენახულ ძველ სურათებისდა მიხედვით გამოურკვევია მას ეს დიდმნიშვნელოვანი და საგულისხმიერო საკითხი. საუცხოვო და ამასთანავე თითქმის ერთად-ერთი მეთოდოლოგიური საშუალება არის!

ვახუშტის ღვაწლი მეცნიერების ამ დარგშიაც იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველად მიაქცია ამ საკითხს ყურადღება და მერმინდელ მკვლევართ თვით ის გზაც უჩვენა, რომლითაც სიარული მათ დიდს და ძვირფასს მასალას შესძენდა. მაგრამ ქართული მერმინდელი საისტორიო მწერლობა (XVIII-XIX საუკ.) იმდენად სუსტი იყო, რომ ამ დიდ საქმის განგრძობა ვერ შესძლო. ჯერ კიდევ 1885 წელს დ. ბაქრაძე ამ საგანზე ამბობდა: იგი „აქამომდე არ არის შესწავლული და ამისათვის რა გვარი ტანსაცმელა ყოფილა «ერთმეფობის დროს», ანუ უწინ, ამაზე ჯერჯერობით ვერას ვიტყ-

ვით“-ო (ვახუშტის საქ. ისტორიის გვ. 27, შენ. 1). ქართულ თანამედროვე მწერლობაში ამ გამოკვლევის გარდა, რომელიც ამ წიგნის ავტორის ჯერ დაუბეჭდავ „ქ̃ლ ხელოვნების ისტორია“-ში არის შეტანილი, მეტი ჯერ-ჯერობით არაფერია გაკეთებული. ეს გარემოებაც საუცხოვოდ ამტკიცებს ვახუშტის სიდიადეს და იმასაც, თუ რამდენად უსწრო მან თავის დროს და ხანას.

ბატონიშვილ ვახუშტის დიდ ღირსებად აგრეთვე უნდა ჩაითვალოს, რომ ის ყველა თავის საისტორიო წყაროებს ასახელებს. მას წყაროების ნუსხა აქვს შედგენილი და „სახელნი წიგნებთა“ (sic) მოყვანილია საისტორიო თხზულების ბოლოში. იგი ამბობს: „ქორონიკონები ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნებთა შინა და სახელები წიგნებთა არიან ესენი: იმერული ძველი გარიგების წიგნი, დავითნი მესხური ხუთ წიგნად განყოფილი, იმერული სძილისპირი ეტრატისა, ტლაშაძის აღმოწერილი ქორონიკონები, გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხვათათა, ქართლის ცხოვრებათაგან ძველთა და ახალთა და სხვათა ჟამნ-კანონთაგან, სახარებათა და საეკლესიო წიგნებთაგან (sic) და სპარსულთა ქორონიკონებთაგან აღმოწერილთა არიან ესენი, თათრული შიგ უწერია“-ო (ქ̃ცა II, ჩუბ. გვ. 237, ჭიჭ. გვ. 360).

თუმცა ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ზოგს ისტორიკოსს თავისი წყაროები მოხსენებული აქვს (მაგ. გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს), მაგრამ წყაროების სრული ნუსხა ცალკე და საგანგებოდ მხოლოდ ვახუშტს აქვს მოყვანილი. ამასთანავე განახლების ხანის ისტორიკოსთა შორის ამ მხრივ იგი სხვებზე მაღლა სდგას იმიტომ, რომ ფ. გორგიჯანიძეს და ვახტანგის სწავლულ კაცებს მარტო დარგები აქვთ აღნიშნული, ვახუშტს-კი თავის ნუსხაში თვით წყაროების სათაურებიც მოუხსენებია. მთელ ქართულ საისტორიო მწერლობაში იგი მხოლოდ გიორგი მთაწმიდელსა და ეფრემ მცირეს ჩამოუვარდა იმ მხრივ, რომ მათ წყაროები უფრო ნიშანდობლივ აქვთ დასახელებული იქვე, სადაც ამა-თუ-იმ წყაროთგან ამოღებული ცნობაა მოყვანილი, ვახუშტს-კი ამგვარად თავისი თხზულება მხოლოდ აქაიქ და უფრო იშვიათად აქვს დასაბუთებული და ამის მაგიერ მას თხზულების ბოლოში წყაროების საზოგადო ნუსხა დაურთავს.

ვახუშტის მეორე დიდ ღირსებად უნდა ვიცნათ, რომ მან ყოველგვარ საბუთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა და საქართველოს ისტორიისათვის უხვად სარგებლობდა. თუმცა ამ ხრივ თაოსნობა მას-კი არ ეკუთვნის, არამედ თვით ვახტანგ VI და მის „სწავლულ კაცებს“, რომელთაც სიგელ-გუჯრები შეჰკრიბეს და იქითგან ამოღებული ცნობები თავიანთ შრომაში შეიტანეს, მაგრამ სიგელ-გუჯრების არსებითი მნიშვნელობა XIV-XVII სს—ების საქართველოს ისტორიისათვის მხოლოთ ვახუშტმა გამოარკვია: მხოლოდ მან სცნო საბუთები განსაკუთრებულ ნდობის ღირსად, როდესაც სხვა წყაროების ცნობებს ცხადი შეუთანხმებლობა ეტყობოდა.

საკმარისი იყო სახელოვანს ქართველს მეცნიერს კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა, რომ მას სრულ ჭეშმარიტებამდის მიეღწია. მაგრამ მას ეს ნაბიჯი არ გადაუდგამს და სწორედ ეს იყო, რომ ვახუშტის მუშაობას ამ მხრივ ზოგჯერ სასურველი შედეგი არ მოჰყოლია და აქა-იქ შეცდომაც ჩაუდენინებია. ვახუშტი საბუთებისადმი გადამეტებული ნდობით იყო გამსჭვალული და თითქოს ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ საბუთი შეიძლება ან ყალბი იყოს, ან მერმინდელ გადამწერის მიერ, თუ რომ ისტორიკოსს საბუთის დედნის მაგიერ მხოლოდ პირი ჰქონდა ხელთა, დამახინჯებული და უვარგისი ყოფილიყო.

ძველ საქართველოშიაც რომ ყალბი საბუთები მოიპოვებოდა და მათი პატრონები ამ საბუთებს ნამდვილ და „მოუდევარ" სიგელ-გუჯრებად ასაღებდენ, ამის შესახებ ცნობებიც მოგვეპოვება. თ. ჟორდანიას „ქრონიკებ"-ში ერთი მე-XV-ე საუკ., ალბად კახთა მეფის ალექსანდრეს ქართლისა კათოლიკოსის შიოსადმი ნაბოძები „სიგელი და ნიშანი" არის გამოქვეყნებული, რომელშიაც ნათქვამია, რომ მცხეთის საკათალიკოზო საყდრის მამულების მოსამზღვრენი შემოსცილებიან და მიწების დაჩემებას ლამობდენ და მათ შორისა „ჭავჭავაძესა ფაროდინს ზეკნელის ძისა პროკოპისთჳს ნატყუარი სიგელი დაეწერინა ვანათისა, ვარცისა და დუმასტურნისა და რაგვარცა ტყუილი იყო, აგრე გავაცუდეთ"-ო (ქრ. II, 244). მაშასადამე ყალბ საბუთს მაშინ „ნატყუარი სიგელი" რქმევია და ამგვარ საბუთების პატრონნი სასამართლოს არ მოჰრიდებიან და იქაც წარუდგენიათ, რომ ამ გზით საქმე მოეგოთ.

საქართველოში ყალბი საბუთების არსებობა ვახტანგ VI კანონებითგანაც ნათლად სჩანს. იქ საგანგებოდ განსაზღვრულია კიდეც, რომ სასამართლოში მოტანილი საბუთები მოსამართლეებმა თავდაპირველად უნდა გულდასმით განიხილონ, საბუთს „გაუსინჯონ ბეჭედი, ქორონიკონი, დამწერი და მოწამე ამიტომ რომე ბევრს ტყუილადაც მოიგონებენ"-ო (§ 143, შეად. აგრეთვე § 213).

რაკი ზემომოყვანილ ცნობებითგან ცხადად მტკიცდება, რომ ძველ საქართველოშიაც „ნატყუარი" საბუთები მოიპოვებოდა, ამიტომ ჩვენთვის დღესავით ნათელი უნდა იყოს, რომ მკვლევარმა საბუთებითაც ფრთხილად უნდა ისარგებლოს, მაინც-და-მაინც თავდაპირველად მათი ღირსება უნდა გამოარკვიოს, ხოლო შემდეგ მათ ცნობებით ისარგებლოს. ვახუშტსკი ამ გარემოებისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუპყრია და საბუთებისადმი გადამეტებულს ნდობას წაუტყუებია. იგი ხშირად სარგებლობს და უტყუარ საბუთად მოჰყავს მაგ. ბარათიანთ გუჯარი (იხ. უწყებულება მკითხველთათჳს, ჩუბ. გვ. 3, 5, 8 და სხვაგან. ჭიჭ. 6, 9, 12 და სხვაგან). ეს საბუთი ე. თაყაიშვილმა გამოსცა (იხ. **Еще один изъ источниковъ «Исторіи Грузіи» царевича Вахушта ЗВОРАО, ტ. VIII,** გვ. 113—127) და

თუმცა ვახუშტს ბარათიანთ ბეთანიის გუჯრის თვით დედანი ჰქონია ხელთა, რომელიც უეჭველია შენახულ პირზე უკეთესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ გამოცემულ პირითგანაც ნათლად სჩანს, რომ ეს გუჯარი თუ პირდაპირ „ნატ-ყუარი“ საბუთი არ არის, მაინც ნამდვილი და უტყუარადაც ვერ ჩაითვლება და ისტორიისათვის სრულებით გამოუდეგარია, რადგან ზღაპრულს ცნობებს შეიცავს.

თუ გავიხსენებთ, რომ ეხლაც-კი ქართულ საისტორიო მწერლობაში საბუთების სინამდვილეს და უეჭველობას არავინ აქცევს ყურადღებას და ეხლაც არა ერთი და ორი „ნატყუარი“ სიგელ-გუჯარი ნამდვილ და ჭეშმარიტ საბუთად არის ცნობილი, მაშინ ცხადი იქმნება ჩვენთვის, რომ ვახუშტს ეს ნაკლი უფრო მიეტევებოდა.

ზემომოყვანილ ვრცელ განხილვის შემდგომ ვახუშტის დიადი ღვაწლი საქართველოს და ქართულ საისტორიო მეცნიერების წინაშე თვალწინ წარმოგვიდგება. ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველმა მან შექმნა მძლავრი კრიტიკული მიმართულება. წყაროებისადმი წინანდელ სრულ და განუსაზღვრელ ნდობის მაგიერ, იგი გაბედულად მათ კრიტიკულს განხილვას შეუდგა, მათი სხვადასხვაგვარი ნაკლულევანება გამოააშკარავა და შეძლებისდაგვარად შეასწორა. ვახუშტის თამამმა და საფუძვლიანმა კრიტიკულმა განხილვამ ქართველ იმდროინდელ მეცნიერებსა და ისტორიკოსებს დაანახა, რომ ქ˝ცა და ვახტანგის სწავლულ კაცთა ნაშრომი არც ყოველის მხრივ იყო სრული და არც უალრეს ჭეშმარიტების განხორციელებად ჩაითვლებოდა ყველგან და ყველაფერში, არამედ რომ აქა-იქ ცნობებიც აკლდა (ქ˝ცა-ს) და შევსებაც ესაჭიროებოდა, ბევრგან ისეთი შეცდომებიც იყო შეპარული (ქ˝ცის გაგრძელებაში), რომელთა გაუსწორებლობა მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩათვლილიყო. თუ ამასთანავე გავიხსენებთ ვახუშტის სწორუპოვარს საქართველოს გეოგრაფიულს აღწერილობას და მის შესანიშნავს საქართველოს ისტორიულ-ფილოსოფიურ საზოგადო მიმოხილვას, მაშინ მისი სიდიადე უცილობელი იქმნება ჩვენთვის და XVIII-ს. ქართულ მწერლობაში ნამდვილ უებრო ბუმბერაზად წარმოგვიდგება.

ქ˝ცის გაგრძელების გადაკეთება.

სახელოვანმა მეცნიერმა ბატონიშვილმა ვახუშტმა, როგორც უკვე ვიცით, „სწავლულ კაცთა“ მიერ შედგენილი შრომა მკაცრად განსაჯა და სრულებით უვარგისად სცნო: იმდროინდელ განათლებულ ქართველ საზოგადოებას ნათლად

დაანახვა, რამდენი შეცდომები იყო შეპარული ამ შრომაში. ამის გამო ვახუშტმა როგორც ვიცით თითონ შეადგინა საქართველოს ისტორია გიორგი ბრწყინვალითგან მოყოლებული თავის დრომდის, რომელშიაც მატიანისებური ელფერი და თვით წყაროების ცხადი კვალი თითქმის სრულებით წარხოცილია და ისტორიის სახით არის შედგენილი.

უეჭველია, ვახუშტის მკვეთრი და სამართლიანი კრიტიკის ზეგავლენით აიხსნება ის გარემოება, რომ ვიღასაც ჯერ ჩვენთვის უცნობს ისტორიკოსს ქ˝ცის გაგრძელება თავითგან ბოლომდის სრულიად გადაუკეთებია და ხელახლად დაუწერია. ეს ის თხზულებაა, რომელიც პირველ და მეორე ქ˝ცის გაგრძელებად, აგრეთვე შედგ ქ˝ცად არის ცნობილი და ე. თაყაიშვილმა ხელახლად დაბეჭდა მ˝მ დფ˝ლ ქ˝ცის დამატებად (გვ. 850—973), ხოლო „პარიზის ქრონიკის“ სახელით ცნობილი მატიანე პროსეს გამოცემითგან ზ. ჭიჭინაძემ გადმობეჭდა (ტფილისი 1903 წ.).

ქ˝ცის გადაკეთებული პირველი და მეორე გაგრძელება 1605 წლამდე არის მოყვანილი და ამაზე სწყდება (Опис. I, 91 და დამატ. 972). „პარიზის ქრონიკა“-კი ვახტანგ VI-მდე, 1703 წლამდე არის მოყვანილი (იქვე 91 და პარიჟ. ქრ. გვ. 76).

როგორც ზევით აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე ქ˝ცის გაგრძელება), ამ ორისავე გაგრძელების აღმწერი ერთი კაცი უნდა ყოფილიყო და არა მეცნიერთა ჯგუფი. თვითოეულს თხზულებას ცალკე შემდგენელი ჰყოლია. მაშასადამე თვით მუშაობაც „სწავლულ კაცთა“ ნაწარმოებისაგან არსებითად განსხვავდებოდა: იქ ჯგუფობრივ ერთობლივ მოღვაწეობის ნაყოფი იყო, აქ-კი თითო ადამიანის პირადი შრომაა. ამას გარდა საკმარისია „სწავლულ კაცთა“ თხზულება და (პირველი და მეორე) გაგრძელებანი გულდასმით გადაიკითხოს ადამიანმა, რომ ცხადად დარწმუნდეს, თუ რა არსებითი განსხვავებაა მათ შორის. ამიტომ ე. თაყაიშვილი შემცდარი უნდა იყოს, როდესაც ჰსურს ეს გაგრძელებანიც ვახტანგისეულად აღიაროს და ამტკიცებს, ვითომც აქ მხოლოდ აქა-იქ ტექსტი ყოფილიყოს ვახუშტის ბრძანებისაებრ გადაკეთებული[1]) (Опис I, 132). პირიქით, როგორც ქვემოთ გამორკვეული იქმნება, აქ თავითგან ბოლომდის ყველაფერი ხელმეორედ არის გადაკეთებული.

ეს ორი გაგრძელება ნამდვილად ერთ თხზულების, ერთ გაგრძელების ორი ნაწილია. მის შემდგენელს უმეტესად იგივე წყაროები ჰქონია, რაც „სწავლულ კაცებს“:

1) იგივე სპარსთა და სომეხთა „ცხოვრებანი“, სპარსულ და სომხურ საისტორიო თხზულებათაგან ამოღებული და გადმოთარგმნილი ცნობები ლანგთემურის სომხეთში და საქართველოში შემოსევის შესახებ (შეად. ნაშრომი, გვ. 18—20 და 33 დამატ. გვ. 856, 857). თუ „სწავლულ კაცებს“

[1]) „Текстъ отчасти передѣланъ по указаніямъ Вахушти“.

ნათქვამი აქვთ: ლანგთემურის „ცხოვრება... ვრცლად წერილ არს ცხოვრებასა შინა სპარსთასა, ხოლო ჩვენ აღვსწერეთ ყოველივე მოსვლა მისი ქართლად და აოხრება ქართლისა“-ო (ნაშრომი 33), ქ˜ცის გაგრძელების ხელმეორედ გადამკეთებელიც იმავე წყაროს ასახელებს: „ვრცლად ცხოვრება მისი (ე. ი. ლანგთემურისა) წიგნთა შინა სპარსთასა განმარტებით წერილ არს და სომეხთაცა სხვებრ რადმე აღუწერიათ“-ო (დამატ. 856), „ესრეთ... ცხოვრებასა სომეხთასა განმარტებით წერილ არს“-ო (იქვე 857).

სამწუხაროდ ვახტანგის „სწავლულ კაცთა“ ნაწარმოების ხელთნაწერში ფურცლები სწორედ იმ შესატყვისს ადგილს აკლია და ამის გამო ჯერ არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, „სწავლულ კაცებს“-აც ქ˜ცის ხელმეორედ გადამკეთებლებსავით სპარსელ ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის თხზულებით უსარგებლიათ, თუ არა?

2) სწავლულ კაცებსავით (ნაშრომი 36—41) ქ˜ცის გაგრძელების ხელმეორედ გადამკეთებელსაც ბაგრატ და კონსტანტინე მეფეთა „ცა“-ც ხელთა ჰქონია (დამატ. 892,899, 900—903). იმათსავით (ნაშრომი 47—50) ამასაც (დამატ. 905—912) ცნობები კახეთის ისტორიისათვის რომელიღაც კახურ მატიანითგან უნდა ამოეღოს. იმათსავით (ნაშრომი 46—47) მასაც (დამატ. 905) ხელთა ჰქონია გელათური მატიანე. სამწუხაროდ „სწავლულ კაცთა“ ნაწარმოების ხელთნაწერში შესატყვისი ფურცლები აკლია და ამის გამო ჯერ არ ვიცით, მათაც ქ˜ცის გაგრძელების გადამკეთებელსავით მესხური დავითნის მატიანით უსარგებლიათ, თუ არა?

ის მაინც ცხადია, რომ სწავლულ კაცებსავით ქ˜ცის გადაკეთებულ გაგრძელებისა და ე. წ. „პარიზ. ქრ“-ის შემდგენელთ იგივე მესხურ დავითნის მატიანე ჰქონიათ წყაროდ, რომელიც შესაძლებელია ამ მატიანის დაკარგული ნაწილი იყოს (იხ. აქვე გვ. 222—230, მესხურ დავითნის მატიანე). ამ აზრს შემდეგი შედარება დაამტკიცებს:

„სწავლულ კაცთა“ ქ˜ცის გაგრძ.:	ქ˜ცის გადაკეთებული გაგრძელება:
„შერმე ვითარცა წესი არს და ჩვეულება ეშმაკისა, აღძრნა ეშმაკმან მოძულემან კეთილისამან თათარნი ქრისტიანეთა ზედან: და შეკრბა სიმრავლე ურიცხვი თურქმანთა და მომართეს სამცხეს... და ახლო ყვენმანცა ერთი თავადი და მისი ლაშქარი: ჩაუდგეს სამცხეს და ავარ ყუეს ქვეყანა მათი: მოადგეს ციხესა ახალ-	„შერმე ვ˜ა წესი არს და ჩვეულება ეშმაკისა, აღძრნა ეშმაკმან მოძულემან კეთილისამან თათარნი ქრისტიანეთა ზედა, შეკრბა სიმრავლე ურიცხვი თურქმანთა და მომართეს სამცხეს... და უბრძანა ერთსა თავადსა და ლაშქარსა მისსა რათა ჩაუდგეს სამცხეს: ჩაუდგნენ და მოიცვეს სრულიად და ავარ ყვეს ქვეყანა სამცხო-

ციხესა ბრძოდეს დიდხანს: და ვერ-ღარა დაუდგნა სიმაგრემან, გატეხეს და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს ხელ-თა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი“ და შემდეგი (ნაშრომი 38).

სა: და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალციხისასა, ჰბრძოდეს დიდ-ხან და ვერღარა დაუდგნა სიმაგრე-მან, გატეხნეს ციხე და დაწვეს ქალა-ქი და იპყრეს მესხთა დარბაისელნი ციხოვანნი“ და სხვა (დამატ. 898).

დასასრულ, „სწავლულ კაცებ“-სავით, რომელთაც ალექსანდრე მეფისა და „მის ჟამისა“ ისტორიისათვის „ძველთა გუჯართა“ ცნობებით ისარგებლეს (ნაშრომი 36 და 34—35) ქ̃ცის გაგრძელების გადამკეთებელსაც ალე-ქსანდრე მეფის საბუთები ჰქონია წყაროდ (დამატ. 888—890).

მაგრამ ამ საერთო მასალებს გარდა ქ̃ცის გაგრძელების გადამკეთე-ბელს სხვა, ახალი წყაროებიც შეუგროვებია და თავის შრომაში შეუ-ტანია, მაგ. „ძეგლი ერისთავთა“, რომლისაგან ამოღებულ ცნობითაც იწ-ყობა სწორედ ქ̃ცის გადაკეთებული გაგრძელება (შეად. დამატ. გვ. 850—855, 857 და 858 ქ̃ვბს II, 5—11 და 15).

მხოლოდ თავდათავს განსხვავებას „სწავლულ კაცთა“ თხზულებასა და ქ̃ცის გადაკეთებულ გაგრძელებას შორის წყაროების სხვაობა-კი არ შეა-დგენს, არამედ თვით სამწერლობო მუშაობის თვისების სხვაობა. „სწავლულ კაცთ“ საისტორიო წყაროებითგან და საბუთებითგან უმეტეს შემთხვევაში მხო-ლოდ ცნობები აქვთ ამოკრებილი, თვით ამონაწერებში საბუთების დედნის ენა-კი დაცული არ არის, არა ერთხელ დამახინჯებულიაკიდეც. ქ̃ცის გაგრძე-ლების გადამკეთებელსა და შემავსებელს მთელი ეს შრომა ხელმეორედ გაუწევია: იგივე მასალები და საბუთები აულია, თვით საბუთების რი-ცხვიც გაუმრავლებია, უფრო მეტი ცნობებიც ამოუღია, ამასთანავე ამო-კრებილი ცნობებიც დედნებითგან სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია. ეს ჩვენთვის ცხადი იქმნება, როცა განვიხილავთ, თუ როგორ არის ამ ორ თხზუ-ლებაში აღწერილი მეფე ალექსანდრე I-ის მოღვაწეობა.

„სწავლულ კაცთა“ ცნობებიც ამ მეფის შესახებ საბუთებითგან არის ამო-ღებული, მაგრამ ჯერ ერთი რომ მეტად ცოტა არის მოთხრობილი, მეორე ის რომ თვით ცნობებიც ისე სიტყვა-სიტყვით არ არის მოთხრობილი, რო-გორც დედანშია. აი ალექსანდრე მეფის შესახებ იქ რა სწერია: „დაჯდა... ალექსანდრე ქრისტეს აქათ ჩუიბ (1412): და იყო მას ჟამსა შინა კო̃ზი და-ვითი: და მოკუდა კზ̃ი დავით და დაჯდა ელიოზ: მოკუდა ელიოზ კ̃ზი: და დაჯდა თეოდორე: მოკუდა კო̃ზი თეოდორე და დაჯდა შიო: და ამა ალექ-სანდრე მეფემან მატა სხვათა მეფეთა ქართლისათა სიკეთითა: რამეთუ იყო კაცი მეცნიერი და მოშიში ღვთისა და ჰლმობდა გული მოხრებისათვის წმი-

დისა კათოლიკე ეკლესიისა: და არა ჰქონდა ღონე აღშენებისა: ამისთჳს რომე ქუეყანა ლანგთემურისაგან მოოხრებული იყო: საუნჯე არღარა ჰქონდა: მოიპოვა ღონე ესევითარი და დაზდვა (sic) იმერთა და ამერთა, ზემო-ქართლსა და კახთა კომლზედ ექუსი შაური. ყოველს წელიწადს ამა მალს გამოართმევდა: და ამით იწყო შენებად მცხეთისა: და რუის (sic) ღვთაებისა საყდრისა: და დაშვრებოდა დიდად: და ხანსა რაოდენსამე შინა აღასრულა და შეამკო ყოვლითა სამკაულითა: და შესწირნა სოფელნი და აგარაკნი. იმერთა და ამერთა, ზემოქართლისა და კახთა: და იმეფა კეთილად და მშვიდობით: და ხანსა რაოდენსამე შინა გარდაიცვალა ამიერ სოფლით" (ნაშრომი გვ. 34—35).

ქ̃ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში ალექსანდრე I მეფობა ვრცლად არის აღწერილი და მრავალ საყურადღებო ცნობებითაა სავსე, რომელნიც, როგორც უკვე თ. ჟორდანიამაც აღნიშნა (ქ̃ები II, 219), ამ მეფის სიგელებითგან არის ამოღებული. რომ ამ აზრის სიმართლე სრულებით ცხადი იყოს, ქვემოთ მოყვანილი იქმნება ქ̃ცის გადაკეთებულ გაგრძელების ცნობები ალექსანდრე მეფის შესახებ და გვერდით თვით იმ საბუთებითგან ამოღებული შესატყვისი ამონაწერები იქმნება, რომლებიდანაც თვით გადამკეთებელ[1] უსარგებლია. ალექსანდრე I მეფობის დასაწყისი მას ისევე სიტყვა-სიტყვით ამოუწერია „სწავლულ კაცთა" თხზულებითგან, როგორც ზემომოყვანილს ამონაწერშია. მაგრამ შემდეგ-კი სურათი იცვლება. აი ამის დამამტკიცებელი რამდენიმე მაგალითიც:

ქ̃ცის გადაკეთებული გაგრძელება.

..."დაჯდა... ალექსანდრე ქ̃კსა რა (გვ. 887)... იყო მაშინ ყოველი ესე საქართველო უსჯულოსა თემურისაგან უნუგეშოსცემოდ განსრული და სრულიად აოკრებული დედა-ქალაქი მცხეთა, დიდი წმიდა კათოლიკე ეკლესია და აგრეთვე ყოველნივე ეკლესიანი, საყდარნი და ციხენი ყოველნივე ს̃დ საფუძვლითურთ დაექცია და მოეოკრებინა და ყოველნი სულნი ქრისტიანენი დედაწულითურთ ტყვე ექმნა. ესე (მეფე ალექსანდრე) ივარ ნაქმარ ქართლზე მეფე იქმნა: ამის მეფობამდე მუდმივი ტყვენვა, რბევა და მოოკრება ჰქონდა ქვეყანასა ჩვენსა, რომელ ქართლი დიდად შემცორებულიყო მრავლის ტყვენვისა და რბევისაგან და არა სადათ აღუჩნდა

ალექსანდრე I სიგელები:

..."ქ̃კსა რა: მეფედ დავჯედ [ყოველი საქართ]ველო თემურისაგან [აოკრებული] და ქართლი უნუგეშოსცემოდ განსრული დაგჳნუდა, ესრეთ რომელ უსჯულო [იგი შემოვიდა] საქართველოს ქ̃კსა: ჳ̃ჲ: და ვიდრე ჩ̃ნად მეფობისა დაჭირვადმდე ესრეთ გ[ან]სრულ[იყო]... თავად დედაქალაქი მცხეთ· და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს ყოველნი დაექცივნეს საფუძვლითურთ და ს̃დ საქართველო ტყუე ექმნეს და ჩუენის მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა: და მოოკრდა და ივარ იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ჰქონდა: და... ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და გან-

ნუგეშინის მცემელი. ვ˜ემდის არა მეფე იქმნა დიდი ალექსანდრე: ამან იწყო ბრძოლა ურჯულოთა მათდა მრავლის ბრძოლითა და ზეგარდამო შემწეობითა განასხნა ყოველნი ურჯულონი საზღვართაგან საქართველოსათა“: (დამატ. გვ. 888).

…„მეფის ალექსანდრეს აღმზრდელმან მრავლის ჭირნახულებითა ბებია მისმან ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე ყოფილმან რუსა, ამან იწყო მრავლის ღვაწლითა და გულისმოდგინეობითა აღშენებად წმიდისა სვეტის ცხოველისა: პირველად მოკაზმა დაიწყო შენებად სვეტთა საყდრისათა და ვერღარა სრულჰყო აღშენება მისი, ეგრეთ მიიცვალა ამიერ სოფლით: და ვითარ მეფე ალექსანდრე, ეგრეთვე იგულა და იგულისმოდგინა. ოცდა ოთხისა წლისამან იწყო აღშენებად სვეტისა ცხოველისა. და აწ ახლად აღაშენა და განავრცო და განასრულა და ყოვლითა მოკაზმულობითა შეამკო და განაშვენა და დაადგინა პატრიარქად მიქაელ“ (დამატ. გვ. 888—889).

„ქ˜კსა რით: მეფემან ალექსანდრე ლორე აიღო:

და კ˜დ ინება აღშენება ყოველთა საქართველოს ციხეთა და საყდართა. აღაშენნა და განავრცნა: მას ჟამსა შემოსავალი არსაით თუ სახლისა მისისათვის და ამით საქართველოსა კვამლსა ზედა ორმოცი თეთრი მალად განაჩინა: ასოცდარვა ქ˜კნზე საქართველოს ციხენი და საყდარნი და მონასტერნი ს˜დ ახლად აღაშენნა

ვასხენ მზღუართაგან ჩუენთა“… (ალექსანდრე მეფის 1440 წ. სიგელი, ქ˜კბი II, 247–248. იხ. გვ. 247 ამ სიგელისადმი შესავალი, სადაც თ. ჟორდანიას აღნიშნული აქვს, რომ ქ˜ცას და „პარიზ. ქრ.“ აქეთგან აქვთ ცნობები ამოღებული).

…„ჩუენ… მეფეთ-მეფემან ალექსანდრე… შევსწირეთ… საალაპოდ პატრონისა სულკურთხეულისა ბებიისა ჩემისა ჩემზედა მრავალფერად ვალდებულისა და ჭირნახულისა რუსასა სულისათჳს… რომელმან გულმოდგინედ და სურვილით კელყო სამსახურებელად და აღშენებად კათოლიკე საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისა, რ˜ლ დააქციეს ტომთა აგარისათა… ამა ჟამსა შემდგომად გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სვეტთა საყდრისათა… და ამის (სიკვდილის) მიერ ვერღარა სრულ იქმნა“ (ქ˜კბი II, 220, სიგელი 1413 წ.).

…„მე მეფეთ-მეფემან ალექსანდრე ოცდაორისა წლისამან სურვილით და წადიერად კელ-ვყავ შენებად საყდრისა მცხეთისა… და ამავე ჟამსა დაადგინა პატრიარქად… ქ˜კზი მიქაელ“ (ქ˜კბი II. 226, სიგ. 1420 წ.

…„[სახელითა] ღთისათა [ლორე ციხე]… მიტაცებული… ჩუენ ვიშოვნეთ და დავიჭირენით“ (სიგ. 1435 წ., ქ˜კბი II, 242).

რაკი ჩვენ სამეფოში სრული მოუდროება გამეფდაო, მეფე ალექსანდრე ამბობს, „ვითარ ჩუენგან სათანადო იყო, ეგრეთ ვინებე და ვიგულისმოდგინე ყოველთავე საქართუელოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას ჟამს, შემოსავალი ჩუენისა სახლისა არსით რა იყო და ამად საქართუელოს კუამლსა ზედა ორმოცი თეთრი მა-

და შეამკვნა: და კვალად მისგან დადებული მალი ამანვე ამოჰკვეთა“ (დამატ. 489).

ლად განვაჩინე და ასოცდარვად ქ~კნამდე რაოდენნი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და მონასტერნი არიან, ყოველნივე ს~დ ახლად ადვაშენენ და შევამკუენ, და აწ ჩუენსავე ჟამსა მიგან ამოგჯკვეთია“-ო (სიგ. 1440 წ., ქ~კბი II, 248).

ზემომოყვანილ შედარებითგან ცხადად სჩანს, რომ ალექსანდრე მეფის დიადი მოღვაწეობის დახასიათება, რომელიც ვახტანგის „სწავლულ კაცთ“ ათიოდე სტრიქონში მოუმწყვდევიათ, ქ~ცის გაგრძელების გადამკეთებელს თავითგან ბოლომდის ხელახლად შეუდგენია: საბუთებიც მეტი აუღია და ცნობებიც დიდის გულმოდგინებითა და ზედმიწევნით ამოუკრებია. ამ გზით „სწავლულ კაცთა“ თხზულებაში დახატული მკრთალი სურათი მან გასაოცრად გააცხოველა და ალექსანდრე მეფის მოღვაწეობის სიდიადე შესაფერისი სიცხადით წარმოგვიდგინა.[1]).

ამგვარისავე თვისებისაა ქ~ცის გაგრძელების გადამკეთებელის ნამუშავარი სხვა შემთხვევებშიაც, მაგ. კახეთის ამბებისათვის მასაც იმავე კახეთში, ვგონებ ალავერდში, აღწერილ მატიანით (დამატ. 905—912) უსარგებლია, რომელიც რასაკვირველია „სწავლულ კაცებს“-აც ჰქონიათ ხელთა (ნაშრ. გვ. 47—50). მაგრამ გადამკეთებლის მოთხრობა უფრო ვრცელია, იმავე მატიანითგანაცა და სხვა წყაროებითგან ამოღებულ ცნობებით შევსებული არის, თვით ამბავიც ორგად სხვანაირადაა აღწერილი (შეად. ნაშრომი გვ. 49 და დამატ. გვ. 909 და 912).

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია ის საგულისხმიერო გარემოება, თუ რა სისწორითა და სვინიდისიერად გადმოწერილი აქვს ქ~ცის გაგრძელების გადამკეთებელს ცნობები ალექსანდრე მეფის სიგელებითგან: დედანი მას მხოლოდ იქ შეუცვლია, სადაც აუცილებლად საჭირო იყო, და მოსაუბრეს კილოთი აღწერილი სიგელების ცნობები სასაუბრო კილოდ გადაუკეთებია. იგივე თვისება აქვს მის ნამუშავარს სხვა შემთხვევებშიაც, მაგ. სადაც მას ცნობები მესხურ დავითნის მატიანითგან ამოუღია: იქაც დედნის ენა საუცხოვოდ არის დაცული.

---

[1]) მეტად საგულისხმიეროა, რომ თუმცა ვახუშტი ზოგიერთში თითქოს „სწავლულ კაცთა“ დედანს მისდევს („**კვამლსა ზედა** სამი კირმანაული, რომელ არს **ექვსი შაური**“, ვახუშტი, საქ. ისტ. ბაქრაძის გამ. 299=„**კომლზედ ექუსი შაური**“, ნაშრომი 35) და მეფე ალექსანდრეს აღმაშენებლობითი მოღვაწეობა ისე ვრცლად და საბუთების მიხედვით არა აქვს აღწერილი, როგორც ქ~ცის გაგრძელების გადამკეთებელს, მაგრამ მეფის პოლიტიკურ მოღვაწეობის შესახებ ვახუშტს ისეთი საყურადღებო ცნობებიც მოეპოვება, რომელთა ხსენება არც „სწავლულ კაცთა“ თხზულებაშია და არც ქ~ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში.

ქ˜ცის გაგრძელების გადამკეთებლის ნამუშავარის სწორედ ეს თვისება შეადგენს იმ თვალსაჩინო განსხვავებას, რომელიც „სწავლულ კაცთა“ და ქ˜ცის გაგრძელების გადამკეთებელს შორის არსებობს. და თუმცა კომპილატორობა და კომპილაციის ღირსებით საისტორიო თხზულებაზე დაბლა სდგას, მაგრამ როდესაც საისტორიო მატიანე თანამედროვეს მიერ დაწერილი არ არის, არამედ სხვადასხვა წინადროინდელ წყაროებითგან უხეიროდ შედგენილია, ამგვარს ნაწარმოებს რასაკვირველია ყოველთვის კარგად და სვინიდისიერად შედგენილი კომპილაცია სჯობია იმიტომ, რომ იქ თვით წყაროების დედანი მაინც კარგად არის ხოლმე დაცული.

ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებას მით უმეტეს აქვს ეხლა ჩვენთვის მნიშვნელობა, რომ იქ ისეთი მატიანეების ცნობებია შეტანილი, რომელნიც ან სრულებით დაკარგულად ითვლება ან ნაკლულევანად არის შენახული. რაკი ზემომოყვანილმა შედარებამ დაგვარწმუნა, რამდენად სვინიდისიერად და სისწორით აქვს ქ˜ცის გაგრძელების უცნობს გადამკეთებელს სხვადასხვა საბუთებითგან და წყაროებითგან ამოღებული ცნობები ამოწერილი, სხვა შემთხვევებშიაც, როდესაც მის წყაროების დედანი ან ჯერ აღმოჩენილი არ არის ან დაკარგულია, უფლება გვაქვს მის ნაღვაწს მეტის ნდობით მოვეპყროთ.

ზემოთ უკვე აღნიშნული იყო, რომ ქ˜ცის გადაკეთებული გაგრძელება 1605 წ. სწყდება, ხოლო ეგრედ წოდებული „პარიზ. ქრონიკა“ 1703 წ-მდეა მოყვანილი. მაშასადამე უკანასკნელი მატიანე თითქმის ასი წლის ზედმეტს ამბავს შეიცავს. საერთო ნაწილში „პარიზ. ქრ.“-საც თითქმის იგივე წყაროები ჰქონია, რაც ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებას, მხოლოდ თვით წყაროებითგან უფრო მოკლე ცნობებია მოყვანილი, თანაც გადამწერისაგან აქა-იქ დამახინჯებულია.

ხოლო უკანასკნელ ნაწილში იმ ასი წლის ამბებისათვის, რომელიც მხოლოდ „პარიზ. ქრ.“-შია აღწერილი, მემატიანეს რასაკვირველია ზედმეტი წყაროები უნდა ჰქონოდა.

ერთს მათგანს ე. თაყაიშვილი ეხება თავის გამოკვლევაში „სამი ისტ. ხრონიკა“, რომელშიაც შემდეგს ამბობს: „პარიჟის ხრონიკა მოყვანილია 1703 წლამდე. ცნობები უკანასკნელი ხრონიკისა, რომელნიც ეხებიან მეჩვიდმეტე საუკუნეს, უფრო ვრცლად არიან მოთხრობილნი და ეჭვი არ არის, რომ ესენიც უცვლელად არიან ამოღებული ისეთ ხრონიკიდან, რომელნიც მოთხრობილ ამბების თანამედროვე პირებს უწერიათ. ერთი წილი ამ ცნობებისა უსათუოდ შეიცავს დიდ მოურავის საკაძის წერილებს ან დღიურს. ეს ცხადად სჩანს იმ ადგილიდგან, სადაც მოთხრობილია მეფე ლუარსაბის გამარჯვება თათარხანზე 1609 წელს. თათბირის შესახებ ამ ბრძოლის წინ ჩვენს ხრონიკაში ვკითხულობთ: «რჩევა დავიწყეთ, რა დროს შევიბნეთ, ზოგთა თქვეს, ახლავ მიუხ-

დეთო; ზოგთა თქვეს, ზევით მიუხდეთო; ნუგზარ თქვა, დამით დავესხნათო, მთის კაცი ასე არჩევსო, ბევრჯერ გაგვმარჯვებიაო; სხვათა თქვეს, დილაზედ დაუხდეთო; დიდმან მოურავმან ვარჩიე: «ძმანო დამიჯერეთ, ეს ომი მე დამადევითო, ჩემი საქმე იქით ანდაზად დაიჭირეთო» და სხვა"... (3 ქ'რკა, გვ. CXLV). „ეს და ზემომოყვანილი სტრიქონები ეჭვს აღარ უნდა ბადავდნენ ჩვენში, რომ ავტორი ამ მოთხრობისა დიდი მოურავია, მაგრამ სად იწყებს მისი მოთხრობა პარიჟის ხრონიკაში და სად თავდება, გადაჭრით არ შეგვიძლია თქმა. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენის მოსაზრებით, ის ცნობები, რომელნიც პარიჟის ხრონიკაში დიდ მოურავის თავგადასავალს ეხებიან, თვით დიდი მოურავის დღიურიდან უნდა იყვნენ ამოღებულნი. ამიტომაც ეს ამბები დაწვრილებით და უფრო დიდი მოურავის სასარგებლოთ არიან მოთხრობილნი"-ო, ბრძანებს პატივცემული მკვლევარი (იქვე CXLVII).

მართლაც იმ ამბებს, რომელიც დიდ მოურავის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მოგვითხრობენ, ისეთი კილო აქვს, თითქოს თვით საკაძის ნაღაპარაკევი ყოფილიყოს ჩაწერილი, იგი პირველი პირით, მეობით გვიამბობს. ამიტომ ბ. ე. თაყაიშვილის აზრი, რომ ამ ადგილას პარიზის ქრონიკის შემდგენელს წყაროდ დიდი მოურავის ან წერილები, ან დღიური უნდა ჰქონოდეს, ჭკუასთან ახლოა. მაგრამ თვით ქრონიკის ამ ადგილების ტექსტის შესწავლამ დამარწმუნა, რომ ე. თაყაიშვილი ამ შემთხვევაში სცდება: ქრონიკის შემდგენელს ხელთა ჰქონია საკაძეს დღიური-კი არა, არამედ უეჭველია იოსებ ტფილელისის ისტორიული პოემა „დიდ-მოურავიანი". რომ ეს სრული ჭეშმარიტებაა, ამის დასანახავად ამ ორ თხზულების ზოგიერთ ადგილების შედარებაც სრულებით საკმარისია.

პარიზის ქრონიკაში მაგალითად ზოგიერთი ადგილი თუმცა პროზად არის ნაწერი, მაგრამ ნამდვილად-კი ლექსია, იგივე ლექსი თითქმის სიტყვა-სიტყვით, რომელიც დიდმოურავიანშია. ორს მაგალითს მოვიყვან, მხოლოდ პარიზის ქრონიკითგან ამოღებულს ნაწყვეტებს ლექსის სახედვე დავალაგებ: მეფემ რომ მოურავის გიორგი საკაძის დის ცოლად შერთვა მოიწადინა მოურავმა.

პარიზის ქრონიკით:	დიდმოურავიანით:
„შეუთვალა: «ნუ დამკარგავ აგრე ადვილ ნუ დამთმობო	„შესთვალე, თუ «ნუ დამკარგავ, აგრე ადრე ნუ დამთმობდი
როდეს გნახვენ დიდნი კაცნი შეგიკვეთენ დაგდებასა	ოდეს გნახვენ დიდნი კაცნი შეგიკვეთენ დაგდებასა
ჩემსა ცუდად დაჭერასა და სუბუქად აგდებასა	ჩემსა ცუდად დაჭერასა და სუბუქად აგდებასა
შადიმან მეავს მტერი, გეტყვის სიკვდილსა და გაგდებასა	შადიმან არს ჩემი ქიშპი გირჩევს სიკვდილს გაგდებასა
და ახლავ მიჯობს ჩამომეხსნა ბოლოს პირში ჩაგდებასა» (გვ. 32)	ახლა მიჯობს, ჩამომეხსენ, ბოლოს პირში ჩაგდებასა» (იმედაშვილის გამ. გვ. 17)

ან კიდევ: „კახთა მეფისა, ეს მეც ვიცი არა გერგების-რა შესართავად სხვა ბატონნი ვინც არიან თავმომ- წონე გვარად თავად სიხარულით ქალს მოგცემენ“... (იქვე გვ. 32)	„კახთ მეფისა, ეს მეც ვიცი, არ გხვდების-რა შესართავად სხვა ბატონნი ვინც არიან თავმომ- წონე გვარად თავად სიხარულით ქალს მოგცემენ“... (იქვე 18)

პარიზის ქრონიკის და დიდმოურავიანის ზემომოყვანილი ნაწყვეტები ლექსად არის ნაწერი და თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ქრონიკის ავტორს ამ ალაგას თვით დიდი მოურავის დღიურით ან წერილებით უსარგებლია, მაშინ ისიც უნდა დავასკვნათ, რომ მოურავის დღიური ან წერილები ლექსად ყოფილა თვით მოურავის მიერ შედგენილი, ან არა და, რომ დღიურის ცნობები თვით ქრონიკის ავტორს გაულექსია. ორთავე დასკვნა სრულებით შეუსაბამო და გაუგებარი იქნებოდა. ამის გამო ერთად ერთი წყარო, საითგანაც ქრონიკის ავტორს მოთხრობაში ლექსად ნაწერი სტრიქონები უნდა შეეპარებოდა, იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი“-ა. იქნებ ამ უკანასკნელს დიდ მოურავის დღიური ან წერილები ხელთა ჰქონოდეს კიდეც, მაგრამ ქრონიკის ალმწერელს გალექსილი პოემა აუღია წყაროდ და არა პროზად შედგენილი დღიური. მაშასადამე ცხადია, რომ „პარიზ. ქრ.“-ის შემდგენელს იოსებ ტფილელის საისტორიო პოემით უსარგებლია.

„პარიზ. ქრ.“-ის მეორე წყაროდ, როგორც თ. ჟორდანიასაც აღნიშნული აქვს ქრონიკების II წიგნის „შინაარს“-ში (გვ. IX, CXVI) როსტომ მეფის 1648 წ. ვრცელი და საყურადღებო გუჯარი ყოფილა. ეს შინაარსიანი საბუთი თ. ჟორდანიასა აქვს დაბეჭდილი (ქრ. ქრ. II, გვ. 461—464). ამ გუჯრისა და „პარიზ. ქრ.“-ის შედარება მართლაც ამტკიცებს, რომ მემატიანეს სიტყვებითგან „სოფელმან მისი წესი არ დაიშალა და ამ სოფლით ბატონი ბაგრატ მიიცვალა“ მოყოლებული (გვ. 47,8 სტრიქ. ქვემოთგან) მე-56-ე გვერდამდე როსტომ მეფის სწორედ ეს 1648 წ. გუჯარია ნაწილ-ნაწილ შეტანილი. ამასთანავე სადაც-კი შეიძლებოდა ქრონიკის შემდგენელს დედანი სიტყვა-სიტყვით გადმოუწერია. მხოლოდ იქ, სადაც როსტომი ამ გუჯარში მოსაუბრე კილოთი ლაპარაკობს, მოთხრობა საგანუბროდ გადაუკეთებია. მაგრამ ერთგან შემთხვევით დედნის ენა მაინც შენახულია, მაგ.:

...„როსტომ მეფემ რომელიც საფიცარიც მისცა ან პირობა და ფიცი ყველა გაუთავა. და კახმა ბატონმა რაც პირობა მოგვცა (sic) არც ერთი არ გაუთავა“-ო (პარიზ. ქრ. 53).	...„ჩვენც რომელიც საფიცარი მივეცით და ან პირობა დავუდევით, ყუველაკა გავუთავეთ, და კახმა ბატონმა რაც პირობა და ფიცი მოგვეცა, არც ერთი არ გაგვითავა“-ო (როსტომ მეფის 1648 წ. გუჯარი, ქრ. II, 463).

ამას გარდა „პარიზ. ქრ.“-ის შემდგენელს ერთ-ერთ წყაროდ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიის უკანასკნელი ნაწილიც უნდა ჰქონოდა, ეს ცხადი იქმნება ყველასათვის, ვინც „პარიზ. ქრ.“-ის ცნობებს როსტომ მეფის მიერ დებედაზე გატეხილ ხიდის აშენებისა, იქ მოწყობილ ნადირობისა, ბატონიშვილის ლუარსაბის სასიკვდილოდ დაჭრისა, სმალში გაწვევით კასამართლების ამბავს და სხვას (გვ. 58, 11 სტრიქ.—60 გვ.) ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების შესატყვისს ადგილს შეადარებს (ჩუბ. გვ. 533 § 15—გვ. 536 § 16, ჭიჭ. გვ. 323 § 15—327). ფარსადანის თხზულებითგან ამოღებული ცნობებიც ქრონიკის შემდგენელს თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი აქვს. ერთი სიტყვით, „პარიზ. ქრ.“-ის შემდგენელი თავის ნაშრომის უკანასკნელ ნაწილში ყოველგვარ მასალებით (პოემა, ფ. გორგიჯანიძის ისტორია და სხვა) განურჩევლად სარგებლობს და მეტად ტლანქ კომპილატორად მოსჩანს. ხოლო რაკი მისმა წყაროებმა ჩვენამდის მოაღწია, ამიტომ ამ უკანასკნელს ნაწილს თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

რაკი დავრწმუნდით, რომ ქ˜ცის გაგრძელების გადამკეთებელს და „პარ. ქრ.“-ის შემდგენელს ბატონიშვილ ვახუშტის მკაცრი კრიტიკული განხილვა, რომელიც მან „სწავლულ კაცთა“ ნაწარმოებს უძღვნა, უნდა სცოდნოდათ და უხელმძღვანელიათ კიდეც, ხოლო თვით ვახუშტს ქ˜ცის გადაკეთებული გაგრძელება და „პარიზ. ქ˜რკა“ ნანახი არ უნდა ჰქონდეს და იმ მრავალ საყურადღებო ცნობების შესახებ, რომელიც ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში სხვადასხვა წყაროებითგან არის შეტანილი, არა სცოდნია რა, ამის გამო ცხადია, რომ ქ˜ცის გადაკეთებული გაგრძელება ვახუშტის თხზულების დამთავრების შემდგომ ანუ 1745 წლის შემდგომ უნდა იყოს დაწერილი, დაახლოვებით 1745—1760 წლიბში.

როგორც ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებას, ისევე „პარიზ. ქ˜რკა“-ს ეხლა მხოლოდ იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ამ ორ თხზულებაში ვრცელი ამონაწერებია შენახული სხვადასხვა ძველ მატიანეებითგან, რომელნიც ან დაკარგულია, ან ჯერ აღმოჩენილი არ არიან. სანამ ისინი აღმოჩნდებოდნენ, მანამდის ამ ორ მატიანეს, განსაკუთრებით-კი პირველს, ქართულ საისტორიო მეცნიერებისათვის, მეტადრე საქართველოს XIV—XVI ს.ს. ისტორიისათვის მნიშვნელობა არ დაეკარგება.

სეხნია ჩხეიძე.

სეხნია ჩხეიძეს ეკუთვნის საისტორიო თხზულება, რომელსაც ავტორმა უწოდა „ცხოვრება მეფეთა (Histoire de la Géorgie II-me partie ჩუბინაშვი-

ლის გამ., გვ. 307, ჭიჭ. გვ. 1). ეს ნაწარმოები დაწერილია იმ დროს, როდესაც ქ~ცა გასწორებული და შევსებული იყო, და მასაც ქ~ცის გავლენა ნათლად ატყვია.

თვით ავტორი თავის თხზულებაში ბევრგან ლაპარაკობს თავის თავზე, ამიტომ, რამდენადაც ეს მის ისტორიის შესასწავლად საჭიროა, მის ვინაობისა და თავგადასავლის გამორკვევას შევუდგებით.

სეხნია ჩხეიძე გიორგი XI-ის ძმის „ლევანის გაზრდილი იყო და მერმე ქაიხოსროსთან შეზდილი“ (იქვე, ჩუბ. 312, ჭიჭ. 9). ხოლო შემდგომ, როგორც ეტყობა, მეფე გიორგი XI-ის კარის კაცი ყოფილა. პირველად იგი თავის თავს მაშინ იხსენიებს, როცა გიორგი მეფემ არაგვის ერისთავის აასონის გადგომის გამო არაგვის ხეობაში გაილაშქრა. როგორც ჩანს, სეხნია ჩხეიძეს ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია: „გასწყრა მეფე და შეჰყარა ქართველნი და შეუხდა საერისთოს, გარდაიარა მჭადის-ჯვარი, დავეპყრენით ტინსა; დავიწყეს სროლა, შეგვექმნა ცემა და სროლა... შევჰქენით წვა და დაგვა“-ო (ჩუბ. გვ. 309—310, ჭიჭ. გვ. 5). ეს ამბავი 1687 წელს (იქვე) მომხდარა. მაშასადამე ამ დროს იგი დაკაჟკაცებული ყოფილა და მეფის სამსახურში ითვლებოდა. 1696 წელს, როცა ყაენის ბრძანებით ბატონიშვილი ქაიხოსრო სპარსეთში „გაისტუმრეს პატივით, მაგრამ კაცნი მცირედნი გაატანეს“ (იქვე, ჩუბ. 312, ჭიჭ. 8). ამ მცირერიცხოვან ამალაში სხვათა შორის „გაჰყვა სეხნია ჩხეიძე“, ჩვენი ისტორიკოსი (იქვე). ისპაჰანში რომ ყაენმა ქაიხოსრო ბატონიშვილს „ულუფა“ არ გაუჩინა, ქონებრივად დიდს გაჭირვებაში ჩაცვივნულან, „მოხდა სიღარიბე დიდი“-ო (იქვე). ამიტომ ყველა მხლებელნი ბატონიშვილმა სამშობლოში გაისტუმრა, „მაგრამ ჩხეიძემ სეხნიამ არად ინება მოშორება მათი, თავად ლევანის გაზდილი იყო და მერმე ქაიხოსროსთან შეზდილი“-ო (იქვე), მოგვითხრობს ისტორიკოსი თავის თავზე. 1697 წელს, 5—4 მარტს რომ გიორგი მეფე ისპაჰანში მიბძანებულა და მიეგებნენ „ძმანი და ძმისწულნი“ (იქვე, ჩუბ. 313, ჭიჭ. 9), როგორც ეტყობა, ქაიხოსროს ს. ჩხეიძეც თანა ჰხლებია. 1699 წელს ყაენმა „დაუძახა ბატონიშვილს ლევანს, უყო წყალობა და ნაიბობა ქირმანისა“ მისცა (იქვე, ჩუბ. 313—314 ჭიჭ. 11). ბატონიშვილი ლევანი რომ წაბძანდა ქირმანში, „თან იახლა ჩხეიძე სეხნია“ (იქვე, ჩუბ. 314, ჭიჭ. 11). ისტორიკოსს მხურვალე მონაწილეობა მიუღია „ბულუჯთა“ წინააღმდეგ ომებში უდაბნოში (იქვე, ჩუბ. 314—315, ჭიჭ. 12). სხვათა შორის მანიჟავის ღელეში ბატონიშვილმა ორას გამორჩეულს თათრის ჯარს „უთავა ჩხეიძე სეხნია“, მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაგზავნა (იქვე, ჩუბ. 315, ჭიჭ. 13). ძლევამოსილნი 11 თებერვალს 1700 წ. ქ. ქირმანში დაბრუნებულან (იქვე). იმავ წელს ივნისში ყაენმა გიორგი მეფეს მიანდო ქაშანითგან შემოსულ „ბალუჯთა და ავღანთა“ უკუქცევა. მეფემ „გააყენა ბატონიშვილი ლევან“ (იქვე, ჩუბ. 316, ჭიჭ. 14). ამ ლაშქრობა-

შიაც ჩვენს ისტორიკოსს სეხნია ჩხეიძეს დიდი მონაწილეობა მიუღია და თუ მას დავუჯერეთ, დიდი მამაცობაც გამოუჩენია და სახიფათო განსაცდელს გადარჩენია: „ერთი მხნე და მომადლო კაცი... მოუხდა ჩხეიძეს სეხნიასა, შემოკრა ქარქაშსა, გაუწყვიტა ბოლო ქარქაშისა, მაგრამ მუხლს ვერა ავნო, აიჭრა ვითარცა ვეფხი და ჩამოაგდო“-ო (იქვე, ჩუბ. 317, ჭიჭ. 15—16). 1701 წელს შაჰმა ბატონიშვილს ლევანს ერანის მდივანბეგობა მისცა (იქვე ჩუბ. 319, ჭიჭ. 19), ხოლო მეფე გიორგის ქართლი უბოძა, აგრეთვე „ერანის სპასალარობა, ყანდარის ბეგლარბეგობა, გირიშკი“ (იქვე, ჩუბ. 320, ჭიჭ. 19). 1703 წელს ლევან ბატონიშვილი „წაბრძანდა ისპაჰანიდამ საქართველოს ნაიბად“ (იქვე ჩუბ. 320, ჭიჭ. 20) და მას თან გაჰყოლია ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე. 1704 წელს ლევანმა თავის ძმას მეფეს გიორგის ფეშქაში სახლო და მიმრთმევად „გაგზავნა ჩხეიძე სეხნია“ (იქვე). მეფეს კარგად მიუღია მოციქული და ქირმანითგან ყანდაარს წაუყვანია (იქვე, ჩუბ. 321, ჭიჭ. 21). ისტორიკოსს სპარსეთში 3 წელიწადს მოჰკვიანებია. 1707 წელს 4 თებერვალს მეფე გიორგიმ „გაისტუმრა ჩხეიძე სეხნია“ საჩუქრებით დატვირთული ძმისა და ძმისწულისათვის. თვით „სეხნიას უბოძა საბოძვარი მრავალი და ქართლის მოლარეთ-ხუცობა“ (იქვე, ჩუბ. 322, ჭიჭ. 23). ჩხეიძემ მეფის გამოგზავნილი ლევან მდივანბეგსა და მის შვილს ქაიხოსროს მაშათს მიართვა (იქვე). რა-კი ისპაჰანში ამ დროს შიმშილის გამო ხალხი აჯანყდა, ყაენმა ამბოხების ჩასაქრობად ბატონიშვილი ქაიხოსრო გაგზავნა, ხოლო მან „ჩაფრად თან წაიყვანა სეხნია“ (იქვე). ქაიხოსროს რომ ვაჭრების გაფიცვა ისპაჰანში საზარელ სიმკაცრით დაუთრგუნვია, ჩვენი ისტორიკოსი როგორც ჩანს საქართველოში დაბრუნებულა და იმავ 1707 წელს ვახტანგ მეფის თრიალეთსა და შანბიანშა დიდს ნადირობაში მონაწილეობა მიუღია (იქვე, ჩუბ. 324, ჭიჭ. 25—26). 5 წელს როგორც ეტყობა ს. ჩხეიძეს სამშობლოში გაუტარებია და მხოლოდ 1712 წელს 28 თებერვალს მეფე ვახტანგი რომ 300 კაცის თანხლებით ყაენთან გამგზავრებულა, სხვათა შორის მოლარეთ-ხუცესი და ისტორიკოსი ს. ჩხეიძეც თან გაჰყოლია (იქვე, ჩუბ. 326, ჭიჭ. 29). 1714 წლამდე იგი სპარსეთში შაჰის კარზე დარჩენილა და ამავე წლის 10 მარტს-კი, როცა ვახტანგმა მაჰმადიანობაზე უარი სთქვა და ამის გამო იგი ჩამოაქვეითეს, ხოლო მის მაგიერ „ქართლის ბატონობა“ იმის ძმას (ალიყული ხანს) მისცეს, ვახტანგის ამალაც უკან გაისტუმრეს „ახლეს მეფეს იესეს“ (იქვე ჩუბ. 326, ჭიჭ. 29). გამაჰმადიანებულმა და ქართლში გამეფებულმა ვახტანგ 1722 წელს კახთა მეფედ დამტკიცებულს ერეკლე მეფის შვილს კონსტანტინეს (მამად ყული ხანად წოდებულს), რომელთანაც უსიამოვნობა ჰქონდა, „გაუგზავნა მეფემ ვახტანგ მოლარეთ-ხუცესი სეხნია, ფეშქაში შერიგებისა-თვის“ (იქვე, ჩუბ. 329, ჭიჭ. 33). ისტორიკოსის მოციქულობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია: მეფენი შეარიგა. თუმცა საბოლოოდ საქმე მაინც ვერ

გასწორდა (იქვე). ამავ წელს ს. ჩხეიძე ვახტანგ მეფემ ხელმეორედ გაგზავნა ელჩად, ეხლა-კი მაჭ-თამაზთან. ამ შემთხვევაშიაც მან მეფის მონდობილობა პირნათლად აასრულა: ყაენმა „უყო წყალობა მეფეს ვახტანგს და გამოუგზავნა საჩუქრები". მაგრამ რაკი მეფე ვახტანგი კახმა ბატონმა ყაენთან დაასმინა: „ეგემო ხელმწიფესა რუსეთისასა, ამოსწყვიტა რჯულისა თქვენისა მოსავნი"-ო (იქვე, ჩუბ. 330, ჭიჯ. 35), მაჭი 1723 წელს 10 იანვარს „გაუწყრა მეფეს ვახტანგს", ჩამოართვა მეფობა და „დაუჭირეს ჩხეიძე სეხნია, დაატყვევეს" (იქვე). ამის შემდგომ ავტორს თავის თავის შესახებ აღარავითარი ცნობები არა აქვს მოყვანილი, ამიტომ მისი ცხოვრების მიმდინარეობა და თავგადასავალიც გამოურკვეველი რჩება.

სეხნია ჩხეიძემ ერთი საისტორიო თხზულება დაგვიტოვა, რომელსაც სათაურად შემდეგი გაუკეთა:

„ძლიერებითა ღუთისათა, ვიწყოთ ცხოვრება მეფეთა, მსმენელთათვის არა უნდოში, ამბითა უცხოთა ქვეყანისათა, არა მარტივად ქართლისა, ჩემის თვალით-ნახული, ზოგიერთი მნახავთაგან სმენითა" (იქვე, ჩუბ. 307, ჭიჯ. 1).

ჩხეიძეს თხზულება 1653 წლის ამბავით იწყობა და სწყდება 1739 წ., მაშასადამე 86 წლის ისტორიას შეიცავს და სულ 35 დაბეჭდილი გვერდია (ჩუბ. 307—342).

თავის ისტორიას სათაურად ავტორმა „მეფეთა ცხოვრება" დაარქვა იმიტომ, რომ მასში მოთავსებულია ქართლ-კახეთის მეფეთა თავგადასავალი 86 წლის განმავლობაში. რაკი ავტორმა დიდ ხანს სპარსეთში დაჰყო და სპარსეთის საქმეები უფრო ვრცლად და უკეთესად იცოდა ვიდრე თავის სამშობლოს ამბავი, ამიტომ მის ნაწარმოებში ერანის სახელმწიფო საქმეებს საპატიო ადგილი უნდა ჰქონოდა. ასეც მოხდა და თვით ისტორიკოსს თავის თხზულების სათაურში აღნიშნული აქვს, რომ მისი ისტორია არის „არა მარტივად ქართლისა", არამედ „ამბითა უცხოთა ქვეყნისათა" შემკული. ამ გვარად ს. ჩხეიძეს ისტორია ისე ქართლის ისტორია არ არის, როგორც მართლაც ქართლის „მეფეთა ცხოვრება". ხოლო რაკი ბედის უკუღმართობის წყალობით ქართლის მეფეები იძულებულნი იყვნენ თავიანთ მეფობის უმეტესი ნაწილი საქართველოს გარეშე გაეტარებინათ და სპარსეთში „ბეგლარბეგობისა და ამირ-სპასალარობის" თანამდებობითაც დატვირთულნი სპარსეთის ურჩ ქვეშევრდომთათვის შეელიათ თავიანთი ძალღონე და დღენი, ამიტომ მათი „ცხოვრება" უნებლიედ ისტორიკოსს უნდა დაეწერა „ამბითა უცხოთა ქვეყნისათა არა მარტივად ქართლისა".

„ზარგანხდომით ხმა განფენილი, ყოველთა მებრძოლთა ზედან დიდად მძლეველი და თვით არავისგან ძლეული, თვით-მპყრობელი საქართველოსი, რომელი არს ახოვან ტანითა, ძლიერი ძალითა, უძლიერესი სიმახვილითა, სა-

წადელ დიმილითა, უსაწადილეს ჭმუნვარებითა, მადლიერ-ხედვითა, საზარელ-ლმობიერ მკრთომლობითა, ბრძენ ცნობითა, უბრძნეს გამორჩევითა, მარტივ სახითა, მრავალ-სახე მართებითა, შემრისხველ ყუდროებითა, მაამებელ განსწავლულებითა და არცა ერთისა კეთილისაგანისა შემაშთოებელი, უზომეობითა თვით მათ მტერთაც საწადელ და საყვარელ, სათნოებითა მისთაგან შეკდომებულთა.—და ვითარცა ვინ აღრაცხნეს, რაოდენი საქმენი ეთხოებიან მეფესა მეფეთასა, რაოდენი მართებანი და გასაგებელნი: კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭერანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარობანი, ლაშქართა მეცნიერებანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, სახლთა ნაბოჭთა საჯანი (sic), საჭურჭლეთა შემოსულთანი (sic), მოციქულთა შემთხვევანი, მეძღვნეთა ჯეროვანი (sic), შეცდომათა წყალობითი წურთნანი, სპათა წვეობანი, დონიერთა მომართებანი" (იქვე, ჩუბ. 307, ჭიჭ. 1—2), ასე ახასიათებს თავის თხზულებაში სეხნია ჩხეიძე თავის გმირს. მთლად ეს ნაწყვეტი,—როგორც მეფის ღირსების აღწერილობა, ისე მეფის მოვალეობათა ნუსხა,—მცირეოდენის ცვლილებით და დამახინჯებით დავით აღმაშენებელის ისტორიიდგან არის ამოღებული.

ს. ჩხეიძეს სათაურშივე აღნიშნული აქვს, რომ მისი ნაამბობი, უმეტეს შემთხვევაში მისი „თვალნახულია", ხოლო ზოგიერთი „მნახავთაგან სმენითა" დაუწერია. მართლაც 1687 წლითგან მოყოლებული 1723 წლამდე ჩხეიძე მოგვითხრობს, ვითარცა თანამედროვე და მონაწილე, უფრო ხშირად ვითარცა თავის თვალით მნახველი, დანარჩენი როგორც ეტყობა განაგონია. ყურადღების ღირსია, რომ ეს გარემოება ჩვენს ისტორიკოსსაც განსაკუთრებით აღნიშნული აქვს, გაგონილი ჩაწერილია „მნახავთაგან"-ო. მაშასადამე არც მას დავიწყებია, რომ „სმენით" მოთხრობას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა მოამბე „მნახავია". ს. ჩხეიძეს არა აქვს განმარტებული, რამდენად სანდო პირები იყვნენ მისი მოამბე „მნახავნი".

ს. ჩხეიძეს საზოგადოდ ეტყობა, რომ მას ქართული საუკეთესო საისტორიო თხზულებები წაკითხული ჰქონია, მეტადრე დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ისტორია. უეჭველია მას ხელთ ექნებოდა უკვე შესწორებული და შევსებული ქ˜ცა და ამ წყაროს ს. ჩეიძეს თხზულებაზე თავისი კვალი დაუჩნევია. მის ნაწარმოებს განსაკუთრებით დავით აღმაშენებელის ისტორიის ზეგავლენა ეტყობა, ეს ცხადად სჩანს იმ შესავლით, რომლითაც ს. ჩხეიძე თავის თხზულებას იწყობს და რომელიც ზემოთ იყო უკვე მოყვანილი. მთელი ეს ადგილი დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულებითგან არის ამოღებული (იხ. ც˜ა მეფეთ მეფისა დავითისი *563, გვ. 331).

იმავ თხზულებითგან ამოუღია ს. ჩხეიძეს მეფის მოვალეობის ზემომოყვანილი განმარტება: „და ვითარ ვინ აღრაცხნეს, სწერდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, რაოდენნი საქმენი ეთხოებიან მეფეთასა, რაოდენნი მართებანი

[და] განსაგებელნი: კიდეთა პყრობანი, ნაპირთა“ და სხვა და სხვა (იქვე *551, გვ. 319).

თუმცა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ნაწარმოებითგან ს. ჩხეიძეს ამ ორ ნაწყვეტის გარდა არა მოჰყავს რა და მთელი მისი თხზულება სულ სხვა რიგზეა აგებული, სახელდობრ ქრონოლოგიურზე. მაგრამ აქაც ვგონებ იგი ქ~ცის გაგრძელებას უნდა ჰბაძავდეს: როგორც იქ აქაც ავტორი თვითოეულს ამბავს თარიღის აღნიშვნით იწყობს. ამგვარად მის ისტორიას უფრო მატიანეს ხასიათი აქვს და თვით მოთხრობაც ქრონოლოგიურს რიგზეა დალაგებული და არა ლოგიკურზე.

როგორც სჩანს, ს. ჩხეიძეს ქრონოლოგიურ ცნობების აღნიშვნა მეთოდოლოგიურ, მიუცილებელ მოთხოვნილებად მიაჩნდა. ეს იქითგანა სჩანს, რომ იმ შემთხვევაშიაც, როცა მას თარიღი არა სცოდნია, ან არა ხსომებია, მაშინაც მას თურმე საჭიროდ მიაჩნდა თარიღი გამოერკვია და თავის თხზულებაში შეეტანა: ამისთანა შემთხვევებში მას სიტყვა „ქრონიკონს“ შემდგომ ცარიელი ადგილი დაუტოვებია, იმის იმედით, რომ შემდგომ ჩაეწერა. ზოგიერთ შემთხვევის შესახებ მას როგორც სჩანს შემდეგაც ვერ გამოურკვევია ქრონიკონი და აქა-იქ ცარიელი ადგილი შეუვსებელი დარჩენია (ჩუბ. 308, 309, ჭიჭ. 3,4). სწორედ ქრონოლოგიურ ცნობების სიუხვე შეადგენს სეხნია ჩხეიძის ისტორიის ღირსებას.

მისი თხზულება საზოგადოდ შინაარსის მხრივ მეტად ერთფეროვანია: მოთხრობა თითქმის განსაკუთრებით მეფეთა პოლიტიკურსა და სალაშქრო თავგადასავალს ეხება. ავტორი ომისა და ვაჟკაცობის დიდი მოტრფიალეა და თვითოეულის შემთხვევით სარგებლობს, რომ დაწვრილებით და აღტაცებით აგვიწეროს ისეთი ლაშქრობაც-კი, რომელიც სპარსეთში მომხდარა და საქართველოსთან არავითარი კავშირი არა აქვს (იხ. ჩუბ. გვ. 314—315, 316—317, 322—323, ჭიჭ. გვ. 11—13. 13—16, 22—25). საქართველოს შესახებ-კი მისი ცნობები განსაკუთრებით მეფეთა გამოცვლას მოგვითხრობს.

სეხნია ჩხეიძეს კიდევ ერთი ნაკლი აქვს: როცა იგი იმდროინდელ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას გვისურათებს ხოლმე, მისი მოთხრობა მუდამ უშფოთველი არის, პირიქით მოღიმარი და მხიარულიც-კია, თითქოს იგი ყველაფრის კმაყოფილი იყო პოლიტიკური უკუღმართობა მას არ აღელვებდა, ამისთანა შემთხვევებში მისი ცნობები მოკლე და მარტივია. სამაგიეროდ მას ლხინისა, ლოთობისა და განცხრომის ამბავის მოთხრობა არ ავიწყდებოდა (იქვე, ჩუბ. 312, 313, 319, 320, 324, 326). საზოგადოდ მის ნაწერს უდარდელობისა და ქარაფშუტობის ელფერი ადევს: საქართველო დიდს განსაცდელში იყო პოლიტიკურადაც და ეკონომიურადაც, ს. ჩხეიძე-კი სწერდა „მტერი არსით აჩნდიან“-ო (იქვე ჩუბ. 308)

და ქართლის მეფეების ისტორიას ისე მოგვითხრობს, თითქოს მათზე ძლიერი ქვეყნიერობაზე არავინ ყოფილიყოს: „ოთხთავე კიდეთა ქვეყანისათა ზარგანხდომით ხმა განფენილი, ყოველთა მებრძოლთა ზედან დიდად მძლეველი და თვით არავისგან ძლეული, თვით-მპყრობელი საქართველოსი“-ო (იქვე, ჩუბ. 307, ჭიჭ. 1). საზოგადოდ მისი აღწერილობა ხშირად გაზვიადებულია და ამ მხრ უფრო სპარსელ ისტორიკოსებს მიაგავს, ვიდრე ქართველ ისტორიკოსებს: „მზემან დღეთისამან, ამას ბძანებდი ამისთანა არა ნახულა რაო. ჩამოაგდის კაცი ვითარცა კატა“ (იქვე ჩუბ 309—310 ჭიჭ. 5), „მზემა დღეთისამა და თავ-მან ამათ-მან, ეს ორნივ ერთად გენახათ, ამას ბძანებდით, ამათ-თანა კაცთა შვილი უკეთესი არ იქნებაო“ (იქვე, ჩუბ. 313, ჭიჭ. 9). „მე ასე ვჰგონებ დედათა ნაშობი მკონი ამის არა იყოს ქვეყანასა ზედან“ (იქვე ჩუბ. 321, ჭიჭ. 21, ამგვარივე წინადადებანი იქვე ჩუბ. 315, 317 და სხვა, ჭიჭ. 13, 16 და სხვა).

ამასთანავე ს. ჩხეიძე გულქვა და შეუბრალებელი ადამიანი სჩანს: სწორედ გასაოცარია, რა აღტაცებით აღგვიწერს ხოლმე იგი ხოცვა-ჟლეტას: რაც უნდა საზარელი და შემაძრწუნებელი სურათი იყოს, იგი წარბშეუხრელად და ძლევამოსილობის აღფრთოვანებით და სიხარულით მოგვითხრობს. თვითოეული ომის ამბავს ყოველთვის მისდევს ცნობა, ამდენი და ამდენი თავი მიართვეს მეფეს ან ბატონიშვილსაო (იქვე, ჩუბ. 315, 318 და ყველგან, ჭიჭ. 13, 17). ერთ ალაგას მას აღნიშნული აქვს განსაკუთრებით: ბრძოლის შემდგომ „გარდაკვეხედით მოსვენებად, დავუავით მას ღამესა იქი, რა გათენდა, მიართვეს თავი 540, აქაცა და იქაცა ააშენებინა თავების მინარა, თითო ოც-ოცი წყრთა“!!! (იქვე ჩუბ. 318, ჭიჭ. 17). ან კიდევ, რა სიამაყით მოგვითხრობს ისტორიკოსი, თუ როგორ მოსპო ბატონიშვილმა ქაიხოსრომ ისპაჰანის ვაჭრების გაფიცვა: „ქნა ნასადი უცხო და საკვირველი, ზოგი დახოცა მუცლზე და, ზოგი ყორით მიაბა დარაბასა, ზოგი დასჭედა ნალ-ლურსმნითა; თქვენმა მზემა, მეორეს დღეს გენახათ ქუჩა-და-ქუჩა ხვარბლით აივსო... შეიქნა ისპაჰანში სიმშვიდე და იეფობა“-ო (იქვე ჩუბ. 321—322, ჭიჭ. 22).

სწორედ გასაოცარია აგრედვე, რომ ს. ჩხეიძე, რომელიც საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურს განსაცდელს და დაუძლურებას თითქოს ვერც-კი გრძნობდა, ისეთის გაზვიადებით ამკობდა ქართლის მეფეთა ვითომდა ძლიერებას, რომ გამოუცდელ მკითხველს შეუძლიან იფიქროს, ვითომ ამ დროს საქართველო იმგვარადვე ძლიერი იყო, როგორც თამარ მეფის დროსაო. იგივე ისტორიკოსი თითქოს ვერ ხედავდა, რომ ქართველ ერის პოლიტიკურ დაუძლურების და საშინელ განსაცდელისდა მიუხედავად ქართველთა მეთაურ საზოგადოების საუკეთესო ნაწილი ასეთი მედგარისა და დაუღალავის შრომით თავის სახელმწიფოსა და სამშობლოს გონებრივ, სახელმწიფოებრივ, სამოსამართლო და ეკონომიურ ყოფა-

ცხოვრების განახლებისა და აყვავებისათვის იღვწოდა!... სეხნია ჩხეიძის დროს ცხოვრობდნენ: საბა სულხან ორბელიანი, რომელმაც თავის შესანიშნავს თხზულებას, ქართულ ენის საუნჯე—ლექსიკონის შედგენას მრავალი, წელიწადი შეალია, მეფე ვახტანგ IV, რომელმაც „დასტურლამალი" შექმნა, ქართულ სამართლის ყველა ძეგლები შეჰკრიბა და თითონაც ახალი სასამართლო წიგნი შეადგენინა, „ქ̃ცა" გაანახლებინა, შეასწორებინა და შეავსო. სხვა რომ არა ყოფილიყო რა, ესეც იმდენად დიდი განმაცვიფრებელი შრომა იყო, რომ ამის დანახვა და შემჩნევა, ბრმასა და ყრუსაც შეეძლო. ს. ჩხეიძეს-კი მთელს თავის თხზულებაში ამ მოღვაწეობაზე კრინტი არა დაუძრავს, თუმცა მას, როგორც ქართლის სამეფოს „მოლარეთ-ხუცესს", ბევრირამ საყურადღებოს მოთხრობა შეეძლო.

როდესაც იგი ვახტანგ მე-VI-ის ბედის უკუღმართობას მოგვითხრობს, როცა იგი გვიამბობს, რომ მეფე ყოველმხრივ მოტყუებული იძულებული იყო სამშობლოსათვის თავი მიენებებინა და უცხოეთში შეეფარებინა თავისი მრავალტანჯული თავი, მას, მეფის მოლარეთ-უხუცესს და ისტორიკოსს, ერთხელაც არ წარმოსცდენია მწუხარების გამომხატველი სიტყვა, მუხთალ იღბლისადმი მაინც წყევლა-კრულვა, რომელმაც ასეთი ნიჭიერი და საქართველოსთვის ჭირნახულევი მეფე სამშობლოს უდროვოდ მოსტაცა. მას კალამოსანი ხელი არც-კი გაუნძრევია, რომ თანამედროვეთა და ჩამომავლობისათვის მისი დიდი ღვაწლი სამშობლო ქვეყნის წინაშე ორიოდე წინადადებით მაინც გამოეთქვა და დაეხასიათებინა. ამ შემთხვევაშიც ს. ჩხეიძე, როგორც ჩვეულებრივ, ცივი და გულგრილია, მისი ბაგე სდუმს, მის მარჯვენას კალამის მოსმა ეზარება... საზოგადოებრივი და მამულიშვილური გრძნობა მას მოდუნებული აქვს!..

ს. ჩხეიძის ნაწარმოები პირველად გამოსცა დ. ჩუბინაშვილმა მ. ბროსსეს ქ̃ცის კრებულში წ. II, გვ. 307—342. ამ გამოცემიდან ზ. ჭიჭინაძემ გადაბეჭდა 1913 წ. (საქართველოს ცხოვრება, გვ. 1—52).

პაპუნა ორბელიანი.

პაპუნა ორბელიანს დაწერილი აქვს საისტორიო თხზულება „ამბავნი ქართლისანი", რომელიც ავტორისავე სიტყვით სეხნია ჩხეიძის მოთხრობის გაგრძელებას შეადგენს. თუმცა პაპუნა ორბელიანის ისტორიის 1773 წ. გადამწერი ხარების საყდრის დეკანოზის ძე დავით ამ წიგნს „მცირე ქართლის ცხოვრება"-ს ეძახის, მაგრამ თვით ავტორი თავის თხზულებას უწოდებს „ამბავნი ქართლისანი", ანუ „ამბავი ქართლისაი". ეს თვით თხზუ-

ლების ქვემომოყვანილ შესავლითგანაც სჩანს და შემდეგ ლექსითგანაც, რომელიც ისტორიას წინ უძღვის:

„შეუდექ ამბავს ქართლისას პაპუნა ორბელიანი...
აღვწერე ყოვლი ყოფილი“-ო (ქ῀ცა II, დ. ჩუბინაშვილის გამ. 343, ჭიჯ. 53).

ისტორიკოსი ამბობს „ვინათგან ვიდრე აქამომდე აღწერილ-იყო ამბავნი ესე ქართლისანი, აღმწერელსა ამისას ჩხეიძე სეხნიასა დაშთომოდა შემდგომნი ყოფილნი და ყოფადნი და მე პაპუნამ ორბელიანმა ხელ-ვჰყავ აღწერად“-ო, (ქ῀ცა II, დ. ჩუბ. გვ. 343, ჭიჯ. 53). მართლაც პ. ორბელიანი თავის მოთხრობას სწორედ იქითგან იწყობს, სადაც სეხნია ჩხეიძეს თხზულება სწყდება. უკანასკნელი ცნობა, რომელიც ს. ჩხეიძეს აქვს აღწერილი, 1739 წ. „ოვლას მაისსა გ(3)“ მომხდარს ამბავს (იქვე, ჩუბ. 342, ჭიჯ. 52), ხოლო პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებას ასე იწყობს: „ქორონიკონსა უკზ (427=1739 წ. ქ. შ.) თვესა ივლისსა“ ესა-და-ეს მოხდაო (იქვე, ჩუბ. 342, ჭიჯ. 54).

მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მსგავსებაა და როგორც ქვევით გამორკვეული იქმნება, შინაგანი თვისებებით ამ ორ ისტორიკოსს საერთო თითქმის არა აქვთ რა.

რა საქმის კაცი იყო, ან რა თანამდებობა ჰქონდა პაპუნა ორბელიანს, მის თხზულებითგან არა სჩანს. მხოლოდ რომ ის სამეფო კარის მახლობელი კაცი უნდა ყოფილიყო და სამხედრო მოქმედებისა და ომების მონაწილეც, ეს-კი სრულებით ცხადია. როდესაც 1747 წ. სპარსეთის შაჰის თავგასულობაში და მისგან დადებულ დიდძალ ფულის ჯარიმაში ქართველები ისე შეაწუხა, რომ იმოდენა ფულის გადახდას ისევ აჯანყება ირჩიეს, მეფე თეიმურაზი, ქართლის სამეფო მთავრობა, კათოლიკოზი და სამღვდელოება აიყარნენ, ტფილისითგან გაიხიზნენ და ციხეებში შეიდგნენ, მაშინ „ვინც ორბელიანთ სახლისშვილნი იყვნეს, ყოველნი სახლეულით ბატონს (თეიმურაზს) გაჰყვნენ... ქვეყანა ისე ირყეოდა ყაენის შიშისაგან, რომ ქართლის ქვეყანაში გამაგრების იმედი აღარავის ჰქონდათ, მაგრამ პაპუნამ ორბელიანმა და ყაფლან თავის მამულის დაკარგვას ისევ თავისი წახდენა ირჩიეს. გამოსთხოვეს ბატონს ფარმანი და წარვიდნენ თვისსა მამულსა შინა. მოვიდნენ პირველ ხრამისა ხეობასა შინა და სადა ციხე იყო ანუ გალავანი, გაამაგრეს და ხალხს მისცეს იმედი: «თუ რომელი ამბავი მოხდეს მტრისაგან, თქვენთან დავიხოცებით»-ო. მის მეტი ღონეც აღარა ჰქონდათ: რადგან ბატონს მოშორდნენ, თავისის მამულის გულისათვის, უსიკვდილოდ გაშვება აღარ ეგებოდა... იყვნენ პაპუნა და ყაფლან ორბელიანი დღე-და-ღამ მატებასა სიმაგრეთა ციხისასა“ (იქვე, ჩუბ. 395—396, ჭიჯ. 128). როგორც ამ სიტყვებითგან სჩანს, ისტორიკოსი პაპუნა მეფეს უნდა ხლებოდა და თავის მამულის დასაცავად

რომ წასულიყო და მეფეს მოშორებოდა, ამისათვის მეფის საგანგებო ნებართვა, „ფარმანი“ იყო საჭირო.

ორბელიანთა საგვარეულოს წევრებს სარდლობა და სხვა დიდი მოხელეობა ჰქონდათ ხოლმე. მაგრამ ჩვენი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი არც სარდლად სჩანს, არც ვაზირად. ამ დროს ორბელიანთაგან დიმიტრი—მანდატურთუხუცესად იყო, ზაალ—მეფის მეთოფეთა წინამძღოლად, ქაიხოსრო—სარდლად ამირსპასალარად (იქვე, ჩუბ. 384—386, ჭიჭ. 112—114).

თვით პაპუნა-კი არსად თავის თანამდებობას არ ამჟღავნებს. მაინცდა-მაინც არც ვაზირთა შორის სჩანს, არც ქვეყნის გამგე დიდ მოხელეებში. ამისდა მიუხედავად ჩვენი ისტორიკოსი მაინც ჩვეულებრივ მეფეს ჰხლებია და ხშირად აღწერილ ამბების მონაწილე და თანადამხუდარი ყოფილა. თავის თხზულების შესავალშიც პაპუნა ორბელიანი ამბობს: ქვემომოთხრობილი ამბები „რომელნიმე ვიხილე თვალითა ჩემითა და რომელნიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთა-გან“-ო (იქვე, ჩუბ. 343, ჭიჭ. 53). თვით ისტორიის მოთხრობასა და კილოსაც ხშირად ეტყობა, რომ ისტორიკოსი მართლაც თითონ მონაწილე და თანადამხუდარი არის.

საყურადღებოა, რომ პ. ორბელიანი ომშიაც მეფესთან ერთად ყოფილა. მაგ. 1744 წ. ურუმებთან მომხდარ ომის შესახებ იგი ამბობს: „მას დღეს რომ გენახათ ბატონიშვილი ერეკლე, ამას ბრძანებდით, თუცა ლომი ეგრე იბრძვისო. ჰასაკითა იყო მცირე, მაგრამ რასაც საქმეს იქმოდა, ფალავნის შესადარისი იქნებოდა“-ო (იქვე, ჩუბ. 363, ჭიჭ. 82). იმავე წლის საგურამოს მახლობლად მომხდარ ომის შესახებაც პაპუნას ნათქვამი აქვს: „ბატონიშვილი ერეკლე რომ ვენახათ იმ დღესა, ასე ბრძანებდი, არა თუ ფალავანი, თვარემ ესე ვის შეუძლია სათვისოსა ომსა გარდა, ვითა ისარდლა, შეაბა ჯარი, განუკვირდებოდათ ყოველთა“-ო (იქვე, ჩუბ. 368, ჭიჭ. 88).

1747—1748 წ. ტფილისის ციხის სპარსთა ხელითგან გამოსაგლეჯად მომხდარ მედგარ ბრძოლაში ხომ პაპუნა ორბელიანი თვითაც მონაწილე ყოფილა თავის ყმებითურთ: ჯერ თაბორის კოშკზე აჭრით თავი ისახელა პაპუნას ყმამ შაველდა მღებრიშვილმა (იქვე 410); მერე ორბელიანი მდივანბეგი თარხნე და იგი „პაპუნა თავისის მსახურ აზნაურშვილითა გარდაუცვივდნენ ციხეში... დაუყენეს მუშა და კარის გაღებას ეცადნენ“ და მოახერხეს კიდეც (იქვე, ჩუბ. 412, ჭიჭ. 151).

დანარჩენ ომებში და ლაშქრობაშიც ჩვენი ისტორიკოსი თავის თანადამხუდრობასა და მონაწილეობას მოთხრობის კილოთი ამჟღავნებს, როგორც მაგ.: „წავედით იქით, რა ერთსა ალაჯსა გავიარეთ, გამოჩნდა ჯარი ფანახისა“-ო (იქვე, ჩუბ. 425, ჭიჭ. 169); „შეგვიკრეს გზები, ჩვენ არ ვიცოდით, წავედით სიღნახიდამ“-ო (იქვე): „რაც ჯარი მიგვდევდა, ნახევარი ვეღარ ამოგვყვა“-ო (იქვე); „გავიარეთ ორი დღე“ (იქვე ჩუბ. 427, ჭიჭ.

163); „მივეწივენით ალაზნის პირზე... ლეკნი ასე უწინ შემოგვებნენ“-ო (იქვე, ჩუბ. 431, ჭიჭ. 179); „შეიქმნა ომი ფიცხელი რომ ამისთანა ომი არ გვენახა“-ო (იქვე, ჩუბ. 441, ჭიჭ. 193); „იმ დღეს გენახათ მუხრანბატონი, ფალავნისა მსგავსად იბრძოდა“-ო (იქვე, ჩუბ. 451, ჭიჭ. 207).

მაგრამ ჩვენი ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი მარტო ომების თანადამხუდარი და თვალით მხილველი-კი არა ყოფილა, იგი მშვიდობიანობის დროსაც, დღესასწაულებში მეფის მახლობელი კაცი ყოფილა. მაგ. 1745 წ. თეიმურაზის მეფედ კურთხევასაც დასწრებია და დიდებულ და სასიხარულო სანახაობით აღტაცებული გაიძახის: „თქვენმა მზემა, ერთი უკეთესი სანახავი კაცის თვალით აღარ ინახებოდა“-ო (იქვე, ჩუბ. 382, ჭიჭ. 109). 1751 წელს ისტორიკოსი ერეკლე მეფის ქორწილსაც დასწრებია და ამ ამბავის აღწერილობას ამგვარად ათავებს: „ერთი ამისთანა სიხარული არ გვენახა“-ო (იქვე, ჩუბ. 433, ჭიჭ. 181). ერთი სიტყვით, მრავალი გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ პაპუნა ორბელიანი სამეფო კართან დაახლოვებული ყოფილა.

თავის საისტორიო თხზულებისათვის მას ერთი ლექსად გამოთქმული ტაეპი წაუმძღვანებია წინ, რომელშიაც ამბობს:

„შეუდექ ამბავს ქართლისას პაპუნა ორბელიანი,
განმაძლიერა მეფემან, ვინ არის გვირგვინიანი,
აღვწერე ყოვლი ყოფილი მრავალგზის საჩაგრიანი“-ო.
(იქვე, ჩუბ. 343, ჭიჭ. 53).

ეს ლექსი ამტკიცებს, რომ პაპუნა ორბელიანის ისტორიკოსობისათვის მეფესაც ხელი შეუწყვია. სამეფო კარის ისტორიკოსი იყო თუ არა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არა მოგვეპოვება რა, მხოლოდ რომ მეფეს მისი ისტორიკოსობა სცოდნია და მის მოღვაწეობისათვის ხელი შეუწყვია და „გაუძლიერებია“ კიდეც, ეს ზემომოყვანილ ტაეპითგანაც ცხადად სჩანს.

რასაკვირველია შეუძლებელია პაპუნა ორბელიანი ყველა მოთხრობილ ამბების თანადამხუდარი და თვალით მხილველი ყოფილიყო, ამიტომ უეჭველია ჩვენი ისტორიკოსი არა ერთხელ და ორჯერ იძულებული იქმნებოდა სხვის ნახული და ნაამბობიც შეეტანა თავის თხზულებაში. აკი თვით პაპუნა ორბელიანიც ამბობს: „რომელიმე მომითხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან“-ო (იქვე, ჩუბ. 342, ჭიჭ. 53). ეს უკანასკნელი ცნობა ყურადღების ღირსია. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ზეპირ წყაროების თვისებებსა და ღირსებას უკვე ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში ჯეროვან ყურადღებას აქცევდნენ. გიორგი მთაწმიდელს როგორც ვიცით აღნიშნული აქვს, რომ მისა ზეპირი წყარო და მოამბე თანადამხუდარი და თვალით მხილველი იყო, ამასთანავე „უცხო... ყოვლითურთ ტყუვილისაგან“ და სრულებით „სარწმუნონი“

იყვნენ (აქვე გვ. 77). მე-XVII—XVIII-ე ს., ქართულ საისტორიო მწერლობის აღორძინების ხანაშიც, როგორც ვხედავთ, ქართველ ისტორიკოსებს ამ მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებისათვის კვლავ მიუქცევიათ ყურადღება, მაგრამ მაინც იმ ხარისხამდე ვერ მიუღწევიათ, რომელზედაც გიორგი მთაწმიდელი იდგა. თუმცა სეხნია ჩხეიძესაც აქვს აღნიშნული, რომ „ზოგიერთი მნახველთაგან სმენილთა“ შეუტყვია და ჩაუწერია თავის თხზულებაში, მაგრამ მას დავიწყებია აღენიშნა, რამდენად სანდო პირები იყვნენ მისი მომთხრობელი „მნახველნი“. პაპუნა ორბელიანს მართალია ეს მეთოდოლოგიური გარემოება არ გამოჰპარვია და აღუნიშნავს „რომელნიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან“-ო, მაგრამ იმას თავის მხრივ დავიწყებია და არაფერი აქვს ნათქვამი. მისი მომთხრობელი „სარწმუნო კაცნი“ თანადამხუდარნი და „მნახველნი“ იყვნენ თუ არა? უამისოდ ცხადია სარწმუნო კაცთა ცნობებსაც დიდი ფასი არ ექმნებოდა. შესაძლებელია პაპუნა ორბელიანს ეს მეთოდოლოგიური მოთხოვნილება თავისდათავად ნაგულისხმევი ჰქონოდეს, მაგრამ ამ გარემოების მოუხსენებლობა მაინც ნაკლია. თუ რომ ეს გარემოება მე-XI-ე საუკ. გიორგი მთაწმიდელს არ დავიწყებია და საგანგებოდ აღნიშნა, მით უმეტეს ს. ჩხეიძესა და პ. ორბელიანს უნდა ხსომებოდათ. ამისდა მიუხედავად მარტო ის გარემოებაც, რომ ეს ორი ქართველი ისტორიკოსი თავიანთ ზეპირ წყაროების შესახებ ლაპარაკობენ, თავისდათავად საგულისხმიეროა და უეჭველია ძველ ქართულ საისტორიო მწერლობის შესწავლისა და გავლენის შედეგი უნდა იყოს. ეს გარემოება ქართულ საისტორიო მწერლობის გამოცოცხლებისა და აღორძინების დამამტკიცებელია.

3. ორბელიანის თხზულებას აქა-იქ მართლაც ემჩნევა, რომ მოთხრობა ზოგან ზეპირ წყაროებზე არის დამყარებული. მაგ. 1739 წ. ახმეტას ბოლოს ამოწყვეტილ ლეკ-მცარცველთა რიცხვის შესახებ ნათქვამი აქვს: „იტყოდენ ათას ხუთასსა თავი მოიჭრა“-ო (ამბავნი ქართლისანი, იქვე, ჩუბ. 344, ჭიჭ. 55). 1747 წ. კორითკან ტფილისში ჩამოტანილ შაჰნადირისეულ დიდი ზარბაზნის შესახებაც სწერია: „იტყოდენ, ორიათას ათასი (sic) ლიტრა არისო“ (იქვე, ჩუბ. 410, ჭიჭ. 148). განჯა-ერევანსა და საქართველოს სხვა მოსამზღვრე ქვეყნებში 1750 წ. დავლად და ფეშქაშად ნაშოვნ ქონების რაოდენობის შესახებაც ისტორიკოსი ამბობს: „სიმრავლისა რაღა მოგახსენო? ასე იტყოდენ, ორასი ათასი ცხვარი იყოო, რაც სულ ჯარმა იშოვა და ამისა შედეგათ ძროხა ანუ კიდებული საქონელი“-ო (იქვე, ჩუბ. 428, ჭიჭ. 174). 1752 წ. ყარაღაჯის მფლობელის გულუხვ მასპინძლობის შესახებ ქართლ-კახეთის დაპატიჟებული ჩინებულნი თავადნი „ასე იტყოდენ, თუ არ ყაენისაგან, სხვისა ამგვარისა კაცისაგან ასეთი დახვდომა ძნელად შესაძლებელი არისო“ (იქვე, ჩუბ. 440, ჭიჭ. 191). დასასრულ, 1754 წ. ლეკთა წინაღმდეგ მომხდარ ომის შესახებ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს: „ქისიყის მოურავი ძველი

და ახალი ორივე მოსაწონად შეიბნენ, რომე იმ დღეს მათი ქება ბევრისაგან მოგვესმნეს“-ო (იქვე, ჩუბ. 456, ჟიჯ. 214).

ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ პაპუნა ორბელიანის ისტორია თავის შინაგანი თვისებებით ს. ჩხეიძის თხზულებისაგან არსებითად განსხვავდება იმ გვარადვე, როგორც თვით ავტორებიც სულ სხვა-და-სხვა სულიერ და გონებრივ აგლადიდების პატრონებად მოსჩანან. საკმარისია მარტო ის გარემოებაც გავიხსენოთ, რომ პაპუნა ორბელიანი თავის თხზულებას 1739 წლის ამბებით იწყობს და 1758 წლის ამბებით ათავებს, ესე იგი რომ მისი ნაწარმოები მხოლოდ 19 წლის ისტორიას შეიცავს, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ამ 19 წლის თავგადასავალს 131 დაბეჭდილი გვერდი უკავია (იქვე ჩუბ. 343—474, ჟიჯ. 53—240), და ჩვენთვის მაშინვე ნათელი იქმნება, რამდენად ვრცელია პ. ორბელიანის შრომა ს. ჩხეიძის თხზულებასთან შედარებით, რომელსაც 86 წლის საისტორიო ამბებისათვის 35 (ნაბეჭდ) გვერდზე მეტი ვერ გამოუმეტნია.

შინაარსის მხრივაც ამ ორ ისტორიკოსს შორის დიდი და არსებითი განსხვავებაა: ს. ჩხეიძემ თუ „მეფეთა ცხოვრება“ დასწერა, პ. ორბელიანს აღწერილი აქვს „ამბავნი ქართლისანი“, ესე იგი აღმოსავლეთ საქართველოს თავგადასავალი, მარტო მეფეთა-კი არა, არამედ მთელი ქვეყნისა და მცხოვრებთა ისტორიაც. ამ მხრივ სწორედ ყურადღების ღირსია, რომ პ. ორბელიანს სურდა აეწერა და აღწერა კიდეც „ამბავნი ქართლისანი“ ერთ რომელისამე გვირგვინოსნის მეფობის დროს-კი არა, არამედ განსაზღვრულ (19 წლის) ხანის განმავლობაში, როდესაც აღმოსავლეთს საქართველოში ჯერ ოსმალნი და სპარსელები თარეშობდნენ, შემდეგ ქვეყანა ნადირშაჰმა ჩაიგდო ხელში და მერმე თანდათან თეიმურაზ და ერეკლე მეფეები გაძლიერდნენ, ქართლ-კახეთი პოლიტიკურად გაერთიანდა და ერეკლემ თავის ბრძნულის და წინდახედულის მოქმედებით მოსამზღვრე ხანები ყმად-ნათიცად გაიხადა.

ისტორიკოსი უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობას აქცევდა ყურადღებას,— „ჟამთა, ვითარებათა და ქცეულებათა“. მჭევრმეტყველებით აღწერილი აქვს მას ყოველი „იწროებანი ქართლისანი და მალიადი ცვალებანი დამპყრობელთანი და განმგეთა ქვეყანისა ჩვენისათანი, მწარენი და ძნიადნი მოხარკეობანი“, რომელიც აღმოსავლეთმა საქართველომ თურქ-სპარსთა ბატონობის დროს გამოიარა (იქვე ჩუბ. 343, ჟიჯ. 53). თუმცა მას ამასთანავე დაწვრილებით და საუცხოვოდ მოთხრობილი აქვს ყველა ამბები, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს აღორძინების ხანას ეხება თეიმურაზ და ერეკლე მეფეების დროს, მაგრამ თვით ისტორიკოსს სწადიან, რომ მკითხველმა თავისი ყურადღება ჩვენი ქვეყნის სწორედ იმ პირველ გაჭირვებულ მდგომარეობას მიაქციოს, როდესაც ჩვენ ქარ-

თვალებს „ესეოდენნი ჭირნი და იწროებანი წარგუხდიან", რომ წინად თითქმის, „კნინღა და არაოდეს ყოფილ-არიან ესევითარნი იწროებანი" (იქვე). ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ჩვენი ისტორიკოსი შორსგამსჭვრეტელი და ღრმა აზროვნობის პატრონი ყოფილა. მერმინდელს აღორძინებას მისთვის თვალები არ აუხვევია და აღმოსავლეთ საქართველოს მაშინდელს გაძლიერებას მისთვის თავბრუ არ დაუსხამს.

რასაკვირველია პაპუნა ორბელიანი ქართლ-კახეთის გაერთიანებით, ქვეყნის მოღონიერებით, მტრების ძლევითა და განდევნით, თეიმურაზისა და განსაკუთრებით ერეკლე მეფეთა ნაყოფიერ სახელმწიფოებრივ და სოციალურ მოღვაწეობით გულწრფელად არის გახარებული და აღტაცებითაც მოგვითხრობს ამ ამბებს,—მაგრამ სამშობლო ქვეყნის წინანდელს უკიდურესს პოლიტიკურსა და ეკონომიურს გაჭირვებასა და განსაცდელს ჩვენს ისტორიკოსზე ღრმა და წარუხოცელი შთაბეჭდილება მოუხდენია და ამიტომ მას საჭიროდ მიაჩნდა, რომ მერმინდელ თაობათაგან „არა დავიწყებულ-იქმნენ ესევითარნი ამბავნი", რომ საქართველოს „ესეოდენნი ჭირნი და იწროებანი" გამოუვლია (იქვე ჩუბ. 343, ჭიჭ. 53).

პ. ორბელიანი დარწმუნებული იყო, რომ რაკი მისი თხზულება და წერილი იქმნებოდა, მომავალი თაობა წაიკითხავდა, „შემდგომნი ჩვენნი მოიხსენებდენ ესეოდენთა ჟამთა" (იქვე). მას სურდა, რომ ყოველს ქართველს, განსაკუთრებით-კი მოზარდ თაობას სცოდნოდა, თუ რა მიზეზით და როგორ დაატყდა საქართველოს ეს საშინელი განსაცდელი (იქვე 343) და ამგზით „მოზარდულნი ქართლისანი განეკრძალნენ ქვეყანათა თჳსთა სიმტკიცისათვის"-ო (იქვე), მამულიშვილური გრძნობა გაეღვივებოდათ და თავიანთ ქვეყნის კეთილდღეობაზე ფიქრსა და ზრუნვას შესჩვეოდნენ.

აღმოსავლეთი საქართველო იმ დროსაც, რომელიც ს. ჩხეიძეს აქვს აღწერილი, თუ უარესს მდგომარეობაში არ იმყოფებოდა ვიდრე 1739—1743 წ.წ.-ში, უკეთესს პირობებში მაინც ცხადია არა ყოფილა: მაშინაც ჩვენი ქვეყანა და ეროვნება უკიდურესს განსაცდელში იყო. მაგრამ ს. ჩხეიძე, როგორც ეტყობა, ამას ვერც ხედავდა და ვერცა გრძნობდა: უდარდელობა, ერთგვარი ყალბი მედიდურობა და ბაქიობა ატყვია მის მოთხრობის კილოს. ეს გარემოება საუცხოვოდ ახასიათებს ამ ორ ისტორიკოსის სულიერ და გონებრივს თვისებას. პ. ორბელიანი ცხოვრებაში ნახედული, ღრმა-მოაზრე და ეროვნულ-საზოგადოებრივ გრძნობებით გამსჭვალული ისტორიკოსია. მისი მამულიშვილური გული თანამოძმეთადმი სიყვარულით სძგერს, მისი გონება და აზრი საქართველოს მომავალს დასტრიალებს და ქვეყნის სიმტკიცეზე ოცნებობს. მას მშვენივრად ესმის, რა განსაცდელშიც იყო ქართველობა და კარგად იცის, რომ მომავალშიაც მას ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი და მუშაობა ჰმართებს, რომ საქართველოს სიმტკიცე და ძლიერება უზრუნველ ყოფილიყო და ოდინდელი განსაცდელი კვლავ თავს არ დასტყდომოდა.

მეტად საგულისხმიეროა, რომ პ. ორბელიანი თავის თხზულების პირველს სტრიქონებში ცოტა არ იყოს თითქოს ჩვენს დიდებულს მოღვაწეს და ისტორიკოსს გიორგი მთაწმინდელს ჰბაძავს. გიორგი მთაწმინდელსავით, როდესაც იგი ამბობდა, რომ ბერძენთა მიერ მოყუენებული ბოროტება და დევნა-შევიწროება ქართველთა მომავალ თაობის მიერ „არა დავიწყებულ იქმნას და კუალად შემდგომად ჩუენსა მომავალნი ესევითარსავე ჭირსა შთაცვივდენ", „არა დავიწყებულ იქმნას და გარეწარ ესევითარი ესე მრავალფერი ღელვაჲ (იხ. აქვე გვ. 75), პაპუნა ორბელიანსაც ხომ უნდოდა, რომ მომავალ თაობის მიერ „არა დავიწყებულ-იქმნენ ესევითარნი ამბავნი"-ო და მათი მიზეზი და ვითარება სცოდნოდათ. მაგრამ რასაკვირველია აქ უფრო სულიერი მსგავსებაა ვიდრე მიმბაძველობა.

პაპუნა ორბელიანს მოთხრობის წეს-რიგი საისტორიო თხზულებაში მატიანისებური აქვს: ამბები ქრონოლოგიურად არის დალაგებული, მაგრამ იგი ყოველთვის ისტორიულ მოვლენათა თვით გარემოებასა და მიზეზებსაც აკვირდება და ისტორიასაც ხომ ისე სწერდა და მისი მიზანიც ის იყო, რომ წამკითხავთ შეეგნოთ და „იუწყებოდენ, თუ ვისგან და ვითა [და] რომლისა მიზეზითა იქმნნეს ესე ყოფილნი"-ო (ამბავნი ქართლისანი, ჩუბ. 343, ჭიჭ. 53).

პ. ორბელიანი ჭკვიანი და ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ისტორიკოსი იყო. მის ყურადღებას იპყრობდა და იზიდავდა ცხოვრების ფართო ასპარეზი და მრავალმხრივი მოვლენა. პოლიტიკურ ამბებსა და ომიანობას გარდა იგი საქართველოს ქონებრივსა და ეკონომიურს მდგომარეობასაც გვიხატავს: მშვენიერად აქვს მას დასურათებული „მწარენი და ძნიადნი მოხარკეობანი", ყოველგვარი „ჭირნი და იწროებანი", რომელიც მის დროს ქართველებს გამოუვლიათ. საყაენო ხარკისა და უკანონო ჯარიმების რაოდენობა გნებავთ, თუ ის შედეგი, რომელიც საქართველოში სპარსეთის შაჰების საფინანსო პოლიტიკას მოჰყვა, ან ცნობები ხალხისა და შემოსავლის აღწერის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში სპარსთა და ოსმალთა ბატონობის დროს გინდ სააღებმიცემო გზები და ვაჭრობა, ან სასმელ-სანოვაგისა და საქონლის ფასები, თუ ფულების მოჭრა, საკუთარ ზარაფხანის დაარსება და ფულების ფასები,—ყველა ამათის შესახებ ჩვენს ისტორიკოსს თავის თხზულებაში ძვირფასი ცნობები აქვს შეტანილი.

პ. ორბელიანის თხზულებაში უხვი მასალებია აგრეთვე იმდროინდელ აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფო და საეკლესიო წესწყობილების შესასწავლად. განსაკუთრებით საგულისხმიეროა და დიდმნიშვნელოვანი მის ისტორიის ის ადგილები, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ცდილობდნენ მეფენი თეიმურაზი და ერეკლე და მათი თანამშრომელნი საქართველოს ძველ წესწყობილების შესწავლას, გამორკვევას და აღდგენას.

საუცხოვოდ არის აღწერილი აგრეთვე მეფის კურთხევისა და დარბაზობა-მეჯლისის წესები. ძვირფასი ცნობები მოიპოვება მაშინდელ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და გარდაგარდმოსახლების შესახებ. ერთი სიტყვით, პ. ორბელიანის ისტორია მეტად შინაარსიანი თხზულებაა.

ხოლო თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ყველა ცნობის შესახებ მას ზედმიწევნით თარიღიც აქვს აღნიშნული, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ მე-XVIII-ე საუკ. აღმოსავლეთ საქართველოს შესასწავლელად პ. ორბელიანის თხზულება ძვირფას და დაუშრეტელ საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს.

პ. ორბელიანის ნაწარმოები დაწერილია იმ დარბაისლურ ქართულ სასაუბრო კილოთი, რომელიც თავის ღირსებით ძველ ქართველ საუკეთესო ისტორიკოსთა მშვენიერს ენას უახლოვდება. თამამად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ აღორძინების ხანის ქართულ საისტორიო მწერლობის მშვენებად გახუშტის შემდგომ სწორედ პაპუნა ორბელიანი უნდა ჩაითვალოს.

პ. ორბელიანის ისტორია პირველად დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა მ. ბროსსეს ქ'ცის კრებულში (II ნაწილი, გვ. 343—474), ხოლო მეორედ იმავე გამოცემითგან უცვლელად გადაბეჭდა ზ. ჭიჭინაძემ (საქართველოს ცხოვრება, ტფილისი 1913 წ. გვ. 53—240).

ომან მდივანბეგი ხერხეულიძე.

ომან მდივანბეგ ხერხეულიძეს კალამს ეკუთვნის საისტორიო ნაწარმოები, რომელსაც ეწოდება „მეფობა ირაკლი მეორისა მეფისა, თეიმურაზის ძისა“ (იხ. ქ'ცა II. დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 475—500, ზ. ჭიჭინაძის გამ. 241—276). ავტორისავე სიტყვით ეს თხზულება არის „შემოკლებული ისტორია ირაკლი მეორისა-თვის“ და მოგვითხრობს იმას, „თუ ვითარითა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა, რომელსაცა გარდამატებულისა-თვის სიმხნისა მისისა პირველად მიუბოძა შაჰნადირ კახთა მეფობა და შემდგომად შეაერთა მან სკიპტრა ორმეფობითი“-ო (იქვე, ჩუბ. 475, ჭიჭ. 241). ამგვარად ომან ხერხეულიძე პაპუნა ორბელიანისაგან განსხვავდება და თუ ამ უკანასკნელს აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობის აღწერა ჰსურდა და აგვიწერა კიდეც, ომან ხერხეულიძეს მეფის მოღვაწეობის („შრომანი და ღვაწლნი“) დახასიათება ჰქონდა განზრახული. მას უნდოდა, რომ მკითხველის ყურადღება ერეკლე მეფის სახელმწიფო მოღვაწეობის განსაკუთრებით ორ მოვლენისათვის მიეპყრა: ჯერ ერთი იმისათვის, „თუ ვითარითა შრომითა მიიღო მან მეფობა ქართლისა“ და მერე იმისათვის, თუ როგორ „შეაერთა მან სკიპტრა ორმეფობითი“, ანუ ქართლ-კახეთის სამეფოთა გაერთიანების ამბავისათვის.

როდის არის ომან მდივანბეგის საისტორიო თხზულება დაწერილი, ამის შესახებ თვით ნაწარმოებში გარკვეული ცნობები არ მოიპოვება, მხოლოდ ცხადია მაინც, რომ „მეფობა ირაკლი მეორისა“ უეჭველია 1795 წლის შემდგომ და ახლო ხანებში უნდა იყოს შედგენილი. ეს იქითგან ჩანს, რომ ჩვენი ისტორიკოსი 1749 წლის ამბებს ქვეშე ამბობს: „მიერ დღით იყო ერევანი მოხარკეობასა ქვეშე მეფეთასა (თეიმურაზისა და ერეკლისა) ვიდრე მოსვლადმდე საქართველოსა შინა ყაჯარი მაჰმად ხანისა, გარნა ვერცა მან მოშალა სრულიად ერევნისა სამსახური საქართველოსადმი“-ო, (იქვე, ჩუბ. გვ. 483, ჟორჯ. 252). მაშასადამე როდესაც ომან ხერხეულიძე ამ ამბავს სწერდა აღა-მაჰმად-ხანი უკვე საქართველოში შემოსეული ყოფილა და უკან გაბრუნებულა კიდეც. ამისდა მიუხედავად ჩვენს ისტორიკოსს თავისი მოთხრობა მაინც 1795 წლამდე არ მოუყვანია, არამედ შეწყვეტილი აქვს 1780 წლის „შემდგომად რამდენისამე წლისა“ მომხდარ ამბებით (იქვე ჩუბ. 496, 498, ჟორჯ. 271—275).

ერეკლეს მეფობის უკანასკნელ წლების ამბების მოუხსენებლობის მიზეზი ისტორიკოსს ამგვარად აქვს განმარტებული: „ხოლო რომელნიცა მოიწია მაშინ ჟამსა ღრმად მოხუცებისა მისისა (ე. ი. ერეკლე მეფისა) საქმე უბედურებითი და მოყიდა აღა-მაჰმად-ხან და აღაოხრა ტფილისი, მისთვის არა რა დამიწერიეს ჯერეთ, ვინათგან მიზეზნი და ვითარებანი განვრცელდებიან“-ო (იქვე, ჩუბ. გვ. 500, ჟორჯ. 276). მაშასადამე ამ ხანის ამბების აღუწერილობა ომან ხერხეულიძეს იმიტომ არ შეუტანია თავის თხზულებაში, რაკი მაშინ ჯერ კიდევ პოლიტიკური მდგომარეობა საბოლოოდ გამორკვეული არ ყოფილა, თვით ვითარებაც ჯერ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არ იყო და ის პოლიტიკური „მიზეზნი“, რომელმაც საქართველო უკიდურეს განსაცდელამდის მიიყვანა, „ვრცელდებოდნენ“.

ომან მდივანბეგ ხერხეულიძეს თავისი საისტორიო თხზულება 1722 წლის ამბავით დაუწყვია და 1780 წლის შემდგომ მომხდარ ამბებით დაუმთავრებია მოთხრობა, ესე იგი 60 წლის მატიანე აქვს აღწერილი. ამ სამოცი წლის ამბებისათვის მას მხოლოდ 25 გვერდი (ჩუბ. გვ. 475—500, ჟორჯ. 241—276) გამოუყენებია. მაშასადამე ამ მხრივ ომან ხერხეულიძე სეხნია ჩხეიძეს უფრო მიაგავს, რომელმაც 86 წლის საისტორიო ამბავი 35 გვერდზე მოათავსა, ვიდრე პაპუნა ორბელიანს, რომელმაც აღმოსავლეთ საქართველოს 19 წლის თავგადასავალს 131 გვერდი უძღვნა. თვით ომან ხერხეულიძეც ალბად კარგად გრძნობდა, რომ 60 წლისათვის 25 გვერდი მეტად ცოტა იყო და ამიტომაც არის, რომ თავის ნაწარმოებს „შემოკლებული ისტორია“ უწოდა.

სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანისაგით თავის თხზულების წყაროები ომან ხერხეულიძესაც აღნიშნული აქვს. მეფე ერეკლეს მოღვაწეობათ, ამბობს ისტორიკოსი, „სმენითა და მეხსიერებითა და სარწმუნოთა კაცთაგან ცნო-

ბითა აღვსწერე"-ო (ჩუბ. გვ. 500, ჭიჭ. 276). მაშასადამე, ისე გამოდის თითქოს თვით მემატიანე მოთხრობილ ამბების არც თანადამხუდარი და არც თვითმხილველი ყოფილა და ყველაფერი „სარწმუნოთა კაცთაგან" „სმენითა და ცნობით" აქვს ნაამბობი. მაგრამ ამგვარი დასკვნა ვგონებ შემცდარი იქმნებოდა და „მეხსიერებითა"-ს რომ ამბობს, თავისი თავი აქვს ალბად ნაგულისხმევი: ვგონებ მას უნდოდა ეთქვა, ზოგი „სმენითა" და „სარწმუნოთა კაცთაგან ცნობით", ზოგი კიდევ „მეხსიერებითა" მაქვს აღწერილიო. მაინც-და-მაინც საგულისხმიეროა, რომ ჩვენს მემატიანეს თავისი თანადამხუდარობა და თვითმხილველობა სხვებსავით საგანგებოდ აღნიშნული არა აქვს. თვით მოთხრობის კილოსაც არსად ეტყობა, რომ მისი მომთხრობელი მემატიანე რისიმე მონაწილედ და თანადამხუდარად ჩანდეს.

საყურადღებოა მხოლოდ, რომ თავის ზეპირ წყაროს შესახებ, მოამბეებზე განსაკუთრებით მოხსენებული აქვს, რომ ისინი „სარწმუნო კაცნი" იყვნენ. მაშასადამე, ომან მდივანსაც არ დაჰვიწყებია საისტორიო მწერლობის უტყუარობისათვის ეს აუცილებელი მოთხოვნილება, მაგრამ სხვაფრივ ჩვენი ისტორიკოსი სუსტობს.

ერთი გარემოება არის გასაკვირველი: ომან ხერხეულიძის სიტყვებითგან ისე გამოდის, თითქოს მას არც ერთი წერილობითი საისტორიო წყარო არა ჰქონოდეს და არ ეხელმძღვანელოს თავის მატიანის შედგენის დროს. მაგრამ მისი მოთხრობა 1722 წლის ამბებით იწყება, რომელიც 1739 წლამდე უკვე სეხნია ჩხეიძეს ჰქონდა აღწერილი და 1739 წ. შემდეგ ხომ 1758 წლამდე პაპუნა ორბელიანმა აღნუსხა აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ და საკულტურო ცხოვრების ყველა დიდმნიშვნელოვანი ამბები. ერთი სიტყვით, როდესაც ომან მდივანბეგმა თავის მატიანის წერას ხელი მიჰყო, აღმოსავლეთ საქართველოს თავგადასავალი 1722 წ. მოყოლებული 1578 წლამდე უკვე აღწერილი იყო. თუ მის თხზულების ამ ნაწილს სეხნია ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის ნაწარმოებების შესატყვისს ადგილებს შევადარებთ, ჩვენთვის ცხადი იქმნება, რომ ომან ხერხეულიძეს წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებებით უსარგებლია. მაშასადამე ომან მდივანბეგის ზემომოყვანილი ცნობა მის მატიანეს წყაროების შესახებ სრული არ არის: წერილობითი წყაროების აღნიშვნა დაჰვიწყებია.

ომან ხერხეულიძეს თხზულება ნამდვილი მატიანეა: ქრონოლოგიურად აღნუსხული ამბები ერთი მეორეს მისდევს. მოთხრობა მოკლეა და მშრალი. მემატიანეს თავისი გულისყური განსაკუთრებით პოლიტიკურ ამბებისათვის მიუპყრია და მოვლენათა მხოლოდ გარეგანს მხარეს ეხება. ამასთანავე თუმცა თვით ავტორისავე სიტყვით მას ჰსურდა მკითხველისათვის დაენახვებინა „თუ ვითარითა შრომითა მიიღო (ერეკლემ) მეფობა ქართლისა" და „შეაერთა მან სკიპტრა ორმეფობითი", თვით ომან ხერხეულიძის მატიანეში-კი ეს ორი გარემოება დანარჩენ ამბებზე მაინც-და-მაინც განსაკუთ-

რებულის გულმოდგინებითა და დაკვირვებით არ არის გაშუქებული. პირიქით, ორივე ზემოხსენებული საკითხი პაპუნა ორბელიანს უფრო ცხოვლადაც და უფრო მკაფიოდაც აქვს გამორკვეული და აღწერილი.

უკვე აღნიშნული იყო, რომ თვით მემატიანე თავის თხზულებას „შემოკლებულ ისტორიას“ უწოდებს. შესაძლებელია აქ ავტორს თავის წყაროების შემოკლებაც ჰქონდეს ნაგულისხმევი, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ისედაც მას საჭიროდ არ მიაჩნდა თავის მატიანეში ყველა ცნობები შეეტანა, რაცკი ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესახებ იცოდა. ერთგან პირდაპირ ამბობს კიდეც: „ესევითარნი გამარჯვებანი ირაკლი მეფისაგან უანგარიშონი არიან და ამად ყოველივე ვერ მოვიხსენეთ, არამედ იგი აღვრიცხეთ, რომელი ღირსად-ხსოვნისა იყო და სხვანი მრავალნი გამარჯვებაები დავიდუმეთ“-ო (იქვე, ჩუბ. 495, ჭიჭ. 269). მაშასადამე ომან ხერხეულიძეს მხოლოდ მსხვილისა და „ღირსად-ხსოვნისა“ ამბების აღნუსხვა მიაჩნდა საჭიროდ.

ომან მდივანბეგის ნაშრომი ს. ჩხეიძისა და პაპუნა ორბელიანის თხზულებებისავით თარიღებით უხვად არის შემკული. სხვათა შორის საგულისხმიეროა, რომ თარიღები ხერხეულიძეს ნაწარმოებში თითო-ოროლას გარდა ქრონიკონით-კი არ არის აღნიშნული, არამედ „შობითგან ქრისტესით“.

მის ენაში უკვე შეხიზნულია რუსული სიტყვები: „ვერსი“ (იქვე ჩუბ. 484, 487 და 491, ჭიჭ. 254, 258 და 269) აღაჯის მაგიერ და „ურეგულო ჯარი“ (იქვე, ჩუბ. 484, ჭიჭ. 254). გასაოცარია აგრეთვე, რომ ომან მდივანბეგი „ახალციხეს“ მაგიერ „ალისას“-ს სწერს (იქვე ჩუბ. 478, 491 და 493, ჭიჭ. 246, 264 და 266). ამიტომ შეიძლება ადამიანს ეფიქრა კიდეც, იქნებ ჩვენ მემატიანე ამ შემთხვევებში სპარსულ, ან ოსმალურ წყაროებით სარგებლობდაო, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზია: თუმცა გასაკვირველი-კია, მაგრამ ეტყობა ომან ხერხეულიძე ახალციხეს ისევე უძახდა, როგორც თურქები უძახდნენ.

ზემოთქმულითგან ირკვევა, რომ ომან მდევანბეგ ხერხეულიძის მატიანე, ვითარცა საისტორიო ნაწარმოები, მაინცდამაინც დიდი არაფერია და პაპუნა ორბელიანისას ხომ ძალიან ჩამოუვარდება. მხოლოდ ერეკლე მეფის მოღვაწეობის შესასწავლელად, როგორც საისტორიო წყაროს, მასაც რასაკვირველია თავისი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით 1758 წლითგან მოყოლებული ბოლომდის.

„შემოკლებული ისტორია“ პირველად დ. ჩუბინაშვილმა გამოსცა მ. ბროსსეს ქ̃ცის კრებულში (II ნაწილი, გვ. 475—500), ხოლო აქეთგან ზ. ჭიჭინაძემ გადაბეჭდა (საქართველოს ცხოვრება, ტფილისი 1913 წ. გვ. 241—276).

შემჩნეული საკორექტურო შეცდომების გასწორება.

გვ. სტრ.	უნდა იყოს:	გვ. სტრ.	უნდა იყოს:
1 27	ქრისტიანეთა	21 35 შენ.	მარკვარტის
3 29	მარტჳლობა	24 7	თავდაპირველს
3 შენიშვნა	სჳნაქსარი	27 23	სომხეთი
4 19	(TP. Ϛ. V),	28 4	უკუნიქცეს
5 6	ესეცკია—	28 15	ედვათ
5 7	წმიდანი	29 14	თხზულებას
5 23	დაწერილსა	30 24	ღმერთმან
5 24	ასურელ	33 17—18	შეუძლებელიც
5 28	აგრეთვე	33 37	მოიპოვება
5 29	ცხორებათა	34 9	განზრახ
6 15	ქარტაჲ	35 14	ყოველ
6 22	განძლებად	37 17 (bis).	ეკუანა
6 30	არსენისათჳს	37 21	უჴმარ
7 15	ჭელიშისეული	37 37	ჭელიშ.
7 17	”	38 9	ნაწარმოებად
8 3	გარდაკდეს	39 19	შემთხზველს
8 9	თხზულება	40 2	აპოკრიფული
8 10	ჰქონოდა	40 7	ერისთავობას
8 შენ. 3	ხელნაწ.	40 24	შეთხზვის
9 33	ამისა	41 2	მამათა)
13 4	ჭკუით	41 10—11	შემ—თხვევაში
15 23	განცვიფრებული	41 15	იხილნა
15 26	სიმდაბლჱ	42 21	მოქცევაჲ
16 11—12	სარკინოზიგე აბო	42 27	დასავლეთ
16 13	პყრობილს სჯულს	44 7—8	სახელად
16 16	პყრობილს	44 23—24	ისმინოთ
17 15	მცენარისათვის	44 24	შეგჭამნეს
18 10	იყუნენ	44 36 (შენ.)	კახაჲ
19 8	საბანისძესავით	45 18	ლაშქრითურთ
19 20	und	48 4--5 და 28--29	მოღვაწებაჲ
19 25	ამგვარ	49 1	დაფუძნებას
19 30	ურმა-და	49 8	დაბადებადი
20 9	Abriss	49 9	ეკლესიაში
20 9	Kaisergeschichte	49 23	აღუწერელობით

გვ. სტრ.	უნდა იყოს:	გვ. სტრ.	უნდა იყოს:
54 7—8	უფრო	82 35	ეფრემისნი
54 28	გამიგრძელდესო	84 3	ყავთ
55 5	თანაწარვჰკჳედ	86 33	ეკლესიისათვის
55 12, 52 —20	ესთეტიური	87 10	მრავალჯერ
55 26	სასწაულთმოქმედება	87 30	თხზულებაში
56 29, 31	terminus	88 27	მეთოდით
58 34	ხაძთელმა	90 12	ისტორიკოსის
59 38	ასეთია	91 21	ეფრემის
60 24	ვითომც	91 31	ისტორიის
60 28, 32	ისჰაკ	93 31—32	თარგმან[ება]ნი
60 34	მუთასიმის	96 9	გარყუნისა
61 4	ყოფილიყო	96 25	საბერძნეთშიაც
61 29	დიდედის	98 20	ძველისავე
62 9	მომითხრნეს	103 3	თანაშეტყუებისაგან
62 17	მერჩულმა	106 12	საყურადღებო
62 18	გამორკვეული	106 25	ენაწყლიანობა
62 37	აქამომდე	109 18	საეკლესიოჲსა
63 3	მისისათაჲ	109 35	Patr.
65 35	„კაცი“ მეტია	111 5	საძიებელი
65 35	მას	111 8	გამოკვლევას
65 35	ბჳკჳრდა	111 11	ესმა
66 5	კაცთა	113 2	აგრეთვე
66 10	ჩორჩანელი	114 21	მროველს
66 22	ვიტყჳ	114 30	მროველს
66 32	სმენილი	114 31	პირველთაგანთა
67 5	დანარჩენთ	115	ძის წული
68 32	გარემოება	115 33	შთამომავლობით
68 14	სხუა[დ]	115 36	„მქ̃ცჲ ქ̃ჲ“-ს
69 1	იძულებული	115 38	ისტორია
4	სხუა[დ]	116 6	იაფეტის
69 14	მსმენელისა	117 24	მოუკვეცია
70 2	მოწადინებული	117 24	კახ-ოს
70 8	შემთხვევაში	120 2	დაბადებისათჳს
71 1	სხუა	120 14	მწერლობაშიც
71 36	ზარზმელის	120 23	ბაბილოვნს
72 5	კლდოანსა	122 6	სეითის
72 6	მოხსენებული	122 21	ზედა
73 19	დასხნეს	123 11	მიმსგავსებულად
74 7	გარემოება	126 10	გამოუდეგარია
75 11	მრავალფერი	126 13	ყურადღებას
76 1—2	მთაწმიდელის	127 30	მინაწერში
76 15	განაწესა	128 10	ჯუანშერსაც
79 37	ვთქუა	128 22	ვოლგასა და

გვ.	სტრ.	უნდა იყოს:
131	5	თუმცა
135	23—24	გორგასლისათა
136	19	ბაგრატ III-მდე
145	26	თავდაპირველად
148	5	მემატიანე
149	1	ავხაზეთისასა
149	18	ქუთათის[ი]სა
153	6	ცნობისაებრ
154	1	მრავალგზის
154	28	მდაბალ
155	26	მკჳდრ
158	10	ბუნებით
158	28	ისტორიკოსსავით
159	15	ალექსანდრე
163	2—3	ნადირობასა
164	7	ბრძოლისასა
164	17	მრავალთა
165	13	უნებლიედ
166	13—14	იხიბლება
167		ულმობელობა
167	13	რუქნადდინ
168	30	ინდიკტიონს
169	3	საწუთროსამან
169	24,29	რუქნადდინ
169	12—13	ძლევამოსილმა
171	6	რუქნადინის
171	9	და
173	12	ბუნებით-მეტყუელებასა
174	19	აპირსპასარი
174	30	უუთლუარსლანის
175	16	მესისხლეობისა
175	22	გჳრგჳნისამან
175	23	ადფრთოვანებულია
175	33—34	მი[ჭ]დრიკა
175	23—24	სიფაქიზით,
176	1—2	გლახაკთა
178	28	სპასპეტისაგან
179	15	პლუტარხოსს
179	17	ადძეგლნა
179	20	კეთილ
179	22	საუგო
179	29	ისტორიას
180	5	რუქნადდინის
180	37	მეთოდოლოგიურ
182	35	რუქნადდინის
183	8	წინამორბედს
183	31	სახელგანთქმულს
185	10—11	რა-ოდენ
186	6	ენამძიმობისა
186	13	ჴელმწიფეთა
186	34	ქცევითა
186	36	ამბობს:
187	14	როგორდა
187	22	რომ
187	30	მაბრალებდეს
188	3	ესევითარნი
189	18	ჯმა
190	8	სიყვარულის და
190	11	განსაკუთრებით
192	28	გჳრგჳნოსანი
193	34	გადაბმული
194	19	მოკრებისანი
194	22	ქვემომოყვანილ
194	28	დაწვრილებით
194	20	სიტყუამან
196	19	უმწვერვალეს
197	10—11	*Ժամանակագրութիւն*
197	27	დღ˝ლს
198	13	ამბობს
199	8	დავითის
201	24	გადააჩვია
201	32	მისცნა
202	28	წრეების
202	30—31	იქარვებს
205	14	ჩიშაბურისა
206	4	სიტყუაცა
206	7	დიმიტრი
207	2	მოსპ[ოლ]ვა
209	32	გათავდების
210	9	სარგებლობს
210	22—23	შეუწყნარებლობის
211	17	ჩინგის ყაენისათა
215	30	იუსტინიანეს
216	6	მეფენი
216	24	უდროობას
217	2	ქრონოლოგიური

გვ.	სტრ.	უნდა იყოს:
218	10—11	არდარა
218	28	ბაგრატ
219	18	ბაგრატ
225	17	ზემომოყვანილი
227	10	შინაარსს
228	3	დამატ.
233	6	შეიძლება ამ წიგნითგან
234	5—6	ქორონიკონის
234	30	მუსულმანი
243	28	გამოლაშქრება
244	15	ჰქონოდა
246	10	Vazd
248	8	ზარზმის მონასტრის
248	12	ლითოგრაფიული
248	23	ქ˜ვს რჟ
250	29	(მდივანთუხუცესობა)
254	3	ცხოვრება
255	9	სრულებით
256	27	წიგნთსაცავის
265	26	სხვა და სხვა
268	31,36,38	1724
277	4	B.,
280	4	წელთაღრიცხვით
281		საგანს
282	27	კომპილატორები
282	20	სამეთოდოლოგიო
284	4	მწვანილეულობას
288	12	სჳნქრონიზმის
295 შენ. 2		ყურადღების
302	27	ვაზირობა
304	20	სხვა გვარ
321	20	ისტორიკოსი
324	18	„თვალნახული“-ა
325	32	იყო
326	33	თუ იყო
328	12	ამბავს ეხება
331	30	ფეშქაშად

ამ წიგნის ზანდუკი.

წინასიტყვაობა. . . . . გვ. VII—VIII.

ქარაგმიან და შემოკლებულ სიტყვების განმარტება. . . . . . . გვ. IX—X.

შესავალი. . . . . გვ. XI—XXXVI.

ამ გამოკვლევის მიზანი XI. ქართულ საისტორიო მწერლობაში წყაროების შესწავლას ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევენ XI. ქ'ცის საკითხი და მისი მხოლოდ გარეგანი განხილვა XI. ქ. თანამედროვე მწერლობამ ქართველ ისტორიკოსთა პიროვნებისა და მიმართულების მიზნისა და მეთოდების გამორკვევას და გათვალისწინებას უნდა მიაქციოს ყურადღება XII. ჩვენ მწერლობაში გაბატონებული მავნე ჩვეულება წყაროების დასახელების დროს XII. ქართ. თანამედროვე საისტორიო მწერლობის ცალმხრივობა და სრული გულგრილობა ქართ. მარტვლთა და წმიდათა ცხოვრებათადმი XII—XIII. ამის სამწუხარო შედეგი XIII. რატომ არის რომ ამ წიგნში ქართ. საისტორიო მწერლობის ეს დარგი სხვა დარგებთან ერთად და თანასწორად არის განხილული XIII. ქართველ საეკლ. ისტორიკოსების თხზულებების განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართ. საისტორიო მწერლობის განვითარების შესწავლისათვის XIV. რომელ საუკუნოების მწერლობაა განხილული ამ წიგნში XIV. საისტორიო მწერლობის სხვა და სხვა სახის ქართული ტერმინები XIV—XVII. აზრი საისტორიო მწერლობის მთავარ დარგებად დაყოფვის შესახებ XVII. ქართველ ისტორიკოსთა აზრი მის შესახებ თუ რის შეტანა შეიძლებოდა ისტორიაში XVIII. ისტორიის მთავარი მიზანი XVIII—XIX. ქართულ მწერლობაში მიღებული მოძღვრება იმის თაობაზე, თუ როგორ და რაგზით უნდა დაწერილიყო სამაგალითო საისტორიო თხზულება XVIII—XIX. მოძღვრება წყაროების შესახებ XIX. ზეპირ წყაროების აუცილებელ თვისებების შესახებ და შესაფერისი ტერმინები XIX. მოძღვრება საისტორიო-სამწერლობო ტეხნიკის შესახებ და კარგად შემუშავებული შესაფერისი ტერმინოლოგია XX—XXVII. საისტორიო თხზულებები წინდაწინვე შემუშავებული გეგმისდა მიხედვით ყოფილა დაწერილი და ამის დამამტკიცებელი მაგალითი XX. სამწერლობო გეგმა და თხრობის წესრიგი და მათი შესატყვისი ტერმინოლოგია XXI—XXII. სიტყუაჲ და ლექსი, მათი თავდაპირველი და მერმინდელი მნიშვნელობა XXII—XXIII. საისტორიო თხზულებათა ნაწილების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია XXIII. საისტორიო

თხზულებათა შემოქმედების გამომხატველი და აღმნიშვნელი ტერმინები XXIII—XXVI. საისტორიო სხვადასხვა თხზულებათა ავტორების სხვადასხვა სახელები XXVI. საისტ. ნაწარმოების აღწერის ტეხნიკა XXVI—XXVII. მოძღვრეზანი საისტორიო თხზულებათა შესაფერ ენის შესახებ XXVII—XXVIII. რიტორობის კელოვნება ისტორიაში XXVIII. მოძღვრება საისტორიო ნაწარმოებების სიგრძე—სიდიდის შესახებ XXVIII—XXIX. საისტ. თხზულებათა გარეგანი სახე XXIX. წიგნის ანდერძი და ზანდუკი XXIX—XXX. რა არის გადარჩენილი ქართ. საისტ. მწერლობითგან და რა არის გამოცემული XXX. შენახ. ქართ. სამოქალაქო საისტორიო წყაროების ცალმხრივობა და ამის მიზეზი XXX—XXXI ქართ. საისტ. მწერლობის საზოგადო მიმდინარეობა XXXI—XXXII. ელლინურობის გავლენა XXXII. სპარსულ წყაროებით სარგებლობა XXXII. რამ შეუწყო ხელი ძველ ქართულ საისტ. მწერლობის მაღალხარისხოვანს განვითარებას XXXII—XXXIII. ქართ. საისტ. აზრისა და მწერლობის მოკლე საზოგადო მიმოხილვა და დახასიათება XXXIII—XXXIV. ქართ. ისტორიკოსთა აზრი ადამიანისა და კაცთა ნათესავის სულიერ-გონებრივ ბუნებისა და თვისებებზე XXXIV—XXXV. აღზრდის ყოვლად შემძლებლობა და ჩჩვლი ბავშვის ტვინის თვისება გიორგი ხუცეს-მონაზონის აზრით XXXIV—XXXV. დავით აღმაშენებელისა და თამარ მეფის ისტორიკოსების შეხედულება „თანაშთამომავლობა“-ზე და მოძღვრება „წინათგანჩინებულების“ შესახებ XXXV—XXXIV. საკელმწიფო მოღვაწის მოქმედების ნაყოფიერებისათვის საჭირო პირობები XXXVI. ნიკოლოზ კათოლიკოზის აზრი ეროვნებათა თანდაყოლილი სულიერ თვისებების შესახებ XXXVI.

მარტჳლობანი და წმიდათა ცხორებანი . . . . გვ. 1—11.

საითგან წარმოიშვა ქართული საისტორიო მწერლობა 1. მარტჳლობანი საეკლესიო—საისტორიო მწერლობის უძველესი დარგია. მარტჳლთა აღსასრულის ხსოვნის დღესასწაული მსოფლიო ეკლესიაში 1—2; წმიდანი მსოფლიო ეკლესიაში და წმიდათა ცხორებანი პირვანდელი და გადაკეთებული 2. წერილის სახედ აღწერილი მარტჳლობანი: წ˝ა შუშანიკისა 2—3. საკითხავის და ქადაგების სახედ აღწერილნი მარტჳლობანი: აბო ტფილელისა 3, არ ჩილისა 3, დავით და კონსტანტინესი 3, რაჟდენისა 3, ქართული უძველესი მარტჳლობანი 3—4: შუშანიკისა 3—4, ევსტათე მცხეთელისა 4, ცნობა წ˝ა ნინოს წამებათა შესახებ 4, ცხრათა ძმათა კოლაკელთა 4. ქართველ მარტჳლთა და წმიდათა ძველ ცხორებათა ხელმეორედ დაწერა და გადაკეთება 5 და ამის მიზეზი 5: ძველის დაკარგვა 5, ძველის უვარგისად მიჩნევა 5. ათსამმეტ ასურელ მამათ გადაკეთებული და ხელმეორედ დაწერილი ც˝ანი 5. ფილოსოფიურ და სღვთისმეტყველო საკითხებით გატაცების კვალი წმიდათა გადაკეთებულ ცხოვრებებში 5—6. იოანე ზედაზნელის ც˝ის „განმაახლებელი“ არსენი კათოლიკოსი და მისი მიწერმოწერა ამის თაობაზე 6—7. როდის ცხოვრობდა არსენი კათოლიკოსი 7—8. მ˝ქჲ ქ˝ჲ-ს და ჯუანშერის შეცდომები 7—8. მარტჳლობათა და

ც˝ათა განმაახლებელნი და განმავრცელებელნი ისტორიულს ამბებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და უფრო ფილოსოფიურ და საღვთისმეტყველო საკითხებით იყვნენ გატაცებულნი. ამის ნიმუში არსენი კზის თხზულებითგან 8—9. პირველი თხზულებები ძველი მოძღვრებისა და მდგომარეობის კვალის წარხოცის სურვილის გამოც ყოფილა გადაკეთებული, ამის მაგალითი ასამმეტ ასურელ მამათა გადაკაზმულ ცხოვრებაში 9—10. განახლებულ და გარდაკაზმულ თხზულებათა მნიშვნელობა 10—11.

იოანე ძე საბანისი . . . . გვ. 11—19.

იოანე საბანის ძის განსაკუთრებული მნიშვნელობა 11—12. მისი თხზულების გეგმა 12. მისი სამწერლობო მოღვაწეობის დამახასიათებელი თვისებები. პოეტური ნიჭი და ღრმა აზროვნობა 12—13. იოანე საბანის ძე აბო ტფილელის არც პირად სათნოებით იყო გატაცებული, არც აღმსარებლობითი მოღვაწეობით 13—14. იოანე საბანის ძის მთავარი მიზანი იყო იმდროინდელ პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ მდგომარეობის დასურათება 14—15, რომ ამით აბოს მარტვლობის მნიშვნელობა ქართულ ეკლესიისათვის გამოერკვია 15—16. იოანე საბანის ძე ეროვნულ—სარწმუნოებრივ თვითშემეცნების მქადაგებელი იყო 16—18. იოანე საბანის ძის ღვაწლი 18—19.

ცხორებაჲ და წამებაჲ კონსტანტინე-კახაჲსი. . . . . გვ. 19—24.

ავტორის თანამედროვეობა და ც˝ის დაწერის წელიწადი 19—20. ავტორის აზრი საეკლესიო-საისტორიო მწერლობის გაჩენისა და განვითარების შესახებ 20. ც˝ის სიმოკლე და ცნობათა სიმცირე 21. მოწამე კონსტანტინე-კახაჲს ვინაობა და პიროვნება 21—22. ბუღა თურქის შემოსევა საქართველოში, კახას შეპყრობა და წამება 22—23. კახას შეპყრობისა და წამების თარიღები 23—24. ამ თხზულების ღირსება-ნაკლის საზოგადო დაფასება 24.

ქართული საეკლესიო ისტორიის ორი მთავარი საკითხი ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივ განყოფისა და საქართველოს გაქრისტიანების შესახებ 24—25.

არსენი კათოლიკოზი . . . . გვ. 25—29.

როგორ გაჩნდა არსენ კათოლიკოზის ნაწარმოები 25—26. არსენის ძირითადი შეხედულება ქართველ-სომეხთა განყოფის შესახებ და კირიონ კათოლიკოზის აზრი 26—27. არსენის აზრი განხეთქილების პოლიტიკური მიზეზის შესახებ 27—28. ეროვნული თვალთს აზრისი და ელფერი სარწმუნოებაში 27. სომეხთა ღალატი მართმადიდებლობისათვის წინასწარ იყო აღნიშნული 28. სომეხთა ავტოკეფალიის უკანონობა და დოგმატიკური ცოდვა არსენის აზრისამებრ 28. არსენი კათოლიკოზის ღუმილი საქართვე-

ლოს განმანათლებელის შესახებ 28—29. არსენის თხზულების მოკლე დაფასება 29.

წ͠ა ნინოს ცხორება. . . . . გვ. 29—38.

წ͠ა ნინოს შატბერდისეული ც͠ა და სხვადასხვა ცნობები წ͠ა ნინოს შესახებ 29—30. რა დანიშნულება ჰქონდა შატბერდისეულს ც͠ას 30—31. საქართველოს ეკლესიას თავისი საკუთარი განმანათლებელი ჰყავდაო 31. წ͠ა ნინოს ძველ ცითგან შერჩენილი კვალი შატბერდისეულს ც͠ა-ში 31—32. შატბერდისეული ც͠ის ყალბსათურიანობა და ამის მიზეზი 32—34. შატბერდისეულ ც͠ის მინაწერი და სხვადასხვა აზრი მის შინაარსის შესახებ 34—35. ამ მინაწერის ნამდვილი და ალლეგორიული შინაარსი 35—36. წ͠ა ნინოს მოღვაწეობის მნიშვნელობის შეუგნებლობა წინათ, შეგნება შემდეგში და მის განსაკუთრებული თაყვანისცემასზე ზრუნვა 35—37. შატბერდისეული ც͠ის დაფასება 37. ც͠ის ზოგიერთი წყაროები 37. შატბერდისეულ-ჭელიშისეულ ც͠ათა გამოცემანი 37—38.

მოქცევაჲ ქართლისაჲს მატიანე . . . . გვ. 38—43.

როდის უნდა იყოს შედგენილი 38. ამ მატიანის ორი ხელთნაწერი 38—39. ცნობები მატიანის წყაროების შესახებ 39—40. მატიანე გამოკრებულად აღწერილი ყოფილა 39. მქ͠ცჲ ქ͠ჲ ერთად ერთ და უუძველეს ქართულ სამოქალაქო ძეგლად ვერ ჩაითვლება 39. მატიანე მე-IX-ე საუკუნეშია შედგენილი 40—41. მემატიანეს მიზანი და აზრი ქართველთა კავკასიაში დასახლების შესახებ 41—42. მატიანე ვიწროდ არის შემოფარგლული და ერთფეროვანია 42. მისი ნაკლი და ღირსება 42—43, გამოცემანი 43.

სტეფანე მტბევარი ეპისკოპოზი . . . . გვ. 43—47.

როდის არის დაწერილი გობრონის წამება 43—44. კაცთა ნათესავისათვის განკუთვნის ღვთაების სხვადასხვა საწურთელი საშუალება 44. რა მნიშვნელობა აქვს სტეფანოსის აზრით წარსული ცხოვრების მოთხრობას 44—45. აბულკასიმის შემოსევა სომხეთში 45 და საქართველოში 45. ჯავახეთისა, აჭარისა, შავშეთისა და არტაანის მდგომარეობა იმ დროს 45. ყველის ციხის გარემოდგომა, აბულკასიმის სამხედრო მოქმედება და ციხის აღება 45—46, გობრონის შეპყრობა და გამაჰმადიანებად იძულება და მოწამებრივი სიკვდილი 46. სტეფანე მტბევარის სხვადასხვაგვარი მსჯელობა გობრონისა და სამბატ სომეხთა მეფის მარტვლობათა შესახებ და ამის მიზეზი 46—47. სომეხთადმი სიძულვილი და ამის მიზეზი 47. გობრონის „წამების“ მნიშვნელობა 47.

გიორგი მერჩული . . . . გვ. 48—61.

გიორგი მერჩულის პიროვნება, ნაწარმოები და მის აღწერის თარიღი 48. ისტორიკოსის მიზანი 48—49. მის თხზულების დანიშნულება 49.

გრიგოლ ხანთელის ც˝ის შესავალი 49. გიორგი მერჩულის თხზულების მთავარი ჰანგი და დედა აზრი 49—52: მონაზონურ ცხოვრებით აღტაცება და მღვდელობის უპირატესობა 49—50. ეკლესია. როგორ ესმოდათ გრიგოლს და მერჩულს ეს სიტყვა 50—51. სამონასტრო ეკლესიების უპირატესობა 51. მონაზონთა დამოუკიდებლობა და ბატონობა საქართველოში 51. გრიგოლ ხანძთელისა და მის მოწაფე-მიმდევართა, მათ შორის ისტორიკოს გ. მერჩულის მაღალი ესთეტური გრძნობა 52. ბუნების სილამაზით აღტაცება და გ. მერჩულის აღფრთოვანებული აღწერილობა 52—53. გ. მერჩულის პოეტური აღმწერელობითი ნიჭი 53. გ. მერჩულის ზეპირი წყაროები და მათი დახასიათება 53. წერილობითი წყაროები: გრიგოლის მიერ დაწერილი ნაწარმოები და წერილი 53—54. თხზულების აგებულობა: როგორ არის მოთხრობაში მომქმედ პირთა მოღვაწეობის აღწერილობა განაწილებული 54. ავტორს ყველა ცნობები არ შეუტანია თავის ნაწარმოებში და მოთხრობა შემოკლებია 54—55. სასწაულთმოქმედების აღწერილობა გ. მერჩულის თხზულებაში 55—56. გრიგოლ ხანძთელის ცხორების „განმაახლებელი“ ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და მის მიერ შეტანილი სასწაულთა აღწერილობა 56. როდის „განუახლებია“ მას გ. მერჩულის ნაწარმოები 56—57. თხრობის წესი გრიგოლ ხანძთელის ც˝ა-ში 57—58. გ. მერჩულის თხზულების ცნობების ჭეშმარიტება 58—60. ისტორიული შეცდომა ერთს სასწაულთმოქმედების აღწერილობაში 60—61.

ბასილი ხარზმელი წინამძღვარი........................ გვ. 61—72.

ბასილი ხარზმელის ვინაობა 61. როდის არის დაწერილი სერაპიონ ხარზმელის ც˝ა 62. ც˝ა ხელუხლებლივ არ არის შენახული 62—63. ბასილ ხარზ. შეხედულებანი საეკლესიო ისტორიაზე: თვითოეულს ხანას ჰყავს მოღვაწეები 63, მათ ც˝ათა აღწერა სათანადო საქმეა 63, საცილობელი აზრი თანამედროვე მოღვაწეთა ღირსების შესახებ და ბასილის შეხედულება 63—64. სერაპიონი ყოვლითურთ მსგავს არს პირველ წ˝ა მამათაო 64. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სერაპიონის ც˝ას 64. ც˝ა ეკლესიაში წასაკითხად ყოფილა დაწერილი 64. სერ. ც˝ის წყაროები 64—66: რა ეკუთვნის პირადად თვით ავტორს 64—65 და 66, ხარზმის კედლის წარწერა 65. მიქელ პარეხელის ც˝ა 65, სერაპიონის თანამგზავრის და თანამშრომელ ძმის ნაამბობი 65—66, გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი 66. ზეპირ წყაროების თვისებათა დახასიათება ავტორის მიერ: მათი თვითმხილველობა და უტყუელობა 67. ბასილი ხარზ. როგორც ისტორიკოსი 67. მისი თხრობის გეგმა და წესი 67—68. თხრობის გეგმისა და წესის შესახები ტერმინები 68—70. თხრობის წიაღსლვის მიზეზები 69—70. ბასილი ხარზ. თხზულების ღირსება 70—71. ზოგიერთ სასწაულთა დაუჯერებლობა 71. ბასილ ხარზ. ნაწარმოების დიდი ნაკლიუთარილობა 71—72. სერაპიონ ხარზ. ც˝ა როგორც საისტორიო წყარო 72.

გიორგი მთაწმიდელი . . . . გვ. **73—84.**

გიორგი მთაწმიდელის საისტორიო თხზულება 73. გიორგი მთაწმიდელი როგორც ეფთჳმეს მოღვაწეობის განმაგრძელებელმა. ი̃ესი და ეფ̃თჳმის ც̃ა და მოღვაწეობა თავის მომავალ შრომის ნაყოფიერებისათვის შეისწავლა 73—74. რა გარემოებამ წარმოშა გიორგი მთაწმ. საისტორიო შრომა 74—75: ბერძენთა ბრძოლა ქართველ ბერების წინააღმდეგ და ბერძენ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა და ეროვნული სიძულვილი 74—75. გიორგი მთაწმ.—ის საზოგადო ოპტიმისტური შეხედულებანი კაცობრიობის ცხოვრებაზე: ღვთაებას კაცთა ნათესავის წარმატება ჲსურს და ყოველს ხანას ღირსეულს სასარგებლო მოღვაწეებს მიუვლენს ხოლმეო 75—76. სასულიერო საისტორიო მწერლობის წარმოშვა და მისი აუცილებელი საჭიროება 76. გიორგი მთაწმ. აზრები საისტორიო მწერლობის მეთოდებზე. 76—79: რა პირობები უნდა აესრულებინა არა თანამედროვე ისტორიკოსს, რომ მისი საისტორიო შრომა სარწმუნო ყოფილიყო 76—77, თავით თჳსით არა რაჲს მოთხრობა 77, ზეპირ წყაროების აუცილებელი თვისებები 77—78. ნივთიერი წყაროები: საქმენი, რომელნიც დუმილით წამებენ და კმამაღლა ქადაგებენ ღვაწლთა, რადარა მიაჩნდა გიორგის ნივთიერ წყაროდ 78—79, ნუსხა და მის უტყუველობის პირობები 79. გიორგი მთაწმ. საისტორიო მეთოდების საზოგადო დაფასება 79. ავტორს წინდაწინვე გეგმა ჰქონია შედგენილი 97—80. გეგმის დარღვევის მიზეზი 79—80. გიორგიმ გაცილებით მეტი იცის ვიდრე მოთხრობილი აქვს 80. მოთხრობა მოკლითა სიტყვთა და ამის მიზეზი 80. თავისი მეთოდოლოგიური მოძღვრება ავტორს სინდისიერად განხორციელებული აქვს 80—81. გიორგის თხზულების ცნობების უეჭველობა და სიმართლე, წყაროებით ხელმიწვდენით უსარგებლია 81—84: იოანე მთაწმიდელის ღვაწლი და მნიშვნელობა თავის შვილის სამწერლობო მოღვაწეობაში სწორედ არის დახასიათებული 81, ეფთჳმის ნათარგმნ წიგნების ნუსხის უტყუველობა 81—83, ეფთჳმის დაუცხრომელი სამწერლობო მოღვაწეობის დახასიათება და მისი სრული სიმართლე 83—84.

გიორგი ხუცეს-მონაზონი. . . . . გვ. **84—91.**

მისი ვინაობა და თხზულება 84. მრავალმხრივ გამოთქმული სურვილი, რომ გიორგი მთაწმ. ც̃ა აღწერილი ყოფილიყო და სხვადასხვა გეგმა 84—85. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ავტორის აზრით გიორგი მთაწმ. ც̃ას 85. გიორგი ხუცეს-მონაზ. თხზულების გეგმა: ც̃ა ორ მთავარ ნაწილად იყოფება და თვითეული მათგანი განსაკუთრებულ საკითხს ეხება 85—86. რა საკითხებს ეხება სიტყუათა სარბიელი ამ ორ მთავარს ნაწილში 86. თხრობის წესი 86—87. ავტორს თავის თხზულებაში ყველა ცნობები არა აქვს შეტანილი რომელიც-კი მან იცოდა, მხოლოდ უმთავ-

რესი აქვს მოთხრობილი 86—87. გიორგი ხუც.-მონ-ის წყაროები და დახასიათება 87. თავის თხზულების მეორე ნაწილში ისტორიკოსი მოთხრობილის თვითმხილველი და თანადამხუდარია 87. თავის მასწავლებელის ღვაწლის შედარებითი დაფასება და მეთოდი 88. თხზულების ენა და ისტორიკოსის პირადი გრძნობა 88—90. გიორგი მთაწმ.-ის უკანასკნელ წუთების საუცხოვო აღწერილობა და მის პიროვნებისა და ღვაწლის მშვენიერი საზოგადო დახასიათება 89—90. გიორგი ხუც.-მონ.-ის თხზულების საზოგადო დაფასება 91.

ეფრემ მცირე.... .... გვ. 91—111.

ცნობები ეფრემ მცირეს შესახებ, სადაურობა, თხზულებები და მასწავლებელნი 91—92. მისი თანამშრომელნი 91—92. ეფრემის სიკვდილი 92. ეფრემის მრავალმხრივი ნიჭი 92. ეფრემი როგორც მეცნიერი ფილოლოგოსი და მთარგმნელი 92—95: მისი აზრი დედნითგან თარგმნის უპირატესობისა და არა უებველობის შესახებ 93, მთარგმნელმა დედანი ხელუხლებლივ და სისწორით უნდა დაიცვასო, არც ზედწარწერილის შეცვლა შეიძლება და არც თხზულების მთლიანობის დარღვევაო 93, სხვადასხვაგვარი თარგმანი და რანაირი უნდა ყოფილიყო სამაგალითო თარგმანი 93—94, რა უნდა სცოდნოდა კარგს მთარგმნელს 94, ძველ თხზულებების თარგმნის დროს დედნის ღრმა სიტყვების აზრის შეგნების აუცილებლობა და ამის ხელშემწყობი საშუალებანი 94. რა არს ლექსიკონი 94—95, ეფრემის მთარგმნელობითი მოღვაწეობის დამახასიათებელი თვისებები 95.
ეფრემ მცირეს შემსწორებლობითი და სარედაქტორო მოღვაწეობა 95—99: ეფრემის აზრი ძველ თარგმანთა ღირსება-ნაკლულევანების სხვადასხვა მიზეზების შესახებ, მსმენელთა სისწრაფე, დედანი და გადამწერალთა მიერ განყვნა 95—96, სამწერლობო ნაწარმოებების სხვადასხვანაირი სახელი, სრული, გამოკრებული შემოკლებული და ერთ წიგნად შეკრებული თხზულებები 96—97, ტექსტის სხეებრობაჲ 97 და ამის სხვადასხვა მიზეზი, ძველისივე წაყოლება და მიყვანა 97—98, ძველ თარგმანის ტექსტი ჯერ ისტორიულად უნდა განხილული და აღდგენილ იქმნეს და შემდეგ დაფასდესო 98—99, ეფრემ მცირეს სიფაქიზე და მეცნიერული სიმკაცრე სამწერლობო მოღვაწეობის დროს 99.
ეფრემ მცირე როგორც მთარგმანებელი და ლექსიკოგრაფი 99—104: განსხვავება თარგმანსა და თარგმანებას შორის 99—101, ეფრემის თარგმანებანი 101, როგორ ესმის ეფრემს თარგმანება 101—102, განმარტებითი და სახისმეტყველებითი თარგმანება 102, ეფრემი განმარტებითს თარგმანებას საუკეთესოდ სთვლიდა 102, წინასწარი კვლევა-ძიება თარგმანებისათვის, ცნობათა მსგავსება-არა-მსგავსებისა, განყოფისა და წინააღმდეგობის გამორკვევა 102—103, დედნების ღირსებისა და შეწყნარებულების განხილვა 103, თარგმანებისა და სხვაგვარ თხზულებათა სხვადასხვანაირი შედგენა: ვრცელი, სრულებითი და შემოკლებულ-ლიტონი ნაწარმოებნი 103—104.

ეფრემ მცირე როგორც მეცნიერი ისტორიკოსი 104—111: ეფრემის აზრი საისტორიო მწერლობის სხვადასხვა დარგის შესახებ 104—105, საისტორიო ნაწარმოებთა აღწერის ორგვარი წესი 105, ლიტონობა და სიმარტივე თხრობისა, ვინ სწერდა სოფლურითა სიტყვითა 105—106, გარდაკაზმა — მეტაფრასი და ეფრემის აზრი გარდაკაზმვის მეთოდების შესახებ 106—107, ეფრემის ამ სამეთოდოლოგიო მოძღვრების მნიშვნელობა და გავლენა მერმინდელ ქართულ საისტორიო მწერლობაზე. არსენი კათალიკოზი და წ҃ა ნინოს გადაკეთებული ც҃ა 107—108. ეფრემ მცირეს საკუთარი საისტორიო გამოკვლევა „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისაჲ“ და მისი მაღალი ღირსება 108—110: მისი წყაროები, მათი ნიშანდობლივი დასახელება და ზედმიწევნითი გარდმოცემა 109—110, ორი აზრი საქართველოში ქრისტიანობის პირველად გავრცელების შესახებ და ეფრემის თეორია მათ შესათანხმებლად 110. ანალოგიის მეთოდი 110. ეფრემის მსჯელობა იმაზე, თუ როდის მიიღეს ქართველებმა მირონის კურთხევის უფლება, და მისი შეცდომა 111. ანალოგიის მეთოდი 111. ეფრემ მცირეს ღვაწლის მოკლე საზოგადო დახასიათება 111.

ლეონტი მროველი. . . . . გვ. 112—126.

ლეონტი მროველი და მისი საისტორიო თხზულება „ც҃ა ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ 112—113. ლეონტის თხზულების დამახინჯება გადამწერთაგან და მისი პირვანდელი სახე 113—114. ლეონტი მროველის საზოგადო წადილი, ქართველთა უძველეს ხანის ისტორიის აღწერა 114. ლეონტის თხზულების უმთავრესი მიზნები: კავკასიაში მცხოვრებთა და განსაკუთრებით ქართველთა ჩამომავლობისა და ნათესაობის გამორკვევა 114—119, ძველ საბერძნეთისა და ბიზანტიელ მწერალთა ცდა ამგვარ საკითხის გამოსარკვევად 115. მქც҃ა ქ҃ჲ ამ საკითხს სრულებით არ ეხება 115—116. ლეონტი მროველის აზრი კავკასიის ყველა ერთა ერთთესლოვანი ჩამომავლობისა და ერთობის შესახებ 116. კავკასიის ერთა საზოგადო განსაკუთრებით-კი ქართველ ტომთა მამათმთავრები და ლეონტი მროველის „მეთოდი“ მათ სახელების გამოსარკვევად 116—117. ლ. მროველის აზრი ქართველ ტომთა ერთიერთმანერთ შორის ნათესავურ დამოკიდებულების შესახებ 118—119. ეს საკითხი იმდროინდელ ქართველ განათლებულ წრეებისათვის საგულისხმიერო ყოფილა 119. საკითხი ქართული ენის შესახებ, ლ. მროველის თეორია მის გაჩენის თაობაზე 119—120: ქართლოსიათა ენა თავდაპირველად სომხური იყო 119, როგორ და რად მოუვიდა ფიქრად ლეონტი მროველის ამგვარი აზრი 119—120, ყალბ ეფრემ ასურის წიგნის გავლენა ეფრემზე 120—121, რა მხრივ არის ლ. მროველს აზრი ქართული ენის შესახებ საყურადღებო 121. საკითხი საქართველოში მეფობის დამყარების შესახებ, ლეონტის შეხედულება და ყალბ ეფრემ ასურის გავლენა 121—122. ძვირფასი ცნობა მამასახლისობის შესახებ საქართველოში 122 და 123. ფარნავაზი, მისი უფლება, მის სამეფოს

სამზღვრები და მის მიერ დაწესებული სახელმწიფო წესწყობილება 123. ლეონტი მროველის ფარნავაზის შესახები ცნობების ღირსება 123. ქართული მწიგნობრობა ფარნავაზმა შექმნაო 123. ქართლოსიანთა თავდაპირველი სარწმუნოება ლ. მროველის სიტყვით და ამ ცნობების ღირსება 123—124. საკითხი წოდებრივობის გაჩენის შესახებ და როდის და როგორ დამკვიდრდა პირველად უსწორ-მასწორობა 124—125: თავდაპირველად ქართლოსიანნი ყველანი თანასწორნი და თავისუფალნი იყვნენო 124, ვინ იყვნენ აზნაურნი 124—125, როგორ და როდის მოიპოვეს მათ წოდებრივი უპირატესობა 125, რა მხრივ არის ლ. მროველის ეს თეორია საყურადღებო 125. ლ. მროველის თხზულების წყაროები 125—126. ლ. მროველის საისტორიო შრომის ნაკლი და ღირსება 126: უძველეს ხანის ისტორიისა თვის თითქმის სრული უვარგისობა 126, საგულისხმიეროა XI-ს. ქართულ საზოგადოებრივ აზრისა შესასწავლელად 126 და ძვირფასია საქართ. საისტორიო გეოგრაფიის აღსადგენად 126.

ჯუანშერი. . . . . გვ. 127—134.

ჯუანშერის შრომა „ც̃ა და მოქალაქობა ვახტანგ გორგასარისა“ 127. ამ თხზულებას შესავალი და თავი აკლია 127. როდის ცხოვრობდა ჯუანშერი და როდის არის დაწერილი მისი ნაწარმოები 127—130: ჯუანშერი შეუძლებელია მე-VIII-ე საუკ. ისტორიკოსი ყოფილიყო 127—128, იგი სარგებლობს ბასილ კათოლიკოზის X—XI-ს. დაწერილი თხზულებით 128, მისი ცნობა პატანიკებისა და ჯიქების მოსახლეობის მდებარეობის შესახებ ამ ერთა XI საუკუნის მოსახლეობის მდგომარეობას გვისურათებს 128, ჯუანშერი მე-XI-ე საუკ. ისტორიკოსი იყო 128—129, მისი ცნობა წინასწარმეტყველების შესახებ თუ აგარიანთა სამეფოს შემუსვრა როდის მოხდებოდა 129, მწერალი ილარიონ ჯუანშერი 129, ჯუანშერის თხზულების ზღაპრული კილო და თ. ჟორდანიას აზრი ჯუანშერის თანამედროვეობისა და მის თხზულების წინაუკმო ცნობების შესახებ 129—130, ჯუანშერის მოთხრობა ბოლო ნაწილში სინამდვილეს თანდათან უფროდაუფრო უახლოვდება 130. ჯუანშერს სპარსული სცოდნია 130, იქმნებ ბერძნულიც 131. ჯუანშერის ცნობები მსოფლიოსა და ცის აგებულების შესახებ 131. ჯუანშერის წყაროები 131. თხზულების სღაპრული ხასიათი და ნამდვილი ვახტანგ გორგასარი 131—132, ცნობებისა და რიცხვების მეტისმეტად გაზვიადება 132. სხვადასხვა საყურადღებო ცნობები ჯუანშერის შრომაში 132—133. ჯუანშერის თარიღები და მათ აღნიშვნის წესი და საფუძველი 133—134. ჯუანშერის თხზულების მოკლე საზოგადო დაფასება 134.

სუმბატ ძე დავითისი. . . . . გვ. 134 —137.

„ც̃ა და უწყება ბაგრატონიანთა“ და ავტორის ვინაობა 134—135. მისი მიზანი 135. სუმბატი აზნაურთა მოწინააღმდეგე ყოფილა 135—136.

მისი მხურვალე მამულიშვილური გრძნობა 136. სუმბატის წყაროები 136. ბაგრატონიანთა საგვარეულო მატიანე და მისი დიდი მნიშვნელობა 136—137. ავტორის ცნობების სიმართლე და ჭეშმარიტება 137.

მატიანჱ ქართლისაჲ . . . . გვ. 138—152.

სად იწყობა და სად თავდება ეს თხზულება 138. მას შესავალი და დასაწყისი აკლია 138—139. ამ ნაწარმოებში თავითგან ბოლომდის საქართველოს მხოლოდ პოლიტიკურსა და სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებაზეა ლაპარაკი 139. რაც უფრო ავტორი თავის დროს უახლოვდება მისი მოთხრობა უფროდაუფრო ვრცელი ხდება 139. თხზულებას სათაური აკლია 139. მისი შესაძლებელი სათაური და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა ძველ მატიანე ქართლისაჲს შესახებ 139—140. რა ხნოვანების ნაწარმოები ითვლებოდა მაშინ ძველად? 140—141. მეორე მისი შესაძლებელი სათაური და ამ ორ სათაურის იგივეობა 141—142. ავტორის ვინაობაზე არაფერია შენახული 142, ქართლელი ყოფილა 142—143 ამის დამამტკიცებელი ნიშნები მოთხრობის ენაში 143. როდის ცხოვრობდა მემატიანე და როდის არის მისი თხზულება დაწერილი 143—145: ბაგრატ IV-ის თანამედროვე ყოფილა, გიორგი II მეფობასაც მოსწრებია დავით აღმაშენებლისას-კი არა 143—144, მატიანე 1072—1073 წ. არის დაწერილი 144—145. თავდაპირველად მტ̃ნე ქ̃ჲ ბაგრატ IV სიკვდილით თავდებოდა, გიორგი II მეფობის აღწერილობა დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს ეკუთვნის 145—146. მემატიანეს წყაროები 146—148: თხზულების დასაწყისში მასალები ჰკლებია 146, წყაროები ტფილისის ამირებისა და ქართლის შესახებ 147, კახეთის მატიანე 147, ისტორიკოსი თავის თხზულების პირველს ნაწილში რიგრიგობით სარგებლობს წყაროებით 147. მისი წყაროები აფხაზეთის შესახებ 147—148, წ̃ა გობრონის ცხორება 148, სუმბატ დავითის ძის თხზულებით არ უსარგებლია 148, ბაგრატ IV-ის შესახებ უხვად ჰქონია ცნობები, მაგრამ ყველა არ ამოჰყავს 148. ისტორიკოსის მარტივი და ბუნებრივი ენა, თავდაჭერილობა და მოკლედმოუბრობა 148. პოლიტიკურ-საკელმწიფო ამბების აღწერა მთელს თხზულებაში და ამ გეგმის დარღვევა 4 საყდრის აგების მოთხრობით 148—149. ერთფეროვანება მთავარ-მეფეთა ღვაწლისა და პირად თვისებების დახასიათებაში 149—150. ისტორიკოსის სრული პირუთვნელობა 150. ავტორის სიძულვილი სელჯუკიან სულტანებისადმი 150. უხვი ქრონოლოგიური ცნობები და თარიღების აღნიშვნის წესი 150—151. ამ თარიღების სისწორე 151. მტ̃ნე ქ̃ჲ ღირსებისა და მნიშვნელობის საზოგადო დახასიათება 151—152.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი . . . . გვ. 152—165.

ცნობების უქონლობა დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის სახელისა და ვინაობის შესახებ 152. მის თხზულებას შესავალი და დასაწყისი აკლია

152. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს აუწერია შესავალის მსგავსად გიორგი II მეფობა 158—153. ისტორიკოსი მეფე დავითის თანამედროვე ყოფილა 153, ამასთანავე მეფის მახლობელი კაცად სჩანს, ნადირობისა და მგზავრობაშიაც და სასახლეში გვირგვინოსნის თანმხლები და შინაური 153—154. მეფის აღტაცებული თაყვანისმცემელი ყოფილა 154. ისტორიკოსი 45 წლის ამბების თვთმხილველი თანამედროვე ყოფილა 154. მოხიბლულია მეფის პიროვნებით 154. თ. ჟორდანიას აზრი, რომ ისტორიკოსი სამღვდელო პირია და ვითომც მოთხრობას ღვთისმეტყველური ბეჭედი აზის, ამ აზრის უსაფუძვლობა 154—155. ისტორიკოსის ფართო და დაწინაურებული აზროვნება 155. იგი მხოლოდ სომეხთა მოწინააღმდეგეა, მაგრამ ეს გრძნობაც სარწმუნოებრივი თვისებისა არ არის 155. ღვთისმეტყველების მაინცდამაინც მოტრფიალე არა ყოფილა 155. და საერისკაცო მწერლობა და განათლება ჰქონია შეთვისებული 155. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის ნაწარმოები 1123—1126 წლებში უნდა იყოს დაწერილი 155. ისტორიკოსი მეფის პოლიტიკის მომხრეთა ჯგუფს ეკუთვნის 155—156. მისი მიზანი იყო, რომ მეფის დიდებული მოღვაწეობა ღირსეულად აეწერა და მის მოწინააღმდეგეთა ცილისწამება და უსაფუძვლო ბრალდებანი დაერღვია 155—156. იგი მეფის მოწინააღმდეგე დიდგვარიან აზნაურთა დასს ეკამათება და ამტკიცებს, რომ დავით აღმაშენებელის მიერ შექმნილმა მუდმივმა ჯარმა საქართველოში ქვეყანას მტრის მოსაგერიებლად დიდი სარგებლობა მოუტანა 156. მუდმივ ჯარის მნიშვნელობა ურჩ დიდგვარიან აზნაურთა ასალაგმავად 156—157. ისტორიკოსი ეკამათება იმათ, ვინც მეფეს აბრალებდა წიგნების კითხვით არის გატაცებულიო, და უხსნის, რა მნიშვნელობა ჰქონდა მეფის ფართო ისტორიულს განათლებას მის მოღვაწეობის ნაყოფიერებისათვის 157. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს შესავალში სხვა ქართ. ისტორიკოსებსავით ცნობები ექმნებოდა თხზულების მიზანისა, მეთოდების და საზოგადო საკითხების შესახებ 157—158. ნიკოლოზ კათოლიკოზის აზრები თვითოეულ ერის განსაკუთრებულ, თანდაყოლილ ნიჭის შესახებ 158. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის შეხედულება მოვლენილ და შემთხვეულ უბედურებათა ორგვარ მიზეზის შესახებ 158—159. მისი აზრები საისტორიო ხელოვნებისა და მათ მეთოდების შესახებ. 159—160. დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის გეგმა, თხზულება ორ ნაწილად იყოფა 160. პირველი და უდიდეს ნაწილის შინაარსი 160. მეორე ნაწილის შინაარსი 160—161. რასა ნიშნავს სულიერნი სათნოებანი. თ. ჟორდანიას შემცდარი აზრი 160—161. ისტორიკოსს თავის შრომაში ყველაფერი არ შეუტანია რაც იცოდა არამედ შემოკლებით აქვს მოთხრობილი 161—162. ისტორიკოსს მოკლედ და მკაფიოდ დახასიათების უნარი შესწევდა 162. ოდნავი რიტორული მჭევრმეტყველება 162. შედარებითი ისტორიული დახასიათება უყვარდა 163. შედარებითი მეთოდით თავისუფლად სარგებლობა მეფის ღვაწლისა და ბუნების სიდიადეს გამოსარკვევად 163—164. ისტორიკოსმა იცის, რომ უძლიერეს საისტორიო პიროვნების მოღვაწეობის ნაყოფიერება მის ქვეყნისა და ერის იმდროინდელი მდგომარეობითა და საზოგადოებრივ

პირობებით არის შეზღუდვილი 164—165. ისტორიკოსის სამაგალითო ენა. მისი თხზულების ცნობების სრული ჭეშმარიტება 165.

თამარ მეფის ისტორიკოსი. .. .. გვ. 165—190.

თამარ მეფის ისტორიკოსის სახელი და გვარი დაკარგულია 165. შენახულია სამაგიეროდ მის თხზულების დასაწყისი 165—166. რა სათაური უნდა ჰქონოდა, ან შეიძლება ეწოდოს ამ თხზულებას 166. სათაური „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ვითარცა გამომხატველი იმ ორმაგ საკულტურო მიმართულებისა, რომლის შემთვისებელი და შემაერთებელი ყოფილა ავტორი 166. ისტორიკოსი თამარის თანამედროვე ყოფილა 167. თხზულების პირველი და უმეტესი ნაწილი 1196 წ. უკვე დაწერილი ჰქონია 167—178. სად უნდა თავდებოდეს ეს პირველი ნაწილი 168—170. მეორე ნაწილი კარგა ხნის შემდგომ არის დაწერილი 170. თხრობის წესის იგივეობა ორთავ ნაწილში: რა სიტყვებს წარუძღვანებს ხოლმე ისტორიკოსი მწუხარებისა და დიდმნიშვნელოვან შემთხვევათა აღწერას 170—171. მეორე ნაწილი ჟამითი ჟამად უნდა იყოს აღწერილი 171. თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებას ბოლო დამახინჯებული აქვს და ბევრიც უნდა აკლდეს 171. თამარის მეფობის ბოლო შევსებული ქ"ცა და ამ ცნობების სადაურობა 171—172. თამარის ისტორიკოსის წარჩინებულობა 172, მაგრამ სამეფო კარის კაცი არ უნდა ყოფილიყო 172. თამარის შინაური ცხოვრება მან თითონ-კი არა, სხვათა ნაამბობით იცის 172—173. ისტორიკოსის აზრით ადამიანთა და სამეფოთა ბედიღბალი ღვთის განგებაზეა დამოკიდებული 173. კაცთა საწურთელი სხვადასხვა საშუალება და მიშვების სხვადასხვა მიზანი 173—174. ისტორიკოსმა იცის, რომ ადამიანთა შორის თანდაყოლილი მემკვიდრეობითი თვისებები არსებობს 174. ისტორიკოსი ერთმთავრობის მოტრფიალე ყოფილა 174, ქართველ მეფეთა პოლიტიკის მომხრე იყო, არც დიდგვარიან აზნაურთ თანაუგრძნობს და არც ყუთლუარსლანს და მის დასს 174. ისტორიკოსის აზრი მეფეთა წინააღმდეგ განდგომის შესახებ 175. ავტორი ღრმად განათლებული ადამიანი ყოფილა, ლმობიერ და მშვიდობის მყოფელი საკელმწიფო პოლიტიკის მომხრე ყოფილა 175. აღტაცებულია თამარის კაცთმოყვარეობით და ზნეობრივ სიფაქიზით მისი თავდაბლობითა და სათნოებით 175—176. ისტორიკოსი რთულ პიროვნებად მოსჩანს მის აზროვნობის ორგვარი ხასიათი 176. ზოგიერთ მის მსჯელობის ვიწრო ეკლესიური თვისება 176—177: გარყვნული შეხედულება ადამიანის უპირატესობაზე 176, ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი პაექრობა და შეცილება და ისტორიკოსის თანაგრძნობა მებრძოლ კათოლიკოზისადმი 176—177. ისტორიკოსის კადნიერი და თავისუფალი ენა: გიორგი III იესო ქრისტესთან შედარება, ხოლო თამარისა ღვთიშობელთან, ლაშა-გიორგის ღვთის ძის სწორად წოდება 177—178. ისტორიკოსს ელლინური წარმართული მწერლობა სცოდნია 178 და გატაცებული ყოფილა. გიორგი III-ეს ელლენთა სარდალსავით ალაპარაკებს 178. ავტორის ცნობა ზოროასტროსის შესახებ 178—179. ისტორიკოსი ერის კაცად,

სამხედრო კაცად მოსჩანს 179. ავტორის აზრი ქვეყნისმპყრობელთა და მათ მემატიანეთა შესახებ 179. ისტორიკოსი მოთხრობილის თვითმხილველი ყოფილა 179, განსაკუთრებით ომები და დარბაზობა აქვს დაწვრილებით და კარგად აღწერილი 179—180. ავტორის ზეპირი წყაროები 180—181 და წერილობითი წყაროები ქართული საერო, საეკლესიო და ბერძენთა ძველი მწერლობითგან 181. ავტორის შეხედულება თავის მოვალეობაზე, ისტორიათა აღმწერელობა და შემასხმელობა 182. ავტორის რიტორიული ენაწყლიანობა და მოქარგულობა 182. სამაგალითო მისაბაძავი ისტორიკოსები სიტყვსმოქმედნი 182—183. მათი ვინაობა 183. ავტორის შესავალი და თხზულების გიორგი III მეფობის ამბებით დაწყება 183—184, რამდენი ადგილი უჭირავს გიორგი III მეფობას და თამარის მეფობას 184. გიორგის მეფობა მარტო პოლიტიკურ ამბების მოთხრობას შეიცავს 184. ისტორიკოსის თხრობის წესი 184. მის თხზულების ორი ნაწილი 184. ავტორს თავის შრომის გეგმა წინდაწინვე შედგენილი ჰქონია, წინამდებარე სიტყვა 184—185. საგანგებოდ აღნიშვნა, რომ იგი თხრობის საგანს სცვლის და ახალს დიდმნიშვნელოვანს რამეს იწყობს 185. ისტორიკოსი რიტორულ ენაწყლიანობისა და პოეტურ მიმსგავსებათა დიდი მოტრფიალე ყოფილა 186—187 ამ გარემოების მავნე შედეგი 187. ისტორიის განგრძობის შიშით ავტორი მოთხრობის სამზღვრებს ზღუდავდა, განსაკუთრებით თამარის საკულტურო მოღვაწეობისა და ზნეობრივ თვისება აღწერის დროს 188—189. თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულების მოკლე საზოგადო დაფასება 189—190.

აბუსერიძე ტბელი. . . . . გვ. 190—191.

აბუსერიძე ტბელის ნაწარმოების განსაკუთრებული ხასიათი 190. ნამდვილი საისტორიო თხზულებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ საგულისხმიერო ცნობებს შეიცავს 190—191. ავტორის ვინაობა, დრო, მის შრომის შინაარსი და წყაროები 191. აბუსერიძე ტბელის ნაწარმოების მნიშვნელობა 191.

ლაშა-გიორგის-დროინდელი უცნობი ქართველი მემატიანე. . გვ. 191—193.

სად არის ეს მატიანე შენახული და მისი მოკლე შინაარსი 191—192. როდის არის მატიანე დაწერილი 192. მისი ღირსება—ნაკლულევანება 192—193.

ჟამთააღმწერელი. . . . . გვ. 193—213.

ლაშა—გიორგის მეფობითგან მოყოლებული გიორგი ბრწყინვალეს მეფობამდე ერთი ისტორიკოსის თხზულება არის და ამის დამამტკიცებელი

საბუთები 193—195. ავტორს განზრახვა ჰქონია გიორგი V ბრწყინვალეს მეფობაც აეწერა, მაგრამ ეხლა აკლია 195. როდის უნდა ეცხოვრა ისტორიკოსს 195—196. თხზულებას თავი აკლია 196—197. სათაურიც დაკარგული აქვს 197. რა არის ჟამთააღმწერელობა და რა სახელი შეიძლება ვუწოდოთ ავტორს? 197 საისტორიო მწერლობის სხვა დარგების სახელები 197. ჟამთააღმწერელი მოკრძალული მწყრალია, მისი აზრი ისტორიის მიზანის შესახებ 197—198. ავტორის ეროვნულ-სარწმუნოებრივი თავმოყვარეობა 198—199. ჟამთააღმწერელის ცრუმორწმუნოება და გულუბრყვილობა როგორც ქართ. საისტორიო მწერლობის დაცემის გამომხატველი 199—200. ჟამთააღმწერელის აზრი საქართველოს დაცემის და მოოკრების მიზეზების შესახებ 200—203: უდარდელობა, გასართობებისა, ვნებათა ღელვისა და გულისთქმათა შეუკავებელი მიდევნება ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მეფობაში 200—202, მრავალცოლიანობის შემოღება და საეკლესიო ქონებათა მოტაცება 202. ჟამთააღმწერელის აზრი რომ საქართველოს მოოკრების მიზეზად თვით ქვეყნის გათახსირებული ცხოვრება იყო 202. ცნობები მონღოლთა ბატონობის დამღუპველი გავლენის შესახებ საქართველოში 202—203, დიდებულ მოკელეთა შორისი შური და შეუხრახებელი მოქმედება—საქართველოს დაცემისა და დაუძლურებისა ერთი მიზეზთაგანი 203. ჟამთააღმწერელის სასოწარკვეთილებით გამსჭვალული აზროვნობა, როგორც საქართველოზე მოულოდნელ დაცემის შედეგი 203—204. ჟამთააღმწერელის წყაროები 204—206: წერილობითი 204—205, ზეპირი 205—206. ჟამთააღმწერელი ნაკითხი და განათლებული ისტორიკოსი ყოფილა 206—210: მას ბერძნული საისტორიო მწერლობა და ამბები სცოდნია 207—208, მონღოლთა და მათ მეტომეთა ისტორიაც შესწავლი ჰქონია 208, მონღოლთა კვლოსის მონღოლური სახელები 208, მონღოლური ენა და მწერლობაც სცოდნია 208, მონღოლური ლექსი ჟამთააღმწერელის თხზულებაში 208—209, მისი აზრი უძლურთა საგვარეულო გარდმოცემათა შესახებ 209, ცნობები მონღოლთა წელთაღრიცხვის შესახებ 209, ჟამთააღმწერელს სპარსული სცოდნია 210. ჟამთააღმწერელი თავის წყაროების ცნობებს კრიტიკის თვალით უყურებს და ისე სარგებლობს 210. მისი მსჯელობა ცნობათა შეუწყნარებლობის დასამტკიცებლად და საბუთებით სარგებლობა 210. საგვარეულო საგმირო გარდმოცემანი ისტორიისათვის უჯეროაო 210—211. ჟამთააღმწერელის თხზულების გეგმა და თხრობის წესი 211. ჟამთააღმწერელის ღირსება: მიუდგომელობა და მტერთა შესახებ ლაპარაკის დროს სრული პირუთვნელობის დაცვა 211. მისი თხზულების მოკლე საზოგადო დაფასება 211. ავტორს გაცილებით მეტი სცოდნია, ვიდრე მას მოთხრობილი აქვს 212—213. ჟამთააღმწერელის ნაწარმოები სანდო საისტორიო წყაროდა მოსჩანს 213.

ძველი ერისთავთა........ .... გვ. 213—218.

ძველი ერისთავთა კერძო საგვარეულო მატიანეა 213—214. ცნობები ამ თხზულების შესახებ 214. სად არის დაწერილი და ავტორის ვინაობა

214. მემატიანეს ვიწრო და ცალმხრივი აზროვნობა, ცნობები სამკედრო ამბებისა და მღვდელმსახურთა პატივისცემის შესახებ 214—215 მატიანეს თავი აკლია 215. პირველი ნაწილის შინაარსი 215—216. თავში მემატიანეს მცირედი ცნობები ჰქონია 216. სად იწყობა ისტორიული ამბების დალაგებული მოთხრობა და სადა სწყდება 216. რაც უფრო მემატიანე თავის დროს უახლოვდება, მოთხრობაც უფრო ცხოველი და სიმართლით ხორცშესხმული ხდება 216. თარიღები 217. მატიანის ენისა და შინაარსის ერთფეროვანება 217. რა მხრივ აქვს მას მნიშვნელობა 217. ძეგლი ერისთავთა ქსნისა და არაგვის კეობათა მთელ სურათს ვერა ხატავს 217—218.

ცხოვრება ბაგრატ მეფობისა (sic). . . .. გვ. 218—220.

ცნობები ბაგრატისა და კონსტანტინეს მეფობათა შესახებ 218—219. მისი ეხლანდელი სახე 219. ამ ნაწარმოების ავტორი 219—220. ავტორის ბარათიანთ საგვარეულო თავმომწონეობა ეტყობა 220. თანამედროვე იყო იგი თუ არა და ეხლანდელ დედნის წინაუკმოობა 220.

მესხურ დავითნის მატიანე (ქრონიკა) . . . . გვ. 221—231.

მესხურ დავითნის მატიანეს თავდაპირველი დედნისა და შენახული ნაწილის რაოდენობა 221. ე. თაყაიშვილის ცნობები და აზრი მატიანის შენახულ ფურცლებისა და ნაწილის შესახებ 221. მკვლევართა მსჯელობანი მემატიანის ვინაობის თაობაზე 222. ვახუშტის საისტორიო შრომის მნიშვნელობა ამ საკითხის გამოსარკვევად, ვახუშტს მესხურ მატიანით უსარგებლია 222—224. მის თხზულებაში მესხურ დავითნის მატიანის დედანი უკეთ არის დაცული ვიდრე შენახულს ხელთნაწერში, ტექსტის შედარებითი შესწავლა 223—225. შენახული ხელთნაწერი ვგონებ უსაფუძვლოდ ითვლება თავდაპირველ დედნად 225. ვახუშტს სხვა ხელთნაწერი ჰქონია წყაროდ 225—226. მესხურ დავითნის მემატიანის ვინაობა 226. რა არის მესხურ დავითნის მატიანითგან დაკარგული და რის აღდგენა შეიძლება 226—227. რა მეთოდით და რომელი წყაროებისდა მიხედვით შეიძლება ამ მატიანის დაკარგულ ნაწილის აღდგენა 227. მესხეთის შეს. ხები ტექსტების შედარებითი შესწავლა ვახუშტის ისტორიასა და ქ'ცის გაგრძელებაში 228—229. იგივე ცნობა პარიზის ქრონიკაში 229. საერთო ცნობები სამცხეს შესახებ ვახუშტის შრომაში, ქ'ცის გაგრძელებაში და პარიზის ქრონიკაში 229. მათი საერთო თვისება. მათი ავტორი მესხია 229—230. მესხურ დავითნის მატიანის დაკარგულ ნაწილების აღდგენის საქმე, მისი სიძნელე და სახელმძღვანელო მეთოდები 230. ამ მატიანის მოკლე საზოგადო დახასიათება და დაფასება 230—231.

გელათური ქრონიკონი. . . . . გვ. 231—234.

გელათური ქრონიკონის შინაარსის მთავარი საგანი 331. სად და რომელ წიგნში უნდა ყოფილიყო მოთავსებული 231—232. მატიანე რომ

მე-X საუკუნეს ეკუთვნის და რამდენი წლის ამბებს შეიცავს 232. ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში და პარიზის ქრონიკაშია შეტანილი 232—233. სად იწყობა და სად თავდება 233. სად უნდა იყოს უკეთესად შენახული გელათურ ქორონიკონის სახე 231. სად არის დაწერილი ეს მატიანე და როდის 234.

ფარსადან გორგიჯანიძე.... .... გვ. 234—251.

ფ. გორგიჯანიძის ვინაობა 234—235. ფარსადანის დაბადების წელიწადი და უმთავრეს თხზულებების დაწერის თარიღები 235—236. ფარსადანის თავგადასავალი და საკელმწიფო სამსახური საქართველოსა და სპარსეთში 236-237. მისი სულიერი მდგომარეობა და აზროვნობა, ზნეობრივი მოძღვრებანი 237—238: ოჯახობრივი დამოკიდებულება და დამოკიდებულება უცხოსთან 237—238. ფარსადანის ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალება და ამის მიზეზი 238. მისი დიდი გაჭირვება და ძმის გაუტანელობა 238--239. განსაცდელის თავითგან მოშორება 239. როდის რა პირობებში და სად აქვს მას თავის საისტორიო შრომა დაწერილი 239. რამდენ ნაწილად უნდა დაიყოს ფარსადანის შრომა 240. პირველი ნაწილის შინაარსი და სრული უვარგისობა 240. ამ ნაწილის წყაროები წერილობითი და ზეპირი 241—242. ფარსადანის გასაოცარი უვიცობა საქართველოს ისტორიაში თამარის მეფობამდის 242. სად თავდება ფარსადანის შრომის პირველი ნაწილი 212. აქვს რამე მნიშვნელობა მას და რა მხრივ არის იგი დამახასიათებელი 213. თხრობის მიმდინარეობა პირველს ნაწილში 213. სად იწყობა და სად თავდება ფარსადანის ისტორიის მეორე ნაწილი 243—244. მისი წყარო 214. მეორე ნაწილის ღირსება 241. ფარსადანის შრომის მესამე ნაწილი, სად იწყობა და სად თავდება 244. მესამე ნაწილი ორად იყოფება 244. ლანგთემურის ამბავი და ლაშქრობა საქართველოში, ამ ამბავის შინაარსი 244—245. ეს ცნობები ფარსადანს სპარსულ ერთ-ერთ საისტორიო თხზულებითგან აქვს გადმოთარგმნილი 245—246. მესამე ნაწილის მეორე ნახევარი „ერანის კემწიფების ანბავი“ და მისი შინაარსი 246—247. რომელ სპარსულ თხზულებებითგან არის ეს „ანბავი“ ამოღებული და გადმოთარგმნილი 247—249. ზეპირი წყაროები 248—249. ფ. გორგიჯანიძის ისტორიის მესამე ნაწილის ღირსება და მნიშვნელობა 249—251. ფარსადანის ღვაწლი 249—250. ისკანდერ მუნში ვითარცა ისტორიკოსი და მის ცნობების ღირსება 250—251.

ქართლის ცხოვრება........................ . გვ. 251—273.

უთანხმოება მკვლევართა შორის ქ˜ცის წარსულისა და მერმინდელ შევსების თაობაზე 251—252. დ. ბაქრაძის აზრი 252. ე. თაყაიშვილის აზრი 252—253. თ. ჟორდანიას აზრი, განსაკუთრებით ქ˜ცის შემადგენელ ნაწილების შესახებ 253—254. თ. ჟორდანიას მსჯელობის ღირსება—

ნაკლულევანება 254—256. მ"მ დ"ფლ ქ"ცის ხელთნაწერი 256. ანა დ"ფლი ქ"ცის ხელთნაწერის აღწერილობა 256—258. ხელთნაწერის ანდერძი 258. ცნობები ალექსანდრე მეფისა და ანა დედოფლის შესახებ 258—260. ანა დ"ფლი ქ"ცა მე-XV-ე საუკუნის მეორე ნახევარს არის გადაწერილი 260. ამ ხელთნაწერის დედანი, რომლითგანაც გადმოწერილია, 1222—1223 წ. ყოფილა დამთავრებული 260—261. მე-XIII-ე საუკ. პირველ მეოთხედში ქ"ცა დავით აღმაშენებელის მეფობით თავდებოდა 261—262. რატომ თავდება ქ"ცის სომხური თარგმანი დავით აღმაშენებელის მეფობით 262. თავდაპირველ ქ"ცის შემადგენელობა 262. როდის იყო თავპირველად ქ"ცის კრებული შედგენილი და რა ეწოდებოდა? 262—263. როდის და როგორ შეიტანეს ქ"ცაში „მატიანე ქ"ა და დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის თხზულება 263. როდის ეწოდა კრებულს სახელი ქართლის ცხოვრება 263—264. როდის არის შეტანილი სუმბატის „ც"ა და უწყება" 264. თამარ მეფის ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერელის საისტორიო თხზულებანი ქ"ცის კრებულში შეტანამდე უკვე შეერთებული ცალკე წიგნად ყოფილა 264—265. როდის არის ეს ორი თხზულება ქ"ცაში შეტანილი 265—266. რა მიზეზია, რომ სტ. ორბელიანმა მე-XIII-ე საუკუნეში ქ"ცაში ორბელიანთა შესახებ თითქმის ვერავითარი ცნობები ვერ იპოვა 265—266. რა მნიშვნელობა ჰქონდა ქ"ცის კრებულის შედგენას და რა შედეგი მოჰყვა 266. ქართველთა მოწიწება ქ"ცის წინაშე 266. საკითხი ქ"ცის შევსების შესახებ 267: დ. ბაქრაძის აზრი 267. ე. თაყაიშვილის აზრი 267. თ. ჟორდანიას აზრი 267. მ. ჯანაშვილის აზრი 267—268. დანარჩენ ქ"ცის ხელთნაწერების თარიღები და აღწერილობა 268—269. ე. თაყაიშვილის აზრი ქ"ცის ხელთნაწერების სამ ჯგუფად დაყოფის შესახებ ვახტანგის კომისიის შრომის განვითარების და მიხედვით და ამ აზრის განხილვა 269—270. მეთოდოლოგიური მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ქ"ცის შევსების დროის შესახებ საკითხის გადაწყვეტა შეიძლება 270—271. განსხვავება შინაარსის მხრივ ვახუშტის საისტორიო თხზულებისა და ქ"ცას შორის და ამ განსხვავების მნიშვნელობა 271. ქ"ცის შევსება ვახტანგის კომისიის საქმე არა ყოფილა 271. თ. ჟორდანიას აზრის შეუწყნარებლობა 271—272. რა ეკუთვნის ვახტანგის კომისიას შევსებულის ქ"ცაში 272. როდის არის შევსებული ქ"ცა 272—273.

ქ"ცის გაგრძელება . . . . გვ. 273—283.

საითგან იწყობა ქ"ცის გაგრძელება 273. ე. თაყაიშვილის აზრი ქ"ცის გაგრძელებათა შემადგენელების ვინაობის შესახებ 273. ქ"ცის რამდენი გაგრძელება არსებობს, მათი საზოგადო დახასიათება 273. რომელი გაგრძელებაა შედგენილი ვახტანგის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ 273—273 სწავლულ კაცთა ნამუშავარს ენას მრავალ თანამშრომელთა მონაწილეობა ეტყობა 274. სხვა გაგრძელებათა ენა ამჟღავნებს, რომ შემდგენელი ერთი იყო და არა რამდენიმე 274. ქ"ცის ცნობილი შესავალის შინაარსის სიმართლე 274. ვახტანგის სწავლულ კაცთა შრომის უმთავ-

რესი მიზანი 274—275. მათი დანარჩენი კერძო მიზნები 275. რამდენ ნაწილად ჰყოფენ სწავლული კაცნი თავიანთ თხზულებას 275—276. ფ. გორგიჯანიძისა და ვახტანგის სწავლულ კაცთა ნაშრომი ერთგვარი მიზანი და მუშაობის შედარებითი განხილვა 276. სწავლული კაცნი სრულიად საქართველოს და არა კუთხებრივი ისტორია შეადგინეს, ამ გარემოების მნიშვნელობა 276. მათ წყაროების ორი ჯგუფი და ორი დარგი 276—277. სპარსული წყარო ლანგთემურის საქართველოში შემოსევის ხანისათვის, ფარსადან გორგიჯანიძის წყაროისა და სწავლული კაცთა წყაროს სხვადასხვაობა 277. სომხურ საისტორიო თხზულებით სარგებლობა იმავ საგანზე 277—278. სპარსული წყაროები სწავლულ კაცთა შრომის მესამე ნაწილისათვის 278. განსაკუთრებული წყარო ბერძენ-ოსმალთა ბრძოლის შესახებ 278. ბაგრატის და კონსტანტინეს მეფობის აღწერილობითაც უსარგებლიათ 279. ქორონიკონნი ვითარცა სწავლულთ კაცთა ერთი წყაროთაგანი 279. დედნებითგან ამოღებული თარიღები ქრონიკონით—კი არ მოუყვანიათ, არამედ ქრისტეს აქათი წელთ აღრიცხვით 280. მათი წყაროები მესხეთისა და კახეთის ისტორიის აღსადგენად 280. სხვა და სხვა საბუთებითა და გუჯრებით უხვად სარგებლობა 280. როგორის სისწორით არის დედნის ცნობები გადმოცემული 280. ზეპირ გარდმოცემებით სარგებლობა შრომის მეოთხე ნაწილში 280. ზეპირ წყაროების დახასიათება სწავლულ კაცთა მიერ და ქართული საისტორიო მეთოდოლოგია რამდენად აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას 280—281. სწავლულ კაცთა ნაშრომის საზოგადო დაფასება 281—283: რა შეადგენს მის ღირსებას 281—282, რა შეადგენს მის დიდს ნაკლს 282. სწავლულ კაცთა კრიტიკული მუშაობა, ჩვენთვის უხილავი დარჩა 282. მათი მარცხი ამ მხრივ 283. სწავლულ კაცთა მთავარი ღვაწლი 283.

ბატონიშვილი ვახუშტი.................................. გვ. 283—310.

რით არის ვახუშტი შესანიშნავი 283. ვახუშტის საისტორიო და საგეოგრაფიო შრომის დაწერის თარიღები 283—284. ვახუშტის აზრი ისტორიის საეკლესიოდ და სამოქალაქოდ გაყოფის შესახებ 284. ისტორიის ოთხ დარგად დაყოფა ვახუშტის მიერ და ამის მნიშვნელობა 284. რას უნდა შეიცავდეს მის ფიქრით უნაკლულო საისტორიო თხზულება 284. ქართულ მთელ საისტორიო მწერლობის განხილვა ამ თვალთსაზრისით და ღირსება-ნაკლულევანების გამორკვევა ვახუშტის მიერ 285. ვახუშტის შრომის მთავარი მიზანი 285. ქართული საგეოგრაფიო რუკების შესწორება და ახალის შედგენა 285. ვახუშტის საგეოგრაფიო შრომა, რა გეგმით და რა წყაროების და მიხედვით არის შედგენილი 285—287: ვახუშტის შეცდომები დასავლეთ საქართველოსა და მესხეთის აღწერილობაში და ამის მიზეზი 286. მისი თხზულება საისტორიო წყაროების საფუძვლიან შესწავლაზეა დამყარებული 286—287. მის საქართველოს გეოგრაფიულ აღწერილობის ღირსება და მნიშვნელობა 287. ვახუშტის საის-

ტორიო შრომის პირველი ნაწილი, რა ცვლილება შეუტანია მოთხრობაში 287. მისი უმთავრესი საზრუნავი თარიღების გამორკვევა იყო 287. წყაროები და მეთოდები თარიღების წარმოჩენისათვის 287—288: საპირო ცნობების ამოღება სხვადასხვა შესატყვის წიგნებითგან და ქორონიკონებითგან 287, შემოწმებითი, თანამედროვეობისა ანუ სინქრონიზმების მეთოდი 287—288. მიღებულ თარიღების განხილვა და შესწორების მეთოდები „შეთანასწორება“ და „სწორრიცხვეულება“ 288—289, საკალენდრო მეთოდი 289 291. ვახუშტის საისტორიო შრომის პირველ ნაწილის მოკლე საზოგადო დახასიათება 291. ვახუშტის შრომის მეორე ნაწილი და მისი აზრი ვახტანგის სწავლულ კაცთა ნაწარმოებზე 291—292. წყაროები 292. მათი განრჩევა და ქრონოლოგიური და გენეალოგიური მეთოდები 292—294. რა იყო საპირო წინადროინდელ ამბების მომთხრობელ მემატიანეთა ჭეშმარიტებისათვის 294. ქართველთა ერთიანობის დამამტკიცებელი თვისებები ვახუშტის აზრით 294—295. ვახუშტის შეხებულება ყველა ქართველთა საერთო საკელმწიფო და სამწერლობო ენისა და იმერულ კილოჲს, მეგრულ ენაკავისა, თუშურისა, სვანურისა და აფხაზურის შესახებ 295—296. სრულიად საქართველოს 3 სამეფოდ და სამთავროებად გაყოფისა და განხეთქილების მიზეზები 296. იმერთა მეფეების ჩამომავლობა 296—297. განხეთქილების ხანის გამორკვევა 297. კახთა განდგომილების თარიღისა და კახთ-ბატონების ვინაობის შესახებ 297—298. ვახუშტის „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ და მისი მნიშვნელობა 298—299. როდის არის დაწერილი 299. როგორ აქვს ვახუშტს ნახმარი ზნენი, ჩუელებანი და წესნი 299. ვახუშტის მიმოხილვის შინაარსი სათაურზე უფრო ვრცელად 299—300. ვახუშტს თავის მიმოხილვაში ყველა საკითხები ისტორიულად აქვს შესწავლილი 300. საქართველოს საკელმწიფო წესწყობილების ისტორიის სამ მთავარ ხანად დაყოფა და ამ დაყოფის სხვადასხვა საფუძველი და ტერმინები 300—301. საქართველოს სამოკელეო წესწყობილება და ისტორია 302—303. ვახუშტის შეცდომა და ამ შეცდომის მიზეზი 302—303. ვახუშტის მიმოხილვის სხვა საგულისხმიერო და სწორე ცნობები 303. რაგვარ მეთოდებისა და წყაროების საშუალებით არის მიმოხილვა დაწერილი 303—306. ამ მიზნით საისტორიო წყაროებისა, კარის გარიგებისა დასტურლამალისა, სიგელ-გუჯრებისა შესწავლა 303—304. ვახუშტი ხალხის თანამედროვე ზნე-ჩვეულებებისდა მიხედვით ქართული საისტორიო წყაროების ცნობების სიმართლეს არკვევდა 304—306. თანამედროვე ხალხური ანდაზები ვახუშტს ერის ძველის ძველ მდგომარეობის სიტყვიერ ნაშთად მიაჩნდა 306. ვახუშტის ცნობა ზოგიერთ ზნე-ჩვეულებათა განზრახ ამოკვეთის შესახებ 307. ვახუშტის თავოსნობა ქართველთა ტანისამოსისა, თავსახურავისა და ფეხსაცმელის ისტორიის შესწავლაში 307. რა ღვაწლი მიუძღვის მას ამ სფეროში 307—308. ვახუშტის დიდი ღირსება, რომ თავის წყაროების ნუსხა დართული აქვს 308. ვახუშტმა ყოველგვარ საბუთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა 308. განუსაზღვრელი ნდობა საბუთებისადმი და ამის მავნე შედეგი ვახუშტის შრომისათვის 309—310. ნატყუარ საბუთების არსებობა ძველ საქართველოში 309. ვახუშტის ღვაწლის მოკლე საზოგადო დაფასება 310.

ქ˜ცის გაგრძელების გადაკეთება.... .... გვ 310—320.

რა მიზეზის გამო გადაკეთებული იყო ქ˜ცის გაგრძელება 310—311. ქ˜ცის ორი გაგრძელება და „პარიზის ქრ." 311. ქ˜ცის გაგრძელების გადამკეთებელს იგივე წყაროები ჰქონია, რაც „სწავლულ კაცებს" 311—313. ზედმეტი წყაროები ქ˜ცის გადაკეთებულს გაგრძელებაში 313. რა შეადგენს ქ˜ცის გადაკეთებულ გაგრძელების შემდგენელის არსებითს და დამახასიათებელს თვისებას 313—317: საბუთებისა და წყაროების დედნის დაცვა 313—316. საბუთებით უხვად სარგებლობა და საბუთების მიხედვით საისტორიო სურათის აღდგენა, ალექსანდრე I მეფობა 314—316. ქ˜ცის გაგრძელების გადამკეთებელის სვინიდისიერი და ფაქიზი მუშაობა 316—317. სწავლულ კაცთა ნაშრომისა და ქ˜ცის გადაკეთებულ გაგრძელების შედარებითი ღირსება და მნიშვნელობა 317. „პარიზ. ქრ."-ის უკანასკნელ ნაწილის წყაროები 317—320: რამდენად შესაწყნარებელია ე. თაყაიშვილის აზრი გ. სააკაძის დღიურის ვითარცა ერთერთ წყაროს შესახებ 317—318. გ. სააკაძის დღიური-კი არა, არამედ იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანი" იყო „პარ. ქრ."-ის წყაროდ, 318—319. როსტომ მეფის გუჯარი ამ მატიანის ერთი წყაროთაგანი 319. ფ. გორგიჯანიძის თხზულებითგან შეტანილი ადგილი „პარ ქრ."-ში 320. როდის უნდა იყოს შედგენილი ქ˜ცის გადაკეთებული გაგრძელება და „პარ. ქრ."-კა 320 პარ. ქრ.-ის უკანასკნელ ნაწილის ღირსება და მნიშვნელობა 320. ქ˜ცის გადაკეთებულ გაგრძელებისა და „პარ. ქრ."-კის პირველ ნაწილის მოკლე დაფასება 320.

სეხნია ჩხეიძე.... .... გვ. 320—327.

ს. ჩხეიძეს შრომა და მისი ვინაობა 320—323. მის შრომის რაოდენობა 323. ამ თხზულების სათაური და მისი ერთი დამახასიათებელი თვისება 323. ავტორი დავით აღმაშენებელის ისტორიკოსს და ქ˜ცას ბაძავს 323—325. ს. ჩხეიძის ნაწარმოების წყაროები 324. ს. ჩხეიძეს ქრონოლოგიურ ცნობების აღნიშვნა მეთოდოლოგიურ მოთხოვნილებად მიაჩნდა 325. ს. ჩხეიძე პოლიტიკურ და სამხედრო ამბების მატიანეა მხოლოდ 325. მისი უდარდელობა, ქარაფშუტობა 325—326. გაზვიადებული და შეუფერებელი კილო 325. ს. ჩხეიძის გულქვაობა და შეუბრალებლობა 326. საქართველოს აღორძინებას თითქოს ვერ ამჩნევდა 326—327. ს. ჩხეიძის გულგრილობა 327.

პაპუნა ორბელიანი...... .... გვ. 327—335.

პ. ორბელიანის თხზულების სათაური 327—328. ქრონოლოგიურად იგი ს. ჩხეიძის ისტორიის გაგრძელებაა 328. პ. ორბელიანის ვინაობა 328—329. ისტორიკოსი მოთხრობილის თანამედროვე და ხშირად მონაწილეც

ყოფილა 329. ამისი კვალი თვით მოთხრობის ენაში 329—330. მეფეს მისი ისტორიკოსობა სცოდნია და მფარველობაც გაუწევია 330 პ. ორბელიანის ცნობა ზეპირი წყაროების შესახებ 330—331. ზეპირ წყაროების კვალი მის თხზულებაში 331—332. პ. ორბელიანის ისტორიის რაოდენობა 332. პაპუნა ჩხეიძესავით მეფეთა მემატიანე-კი არ იყო, არამედ ქვეყნის და მცხოვრებთა თავგადასავალის აღმწერი 332. მისი მთავარი მიზანი 332—333. პაპუნას ღრმა აზროვნობა და შორს გამჭვრეტელობა 333. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მის ისტორიას შთამომავლობისათვის 333. არსებითი განსხვავება ს. ჩხეიძესა და პ. ორბელიანს შორის, პაპუნას ძლიერი მამულიშვილური და საზოგადოებრივი გრძნობა 333—334. მატიანისებური მოთხრობის წესრიგი პ. ორბელიანის თხზულებაში 334. მოვლენათა მიზეზისა და გარემოების გამორკვევა 334. პ. ორბელიანის ისტორიის მრავალმხრივი შინაარსიანობა 334—335. თარიღები 335. ამ ნაწარმოების ღირსება 335.

ომან მდივანბეგი ხერხეულიძე . . . . გვ. 335—338.

ო. ხერხეულიძის თხზულების სათაური და დასახული მიზანი 335 როდის არის დაწერილი 336. რა მიზეზია რომ ერეკლეს მეფობის ამბები 1780 წ შემდგომ ხერხეულიძეს აწერილი არა აქვს 336. ო. ხერხეულიძის ნაწარმოების სივრცე და ხასიათი 336. მის მიერ აღნიშნული წყაროები და დახასიათება 336—337. წერილობითი წყაროების მოუხსენებლობა 337. ო. ხერხეულიძის თხზულების საზოგადო დაფასება 337—338. თარიღები ქრონიკონით-კი არა, ქრისტესით არის აღნიშნული 338.

ტერმინების სარჩევი . . . . გვ. VIII

შეცდომების გასწორება (წიგნის ბოლოს). . . . . გვ. I.

ამ წიგნის ზანდუკი. . . . . გვ. V.